თავისუფლების დღიურები

2015

MMC
modern media center

პრაღა-თბილისი
2016

პროექტის ავტორი:	**დავით კაკაბაძე**
შემდგენლები:	**მარინა ვაშაყმაძე, დავით კაკაბაძე**
მოვლენების ქრონიკა:	**ნინო როდონაია**
კონცეფცია & დიზაინი:	**პაატა ნაცვლიშვილი**
რედაქტორი:	**ცისანა ნიკოლაიშვილი**
პროდიუსერები:	**გოგა დავთიანი, ელისო კაპანაძე**

წიგნში გამოყენებულია ლევან გვარამაძისა და
გოჩა ლეჟავას ფოტოები;
აგრეთვე – ფოტოები ავტორთა პირადი არქივებიდან.

წიგნს ერთვის საპრეზენტაციო დისკი –
დოკუმენტური ფილმი „**დღიურო, ძვირფასო დღიურო!**“
(რეჟისორი: ანდრო ჭიაურელი);
და კრებულში შესული 52-ვე დღიურის
აუდიოჩანაწერები.

© რადიო თავისუფლება
თბილისი, 2016
ISBN 978-9941-0-8637-3

52 x 10 = 520

„ნობელის პრემიით რომ დაგაჯილდოებენ, მხოლოდ მაშინ შეიძლება, თავს საკუთარი დღიურის გამოქვეყნების უფლება მისცე“ – ზუსტად არ ვიცი, რამ ათქმევინა ეს სიტყვები იოზეფ როთს, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილ ავსტრიელ მწერალს. ვიცი, რომ ნობელის პრემია როთს არ მიუღია და, შესაბამისად, არც უნდა გვიკვირდეს, რომ მწერლის სიცოცხლეში მის დღიურებს (თუ საერთოდ აწარმოებდა) დღის სინათლე არ ღირსებია. „თავისუფლების დღიურების“ ავტორებს შორის ნობელის პრემიის ლაურეატს ვერ შეხვდებით, მაგრამ, ვფიქრობ, ეს სულაც არ აკნინებს ამ ჩანაწერების მნიშვნელობას, როგორც თავისებური მატიანისას. და, რა კარგია, რომ იოზეფ როთის პოზიციას საქართველოში ბევრი მიმდევარი არ გამოუჩნდა – თორემ ჩვენს პროექტს განხორციელება, ალბათ, არ ეწერა!

ის კი არა, ამ თერთმეტიოდე წლის წინ, როცა პროექტის იდეა რადიოს სარედაქციო საბჭოს წევრებს გავაცანი და განვუმარტე, დღიურები სხვების წასაკითხად (თუ მოსასმენად) დაიწერება, მაგრამ ერთი კონკრეტული ადამიანის ცხოვრების ერთკვირიან მონაკვეთს ასახავს-მეთქი, გამოცდილმა კოლეგამ ერთ-ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან განზე გამიყვანა და მითხრა: მეგობრულად გირჩევ, პროექტის დაწყებას ნურც კი ეცდები, საქართველი პატარა ქვეყანაა და საინტერესო ავტორებს ერთ-ორ წელიწადში ვეღარ იპოვითო.

დღეს „თავისუფლების დღიურები“ ათი წლის იუბილეს აღნიშნავს. წელიწადში 52 კვირაა. ათ წელიწადში? მარტივი არითმეტიკაა: ათი წლის განმავლობაში ჩვენს პროექტში მონაწილეობა მიიღო 520 ავტორმა: პოლიტიკოსებმა და საჯარო მოხელეებმა, მხატვრებმა და მწერლებმა, გლეხებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა, ტაქსის მძღოლებმა და სტუდენტებმა, საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და ჯარისკაცებმა, მასწავლებლებმა და მფრინავებმა, ჟურნალისტებმა და უფლებადამცველებმა, იურისტებმა და არქიტექტორებმა, ექიმებმა და მუსიკოსებმა, კინოსა თუ თეატრის მსახიობებმა და რეჟისორებმა, სასულიერო პირებმა თუ ბიზნესმენებმა, მომღერლებმა თუ მოცეკვავეებმა, დიპლომატებმა თუ მეცნიერებმა... ქართველებთან ერთად ეს იყვნენ სომხები და აზერბაიჯანელები, ქურთები და რუსები, უკრაინელები და ჰოლანდიელები, ამერიკელები და ფრანგები, ბელგიელები და გერმანელები, პოლონელები და იტალიელები, ინგლისელები და სერბები... ოღონდ პირობა ყველასთვის ერთი იყო – ჩანაწერები ქართულად უნდა გაეკეთებინათ.

ვინ იცის, კიდევ რამდენი საინტერესო მედღიურის გაცნობა გველის მომავალში. იმ ჩემს სკეპტიკოს კოლეგას კი უკვე კარგა ხანია, აღარ უკითხავს, როგორ მიდის პროექტის საქმეებიო.

დავით კაკაბაძე,
რადიო თავისუფლების ქართული სამსახურის დირექტორი

პრაღა, ჩეხეთი

1 დიანა ანფიმიადი 5
2 დინა ოგანოვა 15
3 ზურაბ გაიპარაშვილი 25
4 რაფიელ მესენგისერი 33
5 ნათია გვიანიშვილი 39
6 ცოტნე გამსახურდია 45
7 ნუცა ჯანელიძე 51
8 გიორგი კლდიაშვილი 58
9 ელენე (მაია) რუსეცკაია 66
10 ციური ანთაძე 73
11 თამარ ლალიაშვილი 80
12 ზვიად დევდარიანი 85
13 თამარ ისაკაძე 92
14 დათო გაგუნია 100
15 გიგა კოგალაძე 107
16 ლაურა კუტუგიძე 115
17 ნატა გაგუა 124
18 რატი იონათამიშვილი 132
19 ნინო ზამგახიძე 138
20 პაატა შამუგია 145
21 სალომე ბენიძე 150
22 იოსებ ბარათაშვილი 159
23 ალექსანდრა დავთიანი 165
24 ზურაბ გურიელიძე 172
25 მაშო სამადაშვილი 179
26 ნიკა ბრეგვაძე 188
27 ბექა გონაშვილი 193
28 ნინო კვარაცხელია 200
29 გიორგი ოქროპირიძე 206
30 ირაკლი გვახარია 214
31 იდა ბახტურიძე 221
32 გივი ალხაზიშვილი 228
33 სოფო ჯაიანი 236
34 ნესტან მამაცაშვილი 243
35 არჩილ ბაქრაძე 250
36 ლიანა ისაკაძე 257
37 ნატალი პატარიძე 263
38 ვახტანგ მამალაძე 269
39 ნანა ბაგალიშვილი 274
40 ნოდარ სუმბაძე 282
41 გია გოკიელი 290
42 თამთა რეხვიაშვილი 299
43 ლელა კოტორაშვილი 306
44 ლევან ალაფიშვილი 315
45 ალექსანდრე ადამია 323
46 ეკატერინე სხილაძე 329
47 გვანცა ჯოგავა 335
48 გია ჯვარშეიშვილი 343
49 მერაბ ნინიძე 349
50 ლია უკლეგა 357
51 მერაბ კილაძე 361
52 ლია ლიქოკელი 369

დიანა ანფიმიადი

პოეტი, პუბლიცისტი, პედაგოგი. დაიბადა 1982 წლის 28 ივლისს თბილისში. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი და ამავე ფაკულტეტის მაგისტრატურა. ამჟამად მუშაობს სადოქტორო შრომაზე თსუ ზოგადი ლინგვისტიკის ინსტიტუტში, ამასთანავე არის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი. გამოცემული აქვს ხუთი წიგნი: „შოკოლადი“, „კონსპექტური მითოლოგია“, „ახლოხედვის ტრაექტორია“, „პირადი კულინარია“, „ჩრდილის ამოჭრა“. ლიტერატურული პრემიების „საბასა“ და „წეროს“ ლაურეატი. მოპოვებული აქვს ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია ახალგაზრდა მეცნიერთათვის და არაერთი სხვა. აქტიურად თანამშრომლობს ქართულ საგანმანათლებლო და ლიტერატურულ პერიოდიკასთან. წერს სასკოლო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

იანვარი

1

თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ ახალი წლის დადგომა ავღანეთში მყოფ ქართველ სამხედროებთან ერთად აღნიშნა ბაგრამის საავიაციო ბაზაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ დაათვალიერა შიდა ქართლის საოკუპაციო ხაზთან მდებარე საგუშაგოები და პოლიციელებს ახალი წლის დადგომა მიულოცა.

აქციზის ახალი, გაზრდილი განაკვეთის ამოქმედების შედეგად საქართველოში გაძვირდა თამბაქოს ნაწარმი.

ხუთშაბათი

7 საათზე ვიღვიძებ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გვიან დავიძინეთ. გიო გიჟდება ახალი წლის შეხვედრაზე. აფორიაქებული და თოვლის ბაბუის საჩუქრებით აჟიტირებული, ძლივს დავაძინე. მაინც ადრიანად წამოხტა.

დასვენების დღის გამოყენება, ანუ გამოძინება რომც გინდოდეს, ერთი პატარა, ოთხი წლის მაღვიძარა დილიდან ფორმაშია, თავისი საწოლიდან ჩვენთან გადმოდის, ხან ყურებზე მქაჩავს, ხან – ცხვირზე, ცდილობს, თვალებიც გამახელინოს: „გაიღვიძე, შე პატარა, გაიღვიძე, შე პატარა!“ ბოლოს და ბოლოს თვალს ვახელ და ჩემს ცხვირზე მოჭყლეტილ მის პაწია ცხვირს ვგრძნობ; უზარმაზარი, შავი თვალები დამყურებენ – ისედაც საცრისტოლა თვალები აქვს და ახლო ხედიდან ხომ საერთოდ!

დღეს ახალი წლის დილაა, ჩემთვის კი – ახალი ცხოვრების, სულ სხვა რეალობის ოთხი წლის თავი: ჩემი ბიჭი იუბილარია. 2011 წლის პირველ იანვარს გაჩნდა პირველ საათზე და, ალბათ, ამ უცნაურმა დამთხვევამაც განაპირობა ციფრებისადმი მისი დიდი სიყვარული.

არაფრით მავიწყდება ის უცნაური განცდა, როცა ნარკოზიდან გამოღვიძებულს ერთი ყვითელი, თვალებბრიალა მუთაქა მომიყვანეს, გადაბმული წარბებით და ლამის სალვადორ დალის ულვაშებით. ნეტა ვის ჰგავს-მეთქი, ვფიქრობდი, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ სულ მალე ნამდვილი ვარსკვ-

ლავბიჭუნა გახდებოდა.

ჯერ სამშობიაროში მეშინოდა უდიდესი პასუხისმგებლობის, რამე არ ვატკინო, არ დავუზიანო-მეთქი. ამიტომ კეთილი ექთანების დახმარებას სიამოვნებით ვიღებდი. მერე ერთხელაც, შემომიყვანეს: შუქი ჩაქრა და გაათბეთ თქვენი ბავშვებიო, და ის გათბობა იყო ყველაზე, ყველაზე მთავარი ამბის დასაწყისი. მერე ველოდებოდი, ერთი თვის როდის გახდება, მოძლიერდება, მერე აღარ მოკვდება-მეთქი; მერე – სამი თვის შემდეგ – გაზები აღარ შეაწუხებს, ოთხი თვისა ფაფას შეჭამს და ექვსი თვისა დაჯდება-მეთქი... მერე ძალიან, ძალიან დიდხანს ველოდი, ენას როდის ამოიდგამდა. თითქმის სამწელიწად-ნახევარი... მან კი ჯერ ციფრების წერა დაიწყო, მერე მიმატება და გამრავლება, მერე – ქართულად წერა-კითხვა, ფონეტიკური ექსპერიმენტებით თამაში. ინგლისური ანბანი ისწავლა და, ბოლოს და ბოლოს, სიტყვებიც გადააბა ერთმანეთს. ამიტომ ეს ახალი წელი განსაკუთრებულია ჩემთვის: პირველად მოგვილოცა ახალი წელი და თოვლის ბაბუასაც პირველად სთხოვა საჩუქარი – ჭადრაკი.

ეს დღე განსაკუთრებით მიყვარს. ყოველთვის მიყვარდა, თუმცა ჩემს სახლში მის მიმართ სხვადასხვაგვარი, ურთიერთგამომრიცხავი დამოკიდებულება იყო. დედაჩემისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ამ დღესასწაულს ყველაზე მეტი ღელვა და დარდი მოჰქონდა. არ ვიცი, იქნებ ეს 90-იანების, დედას დაქვრივების გამოძახილია, მაგრამ 31-ში რომ უფუჭდება განწყობილება, ერთი დღე მაინც უნდა, რომ „მოხასიათდეს“.

არადა, დაღლილობის ბრალიც არ არის. უკვე რამდენიმე წელია, მხოლოდ იმდენ საჭმელს ვაკეთებთ, პირველში ჩვენ თვითონ რომ გვეყოს, ანუ არავითარი მილიონნაირი კერძი, ერთი კვირით გატენილი მაცივარი... მხოლოდ რამდენიმე კერძი, რაც გვიყვარს და, თუ მაინცდამაინც, რომელიმე ახალი ექსპერიმენტი.

საკვების გადაყრის საშინელი წინააღმდეგი ვარ. ყოველთვის მომხრე ვარ, საჭმელი იმდენი გაკეთდეს, რამდენიც გვჭირდება. ვფიქრობ, რესურსებს ცოტა უფრო გონივრულად რომ ვიყენებდეთ, პრობლემაც ნაკლები გვექნება.

გიო საჩუქრების გახსნას იწყებს: პაზლები, ტანგრამები, ასაწყობები... მანქანებით დიდად არ ინტერესდება, უფრო გონებრივი თამაშები უყვარს.

ძალიან ძვირია კარგი და საინტერესო სათამაშოები. ქართული წარმოებაც არ ჩანს. მხოლოდ ალაგ-ალაგ, ისიც რომელიმე გამომცემლობა თუ მოიფიქრებს საინტერესო სათამაშოს ბავშვისათვის. ამას წინათ წავაწყდი ერთს, „ზღარბის სათამაშოები“ ჰქვია – ლოგიკური კუბი და საინტერესო ლოტო... რა იქნება, მეტი ხარისხიანი ქართული სათამაშო გვქონდეს. უფრო იაფიც იქნებოდა, თორემ უცხოური საიტებიდან გამოწერა თვითონ სათამაშოზე ძვირი ჯდება. ყველაფერზე ვზოგავ ფულს, გიორგისთვის საინტერესო აქტიურობების გარდა,

ძალიან მინდა, თავისი განსაკუთრებული ნიჭი სწორად გამოავლინოს.

ზაზაც იღვიძებს. სწრაფად ვსაუზმობთ, ვიცვამთ და გავდივართ – ჩემს პატარა იუბილარს დღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი მისია აქვს შესასრულებელი: მეკვლე უნდა იყოს. ჯერ ზაზას მშობლებთან მივდივართ, მერე – დეიდასთან. ძალიან მინდა, ჩემს და-ძმასაც ვულოცავდეთ, მაგრამ ერთი გერმანიაშია, მეორე – საბერძნეთში. ერთად ყოფნას ახალ წელს არაფერი სჯობია.

გიორგი საყოველთაო აღფრთოვანებისა და სიყვარულის ობიექტია. ხუმრობა ხომ არ არის: თან იუბილარია, თან – მეკვლე! ძალიან იფერებს მდგომარეობას.

შინ ვბრუნდებით. ბავშვს ვაძინებ, საღამოსთვის ბუშტებს ვბერავ და სუფრას ვაწყობ: 1 იანვარი რთული დღეა და ჩვენთან დაბადების დღეზე მოსასვლელად ცოტა ვინმე თუ იცლის. მაგრამ მეგობრები მაინც მოვლენ, ბავშვებს მოიყვანენ, ტორტსაც ჩავაქრობთ და ვიმხიარულებთ.

პირველი სტუმრებიც მოვიდნენ – ქეთო და ზაზა ორ ულამაზეს გოგოშკასთან ერთად. წავედი, დღიურისთვის აღარ მცალია.

პარასკევი

ბედობა ცუდი ამბით დაიწყო: მატარებელი მანქანას დაეჯახა, ახალგაზრდები დაიღუპნენ.

ძალიან მოვიწყინე, წარმოვიდგინე, როგორი იმედებით და განწყობით შეხვდნენ ახალ წელს, შამპანური დალიეს, ფეიერვერკს უყურეს, ძველი წელი გააცილეს და ახლის სადღეგრძელო შესვეს. ალბათ რომელიმემ, ბევრი ჩემი ფეისბუკის მეგობრის მსგავსად, 2014-ის შემაჯამებელი პოსტი დადო, 2015-ის გეგმებიც დასახა. ერთი გაუფრთხილებლობა და, ყველაფერი დამთავრდა. დაღუპულები, შვილმკვდარი დედები, დაობლებული შვილები...

დღის ბოლოს კიდევ ერთი გარდაცვლილის ამბავს ვიგებ: ცეცხლმოკიდებულ ბორანზე ქართველმა სასულიერო პირმა სხვები გადაარჩინა და თვითონ დაიღუპა. როგორი ტკივილიანი ბედობაა!..

გადავწყვიტე, დღეს მხოლოდ გიორგისთან ყოფნა დავიბედო. საღამოს იქნებ მე და ზაზამ გავისეირნოთ კიდეც, თუ მისი სამსახურის დაძაბული რეჟიმი ამის საშუალებას მისცემს. მერე ცოტას ვიმუშავებ: ათასი რამე მაქვს დაწყებული, კიდევ უფრო მეტი – დასაწყები.

გიორგის თავისი სახატავი დაფა მოაქვს. ზედ სისტემურად ჩამოუწიკწიკებია ერთის მიმატების ცხრილი, რომ ყველა მომდევნო ციფრი წინაზე ერთით მეტია. არადა, მხოლოდ ოთხი წლისაა, ნეტავ ერთხელ, სულ ორი წამით ჩამახედა მის თავში, ნახევარ სიცოცხლეს დავთმობდი. თუმცა, ალბათ, ბევრს ვერაფერს გავიგებ, მათემატიკა არასოდეს ვიცოდი. მეხუთეკ-

2

იანვარი

აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანთან მატარებლისა და მიკროავტობუსის შეჯახებისას დაიღუპა სამი და დაშავდა ათამდე ადამიანი.

ლასელმა რომ ვთქვი, მე ლექსებს ვწერ, მათემატიკა არ მინდა-მეთქი, ეგ იყო და ეგ. დიდხანს იბარებდა ჩემი მათემატიკის მასწავლებელი დედას: ნიჭიერია, შეუძლია და არ მისცეთ უფლება, შეეშვასო, მაგრამ სულ ტყუილად. ახლა ამ ყველაფრისთვის შურისძიებაა ჩემი მათემატიკოსი ქმარი და შვილიც, რომელიც ერთი წლიდან მიმატება-გამოკლებას სწავლობს.

მუშაობას ვერ ვახერხებ, თუმცა ცოტა დრო მრჩება წიგნის წასაკითხად: ზაზა თვარაძის „თავგადასავალი“ წიგნის ფესტივალზე ვიყიდე და ვერაფრით ვერ მოვაბი თავი წაკითხვას. ახლა ვკითხულობ და ძალიან მომწონს. როგორი მაგარი მწერალი იყო ზაზა და რა ადრე გარდაიცვალა, სამწუხაროდ... მისი „მონტებულსუ, ანუ ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა“ ჩემი მოსწავლეების საყვარელი საკითხავი იყო. ძალიან კარგი ტექსტია როგორც კითხვითი უნარების განსავითარებლად, ისე თავისთავად, შინაარსით, სათქმელით, ერთდროული სიმარტივითა და სირთულით. იმ რაღაც განსაკუთრებული ნაპერწკლით, რომლის გარეშეც საბავშვო წიგნი არ იკითხება, ბავშვებისგან შორს რჩება.

თეა და ბავშვები გვესტუმრნენ. ვეცდები, მათს მხიარულ ჟღურტულს გული გადავაყოლო.

3 შაბათი

ადიგენის მუნიციპალიტეტში, ზოტის მთაზე ჩამოწოლილი ზვავის შემდეგ მაშველებმა თოვლის მასებიდან ამოიყვანეს სამი ახალგაზრდა, ხოლო ერთი დაღუპული იპოვეს.

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი შიდა ქართლის საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ კნოლევში შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას.

დღეს დედაჩემის ერთ-ერთი დაბადების დღეა. ჰო, ერთ-ერთი: 20 დეკემბერს დაიბადა, მაგრამ, სანამ მის დაბადებას ოფიციალურად გააფორმებდნენ, რამდენიმე კვირა გავიდა და საბუთებში 3 იანვარი ჩაუწერეს, ზოგან – 4. სახელიც ხან ნანა ეწერა, ხან ნელი, ხანაც – ნანი. რამდენჯერმე სერიოზული პრობლემაც შეექმნა ამის გამო, სანამ ყველგან ჩავასწორებინებდით. ჰოდა ასე, თუ ახალი წელიც ორია და შობაც, დედაჩემსაც ორი დაბადების დღე აქვს.

გიორგი და ზაზა სასეირნოდ გავუშვი, მე ცოტას ვიმუშავებ, სტატია მაქვს დასაწერი mastsavlebeli.ge-სთვის. ეს ჩემი საყვარელი ინტერნეტგაზეთია – მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, და არა მხოლოდ მათთვის. ძალიან კარგი რედაქტორისა და ავტორების საშუალებით ის ერთ-ერთი პოპულარული რესურსია ქართულ ელექტრონულ სივრცეში, ხოლო განათლების თემატიკაზე, ალბათ, ერთადერთიც.

ვწერთ ყველაფერზე: სკოლაზე, გაკვეთილებზე, უფლებებზე, მოვალეობებზე, ტოლერანტობაზე, თანასწორობაზე...

ამჯერად პოსტს ვწერ გიორგი ახვლედიანზე, გენიალურ ქართველ ენათმეცნიერზე, ცნობილ სანსკრიტოლოგსა და „ავესტას“ მთარგმნელზე, ძალიან კარგი სახელმძღვანელოების ავტორზე. ძალიან სამწუხაროა, რომ მათ, ვინც, ფაქტობრივად, თავისი მხრებით ზიდა ქართული უნივერსიტეტი, თვით უნივერსიტეტის სტუდენტებიც კი არ იცნობენ.

რამდენიმე წლის წინანდელი სასაცილო შემთხვევა მახსენდება. მგონი, ჯერ მაგისტრანტი ვიყავი და ენათმეცნიერების

კათედრაზე ლექცია მქონდა. მაშინ კათედრა უნივერსიტეტის პირველ კორპუსში იყო. კარზე ეწერა: „გიორგი ახვლედიანის სახელობის კაბინეტი“ და კართან დიდი ენათმეცნიერის ბიუსტიც იდგა. ერთმა გოგონამ შემოყო თავი: „უკაცრავად, ბატონი გიორგი ახვლედიანი სად ვნახო?“

ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ბატონი გიორგი ვესტიბიულში დგას, ეწევა...

პოსტს დავამთავრებ და ნატო ინგოროყვას, რედაქტორსა და ჩემს უსაყვარლეს მეგობარს გადავუგზავნი. იმედია, გაზეთი 2015 წელსაც ძველებურად გააგრძელებს მასწავლებლებისა და მკითხველების საინტერესო რესურსებით განებივრებას.

კვირა

4

მინდია ჯანელიძე ავღანეთის ქალაქ მაზარ-ი-შარიფში შეხვდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მეოთხე მექანიზებული ბრიგადის გაძლიერებული ასეულის წევრებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს დაბადების დღე მიულოცეს ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა.

გუშინ ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის - ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების დღე იყო, ჩვენ კი არც გაგვხსენებია.

როცა საყდრისსა თუ სხვა დანგრეულ და სახეშეცვლილ ძეგლებზე, თბილისის რეკონსტრუქციის გაუგებარ პროექტებზე, სხვადასხვა დროს საქართველოდან გაზიდულ მატერიალურ თუ არამატერიალურ განძზე ვფიქრობ, სულ ექვთიმე თაყაიშვილი მახსენდება. მახსენდება, როგორ შიოდა მაშინ, როდესაც უდიდესი საგანძურის მფლობელი იყო, როგორ უვლიდა მარჩენალ თხას, როგორ აგროვებდა და აკოწიწებდა ქართულ ხელნაწერებსა თუ ნივთებს, როგორ გადაარჩინა „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ხელნაწერი, როგორ ცხოვრობდა სამშობლოსგან შორს და როგორ არ ჰქონდა პალტოც კი... უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრები და გარდაცვლილი განძის მცველი... მგონია, რომ სიყვარული ზუსტად ესაა, ასეთი თავგანწირული და უანგარო.

სიყვარულზე გამახსენდა: ზაზას საახალწლო საჩუქრის მაგარი იდეა მქონდა: მინდოდა, შუშის ლამაზ, გამჭვირვალე ყუთში ჩამეყარა ფერადი ფურცლები, რომლებზედაც დავწერდი, რატომ მიყვარს, გავიხსენებდი კარგ ამბებს ჩვენი ხუთი წლის ცხოვრებიდან, გეგმებს, სურვილებს და ა.შ. თინიმ მასწავლა, საერთოდაც, ნატეხი შაქარი გაახვიე მაგ ფურცლებშიო, მე კიდევ თავი ვერ მოვაბი, ისევე როგორც ყველაფერს. სამაგიეროდ, დღეს მოვუყევი, რას ვაპირებდი და გაუხარდა. მთავარი ესაა.

რა უცებ გარბიან დასვენების დღეები, მოიხედავ და აღარაა. არადა, შევეჩვიე შინ ყოფნას, გიორგიც შეეჩვია, რომ მასთან ვარ, დაბოდიალებს და სიყვარული როგორ გამოხატოს, არ იცის. ხან რა სიტყვებს იგონებს, ხან – რას. ღმერთო, როგორ ველოდი მისგან სიყვარულის ვერბალურ ფორმულებს!

5 ორშაბათი

ზაზას გიოსთვის თუთიყუშები მოჰყავს, მე „ახალი საუნჯე“ და „არილი“ დავაბარე.

წყვილი თუთიყუშია. გოგო უფრო დიდია, ყვითელი და ღაბუა, ცოტა მოწყენილია, ხშირ-ხშირად სუნთქავს; ბიჭი მწვანეა და მხიარული. გიო ჭკუაზე არაა, თან ეშინია, თან მოსწონს, თან აინტერესებს, ოღონდ ეს ხანდახან, თამაშსა და თამაშს შუა.

სანამ ბაზარში წავალ, ახალ ლიტერატურულ ჟურნალებს ვფურცლავ, ორივე ძალიან მომწონს. „ახალი საუნჯის“ ამ ნომრის ავტორები ვახტანგ ჯავახაძე და გიედრა რადვილავიჩიუტე არიან. პირველი ძალიან მიყვარს, ლექსები და ის საოცარი წიგნი გალაკტიონზე; მეორეს არ ვიცნობ, საინტერესოა, წავიკითხავ. ამ ნომერში ჩემი ლექსების მცირე პუბლიკაციაცაა. ძალიან ცოტას ვწერ, იშვიათად. გიორგიმ, ოჯახმა, ათასი რამის წერამ და კეთებამ პოეზია დააზარალა, თუმცა მგონია, რომ შესვენებებიც ძალიან სასარგებლოა. ვცდილობ, ბევრი ვიკითხო, ალბათ, ახალი სუნთქვაც გაიხსნება, სად წავა...

ესეც „არილი“, ჩემი დიდი ხნის სიყვარული. ყველა ნომერი მაქვს. მახსოვს, როგორ ველოდი გამოსვლიდან გამოსვლამდე, როგორი მნიშვნელოვანი იყო იქ დაბეჭდვა ჩემთვის. ახალ ნომერშიც კარგი მასალები ჩანს: ახალგაზრდა ავტორები, კარგი თარგმანები... ახლა ორივე ამ ჟურნალის ბედი გაურკვეველია, არავინ იცის, 2015-ში გამოვა თუ არა. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ისედაც მცირერიცხოვან ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკას ეს ორი მნიშვნელოვანი ჟურნალი მოაკლდება.

რამდენიმე ლექსს „ლიტერატურულ გაზეთში“ ვგზავნი. ძალიან საინტერესო მასალებს აანონსებს გაზეთის ფეისბუკგვერდი.

თუთიყუშების სახელებზე ვმსჯელობთ. ფეისბუკში კითხვა დავსვი და უამრავი საინტერესო ვერსია მოვისმინე: ვისი და რამინი, ლეილი და მეჯნუნი, რომეო და ჯულიეტა და ვინ არა... ვნახოთ, რას აარჩევს მთავარი სახელების დამრქმევი – გიორგი.

ყვითელი ღაბუა გოგო ძალიან მოწყენილია. მეშინია, რამე არ სჭირდეს.

6 სამშაბათი

ერთ-ერთი მთავარი, რატომაც მიყვარს ახალი წელი და შობა, ისაა, რომ ამ პერიოდში ყველაზე ხშირად გვახსენდება ერთმანეთი. საქველმოქმედო აქციები განსაკუთრებით მახარებს. ახლაც ერთმა კარგმა გოგომ შეაგროვა საჩუქრები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის. ყველაზე გულისამაჩუყებელი კი ის იყო, რომ თვითონ ბენეფიციარებმა გამოუგზავნეს საჩუქრები თავიანთ სანტებს: უსაყვარლესი საჩუქრები, წერილები, ნახატები... შობის მთავარი მის-

ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ დოლიანთან იპოვეს ოსური მილიციის განყოფილებაში ექვსი თვის წინ დაბარებული და მას შემდეგ გაუჩინარებული 19 წლის დავით ბაშარულის გვამი.

მთავრობის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით ბორან „ნორმან ატლანტიკის“ ჩაძირვის შედეგად დაღუპული მღვდლის, ილია კარტოზიას საქართველოში გადმოსვენებისა და დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე ავღანეთში შეხვდა „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის სარდალს, ამერიკელ გენერალ ჯონ კემპბელს.

გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტის სასახლეში გამართულ საახალწლო ზეიმზე უმასპინძლა ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლაში, საერთაშორისო მისიებში მონაწილეობისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული სამხედროების შვილებს.

გუდაურ-კობისა და საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელ ავტომაგისტრალებზე დიდთოვლობისა და ქარბუქის გამო გზაში ჩარჩენილი ავტომობილებიდან მაშველებმა და პოლიციელებმა ორასზე მეტი ადამიანი გამოიყვანეს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მეოთხე მექანიზებული ბრიგადის გაძლიერებული ასეული

ტერია ხომ საჩუქრების მიძღვნა, სიყვარულის ჩუქებაა.

დილიდან დიალექტურ კორპუსში ვიქექები, ვმუშაობ, მაგრამ სხვადასხვა, ერთი შეხედვით რუტინული სამუშაოს შესრულებისას ისეთ ტექსტებს ვაწყდები, გული მიჩერდება.

„აბა რაღა მაჴსონ, შე ჩემ თავმამკვდარო! სიბერემ გადამაჟამყრუა, გონთით გადამაგდო. ჩემ ნაუბარი, შვილო, აღარ-ცრაისად არ არი გამოსადეგი, არც არა ყურდასაგდუა. აბა ი უწინა ამ ფშავის ჴევსა, შვილი, ბევრ ცოდვა-ბრალი ბრუნავდის. ჩვენ საქონისაგან იყვნიან ე მთა-მთისყელნი გადათელილნი, ჩვენის ცრემლით იყვის მორწყული ე ახუნის გორი.“ მთხრობელი ქისტების მიერ მოტაცების ამბავს ჰყვება. თან როგორი თხრობაა! ეს არის რაღაც თავისთავადი, ხელთუქმნელი ლიტერატურა, ლიტერატურის სულ პირველი საფეხური, როცა ზეპირად ამღერებდნენ საგმირო სიმღერებს.

„შინ იდგა სუფრა. იმაზე ცხრილით ეწყო წმინდა ბასილები, სირიკუდები, კოკორი, ვაშლი, გოზინაყები, ჩურჩხელები, კამფეტები, ფთხილი. ვაშლზე დასმული ქონდა ვერცხლი ფულები. ბასილზე დასმული იყო ჯვარი ჩიჩილაკით. ამ ჯვარსა და ჩიჩილაკს ფთხილი ჯოხისგან ვაკეთებდით. ახალწლი დილას ადრე ადგებოდა მაკვრიელი, აიღებდა სუფრიდან ი კოკორს, გავიდოდა გარეთ, მარხილიდან აიღებდა მეკენჩხალს და დედოფლი ხელს და ი კოკორთან ერთად შემოიტანდა სახში და შემოილოცებდა“ – ესეც შობის შეხვედრის გურული წესი.

სასწაული რამაა ეს კორპუსი! ისეთი ამბებია, ისეთი სიუჟეტები, უნდა დაჯდე და ლიტერატურად აქციო, არ დაგელევა.

საღამოს ბაკურიანში მივდივართ ლიკასთან, ზაზას დასთან. ერთად შევხვდებით შობას, თოვლსა და სითეთრეში. ძალიან მიხარია. გიოსაც უხარია. ფაცხაფუცხით ვალაგებთ ჩანთას. რასაკვირველია, ნახევარი ნივთები სახლში მრჩება, მაგრამ ჩემი დევიზია: „მთავარია ლინზების კონტეინერი და სითხე. დანარჩენი მოგვარდება.“

გიო მთელი გზა საშობაო სიმღერებს მღერის, ჩემი მგალობელი ჩიტუნა.

ბაკურიანში თოვლის ნასახიც არაა. ნაქარიშხლარი ტყე, გზაზე გადმოწვენილი ვეება ნაძვები. ცოტა არ იყოს, ნაღვლიანი სანახაობაა. თუმცა ელენიკოს მხიარულება ყველა ნაღველს აქარვებს. ხან მღერის, ხან ცეკვავს, ხან თავის გრძელზე გრძელ თმას აფრიალებს, რომელსაც არავის ავარცხნინებს. მახსენდება, მე როგორი დამჯერი ვიყავი და როგორ ჩუმად ვიტანდი, როდესაც დედა ჩემს სქელ და ხვეულ თმას ათასგვარ ნაწნავ-ვარცხნილობად აქცევდა. პირველი კლასის ფოტოებზე ჩემზე დიდი ბაფთა არავის უკეთია.

ბავშვები იძინებენ. თოვა დაიწყო, თანდათან უმატებს, მშვიდი, თოვლიანი შობა გვაქვს, ერთი ჭიქა კონიაკი და მხიარული საუბრები.

ავღანეთში ოფიციალურად ჩაერთო „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში, ჩაიბარა რა უფლებამოსილება გერმანიის სწრაფი რეაგირების დანაყოფისგან.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ხუთი წლით გაუგრძელა ლიცენზიის ვადა კომპანია RMG Gold-ს, რომელიც საყდრისში ოქროს მოიპოვებს.

7 ოთხშაბათი

გიორგი მარგველაშვილმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და პოლიტიკურმა პარტიებმა დაგმეს პარიზში ჟურნალ „შარლი ებდოს“ რედაქციაზე განხორციელებული თავდასხმა, რომელსაც 12 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, და სამძიმარი გამოუცხადეს ფრანგ ხალხს.

თბილისში, საფრანგეთის საელჩოსთან, ჟურნალისტებმა გამართეს სოლიდარობის აქცია – „მე ვარ შარლი“.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ალილოს მსვლელობებით აღინიშნა შობის დღესასწაული.

დიდთოვლობით გამოწვეული პრობლემების გამო მთავრობის მიერ შექმნილმა საკოორდინაციო შტაბმა გუდაურში საგანგებო სხდომა გამართა.

დილით ყველაფერი გადათეთრებული დაგვხვდა. ფუმფულაზე ფუმფულა თოვლი, მშვიდზე მშვიდი ამინდი.

სასწრაფოდ ვსაუზმობთ, ბავშვებს ვაცმევთ და სასეირნოდ გავდივართ.

მცივა, მაინცდამაინც არ ვარ ზამთრის ადამიანი, არც ზამთრის სპორტი მიყვარს. ჩემი ერთადერთი დადგომა თხილამურებზე, საბედნიეროდ, მშვიდობით დასრულდა – როგორც ჩემთვის, ისე მწვრთნელისთვის, რომელსაც ნახევარი საათი, პირდაპირი მნიშვნელობით, კისერზე ვეკიდე. ეს იყო და ეს. ზაზა ძალიან კარგად სრიალებს.

მაგრამ თოვლი სასწაულია, ისეთი დიდი, თეთრი ფიფქებით თოვს... მოვდივართ და ვმღერით: „თეთრი ციდან ფიფქი ცვივა გვირილების ხელაო“.

გიორგის სასწაული, გულწრფელი, სიხარულით აღსავსე ემოციები ფრთებს მასხამს. ციგითაც ვსრიალებთ და თოვლზე ანგელოზებსაც ვხატავთ.

შობა ასეთი უნდა იყოს! თუნდაც საშობაო ღვეზელების გარეშე. ერთი ესაა, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად გურული ალილოს სიმღერა მომენატრა.

დედა მირეკავს, ჩვენი ყვითელი გოგო თუთიყუში მოკვდა და დავმარხეო. მოვიწყინე.

შინ ვბრუნდებით. აქ ცუდი ინტერნეტია, რამდენიმე წუთით შევდივარ და გული მისკდება. საშინელი ამბებია საფრანგეთში, ვერ წარმომიდგენია, რა იდეოლოგია შეიძლება გააჩაღო მკვლელობაზე. რა რელიგიაზე, რა რწმენაზეა ლაპარაკი, როცა ასე იოლად ხოცავ ადამიანებს?! თან რისთვის – საკუთარი აზრის გამოთქმისთვის! ღმერთი ხომ სიყვარულისთვის იშვა. საშინლად ვმძიმდები. ყოველდღიურ ომში ვცხოვრობთ, ყოველდღიურ სიკვდილის შიშში.

8 ხუთშაბათი

თბილისში, ფრანგულ ინსტიტუტთან, მოეწყო აქცია სოლიდარობის გლობალური კამპანიის – „მე ვარ შარლის“ ფარგლებში.

ქარიშხალმა და დიდთოვლობამ პრობლემები შექმნა თბილისსა და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

დილით ისეთი თოვლი გვხვდება, მანქანას ვერ ვძრავთ და ბაკურიანში ვტოვებთ. თბილისში დათოს მოვყავართ. გზად ისეთი ლამაზია ბაკურიანი, მერე ცემი, სადგერი (ნიკო სამადაშვილის სოფელი), ტიმოთესუბანი, ბორჯომი... ალბათ, ერთ მშვენიერ დღეს ბორჯომში გადავსახლდები, გავხსნი წიგნების მაღაზიას და ბედნიერად ვიცხოვრებ ჩემს ბიჭებთან ერთად. იქნებ ველოსიპედის ტარებაც ვისწავლო.

სახლში მოვედი. დიდ დიღომში საშინელი ქარია და ჩემს ეზოში, რა თქმა უნდა, პოლიეთილენის უამრავი პარკი დაფრინავს. საითაც გაიხედავ, ნაგვის პარკებია. როდის უნდა მოშორდეს ეს საშინელება ქალაქს, როდის უნდა ვისწავლოთ საკუთარი ეზოების, ქალაქის დასუფთავება და ნაგვის ურნებამდე მიტანა? უკვე მერამდენედ გამიფუჭა ეზოს ყვავილები საიდანღაც მოფრენილმა ნაგვის პარკებმა!

გიორგის ვაძინებ და ცალად დარჩენილ, მოწყენილ თუ-

თიყუშს ველაპარაკები. გალია გამოვუსუფთავე და დეზინ-ფექცია გავუკეთე, იქნებ ეს მაინც გადარჩეს. მოწყენილია და უგერგილოდ იკენკება.

დედა სკაიპით ელაპარაკება თავის შვილებსა და შვილიშვი-ლებს. სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეული შვილების სანახავად ეს ერთი საშუალება დარჩა. ტექნოლოგიები რომ არ არსებობ-დეს, ალბათ, მონატრება მოკლავდა ჩემს დედიკოს. ძალიან რთულია მისთვის მოგზაურობა. ახლა საბერძნეთში წასასვ-ლელად ემზადება და ერთი სული აქვს. თან ეს ნერვიულობა გამგზავრების წინ...

სამუშაოდ ვჯდები, რამდენიმე წიგნის იდეა მაქვს: ერთი საბავშვოსი, ერთიც – კულინარიულის. ვცდილობ, დისერტა-ციაც წინ წავწიო. იქით კორპუსის მასალა, აქეთ – ელექტრო-ნული წიგნების რედაქტირება, თან რაღაც ლექსის იდეაც მაწ-ვალებს. მაგრამ გულს ვერაფერს ვუდებ, ისეთი ამბებია.

როდემდე შეიძლება, ხალხი ერთმანეთს ხოცავდეს აზრის გამოთქმისთვის, როდემდე?!

გიოს საძინებელში ვიპარები, ვეხუტები და ვცდილობ, თა-ვი დავიმშვიდო, რომ ჩემს შვილს ასეთი რამ არ დაემართება, მაგრამ ისიც ზუსტად ვიცი, რომ სისულელეა ეს დამშვიდება. თუ არაფერი შეიცვალა, თუ ისევ ასე დავგმეთ განსხვავებუ-ლი აზრი, თუ „სხვანაირ ბავშვებს“ კარი დავუდუღეთ, სხვა აღმსარებლობის ხალხი ვლანძღეთ... სანამ, სანამ და ათასი სანამ...

ძალიან მინდა, რომ ამ წელს ნაკლები ადამიანი, განსაკუთ-რებით, ნაკლები ბავშვი ემსხვერპლოს ტერორიზმს თუ პოლი-ტიკას, უფრო მეტი სიყვარული მოვახერხოთ საკუთარი ქვეყ-ნის, მისი ისტორია ფულზე არ გავცვალოთ, მოკლედ, ადამი-ანებიც და ქვეყანაც შევიყვაროთ. მძიმედ დაიწყო ეს წელიც, ძალიან მძიმედ.

თუმცა გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ მაინც.

ჰო, ერთი რამეც უნდა ვაღიარო: თოვლის ბაბუის მჯერა, ყოველგვარი გადატანითი მნიშვნელობების გარეშე, მართლა მჯერა თოვლის ბაბუის.

პარასკევი

მორჩა არდადეგები და სამუშაო კვირაც დაიწყო.

ჩვეული ფაცხაფუცხით ვემზადები და ელექტრონული წიგ-ნების სახლში, „საბაში“ მივდივარ. რამდენიმე წიგნი მაქვს გასარედაქტირებელი, ახალი რაღაცებია მოსაფიქრებელი. მკითხველი თანდათან შეეჩვია ელექტრონულად კითხვას. შე-საბამისად, უკეთეს წიგნებს ითხოვს, უფრო პრეტენზიული გახდა.

შუა მუშაობაში ზაზას სამსახურიდან დამირეკეს, მუცელი ასტკივდა და სასწრაფო გამოვიძახეთო. როგორ აღმოვჩნდი რესპუბლიკურთან, არ მახსოვს. შეშინებული ვარ.

ყველაფერი კარგად დასრულდა. მცირე გამოკვლევები და

ირაკლი ღარიბაშვილი რიგაში შეხვდა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კო-ორდინატორს, ფედერიკა მოგერი-ნისა და ლატვიის ხელისუფლების წარმომადგენლებს.

თბილისის საქალაქო სასამარ-თლოში ზურაბ ჟვანიას გარდაც-ვალების საქმეზე სამსახურებრივ გულგრილობაში ბრალდებული ექსპერტის, ლევან ჩაჩუას პრო-ცესის დახურულ სხდომაზე აჩვე-ნეს ჟვანიასა და რაულ უსუფოვის გვამების ექსპერტიზის ამსახველი ვიდეომასალა.

ანალიზები, განსაკუთრებული არაფერი. მაგრამ ეს გამოკვლევები ძალიან გაინელა, გვიანობამდე იქ ვიყავით. შიგნით არ მიშვებდნენ, ფოიეში ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ მოჰყავდათ ხალხი, ზოგი წნევის გამო, ზოგი თავგატეხილი, ზოგიც – ბრმა ნაწლავის ტკივილით.

ერთი ბებო მოიყვანეს, თეთრთმიანი, ქუნქულა, ულამაზესი. ხელები მშვიდად ჰქონდა დაწყობილი მუხლებზე, მეორე ბებოც მოჰყვა, ისიც ისეთივე ლამაზი, პარკში ჩაწყობილი თეთრეულით, პირსახოცით, პერანგებით: დაუთოებული, გაწიკწიკებული, ალბათ, წინასწარ გამზადებული. გული მომეწურა.

ახლა შინ ვართ, ორივე ბიჭი დავაძინე და მეც დაღლილი ვარ, არაფრის წერის თავი არ მაქვს. ჩაის დავლევ და დავიძინებ, ძილის წინ ჩემს დედიკოს ჩავეხუტები.

10 შაბათი

რადიო თავისუფლებაში მივდივარ დღიურების წასაკითხად. რთული ყოფილა დღიურის წერა, განსაკუთრებით დიდი ადამიანისთვის, თანაც – გულწრფელად. ბავშვები უკეთ ახერხებდნენ, დავალებად დღიურის დაწერას როცა ვაძლევდი ხოლმე.

ან ვინ უნდა დააინტერესოს ჩემმა ამბებმა?!

მოკლედ, გადაკითხვას ვერ ვასწრებ. იმედია, იმაზე მეტი შეცდომა არ მაქვს, ვიდრე ერთ ფილოლოგს ეპატიება.

ეროვნული ვალუტის კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 1,9 ლარს გადააჭარბა.

მოძრაობა „თავისუფალმა თაობამ“ განაცხადა, რომ საპატრიარქოს მოწოდების შედეგად გააუქმა 10 ინვრისთვის ორგანიზაცია „იდენტობის“ ოფისთან დანიშნული აქცია, რომელზედაც გეგმავდა მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ამ ორგანიზაციის აგრესიული დამოკიდებულების გაპროტესტებას.

სამოქალაქო პლატფორმის – „არა ფობიას!“ – წევრმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა პრემიერ-მინისტრს მოუნოდეს ადეკვატური რეაგირებისკენ რადიკალურად განწყობილი ჯგუფებისა და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომელთა მუქარაზე, რომელიც მოჰყვა ორგანიზაცია „იდენტობის“ ყოფილი ხელმძღვანელის, ირაკლი ვაჭარაძის მიერ პატრიარქის საშობაო ეპისტოლეს გაკრიტიკებას.

სრულიად საქართველოს მუფთიმ ბეგლარ ქამაშიძემ დაგმო საფრანგეთში მომხდარი ტერაქტები და ისლამის სახელით ჩადენილი სისასტიკე.

პარიზში მომხდარი ტერაქტების გამო საფრანგეთის პრეზიდენტს ფრანსუა ოლანდს სამძიმრის წერილი გაუგზავნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

დინა ოგანოვა

ფოტოდოკუმენტალისტი. დაიბადა 1987 წლის 26 დეკემბერს თბილისში. დაამთავრა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. არაერთი საერთაშორისო ფოტოკონკურსის ლაურეატი. მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო საქართველოსა და უცხოეთში: საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, აშშ-ში, თურქეთში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. რამდენიმე საერთაშორისო გრანტის მფლობელი და რამდენიმე გამოფენის კურატორი. მუშაობდა მხატვრულსა და დოკუმენტურ ფილმებზე: „გრძელი ნათელი დღეები“, „დინოზავრი“, „ანა“, „ანას ცხოვრება“, „მძევლები“, „ჩემი სივრცე“. პირველი ქართული ხელნაკეთი ფოტოწიგნის ავტორი. ამჟამად მიწვეულ ლექტორად მუშაობს GIPA-სა და ილიას უნივერსიტეტში.

10

პარიზში მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნის ლიდერებთან ერთად ირაკლი ღარიბაშვილმა მონაწილეობა მიიღო ტერაქტების შედეგად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ „ერთიანობის მარშში“.

თბილისის ზღვაზე მშენებარე „ოლიმპიური სოფლის“ ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძრის შედეგად დაშავდა ერთი ადამიანი.

კვირა

გუშინ კუდელკას დაბადების დღე იყო. ჩემი საყვარელი ფოტოგრაფი 77 წლის გახდა. არასდროს მინახავს მასზე მეტად ადამიანზე შეყვარებული ფოტოგრაფი. თავის სულს დებს თითოეულ კადრში და ეს იგრძნობა.

ყოველთვის თავს ვიკავებ იმ ფოტოგრაფების პირადად გაცნობისგან, რომელთა ფოტოგრაფიაც ძალიან მიყვარს, რადგან ერთხელ უკვე მოხდა გულდასაწყვეტი შემთხვევა: ფოტოგრაფი, ვისი ნამუშევრებიც ძალიან მომწონდა, სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა, როგორც პიროვნება. ამიტომ მისი ფოტოგრაფია ისევე გაქრა ჩემი ინტერესების სფეროდან, როგორც თვითონ ის ადამიანი.

მახსოვს, შარშან ზაფხულში, ნიუ-იორკში, სააგენტო „მაგნუმის“ „ივენტზე“, თომასმა მითხრა, წამოდი, იოზეფს გაგაცნობო. ძალიან ავღელდი და ვუთხარი: არა, არ მინდა-მეთქი. მერე მივხვდი, რომ მეორე შანსი ცხოვრებაში შეიძლება საერთოდ არ მომცემოდა და ჩემით მივედი – გამოველაპარაკე. რომ გაიგო, საქართველოდან ვიყავი, ეგრევე რუსულად მითხრა: „Грузия прекрасная страна!“ და თავისი ღვინით სავსე ჭიქა გამომიწოდა: „დალევ?“ მაშინ წამლებს ვსვამდი და ჩემთვის აკრძალული იყო ყოველგვარი ალკოჰოლი, მაგრამ კუდელკას გამოწვდილი ჭიქიდან როგორ არ დავლევდი?!

მერე კიდევ სადღაც შევხვდით, მერე კიდევ... და ახლა, უბრალოდ, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ იოზეფ კუდელკა თავი-

დან ბოლომდე თავისი ფოტოგრაფია აღმოჩნდა: გულწრფელი, ემოციური და სიყვარულით აღსავსე. და მე მქონდა შესაძლებლობა მასთან ურთიერთობის! ვიცოდი, ვეღარ ვნახავდი და ამიტომ, როცა მოვდიოდი, მივედი და ძალიან მაგრად ჩავეხუტე. გაეცინა: „ჩვენ აუცილებლად შევხვდებით კიდევ, მე არ ვაპირებ ჯერ არსად წასვლას...“ დარწმუნებული ვარ, ჩემნაირს დღეში მილიონს ხვდება და ეს დღეები მისთვის არაფრით იყო გამორჩეული, მაგრამ ჩემთვის... კუდელკა ჩემთვის იმ ფოტოგრაფიის ღმერთია, რომელიც მე ყველაზე მეტად მიყვარს.

ისევ სტამბოლში ვართ. მე შეხვედრები და გადაღებები მაქვს, დედა ქალაქს ათვალიერებს. ლიზა 26 წელია, არსად ყოფილა და ძალიან მინდოდა საახალწლო საჩუქრით გამეხარებინა...

ლამაზი ქალაქია სტამბოლი, თავისი კონტრასტებით, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობა ევროპისა და აზიის შერწყმა, ლამაზი ფერები, განათება... თუ ქალაქის სულს გრძნობ, ყველაფერი ძალიან ფოტოგენურია, ფერში გინდა დაინახო ყველაფერი, მაგრამ ჩემს კამერაში ისევ შავ-თეთრი ფირი დევს...

ორი წლის წინ მოვხვდი აქ, როდესაც პირველი გრანტი მოვიგე თემაზე „ბოშები საქართველოში“. ძალიან ვნერვიულობდი, რადგან კუდელკას ბოშების მერე არ ვიცოდი, როგორ შევხებოდი ამ თემას.

ათი დოკუმენტალისტი ფოტოგრაფი შეგვარჩიეს ცენტრალური აზიიდან, სამხრეთ კავკასიიდან, ავღანეთიდან, პაკისტანიდან და მონღოლეთიდან. გააკეთეს ვორკშოპი თომას დვორჟაკთან („მაგნუმის“ სააგენტოს ფოტოგრაფი), იური კოზირევთან („ნურის“ სააგენტოს ფოტოგრაფი) და ანდრეი პოლიკანოვთან (ჟურნალ Русский репортер-ის მთავარი რედაქტორი). ამის მერე ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა და უზომოდ მადლიერი ვარ იმ ადამიანების, რომლებმაც დამინახეს და დაინახეს ჩემი ფოტოგრაფია.

თომასი ჩემს მენტორად დანიშნეს. ძალიან არ უნდოდა, ბოშები გადამეღო, ამიტომ პორტფოლიოს დათვალიერების მერე ერთობლივი გადაწყვეტილება მივიღეთ და თემა შევცვალეთ. გადავწყვიტეთ, ისევ გამეგრძელებინა პროექტი „ჩემი სივრცე“, რომელსაც საქართველოს ახალ თაობაზე ვიღებდი საკუთარ ოთახებში. ასეთი რამ იქ პირველად მოხდა. ვშიშობდი, ორგანიზატორებს უცებ უარი არ ეთქვათ, მაგრამ არ უთქვამთ. მთელი ექვსი თვის განმავლობაში, რაც გრანტის პროგრამა გრძელდებოდა, თომასი ძალიან მეხმარებოდა. ალბათ, ვერასდროს შევძლებ ამის სიტყვებით ახსნას, სულ გვერდში მედგა და სჯეროდა ჩემი, რომ რაღაც ახალს ვიტყოდი და აი, ახლა, იმავე პროექტის ხელნაკეთ წიგნზე ვმუშაობ...

სტამბოლის ერთ-ერთ ყველაზე ტურისტულ ქუჩაზე, ისტიკლალზე, მდუმარე აქცია გაიმართა პარიზში „შარლი ებდოს“ რედაქციაზე მომხდარი თავდასხმის გამო, რომელსაც

12 ჟურნალისტი ემსხვერპლა. ძალიან ემოციური იყო: უამრავი ადამიანი, ზოგი ფანქრით, ზოგი კალმით ხელში იდგა პლაკატთან წარწერით – „მე ვარ შარლი“.

ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ „ოქროს გლობუსზეა“ წარდგენილი! ნეტა რას ვიზამთ?! არაფერს არ ველოდები... ეს ისედაც ძალიან დიდი წარმატებაა. მჯერა, რომ ეს ქართული კინოს ახალი სტარტია, ახალი ცხოვრებაა. მერე კიდევ „ოსკარი“... გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“ და ისევ ზაზას „მანდარინები“... წარმომიდგენია, გადამღები ჯგუფი რა დღეშია, როგორ ელოდებიან, ნეტავ გავიდეთ ხუთეულშიო... სრულიად საქართველო უნდა ამაყობდეს ამით.

11 იანვარია უკვე! ზუსტად ორი წელი გავიდა, რაც ბესო აღარ არის, მაგრამ წარსულში მაინც მიჭირს მასზე ლაპარაკი. ბესო დარჩია ჩემი მეგობარი და ჩემი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ქართველი ფოტოგრაფი იყო, რომელმაც თავი მოიკლა, მანამდე კი თავისი არქივი გაანადგურა.

ბესოს დამ, დიანამ, მომწერა, თბილისში თუ ხარ, მოდიო, მაგრამ არ ვარ, ბიჭები წავლენ, ალბათ. ჩვენ სულ გვახსოვხარ...

ორშაბათი

12

დღეს თბილისში მივფრინავთ. უამინდობის გამო რეისი უკვე ორჯერ გადაიდო. ნორმალურ პასუხს არავინ მაძლევს და ახლა ვსხედვართ და ველოდებით, როდის დანიშნავენ ახალ რეისს. აეროპორტებს ვერ ვიტან. ძალიან მინდა სახლში!

როგორც იქნა, ჩამოვფრინდით. ტაქსისტმა ისევ არ იცის გზა, თუმცა ერთობლივი „ძალებით“ მოვაღწიეთ... მეზობლები გამოდიან და მაძლევენ ამანათს, რომელიც ფოსტალიონმა დატოვა. ინტერესით უყურებენ, აინტერესებთ, შიგ რა დევს, კონვერტზე მხოლოდ წარწერაა მისამართით და უკანა მისამართით: ამსტერდამი. World Press Photo. რა მაგარია, რომ არასდროს ვავიწყდებით, იმის მერე, რაც მათთან მოვხვდი, ყოველთვის მიგზავნიან წიგნებს. NEXT-ის მე-4 გამოშვებაა. იოოპ სვარტის წლევანდელ მასტერკლასზე მსოფლიოს 12 ახალგაზრდა ფოტოგრაფის პროექტებით.

ყველა სახლს აქვს თავისი სუნი და აი, ზუსტად ეს სუნი მენატრება ყოველთვის, სადაც უნდა ვიყო. რა კარგია სახლი! ზუსტად ათ წუთში ქრება შუქი... მეცინება, Welcome to Georgia!

საერთოდ, ბოლო დროს ხშირად ქრება შუქი, ხან ათი წუთით, ხან – ოცით, ხან ერთი საათით, ან ცოტა მეტით... ძველ დროს გვახსენებენ? არ მინდა იქ დაბრუნება! იმის მიუხედავად, რომ პატარა ვიყავი, ძალიან კარგად მახსოვს პურის რიგებიც, უშუქობაც... წყალიც კი გრაფიკით გვქონდა.

მაშინ ვერაზე ვცხოვრობდით ყველანი ერთად. მახსოვს, როგორ მიშვებდნენ გარეთ, რადგან ქუჩაში ბევრად უფრო თბილოდა, ვიდრე სახლში. მე, სოფო და თამთა ბოთლებს ვა-

ირაკლი ღარიბაშვილი, დავით უსუფაშვილი და საქართველოს მთავრობის წევრები თბილისში შეხვდნენ ესტონეთის სამთავრობო დელეგაციას პრემიერ-მინისტრ ტაავი რიივასის ხელმძღვანელობით.

„კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის შერჩევის, წარდგენისა და დამტკიცების პროცესის გამჭვირვალობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის სრული დაცვით წარმართვისკენ მოუწოდა.

ექსპრეზიდენტმა მიხეილ საკაშვილმა „რუსთავი 2“-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოდან სირიაში საბრძოლველად მიდის ასობით ადამიანი, რაზედაც ხელისუფლება არ რეაგირებს.

თბილისში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩაზე (ყოფილ ელბაქიძის დაღმართზე), ჩაინგრა საავტომობილო გზის მარჯვენა მხარე, რასაც მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ბარებდით, რომ საღეჭი რეზინი გვეყიდა, ვაშენებდით შტაბს და საღამოს, როდესაც შუქი მოდიოდა, ერთად და ბედნიერად ვყვიროდით: „შუქი მოვიდააა!“ მაგრამ ეს იყო მაშინ, და ეს იყო ნორმალური იმ დროისთვის, რადგან ქვეყანაში ძალიან რთული მდგომარეობა იყო და ყველა ასე ცხოვრობდა. მაგრამ დღეს? არ მინდა დღესაც ასე იყოს...

13 სამშაბათი

თბილისში გაიმართა გიორგი მარგველაშვილის შეხვედრა ესტონეთის პრემიერ-მინისტრ ტაავი რიივასთან და საქართველო-ესტონეთის ბიზნესფორუმი.

თბილისის პოლიციამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ ოფისთან დააკავა მოძრაობა „თავისუფალი თაობის“ მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციის ოთხი მონაწილე

გიორგი მარგველაშვილმა ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების საკითხებში თავის მრჩევლად დანიშნა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილედ კი – გიორგი აბაშიშვილი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ გაავრცელა სპეციალური მიმართვა, რომლის თანახმად 2015-2016 წლების მთავარ პრიორიტეტად დარჩება ოჯახში ძალადობის პრობლემის მოგვარება.

თბილისში, რიყის პარკში, აღნიშნეს „ლიტვის თავისუფლების დამცველთა“ დღე.

დილა ნიუსებით იწყება: 1) ელბაქიძე ჩამოინგრა... ნეტა მსხვერპლი ხომ არ არის? 2) აზარიანცის სახლი დაიწვა... ცოტა უცნაურია... 3) პანორამა თბილისის პროექტი ვნახე „ლიბერალში“... ეს რა არის?! ნორმალურები არიან? როგორ შეიძლება ამის გაკეთება?! ქალაქის განადგურებაა. არა, ეს არ უნდა დავუშვათ! რა სისულელეა, უბრალოდ, თავში როგორ მოუვიდათ?!

არასდროს ვყოფილვარ რომელიმე აქციაზე, როგორც მონაწილე, სულ ვიღებდი. მაგრამ აქ... ხალხი უნდა გამოვიდეს, აუცილებლად, დაუშვებელია ამის გაკეთება. არ მესმის, რატომ ანადგურებენ თბილისს ამ საშინელი ახალი მშენებლობებით, მთავარი არქიტექტორი გვყავს კი საერთოდ? რატომ უნდა დაამტკიცო ეს პროექტები? ჰო, რა თქმა უნდა, ფული დიდ როლს თამაშობს ამ ყველაფერში, მაგრამ რატომ არ შეიძლება, ეს ფული სხვა ქალაქებსაც მოხმარდეს? ნუთუ საქართველო მხოლოდ თბილისია? სუნთქვის საშუალებას რატომ არ გვაძლევენ?

როგორ დავიჯერო, რომ ამ უგემოვნო პროექტის განხორციელებაზე ბევრად მნიშვნელოვანი არ არის ეტლით მოსიარულეებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა? თბილისი მარტო ჭავჭავაძე და რუსთაველი ხომ არ არის? რატომ არ არის პანდუსები ყველგან? რატომ არ არსებობს ტრანსპორტი? რატომ... ძალიან ბევრი კითხვის დასმა შემიძლია, მაგრამ პასუხებიც მჭირდება.

გოგუა მირეკავს. რადიო თავისუფლებაში უნდა მივიდე, მარინა ვაშაყმაძეს შევხვდე. სულ მაინტერესებდა ეს ქალი, ძალიან ძლიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს...

ელბაქიძეზე ჩავედი. გადავიღე... გადაკეტილია, ნეტა როდის გახსნიან? „სმარტამდე“ ძლივს მივაღწიე. ზოგადად, საქართველოში, „ზებრის“ დანიშნულება არ იციან. ამიტომ ვდგავარ და ველოდები, როდის გამოჩნდება „გმირი“, რომელიც გზას დამითმობს. ტროტუარზეც ელემენტარულად ადგილი არ არის, ყველგან მანქანებია, მათ შორის პანდუსებზეც. მე მგონი, ძალიან კარგი იქნება, პროპაგანდის სახით, რეკლამები გადაიღოს სახელმწიფომ და გააგებინოს საზოგადოებას, რა და რისთვის გამოიყენება. მაგალითად, ვინ სარგებლობს ტროტუარზე უპირატესობით, რა არის „ზებრა“, რისთვის იყენებენ, რა არის პანდუსი და რატომ არ შეიძლება იქ მანქანის დაყენება...

სახელოსნოში ამოვედი და მეილს ვამოწმებ. ფლორიენისა და ანას წერილები მხვდება. მათ სულ ვახსოვარ, სადაც და როგორც უნდა ვიყო და... ეს ის არის, რაც მე მგონია?!.. აუ რა კარგი ამბავია! არა, კარგი კი არა, ძალიან მაგარია, მაგრამ ჯერ არ მაქვს თქმის უფლება, თორემ დისკვალიფიკაციას მომცემენ. ძალიან ბედნიერი ვარ!

ღამე... ძველით ახალი წელია და ახალი საბაბიც, რომ ეს აღვნიშნოთ. 2015 წელი მოულოდნელობებით აღსავსე იქნება, ვგონებ.

ოთხშაბათი

საღამოს დიდი სტუმრიანობა მაქვს სახელოსნოში. მეგიც ჩამოვიდა გერმანიიდან, ორი წელია, არ მინახავს ფისო, ეგრეევე ბათუმში წავიდა თავისიანებთან. ვერ მოვახერხე „სიყვარულის ქალაქში“ ჩასვლა, მაგრამ ხვალ თბილისიდან მიფრინავს უკან, ჩემთან დარჩება. ასე რომ, მაინც ჩავეხუტები.

ძველით ახალი წელია. საერთოდ, მთელი იანვარი ახალი წელი როგორ გვაქვს და რით აღარ მთავრდება?!

ფოტოგრაფების „ივენტი“ მაქვს, ფაქტობრივად. სულ ვამბობ, რომ ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან გარშემო არაჩვეულებრივი ადამიანები მყავს და დღევანდელი დღე ამის დასტურია.

ლელი მირეკავს, ბლაგონრავოვა, მეკითხება, მარტში ჯიპაში ლექციას თუ ჩაატარებო. „შენ, ნათელა და მარიამი მჭირდებით...“ მარიამ ამურველაშვილს ძალიან კარგი პროექტი აქვს, ნიგერიელ სტუდენტებზე და მათს ყოველდღიურობაზე საქართველოში.

მეგობარი მყავს ერთი, ნიგერიელი გოგოა – დეოლა. მარიამსაც ჰყავს გადაღებული და ხანდახან ისეთ ამბებს მიყვება, ძალიან მრცხვენია. მაგალითად, ბოლო შემთხვევა, ერთად რომ გადაგვხდა: ავტობუსში ვართ, გადაჭედილია და ფეხზე ვდგავართ. ამოდის 40-45 წლის მამაკაცი, ჩვენ რაღაცაზე ვიცინით. გვათვალიერებს და მერე იწყებს ხმამაღლა აღშფოთებულ ლაპარაკს, რომ არ მოჰკიდებს ხელს არაფერს, რასაც დეოლამ მოჰკიდა, რომ „მათი“ ადგილი აქ არ არის და დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში. მთელი ავტობუსი ჩუმად არის, არავინ არაფერს ამბობს... ნერვები მეშლება ასეთ რაღაცებზე. კიდევ კარგი, შემდეგი ჩვენი გაჩერება იყო, თორემ არ ვიცი, რა მოხდებოდა... და ასეთი უამრავი შემთხვევაა, უბრალოდ, სირცხვილია. მერე იტყვიან, ქსენოფობები არ არიან საქართველოშიო, ან ჰომოფობები... ეს ორი ერთად მახსენდება სულ და ძალიან ვბრაზდები, როდესაც 2013 წლის 17 მაისზე ვფიქრობ. ეს ისეთი სირცხვილი იყო, რომ არც კი ვიცი, სიტყვებით როგორ გამოვხატო. თბილისში უამრავი აქცია მაქვს გადაღებული, მაგრამ მსგავსი რაოდენობა „შავად შემოსილებისა“ არსად მინახავს. და ეს არანორმალური ჟინი, რომ მოეკლათ! სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, „ტაბურეტკიან მამაოს“

14

საგარეო საქმეთა სამინისტრომ მწუხარება გამოთქვა უკრაინის ქალაქ ვოლნოვახში სამგზავრო ავტობუსისთვის ჭურვის სროლის შედეგად ათზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვის გამო და სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულთა ოჯახებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა ინფორმაცია უკრაინის დონბასის მხარეში ქართველი მებრძოლის, შალვა ბუხაიძის დაღუპვის შესახებ.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ განაცხადა, რომ ბენინის ქალაქ კოტონოუს ნავსადგურში გაჩერებულ რამდენიმე გემზე მფლობელი ბერძნული კომპანიის ფინანსური პრობლემების გამო მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა ამ გემებზე დასაქმებული 23 ქართველი მეზღვაური, რომელთა მდგომარეობის შესახებ ინფორმირებულია ყველა შესაბამისი უწყება.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მთავრობა ვალდებული არ არის, დაესწროს პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას.

თავი რომ დავანებოთ... და მერე ეს ადამიანები სიყვარულზე გველაპარაკებიან! სასაცილო არ არის?! ზოგადად, არც ის მომწონს, რომ ეკლესია ასეთ დიდ როლს თამაშობს სახელმწიფოს პოლიტიკაში. მე მგონი, აჯობებს, ყველამ საკუთარი საქმე აკეთოს, პოლიტიკოსებმა კანონები შეიმუშაონ და პარლამენტში ამტკიცონ, მღვდლებმა ადამიანობაზე იქადაგონ, იქნებ რამე შეიცვალოს ქვეყანაში...

ასე საჯაროდ შეიძლება ნეტა ამაზე ლაპარაკი? ალბათ, ჩამქოლავენ ან იტყვიან: „ეს ვინ არის, როგორ ბედავს ასე ლაპარაკს?“ ბევრ რამეს ვბედავ, საერთოდ.

თემას უნდა დავუბრუნდე. მოკლედ, მარიამს აქვს ეს არაჩვეულებრივი პროექტი, მაგრამ მე მაინც მისი შვილების სერია მიყვარს ყველაზე მეტად, იმხელა სიყვარულით უღებს, რომ ეს ყველა ფოტოდან გადმოდის. და ეს ყველაზე მაგარი რამ არის ფოტოგრაფიის ენაში. ძალიან მინდა, წიგნი გააკეთოს, სიამოვნებით ვიყიდდი. საქართველოში ფოტოგრაფიის წიგნების დეფიციტია. ძალიან ბევრი რამის დეფიციტია, მაგრამ მე ამ სფეროში ვარ და, შესაბამისად, ყველაზე მეტად ეს მაწუხებს.

ძალიან კარგი იქნებოდა, კულტურის სამინისტროს, მუსიკის გარდა, სხვა სფეროებისთვისაც მიეხედა. ჯაზის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მომწონს და ვუსმენ კიდეც, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც სხვა მუსიკაც უყვართ და მათ რა ქნან? კულტურის სამინისტროს საიტზე რომ შევდივარ, ფოტოგრაფიაზე ვერაფერს ვხედავ, გრაფა „კულტურაში“ ასეთი ჩამონათვალია: მხატვრობა, თეატრი, კინო, მუსიკა, ლიტერატურა, ფოლკლორი... გული მწყდება. იმის თქმა გინდათ, რომ ფოტოგრაფია არ არის ხელოვნება? ძალიან ცდებით. საქართველოში ძალიან ძლიერი დოკუმენტალისტი ფოტოგრაფები არიან და ვამაყობ, რომ მეც მათი პატარა ნაწილი ვარ.

კიდევ კარგი, გიგის ლაბორატორია არსებობს, თორემ რა უნდა მექნა? ფირები მაქვს მისატანი, მაგრამ დღეს ვერ მოვხვდები ვაკეში.

მე და ნათელა უნდა მივიდეთ მირიანთან ამ დღეებში. სახელოსნოში მინდა ხელით ბეჭდვა დავიწყო. მირიან კილაძე „ძველი გვარდიის“ ფოტოგრაფია. ძალიან საყვარელია, ხშირად ბრაზიანი, მაგრამ ზუსტად ამაშია მისი ხიბლი: კეთილი ბრაზიანია. აი, დალაგდება ნათელა თავის ახალ სახლში, და მერე მივალთ.

მირიანი ბოლოს „გორელოვკის“ გამოფენაზე ვნახე და მაშინ მითხრა, დაგეხმარებიო.

ფოტოკლუბი „გორელოვკა“ ნათელა გრიგალაშვილის მეორე შვილია. პირველი მარიამი ჰყავს. ეს არის მისი გენიალური იდეა, ხმამაღლა შემიძლია ვთქვა. ასეთი რაღაც მოიფიქრა: ჯავახეთში ჩამოაყალიბა ფოტომოყვარულთა კლუბი, რომელშიც 12 ადამიანი გააერთიანა. ყველაზე უფროსი 62 წლის

მაშაა. დაურიგა ფოტოკამერები, აუხსნა ტექნიკური საკითხები და მისცა სრული თავისუფლება, რომ გადაეღოთ ის, რაც უნდოდათ. ყოველთვის საინტერესოა იმ ადამიანების ხედვა, რომლებსაც არასდროს ჰქონიათ შეხება ფოტოგრაფიასთან. ხშირად ისე გამოდის, რომ ბევრად მნიშვნელოვან რაღაცებს ამჩნევენ და აკვირდებიან, ვიდრე გამოცდილი ფოტოგრაფები. „გორელოვკის“ წევრები ერთმანეთს არც იცნობდნენ, ახლა კი საერთო ინტერესი აქვთ. რეგიონი, სადაც თითქმის არ ლაპარაკობენ ქართულად, ნათელამ ფოტოგრაფიის ენით აალაპარაკა.

ძალიან დიდი ხანია, არ ვყოფილვარ ასეთ ემოციურ გამოფენაზე. სივრცის ცენტრში იყო გაშლილი სუფრა, ყველაფერი ისე იყო, როგორც გორელოვკაშია. სამოვარი, „სუშკები“, „ბლინები“, მურაბა და კიდევ რაღაც გემრიელობები... გორელოვკის „მთავარი გმირებიც“ აქ იყვნენ. გამოფენის მეორე დღეს ნათელა მიყვებოდა, რომ უმეტესობა პირველად იყო თბილისში. მან არ იცოდა, რა ეჩვენებინა და ჰკითხა: „რისი ნახვა გინდათ?“ „ზოოპარკის და მეტროსი“ – უპასუხეს... გამეღიმა, ოღონდ ეს სულ სხვანაირი ღიმილი იყო... მერე ფოტოები ვნახე: მაშა, ზებური და დანარჩენები როგორ ერთობიან ზოოპარკში და ისევ გამეღიმა. კარგია ნათელა, ამიტომაც მიყვარს!

ტელეფონი სად არის? თან ხმაც გამორთული მაქვს. სად მოვძებნი ახლა... კიდევ კარგი, მეგის მისამართი მივწერე, პირდაპირ აქ მოვა.

კახიანი მოვიდა პირველი, თან ჩემი დაბადების დღის საჩუქრით. როგორც იქნა, მეღირსა! წარწერას აკეთებს: „ყველაზე საყვარელი ფოტო, ყველაზე ძვირფას ადამიანს“. მეღიმება... კახა ძალიან მიყვარს. ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანია. იმდენად დიდ როლს თამაშობს, რომ სიტყვებით შეიძლება ყველაფერი გავაფუჭო – ჩემი ადამიანია. ძალიან მწყდება გული, რომ აღარ იღებს. არადა, ადრე ფოტოგრაფიით ცხოვრობდა. ძალიან მინდა, დაუბრუნდეს თავის სულის ფოტოგრაფიას. საერთოდ, ძალიან შეიცვალა დაგატას გაცნობის მერე და ვფიქრობ, რომ ანტუანმა ძალიან უარყოფითად იმოქმედა მასზე. იმ დროს, როდესაც სხვა რაღაცების აღება შეიძლებოდა მისგან, კახამ რატომღაც მხოლოდ ერთი მხარე დაინახა და თითქოს ჩარჩა იქ... იმედია, მალე ამოძვრება, თორემ... არ ვიცი, რა იქნება. ალბათ, მხოლოდ ელექტრიკოსი კახა კახიანი იქნება, მე კი ეს ძალიან არ მინდა. ამიტომ მჯერა, რომ ამ პერიოდსაც მალე გადალახავს და დაიბადება ახალი პროექტი. კახა ერთადერთი ფოტოგრაფია, ვისთანაც თავს კომფორტულად ვგრძნობ გადაღების დროს. ის არასდროს იღებს ჩემსას და მე მისას, მაგრამ ორივემ ვიცით, რომელი რას და როგორ ვიღებთ მუშაობის დროსაც კი, და ეს ძალიან მაგარი შეგრძნებაა, როდესაც ორი ადამიანი ერთ ენაზე საუბრობს, ფოტოს ენაზე.

ჩემი ყველაზე საყვარელი „ერთი მთლიანობაც“ მოვიდა: იანა და გოგუა. ჰო, სხვანაირად არ ვიცი, როგორ ვუწოდო – ერთი დიდი გულია ჩემთვის. ნათელა ფერადი შარფით, ხერხიკო, დათო, ზურა და ნინჩოც მოვიდნენ. Все в сборе. რაღაცებს ვთამაშობთ, ვსვამთ ღვინოს, ხერხე, რა თქმა უნდა, ჩაის... კარგია კარგი ადამიანების გარემოცვაში ყოფნა, ნამდვილად გამიმართლა ცხოვრებაში!

15 ხუთშაბათი

თბილისში გაიმართა ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრა ევროკომისართან სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების თაობაზე მოლაპარაკების საკითხებში, იოჰანეს ჰანთან.

საქართველოში ოფიციალურად ამოქმედდა „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც გარემოს დაბინძურებისთვის ითვალისწინებს ჯარიმას 50-დან 5 000 ლარამდე ოდენობით.

გიორგი მარგველაშვილმა 2015 წელი „ქალთა წლად“ გამოაცხადა.

აშშ-ის კონოაკადემიამ, ესტონეთის წარდგენის საფუძველზე, საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში „ოსკარის“ ერთ-ერთ პრეტენდენტად დაასახელა კინორეჟისორ ზაზა ურუშაძის მხატვრული ფილმი „მანდარინები“.

8:50 – გვაღვიძებს მამადავითის ზარები. 9:00 – გვაღვიძებს მაღვიძარა. 9:20 – გვაღვიძებს ქალაქის ტელეფონის ზარი ტექსტით: „ტაქსი მოვიდა, გაბრძანდით, თქვენი დრო რომ იქნება.“ რაღაც წამებში ვიცვამთ, უკვე ეზოში ვართ. მეგი ჯდება ტაქსიში და მიდის აეროპორტში. იმედია, არ ეწყინა, რომ არ გავყევი. ფისოა, მაინც ეწყინებოდა...

დღეს, მგონი, მთელი დღე სახლში ვარ. წავალ, ისევ დავიძინებ. არა, დღიურში მაინც უნდა ჩავიხედო. აუ, როგორ დამავიწყდა, დღეს მარნეულში გადაღება რომ მაქვს! ათი ხდება... არა უშავს, მოვასწრებ, ახლოს არის მაინც. ოც წუთში უკვე გარეთ ვარ.

მეტრო, მერე – „მარშრუტკა“... კიევში მივეჩვიე ტრანსპორტში კითხვას, იქ ძალიან დიდ დროს ვხარჯავ სახლიდან სადმე მისასვლელად, ამიტომ დროის ყველაზე სწორი „დაბანდება“ კითხვაა. წიგნი სულ მიდევს ჩანთაში, მაგრამ ახლა არ მინდა. უცნაური ჰობი მაქვს: მიყვარს, ხალხს რომ ვაკვირდები: როგორ დადიან, როგორ ლაპარაკობენ, ჩანთა როგორ უჭირავთ... თავისუფლებიდან დიდუბემდე უნდა მეყოს, უკვე ვხედავ საინტერესო პერსონაჟებს.

მარნეულში ვარ... საქართველო ძალიან მიყვარს, მაგრამ როგორი მოუვლელი ქვეყანაა! თბილისიდან რომ გავდივარ, პირველი ეგ მომდის თავში. არადა, სულ 40 წუთია, ისიც მძღოლზეა დამოკიდებული, შეიძლება უფრო მალეც ჩახვიდე.

ქალაქის ხასიათი თუ გინდა „დაამუღამო“, აუცილებლად უნდა წახვიდე ბაზარში. ყველას ჟურნალისტი ვგონივარ, მეკითხებიან, რომელ არხზე იქნებიან და რომელ საათზე. მეცინება. ჩაის მთავაზობენ და, რა თქმა უნდა, უარს არ ვამბობ. უცებ უგემრიელესი ჩაი ჩნდება. ვდგავარ ჩაით ხელში და გარშემო თითქოს მრგვალი მაგიდა დგას, რაღაც წრე შეიქმნა გამყიდველების. აინტერესებთ, ვინ ვარ, რატომ ვიღებ, სად იქნებიან... ვინც უარზე იყო, უცებ მეუბნება: „გადამიღე, სამახსოვროდ მინდა დაგრჩე“. კარგები არიან უბრალო ადამიანები, მიყვარს მათთან ურთიერთობა. საღამომდე აქ ვიქნები...

ემოციებით აღსავსე წამოვედი თბილისში და ცოტა გასეირნება მინდა. ლევანს გავუარე. მეგონა, შემომიერთდებოდა, მაგრამ სახლში არ დამხვდა. მიყვარს სოლოლაკი. საერთოდ, ძველი თბილისი მიყვარს, ოღონდ აქაც ყველაფერი მოუვლელია, ჩემი საყვარელი სახლები მიწაში ჩადის ან იშლება და მე-

რე იქ უზარმაზარ სასტუმროებს აშენებენ, რომლებიც სრულიად ამოვარდნილია... ნეტა რატომ არ უყვართ თბილისი?

ბესიკზე ვარ. აი, ეს ბოლო აღმართი მკლავს, ცოტაც და, სახლში ვარ.

რა მაგარია!!! „ოსკარზე“ გავედით!!! „ოქროს გლობუსის“ მერე ისევ „მანდარინები“!!! არა, „სიმინდის კუნძულიც“ რომ არ აღვნიშნო, არ შეიძლება. „ყოჩაღ“ ზაზა ურუშაძეს, გიორგი ოვაშვილს და მათს შემოქმედებით ჯგუფებს! ეს ძალიან დიდი წარმატებაა! საერთოდ, კინოში მუშაობა ერთი დიდი ზეიმია, საქართველოში კი ძალიან დიდი პროფესიონალები არიან. „კინოშნიკები“ ყველაზე კარგი ტიპები არიან, ერთხელ თუ გაუგებ გემოს, მერე „ავად“ ხდები. ზუსტად ასე მჭირს, ორი რამით ვარ დაავადებული: ფოტოგრაფიით და კინოთი. საბედნიეროდ, ექიმი ვერ მიმკურნალებს.

პარასკევი

16

დილით ქრისის მესიჯი მხვდება: „თუ გიუმრიში ხარ, ფრთხილად იყავი“. მაგიჟებს ხანდახან: ყველაფერს როგორ გრძნობს?! ძალიან მინდა სომხეთში ჩასვლა. იმის მიუხედავად, რომ არ ვარ ომის ფოტოგრაფი, ცხელი წერტილები, მით უმეტეს, ჩვენს სამეზობლოში, ძალიან მაინტერესებს. მაინტერესებს ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრება ომის ან, როგორც უყვართ ხოლმე მოხსენიება, „კონფლიქტის“ ფონზე.

კიევში, მაიდანზეც ხომ ზუსტად ასე აღმოვჩნდი. ერთი წელია უკვე გასული. არადა, თითქოს რამდენიმე დღის წინ იყო. მახსოვს, პირველად როგორ გამაოცა იმ ერთობამ, რომელიც იქ დავინახე. ძალიან ემოციური იყო. იშვიათად ვიღებდი, მაგრამ ჩემთვის დილა ყოველთვის მაიდანზე გასვლით იწყებოდა. მინდოდა, ვყოფილიყავი ჩემთვის ძვირფასი ადამიანების გვერდით, თან უკრაინაზე პროექტს ვაკეთებ. ეს კი მის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია.

კიევში პირველად 2009 წელს ჩავედი და შევრჩი. იქ მეორე სახლი აღმოვაჩინე და ბედნიერი ვარ. საერთოდ, იქ ბევრი ნამდვილი მეგობარი მყავს: ქრისი, რომეო, მაქსი, კატო, ვალიკა... მაქსიმ დონდიუკი ჩემი თაობის და პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ-ერთი გამორჩეული ფოტოგრაფია ჩემთვის. და, თავისი საზიზღარი ხასიათის მიუხედავად, მაინც გამორჩეულად მიყვარს. ახლა ეს რომ წაეკითხა, ზუსტად ვიცი, რა სახესაც მიიღებდა და რას მომაძახებდა. კიდევ კარგი, ქართული არ იცის! ძალიან მინდა, წელს World Press Photo მოიგოს, უკრაინის ომი მასზე უკეთ თვით ისეთ მაესტროებსაც კი არ გადაუღიათ, როგორიც სტენლი გრინი ან იური კოზირევი არიან. ომის გენიალურმა ფოტოგრაფმა რობერტ კაპამ თქვა: “If your photographs aren’t good enough, you’re not close enough.” მაქსის ფოტოები არის იმაზე ახლო, ვიდრე მას შეეძლო მიახლოება. ბოლოს რომ ველაპარაკე, არ უნდოდა გაგზავნა.

ევროკომისარი ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების საკითხებში იოჰანეს ჰანი თბილისში შეხვდა გიორგი მარგველაშვილს, დავით უსუფაშვილს, საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს და სრულიად საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ბენინის სანა-პიროსთან ხუთ ბერძნულ გემზე მყოფი 23 ქართველი მეზღვაური საკვებით უზრუნველყოფილია, გემების მფლობელი კომპანია კი აპირებს მათ იანვრის ბოლომდე ხელფასი გადაუხადოს და სამშობლოში ეტაპობრივად დააბრუნოს.

ენერგეტიკის სამინისტრომ კატეგორიულად უარყო აფხაზური მედიასაშუალებებით გავრცელებული ცნობა, თითქოს მიმდინარეობს მოლაპარაკება ენგურჰესის კუთვნილების საკითხზე.

თბილისში, 9 აპრილის ბაღში, გახსნიდან რამდენიმე საათში დაზიანეს მსახიობ ოთარ მეღვინეთუხუცესის ძეგლი.

დღეს დედლაინია, ნეტა გადაიფიქროს... ოჰ, ეს დედლაინები... საერთოდ, მთელი იანვარი დედლაინები მაქვს. უკვე მეშინია მაგიდისკენ გახედვა, დამხვდება კიდევ ახალი სტიკერი: დედლაინი – 16 იანვარი.

ნეტა გიუმრიში ყველაფერი დაწყნარდეს, თუ არა და... კვირას, დილით, იმედია, მომცემენ ბოლო გადაღების ფულს და ეგრევე წავალ. ნეტავ მაკომაც შეძლოს წამოსვლა...

17 შაბათი

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი სპენსერ ოლივერი თბილისში შეხვდა ირაკლი ღარიბაშვილს, გიორგი მარგველაშვილსა და დავით უსუფაშვილს.

თბილისში, სომხეთის საელჩოსთან, გაიმართა სოლიდარობის აქცია რუსი სამხედრო მოსამსახურის მიერ სომხეთის ქალაქ გიუმრიში ერთი ოჯახის ექვსი წევრის მოკვლის გამო.

საქართველოს საპატრიარქომ „დაუშვებელი“ უწოდა მუსლიმთა რელიგიური გრძნობების შემლახველი კარიკატურებისა და სხვა მასალების გავრცელებას და განაცხადა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას გამოხატვის თავისუფლების ჩარჩოები, რათა მორწმუნეთა რელიგიური გრძნობები არ შეილახოს.

რა მაგარი დილაა! სამი წერილი მაქვს მეილზე, აქედან ერთში მეუბნებიან, რომ ჩემი პროექტი „მე – საქართველო“ კოპენჰაგენში იქნება ზაფხულში, მეორეში წერია, რომ „ჩემი სივრცის“ გამოქვეყნება უნდათ ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში. მესამეში კი ჩემი არანორმალური მეგობარი მწერს თავის მოგზაურობაზე იაპონიაში.

ვერაზე უნდა ავიდე. რამდენი ხანია, არ ვყოფილვარ ბებოსთან. თან ამბებს მოვუყვები, გაუხარდება. ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი ხომ ის არის და ნინი... ნინის დაბადების დღეა 19-ში. დიდი გოგოა, 11-ის ხდება უკვე.

რადიო თავისუფლებაში უნდა წავიდე. დღეს „საჯარო დღიურის“ ბოლო დღეა. ნეტა, რა სისულელეები ვწერე ეს ერთი კვირა? არ გადავიკითხავ, თორემ ყველაფრის წაშლა მომინდება.

მარგოსთან უნდა გავიდე, მერე – ანიკასთან, წელს არ მინახავს. ჩემი გოგოები მომენატრნენ! მგონი, კიდევ სადღაც ვიყავი წასასვლელი... ბოლო დროს ყველაფერი მავიწყდება, იქნებ გამახსენდეს დღის განმავლობაში, ჯერ მხოლოდ 11:11-ია. ისევ ეს ერთნაირი ციფრები...

ზურაბ გაიპარაშვილი

ისტორიის დოქტორი. დაიბადა 1960 წლის 3 თებერვალს თელავის რაიონის სოფელ ართანაში. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა პედაგოგად სხვადასხვა სასწავლებელში, იყო გაზეთ „ივერია ექსპრესის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, თსუ სამუზეუმო სამსახურის უფროსი, საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. ამჟამად ხელმძღვანელობს თსუ ბიბლიოთეკას. მისი ინიციატივითა და მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს კანონები ახალგაზრდათა და არასრულწლოვანთა უფლებების შესახებ, ავტორია ქართული განათლების ისტორიის საკითხებისადმი, აგრეთვე ჰერალდიკისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომებისა და წიგნებისა.

ინვარი

18

კვირა

არასოდეს დამიწერია დღიურები. რაც წერა-კითხვა ვისწავლე, მას მერე სულ ვწერ რაღაცას. სულო ცოდვილო, და ბავშვობაში ლექსებსაც კი ვწერდი, მაგრამ დღიურებს – არასოდეს. არადა, სულ ტყუილად. რამდენი საინტერესო ფაქტი, განცდა თუ სურვილი მიჰყვება დავიწყების მდინარეს, – ადექი და დაწერე, რა!.. ახლა გვიანია. არ მინდოდა და არ ვწერდი. ნაირა გელაშვილი ერთ მოთხრობაში წერს: რა საჭიროა ფოტოსურათები?! – თუ დასამახსოვრებელია, ფოტოს გარეშეც დაიხსომებო. ჰოდა, ასეა: რაც დასავიწყებელია, დამავიწყდეს.

ახლა სხვა გზა არ მაქვს, ჩემი ცხოვრების ერთკვირიანი მონაკვეთის დღიური უნდა დავწერო, რადგან ჩემმა მეგობარმა მარინა ვაშაყმაძემ დამავალა. ჩვენში დარჩეს და, აქამდე მწყინდა კიდეც, ამ საინტერესო პროექტში მე რატომ არ გავახსენდი-მეთქი! ჰოდა, აი, ყველაფერს თავისი დრო აქვს, იცის მარინამ თავისი საქმე.

საინტერესოდ დაიწყო ჩემი დღიური. სადაც უნდა წავიდე, ყოველთვის აქ ვბრუნდები. აქ მთავრდება ყველა მნიშვნელოვანი ამბავი თუ ცხოვრების მონაკვეთი. ეს ჩემი სამშობლოა, სხეულისაც და სულისაც, ოცნებისაც და მიზნისაც, სიხარულისაც და ტკივილისაც, ეს არის ჩემთვის სამყაროს ცენტრი. ჩემმა ფილტვებმა პირველად აქაური ჰაერი ჩაისუნთქეს და ამიტომაა, რომ მას მერე ყველაზე თავისუფლად აქ, ჩემს მშობლიურ სოფელში ვსუნთქავ. სხვაგან რაღაც მორიდებუ-

საქართველოში ჩამოასვენეს ადრიატიკის ზღვაში ბორან „ნორმან ატლანტიკის“ ჩაძირვის შედეგად დაღუპული სასულიერო პირის, მამა ილია კარტოზიას ცხედარი.

ცნობილი გახდა, რომ უკრაინის აღმოსავლეთში დაილუპა სამთავრობო ძალების მხარდასაჭერად მებრძოლი კიდევ ერთი ქართველი, თამაზ სუხიაშვილი.

ინტერფაქსმა გაავრცელა ცნობა, რომ სომხეთმა იუნესკოს მიმართა განაცხადით, სომხურ ძეგლებად აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 450-მდე ტაძარი.

ლი ვარ, მგონია, სხვის წილ ჰაერს, სხვის წილ ჟანგბადს ვისაკუთრებ.

გუშინ დილიდანვე გავუდექი გზას. გომბორის გზით დავდივარ, რაც ეს გზა აღადგინეს. ჯერ გავაკებულ იორსა და ხაშმს გადავხედავ. მაშინვე რეზო ინანიშვილი მახსენდება, აქაური იყო. რამხელა მწერალია, როგორ აკლია დღევანდელ საზოგადოებას მისი გამჭვირვალე სიკეთე! რატომ ხშირად არ უკითხავენ ახლანდელი მშობლები შვილებს მის მოთხრობებს, რომ მთელი ცხოვრება გააყოლონ სინათლე სულის საგზლად. ის კი არა, სოფელში მისი სახლი ინგრევაო! ყველასი მიკვირს, ხელისუფლებისაც, მწერალ-ლიტერატორებისაც, რეზოს თანასოფლელებისაც, ჩემი თავისაც... ამას წინათ ინტერნეტში ვნახე ბუნინის სახლ-მუზეუმი რუსეთის პროვინციაში, ეფრემოვში – გაკრიალებული, მოვლილი. კი არ შემშურდა (ბუნინიც ძალიან მიყვარს!), მაგრამ გული დამწყდა რეზო ინანიშვილის გაპარტახებულ სახლ-კარზე. ნიშანდობლივი ხომ არ არის ჩვენი დღევანდელი სულიერებისთვის?! – ნეტავ, ასე არ იყოს...

გზა მთებს მიუყვება, უღელტეხილის მწვერვალამდე აქედან უფრო დიდხანს უნდება მანქანა. ახვალ და უკვე შენკენ ხარ: ორი ჯადოსნური ხეივანი ტყის შუამთასთან და თელავიც აქვეა.

ეს ჩემი ქალაქია, აქ მხოლოდ ორი წელი ვიცხოვრე, როდესაც საშუალო სკოლის მეცხრე-მეათე კლასებში ვსწავლობდი, მაგრამ მგონია, რომ ეს არის ჩემი მშობლიური ქალაქი. ჩვევად მაქვს, უნდა გავიმრუდო ჩემი სოფლისკენ მიმავალი გზა და თელავის ქუჩებში გავიარო. დავდივარ გაღიმებული. ვიცი, რომ ნაცნობი აღარავინ შემხვდება, ან, თუ შემხვდება, ვეღარც ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ ასე მგონია, ყველა ჩემიანია.

ბატონის წყალთან ჩამოვჯექი, დედამიწის ზურგზე ყველაზე გემრიელი წყაროს წყალი დავლიე და მივნებდი სიჭაბუკისდროინდელ მოგონებებს. ვინ იცის, რამდენი ფული დაიხარჯა თელავის რეკონსტრუქციისთვის! სწორი კულტურული პოლიტიკა რომ არსებულიყო და მაღალთა გვამთა ახირებებს არ ემძლავრათ, რამდენი სიკეთის გაკეთება შეიძლებოდა! ახლა რა? – ბატონის ციხე გავერანებულია, ძველი თეატრის მყუდრო შენობა თანამედროვე ეკლექტიკური ფასადით არის დაფარული, ახალი თეატრის შენობის წინ გაუგებარი სვეტების კასკადია! ასე გეგონება, წარსული ვიღაცას აღიზიანებდა.

ჩემი სოფლის გზა ალაზანზე გადის, ცოტაც და კავკასიონის მთების ძირში შეყუჟულ სოფელსაც მივაღწიე!

წუხელ გვიანობამდე შევყევით მე და ჩემი ბიძაშვილები, ბევრის დალევა არ გვიყვარს. სანამ ცეცხლი ჩაქრებოდა, დავიშალეთ. რა ტკბილია ძილი მშობლების სახლში, ყველაზე მყუდროსა და საიმედოში. გარეთ სიბნელეა, გაყურსულია სოფელი, ძაღლებს ყეფაც კი ეზარებათ. სოფლის განაპირას ტყიდან ჩამოსული ტურების კივილი ისმის, კედლებიდან, ჭე-

რიდან მოცოცავენ მოგონებები. ასე მგონია, დედაჩემსა და მამაჩემს უხარიათ, აქ რომ ვარ, ბედნიერები არიან. მართალია, ამ სიხარულს დილით ცეცხლის დანთებით დიდი ხანია ვეღარ გამოხატავენ (ადრე რომ იცოდნენ: შემთბარ ოთახში გაიღვიძოს ბიჭმაო), მაგრამ ახლა სხვანაირ იმქვეყნიურს, მშვიდსა და ნაღვლიან სითბოს ასხივებენ მათი ფოტოები, რომლებიც ჩემმა ცოლმა გამოსაჩენ ადგილზე ჩამოკიდა. დილით მათს საფლავებს ჩავაკითხე. შემომცინეს საფლავის ქვებმა.

რაიონში ვარ ასასვლელი (ასე ვუწოდებთ რაიონულ ცენტრს), ახლობელს მივყვები საქმეზე, წინანდლისკენ რაღაც საქმე აქვს. ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმისკენ ვერ შევუხვევთ, დრო არ გვაქვს. კი მაინტერესებს, რეკონსტრუქციის შემდგომ არც მინახავს. ბოლოს აქ 1999 წელს ვიყავი, მაშინ ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტს ვხელმძღვანელობდი. საინტერესო სემინარი მოვაწყვეთ, ახალგაზრდა შემოქმედები წავიყვანეთ რამდენიმე დღით. შემოდგომის ნისლში ჩაძირული ჭავჭავაძეების ბაღი უფრო რომანტიკული გახდა. გასაოცარია, აქამდე სად იყო ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა! როგორ არ ჩანდნენ?! რა კარგი ინიციატივა იყო, კმაყოფილი ვარ. ამ შეხვედრებმა ერთგვარი თაობა შექმნა. სტუმრად პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ჩამოვიდა. პრეზიდენტ შევარდნაძის მისასალმებელი წერილი ჩამოიტანა. ხანგრძლივი და საინტერესო საუბარი გაიმართა, იყო კამათიც, შენიშვნებიც... კახეთის გუბერნატორმა გია არსენიშვილმა თქვა, კარგი იქნებოდა, ახალგაზრდებისთვის რაიმე საგანგებო პრემია დაწესებულიყოო. ასე დაიბადა „წინანდლის პრემია“. პროექტს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ახორციელებდა ზურაბ ჟვანიას მხარდაჭერით. ეამაყებოდა ზურაბს ეს პრემია, აი, ნახავ, ყველაზე პრესტიჟული პრემია გახდებაო, მეუბნებოდა. სულ სამჯერ ვხელმძღვანელობდი მის მინიჭებას. ეს პროექტი იყო ნამდვილი ნიჭიერების, თაობათა ერთიანობის ზეიმი... ადრე თუ გვიან, ვაპირებ, დავწერო „წინანდლის პრემიის“ ლაურეატებზე.

წელს აღდგა „წინანდლის პრემია“, საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით და ჟვანიას ქვრივის, ნინოს თხოვნის საფუძველზე. კარგია, გამიხარდა, დავეხმარე პროექტის განხორციელებაში. დაჯილდოება კლუბურ გარემოში გამართა ნინომ. სხვა თაობაა უკვე, სხვა სათქმელი აქვთ, გამოხატვის ფორმები სხვაა, მაგრამ ნიჭიერები არიან, როგორც 15 წლის წინანდელი ლაურეატები, რომელთა იქ არყოფნამ ჩემთვის იმ საღამოს საზეიმო ელფერი დაუკარგა, – ერთიანობის განცდა არ უნდა გაქრეს. და კიდევ, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს მწყობრი ახალგაზრდული პოლიტიკა და ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა, არ უნდა იყოს „წინანდლის პრემია“ დამოკიდებული კერძო ინიციატივებზე. მერე რა, რომ ეს პროექტი და კიდევ სხვა პროექტები წინა ხელისუფლებების მიერ არის შემუშავებული!

...ლურჯად ბინდდება. გარშემო, მთებზე და ტყეებში, თოვლია. დაღამებამდე კიდევ ერთხელ შემოვუვლი კარ-მიდამოს. ზამთრის დასაწყისში ნაძვის ნერგი შევმატე ეზოს, მივეფერე. ჯერ პატარაა, როდესაც გაიზრდება, მე აღარ ვიქნები, მაგრამ ჩემს ქალიშვილებსა და შვილიშვილებს მოუგრილოებს ზაფხულის ხვატში. ბაღის თავში ავდივარ, შორიდან ვუყურებ სახლს და მიხარია საბუხრიდან ამომავალი კვამლის დანახვა. არაფერი არ არის იმაზე ნაღვლიანი, ვიდრე ზამთრისპირის საღამოს სილურჯეში ამოშავებული სახლები, რომელთა საბუხრეებიდან არ ბოლავს კვამლი.

ჭიშკართან ვიღაც იძახის... მიხარია და არც ვეკითხები, ვინ არის. მოდი-მეთქი, ვეხმაურები.

19 ორშაბათი

გიორგი მარგველაშვილმა „სამოქალაქო თავდადებისთვის“ დააჯილდოვა მცხეთის დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი ილია კარტოზია (სიკვდილის შემდეგ).

პანკისის ხეობის სოფელ დუისში მუსლიმი თემის ასობით წარმომადგენელმა პროტესტი გამოთქვა ჟურნალ „შარლი ებდოს“ მიერ მუჰამედ წინასწარმეტყველის კარიკატურების გამოქვეყნების გამო.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ბერლინის საერთაშორისო „მწვანე კვირეულზე“ გახსნილი „აფხაზური კუთხე“ დაიხურება, და გამოაქვეყნა გამოფენის ხელმძღვანელ ლარს იეგერის წერილი, რომელშიც ის საქართველოს ბოდიშს უხდის „გაუგებრობისთვის“.

ივნისი

წუხელ დიდი სასწაულის ღამე იყო – ერთი წამით ყველა ნაკადული, მდინარე თუ ზღვა და ოკეანე გაირინდა, წყალში ყინული ჩატყდა და ადამიანთა მოდგმამაც სინათლისკენ იბრუნა სახე. ნეტავი მართლა შეეძლოს კაცთა მოდგმას, სულ ერთი წუთით ერთად გარინდება და ჩაფიქრება!.. ყოველ წელს ვცდილობ, ნათლისღების დღესასწაულზე შევკრიბო ჩემი ნათლულები, მაგრამ ვერც ახლა ვახერხებ ამას. ვინც სოფელშია, იმათაც კი ვერ ვნახულობ, დილით ადრე ვდგები და თბილისისკენ წამოსასვლელად ვემზადები, სოფლის ცენტრში ვაჩერებ მანქანას, ღვთისმშობლის ეკლესიაში სანთელს ვანთებ და ჩემი ნათლულების, ყველა ახლობლის სულის სიმშვიდეს ვთხოვ.

მზის სინათლეზე შემოვდივარ თბილისში. ყოველ შემოსვლაზე გული ისევე მიჩქარდება, როგორც მაშინ, ჯერ კიდევ სკოლამდელი ასაკის რომ ჩამომიყვანეს თბილისში და გაოცებისა და აღფრთოვანებისგან სუნთქვა შემეკრა. დასვენების დღეა და ცოტა მანქანაა ქუჩაში. გზას ვიმრუდებ და ვარაზის ხევში ვჩერდები რამდენიმე წამით. უნივერსიტეტი ჩემი მარადიული სიყვარული და ახდენილი ოცნებაა!

20 სამშაბათი

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაფილაში, 2006 წელს „კორტების სპეცოპერაციის“ დროს მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავზე მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა მოკლულის მამა, იური ვაზაგაშვილი.

მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, ჩატარდა ადრიატიკის ზღვაში დაღუპული მამა ილია კარტოზიას პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობისა და ეკლესიის მაღალი რანგის წარმომადგენლები.

ტრადიციულად, სამშაბათს ბიბლიოთეკაში დილის თათბირით ვიწყებთ... უნივერსიტეტში ნებისმიერ თანამდებობაზე მუშაობა საპატიოა, მით უმეტეს იმ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა, რომლის საცავებში ამდენი ძვირფასი გამოცემა ინახება. გასული საუკუნის 80-იან წლებში უხარისხოდ აშენებულ შენობაში უამრავი ტექნიკური პრობლემაა მოსაგვარებელი, არც საბიბლიოთეკო სფეროში არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა. ის კი არა, ხელისუფლებაში არ არის რგოლი, რომელსაც ბიბლიოთეკის შესახებ დაელაპარაკები. უნივერსიტეტი თვითონ უნდა გაუმკლავდეს ყველა პრობლემას. არადა, მაგალითად, ვარშავისა და ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები, როგორც კულტურული მემკვიდრეობის

საგანძური, სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა.

თათბირზე ვისაუბრეთ უნივერსიტეტის საერთო საბიუჯეტო სივრცეში ბიბლიოთეკის განვითარების გეგმაზე. გვიხარია, რექტორმა დანაპირები შეასრულა და წელს ლიტერატურის შესაძენად შარშანდელთან შედარებით დაფინანსების მოცულობა გაზარდა.

მოვათავეთ მინიაუდიოსტუდიის მოწყობა. ეს ჩემი პროექტია, რომელიც ამერიკის საელჩომ დამიფინანსა. თანხა მცირე იყო, მაგრამ შევძელი, პატარა ხმის ჩამწერი სტუდია მოვაწყვე და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ვაჩუქე. უსინათლო სტუდენტებისათვის მოვამზადებთ აუდიოსახელმძღვანელოებს.

შემომიტანეს იოსებ ყიფშიძის თხზულებების კრებულის დაკაბადონებული ვარიანტი. ამ წიგნის საგამომცემლო ჯგუფს ვხელმძღვანელობ, რექტორის ბრძანების შესაბამისად. შარშან უნდა გამოცემულიყო, მაგრამ მუზეუმსა თუ არქივებში დაცული მასალა ბევრი აღმოჩნდა. ჯობს დაგვიანდეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ძალიან კარგი გამოცემა გამოვა, იოსებ ყიფშიძეს რომ ეკადრება, ისეთი. შარშან მის საფლავზე, უნივერსიტეტის ეზოში, ბიუსტი დაიდგა. უსამართლოდ მივიწყებული, ადრე გარდაცვლილი იოსებ ყიფშიძე ნამდვილად იმსახურებს ხსოვნასა და პატივისცემას.

ელექტრონული ბიბლიოთეკის პროგრამაა მოსაგვარებელი. შარშან რობოტი-სკანერი შევიძინეთ ავსტრიული ფირმისგან, რომელიც ახალ პროგრამას შეგვპირდა, ველოდები. განყოფილების გამგე სასიხარულო ამბავს მეუბნება, თვის ბოლოს ინტერნეტის მეშვეობით პროგრამის პრეზენტაცია დაგვიგეგმესო!

მძიმე დღეშია ვენტილაციის სისტემა. შარშან ერთი დიდი საცავისთვის დავამონტაჟეთ კლიმატის კონტროლის დანადგარი, აქ განვათავსებთ რარიტეტებს. წელს დანარჩენ საცავებსაც მივხედავთო, კანცლერმა. ქვეყანაში არც ერთ ბიბლიოთეკას არ ულხინს. ხელისუფლებამ ერთიანი საგანმანათლებლო-კულტურული პოლიტიკის კონტექსტში თუ არ განიხილა და უპირველეს გადასაჭრელ პრობლემათა რიგში არ შეიტანა საბიბლიოთეკო დარგი, თითო-ოროლა კერძო ინიციატივა საქმეს ვერ უშველის.

ორი წლის წინ სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამით ერთი თვით ამერიკაში ვიყავი. ხუთი შტატის არაერთი ბიბლიოთეკა ვნახეთ. თუნდაც ბიბლიოთეკებისადმი სახელმწიფოსა და საზოგადოების დამოკიდებულებით შეიძლება ავხსნათ, რატომ არის ასეთი შთამბეჭდავი ეს ქვეყანა. განათლებისადმი, წიგნისადმი მოწიწება და პატივისცემა გამოსჭვივის ყველგან, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების ძირითად ნაწილში.

21 ოთხშაბათი

ვაზაგაშვილების ოჯახის ადვოკატმა დაადასტურა, რომ ახლახან გამოჩნდა მნიშვნელოვანი მოწმე, რომელიც 2006 წელს თბილისის კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის თვითმხილველია. ადვოკატმა არ გამორიცხა, რომ იური ვაზაგაშვილის აფეთქება უკავშირდება მისი ვაჟის მკვლელობის საქმის გამოძიების აქტიურ ფაზაში გადასვლას.

„ინტერპოლის“ ეროვნულ ბიუროს თეირანიდან ოფიციალურად აცნობეს, რომ დაკავებულია ირანის მოქალაქე, რომელიც ეჭვმიტანილია 2013 წელს ბათუმში 16 წლის მარიამ კოჩალიძის მკვლელობაში.

შვეიცარიის ქალაქ დავოსში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კულუარებში ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა ნიდერლანდის პრემიერ-მინისტრს მარკ რუტეს, არაერთი მსხვილი კერძო კომპანიის ხელმძღვანელებს.

დღეს გამომცემლობაში ვიყავი, ჩემი წიგნის ელექტრონული ვარიანტი მივიტანე. „ჰერალდიკური არაბესკები“ – ასე დავარქვი.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ინტენსიურად ვერ ვმუშაობდი ჰერალდიკაში, მაინც, როგორც არაბესკას ახასიათებს გეომეტრიული, მცენარეული თუ ეპიგრაფიკული გამოსახულებების დაუსრულებელი განმეორება, ასე განუშორებლად მომყვებოდა ფიქრი სხვადასხვა ჰერალდიკური არტეფაქტის შესახებ. არაბესკის ნახატის რიტმი კლასიკური არაბული პოეზიისა და მუსიკისას ჰგავს. მისი აგების პრინციპია უსასრულო განვითარება და რიტმული გამეორება და ამ რიტმულ მოძრაობაში ყოველთვის შეიძლება გაჩერებაც და, ამავე დროს, მისი ნებისმიერი წერტილიდან გაგრძელება ისე, რომ მოხატულობის მთლიანობა არ დაირღვეს. ასე მეორდებოდა, განსაკუთრებით, უნივერსიტეტისა და ანთიმოზ ივერიელის გერბებთან დაკავშირებული ჰერალდიკური მოტივები სხვადასხვა გამოცემაში დასტამბულ წერილებსა თუ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ თემებში. ამ წიგნში თავი მოვუყარე სტატიებს, რომლებიც, როგორც არაბესკაში რომელიმე გეომეტრიული ჩუქურთმის მოტივი, ცალკეც იკითხება, მაგრამ ერთიანობაში საქართველოში ჰერალდიკის განვითარების მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს გამოკვეთს.

მიყვარს რედაქციებში ყოფნა. ხვალ ისევ მოვალ, ხვალ სხვა წიგნზე უნდა ვისაუბროთ მე და რედაქტორმა.

22 ხუთშაბათი

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის კრიტერიუმებზე კონსულტაციები გამართა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძესთან და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებთან.

ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაწილე ლიდერთა არაფორმალურ შეხვედრას და შეხვდა ლიტვის პრეზიდენტს დალია გრიბაუსკაიტეს, თურქეთის პრემიერ-მინისტრს აჰმედ დავუთოღლუსა და შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრს დიდიე ბურკჰალტერს.

მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილების პროექტი, რომლის თანახმად პატიმრობით დაისჯება „საჯაროდ მოწოდება ძალადობრივი ქმედებებისკენ რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, ენობრივი და სხვა

ბიბლიოთეკიდან ისევ უნივერსიტეტის გამომცემლობაში წავედი. ამჯერად კრებულზე ვიმუშავეთ. საინტერესო პროექტია. უნივერსიტეტის რექტორს, ლადო პაპავას, ეკუთვნის მშვენიერი ინიციატივა: „პირველი საჯარო ლექცია“. უნივერსიტეტის დღის – 8 თებერვლის აღსანიშნავად ცნობილ და საპატიო მეცნიერსა თუ საზოგადო მოღვაწეს მიენიჭება პირველი საჯარო ლექციის წაკითხვის უფლება. ამ ინიციატივასთან დაკავშირებით ვამზადებ კრებულს, რომელშიც 1918 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული პირველი ლექცია დაიბეჭდება. აქვე იქნება 1918 წელს უნივერსიტეტის გახსნაზე წარმოთქმული მისასალმებელი სიტყვები. გამომცემლობიდან რექტორთან წამოვედი, ვისაუბრეთ ამ კრებულზეც, კარსმომდგარი 8 თებერვლის აღნიშვნაზეც და სულ ცოტა ხნის წინ სენატის მიერ დამტკიცებული უნივერსიტეტის დროშის დამზადებაზეც.

საღამოს უფროს ქალიშვილს, მარიამს გავუარე და ერთად დავბრუნდით სახლში. უმცროსი, თათა, სემესტრის გამოცდებისთვის ემზადება, მაგრამ დროს მაინც პოულობს ჩვენთვის და ისეთ გემრიელ ჩაის გვიმზადებს, მხოლოდ მას რომ გამოსდის!

პარასკევი

23

დილიდან საგარეო საქმეთა სამინისტროში წავედი. შეხვედრაა დანიშნული. განვიხილავთ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა არმიის მიერ ნაალაფარი წიგნების გერმანიისთვის დაბრუნების საკითხს. ეს წიგნები ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაცული, მაგრამ ძალიან დაზიანებულია. დაბრუნების ინიციატივა ქართულ მხარეს ეკუთვნის, საორგანიზაციო საკითხებია მოსაგვარებელი. მინისტრის მოადგილე, რომლისთვისაც გადაუბარებიათ ეს საქმე, ახალია. შევეცადე, მისთვისაც ამეხსნა იმ საკვანძო პრობლემის არსი, რომლის შესახებაც უკვე მერამდენედ ვსაუბრობ.

მოვდივარ სამინისტროდან და ვფიქრობ: თავისუფლება უფრო მთავარია თუ მოვალეობა? როდესაც ვალდებულების განხორციელების ფორმის არჩევანში არ ხარ შეზღუდული, ეს არის თავისუფლება. იმედია, დაადგება საშველი ამ ამბავსაც და დავუბრუნებთ წიგნებს მათს კანონიერ პატრონებს.

საღამოს ვარშავის უნივერსიტეტის დელეგაცია გვეწვია პირველი კორპუსის სამკითხველოში. რამდენიმე ძველი გამოცემა გამოვფინეთ. გულწრფელი აღფრთოვანება ვერ დამალეს პოლონელებმა. გაგვიხარდა.

შაბათი

24

შაბათს ცოტა გვიან ვიღვიძებთ. შვილებმა დაგვასწრეს ადგომა, უნივერსიტეტში ეჩქარებათ: ერთს ლექცია აქვს, მეორეს – გამოცდა. წარმატებას ვუსურვებ მათ და ყველა ახალგაზრდას. სელინჯერი მახსენდება. ყველა ბავშვი და ახალგაზრდა ხომ ხშირად თუ არა, იშვიათად მაინც სარგებ-

ინფარი

ნიშნების მქონე პირთა ჯგუფებს შორის მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების მიზნით.“

ალექსანდრე ჭიკაიძემ შს მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით მიმართა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს.

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ იური ვაზაგაშვილს მის დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე შეხვდა, და განაცხადა, რომ არსებობს მკვლელობის მიზნის ორი ვერსია: ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის მონმეთა დაშინება ან ქვეყანაში არეულობის მოწყობა.

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ 441 ხმით 1-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა აფხაზეთთან გაფორმებული „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების“ რატიფიკაციას, რასაც მოჰყვა საქართველოს საგარეო უწყების საპროტესტო განცხადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის გარდაცვალების საქმეზე დამნაშავედ ცნო სამხედრო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი, ძებნილი მეგის ქარდავა, რომელსაც დაუსწრებლად შეუფარდა ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა.

გიორგი მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის კრიტერიუმებზე კონსულტაციები გამართა პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერებთან.

ირაკლი ღარიბაშვილი დავოსში შეხვდა აზერბაიჯანისა და პანამის პრეზიდენტებს – ილჰამ ალიევსა და ხუან კარლოს ვარელას, ამერიკელ კონგრესმენს პიტერ როსკამს, კომპანია BP-ის ხელმძღვანელებსა და ევროპის ატომური კვლევების ორგანიზაციის, CER-ის გენერალურ დირექტორს როლფ ჰოიერს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაგმო დონბასელი სეპარატისტების მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან ქალაქ მარიუპოლის დაბომბვა, რომელსაც მოჰყვა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, და

ლობს მშობლების უყურადღებობით, პირდაპირ ქუჩის სავალ ნაწილზე გადადის და ტროტუარის გასწვრივ მიაბიჯებს. ქუჩა სავსეა ხიფათით. ღმერთო, გამოუჩინე ბავშვებს ხელის შემშველებელი კლდის პირზე ჭვავის ყანაში თამაშისას.

ფანჯრიდან ნისლიანი თბილისი ჩანს. დღეს ჩავაბარებ დღიურს რედაქციას. კაცმა არ იცის, იქნებ შემდგომ კვირებშიც მომინდეს დღიურის წერა. თუ მომინდება, დავწერ, თუ არა და, რაც დასავიწყებელია, ზემოთაც ვთქვი, დაე, დამავიწყდეს. ბოლოს და ბოლოს, მალე 55 წლის გავხდები.

სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს.

თეირანში ვიზიტად მყოფი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი შეხვდა ირანის პარლამენტის თავმჯდომარეს ალი ლარიჯანის.

შსს-მ განაცხადა, რომ ეძებს წარსულში მრავალგზის ნასამართლებ პირს, რომელმაც 23 იანვარს ბორჯომში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა პოლიციის ორი თანამშრომელი.

რაფიელ მესენგისერი

ინჟინერ-მეტალურგი. დაიბადა 1932 წლის 18 აგვისტოს სოხუმში. დაამთავრა მოსკოვის კალინინის სახელობის ფერადი ლითონებისა და ოქროს ინსტიტუტი. მუშაობდა ქუთაისის ავტოქარხანასა და ფოთის გემთმშენებელ ქარხანაში, თბილისის მანქანათმშენებლობის სამმართველოში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში; იყო საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი.

იანვარი

კვირა

25

დილით ვდგები და, ჩვენი წესისამებრ, ლოცვას ვიწყებ. ვიდებ ტეფილინს თავსა და მკლავზე და მოვისხამ ციციტს – ეს სარიტუალო საგნებია. ჩვენს დილის ლოცვას ჰქვია შმონე ესრე. მადლობას ვუხდით ღმერთს, რომ გაგვაჩინა ამქვეყნად, რომ მოგვცა ეს ყველაფერი. შემდეგ არის შუადღის ლოცვა – მინხა, მერე – საღამოს ლოცვა. ძირითადად ამით ვარ დაკავებული. დღის განმავლობაში ვზივარ და ვკითხულობ ბიბლიას, თალმუდს, მეფე დავითის ფსალმუნებს. ასე გადის ჩვენი, მორწმუნე ხალხის დღე.

ღმერთის წყალობით, თბილისში, ავლაბარში, არსებობს ებრაელთა სახლი, რომელიც ამერიკელებმა გვაჩუქეს. ხუთსართულიანი შენობაა. ვიყავი ამ სახლში, მოვინახულე დირექტორი, ვილაპარაკეთ. მეც მქონდა რაღაც დავალებები, შევასრულე ყველაფერი და ამით დამთავრდა ეს დღე.

დავით უსუფაშვილი თეირანში შეხვდა ირანის პრეზიდენტს ჰასან როუჰანის.

ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაფილაში დაესწრნენ იური ვაზაგაშვილის დაკრძალვას.

ორშაბათი

26

ისევ ჩვეულებრივად – ლოცვა დილით, შუადღისას და საღამოს... განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ ვიღაცამ მომმართა თხოვნით: ფული სჭირდებოდა. არ იყო დიდი თანხა. ცოლი გარდამეცვალა სამი თვის წინ. მე თვითონ არ მაქვს ისეთი ფინანსური მდგომარეობა, რომ შემეძლოს. მაგრამ ჩვენ გვიწერია: როცა კაცი მოგმართავს თხოვნით, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც უნდა და-

ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა ვახტანგ გომელაური.

თბილისს ეწვია ლიტვის პრემიერ-მინისტრი ალგირდას ბუტკევიჩიუსი, რომელიც შეხვდა ირაკლი ღარიბაშვილს, გიორგი მარგველაშვილსა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატ-

აკმაყოფილო, რაც შეგიძლია, უნდა გასცე, ხელცარიელი არ უნდა გაუშვა. ვასესხე, რაც მთხოვა.

27 სამშაბათი

დამირეკა მარინა სოლომონიშვილმა და მიმიწვია „ქორთიარდ მერიოტში“. წავედი. უამრავი ხალხი იყო. გადაჭედილი დარბაზი: ელჩები, მთავრობიდან – მინისტრები, გამოჩენილი ხალხი...

რატომღაც არასწორად აეწყო: პირველი აუცილებლად ჩვენ უნდა გამოვეყვანეთ. იქ იყვნენ მთავარი რაბინის მოადგილე ავიმელეხ როზენბლატი, მეირ კოზლოვსკი, ხაბადის წარმომადგენელი საქართველოში, და ვიყავი მე. ჰოდა, სულ ბოლოს გამოგვიყვანეს. უნდა ყოფილიყო პირიქით: თავიდან ჩვენ უნდა გამოვსულიყავით, უნდა აგვენთო სანთელი და გვეთქვა ქადიში – მიცვალებულების მოსახსენებელი ლოცვა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ბოლოში მოგვაქციეს: ელჩების, მთავრობის წარმომადგენლების შემდეგ გამოვედით. ეს დიდი ცოდვა არ არის, მაგრამ მაინც...

გამოვედი და ვთქვი სიტყვა. კითხულობენ: „რატომ მოხდა ჰოლოკოსტი?“ „რას ნიშნავს ცეცხლში დამწვარი?“ ეს საშინელება იმიტომ მოხდა, რომ გერმანიაში გამეფდა ფაშიზმი. ადამიანის სიძულვილის, ადამიანის არსის სიძულვილისა და ადამიანის მოსპობის იდეოლოგია. ერთი ერი უნდა გაბატონებულიყო მთელ მსოფლიოში.

პირველად ნელა დაიწყეს – მაღაზიების დარბევით. იცოდნენ, რომ გერმანიაში ძალიან მდიდარი ებრაელები ცხოვრობდნენ: ბანკირები, იურისტები, იუველირები, ექიმები, მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები... დიდი ებრაელობა იყო, ძალიან მდიდარი. ეს ხალხი ამბობდა: „რად გვინდა ისრაელში წასვლა, გერმანიაა ისრაელი! ბერლინი იერუსალიმია!“ ამას ებრაელები ამბობდნენ, ისე კარგად იყვნენ. და დაიწყო!... თავდაპირველად ებრაელობას ეს ყველაფერი დროებითი ეგონა, იმიტომ რომ გერმანია იყო უკულტურულესი, ევროპაში აღი-

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრებმა დახურულ კარს მიღმა იმსჯელეს ლარის გაუფასურების საკითხზე.

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელ მდივნად დაინიშნა ირაკლი კობახიძე.

საქართველოსა და ლიტვის პრემიერ-მინისტრებმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ალგირდას ბუტკევიჩიუსმა თბილისში გახსნეს საქართველო-ლიტვის ბიზნესფორუმი და ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით 1 აშშ დოლარის ღირებულებამ 2 ლარს გადააჭარბა.

ლარის კურსის ვარდნის გამო ირაკლი ღარიბაშვილმა საგანგებო შეხვედრა გამართა მთავრობის ეკონომიკური გუნდისა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელებთან.

თბილისში აღნიშნეს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე.

უეფამ გამოაცხადა, რომ 2017 წელს საქართველო უმასპინძლებს 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს.

არებული ქვეყანა, განვითარებული... არ მიდიოდნენ. მერე და მერე დაიწყო, დაიწყო და თქვენს მტერს, რაც დაიწყო: მთელ მსოფლიოს დაერია! არის ასეთი წიგნი: «Где же был Бог во время катастрофы?» იქ აღწერილია, როგორ ხოცავდნენ ებრაელებს და რას სჩადიოდნენ. ეს არის საშინელება:

«В этом страшном, скорбном проходе все свидетели, кто побывал в Освенциме, отмечают зверство одной человеческой твари - эсэсовца Цепфа. Он специализировался на убийстве детей. Обладая огромной силой, эта тварь внезапно выхватывала из толпы ребенка и либо, взмахнув им, как палкой, била ребенка головой о бетон, либо разрывала его пополам».

რა არ გამოიარა ებრაელობამ: ცოცხლად მარხავდნენ, ღუმელში წვავდნენ; ცდებს ატარებდნენ: ცოცხლებს ყინავდნენ, რათა ენახათ, რამდენ ხანში დაიხოცებოდნენ.

ბევრი ქართველი ებრაელი დაიღუპა ომში. მამაჩემი და სამი ბიძა, დედაჩემის ძმები, ქერჩში დაიღუპნენ უამრავ ქართველთან ერთად. არის ასეთი ფაქტი: ერთ-ერთ ბანაკში, სადაც ებრაელებს წვავდნენ, სამი ქართველი იყო. მათ გამოიჩინეს უდიდესი ადამიანობა, ისინი არიან ნამდვილად ღმერთის შვილები. ერთ-ერთმა ქართველმა რიგიდან გამოაგდო ებრაელი და თვითონ ჩადგა მის ნაცვლად. თქვა, მე ვარ ებრაელი, ეგ ქართველიაო, და ასე გადაარჩინა. ეს რამხელა ამბავია, ამას ვინ გააკეთებს?! არც ერთ ხალხში არ მომხდარა ეს! არავის არ გაუკეთებია ეს! გააკეთა ქართველმა!..

ოთხშაბათი

ისევ ჩვეულებრივად – დილის ლოცვა, საღამოს ლოცვა... ჩემთან იყო ერთი გაჭირვებული ქალბატონი. მითხრა, გავიგე, მეუღლე გარდაგცვლიათ და, თუ რამე გაქვთ ძველი ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი, იქნებ მომცეთო. ვკითხე, როგორ მოხვდი ჩემთან, საიდან გაიგე, რომ აქ ვცხოვრობ-მეთქი? ებრაულ სახლში ვიყავი და თქვენი მისამართი იქ მომცესო. ვუთხარი, შემოდი, აგერ, საწოლ ოთახშია დალაგებული, რაც გინდა, წაიღე-მეთქი. არაო, ეს ძალიან ძვირფასიაო. ვუთხარი, წაიღე, იქაც მოვიტანდი, მაგრამ ვერ ველევი... რაც მოგეწონება და მოგერგება, წაიღე-მეთქი. აირჩია, რაც მოეწონა და წაიღო.

საშუალო სკოლა სოხუმში დავამთავრე, ოქროს მედალზე. ხუთმა კაცმა დავამთავრეთ მედალზე: ორი ოქრო იყო და სამი ვერცხლი. გადავწყვიტეთ, მოსკოვში წავსულიყავით სასწავლებლად. მე მინდოდა, დიპლომატიას გავყოლოდი. გადავწყვიტეთ, შევსულიყავით МГИМО-ში, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტში. მივედით და კარში არ შეგვიშვეს, ხუთი ახალგაზრდა ვიყავით. რუსი „ვახტიორი“ იდგა: «Вы куда, ребята? Нельзя. Сюда идут только по направлению». მოვტრიალდით დაღონებულები. მოვდივართ და იქვე, Крымский мост-თან ვხედავთ, მეტრიანი ასოებით წერია: «Московский институт цветных металлов и золота». მოგ-

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ პატიმრობიდან გაათავისუფლა კოდორის ხეობის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი, რომელმაც საპროცესო გარიგება გააფორმა პროკურატურასთან.

თბილისში ჩატარებულ ბრიფინგზე გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ მის მიერ გამართული კონსულტაციების შედეგად მოხერხდა შეთანხმება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის მთავარ კრიტერიუმებზე და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებს მიმართა წინადადებით, 9 თებერვლამდე წარუდგინონ კანდიდატები.

ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მისი დაფუძნებული „საზოგადოება 2030“ იკვლევს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების – ნინო ლომჯარიას, ეკა გიგაურისა და კახა კოჟორიძის საქმიანობას, რადგან „მათ მიმართ ბევრი შეკითხვა არსებობს“.

ბაქო-თბილის-ყარსის სარკინიგზო ხაზის საქართველოს მო-

ნაკვეთზე გაიარა პირველმა საცდელმა მატარებელმა.

ვჭრა თვალი ამ золото-მ, თან ოქროსფერი ასოები: «имени Калинина»... გორკის პარკის გვერდით. ერთმანეთს ჩამოვართვით ხელი – „შევიდეთ?“ შევედით და ჩავაბარეთ საბუთები. ასე გავხდი инженер-металлург цветных металлов и золота.

დავამთავრე ინსტიტუტი და სამუშაოდ გამანაწილეს ლენინგრადში. მე უარი ვთქვი: «Я в Ленинград не пойду!» რატომო, მკითხეს. «Я пойду в Грузию», ვუპასუხე. რატომ, ბიჭო, მთელი მსოფლიო ლენინგრადზე ოცნებობს, ისეთ კარგ ქარხანაში მიდიხარ, კარგ თანამდებობაზეო... არა-მეთქი! თან ჩემთან ერთი დრანდელი ბიჭი იყო, ბიგვავა. გამოგვიშვეს თბილისში – სოფლტექნიკის ქარხანაში. მივედით და დაგვიწერეს: არ გვჭირდება ამ სპეციალობის ხალხიო. წავედით „გოსპლანში“. მინისტრთა საბჭოში შევედით და ვუთხარით, რომ განაწილებული ვართ... იქ კიდევ: კაცო, მე იმდენი მეტალურგი მყავს, სად „წავიღო“ არ ვიციო, და ვადაჭკორიასთან წადითო. ვალერიან ვადაჭკორია მაშინ იყო начальник Управления Машпрома Грузии. მივედით. ე, ბიჭო, წადით, ქუთაისში, იქ მჭირდება ხალხი, წადით, მიშველეთო. ორი წელი იმუშავეთ და მერე გადმოგიყვანთ თბილისში, ორი წელი მიჭირსო. დედაჩემი და მამაჩემი ქუთაისიდან იყვნენ, მერე გადასახლდნენ სოხუმში, 1928 წელს. წავიდეთ-მეთქი. მოგვცეს ბინა საერთო საცხოვრებელში და დავიწყეთ მუშაობა.

ერთ დღეს, 1 მაისი იყო, ჩავედი სოხუმში, დედაჩემთან. მოვიდა ჩვენი ნათესავი და ფოთში მივდივართ, ხომ არ წამოხვალთო. წავედით ფოთში, კარგად მოვილხინეთ, დავისვენეთ, გავედით ზღვაზე... მეზობლად ცხოვრობდნენ ნასხლეტაშვილები. ჰოდა, ერთ დღეს დაგვპატიჟეს და დავინახე იქ ჩემი მომავალი მეუღლე. ასე გავიცანით ერთმანეთი. დავქორწინდით და დავსახლდი ფოთში. დავიწყე მუშაობა გემთმშენებელ ქარხანაში, გამიჩნდა ორი ვაჟი... ამასობაში კი გავიდა შვიდი წელი. ჩამოვედი ისევ ვალერიან ვადაჭკორიასთან თბილისში და შევახსენე დაპირება. კარგი, წამოდიო, მითხრა, მე მჭირდებიო. ასე ვიმუშავე ჯერ მასთან, შემდეგ – „ცენტროლიტში“. ასე დავრჩი აქ და ვცხოვრობდით აქ.

მე ვარ ქოენი. საერთოდ, ქოენები არიან უმაღლესი სულიერი მოღვაწეები ერში. ჩვენ ღმერთის რჩეულნი ვართ. აარონი მოსეს ძმა იყო. მოსე იყო ენაბრგვნილი და, როდესაც მას ღმერთი გამოეცხადა და ებრაელების ეგვიპტიდან გამოყვანა უბრძანა (სადაც 400 წელი მონობაში იყვნენ), მან ღმერთთან კამათი დაიწყო, ჩემი ძმა აარონი გაგზავნე, ის კარგად ლაპარაკობსო. მოსე უნდა ყოფილიყო ქოენი, მაგრამ, რადგან გაჯიუტდა, ღმერთმა უთხრა, შენ ჩემ მაგივრად იქნები და აარონი შენ მაგივრადო. როცა ტაძარი აშენდა, აარონი იყო პირველი ღვთისმსახური. უთხრა ღმერთმა აარონს, შენ ასე დამილოცავ ჩემს ებრაელ შვილებსო! და ჩვენც ვლოცავთ ყოველ შაბათს. ეს მამიდან შვილზე გადადის, შთამომავლობით. რაც მსოფლიოში ფულია მოჭრილი, იმითაც კი ვერ იყიდი ამას. ეს

ვართ ჩვენ. თორაში წერია, შენი შემოსავლის მეათედი ქოენს მიეციო, მაგრამ სად არის! არავინ არაფერს იძლევა.

უმცროსი შვილი, ლერი, ლენინგრადში მყავს. ის ყველაფერს ასრულებს, რასაც ჩვენი რჯული გვავალებს, შაბათობით ლოცავს ჯამაათს. უფროსი ამაში ცოტა მოიკოჭლებს, ვერ ახერხებს.

ხუთშაბათი

29

ისევ ჩვენს ებრაულ სახლში ვიყავი. კრება იყო და ყველა სამსახურმა ანგარიში ჩააბარა, რა გაკეთდა წლის განმავლობაში. არის სამედიცინო სამსახური, რომელიც წამლებით ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს. ინვენტარს აძლევენ: ჯოხებს, ეტლებს, საკვებს... ეხმარებიან გაჭირვებულებს, რომლებიც სახლიდან ვერ გამოდიან და მწოლიარეები არიან. მათ საჭმელს უგზავნიან. არის საბავშვო პროგრამის სამსახური, სადაც 250 ბავშვია აღრიცხვაზე. ამ სამსახურს ევალება მათი კვება, მოვლა, ზრუნვა მხატვრობის, ენის შესწავლაზე და სხვა. არის პატრონაჟის სამსახურიც, რაც დავრდომილი პირების მოვლას ითვალისწინებს: დაბანას, კვებას, რეცხვას, ყველაფერს... ძალიან დიდი საქმე კეთდება ამ სახლის მეშვეობით. დავლოცე ყველა, ვინც იქ მუშაობს, და წამოვედი.

პარასკევი

30

საღამოს შემობრძანდება ძალიან დიდი დღესასწაული, რომელსაც ჰქვია „ბეშალახ“, ანუ „წადით“. ეს ის დღეა, როდესაც ფარაონმა უთხრა ებრაელებს, წადითო... მომშორდითო!

ივნისი

ვაშინგტონში ვიზიტად მყოფმა საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა რადიო თავისუფლების კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ხელისუფლება „მახედ“ მიიჩნევს რუსეთის ბაზარს და დროებით აჩერებს მოსკოვთან დიალოგს ვაჭრობის საკითხებზე.

ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრ ვერშბოუმ და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა თბილისში იმსჯელეს საქართველოს მიერ ნატოს უელსის სამიტზე მიღებული „არსებითი პაკეტის“ შესრულების პროცესზე, რის შემდეგაც ვერშბოუ შეხვდა საპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ლიდერებს.

უფლებადამცველმა ორგანიზაცია „ჰიუმან რაიტს უოჩმა“ გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტრ თამარ ბერუჩაშვილის განცხადების შემდეგ, თითქოს რუსეთის შესახებ მისი ნათქვამი რადიო თავისუფლების კორესპონდენტის მიერ არასწორად იყო ინტერპრეტირებული, რადიო თავისუფლებამ გამოაქვეყნა მინისტრთან ინტერვიუს შესაბამისი ნაწილის აუდიოჩანაწერი.

ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდერ ვერშბოუ თბილისში შეხვდა გიორგი მარგველაშვილს და დაესწრო საჩვენებელ წვრთნას ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე.

ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრები გიორგი კვირიკაშვილი და კახა კალაძე კიევში შეხვდნენ უკრაინის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრს აივარას აბრომავიჩუსს.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ გამოაქვეყნა კრიზისის დაძლევის გეგმა სახელწოდებით „36 ნაბიჯი ევროპული საქართველოსთვის“.

გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის დეპუტატი თამაზ ავდალიანი.

თბილისში გაიმართა პროექტ „პანორამა თბილისის“ მოწინააღმდეგეთა საპროტესტო მსვლელობები.

„პატრიოტთა ალიანსის“ თაოსნობით თბილისში მოეწყო აქცია, რომლის მონაწილეებმაც მოითხოვეს სამართლიანობის აღდგენა, ნაციონალური მოძრაობის წევრთა დასჯა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვა.

ბათუმში გაიმართა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანჩხალოს მცხოვრებთა საპროტესტო მსვლელობა მეწყერსაშიშ ზონაში ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა ცხინვალში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ ადგილობრივ დონეზე „სახალხო შეთანხმების“ შემდეგ მოსკოვში გაიგზავნა რუსეთთან „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის ახალი ხელშეკრულების პროექტი“.

31 შაბათი

წმინდა შაბათი. 10 მცნებიდან პირველია: მე ვარ ღმერთი, არ ახსენო ღმერთის სახელი ფუჭად... მეოთხეა შაბათი. ღმერთთან შაბათი ისე ახლოს არის, რომ ის წმიდათაწმიდა დღეა. მერე მოდის მშობლები: პატივი ეცი მშობელ დედას შენსა და მამას... მაგრამ წინ არის შაბათი, ამხელა დღეა შაბათი. მეექვსე დღეს შექმნა ღმერთმა ადამიანი, პარასკევს, მეშვიდე დღეს, შაბათს, დაისვენა და უთხრა ადამიანს, მე დავისვენე და შენც დაისვენეო. იმხელა დიდება აქვს ადამიანს, ცოტა ჭკუაზე რომ მოვიდეს, რამხელა არსებაა... შაბათს ოჯახს არ უნდა მოშორდე. რატომ? იმიტომ რომ ოჯახში უნდა იყო, შვილებს მიხედო. მთელი კვირა, ექვსი დღე მუშაობ, მაგრამ შაბათს, მთელი დღე სახლში ხარ და უნდა მიაქციო ყურადღება ცოლს, შვილს, მეურნეობას გადახედო. არ უნდა მოშორდე სახლს ერთ კილომეტრზე მეტით. შაბათზე გაუთავებლად შეიძლება ლაპარაკი.

შაბათს დილიდან მივდივართ სალოცავად სინაგოგაში. „გამობრძანდება“ გრაგნილები და ვკითხულობთ შვიდ ლოცვას. პირველი ადის ქოენი, ის წაიკითხავს ნაწყვეტს, დალოცავს დამსწრე ჯამაათს, პირველ ყოვლისა, მოიხსენიებს მიცვალებულებს, მერე დალოცავს თავის ცოლ-შვილს, ვინც ჰყავს ცოცხალი, და ჩამოვა. და ასეა შვიდი ლოცვა: შვიდი ადამიანი უნდა ავიდეს.

საღამოსაც ასეთივე ლოცვაა. ისევ „გამობრძანდება“ გრაგნილი, ისევ წაიკითხება სამი ნაწყვეტი. შემდეგ ვატარებთ სპეციალურ ლოცვას და ვაკურთხებთ სანელებლებს: ღვინოს და სანთელს. მერე, ვისაც რა შესაძლებლობა გვაქვს, ვაკეთებთ ყველაზე კარგ კერძებს, გემრიელ კერძებს. აუცილებლად უნდა იყოს თევზი, ხორცი, კარგი ხილი, კარგი ღვინო, კარგი ტკბილეული. მოკლედ, ყველაფერი საუკეთესო, რაც არის და, რაც შეგიძლია, უნდა გააკეთო და მიუძღვნა შაბათს, იმიტომ რომ შაბათზე დიდი დღესასწაული ჩვენ არ გვაქვს.

ნათია გვიანიშვილი

ფემინისტი აქტივისტი. დაიბადა 1986 წლის 30 აპრილს თბილისში. დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენების ფაკულტეტი იტალიანისტიკის განხრით. თსუ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მაგისტრი გენდერის კვლევაში. 2011 წელს, სხვა აქტივისტებთან ერთად, დააარსა „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი“, პირველი არაფორმალური ფემინისტური კოლექტივი საქართველოში. იკვლევს ტრანსგენდერ პირთა მდგომარეობას საქართველოში, ასევე ინტერნალიზებული ჰომოფობიის საკითხებს ქართულ ლგბტ თემში. ამჟამად „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ დირექტორია; მუშაობს ლგბტ და გენდერის საკითხებზე.

ინტერვიუ

კვირა

ბაკურიანში ვარ. ინტეგრირებული, ანუ, როგორც ნინო ამბობს ხოლმე, გაშინაგნებული უსაფრთხოების უორკშოპს ვატარებთ. ეს ახალი მიმდინარეობაა ქალთა მოძრაობაში და ემყარება ძალიან მარტივ პრინციპს: უფლებადამცველი ქალები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები ვართ; ჩვენი რესურსიც იწურება და მნიშვნელოვანია, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა ვისწავლოთ. სივრცე, რომელიც ამ უორკშოპების დროს იქმნება, საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ რისკები, დავსახოთ სტრატეგიები, ვისწავლოთ ერთმანეთისგან.

მე და ნინო ხარჩილავას, რომელიც ამ უორკშოპებში ჩემი მეწყვილე და, ამავე დროს, ახლო მეგობარია, ძალიან გვიყვარს ეს საქმე. თითოეული ასეთი შეკრება ახალი პლატფორმაა, სადაც ერთმანეთს გამოცდილებას ვუზიარებთ, ქალებს შორის ახალი ქსელები იქმნება და ეს ყველაფერი ეფუძნება ემოციას, ღიაობას, ადამიანების შინაგან სამყაროს და არა ჩვენი სამუშაოს ფორმალურ მხარეს.

„ქალთა ფონდმა საქართველოში“ ამჯერად შეკრიბა ეთნიკურად, ასაკობრივად, სოციალური სტატუსით, გამოცდილებით და ბევრი სხვა ნიშნით მრავალფეროვანი ჯგუფი და თითოეული ეს ქალი ენერგიის ისეთი წყაროა ჩემთვის, რომ დაჯერებაც კი მიჭირს.

დღეს ორი თემა განიხილება: ძალაუფლება და ჩვენი ემოციების კავშირი ჩვენსავე სხეულთან. ეს მეორე საკითხი გან-

1

„დემოკრატიულმა მოძრაობამ“ „მექანიკური შეცდომა“ უწოდა პარტიის ლიდერ ნინო ბურჯანაძის მიერ ხელისუფლების კრიტიკის დროს სიტყვა „დაუნიზმის“ გამოყენებას და განაცხადა, რომ ის ბოდიშს იხდის.

შს მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ უარყო გავრცელებული ცნობები, თითქოს ახალმა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა მოითხოვა სია „გახმაურებულ საქმეებთან“ და ნაციონალურ მოძრაობასთან კავშირის მქონე თანამშრომლებისა, რომლებსაც ვითომდა სამსახურიდან დათხოვნას უპირებენ.

საკუთრებით გვიყვარს მე და ნინოს. მონაწილეები ხატავენ საკუთარ სილუეტს და სიმბოლოებით ან სიტყვებით აღნიშნავენ, რომელ ემოციას სხეულის რომელი ნაწილით ატარებენ. შედეგები საოცარია: ზოგი სევდას გულის გარშემო მოძრავ ჭიად ხედავს, ზოგი ტკივილს საფეთქელში ჩაჭედებულ ლურსმნად აღიქვამს, მაგრამ ამ ნახატებს რომ უყურებ, ბევრ საერთოსაც პოულობ. მაგალითად, ხვდები, რომ გამოთქმა „მხრებით სამყაროს ტარება“ საფუძველს მოკლებული არ არის. თურმე რამოდენა სიმძიმეს ვატარებთ მხრებით ყველანი!

2 ორშაბათი

პროკურატურამ გახსნილად გამოაცხადა 2006 წლის მაისში თბილისის კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის საქმე და განზრახ მკვლელობისა და მტკიცებულებათა გაყალბების ბრალდებებით დაკავა 11 პირი, მათ შორის პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნები.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე ბრალდებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის, ლევან ჩაჩუას პროცესზე მოსამართლემ წაიკითხა მისთვის ერთ-ერთი პატიმრის მიერ გაგზავნილი წერილი, რომელშიც ეს უკანასკნელი ირწმუნება, რომ ჟვანია და რაულ უსუფოვი თელავის რაიონში მოკლეს.

46 არასამთავრობო ორგანიზაციამ ერთობლივად დაგმო და მუქარის შემცველად შეაფასა ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ ის იკვლევს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერთა საქმიანობას.

საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილსა და მის მეუღლეს მაკა ჩიჩუას ვაჟი შეეძინათ.

დღეს თბილისში ვბრუნდებით. გული კი გვწყდება, მაგრამ, ამავე დროს, სიახლისა და იმედის მუხტი მოგვყვება. გზაში ვიგებ, რომ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ არ დააკმაყოფილა ჩვენი – ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის სარჩელი საბი ბერიანის მკვლელობის გაშუქებასთან დაკავშირებით. ცუდ გუნებაზე ვდგები. მესმის, რომ მსგავსი შემთხვევა არ გვქონია და ჟურნალისტებმა არ იციან, როგორ ილაპარაკონ ტრანსგენდერ ადამიანზე მისი კიდევ ერთხელ გარიყვისა და დისკრიმინაციის გარეშე. მაგრამ, როცა დედა ტელევიზიით იგებს, რომ შვილი მოუკლეს, ნუთუ ეს არაფერია?! ასევე არაფერი ყოფილა ჟურნალისტის გააზრებული თუ გაუაზრებელი მცდელობა, ჩაუღრმავდეს ადამიანის პირადი ცხოვრების ისეთ დეტალებს, რასაც მომხდარ ტრაგედიასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მაშ, არავინ ყოფილა დაცული. არც სიკვდილის შემდეგ. ეს არის რეალობა, რომელშიც ვბრუნდები.

ოფისში მივდივარ, იქ მხვდებიან მაგდა კალანდაძე – ჩვენი რედაქტორი, ციალა რატიანი – ჩვენი ადვოკატი, ანა გუნია – ჩვენი ოფისის მენეჯერი, ანი გიორგაძე – ჩვენი სათემო ოფიცერი და ჩვენი კატა – კატო. ჰო, კატოს საქმიანობა ძირითადად იმით შემოიფარგლება, რომ მაგიდებიდან რაღაცებს გვიყრის, შემდეგ კი ისეთ სასაცილო პოზაში წვება და ისეთი თვალებით გვიყურებს, რომ ვერც კი ვუბრაზდებით. თუმცა, გარდა ამისა, ის ეფექტურად გვიხსნის სტრესს და მშვენივრად ახერხებს დაძაბული სიტუაციების განმუხტვას.

ელექტრონულ ფოსტას ვხსნი და მუშაობას ვიწყებ. ჩემთვის ტელეფონის ზარები უფრო შფოთვისმომგვრელია, ვიდრე გახსნილ ინბოქსში 30 (ან მეტი) წაუკითხავი წერილი...

რამდენიმე საათში საბის დედა მოდის, მას იურიდიულ დახმარებას ვუწევთ. ერთად ვსხდებით და ვსაუბრობთ მიმდინარე მოვლენებსა და სამომავლო ნაბიჯებზე. საბის ვიხსენებთ. წასვლის წინ გვეუბნება, იცოდეთ, 8-ში გელოდებითო. ჩამოვალთ-მეთქი, ვპირდები ისევ. 8 თებერვალს საბი ბერიანს 24 წელი შეუსრულდებოდა.

ამასობაში ექვსი საათი მოდის და მე „ფემინსტრიმის“ საორგანიზაციო შეხვედრაზე უნდა გავიქცე. „ფემინსტრიმი“

ახალი პროექტია, რომელსაც, ჰაინრიხ ბიოლისა და ქალთა ფონდების მხარდაჭერით, რადიო თავისუფლების ეთერში მარინა ვაშაყმაძესთან ერთად გავუძღვებით რამდენიმე ფემინისტი აქტივისტი: ეკა იმერლიშვილი, იდა ბახტურიძე, დაკო ბახტურიძე, ლილი მამულაშვილი, ბაია პატარაია და მე. პროექტის მიზანია ფემინიზმთან დაკავშირებით არსებული სტერეოტიპების დარღვევა და იმის ჩვენება, რომ „ფემინიზმი“ შეიძლება უცხო სიტყვა იყოს, მაგრამ მისი შინაარსი ჩვენი საზოგადოებისთვის აქტუალური და მნიშვნელოვანია.

პროფესიით ჟურნალისტი არც ერთი არ ვართ და ქალბატონი მარინასგან ბევრს ვსწავლობთ. მახსენდება, რამდენად სასიამოვნოა იმის სწავლა, რაც გაინტერესებს. ოღონდ გამოცდების ჩაუბარებლად.

მოკლედ, შურდულივით გავვარდი ოფისიდან და შეხვედრისთვის მოსამზადებელ დავალებას, სამარშრუტო ტაქსიში ფეხზე მდგომი, ზეპირად ვწერ. რადიო თავისუფლების ოფისში შევდივარ და ვხვდები, რომ მთელი დღე არაფერი მიჭამია.

სამშაბათი

როგორც იქნა, მშვიდი დღეა! სამსახურში ადრე მივდივარ. საერთოდ, როცა შემიძლია, ვცდილობ, ადრე მივიდე, რომ ცოტა ხანს სულ მარტო ვიყო. ამ დროს ან ვმუშაობ, ან ვცდილობ აკუსტიკური ბლუზისა და ბლუგრასის დაკვრა ავითვისო. ან ფოტოგრაფიაზე ვკითხულობ რაღაცებს და ჩემს ფირიან „პენტაქსს“ ვაჩხაკუნებ.

ეს რიტუალი მას შემდეგ ამოვიჩემე, რაც ერთი წლის წინ დეპრესიაში ჩავვარდი და, სრულიად გამოფიტულმა, ფსიქოთერაპევტს მივაკითხე. თერაპიის დროს აღმოვაჩინე, რომ აქტივიზმის გარდა, პიროვნების სხვა განზომილებები თითქმის დაკარგული მქონდა. აღარ მახსოვდა, რომ სხვა ინტერესებიც მაქვს, რომ მუსიკა მიყვარს და დაკვრა ერთ დროს სიამოვნებას მანიჭებდა, რომ ფოტოგრაფია მაინტერესებს და ენების შესწავლა კმაყოფილებას მგვრის. მივხვდი, რომ, თუ მინდა გადავრჩე, როგორც პიროვნება, სიამოვნებას და სიახლეს დრო უნდა დავუთმო. ზოგადად, თერაპია ძალიან დამეხმარა, ამიტომ ყველას ვეუბნები ხოლმე, რომ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ფიზიკურზე, და დახმარების თხოვნა სისუსტე სულაც არ არის.

ცოტა ხანში ეკა აღდგომელაშვილი მოდის, დაღლილი და უამრავსაქმეაკიდებული, როგორც ყოველთვის. მას შემდეგ, რაც გავიცანი, 2009 წლიდან, ეკა ჩემთვის მნიშვნელოვან საყრდენად და მოტივატორად იქცა. თუ დღეს აქტივისტი ვარ, მისი დამსახურებაა. ეს არის ადამიანი, რომლისგანაც ძალიან ბევრს ვსწავლობ; ეს არის ადამიანი, რომელსაც ადამიანები უყვარს და ეს ყოველთვის ჩანს მის საქმიანობაში.

სამუშაოდ ვსხდებით. კატო მაგიდაზე წევს და თავი ჩემს დღიურზე უდევს.

3

2006 წლის „კორტების სპეცოპერაციის“ საქმეზე დაკავებულ 11 პირს პროკურატურამ განზრახ მკვლელობისა და მტკიცებულებათა გაყალბების ბრალდება წაუყენა.

თბილისში, ნაციონალური მოძრაობის ოფისთან გამართული საპროტესტო აქციის დროს პოლიციამ ხულიგნობის ბრალდებით დააკავა ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ექვსი წევრი.

აფხაზური მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ, თითქოს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელი ჰერბერტ ზალბერი სოხუმში ოფისის გახსნის შესაძლებლობით დაინტერესდა, თბილისის საგარეო უწყებამ განაცხადა, რომ ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ნებისმიერი ოფისის გახსნა შეთანხმებული იქნება ქართულ მხარესთან.

ოთხშაბათი

პროკურატურამ ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუფოვის გარდაცვალების საქმეზე უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და მტკიცებულებათა გაყალბების ბრალდება ნაუყენა ყოფილ გენერალურ პროკურორს მამუკა გვარამიას და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის ყოფილ მოადგილეს როსტომ ლაზარიას.

„კორტების სპეცოპერაციის“ საქმეზე დაკავებულ პირებს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღმკვეთ ზომად პატიმრობა შეუფარდა.

ბრიუსელში გაიმართა თავდაცვის მინისტრ მინდია ჯანელიძის შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერა კანონს ოკუპირებულ აფხაზეთთან გაფორმებული „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების“ რატიფიკაციის შესახებ.

„უორლდ ვიჟენის“ ოფისში მივდივარ, გენდერული ძალადობის დაძლევის პროექტში ექსპერტად ამიყვანეს. საინტერესო პროექტია. საქმე არ მაკლია, მაგრამ ვხვდები, რომ კონკრეტულ სფეროში ჩაკეტვა რეალობის შეგრძნებას მაკარგვინებს. ამიტომ გარემოსთან კავშირის აღსადგენად მჭირდება ვნახო, რა ხდება სხვაგან, მაგალითად, რეგიონებში, და ჩემი ძალები რაღაც უფრო ახალში მოვსინჯო.

თავი ამტკივდა. არადა, ამის დრო არ მაქვს. ასე რომ ამტკივდება, დედა გადმომხედავს ხოლმე და მეტყვის, რაღა მაინცდამაინც ეს გამოგყვა ჩემგანო?! ამაზე ვპასუხობ, რომ მისგან გაცილებით მეტი გამომყვა, მაგალითად, სიმაღლე (რომელიც მერჩივნა, მამაჩემისა მქონოდა), სიჯიუტე, ამტანობა, ადამიანების პატივისცემა და თანაგანცდის უნარი (ეს ბოლო ორი მამაჩემისგანაც მაქვს გამოყოლილი). ამაზე ორივეს გვეცინება და დედა მეკითხება ხოლმე, ახლა მე მაქებ თუ თავს იქებო?

ინტერნეტით ვიგებ, რომ 15 თებერვალს ქუთაისში ლია უკლებას გამოფენა ეწყობა. ლია ბაკურიანში გავიცანი და მიხარია, იმიტომ რომ დღევანდელ ქართულ ხელოვნებას სრულიად არაფრისმთქმელად ვთვლი. სულ თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებს ვიცნობ, მათ შორის ლიას, რომლებიც მართლა სიღრმიდან იღებენ თავიანთ ნამუშევრებს და მათში არც რაიმე კონკრეტული შეტყობინების ჩადებას ერიდებიან.

ამაზე ვფიქრობ და ისე ემთხვევა, რომ ანუკ ბელუგამ და იდამ „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის“ გვერდზე დაიწყეს ლაპარაკი ლიას გამოფენის თბილისში მოწყობაზეც. გადაწყვეტილია, ნემსის ყუნწში გავძვრებით, მაგრამ გამოფენა მოეწყობა და უფრო მეტ ადამიანს მიეცემა საშუალება, ლია უკლება გაიცნოს.

გულანთებული მივდივარ სახლში. ამჯერად მშობლებთან. ამ ბინაში გავიზარდე. ჩემი ოთახი პატარაა, მაგრამ მიყვარს. ყველაფერი მნიშვნელოვანი ჯერ კიდევ აქ არის, ყველა ის წიგნი და თოჯინა, რომლებმაც 90-იან წლებში ნავთის ლამპის შუქზე გატარებული საათები გადამატანინა.

მალე დედაჩემი მოდის და დაღონებული მიყვება კნუტზე, რომელსაც მანქანამ დაარტყა და სახელმწიფო თავშესაფარში წაიყვანეს. იქ თათის ამპუტაცია უნდა გაუკეთონ, მერე კი აპირებენ ისევ ქუჩაში გაუშვან, თუმცა იციან, რომ იქ ვერ გადარჩება. დედას ვამშვიდებ და ვეუბნები, რომ მე მივხედავ, ხვალ ვეტერინართან წავიყვან, ვუმკურნალებ და მერე დედას მოვუყვან ან სხვა, კარგ პატრონს ვუპოვი. დედა მშვიდდება.

თამთა მელაშვილს ველაპარაკები სკაიპით. დიდი ხანია, არ მინახავს და მენატრება. ისევ წერს, რაც ძალიან მახარებს. საოცარია, მე და თამთა რადიკალურად განვსხვავდებით ერთმანეთისგან, მაგრამ ამდენი წელია, ეს ადამიანი სიმშვიდეს მგვრის და კრიტიკულ მომენტებში ახერხებს ღრმა ჭაობიდან

ამომიყვანოს. უმისოდ ყოფნა საერთოდ ვერ წარმომიდგენია.

კმაყოფილი ვიძინებ.

ხუთშაბათი

5

დღესაც ვერ ავდექი ადრე. არადა, იმდენი საქმე მაქვს!.. გამოკვლევის ტექსტი გადასაკითხია, პრეზენტაციები – გასაკეთებელი, ანგარიშები – გასაგზავნი, მე კი არხეინად მძინავს ათის ნახევრამდე.

ყავას ვისხამ, კომპიუტერთან ვჯდები და ვიგებ, რომ ფისო, რომლის გადარჩენასაც ასე ვცდილობდით, ვერ გადარჩა. დედას ვეუბნები. ვამშვიდებ. მეც მეტირება. ასეთ დროს უიმედობის განცდა მეუფლება, იმდენი რამ არის მოსაგვარებელი ამ ქვეყანაში, რას მოვკიდო ხელი, აღარ ვიცი.

გავრბივარ სამსახურში. ვესალმები ეკა წერეთელს, რომელიც დღეს გვესტუმრა, დავრბივარ ერთი ოთახიდან მეორეში. თავში ქაოსი მაქვს.

შვიდ საათზე შვედეთის ელჩთან მივდივარ მიღებაზე. სახლში მალინს მოვყავარ მანქანით. მალინი შვედურ ფონდ „კვინა ტილ კვინაში“ მუშაობს. უკვე მესამე წელია, მათთან ვთანამშრომლობთ. მშვიდი და ნათელი ადამიანია, გზად ვსაუბრობთ ბევრ რაღაცაზე: კატებზე, განათლების სისტემაზე, ტყეზე, სიმშვიდეზე. იშვიათად მინახავს ადამიანები, რომლებიც შვედებივით აფასებენ ბუნებას და უვლიან მას. ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ შვედეთის დიდ ქალაქებშიც კი ტყე სულ რაღაც ორ ნაბიჯზეა. შვედეთი ხშირად მენატრება. ამ მონატრებას იმით ვიქარწყლებ, რომ შვედურ აუდიოწიგნებს ვუსმენ, შვედ მეგობრებთან ერთად ყავის დასალევად გავდივარ, მაგრამ არაფერი შეედრება იმას, როცა სტოკჰოლმის მშვიდ ქუჩებში დაადგამ ფეხს და იმ განსაკუთრებულ სუნს იგრძნობ, რომელიც ყველა ქალაქს თავისი აქვს.

პარასკევი

6

სამსახურში მოვდივარ. მალე ნინო მოვა, ოფისს მოაწესრიგებს, ჩვენთან ერთად ყავას დალევს. ვემზადები „ფემინსტრიმისთვის“, დღეს საცდელი ჩაწერა გვექნება. მუცლის ღრუში სიახლის სასიამოვნო შეგრძნება მიჩნდება.

რადიო თავისუფლებაში მისულები, დიდხანს ვმუშაობთ, იმიტომ რომ სატრენინგო ნაწილი დასრულდა. მომდევნო კვირიდან გადაცემების ციკლი იწყება. პირველი ჩემია და ცოტა ვღელავ. მგონია, რომ დავალებას თავი ვერ გავართვი. არადა, საბოლოოდ კარგი გამოდის. ძალიან თბილი და კარგი გარემოა „ფემინსტრიმის“ შეხვედრებზე, ძალიან ხშირად ცოცხალი კამათი ჩაღდება ხოლმე, მაგრამ ერთმანეთს ყოველთვის ვაქებთ, მხარს ვუჭერთ. ეს არის, ჩემი აზრით, ქალთა სოლიდარობის საწყისი. ჩვენ ხომ ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ!

აქედან მაგდასთან წავალ, გლინტვაინს შემპირდა. ერთი ჭიქა ნამდვილად არ მაწყენს...

მოვლენები

ბრიუსელში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა, რომელზედაც იმსჯელეს „არსებითი პაკეტით“ გათვალისწინებული პროგრამის მიმდინარეობაზე.

პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა უმცირესობის ინიციატივას „გახმაურებული მკვლელობების“ შესასწავლად პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ.

შს მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, რომ „გარკვეულ ძალებს“ სურთ საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობა, მაგრამ ხელისუფლება არ დაუშვებს „უკრაინის მსგავს არეულობას“.

„პანორამა თბილისის“ პროექტის მოწინააღმდეგეებმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიტანეს პეტიცია პროექტის სხვა ტერიტორიაზე განხორციელების მოთხოვნით.

მიუნხენში გაიხსნა უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი 51-ე საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მონაწილეთა შორის არის საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე ბრიუსელში შეხვდა აშშ-ის სამხედრო უწყების ხელმძღვანელს ჩაკ ჰეიგელს.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ გოგი ფაცაციამ გალში აფხაზურ მხარესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად გაზაფხულზე გაიხსნება აჩადარაში, გუმისთაში, ხონსა და ვაზიანში მდებარე რამდენიმე სამარხი.

ფოთის მერიასთან აქცია გამართეს მეთევზეებმა, რომლებმაც გა-

ნაცხადეს, რომ რეწვისას თურქებთან არათანაბარ პირობებში არიან და მოითხოვეს შესაბამისი კანონის გადასინჯვა.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სიტყვით გამოვიდა მიუნხენის კონფერენციაზე და შეხვდა აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის თავმჯდომარეს, ყოფილ სახელმწიფო მდივანს მადლენ ოლბრაიტს.

გარდაიცვალა 23 იანვარს ბორჯომში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრილი პოლიციელი გიორგი ბერუაშვილი.

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ერთა თასის გათამაშების პირველ შეხვედრაში სტუმრად დაამარცხა გერმანიის ნაკრები – 64:8.

7 შაბათი

წესით, დღეს ნებივრობის დღე უნდა მქონდეს. სამზე რადიო თავისუფლებაში დღიურების ჩაწერაა. შემდეგ ალიას სადმე კარგ ადგილას წავიყვან, ალბათ, ფუნიკულიორზე. ერთად ყოფნის სამი წლისთავი უნდა აღვნიშნოთ, თან თითქმის ერთი წელია, რაც საქართველოში გადმოვიდა. კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც ჩვენი გარემოს სისასტიკის გადატანაში მეხმარება.

ლია ჯაყელს და სხვა მეგობრებს ვეხმიანები, ხვალინდელ გეგმებს ვარკვევ. ხვალ ველისციხეში მივდივართ, საბის დედასთან ერთად მისი დაბადების დღეს აღვნიშნავთ. ლიაც მოდის, დოკუმენტურ ფილმს იღებს. მიყვარს ლიას ფილმები. ძალიან ადამიანურია. როცა ვუყურებ, ვხვდები, რომ რეჟისორს თავისი გმირები უყვარს და მათ პატივს სცემს.

მოკლედ, ასე. წავედი. ჰო, კატებისთვის საჭმლის ყიდვა არ უნდა დამავიწყდეს!

ცოტნე გამსახურდია

პოლიტოლოგი. დაიბადა 1976 წლის 5 აგვისტოს თბილისში. სასკოლო ასაკიდან ჩართული იყო ეროვნულ მოძრაობაში. 1992 წელს, მამის, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობის ძალადობრივი დამხობის შემდეგ, რამდენიმეჯერ აღმოჩნდა ხანგრძლივ დევნილობაში. დაამთავრა მოსკოვის (რუსეთი) მორის ტორეზის სახელობის ლინგვისტიკის უნივერსიტეტი კულტურათაშორისი ურთიერთობების სპეციალობით, კიევის (უკრაინა) საერთაშორისო უნივერსიტეტი პოლიტოლოგიის განხრით. მუშაობდა ბათუმის მერიაში საგარეო-ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელად, ეწეოდა კომერციულ და საქველმოქმედო საქმიანობას თბილისში. რამდენიმეჯერ იყო დაპატიმრებული პოლიტიკური და არაპოლიტიკური ბრალდებებით. 2012 წელს, პრეზიდენტ სააკაშვილის შეწყალების საფუძველზე, ციხიდან გაათავისუფლეს. არის არაერთი პუბლიკაციის ავტორი ქართულსა და უცხოურ პრესაში, ბლოგერი, ეწევა უფლებადაცვით და საქველმოქმედო საქმიანობას. პერიოდულად ამზადებს მიმდინარე პროცესების პოლიტიკურ ანალიზს, თარგმნის პოეზიასა და პროზას ინგლისური, რუსული და გერმანული ენებიდან.

8

იური ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს პოლიციელი გია სოსანაშვილი.
ირაკლი ღარიბაშვილი მიუნხენში შეხვდა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს ჯო ბაიდენსა და ავღანეთის პრეზიდენტს აშრაფ ღანის.

კვირა

არასდროს გამომდიოდა დღიურების წერა. რამდენჯერაც დავიწყე, იმდენჯერ მალევე დავანებე თავი. მთავარი მიზეზი ალბათ ის იყო, რომ როდესაც საკუთარი რეალობის ქაღალდზე გადატანას იწყებ, ხელოვნურობის, კოსმეტიკის ელემენტი შემოდის. ან დაწერილს ალამაზებ, ჩქმალავ შეუხედავს, ან ცხოვრება კარგავს ბუნებრიობას დაკვირვებისას. არც ის მგონია, სრულიად გულწრფელი და რეალისტური დღიური ოდესმე ყოფილიყო ვინმესთვის საინტერესო... ხომ ამბობდა აკუტაგავა, ცხოვრება ასანთსა ჰგავსო: მისი სერიოზულად აღქმა სისულელეა, არასერიოზულად მიდგომა – საშიში. ჩემს აღქმაშიც იგი, ერთი მხრივ, გაცნობიერებული, სერიოზული პროცესია, მეორე მხრივ – ბუნებრივი, წარმავალი და ილუზორული. ძალზე ძნელია ამ ორი ასპექტის სინთეზის სწავლა და შემდეგ – ქაღალდზე გადატანა. განუსაზღვრელობის პრინციპი, ვფიქრობ, არა მხოლოდ კვანტურ, არამედ ფსიქიკურ სამყაროშიც მოქმედებს. ამიტომ არ ვწერ დღიურებს. იქნებ ამ ეპიზოდური და შეზღუდული ფორმატის ჩანაწერებით ერთი ჩვეულებრივი, თუმც მრავლისმნახველი ადამიანის შესახებ სხვებს რაღაცით დავეხმარო სირთულეებთან გამკლავებაში... სწორედ ამიტომ, ჩემი დღიურები აბსოლუტურად სუბიექტური იქნება და არა რეპორტაჟის სტილით დაწერილი, მაგრამ ამავდროულად – ბუნებრივი და ავთენტიკური.

საღამოს შევიტყვე იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ეჭ-

ვმიტანილის დაკავების შესახებ. ბრავო! კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თუ არის პოლიტიკური ნება, ხელისუფლებას დიახაც ძალუძს, ნებისმიერი საქმე გამოიძიოს... დაკავებული „სამართალდამცველთა დაცვის ლიგის“ წევრი და მოქმედი პოლიციელია. ვინ იცის, კიდევ რამდენი პოტენციური და ფაქტობრივი დამნაშავეა სამართალდამცველებში მოკალათებული და როდის გვეყოლება ჭეშმარიტად პროფესიონალი, დეპოლიტიზებული და დეკრიმინალიზებული პოლიცია?

9 ორშაბათი

იური ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ პოლიციელს, გია სოსანაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღმკვეთ ზომად პატიმრობა შეუფარდა.

პარლამენტში პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ტრადიციული გამოსვლის თარიღად განისაზღვრა 18 მარტი.

ვარკეთილის დასახლებაში მშენებარე კორპუსში ლიფტის ჩამოწყვეტის შედეგად დაიღუპა ორი მუშა.

„საქართველოს რკინიგზამ“ გამოაცხადა, რომ ჩამოვიდა პირველი სარკინიგზო კონტეინერები, რომლებიც 29 იანვარს დაიტვირთა ჩინეთში და 6 თებერვალს დაიცალა საქართველოში.

ღამის სამ საათზე დავიწყე არსენი ტარკოვსკის, რეჟისორ ანდრეი ტარკოვსკის მამის ლექსის თარგმნა. როგორც წესი, თარგმანს ფეისბუკზე ვდებ ხოლმე ორიგინალთან ერთად – საზოგადოების სამსჯავროზე. ზოგი კი ამბობს, ორიგინალს სჯობსო, მაგრამ არ ვეთანხმები. უბრალოდ, ვეცადე აზრი და მელოდიურობა შემენარჩუნებინა... საერთოდ, ლექსის თარგმნის სპეციფიკა პროზისგან სრულიად განსხვავდება. როგორც ერთი პოეტი ამბობდა, თარგმნა არსებობს პროზაში, ლექსში კი პაექრობააო. მთარგმნელი ახალ ლექსს წერს, ფაქტობრივად. თუმც საკუთარი ლექსი არასდროს დამიწერია... ვნახოთ, ასს რომ მიაღწევს რაოდენობა, ალბათ გამოცემაზეც ვიფიქრებ.

სხვათა შორის, ჩემი აზრით, საუკეთესო თარგმანები ციხეში, ხანგრძლივი შიმშილობის დროს გავაკეთე: როდესაც ცნობიერება სუფთა და აუმღვრეველი იყო. მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა...

მთელი დღეა ათასგვარ რუტინულ და საყოფაცხოვრებო საქმეებზე დავდივარ. აკი ვთქვი, რეპორტაჟული სტილი არ იქნება-მეთქი, მაგრამ, მიხოზე ვულგარული ანეკდოტისა არ იყოს, ამ სახლში ყველა საქმე მართლა ჩემი გასაკეთებელია! :) ახლა, საღამოსკენ, მოვედი აუზზე. დღეს მძიმე და ინტენსიური ვარჯიში მელის. ვნახოთ, როგორ გავუძლებ. კვირაში სამოთხ დღეს სპორტს ვუთმობ. მესამე წელი დაიწყო, რაც ციხიდან გამოვედი და ჯერ კიდევ არ მეთქმის ჯანმრთელი, მაგრამ, საბედნიეროდ, სერიოზული პროგრესი მაქვს. შეიძლება ითქვას, გამიმართლა, რომ ჩვენს განუვითარებელ ქვეყანაში, სადაც პრაქტიკულად არ არსებობდა რეაბილიტაციის ცენტრი, საჭირო ხალხს მივაგენი ბევრი შეცდომის გარეშე. და, რაც ყველაზე საინტერესოა, საჭირო თანამიმდევრობით, რის შესახებაც თავადაც არ მქონდა გაცნობიერებული გეგმა. მიხარია, რომ ორმოც წელს მიღწეულ და მრავლისგამომვლელ კაცს შენარჩუნებული მაქვს აღდგენის უნარი. პრაქტიკიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ფიზიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვანწილად გონებრივი მდგომარეობა განაპირობებს. ოპტიმიზმი, შეუპოვრობა, სიღრმისეული სიმშვიდე და მიზანდასახულობა ნებისმიერ ბარიერს გადაგალახვინებს.

სამშაბათი

ბორის პასტერნაკის დაბადების დღე ყოფილა დღეს... ნეტ-ში მის ნათარგმნ ტატო ბარათაშვილის ლექსს წავაწყდი: „ცი-სა ფერს, ლურჯსა ფერს“. სიტყვები არ მყოფნის! ვფიქრობ, სჯობს ორიგინალს, სხვათა შორის... იდუმალი, ღრმა და უკუ-ნი სიჩუმე გამოიწვია ჩემში ამ ლექსმა. ვეცდები, არ გაქრეს დღის განმავლობაში. ზეპირად უნდა ვისწავლო აუცილებ-ლად...

საღამოსკენ საავადმყოფოში ვიყავი, სიკვდილის სამეფო-ში... ლეიკემიით დაავადებული ნონა დარბაიძის სანახავად წავედი მეგობართან ერთად. რა კარგი მეგობარი მყავს, ინესა გელაშვილი: სამი შვილის დედა, წესიერი, განათლებული ადა-მიანი, რომელიც საკუთარ ოჯახსაც უძღვება და სხვების და-სახმარებლადაც ყოველთვის პოულობს დროს. ნეტავ ბევრს ვიცნობდე ასეთს...

ვნახეთ, ადამიანი როგორ ელოდება სიკვდილს – ყოველ-გვარი პერსპექტივის გარეშე. ჩვენთან პრაქტიკულად მოუგ-ვარებელია ზრდასრულ ლეიკემიით დაავადებულთა მკურნა-ლობის საკითხი. ჯანდაცვის სამინისტრო და ე.წ. „სოლიდა-რობის ფონდი“ მხოლოდ 21 წლამდე ბავშვებსა და ახალგაზ-რდებს აფინანსებენ.

ვნახე ადამიანი, რომელიც მორჩილად და უდრტვინველად ელოდება დასასრულს. გამოსავალი არ ჩანს. უბრალო, გაუთ-ვითცნობიერებელი ქალი, რომელიც ჩაიკეტა საკუთარ თავში და ყველაფრის გადაწყვეტა სხვებს გადააბარა... „არ ვიცი“... „ჩემმა დამ იცის“... „ჩემმა ქმარმა იცის“... აი, მისი პასუხები... გამოსავალი მხოლოდ უცხოეთში წასვლა შეიძლება იყოს. შე-ვუგროვებ წასასვლელ თანხას...

აქ ყველაფერი გაყიდეს ბინის ჩათვლით, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

ყელში ბურთგაჩხერილი წამოვედი. სამყაროს შევხედე მი-სი თვალებით. დამშვიდობებისას რომ ვუთხარი, გადარჩები-მეთქი, ცრემლები წამოუვიდა. ნეტავ მე როგორ მოვიქცეოდი მის ადგილას? ადრე ერთი ინგლისელის ფოტო ვნახე, რო-მელსაც უკურნებელი სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს: წელი-წად-ნახევარი დამრჩა, ეს ციხიდან გათავისუფლებას ჰგავსო. ვფიქრობ, ამასვე ვიტყოდი. მაგრამ ამ გოგოს მდგომარეობამ გული ცრემლით ამივსო. ეს იგივეა, ლიანდაგზე იყო მიბმული და ელოდებოდე, მატარებელი როდის გადაგივლის. დაახლო-ებით ასე გამოიყურებოდა. ჩემთვის მისი ეს რეაქცია უფრო შემაძრწუნებელი იყო, ვიდრე მისი მდგომარეობა. სპეციალუ-რად ვცდილობ, არ „შევეგუო“ ადამიანის სიკვდილს, მიუხედა-ვად იმისა, რომ ბევრი მინახავს.

ყველაფერს გავაკეთებ, რომ გადავარჩინო...

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა უზენაესი სასამართ-ლოს თავმჯდომარის თანამდებო-ბაზე სხვადასხვა ჯგუფის მიერ წა-მოყენებული 36 კანდიდატის სია.

ირაკლი ღარიბაშვილი ბუდა-პეშტში შეხვდა უნგრეთის პრემი-ერ-მინისტრ ვიქტორ ორბანსა და პარლამენტის თავმჯდომარე ლას-ლო კოვერს.

საგარეო საქმეთა სამინისტ-როსთან გაიმართა „საყდრისის გადარჩენის კომიტეტის“ წევრთა საპროტესტო აქცია, რომლის მო-ნაწილეებიც ხელისუფლებისგან იუნესკოს რეკომენდაციების შეს-რულებას მოითხოვდნენ.

საქართველომ აამოქმედა ვიზე-ბის მიღების ელექტრონული სის-ტემა.

11 ოთხშაბათი

ცოტა ხნის წინ გამომცემლობა „ინტელექტმა“ ჩემი ფეისბუკ-სტატუსების წიგნად გამოცემა შემომთავაზა. დილიდან ვარჩევ მასალებს. რა თქმა უნდა, მათი თავდაპირველი ფორმა სრულად შენარჩუნდება. რეტროსპექტულად თუ გადავხედავთ, ფეისბუკზე სხვადასხვა კატეგორიის ტექსტებს ვათავსებ: აქ არის ლექსებისა და პატარა მოთხრობების თარგმანები ჩემთვის ცნობილი ენებიდან; სტატუსები მძიმე ავადმყოფების დასახმარებლად, სადაც დიდი სამეგობრო წრის რესურსებს ადამიანების გადასარჩენად მივმართავ; არის პოლიტიკური სტატირა და ანალიზი; მოსაზრებები სოციალურ თემებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების, ჩვენი მენტალობის ნაკლოვანებათა შესახებ; სტატუსები (მათ შორის კრიტიკულიც) რელიგიურ თემებზე... ალბათ ძნელია, მათ საერთო მნიშვნელი ვუპოვო, მაგრამ, თუ იგი მაინც არსებობს, ეს საკუთარი მოკრძალებული გამოცდილების საზოგადოებისათვის გაზიარება და მენტალური პროგრესისათვის ხელშეწყობის სურვილია. ამავე დროს, რა თქმა უნდა, არავითარი პრეტენზია არ მაქვს საბოლოო ჭეშმარიტების ფლობაზე.

საერთოდ, ვერ ვიტან ფანატიზმს და იდეფიქსებს. სამწუხაროდ, ხშირად მიწევს არანორმატიული ლექსიკის გამოყენებაც: ძირითადად ფანატიკოსების გამოხდომებზე. საინტერესო რამეა დანინგ-კრიუგერის ეფექტი: როცა ყველა ბრიყვს საკუთარი თავი უცდომელ გენიოსად წარმოუდგენია იმიტომ, რომ მისი თვალსაწიერი ალტერნატივას ვერ სწვდება. გონებაში ჩაჭედილი სულელური დოგმების დაცვა პირადი ღირსების საქმედ ექცევათ და მზად არიან, ყელი გამოგჭრან – ჯერ ვირტუალურად, მაგრამ, საუბედუროდ, არც რეალობაში იტყოდნენ უარს. სწორედ ასეთები ასაზრდოებენ ათასი ჯურის მახინჯ პოლიტიკურ თუ რელიგიურ წარმონაქმნებს. სწორედ ასეთების „კეთილი ზრახვებით“ არის მოკირწყლული ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა... ამიტომ თავისუფალი აზრის, დისკუსიის, ზოგადად, სივრცის არსებობა სრულიად აუცილებელი პირობაა ადამიანისა და ქვეყნის პროგრესისათვის. ყველგან დიდებული ფენომენია კონკურენცია: სულიერი სფეროთი დაწყებული, ეკონომიკური სივრცით დამთავრებული...

12 ხუთშაბათი

გარდაიცვალა ნოდარ წულეისკირი – კეთილშობილი, უპრეტენზიო, მაგრამ პრინციპული ადამიანი. ადამიანი, იშვიათი თვისებების მქონე – არადამახასიათებელია თანამედროვე ქართველ მწერალთათვის. თავის წერაქვში დაკრძალავენ ანდერძის თანახმად, ადამიანური დიდებისა და სიყალბისგან შორს. ამ პატარა სოფელმა ადრე საქართველოს მიხეილ ჯავახიშვილი აჩუქა. მსუბუქი იყოს მათთვის ქართული მიწა...

საპარლამენტო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებმა განაცხადეს, რომ ნატო-საქართველოს „არსებითი პაკეტის“ პირობათა შესრულების გაჭიანურების გამო პარლამენტში იბარებენ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებს.

შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ბრალდებით დააკავა თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსი ჯოკია ბოდოკია.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს სასჯელაღსრულების მე-17 დაწესებულების დირექტორი გიორგი ელიზბარაშვილი და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს შვიდი პატიმარი, რომლებმაც, გამოძიების ინფორმაციით, ძალადობა განახორციელეს სხვა მსჯავრდებულების მიმართ.

ეროვნულმა ბანკმა ლარის კურსის გასამყარებლად 40 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა და 4,5%-მდე გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი.

თბილისს ესტუმრა ცნობილი ფრანგი კინომსახიობი ალენ დელონი.

თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ „საზოგადოების შეცდომაში შეყვანა“ უწოდა ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ განცხადებას, თითქოს ნატო-საქართველოს „არსებითი პაკეტის“ პირობათა შესრულება ჭიანურდება.

საქართველოს ესტუმრა გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდენტი

ნოდარის შვილიშვილისგან გავიგე, რომ დიდუბის პანთეონში დაკრძალვაზე ოჯახს უარი უთხრეს, ადგილი აღარ გვაქვსო. არა, ჩინგიზ აიტმატოვს საქართველო რომ ენახა, მანქურთები ვეღარ გააკვირვებდნენ!

ეჰ, ნეტავ რა ბედენაა საფლავი... მამაჩემის გადმოსვენების დროს, როდესაც აჟიოტაჟი და სპეკულაციები დაიწყო დასაფლავების ადგილთან დაკავშირებით, მახსოვს, ვთქვი: რა მნიშვნელობა აქვს, განა საფლავი აქცევს ადამიანს დიდად? განა სიკვდილი ყველას არ ათანასწორებს? რამდენი ეროვნული გმირისა თუ, უბრალოდ, კარგი ადამიანის საფლავი აღარ ვიცით, მაგრამ განა ამით მათ დააკლდათ რაიმე? სახალისოა, როცა ჩვენი სნობები გრანიტით და მარმარილოთი ცდილობენ უკვდავების მოპოვებას. Capitalism forever :) ფუფუნების და გროტესკისადმი ვნებისგან ზოგი სიკვდილის შემდეგაც ვერ თავისუფლდება. გამახსენდა წარწერა ჩემი ძვირფასი მარტინ ლუთერ კინგის საფლავის ქვაზე: „როგორც იქნა, თავისუფალი ვარ“...

პარასკევი

დღეს პროკურატურაში ვიყავით მე და ადვოკატი იოსებ ბარათაშვილი. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ 2011 წელს საქართველოს პარლამენტმა მიმართა პროკურატურას საპარლამენტო დროებითი კომისიის მიერ მოკვლეული ახალი ფაქტებისა და გარემოებების გამოძიების და რეაგირების თაობაზე. შარშან ოჯახის წევრებმა ერთობლივად კვლავ მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, მთავარ პროკურორსა და სახალხო დამცველს. შედეგი – ფარატინა ქაღალდი, რომ მიმდინარეობს გამოძიება.

წელს, 4 თებერვალს, თითქმის ერთი წლის შემდეგ, ისევ მივმართე მთავარ პროკურორსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. მაინცდამაინც ოჯახის წევრის საფლავზე უნდა დაგაკლან, რომ ამ ქვეყანაში სამართალი იპოვო?! თუ მამაჩემს არ ჰქონდა სიცოცხლის უფლება, ბარემ ესეც მითხრან.

მოკლედ, პროკურატურაში როგორც შევედით, ისე გამოვედით. მიუხედავად მთელი რიგი ფაქტების არსებობისა, რომ ეს არ ყოფილა თვითმკვლელობა, ამ ფაქტების არათუ გამოძიება, არამედ ჯეროვნად დაფიქსირება და შეფასებაც არ ხდება საქმეში. გამომძიებლების ბნელმეტყველების მეტი ვერაფერი მოვისმინე... საშინელებაა, როცა სამართლებრივი საკითხები პოლიტიკის მძევლები ხდება და, ვფიქრობ, სხვა გზა აღარ არის: მხოლოდ საზოგადოებრივი ჩართულობა, მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა თუ აიძულებს ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ამ საკითხზე!

ისევ გამახსენდა საწყალი იური ვაზაგაშვილი: სასოწარკვეთილი რომ გაიძახოდა ყველა კუთხეში, ჩემი შვილის მკვლელები არათუ არ დასაჯეს, დააწინაურესო, მაგრამ კაციშვილმა ყური არ შეიბერტყა, სანამ ეს ხელისუფლებისათვის პოლი-

ნორბერტ ლამერტი, რომელიც თბილისში შეხვდა გიორგი მარგველაშვილსა და დავით უსუფაშვილს.

საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები უსაზღვრებოდ“ გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის თანახმად საქართველომ მედიის თავისუფლების მხრივ მდგომარეობა გააუმჯობესა და მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 84-დან 69-ე ადგილზე გადაინაცვლა.

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა პაატა ბურჭულაძის 60 წლის თავისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელსაც უძღვებოდნენ ფრანგი კინომსახიობი ალენ დელონი და ახალგაზრდა პიანისტი დათუნა ალადაშვილი.

13

ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდენტი ნორბერტ ლამერტი.

თბილისს ეწვია რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბოგდან აურესკუ, რომელიც შეხვდა ირაკლი ღარიბაშვილს, გიორგი მარგველაშვილსა და დავით უსუფაშვილს.

ზურაბ ჟვანიას მეგობრებმა, ყოფილმა თანაპარტიელებმა და დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა გაავრცელეს მიმართვა მედიისა და საზოგადოებისადმი, რომლითაც მოითხოვეს, დასრულდეს სპეკულაციები და გარდაცვლილის ოჯახსა და გამოძიებაზე ზენოლის მცდელობა.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსს, ქრთამის აღებაში ბრალდებულ ჯოკია ბოდოკიას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღმკვეთ ზომად პატიმრობა შეუფარდა.

ტიკურად არ გახდა საჭირო. ხოლო პოლიტიკური საჭიროება საზოგადოების აღშფოთებამ გამოიწვია. ამისთვის მან საკუთარი სიცოცხლით გადაიხადა...

14 შაბათი

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი შეხვდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წამოყენებულ კანდიდატებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად შეაფასა „მშვიდობისა და ეკონომიკის ინსტიტუტის" მიერ გამოქვეყნებული გლობალური ინდექსი, რომლის თანახმადაც საქართველო მსოფლიოს ყველაზე უსაფრთხო ქვეყნების ათეულშია.

ევროპის ერთა თასის გათამაშების მორიგ შეხვედრაში საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა თბილისში დაამარცხა პორტუგალიის ეროვნული გუნდი – 20:15.

ესეც ასე, დღიურებიც დამთავრდა. დავწერე, როგორც შემეძლო: ბევრი რეცხვის, გაპრიალების და გადასხვაფერების გარეშე. ალბათ, ცოტა მაინც ვიზარმაცე. ყოველთვის არ მქონდა საჭირო გონების მდგომარეობა. ესეც თავისუფლების სამწუხარო გვერდითი ეფექტია, სიმართლენარევი ხუმრობით რომ ვთქვა. :) ახლა ეს ტექსტი ჩემთვის ან სხვისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობისა რომ ყოფილიყო, ალბათ, ბევრად უკეთესი იქნებოდა. ერთიცაა: ჩვეულებრივ, დღიურის წერისას ფიქრობენ, რომ მას ან ვერასდროს ვერავინ წაიკითხავს, ან მრავალი წლის შემდეგ გაეცნობა შთამომავლობა. მაგრამ ახლა, როდესაც ვიცი, რომ ეს ყველაფერი უახლოეს დღეებში უნდა გამოქვეყნდეს, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად გონება მაინც აქტუალურ მოვლენებს ანიჭებს უპირატესობას. იმედია, მაპატიებს ამ დღიურების წამკითხველი. არ მაპატიებს და ნუ წაიკითხავს. და, ვინც წაიკითხავს, მას იოსიფ ბროდსკის ჩემეული თარგმანით დავემშვიდობები:

მე შევდიოდი გალიაში, როგორც ცხოველი,
ციხის კედლებზე ამოვკაწრე ჩემი სახელი,
მიყვარდა ზღვის პირს სეირნობა, ბანქოს თამაში,
წვეულებებზე სადილობა კოსტიუმ-შარვალში.
მე დავცქეროდი წუთისოფელს მთის მწვერვალიდან,
ორგზის გამფატრეს, სამგზის ლამის სული ამომხდა,
მე მომიწია გაძევებამ მშობელ ქვეყნიდან,
როდესაც ჩემი გასაგისიც არვის ახსოვდა...
ყურთ ჩამესმოდა გარდასულთა ჰუნთა ყივილი,
როცა ქოხმახებს ვაშენებდი მინდორში ტრიალ,
და ამოკემსილ ძველმანებში გამოწყობილი
არას ვნატრობდი ალბათ ქვეყნად წყალზე ძალიან.
მე ჩემს სიზმრებში შემოვუშვი მზერა ბადრაგის,
ბოლო წვეთამდე შევსვი დევნის მწარე ფიალა,
არ დამიწყია არასოდეს გმინვა, ღრიალი,
ეხლა ვჩურჩულებ. ორმოცის ვარ, ოცის კი არა...
აბა, რა გითხრათ? ცხოვრების გზა გამოდგა გრძელი;
მხოლოდ სიმწარე გახდა ჩემი თანაზიარი.
მაგრამ სანამდის გამივსებდნენ მიწით ბაგეებს,
მათგან გაისმის მხოლოდ სიტყვა სამადლობელი!

ნუცა ჯანელიძე

მუსიკოსი. დაიბადა 1957 წლის 11 ნოემბერს თბილისში. დაამთავრა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკა-ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა კონცერტმაისტერად პიონერთა სასახლეში; იყო ანსამბლ „მზიურის“ ვოკალის პედაგოგი, თბილისის ფილარმონიის კონცერტმაისტერი; მუშაობდა ტელეკომპანია „იმედის“ პროექტ „ნუცას სკოლაში“, რომელიც ახალგაზრდა მუსიკოსებზე ორიენტირებული პირველი სატელევიზო პროექტი იყო საქართველოში. 22 წელია, არის ანსამბლ „ფორტეს“ წევრი და მუსიკალური ხელმძღვანელი; სხვადასხვა მუსიკალური პროექტის მონაწილე; მუსიკალური პროდიუსერი.

კვირა

დღეს კვირაა. საღამოს მეგობრებთან მივდივარ სტუმრად...

ჩვენი საერთო მეგობარი, ქეთი, პარიზიდან ჩამოვიდა და ესეც ერთ-ერთი საბაბი იყო ამ შეხვედრისა. უამრავი კითხვა დავაყარეთ და ისიც ჰყვებოდა და ჰყვებოდა... ბევრი საინტერესო რამ ახლა აღმოვაჩინე ჩემს მეგობრებში: ზოგში საუცხოო კულინარი (მანანა), ზოგში პოეზიის უბადლოდ გადმოცემის უნარი (სოფო), ზოგში კი, მიუხედავად ჩვენი დიდი ხნის ურთიერთობისა, გამოულეველი სითბო (მზია)...

საერთოდ, ღმერთმა ბევრი მეგობარი მაჩუქა. ზოგი ბავშვობიდან მომყვება, მაგალითად, მანანა გარუჩავა და თამრიკო კასრაძე; ზოგი სკოლიდან – ფასო მატკავა; ზოგიც ინსტიტუტიდან – მზია, სოფო, ნინო, მარინა, ფისო, ირინა, მანანა, ცისო და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ; ზოგი – სამსახურიდან...

„მზიურში“ ვმუშაობდი, პიონერთა სასახლის გოგონათა ანსამბლში, და იქაც შევიძინე მეგობრები: გურამ ჯაიანი, კახა ცაბაძე, ზორიკა, რომელიც საქართველოში აღარ არის, ტეცო – გურამ ტეცოშვილი, და ბავშვები... რომელი ერთი ჩამოვთვალო – დაწყებული მაია ჯაბუათი და დამთავრებული თათია გიორგობიანით. აქ იგულისხმება ყველა თაობა – პირველიდან მეექვსემდე. ბევრი მეგობარი მყავს ჩემი პროფესიიდან გამომდინარე. ჩემი სულის მეგობრები დღემდე არიან ლალი სეთურიძე და მანანა ხვედელიძე, ნუკრი კაპანაძე და ჯულია

საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა ცნობა, რომ უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელად საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ძებნილი მიხეილ სააკაშვილის დანიშვნის გამო განმარტებისთვის დაიბარა უკრაინის ელჩი ვასილი ციბენკო.

ხოფერია, დასასრულ – „ფორტე“... აქ უკვე არ ვიცი, პროფესიაა თუ სული, გულია თუ მირონი. ალბათ, ყველაფერი ერთად...

16 ორშაბათი

საგარეო უწყებაში შეხვედრის შემდეგ უკრაინის ელჩმა ვასილი ციბენკომ ჟურნალისტებს უთხრა, რომ საუბარი ეხებოდა ორი ქვეყნის თანამშრომლობის აქტუალურ საკითხებს და პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს შტატგარეშე მრჩევლად მიხეილ სააკაშვილის დანიშვნას.

საქართველოს პარლამენტის წევრი ნაციონალური მოძრაობიდან დავით საყვარელიძე დაინიშნა უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილედ.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ერევანში შეხვდა სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარეს გალუსტ საჰაკიანსა და პრემიერ-მინისტრს ჰოვიკ აბრაჰამიანს.

შუადღისას რადიო თავისუფლებაში გავიარე. მარინა ვაშაყმაძემ იცის, რომ ახალ-ახალი სასუსნავები მიყვარს, ახალი სახის ყავა მაქვს, დაგალევინებო, და მეც გავიქეცი. მარინა მაგარია. მივედი, გავსინჯე, გადავირიე...

17 სამშაბათი

გიორგი მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე პარლამენტს წარუდგინა ნინო გვენეტაძის კანდიდატურა.

მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, რომ უკრაინის გენერალური პროკურატურა უარს ამბობს სისხლის სამართლის სხვადასხვა საქმეზე ბრალდებულების, მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის ექსტრადიციაზე.

საქართველოს ესტუმრა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ვიქტორია ნულანდი, რომელიც თბილისში შეხვდა გიორგი მარგველაშვილს, ირაკლი ღარიბაშვილსა და ნაციონალური მოძრაობის წევრებს.

ერევანში გაიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის შეხვედრა სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარქისიანთან.

სამშაბათობით ვმუშაობ საბავშვო ბაღში, რომელსაც „ნეევერლენდი“ ჰქვია. კვირაში ერთხელ კონსულტაციას ვუწევ პაწაწუნა ბავშვებს, ვეხმარები ახალბედა პედაგოგებს – ნათიას და ელენეს, რათა ერთად აღვზარდოთ, სწორად ვასწავლოთ მღერა. ქართულად მღერა და აზროვნება მინდა ვასწავლოთ, პირველ ყოვლისა, სიმღერის ანაბანა, სიმღერის სიყვარული, შემდეგ ჩამოვუყალიბოთ გემოვნება და შემდეგ თვითონ გადაწყვიტონ, რა უნდათ, ვის რა ჟანრი უნდა: კლასიკა თუ რეპი, ლირიკა თუ საცეკვაო. მე ვფიქრობ, სიმღერის ტექსტიც კი ასაკისთვის და ამ ასაკის „ტვინისთვის“ მისაწვდომი უნდა იყოს. აბა, როგორ ივარგებს, 5-6 წლის ბავშვმა იმღეროს ნიკორწმინდაზე ან „ღამით წვიმის წვეთები რომ ეცემიან ღაწვებზე“... ჰა, ჰა, ჰა, ნამდვილად სასაცილოა.

ჩვენ, ქართველებს, შესანიშნავი მუსიკალური ისტორია გვაქვს ასაკობრივადაც და ჟანრობრივადაც. ჰოდა, მიხარია, რომ არიან ჩემი აზრის ადამიანები. ძალიან მიყვარს, როდესაც ჩემი შრომის შედეგს ვხედავ, სმენაში ვინმეს ცოტა რომ უჭირს და წლის ბოლოს, სოლისტად თუ არა, დუეტში ან კვარტეტში მაინც რომ დავაყენებ ხოლმე.

2003 წლიდან შეიქმნა ტელეკომპანია „იმედი“. მე მიყვარს ეს არხი. გულში მიყვარს. რაღაც-რაღაცები არ მესმის ამ ბოლო ხანს... მაგრამ მაინც მიყვარს ეგ არხიც და ბატონი ბადრი პატარკაციშვილიც, ვისი წყალობითაც დაიბადა ერთ-ერთი ცნობილი მუსიკალური ბრენდი, „ნუცას სკოლა“. ეს იყო პირ-

ველი მუსიკალური პროექტი პირდაპირი ეთერის რეჟიმით და მან მოგვცა ისეთი ნიჭიერი და ცნობილი ახალგაზრდა მომღერლები, როგორიც არიან სოფო ხალვაში, „კორკოტა“, აჩიკო ნიჟარაძე, სალომე ბაკურაძე, ნოდიკო ტატიშვილი, ნინი წიკლაური, თიკა მახალდიანი, თემო საჯაია, სალომე დოლიძე, ნინი შერმადინი... ვლად არამოვი და ლადო ჯანელიძე, რომლებიც არა მარტო მომღერლებად ჩამოყალიბდნენ, არამედ წარმატებული შოუმენებიც გახდნენ.

„ნუცას სკოლის“ შემდეგ ზოგი სხვადასხვა პროექტში მონაწილეობდა, სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსში, და მათ, გრან-პრი თუ არა, პირველი ადგილი მაინც მიიღეს.

ოთხშაბათი

მე თუ რაიმე პატარა მუსიკალური მონაცემი მაქვს, ბებიაჩემის დამსახურებაა. ბებიაჩემი მეგრელი იყო, აბაშიდან, და მღეროდა საეკლესიო გუნდში. ერთხელ მისთვის მოუსმენია ზაქარია ფალიაშვილის ძმას და ზაქარიას თანხმობით მიუწვევია ქუთაისში, ეკლესიაში სამღერად. მე მგონი, აქ უკვე კომენტარი ზედმეტია... ბაბუაჩემიც მეგრელი იყო, დგებუაძე, თავადი, ულამაზესი გარეგნობის კაცი, განათლებული, ჯენტლმენი... მაგრამ ღმერთმა ადრე მიიხმო თავისთან და დარჩა ბებიაჩემი ქვრივი. ცოტა ხნის შემდეგ ბებია მეორედ გათხოვდა. ცოლად გაჰყვა იმხანად საქართველოში მოღვაწე სამხედრო მოსამსახურეს, ლატვიის მოქალაქე ზახარი ფროლოვიჩ იოვსეს, რომელმაც საკუთარი შვილივით გაზარდა დედაჩემი, მისცა გვარი და ისწავლა არა მარტო ქართული ენა, არამედ, საქართველოს და ბებიაჩემის სიყვარულით, ქართული კერძების კეთებაც. ჩვენ კი, მე და ჩემმა ძმამ, რუსული ენა ვისწავლეთ ბრწყინვალედ მისი დახმარებით. ბაბუაჩემი გარდაიცვალა 103 წლის. ისე, სულ მაინტერესებს, ვინმე თუ არის მისიანი, ან მისი გვარის ხალხი როგორ გამოიყურება, ან რას წარმოადგენს.

რაც შეეხება მეორე ბაბუას, ამბაკო ჯანელიძეს, იყო მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელი, ისე, რიგითი წევრი, მაგრამ ამითაც ამაყობდა. მამაჩემზე ისეთი გავლენა ჰქონია, რომ მამა ორჯერ დაიჭირეს საზღვარზე და დააბრუნეს ჯერ კიდევ სტუდენტობამდე. ძალიან ნიჭიერი ყოფილა მამაჩემი. 12 წლის იყო თურმე, როცა ჩაის ფოთლის საშრობი მანქანა გამოიგონა. მამიკოს ვეძახდი. როგორც აღმზრდელი, სიმკაცრეს იჩენდა, თუმცა ძალიან თბილი იყო, როგორც მეუღლე. დედაჩემს ეტყოდა ხოლმე, შურიკო, ჩაალაგე ორი დღის ბარგი, ხვალ მოსკოვში რიხტერის კონცერტია და ბილეთები ავიღე, ზეგ უკან ჩამოვალთო. მე მისი მამობრივი მოფერება არ მახსოვს. ავად რომ იყო, ჩემი სახელის წერის დროს გაუვარდა ხელიდან კალამი, ისე, რომ ბოლო ასოს დაწერა ვერ მოასწრო და გარდაიცვალა.

დედა – შურა ჯანელიძე. ეს სახელი საქართველოსთვის

18

ოქტომბერი

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ნატოში საქართველოს „შეთრევის“ მცდელობები პრაქტიკულ სახეს მიიღებს, მოსკოვი მიმართავს ზომებს, რათა არ დაუშვას ამ პროცესის უარყოფითი გავლენა ვითარებაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია და ეფუძნება მოსახლეობის უმრავლესობის თავისუფალ არჩევანს.

რუსეთისა და მის მიერ აღიარებული სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა სერგეი ლავროვმა და დავით სანაკოევმა მოსკოვში ხელი მოაწერეს „სახელმწიფო საზღვრის ხელშეკრულებას“.

თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი თქვა დედაქალაქის ყოფილი მერის, გიგი უგულავას გირაოთი გათავისუფლებაზე.

ცნობილია. ყველას ახსოვს მისი სილამაზე, აღზრდა, მეგობრობა, ოჯახის სიყვარული და ოჯახისთვის თავდადება. მე და ჩემი ძმა პატარები დავობლდით და დედაჩემმა მარტომ აღგვზარდა და გაგვზარდა. მე ვფიქრობ, სნორად გაგვზარდა, არ მოგვაკლო არაფერი. კარგ სკოლაში ვსწავლობდით – იქ, სადაც თვითონ სწავლობდა – პირველ სკოლაში. გვაზიარა კულტურას და ხელოვნებას. ჩემი ძმა მხატვარია, მე – მუსიკოსი. გვასწავლა გემოვნება ყველგან და ყველაფერში. მოკლედ, მეტს ველარ ვწერ, გული ამიჩქარდა. ძალიან მენატრება დედა...

19 ხუთშაბათი

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის საგანგებო წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის განცხადებას, რომ „ბრიუსელშიც, მოსკოვშიც და თბილისშიც კარგად იციან, რომ დღეს და ხვალ საქართველოს გაწევრიანება ნატოში დღის წესრიგში არ დგას“, საპარლამენტო ოპოზიციური პარტიების მძაფრი პროტესტი მოჰყვა.

საქართველოს ეწვია აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ელმარ მამადიაროვი, რომელიც თბილისში შეხვდა ირაკლი ღარიბაშვილსა და გიორგი მარგველაშვილს, აგრეთვე თავის ქართველ კოლეგას თამარ ბერუჩაშვილს.

პარლამენტმა საბოლოო, მესამე მოსმენით დაამტკიცა „მაუწყებლობის კანონის“ ცვლილებათა პაკეტი, რომელიც სატელევიზიო რეკლამის საათობრივად განსაზღვრას ითვალისწინებს.

დღეს თავისუფალი დღე მაქვს, არც ერთ სამსახურში არ ვარ წასასვლელი. ვმუშაობ საბავშვო ბაღ „ნეევერლენდში“, TV 3-ში და ანსამბლ „ფორტეში“ მუსიკალურ ხელმძღვანელად.

სკოლაში ხუთი წლის შევედი. პირველივე გაკვეთილზე მასწავლებელმა მკითხა: აბა, გოგონი, რა გქვიაო? მე ისედაც პატარა ვიყავი ტანით და სულ გავქრი, ხმაც გამიქრა და, ნუცა-მეთქი. იმ დროს ეს სახელი თითქმის არავის ერქვა და ეგრევე მითხრა: „აა, ესე იგი, ნინო“, და ასე გავხდი ნინო ჯანელიძე. მე გამიხარდა, იმიტომ რომ სახელი „ნუცა“ მეხამუშებოდა და მრცხვენოდა. მთელი სკოლის პერიოდი დავრჩი ნინოდ. სკოლაში ერთ-ერთი ცნობილი ბავშვი ვიყავი, იმიტომ რომ პატარაობიდან ვმღეროდი და სამთავრობო კონცერტებზე გამოვდიოდი. ამ კონცერტებზე ერთადერთი ბავშვი ვიყავი, ჩემთვის წერდნენ სიმღერებს მერი დავითაშვილი, ნუნუ გაბუნია, ნოდარ გიგაური. მერე ჩემი ძმაც ამღერდა და ახლა უკვე რევაზ ლაღიძემ დაგვიწერა დუეტი და კინოფილმში გავახმოვანეთ კიდეც. ამ გახმოვანებაში ფული გამოგვიწერეს.

მე და ჩემს ძმას ყველა გვიცნობდა თბილისში და ცეკას მდივნის დავალებით ტელეფონი უფასოდ დაგვიდგეს. მაშინ ეს ძვირი ფუფუნება იყო, და იშვიათობაც. მერე გავიზარდე, შემრცხვა სცენაზე დგომა და როიალთან დავჯექი. აკომპანემენტს ვუწევდი ჩემს ძმას, რომელიც ისეთი მაგარი იყო, რომ რობერტინო ლორეტის ამსგავსებდნენ. ტელევიზიის ხშირი სტუმრები ვიყავით. ისე მრცხვენოდა, ოპერატორებს ვეუბნებოდი, არ გადამიღოთ-მეთქი.

მერე გამოხდა ხანი და გამიჩნდა სიმპათიები. მინდოდა, „იმას“ დავენახე და ოპერატორებს გადაღებაზე უარს აღარ ვეუბნებოდი. მეტიც, ვთხოვდი, მონიტორზე ჩემი თავი მაჩვენეთ-მეთქი, ვისწორებდი თმას, მაკიაჟს და ასე შემდეგ... ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია – კონცერტმაისტერობა. ძალიან საჭირო პროფესიაა, მაგრამ მადლობას ნაკლებად ამბობენ ხოლმე, ზოგჯერ გამოცხადება ავიწყდებათ, ზოგჯერ – თაიგულის მირთმევა, ზოგჯერ – ეკრანზე ჩვენება... თუმცა ყველა ეძებს კარგ კონცერტმაისტერს.

დედაჩემისგან ვისწავლე პედაგოგობა. ეს პროფესიაც

„უმადურია“. თუ ბავშვი კარგია, რა მაგარი ბავშვიაო, ამბობენ, თუ რამე შეეშალა, სად არის ამ ბავშვის პედაგოგი, ვერ მიხედაო?! მე მაინც მიყვარს ეს პროფესია და ყველა ის ბავშვი, სტუდენტი, დიდი თუ პატარა, რომლებთანაც ურთიერთობა მქონია. სანამ შემიძლია და ვჭირდები ვინმეს, მთელი გულით და მთელი გამოცდილებით დავეხმარები ყველას.

გულის კუნჭულებში შენახულ საიდუმლოებებზე აღარ ვწერ. ძალიან ბედნიერიც ვყოფილვარ და იმედგაცრუებაც გამომიცდია...

პარასკევი

დილიდან მივხედე საოჯახო საქმეებს. სადილიც კი გავაკეთე, ლობიო ამოვლესე. ბავშვობაში არ მიყვარდა ოთხშაბათი და პარასკევი. ბებიაჩემი დილიდან გასცემდა ხოლმე ბრძანებას: აბა, ლობიო, ან წიწიბურა, ან რაიმე წვნიანი, ზეთით გაკეთებული! თურმე ეს დღეები მარხვის ყოფილა და ამიტომ. რომ გავიზარდე, მერე ამიხსნეს, ამდენი წელი რატომ გვქონდა ასეთი მენიუ ამ ორ დღეს. ჰოდა, გავაკეთე დილიდან ლობიო, ამოვიტანე მაღაზიიდან მჟავე. თუ დროზე მოვედი, იქნებ მჭადიც გამოვაცხო და გემრიელად შევექცე ტელეეკრანის წინ.

შუადღისას წავედი რეპეტიციაზე ჩემს მეორე ოჯახთან, „ფორტესთან“. „ფორტე“ 22 წლისაა. ამდენ ხანს ერთად ვართ ჩვენი პლუსებით, მინუსებით, ჩვენი მხიარული დღეებით და გაჭირვებით, შვილებით და შვილიშვილებით. ეს ბოლო სიტყვა მე მეკუთვნის: ოთხი შვილიშვილი მყავს. ჩემები არა, ჩემი ძმის შვილიშვილები, მაგრამ ერთად ვცხოვრობთ და რამ გაგვყო...

ამ 22 წლის მანძილზე უამრავი კონცერტი, გასტროლი, კლიპი და დისკი დაგროვდა ჩვენს არქივში. თავიდან „ფორტე“ გამოჩნდა გიორგი ცაბაძის საიუბილეო კონცერტებზე. ტურნე მოაწყო, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს, ჩვენმა მეგობარმა, ვაჟა ქადაგიძემ, რომელიც მაშინ ცეკაში კახეთის რეგიონის კურატორი იყო. ჰოდა, ჩაიფიქრა ეს ტურნე კახა ცაბაძესთან და პოეტ ზურაბ გოშაძესთან ერთად. ძალიან მაგარი და მეგობრული კოლექტივი შეგვკრიბეს: კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, „ორერა“, „სიმი“, ქალთა ტრიო „ჰარმონია“, ნუკრი კაპანაძე, მერაბ სეფაშვილი. მე ნუკრისთვის უნდა გამეწია თანხლება. უცებ შევთავაზე გოშაძეს და ცაბაძეს „ფორტე“. კარგი, შენი ხათრით ჩავსვამთ, ვნახოთ, რას იზამენ ტურნეში და მერე გადავწყვიტოთ, ბათუმსა და თბილისში გამოვლენ თუ არაო, მითხრეს.

წავიდა და წავიდა, აგორდა და აგორდა... მერე იყო მოსკოვი: 1996-დან 2000 წლის ჩათვლით. მთელი სამი წელი ვცხოვრობდით და ვმუშაობდით კლუბ-რესტორან „ოქროს ოსტაპში“. ჩვენი შეფი იყო ყველასთვის ცნობილი არჩილ გომიაშვილი. სამი დღით წავედით (3 აგვისტო იყო) და დავრჩით სამ წელზე მეტხანს, შუალედებში ჩამოვდიოდით საქართველოში. მოსკოვში ყოფნისას ვეხმარებოდით ბევრს, რითაც შეგვეძ-

ეკონომიკურმა საბჭომ, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილი თავმჯდომარეობდა, იმსჯელა საქართველოს ეკონომიკაში შექმნილ ვითარებაზე.

ფრაქცია „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ლარის გაუფასურების გამო პარლამენტში დაიბარა ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები – ნოდარ ხადური და გიორგი კვირიკაშვილი.

ნაციონალურმა მოძრაობამ მოითხოვა, პარლამენტში მოეწყოს დებატები საქართველოს საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ბიძინა ივანიშვილს „ქვეყნის პრობლემა“ უწოდა.

პოლიციამ დააკავა „თავისუფალი თაობის“ ხუთი წევრი, რომლებმაც მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკასთან მოწყობილი საპროტესტო აქციის დროს შენობას საღებავი შეასხეს.

ლო: ზოგს ჩვენთან ვაცხოვრებდით, რომ სასტუმროს და ბინის ფული არ დაეხარჯათ, ზოგისთვის წამლები ჩამოგვქონდა. თბილისში არც ერთ კონცერტში ჰონორარს არ ვიღებდით და ჩვენს ფულს სხვას ვაძლევდით. ძალიან მიყვარს ეს პერიოდი. ჩვენს ოჯახებს ვარჩენდით. ეს ის პერიოდია, გაზი რომ წავიდა და ეზოებში აგურებზე აკეთებდნენ საჭმელს. აი, ამ დროს ჩვენ იქ ვმუშაობდით. იქაური სტუმრები და თანამშრომლები თან გვყვებოდნენ. ბატონი არჩილი ისე გვექცეოდა, როგორც შვილებს. ჩვენ „ვაიძულეთ“ ეს ხალხი და ჩვენი სიმღერის დროს წყვეტდნენ არა მარტო ჭამას, არამედ საქმიან საუბარსაც, სასიყვარულო დიალოგებსაც და ყოველი ნომრის შემდეგ ტაშს გვიკრავდნენ.

21 შაბათი

ტყიბულის მინდელის სახელობის მაღაროს ადმინისტრაციამ დაადასტურა ცნობა 45 წლის ოსტატის დაღუპვის შესახებ.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ლარის გაუფასურებით გამოწვეული პრობლემების დაძლევის მიზნით მთავრობა და ეროვნული ბანკი 24-საათიანი რეჟიმით მუშაობენ.

ოთხშაბათი

დღეს შემიძლია, ადრე არ ავდგე. მოწაფე თორმეტზე მოვა. მანამდე აუცილებლად ყავას დავლევ. მყავს პატარა თუთიყუში და სამზარეულოში რომ შევდივარ, ყავის გასაკეთებლად, იწყებს ჭიკჭიკს, რომელიც ლაპარაკს უფრო ჰგავს. თითქოს მსაყვედურობს: სად ხარ ამდენ ხანს, ხომ იცი, რომ მშიაო...

გაკვეთილისთვის ვემზადები, ნოტები გადმოვიღე და უცებ დედა გამახსენდა. დედაჩემი კონსერვატორიაში სწავლობდა, ვოკალურზე. იმ პერიოდში სწავლობდნენ რევაზ ლაღიძე, სულხან ცინცაძე, შოთა მილორავა. დედას მეგობრები იყვნენ გიორგი ცაბაძე, პეტრე გრუზინსკი, ლევან ჭუბაბრია, იოსებ ნონეშვილი, მორის ფოცხიშვილი, ნოდარ დუმბაძე, ვასო გოძიაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, ლიანა ასათიანი, მედეა ჯაფარიძე... ისინი დედაჩემის წყალობით გავიცანი. ზოგთან ოჯახებით ვმეგობრობდით, ზოგთან კოლეგიალობა გვაკავშირებდა. ყველა ამ ისტორიულ პიროვნებას პირღია შევცქეროდი. ახლა ძალიან ვნანობ, თუ ვინმესთან არ მაქვს სურათი გადაღებული. სამაგიეროდ ამაყი ვიყავი!..

მოხდა ისე, რომ „ფორტესთან“ ერთად წავედი ავსტრიაში. ვენაში, ერთ-ერთ კონცერტზე, შესვენებისმაგვარი 15-წუთიანი კითხვა-პასუხი გაიმართა. ერთ-ერთმა მაყურებელმა გვკითხა, მართლა ასეთი ხმები გაქვთ თუ მიკროფონი გეხმარებათო? ჩვენც დემონსტრაციულად გავწიეთ მიკროფონები და გავიმეორეთ ბახის „ავე მარია“. „ავე მარია“ იმიტომ, რომ იქ დიდი დიაპაზონია საჭირო და, ალბათ, ამან გამოიწვია ეჭვი, რომელიც იქვე გავფანტეთ. მერე ყველამ ბევრი ვიცინეთ ამაზე.

ერთ მშვენიერ დღეს ბედმა გამიღიმა და შევხვდი, არც მეტი და არც ნაკლები, იან გილანს. მაშინ ჩვენს ქალაქში ძალიან მოდური იყო როკ-ოპერა „სუპერსტარი“, ხოლო იან გილანი თბილისში – ეს უკვე სენსაცია იყო! მოისმინა ჩვენი სიმღერა და გაგიჟდა, არ ვაჭარბებ. მთელი საღამო უჭმელ-უსმელი გვისმენდა. მერე ლონდონში დაგვპატიჟა. ჩვენც დავპირდით, აბა, რას ვეტყოდით? ხეზე მიყვარს მუშაობა, ჩემი სახლის-

თვის დიდი სასადილო მაგიდა გავაკეთე ლომის ფეხებით და მაღალზურგიანი სკამებით. მინდა, იქ ერთად ვისადილოთო. მაგარია, არა?

მოსკოვში რომ ვმუშაობდით, ჩვენთან მოვიდა თვით რობერტინო ლორეტი! „ჯამაიკაააა“ – ამას რომ მღეროდა. მისმა პროდიუსერმა მთხოვა, სიმღერა უნდა და ხომ არ დაუკრავდი, რამე ნეაპოლური თუ იციო? იხტიბარი არ გავიტეხე და რომელი გნებავთ-მეთქი? „სორენტოო“. რა თქმა უნდა, ვიცოდი. რომ ვკითხე, რომელ ტონალობაში გნებავთ-მეთქი, გაგიჟდა... მართლა ასე იყო. სურათები გადაგვიღო ამ პროდიუსერმა და მთელი საღამო, რობერტინოს თხოვნით, მათთან ერთად ვიჯექი სუფრასთან. საერთოდ, მომღერლების სტუმრებთან დაჯდომა არ შეიძლება, ასეთია შინაგანაწესი, მაგრამ ბატონმა არჩილმა გამონაკლისი დაუშვა.

დასასრულ, არ შემიძლია „საინტერესო ადამიანების კლუბის“ სათავეში არ დავაყენო ადამიანი, რომელიც მოსკოვში გავიცანით 1997 წელს და დღემდე ვმეგობრობთ. ეს არის ჯულია ხოფერია. მას ჰყავს შესანიშნავი მეუღლე, საქართველოზე და ქართველებზე შეყვარებული ადამიანი, ბატონი სერგეი მირონოვი. ჰყავს ძალიან კარგი ქართველი შვილი, სერიოჟკა, და მისი ულამაზესი მეუღლე – ტამუსია აბაკელია. ჰყავს შვილიშვილები, ჰყავს უამრავი მადლიერი, დამლოცავი ხალხი. სამი კლიპი „ფორტეს“ სწორედ მისი წყალობით გვაქვს. მისი დამსახურება იყო 2001 წელს ჩვენი ორიგინალური სოლოკონცერტიც, რომელიც პირველად გაიმართა სცენაზე ოცკაციან ორკესტრთან ერთად, მთელი მეორე განყოფილება ცოცხლად ვიმღერეთ. სასაცილოა, ამას ხაზს რომ ვუსვამ – „ცოცხლად ვიმღერეთ“. მომღერალი ხარ და, აბა, ცოცხლად არ უნდა შეგეძლოს სიმღერა?!

ღმერთის მადლიერი ვარ იმისათვის, რომ ჯილდოდ მერგო ამ ისტორიულ და საინტერესო ადამიანებთან არა მარტო ურთიერთობა, არამედ მეგობრობაც.

გიორგი კლდიაშვილი

სამოქალაქო აქტივისტი. დაიბადა 1979 წლის 21 ივნისს თბილისში. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სპეციალობით. გაიარა თსუ მაგისტრატურა და დოქტორანტურა ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალობით. მუშაობდა პროფესორად თსუ ამერიკის შესწავლის ინსტიტუტში. ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და ფონდისთვის. არის ავტორი და თანაავტორი არაერთი ნაშრომისა, რომლებიც ეხება ღია მმართველობასა და კორუფციასთან ბრძოლას, ინფორმაციის თავისუფლებას, მთავრობის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, მედიის თავისუფლების საკითხებსა და სხვ. არის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) თანადამფუძნებელი და დირექტორი, „ღია მმართველობა საქართველოს“ ფორუმის თანათავმჯდომარე, ანტიკორუფციული საბჭოს ინფორმაციის თავისუფლების სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელი და კოორდინატორი კოალიციისა „მედიის ადვოკატირებისათვის“.

კვირა

გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს სახელმწიფო დელეგაციასთან ერთად მონაწილეობა მიიღო კიევში გამართულ „ღირსების მარშში“ და შეხვდა უკრაინის პრეზიდენტს პეტრო პოროშენკოს.

თანამდებობიდან გადადგა იმერეთის რეგიონის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი.

ლოს-ანჯელესში გაიმართა აშშ-ის კინოაკადემიის პრემიებით დაჯილდოების ტრადიციული ცერემონია; საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში, სადაც ესტონეთის სახელით ნომინირებული იყო რეჟისორ ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“, გაიმარჯვა პოლონურმა სურათმა „იდამ“.

თებერვლის მიწურული უკვე რამდენიმე წელიწადია, საკმაოდ რთული, ემოციური და მოვლენებით აღსავსეა ჩემთვის. ყოველ წელს, ამ დროს, ჩვენს მეგობრებთან და პარტნიორებთან ერთად 25 თებერვლის აქცია-გამოფენისთვის ვემზადებით, რომელიც 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციას ეძღვნება. დაახლოებით ერთი თვის წინაც, ტრადიციისამებრ, ჩვენთან, ოფისში მოვიდა საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარე გურამ სოსელია და მითხრა: „გიორგი, 25 თებერვალს გამოფენა უნდა მოვაწყოთ.“

ეს ბოლო წლებია, „მემორიალი“ ჩვენთან ერთად მუშაობს. ამ ორგანიზაციის მიერ ათწლეულების მანძილზე შეგროვებული უძვირფასესი დოკუმენტური და ფოტოარქივიც ჩვენთან ინახება. ბატონი გურამიც ჩვენთან დადის, რაც „მემორიალის“ არქივი საბურთალოზე მდებარე ერთ-ერთი ინსტიტუტის სარდაფიდან გადმოვიტანეთ და დამუშავება-დახარისხების შემდეგ ჩვენს ოფისში განვათავსეთ.

ჩვენ „მემორიალთან“ ერთად გამოვიარეთ „სტალინურ სიებზე“ მუშაობის სამი წელი, ერთად ვაგროვებდით ინფორმაციას რეპრესირებულებზე, დავდიოდით არქივებში, რეპრესირებულთა ოჯახებში...

რატომ „მემორიალი“? დღეს, როდესაც ნინიმ საყიდლებზე გავლა დამავალა, სოლოლაკის ერთ-ერთ მაღაზიაში მომესმა ნაცნობი ხმა, რომელიც გამყიდველს მიმართავდა: „ასეთი

კარტრიჯი ხომ არ გაქვთ?“ ხმაზე უმალ შემოვტრიალდი. ბატონი გურამი იყო, კარტრიჯის საყიდლად გამოსულიყო, რომელიც ჩვენი გამოფენისთვის საჭირო მასალის ამოსაბეჭდად სჭირდებოდა. ასეთია, თუმცა სულ ვეუბნებით, რომ ყველაფერს, რაც სჭირდება, ჩვენ მივაწვდით, მაინც არ იშლის და თვითონ ყიდულობს. გამიხარდა ასე მოულოდნელად ბატონი გურამის ნახვა, დავგეგმეთ ხვალინდელი შეხვედრა.

საღამოს მე და ნინი ჩემმა ბიძაშვილმა „მაგთი-კლუბში“ დაგვპატიჟა. მისი ქორწილის მეორე დღე იყო. ბევრი მეგობარი და ნათესავი ვნახეთ, რომლებსაც ხშირად ვერ ვხვდები.

დილის ოთხ საათამდე კამათი და ბრძოლა ფეისბუკის საშუალებით... რამდენიმე „მეგობარი“ წავშალე მეგობრების სიიდან. Profession de foi – არაფერი მაქვს საერთო პუტინისტებთან და რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკის მომხრეებთან. მათ ვშლი მეგობრებიდან, როგორც კი ამას შევამჩნევ. აქტიური კამათი „ანტიდასავლელებთან“ უკრაინის საკითხზე... ვფიქრობ, დღეს ბრძოლა მოვიგე.

ორშაბათი

დილით სახეზე ხელების ცაცუნით გამაღვიძა მაშკამ, ჩემმა ერთი წლის გოგომ. ნინიმ გადმოაწვინა. ეს წუთები ყველაზე სასიამოვნოა...

ვიცი, რომ IDFI-ში სასწაული მელოდება – ლევან ავალიშვილი, IDFI-ს თავმჯდომარე, ამერიკაში გაფრინდა და ყველაფრის კეთება მე მომიწევს. ჩემი ყოველდღიური რუტინა გაორმაგდება – საქმიანობის დაგეგმვა, ადმინისტრაციულ-საფინანსო საკითხები, პროექტების მონიტორინგი, პროექტების ანგარიშგება, ახალი პროექტების მოძიება, უამრავი წასაკითხ-გასასწორებელი...

დღევანდელი დღე კარგად არის დაგეგმილი. დილით ორგანიზაციის შეკრებაა და მერე იწყება სირთულეები, რამდენიმე ღონისძიება და საქმე ერთდროულად... ყველაზე ძნელია, ყველაფერი ისე მოასწრო, რომ არაფერი გამოგრჩეს... ხანდახან გიწევს, პრიორიტეტულობის მიხედვით ამოარჩიო უფრო მნიშვნელოვანი, როდესაც რამდენიმე საქმე პარალელურად არის საკეთებელი და ყველაფრის ერთდროულად მოგვარება შეუძლებელია.

„სტაფმიტინგის“ შემდეგ – ელფოსტა. ელმიმოწერა მთელი დღე გრძელდება. დღეში სულ მცირე 100 წერილი მოდის, მათგან 20 მაინც – მნიშვნელოვანი. მიწევს ზოგზე მყისიერად რეაგირება, ზოგის მონიშვნა, რომ არ დამავიწყდეს.

ბატონი გურამი ოფისშია. მიმდინარეობს აქტიური მზადება 25 თებერვლის აქცია-გამოფენისთვის.

...შეხვედრები კიდევ ერთი დიდი დატვირთვაა. ძალიან ბევრი დრო მიაქვს. მაგრამ დღეს მნიშვნელოვანი შეხვედრა გვქონდა ჩვენი ინსტიტუტის დიდი ხნის მხარდამჭერი ორგანიზაციის წარმომადგენელთან. ამის გამო ვერ დავესწარი

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ათწლიანი უფლებამოსილების ვადა ამოეწურა კონსტანტინე კუბლაშვილს.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრებმა - დავით ონოფრიშვილმა, ვიქტორ დოლიძემ და გიორგი ცაგარეიშვილმა დატოვეს საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეთა თანამდებობები.

ირაკლი ღარიბაშვილმა იმერეთის რეგიონის გუბერნატორად დანიშნა თბილისის ვაკის რაიონის გამგებელი გივი ჭიჭინაძე.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი დავით კირკიტაძე (დაუსწრებლად).

პარლამენტის ეზოში გაიმართა 1921 წელს დაღუპულ იუნკერთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გიორგი მარგველაშვილმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

დადასტურდა, რომ სირიაში საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპა პანკისის ხეობის მკვიდრი დავით სვიაკაური.

მედიის საკითხებთან დაკავშირებულ ჩვენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას. კიდევ რამდენიმე შეხვედრა, ინტერვიუებისა და კომენტარების ჩაწერა სხვადასხვა არხთან. შემდეგ – კვლავ ოფისში მუშაობა, ისევ წერილები, პასუხები, პროექტების ანგარიშების კითხვა, მომავალი პროექტის განცხადების დეტალების გავლა... საქმე არ ილევა.

ხანგრძლივი საერთაშორისო მიმოწერა კანონპროექტზე საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რომელშიც ჩართულები ვართ.

ვგეგმავთ ჩვენი ძირითადი პროექტის – საქართველოს საჯარო დაწესებულებებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ანგარიშის დაგზავნას საჯარო დაწესებულებებისა და პარტნიორი ორგანიზაციებისთვის. შემდეგ – წერილების მომზადება.

დღე ისე გადის, ვერც ვხვდები. ნინი საყვედურს მეუბნება, რადგან ორივე ბავშვს სიცხე აქვს, მე კი გვიან მივდივარ სახლში. ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო ოჯახთან ერთად ყოფნაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის საშუალება დღის განმავლობაში არ მეძლევა. სახლში მოსულს, ბავშვები დაძინებული მხვდებიან. ოთხი წლის ანდრიას მაღალი სიცხე აქვს. ვერ დავამარცხეთ ეს ვირუსები.

კვლავ დილის ოთხ საათამდე კამათი და ბრძოლა იმავე კატეგორიასთან ფეისბუკზე. ამდენი დრო ტყუილად არ დამიკარგავს, რამდენიმე ჩემს აზრზე გადმოვიყვანე.

24 სამშაბათი

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით ერთი აშშ დოლარის ფასმა 2,26 ლარს გადააჭარბა; ლარის მკვეთრი გაუფასურების გამო ნაციონალურმა მოძრაობამ პარლამენტის რიგგარეშე სხდომის დანიშვნა მოითხოვა.

დიღმის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს ბაბუშერის აეროპორტში თვითმფრინავის აფეთქების შედეგად დაღუპული გიორგი ჩარგეიშვილის, მალხაზ ფირანიშვილის, ზურაბ მელიშიანის, რუსუდან ჩხეტიანისა და კახა აბულაძის ნეშტები.

გონიოში გაიმართა ადგილობრივ მცხოვრებთა საპროტესტო აქცია ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას მათთვის ჩამორთმეული მიწების დაბრუნების მოთხოვნით.

დაახლოებით თვე-ნახევრის წინ დამიჭირეს და ჩემი ძველი პარაბელუმი ჩამომართვეს, როდესაც შეკეთების შემდეგ ხელოსნისგან სახლში მიმქონდა მანქანით. ბრალად იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება წამომიყენეს და სრულიად უსაფუძვლოდ ორი დღე შსს-ს იზოლატორში, „მოდულის“ შენობაში გამომამწყვდიეს. მესამე დღეს სასამართლომ დარბაზიდან გამათავისუფლა და ჩემი დაკავება უკანონოდ ცნო. წინასწარი მოსმენა ჩემს საქმეზე 15 იანვარს დაინიშნა. ჩემივე განცხადებით, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, მოვიხსენი IDFI-ის დირექტორის უფლებამოსილება. მთელ ერთ თვეს მიმდინარეობდა კამპანია ჩემ მხარდასაჭერად. არაერთ შესაბამის განცხადებას 100-მდე ორგანიზაციამ მოაწერა ხელი. ყველა აცხადებდა, რომ ბრალი არასწორად წამომიყენეს. დიდი თანადგომა ვიგრძენი ჩემი მეგობრებისა და ნაცნობებისგან. მხარი დამიჭირა სახალხო დამცველმაც. ბევრ სპეციალისტსა და სამართალმცოდნესთან გავიარე კონსულტაცია. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატები მიცავდნენ. ყველა პროგნოზით, უნდა გაგვემარჯვა. ჩემმა ადვოკატებმა სასამართლოს სხდომაზე პირწმინდად გაანადგურეს ბრალდების ყველა არგუმენტი. შედეგად სასამართლომ უდანაშაულოდ მცნო. 15 იანვარს მომეხსნა ბრალ-

დებულის სტატუსი. არც სააპელაციო სასამართლომ მიიღო პროკურატურის სარჩელი. ახლა მე ვედავები პროკურატურას და შსს-ს – მორალური ზიანის ანაზღაურებას ვითხოვ. გამოძიების დაწყებაზეც შევიტანე განცხადება, ჩემ მომართ, სავარაუდოდ, უკანონოდ განხორციელებული თვალთვალისა და მტკიცებულებების გაყალბების საკითხზე.

ეს იყო მძიმე შემთხვევა, რომელმაც მე, ჩემი ოჯახი და ჩემი მეგობრები ძალიან გვანერვიულა, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა.

რა საჭიროა ახლა ამ ყველაფერზე ლაპარაკი? დღეს IDFI-ში ელფოსტის, პროექტების განხილვისა და ხანგრძლივი შეხვედრების შემდგომ, დამირეკა ჩემმა ყოფილმა გამომძიებელმა და მაცნობა, რომ აპირებს ჩემი პარაბელუმი საცავიდან წამოიღოს და დააბრუნოს. პარაბელუმი ჯერ კიდევ მათთან ინახება. ახლა უკვე საბუთის ასაღებად წავედი (სწორედ ეს საბუთი არ მქონდა აღებული, როდესაც დამაკავეს. იარაღის გადატანის დროებითი ნებართვაა, რომელიც სულ რაღაც ათი ლარი ჯდება). მაგრამ საბუთის მომზადება ვერ მოესწრო და მეორე დღისთვის დამიბარეს. რას ვიზამ, ამ მოუთმენლობის გამო ადრე საკმაოდ ბევრი გადავიტანე და ამიტომ ახლა საბუთს აუცილებლად დაველოდები, რამდენი ხანიც უნდა დასჭირდეს. მაგრამ უახლოეს დღეებში აშკარად ვერ მოვიცლი.

დღეს მომიხდა კვლავ უარის თქმა თსუ-ში სალექციო კურსზე. რამდენიმე წელი ვასწავლიდი ამერიკისმცოდნეობას. ამერიკის ისტორია, ამერიკის რელიგიები, ლათინური ამერიკის ისტორია – ეს საგნები შარშანაც ვერ წავიკითხე. ძალიან მინდოდა, მაგრამ დრო უკვე აღარ მაქვს, ფიზიკურად ვერ შევძელი. წელსაც შემომთავაზა ჩემმა ყოფილმა ლექტორმა და ახლა ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა ლიკა მეძმარიაშვილმა, მაგრამ კვლავ უარი ვთქვი... ვერ ვათავსებ IDFI-სა და აკადემიურ მუშაობას, სამწუხაროდ.

მთელი საღამოს განმავლობაში გამოფენისთვის ვემზადებოდით. ვბეჭდავდით სიებს, ვამზადებდით ფოტოებს, არქივიდან მივიღეთ კარგი დოკუმენტები და ამოვბეჭდეთ. ასეა, მზადება ერთი თვით ადრე დავიწყეთ და ბოლო დღემდე საქმე მაინც არ ილევა. მაგრამ გამოფენისთვის ყველაფერი მზად არის.

სახლში კვლავ გვიან მივედი. ნინი სამართლიანად უკმაყოფილოა და ნაწყენია ჩემზე, ბავშვებს სიცხე აქვთ და მას დახმარება სჭირდებოდა, მე კი ისევ გვიან ვბრუნდები შინ.

კვლავ გვიანობამდე ბრძოლა ფეისბუკზე „რუსეთუმეებთან“.

ფეისბუკზე ვხვდები ლაშა ბაქრაძის პოსტს: „ეროვნული კატასტროფის დღე“ და კოლაუ ნადირაძის იმ ლექსის ორიგინალს, რომელიც 1921 წლის 25 თებერვალს ეხება:

„თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი...“

შემდგომ იუტუბზე რამდენჯერმე ვუსმენ ამ ლექსის ტექსტს. დამწუხრებული ვეძლევი ძილს და ვემზადები ხვალინდელი გამოფენა-აქციისთვის.

25 ოთხშაბათი

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებთან ნოდარ ხადურთან და გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე საჭიროდ არ მიიჩნევს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევას.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ ლარის დევალვაცია სავალუტო ნაკადის შემცირებით ახსნა და განაცხადა, რომ, არსებული მონაცემებით, ეროვნული ვალუტის კურსი უახლოეს მომავალში უნდა დასტაბილურდეს.

ბრიუსელში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის მორიგი სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა.

საბჭოთა ოკუპაციის 94-ე წლისთავზე საქართველოში პატივი მიაგეს წითელ არმიასთან ბრძოლაში დაღუპული იუნკრების ხსოვნას.

ცხრა საათიდან რუსთაველის გამზირზე, ყოფილი პარლამენტის შენობის წინ, გამოფენას ვაწყობთ. გუშინდელი მზიანი დღისგან განსხვავებით, როგორც ამავე დღეს შარშანაც, საკმაოდ ცივა. 1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის დღეს, ვუძღვნით ასეთ სიმბოლურ გამოფენა-აქციას, რომელსაც ბატონმა გურამმა შესაბამისი სახელი შეურჩია: „დავიწყება განმეორების გარანტიაა“. ყველაფერი მომზადებული გვაქვს. ფოტოების ორიგინალები წინასწარ გაწყობილ სტენდებში მოვათავსეთ, მოვამზადეთ რეპრესირებულთა სიები, დიდად ამობეჭდილი ფოტოები და საარქივო დოკუმენტები, რომლებიც პარლამენტის წინ ჯებირებზე განვალაგეთ. აქვეა მამაჩემის ბაბუის ფოტო და ამონარიდები მისი სისხლის სამართლის საქმიდან, რომელსაც ყოფილი КГБ-ის არქივში მივაკვლიე. დეკანოზი გიორგი ინაშვილი 1924 წლის აჯანყების შემდეგ დახვრიტეს სართიჭალაში 1 სექტემბერს, როგორც ანტისაბჭოთა აგიტატორი, მრევლის ანტისაბჭოთა აჯანყებისკენ წაქეზების გამო. მასთან ერთად კიდევ ათეულობით სასულიერო პირი დახვრიტა ჩეკას სამეულმა...

IDFI-ს გუნდი სრულად აქ არის, მოდიან „მემორიალის“ მხცოვანი წევრები, მოაქვთ ყვავილები და სანთლები.

ხალხი ბევრი არ არის, მაგრამ გამვლელები ჩერდებიან და ათვალიერებენ გამოფენას. წელს, შარშანდლისგან განსხვავებით, სტალინისტები არ მოსულან, წყნარად ჩაიარა გამოფენა-აქციამ. ბევრი მოსეირნე უცხოელიც შემოგვიერთდა, ავუხსენით გამოფენის მიზანი და არსი. რამდენიმე არხს მივეცი ინტერვიუ არა მხოლოდ აქციასთან დაკავშირებით, არამედ ლარის კურსზე, მთავრობის მიერ ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებისა და „ქამრების შემოჭერის“ შესახებ განცხადებაზე, ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

12 საათზე აქცია-გამოფენიდან პარლამენტში გადავინაცვლეთ თინა ხიდაშელთან შეხვედრაზე, სადაც ღია მმართველობის პარტნიორობის დიდ პროექტთან დაკავშირებულ საკითხებს განვიხილავთ. OGP ჩვენი საქმეა, ძალიან წავიწიეთ წინ ამ მიმართულებით. საქართველო უკვე OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრია. ახლა ღია მმართველობაში პარლამენტის როლის გააქტიურებაზე ვმუშაობთ.

საქართველოსთვის თავდადებულ გმირებს რუსთაველზე სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადავუხადეთ. ჩიტაძის ქუჩაზე, ჩემს სახლთან მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადა მამა საბამ. სიმბოლურია: ამ ეკლესიაში 1918 წელს ჩემი დიდი ბაბუა მოღვაწეობდა. ხუთ

საათზე გამოფენა ლიტერატურის მუზეუმში გადავიტანეთ, სადაც ის სამ დღეს დაყოფს.

ოფისში მისულებმა, მორიგი აქცია მოვიფიქრეთ: მთელმა ოფისმა ქამრები შემოვიჭირეთ, გადავიღეთ სურათები და ჩვენს ფეისბუკის გვერდზე დავდეთ. „ქამრების შემოჭერა“ მთავრობასაც შევთავაზეთ.

რთული სამუშაო დღის წარმატებით დასრულება ოფისში აღვნიშნეთ. „ქამრების შემოჭერის“ აქციის შემდგომ მწვადები შევწვით ჩვენს ბუხარში. აი, ამის სურათები კი არ დაგვიდევს ფეისბუკზე.

სახლში ისევ გვიან მივედი.

ფეისბუკზე ბრძოლა დღეს უფრო ემოციური იყო, მაინც 25 თებერვალია. კვლავ რამდენიმე გადმოვიბირე ჩემს მსოფლმხედველობაზე საგარეოპოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით.

ხუთშაბათი

დღეს ახალი ინფორმაცია გამოვაქვეყნეთ. როგორც ჟურნალისტები ამბობენ, „ახალი ბომბი დავდეთ“. ისევ და ისევ პრემიები და დანამატები საჯარო სამსახურში. ჩვენი ექსკლუზიური თემაა. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თემაზე 2010 წლიდან აქტიურად ვმუშაობთ. პრემიების დარეგულირება საჯარო სამსახურში ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი შედეგია. და ახლა, ამ ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, როდესაც მთავრობამ ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებაზე ილაპარაკა, 2014 წელს მინისტრებისა და მათი მოადგილეებისთვის გაცემული თანხა გავაანალიზეთ და შედეგები გამოვაქვეყნეთ. მედია დიდ ინტერესს იჩენს, ყველა არხმა ჩაგვწერა; ჩვენს ინფორმაციაზე დაყრდნობით ბევრი სტატია ქვეყნდებოდა მთელი დღის განმავლობაში.

მეილები, წერილები, პასუხი წერილებზე, პროექტების მიმდინარეობის ანგარიშები, საქმიანობის დაგეგმვა. ძალიან ბევრი საქმეა.

ხვალ პროექტის პრეზენტაცია გვაქვს. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) სტუდენტებში მთავრობის კონტროლის ელ-უნარების შესახებ ტრენინგები ჩაატარა თბილისსა და რეგიონებში. სტუდენტებმა იაქტიურეს და ინფორმაციები გამოითხოვეს საჯარო დაწესებულებებიდან, ანალიტიკური სტატიები დაწერეს და გარკვეული შედეგებიც მიიღეს. გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ძალიან კარგი პრიზები გვაქვს მომზადებული, მაგრამ საჩუქრებს ჩალაგება სჭირდება. გვიანობამდე ვალაგებდით 30 სტუდენტისთვის განკუთვნილ საჩუქრებს.

თერთმეტის ნახევარზე „პალიტრა TV“-ის ეთერში პრემიებზე ვსაუბრობ.

სახლში კვლავ გვიან მივედი.

სოციალურ ქსელში პრინციპებისთვის ბრძოლა არ წყდება.

ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში შეხვდა ევროკომისიის პრეზიდენტს ჟან-კლოდ იუნკერს, ევროკავშირის საბჭოს ხელმძღვანელს დონალდ ტუსკს, საგარეო პოლიტიკის კოორდინატორს ფედერიკა მოგერინისა და ევროპარლამენტის პრეზიდენტს მარტინ შულცს.

პრაღაში გაიმართა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის საგანგებო წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან.

საპარლამენტო უმრავლესობა დათანხმდა ოპოზიციის მოთხოვნას და 28 თებერვლისთვის მოიწვია რიგგარეშე სხდომა ლარის გაუფასურების საკითხზე.

ფინანსთა სამინისტროსთან არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების თაოსნობით მოეწყო საპროტესტო აქცია მთავრობის გადადგომის მოთხოვნით.

27 პარასკევი

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ განაცხადა, რომ ბანკის წინააღმდეგ მიმდინარეობს მიზანმიმართული ცილისმწამებლური კამპანია და მმართველი პოლიტიკური კოალიციის წარმომადგენლებს მოუწოდა, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ამგვარი თავდასხმები.

ირაკლი ღარიბაშვილი ბუქარესტში შეხვდა რუმინეთის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ პონტას.

ერგნეთში გაიმართა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფების 52-ე შეხვედრა.

გიორგი მარგველაშვილმა „სამოქალაქო თავდადებისთვის“ დააჯილდოვა ადრიატიკის ზღვაში 2014 წლის დეკემბერში დაღუპული არქიმანდრიტი ილია კარტოზია (სიკვდილის შემდეგ).

მოსკოვში, კრემლის მახლობლად, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს რუსეთის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი ვიცე-პრემიერი ბორის ნემცოვი.

დღეს ძალიან კარგი ღონისძიება გვქონდა. პროექტში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო უჭერდა მხარს, 60 სტუდენტი იყო ჩართული. დიდი ხანია ვმუშაობთ ელექტრონულ მმართველობასა და ელექტრონულ დემოკრატიაზე. გამოვავლინეთ 25 სტუდენტი, რომლებიც დავაჯილდოვეთ სერტიფიკატებით პროექტში წარმატებით მონაწილეობისთვის, დავურიგეთ საჩუქრები, ხოლო სამ გამორჩეულ სტუდენტს „კინდლები“ ვაჩუქეთ. ყველა ბედნიერი იყო! ღონისძიება გაიმართა USAID-ის მიერ მხარდაჭერილ მულტიმედიის განათლების ცენტრში. USAID-ისა და ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებთან ბევრი ვისაუბრეთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე.

მომიხდა უარის თქმა პარალელურად დაგეგმილ რამდენიმე ღონისძიებაზე. სამწუხაროდ, ვერ წავედი ხიდისთავში, სადაც გაიხსნა განახლებული რეგიონული საჯარო ბიბლიოთეკა იმ პროექტის ფარგლებში, რომელსაც პარტნიორებთან ერთად ვახორციელებთ. ასევე ვერ წავედი ეროვნული ბანკის სამუშაო შეხვედრაზე. ცხადია, ნაწყენები დარჩნენ, მაგრამ რას ვიზამ, თუ რამდენიმე ღონისძიება ერთმანეთს ემთხვევა, უფრო პრიორიტეტული უნდა აირჩიო, მით უმეტეს, როდესაც ლევანი ამერიკაშია. როცა ორივე თბილისში ვართ, ერთმანეთს ვენაცვლებით. ჩემი პარაბელუმი კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროშია. ისიც ვერ წამოვიღე. ნებართვის ასაღებად ვერ მივდივარ. უამრავი საქმე მაქვს ოფისში.

ხვალისთვის რამდენიმე ინტერვიუ დაიგეგმა. დღიურებსაც უნდა გადავხედო.

საღამოს მიღება გვაქვს სტუდენტებთან ბარ People-ში. ძალიან სასიამოვნო საღამო იყო, ბევრი ვისაუბრეთ, განვიხილეთ პოლიტიკური საკითხებიც. მალე მომიხდა წამოსვლა, შევეცადე, სახლში დროულად მივსულიყავი. ეს „დროულად“ საღამოს 10 საათია.

ბავშვები კვლავ ავად არიან. ეს ვირუსები ძალიან გვიშლის ნერვებს. ნინი ნერვიულობს და დაღლილი დამხვდა. მეც საკმაოდ დაღლილი ვარ.

გადავწყვიტე, ამჯერად ფეისბუკი დავასვენო ჩემი კამათისგან. დღეს ფილმის დღეა, წიგნსაც ვერ წავიკითხავ, თავი მტკივა.

28 შაბათი

ოსურმა მხარემ ქართველ სამართალდამცველებს გადასცა ოკუპირებულ ახალგორის რაიონში გაუჩინარების შემდეგ 2014 წელს აღმოჩენილი 19 წლის დავით ბაშარულის გვამი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ აფხაზეთის

გამოვიძინე. ოფისში არ წავედი. დილა ნინისთან და ბავშვებთან გავატარე. ანდრია ძალიან ცელქობს, არ მასვენებს, მე კი დღიურებს უნდა გადავხედო. დღეს დღიურების ჩაწერის დღეა.

რამდენიმე ინტერვიუ იგეგმება მოგვიანებით. „რუსთავი 2“, რომელსაც გუშინ ტყუილად ვაცდევინე, დღეს უნდა მოვიდეს ოფისში.

არ ვიცი, დღიურები რამდენად საინტერესო გამოვიდა. მაგ-

რამ გადავიკითხე და მივხვდი, რომ ნინის უფრო მეტად უნდა დავეხმარო. დღეს ადრე მივალ სახლში, იმედია. ბოლო ინტერვიუ შვიდზე მაქვს დაგეგმილი...

გავლით რკინიგზის აღდგენის საკითხი არც ერთ დონეზე არ განხილულა და ამგვარი განხილვა არც იგეგმება.

კვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, რომელზედაც დეპუტატებს საქართველოში შექმნილ ეკონომიკურ პრობლემებზე უნდა ემსჯელათ.

ევროპის ერთა თასის გათამაშების მორიგ შეხვედრაში საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა სტუმრად სძლია ესპანეთის ეროვნულ გუნდს – 26:13.

ელენე (მაია) რუსეცკაია

სამოქალაქო აქტივისტი. დაიბადა 1971 წლის 27 მაისს თბილისში. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინჟინერიის ფაკულტეტი. ამჟამად არის ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი საერთაშორისო სამართლის მიმართულებით. 2000 წელს დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს. არის ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი საქართველოს პრემიერ-მინისტრის უწყებათაშორის საბჭოში, მრავალი პროექტის ავტორი და მენეჯერი. თანამშრომლობს რამდენიმე ადგილობრივსა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან გენდერის მრჩევლის რანგში, ეწევა აქტიურ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

მარტი

1 კვირა

აშშ-ში ერთკვირიანი ვიზიტით გაემგზავრა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

კვირაა. სამსახურში არ მივდივარ. გვიან გამეღვიძა. სიზმარში ბებია ვნახე. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

დღეს ჩემი უფროსი შვილი, სანდრო ჩამოდის ახმეტიდან. ერთი კვირაა, არ მინახავს. მეგობრებთან ერთად პრაქტიკას გადიოდა ადგილობრივი გამგეობის არქიტექტურის სამსახურში. მოუთმენლად ველი.

გადავწყვიტე, ყოველ კვირას მეგობრები ვნახო, თორემ უკვე ყველა გავანაწყენე. მაინც პირიქით გამოდის – თვითონ უწევენ შეხვედრას ორგანიზებას. დღესაც მარიკამ დამირეკა, თუ სახლში ხართ, მე და შაკო გამოვალთო. შაკო მისი მეუღლეა. ახალდაქორწინებულები არიან, ძალიან ბედნიერები. არაჩვეულებრივი წყვილია! სულ სიყვარულით და ღიმილით საუბრობენ. დაკვირვებული ვარ, არასოდეს არ ლაპარაკობენ უარყოფითზე, მხოლოდ – პოზიტიურზე. იმხელა ენერგია მოდის მათგან, დარწმუნებული ვარ, მთელი კვირა გამყვება.

მარიკა ლიდერი ქალია. გორში ორგანიზაცია „ბილიკს“ ხელმძღვანელობს; ის ადამიანია, ბევრ საქმეს რომ აკეთებს და თავის მიღწევებზე არ ლაპარაკობს. ჩემი აზრით, სწორედ ასეთების შესახებ უნდა შეიტყოს საზოგადოებამ.

გვიან დავიშალეთ. მამუკა დამეხმარა და მივლაგდით. ხვალ ორშაბათია.

ორშაბათი

ნეტავ ვინმესთვის თუ არის ორშაბათი მშვიდი დღე? ჩემთვის ყველაზე დაძაბულია. ამ დღეს მთელი კვირის მანძილზე ვგეგმავ ხოლმე.

ჩვეულებრივ, დილით სახლიდან გავრბივარ. არც ყავა, არც საუზმე. ყავას სამსახურში დავლევ. ათის ნახევარზე ტრადიციული თათბირი გვაქვს და მომზადებული უნდა ვიყო. თან, ახალი წესების მიხედვით, ერთ საათში უნდა ჩავეტიოთ, რასაც თითქმის ვერასდროს ვახერხებთ. ძალიან ბევრი გვაქვს ხოლმე ერთმანეთისთვის მოსაყოლი.

მანქანის გასაჩერებელი ადგილი ძლივს ვიპოვე, ორჯერ შემოვუარე ოფისს. გოგოები გარეთ იდგნენ და მელოდებოდნენ, როგორც ყოველთვის, მხიარულ გუნებაზე.

საქმეს შევუდექით. ამჯერად მაიკომ დააგვიანა. ორი არაჩვეულებრივი პატარა შვილი ჰყავს. რომ წარმოვიდგენ, რამდენი რამ აქვს მოსასწრები დღის განმავლობაში, თან სამსახურშიც რამდენ საქმეს აკეთებს, როგორ გინდა, შენიშვნა მისცე?! საქართველოში ძალიან რთულია, იყო დასაქმებული დედა. ჩვენ, ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ეს ყველაზე უკეთ გვესმის. სწორედ ამ პრობლემების გადასაჭრელად ვმუშაობთ.

12 საათზე მემორანდუმს ვაფორმებთ ქალთა საინფორმაციო ცენტრსა და საქართველოს ეროვნულ არქივს შორის. 19 მარტს მნიშვნელოვან ღონისძიებას ვმართავთ ერთად ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს, USAID-ის მხარდაჭერით: უნდა გამოვფინოთ გასული საუკუნის 20-იანი წლების, საქართველოს დამოუკიდებლობისდროინდელი დამფუძნებელი კრების წევრი ქალების ფოტოები და მათი საქმიანობის ამსახველი საარქივო მასალები. ეს ღონისძიება პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ხარისხის გაზრდისაკენ მიმართული კამპანიის ნაწილია. 2016 წელს საპარლამენტო არჩევნებია. ამიტომ წელს ქალთა ორგანიზაციებს გადამწყვეტი ბრძოლა გველის, რომ გაისად პარლამენტში ქალთა რაოდენობა გაიზარდოს. მე და ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი, თეონა იაშვილი, მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივაზე ვსაუბრობთ. ყოველთვის სასიამოვნოა საკუთარ საქმეზე შეყვარებულ ადამიანებთან ურთიერთობა.

5 საათზე იწყება გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის საშუალედო ანგარიშის წარდგენა. მნიშვნელოვანი ღონისძიებაა.

უამრავი ვინმე ვნახე. შეხვედრას მანანა კობახიძე უძღვება. მთავარი ამოცანაა, ვილაპარაკო კანონში შესატან ცვლილებებზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციურ მექანიზმთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ წამოვწიო წინ კვოტების თემა. ანგარიშის წარდგენისას ექსპერტმა რამდენიმეჯერ ახსენა ქალთა საინფორმაციო ცენტრი. ვამაყობ ჩვენი ორგა-

ჟენევაში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა რუსეთი დაადანაშაულა სუვერენული სახელმწიფოების მიმართ საერთაშორისო სამართლის უხეშად დარღვევაში და დაადასტურა უკრაინისადმი საქართველოს მტკიცე მხარდაჭერა.

ნაციონალური მოძრაობის თბილისის ოფისთან პოლიციამ დააკავა ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ექვსი წევრი, რომლებმაც შენობას კვერცხები დაუშინეს.

დედის დღესთან დაკავშირებით პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა შეიწყალა რვა მსჯავრდებული ქალი.

79 წლის ასაკში გარდაიცვალა წარსულში ცნობილი კალათბურთელი გურამ მინაშვილი.

ნიზაციითა და ჩვენი გუნდით!

სანდრო გვიან მოვიდა სახლში. მე და მამუკამ, რა თქმა უნდა, ვერ დავიძინეთ. ვისხედით და ვნერვიულობდით, თითქოს ჩვენც ასევე არ ვიქცეოდით ახალგაზრდობაში.

3 სამშაბათი

კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ გადადო მარტიდან იურიდიული პირებისთვის გაზის ტარიფის 15 თეთრით გაზრდა, თუმცა განაცხადა, რომ ამ საკითხზე კონსულტაციებს განაგრძობს.

თამარ ბერუჩაშვილი ჟენევაში შეხვდა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს პრეზიდენტს იოახიმ რიუკერს; შეხვედრაზე იმსჯელეს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილ მძიმე ჰუმანიტარულ ვითარებაზე.

საქართველოში აღინიშნა დედის დღე.

დღეს დედის დღეა. უცნაური შეგრძნებაა, რომ შუა კვირაში სამსახურში არ ვარ წასასვლელი, თუმცა საქმე ბევრი დამიგროვდა, როგორც ყოველთვის. ყავა მინდა. აღმოვაჩინე, რომ სახლში ყავა გამთავებია, რაც იშვიათად ხდება. უამრავი საქმე მაქვს და უყავოდ გამიჭირდება. კარგია, რომ სახლში მყავს ადამიანი, ვისაც შემიძლია, ყავის მოტანა ვთხოვო და უარს არ მეტყვის...

სანდრომაც გაიღვიძა. „დე, წუხელ ნიკუშას ველაპარაკე“, მომაძახა და გერმანულზე გაიქცა. ყურადღება ვერ მივაქციე. თვითონ მიხედა თავს, ისაუზმა და გავარდა სახლიდან. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შვილები დამოუკიდებელ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ.

3 მარტი უცნაური დღეა. დედის დღეა და, რა თქმა უნდა, დედას უნდა მივულოცო, მაგრამ თავში უამრავი აზრი მიტრიალებს და კომპიუტერს მივუჯექი. ჩემი აზრით, ასეთი დღეები სწორედ იმისთვის უნდა გამოვიყენოთ, რომ საზოგადოებას ქალთა უფლებების შესახებ შევახსენოთ. იმ დროს, როცა დედების უფლებები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაცული და კანონშიც ბევრი ხარვეზია ამ მხრივ, 3 მარტს ზეიმით ვერ აღვნიშნავთ. რა თქმა უნდა, კარგია, დედებს ყვავილებს რომ ვუძღვნით, მაგრამ მათს უფლებებზე ზრუნვა გაცილებით მნიშვნელოვანია.

ორგანიზაციის ბუკლეტს უნდა გადავხედო. ხუთშაბათს იბეჭდება და შესწორებებია შესატანი. გამახსენდა, რომ სათემო ორგანიზაციების პროექტებიც წასაკითხი მაქვს, მთელი დასტა. ეს საპასუხისმგებლო საქმეა და გულდასმით ჩაჯდომა სჭირდება.

მამუკა მეუბნება, სამსახურში უნდა წავიდეო. ისიც ჩემ დღეშია. მანამდე ყავა მომიტანა. ისე მიხარია, თითქმის მჯერა, რომ ყავა აზრებს დამალაგებინებს.

საქმე წინ მიდის. წასაკითხი პროექტები განახევრდა.

ამასობაში მამუკაც დაბრუნდა სამსახურიდან და ტიტები მომიტანა – დედის დღე მომილოცა. მისგან ყვავილები არ მაკლია, მაგრამ მაინც სასიამოვნოა.

სანდრო დაბრუნდა, შემოვიდა და დედის დღესთან დაკავშირებით დისკუსია გაიმართა. ჩემი შვილი არ ცნობს ოფიციალურ დღესასწაულებს, მხოლოდ დასვენების დღეებს აღიარებს. მოკლედ, ჩვენს ოჯახში დისკუსიები ხშირია. შემდეგი თემა ალბათ 8 მარტი იქნება.

დედასაც დავურეკე. ხმა არ მომეწონა. ცუდია, როდესაც საყვარელი ადამიანის ხმა არ მოგწონს ტელეფონში. მივულო-

ცე დედის დღე. მორიდებით მკითხა, შევძლებდი თუ არა მასთან მისვლას დღის განმავლობაში. ვერა-მეთქი, ვუპასუხე და სინდისის ქენჯნამ შემაწუხა. ალბათ, მოგვიანებით მაინც მივალ. დღეს ხომ მისი დღეა.

მთელი დღე არ შეწყვეტილა ზარები. განსაკუთრებით გამახარა იმან, რომ რეგიონებიდან უამრავმა ქალმა დარეკა, ჩვენი პარტნიორი ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. თითოეულ მათგანთან ურთიერთობა ჩემთვის ძალიან ძვირფასია და მიხარია, როცა ისინიც სიყვარულსა და ყურადღებას გამოხატავენ.

დღეს ერთი ძალიან კარგი ამბავი მოხდა: გაიმართა პოლიციელ ქალთა კონფერენცია, რომელზედაც თეა წულუკიანი გამოვიდა სიტყვით და ქალთა პოლიტიკურ აქტიურობასა და კვოტებზე ისაუბრა. ქალთა სოლიდარობა შესაძლებელია. მთავარია, მოინდომო.

ოთხშაბათი

სამსახურამდე სილამაზის სალონში წავედი. ერთი სალონი მაქვს ამოჩემებული. მისი მფლობელი ქალია. სალონი კარგი ადგილია დღის ხალისიანად დასაწყებად, თანაც აქ უამრავ ინფორმაციას იღებ, ჭორსაც და მართალსაც. ერთმანეთს ენაცვლება დისკუსიები მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, ლარის ინფლაციაზე და ა.შ. ინფორმაციის მისაღებად ინტერნეტში შესვლაც კი არ დაგჭირდება, ისეთი ამბავია!

ამ სალონის მფლობელი ქალი ჩემთვის სამაგალითოა. მუდამ შრომაშია, მუდამ ფეხზე დგას, კლიენტებს ღიმილით ემსახურება, თანამშრომლებს აკვალიანებს, თანაც ოთხი შვილი ჰყავს და სახლშიც უამრავი საქმე აქვს.

როცა სოფლებში ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ვმუშაობთ, ძალიან მინდა, რომ ჩვენი ქალები ასეთი ენთუზიაზმითა და მონდომებით მიუდგნენ საქმეს და დაიჯერონ, რომ ყველაფერი გამოვა, თუ მოინდომებ, თუ იშრომებ, თუ არიან ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც მხარში ამოგიდგებიან. ერთმანეთის დახმარება, თანამშრომლობა, სხვისი გაკეთებული საქმის პატივისცემა ძალიან მნიშვნელოვანია.

სამსახურში მივირბინე. ყველა თავისთვის დაფუსფუსებდა. რამდენიმე მნიშვნელოვან თემაზე ვმუშაობთ: ქალთა სტატუსის კომისია (CSW), 19 მარტის გამოფენა... უამრავ წერილზეა პასუხი გასაცემი. სტამბიდან პლაკატები მოიტანეს. კარგი გამოვიდა. მიხარია, რომ ჩვენს კონკურსში ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე ახალგაზრდების ჩართვა მოვახერხეთ. კარგი ნამუშევრები წარმოადგინეს სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა. საკმაოდ ბევრი მასალა დაგვიგროვდა, პოსტერებს ემატება ჩვენი პროექტების ფარგლებში მომზადებული ალბომები, კალენდრები და გამოკვლევები. ამ ყველაფერს ნიუიორკში წავიღებთ და შეხვედრებზე გავავრცელებთ. კარგია,

მარტი

4

ლარის გაუფასურების გამო თბილისის ცენტრში მოწყობილი საპროტესტო აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და ფოტოკამერა დაუმტვრია ფოტორეპორტიორ ირაკლი გედენიძეს.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ „პროვოკატორები“ და „მატყუარები“ უწოდა პოლიტიკოსებს, რომლებიც საუბრობენ ნატოში საქართველოს გაწევრიანების შესაძლებლობაზე.

საქართველოს პარლამენტის უხუცესმა დეპუტატმა გიორგი ოჩიაურმა კოლეგებს თავისი სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა სთხოვა, რის მიზეზადაც ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელა.

რომ მარტო არ მივდივარ.

ოფისიდან გასვლას ვაპირებდი, როცა სალომემ, ჩვენი ორგანიზაციის „პიარმა“, მომაძახა, არ წახვიდე, სცენარი უნდა წავიკითხოთო. პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობაზე ვიღებთ კლიპს. მგონი, კარგი გამოდის.

სახლში 10 საათისთვის დავბრუნდით. სანდრო და მისი მეგობარი ანა თავიანთ პროექტზე მუშაობდნენ. დღეს 12 საათამდე უნდა გაგზავნონ, დედლაინი აქვთ. როგორ არ მიყვარს ეს სიტყვა!

შემოსული არ ვიყავი, დამიძახა, დე, ნახე, რა გავაკეთეთო. ძალიან მომეწონა. ვკითხე პროექტის სახელწოდებაზე და ბევრი ვიკამათეთ. მერე სამი ვარიანტი შეარჩიეს. კონსულტაციისთვის „ზარი ახლობელთან“ გამოვიყენე და ვკითხე აზრი, ამ სამი სახელწოდებიდან რომელი მოგწონს-მეთქი. ბოლოს პროექტს „ესღა გვაკლდა“ დაარქვეს.

5

ხუთშაბათი

ადრე გამეღვიძა. ავდექი და კომპიუტერს მივუჯექი. ბევრი სამუშაო მაქვს, უნდა მოვასწრო სამსახურში წასვლამდე. რა თქმა უნდა, უკვე დამხვდა შეტყობინებები ფეისბუკზე. კიდევ ერთხელ გადავხედე ნიუ-იორკის დოკუმენტებს, შესწორებები შევიტანე, წერილები გავგზავნე და წერა გავაგრძელე.

დედამ იცის, რომ დღეს მივფრინავ და დილიდანვე დამირეკა, მომიკითხა, როგორც ყოველთვის.

10 საათია, მამუკა უკვე სამსახურშია, მე ოდნავ ვაგვიანებ, სახლში რაღაცები უნდა მოვასწრო. ამაღამ მივფრინავ. მე და სანდრო სახლიდან ერთად გავალთ. გზაში მოვასწრებ დალაპარაკებას.

მთავრობამ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს დაავალა, 16 მარტამდე წარადგინონ ინფორმაცია ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების შესახებ და განაცხადა, რომ არ აპირებს გადასახადების გაზრდასა და მიმდინარე სოციალური და ინფრასტრუქტურული ხარჯების შემცირებას.

პოლიციამ დააკავა პირი, რომელმაც 4 მარტს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ფოტორეპორტიორ ირაკლი გედენიძეს.

რუსეთმა და მის მიერ დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარებულმა აფხაზეთმა „ოფიციალურად ამოქმედებულად“ გამოაცხადეს „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება“.

6

პარასკევი

უკვე ნიუ-იორკში ვართ. ჩემი უმცროსი შვილი, ნიკუშა, გაცვლითი პროგრამით ამერიკაში სწავლობს, ტეხასის შტატშია. ვამაყობ მისი მიღწევებით, ბედნიერი ვარ, რომ მისი მასპინძელი ოჯახი და სკოლა უამრავ მადლობას გვიხდიან ნიკას კარგი ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრებისთვის. თუმცა ძალიან ვდარდობ, რომ მისი ნახვის უფლება არ მაქვს. პროგრამა უკრძალავს ამ ერთი წლის განმავლობაში ოჯახის წევრებთან შეხვედრას.

ქალთა სტატუსის კომისია, რომლის გამოც შეერთებულ შტატებში ჩამოვედით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სწორედ აქ ჯამდება, რა ხდება გენდერის მიმართულებით მთელ მსოფლიოში. საქართველო უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. ამიტომ კოლეგების გამოცდილების გაზიარება ძალიან

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვს გაუგზავნა ნოტა, რომლითაც პროტესტი გამოთქვა რუსეთის სამხრეთ რეგიონებში დაწყებულ წვრთნაში ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული ბაზების მონაწილეობასთან დაკავშირებით.

გიორგი მარგველაშვილმა გამოსცა შეწყალების აქტები, რომელთა თანახმად უვადო პატიმრობაში მყოფ სამ ქალს სასჯელი 20-წლიანი პატიმრობით შეეცვალა; შეწყალება შეეხო კიდევ 188 მსჯავრდებულს.

„თავისუფალი დემოკრატების“ ფრაქციამ პრეზიდენტ გიორგი

გვეხმარება. რა თქმა უნდა, ვცდილობთ, წარმოვაჩინოთ როგორც პრობლემები, ისე მიღწევები. საბედნიეროდ, მიღწევაც ბევრია.

ვცდილობ, თბილისში დარჩენილ თანამშრომლებთან მუდმივი კავშირი მქონდეს. დღეს რამდენიმე მათგანი პანკისში მიდის ჟურნალისტებთან ერთად. უხუცესთა საბჭოს ხვდებიან ქალებისა და ახალგაზრდების პრობლემების განსახილველად.

მალე კონფერენციის საშვებს ავიღებთ და ყველა ღონისძიებაზე შევძლებთ დასწრებას. ქალთა საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები, მაიკო და ნათია, ოდნავ ღელავენ. პირველად არიან ქალთა სტატუსის კომისიაზე. თან ქეთიც გვახლავს, გენდერული საინფორმაციო სააგენტოს ჟურნალისტი, რომელიც კონფერენციის შესახებ დოკუმენტურ ფილმს გადაიღებს. სააგენტო გასული წლის ბოლოს ჩამოვაყალიბეთ ქალთა საინფორმაციო ცენტრის პორტალის ბაზაზე. ჟურნალისტის აქ ყოფნა დაგვეხმარება, რომ თბილისში მყოფ კოლეგებს ინფორმაცია დროულად მივაწოდოთ.

შაბათი

ბოლო შვიდი თვის განმავლობაში შაბათი ჩემთვის განსაკუთრებული დღეა. მხოლოდ შაბათს შემიძლია, ნიკუშას დაველაპარაკო. გამოდის, რომ ოჯახი მთელ კვირას შაბათის მოლოდინში ვატარებთ.

შეხვედრები წარმატებით მიმდინარეობს, თუმცა ჩემი გულისა და გონების ნაწილი თბილისშია. ხვალ საქართველოს ქალაქებში გაიმართება დიდი მსვლელობა დევიზით „მეტი ქალი პარლამენტში!“ მიხარია, რომ ქალთა მოძრაობამ ახალი ძალები მოიკრიბა და ჩვენი ხმის ჩახშობა შეუძლებელია. ხვალ ჩვენი კოლეგები, მეგობრები, თანამოაზრეები და, საერთოდ, საქართველოს უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი ადამიანები, სარვამარტო აქციაში მიიღებენ მონაწილეობას, ჩვენ კი აქ, ნიუ-იორკში, შევუერთდებით გაეროს მიერ ორგანიზებულ მსვლელობას ქალთა უფლებებისათვის, მსოფლიოს ქალებთან ქართველი ქალების სათქმელს მივიტანთ.

ვფიქრობ ხვალინდელ დღეზე და ვხვდები: როცა ადამიანებს საერთო იდეები და მიზნები ამოძრავებთ, დედამიწა პატარავდება, დრო და მანძილი ვეღარაფერს ცვლის. დარწმუნებული ვარ, შორს არ არის დღე, როცა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მეტ ქალს ვიხილავთ.

დღეს თამამად ვამბობთ, რომ გვჭირდება მეტი ქალი პოლიტიკაში, გვჭირდება მეტი ქალი სამშვიდობო პროცესებში, გვჭირდება მეტი ქალი ბიზნესში, ერთი სიტყვით, ყველა სფეროში. სხვანაირად პროგრესი წარმოუდგენელია.

ვიცი, ყველაფერი კარგად იქნება.

P.S.: მინდოდა, დღიურში მომეხსენიებინა ყველა, ვინც ჩემი ყოველდღიური საქმიანობისა და ცხოვრების ნაწილია, ყველა

მარგველაშვილს კიდევ ერთხელ მიმართა წინადადებით, საქართველოში არსებული „მძიმე საავალუტო მდგომარეობის“ გამო პარლამენტის რიგგარეშე სხდომა მოიწვიოს.

მთავრობის ადმინისტრაციასთან საპროტესტო აქცია გამართეს სამშენებლო კომპანია „ცენტრპოინტისგან“ დაზარალებულმა მოქალაქეებმა.

7

ნიუ-ჯერსიში მომხდარ ავტოავარიაში ტრაგიკულად დაიღუპნენ აშშ-ში სასწავლებლად მყოფი კურსანტები ბესარიონ გორჯოლაძე და სოსო მაკარიძე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა ფოტოკორესპონდენტ ირაკლი გედენიძის ცემაში ბრალდებული პირისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ და ის 3 000 ლარის გიროს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

ნაციონალურმა მოძრაობამ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს მიმართა მოწოდებით, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის გამო პარლამენტის რიგგარეშე სხდომა მოიწვიოს.

პარტნიორი, ბენეფიციარი, სათემო მუშაკი და გულშემატკივარი, მაგრამ ვერ ჩავატიე. ასევე მინდოდა მეთქვა, რამდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის ქალთა საინფორმაციო ცენტრის ყველა თანამშრომლის შრომა და როგორ ვაფასებ თითოეულ მათგანს: მარიამს, მარიკას, მამუკას, მაიკოს, ნათიას, ნანუკას, ანკას, მაგდას, ქრისტინეს, ქეთის, რუსიკოს, სერგეის, ორივე ნინოს, ორივე თამუნას, ორივე დათოს და ორივე სალომეს...

ციური ანთაძე

ეკონომიკის დოქტორი, შრომის ბაზრის ექსპერტი. დაიბადა 1956 წლის 30 ივლისს გორში. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი და ასპირანტურა. სხვადასხვა დროს მუშაობდა მეცნიერ-თანამშრომლად ჯერ ეკონომიკისა და მართვის ინსტიტუტში, შემდეგ კი - დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტში; იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, კითხულობდა ლექციებს თსუ-ში. 2007 წლიდან დღემდე მუშაობს კოორდინატორად მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში. 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორი. სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში ადგილობრივი ექსპერტის სტატუსით.

მარტი

კვირა

8

დილაადრიან ზარმა გამაღვიძა. ავდექი, კარი გავაღე და ყვავილებით ხელში ჩემი ვაჟი დავინახე!!! ძალიან გამიხარდა და მესიამოვნა. ოთახში შესულს, მაგიდაზე ლამაზად შეფუთული ყუთით მეუღლის საჩუქარი მელოდა!!! ესეც მეორე სასიამოვნო განცდა. ორივეს ვაკოცე და მადლობა გადავუხადე. რა კარგია, როცა ადამიანებს არ გვეზარება ერთმანეთისთვის სიამოვნების მინიჭება. ეს ხომ პატარა ყურადღების გამოჩენითაც შესაძლებელია. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ ვაცნობიერებთ ამას, რატომ არის ისევ აქტუალური დეილ კარნეგის შეკითხვა: „რატომ არ გვინდა ადამიანებს ერთმანეთის სიამოვნება? რატომაა, რომ, როცა რაიმე არ მოგვწონს, მაშინვე ვყვირით, ხოლო, თუ მოგვეწონა, თევზივით პირში წყალს ვიგუბებთ? რატომ გვენანება ადამიანებს ერთმანეთისთვის სასიამოვნოს თქმა?“

დილის განწყობილება მთელ დღეს გამყვა. ბევრი საქმეც მოვითავე, მაგრამ დაღლილობა არ მიგრძნია. დღესასწაული მივულოცე ახლობელ ქალებს. მეც ბევრმა მომილოცა. მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომელთა ზარმა გამაოცა: ყოფილი ბენეფიციარები, საკმაოდ დიდი ხნის წინ რომ დავეხმარეთ. ეს ორმაგად სასიამოვნო იყო ჩემთვის. კარგია, როცა ადამიანები მადლიერებას გამოხატავენ. ეს ხომ სულ უფრო იშვიათად ხდება...

ამბობენ, უმადურობა ადამიანის დამახასიათებელი თვი-

„დისციპლინური გადაცდომებისთვის“ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან“ გარიცხეს აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ჯემალ ფუტკარაძე.

სხვადასხვა რელიგიური კონფესიისა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებმა თბილისში, „ტოლერანტობის სკვერში“, ხელი მოაწერეს დეკლარაციას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

საქართველოში აღინიშნა ქალთა საერთაშორისო დღე.

სება�აო, მაგრამ იმასაც ხომ ამბობენ, მადლიერება შინაგანი კულტურის გამოხატულებააო? ალბათ, ყველას გვინდა ვიყოთ კულტურულები, კარგ შთაბეჭდილებას ვტოვებდეთ. ამიტომ, ნუ დავიზარებთ მადლობის თქმას. ეს ხომ ასე ბუნებრივია! თუმცა იმისთვისაც უნდა ვიყოთ მზად, რომ უმადურობა არცთუ იშვიათად შეგვხვდება. ასეთ შემთხვევებში დროულია ისევ კარნეგის შეგონება: „როცა სხვის უმადურობაზე ვნერვიულობთ, ყოველთვის გავიხსენოთ, რომ ქრისტემ ერთ დღეს ათი კეთროვანი განკურნა, მადლობის სათქმელად კი მხოლოდ ერთი მობრუნდა. თუ ქრისტეს ასე მოექცნენ, შენ მეტს რატომ ელოდები?“ და კიდევ, „ქენი სიკეთე, ქვაზე დადე, შედეგს ნუ დაელოდები, წადი და სხვა სიკეთე ჩაიდინე.“ თუ ჩვენ ბევრ ასეთ ქვას დავდებთ ცხოვრების გზაზე, ალბათ, სადმე, ოდესმე, ფეხს წამოვკრავთ, თუ არადა, სიკეთეს ხომ ჩვენი სიამოვნებისთვისაც ვაკეთებთ. ასე რომ, ვთესოთ სიკეთე, რაც შეგვიძლია. რაც არ შეგვიძლია, იმას ხომ უფალიც არ გვთხოვს...

ორშაბათი

ორშაბათი მძიმე დღეაო, ამბობენ და მეც ვიზიარებ ამ მოსაზრებას. მაინც, რატომ ვგეგმავთ ყველანი ყველა საქმის დაწყებას ორშაბათიდან? ყოველ ორშაბათს ჩვენს ცენტრშიც ბევრი მომსვლელია. ყველას თავისი პრობლემა ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია და ჩვენც უნდა გავაცნობიეროთ ეს: ყურადღებით უნდა მოვუსმინოთ, შევაფასოთ და დავეხმაროთ. ღმერთი უშველის იმ საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებს, ჩვენი თანამემამულეების დახმარების საშუალებას რომ გვაძლევენ. 2007 წლიდან უშუალოდ ვარ ჩართული სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ პროექტში, რომელთა მეშვეობითაც ბენეფიციარებს კონკრეტულ დახმარებას ვთავაზობთ. ამჯერად ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტებს ვეხმარებით. სჭირდებათ გრანტები: ვის – სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის, ვის – საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისთვის, ვის – სწავლისთვის, ვის – მცირე ბიზნესის დაწყება-განვითარებისთვის...

საკმაოდ რთულია დეზორიენტირებულ და პრობლემებით დატვირთულ ადამიანებთან მუშაობა: ბევრი მათგანი დიდი ხანია, არ ყოფილა საქართველოში და აქ ყველაფერი უცხოდ ეჩვენება; ბევრი მიეჩვია ევროპაში უშრომლად ან სოციალური დახმარებით ცხოვრებას; ბევრს მოულოდნელად, დეპორტაციით დაატოვებინეს ქვეყანა და სრულიად უსახსროდ დაბრუნდა სამშობლოში; ბევრი მძიმე, გაუსაძლის პირობებში მუშაობით წელგაწყვეტილი და დაავადებული დაუბრუნდა ოჯახს; ბევრს ოჯახიც აღარ დახვდა ანდა ვეღარ მოუნახავს საერთო ენა საკუთარ შვილებთან; ბევრი საომარ მოქმედებებს გამოექცა, ბევრი ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერ-

90 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი კინომსახიობი ოთარ კობერიძე.

ირანის საელჩომ გაავრცელა საგანგებო განცხადება, რომელშიც „არაკვალიფიციური, გაუაზრებელი, არამეგობრული და ქსენოფობიური“ უწოდა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ნათქვამს, რომ სავიზო პოლიტიკის გამკაცრებამ შეამცირა ერაყელი, ჩინელი, ირანელი და ეგვიპტელი ტურისტების ნაკადი.

თბილისს ესტუმრა ეუთოს გენერალური მდივანი ლამბერტო ძანიერი, რომელიც შეხვდა დავით უსუფაშვილს, თამარ ბერუჩაშვილს, ეწვია შიდა ქართლის საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ხურვალეთს.

ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და ჩინეთის ვაჭრობის მინისტრმა გაო ჰუჩენგმა პეკინში ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ახალი აბრეშუმის გზის“ ეკონომიკური სარტყლის განვითარების მიზნით თანამშრომლობის შესახებ.

პლია... ამ ადამიანებს თანაგრძნობა და თანადგომა სჭირდებათ და ჩვენც ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ. ბევრი კარგი საქმე გაგვიკეთებია და ვაკეთებთ მე და ჩემი კოლეგები. ჩვენი მუშაობის პრინციპია: „მოექეცი სხვას ისე, როგორც შენ გინდა მოგექცნენ“. ეს ხომ ყველა რელიგიის მიერ აღიარებული უაღრესად ზნეობრივი და, ამასთან, პრაგმატული დოგმაა. ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში მას წარმატებით ვიყენებთ და ბევრი მადლიერიც რჩება, თუმცა ზოგს ვერაფერს მოაწონებ და ვერაფრით ასიამოვნებ. ასეთები უმეტესად ისინი არიან, ვისაც მხოლოდ „იოლი ფულის“ ხელში ჩაგდება უნდა და ფიქრშიც ვერ წარმოუდგენია საქმის კეთება. მე მათთან მუშაობის ცოტა სპეციფიკური მეთოდები მაქვს, რაც ხან მიმართლებს, ხან – ვერა. ეს სპეციფიკურობა მოფერებისა და გაბრაზების „კოქტეილია“, რითაც ვცდილობ ამ ხალხში ღრმად მიძინებული ადამიანობა გავაღვიძო, თუმცა, სამწუხაროდ, ზოგჯერ არ გამომდის.

სამშაბათი

დღევანდელი დღეც ძალიან დატვირთული გამოდგა. პროექტში ჩართვის სურვილით ბევრმა ნარკოდამოკიდებულმა ახალგაზრდამ მოგვმართა. სამწუხაროდ, რამდენიმემ ვერ დააკმაყოფილა პროექტით დადგენილი კრიტერიუმები და რეგისტრაციაში ვერ გავატარეთ, თუმცა საუბარი მათთან მაინც გაიმართა. ერთ-ერთი, 27 წლის, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა, რომელიც ბელგიიდან დეპორტირებულია, გაგებით მოეკიდა ჩვენს პოზიციას და არც აგრესია გამოუხატავს. მითხრა, რომ უცხოდ გრძნობს თავს საკუთარ ოჯახში, რომ მშობლებსა და ცოლ-შვილსაც ეზიზღებათ. შემძრა ამ სიტყვამ! თავი ვალდებულად ჩავთვალე, დავლაპარაკებოდი, მეცადა, მისი გაბოროტება რამენაირად შემერბილებინა. სპონტანურად დავიწყე ლაპარაკი: „იცით, რამდენიმე დღის წინ ჩემი ერთი ნაცნობის მეუღლის, ახალგაზრდა კაცის პანაშვიდზე ვიყავი. ის ნარკოტიკის დიდი დოზით მიღების შედეგად გარდაიცვალა. ეს ახალგაზრდა სწორედ იმ დღეს გამაცნო მისმა მეუღლემ ქუჩაში შეხვედრისას. იმდენად მომეწონა, რომ მისი სიკვდილის ამბავი ახლობელივით განვიცადე. პანაშვიდზე ვნახე მწუხარებისგან განადგურებული მშობლები, ძმა, მეუღლე. შვილი დღესაც სტრესულ მდგომარეობაშია და ფსიქიატრთან მკურნალობა სჭირდება. ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ამ ახალგაზრდამ თავის დროზე ნებისყოფა არ გამოიჩინა და ნარკოტიკის ტყვეობაში ჩაიგდო თავი. ‘გაბრუებულ სიამოვნებას’ ანაცვალა ოჯახის ყველა წევრის სიმშვიდე და განა გასაკვირია, რომ მათ ტკივილთან ერთად გაბრაზებაც გამოხატონ ასეთი უაზრო თვითმკვლელობის გამო? თქვენზეც, ალბათ, გაბრაზებულები არიან თქვენი მშობლები და მეუღლე, მათ ხომ უამრავი პრობლემა შეუქმნინეთ ამ თქვენი ‘გატაცებით’. მათ არ ეჯავრებით, ნაწყენები უფრო იქნები-

10

გიორგი მარგველაშვილმა „ლარის კურსის სტაბილიზაციისკენ მიმართული ღონისძიებების“ განსახილველად 13 მარტისთვის პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დანიშნა.

ირანის ელჩთან შეხვედრის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ საქართველო-ირანის მეგობრული ურთიერთობა ყველაფერზე მაღლა დგას და დასძინა, რომ ირანის საელჩოს მიერ 9 მარტს გავრცელებული განცხადება „ორიგინალში განსხვავებულად გამოიყურება, ვიდრე ქართულად“.

ეუთოს გენერალური მდივანი ლამბერტო ძანიერი თბილისში შეხვდა ირაკლი ღარიბაშვილსა და გიორგი მარგველაშვილს.

ნიუ-ჯერსიში გაიმართა ტრაგიკულად დაღუპული ქართველი კურსანტების, სოსო მაკარიძისა და ბესარიონ გორჯოლაძის სამოქალაქო პანაშვიდი.

ან თქვენზე.“ კაცი დაფიქრდა, რაღაც უცნაური სითბო ჩაუდგა თვალებში და ისიც მიამბო, როგორ გახდა ნარკოდამოკიდებული, როგორ უბიძგა ამისკენ თავის ძმასაც. თუმცა მერე მაინც საკუთარი შეცდომის სხვისთვის გადაბრალების ადამიანურმა ინსტინქტმა სძლია და დააყოლა, ევროპაში ნარკოტიკები ადვილად ხელმისაწვდომია და ყველა ჩასული ნარკოდამოკიდებული ხდებაო. რა თქმა უნდა, მე ბევრი კონტრარგუმენტი და მაგალითი მოვუყვანე. არ ვიცი, რამდენად დაიჯერა ჩემი ნათქვამი, მაგრამ მაინც მომეჩვენა, რომ ისე განაწყენებული აღარ იყო თავის ოჯახის წევრებზე. ისიც მითხრა, მეთადონის პროგრამაში ვარ ჩართული და იქნებ რამე გამომივიდესო. ღმერთმა უსმინოს!

11

ოთხშაბათი

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ კრემლმა გაურკვეველი ვადით გადადო მის მიერ აღიარებულ სამხრეთ ოსეთთან „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულების“ გაფორმება, რაც 11 მარტისთვის იყო დაგეგმილი.

მოსკოვში გაიმართა რუსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების, სერგეი ლავროვისა და ვიაჩესლავ ჩირიკბას მოლაპარაკება.

თბილისში გაიმართა უკრაინის, მოლდავეთისა და საქართველოს საგარეო უწყებათა წარმომადგენლების კონსულტაცია ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სამიტისთვის საერთო პოზიციების შესამუშავებლად.

საქართველომ და ბრაზილიამ გააფორმეს შეთანხმება თავიანთი მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის შესახებ.

დღეს ბევრი დაბრუნებული მიგრანტი გავახარეთ დაფინანსების თხოვნაზე დადებითი პასუხით. მცირედი, მაგრამ მიზნობრივი დახმარებით შეძლებენ საკუთარი საქმის წამოწყებას ან დასაქმებას თავიანთი სპეციალობით.

ცნობილია, რომ საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა აიძულებს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, სამუშაო საზღვარგარეთ ეძებოს, ხშირად თავისუფლების, ჯანმრთელობისა და ღირსების დაკარგვის ფასად. რამდენი თავგადასავალი და ჩივილი მომისმენია! ჩემთვის ყველაზე მძიმე იყო, როცა საბერძნეთიდან დაბრუნებულ 72 წლის ქალს შვილმა, ახალგაზრდა ვაჟმა, მას შემდეგ, რაც ჩვენი პროექტით გათვალისწინებული დახმარება ეცოტავა, ჩხუბი დაუწყო, რატომ დაბრუნდიო. ასაკოვანი ქალი კი ტირილით ეუბნებოდა, მეტი აღარ შემეძლო, ვკვდებოდი და რა მექნაო. შემძრა ამ შემთხვევამ! ეს იყო ჩემი პირველი შეჯახება „ოჯახურ ტრეფიკინგთან“, როცა ადამიანს ოჯახის წევრები აიძულებენ, მონურ პირობებში იმუშაოს, ოღონდ ფული არ მოაკლდეთ. არცთუ იშვიათად, დედებისა და მეუღლეების მძიმე შრომით მოპოვებული და საქართველოში გამოგზავნილი ფულით გაზულუქებული, ჯან-ღონით სავსე მამაკაცები ამ ფულს სასმელში, მანქანების ცვლაში, საყვარლებთან დროს ტარებაში ფლანგავენ. სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან მომძლავრდა სხვის კმაყოფაზე ყოფნის სინდრომი, რაც საგანგაშოა. სოციოლოგები წერენ: თუ გინდათ პიროვნების ან ერის დაღუპვა, გამოუმუშავეთ მას სხვის კმაყოფაზე ყოფნის სინდრომი და მიზანი მიღწეული იქნებაო. საქართველოს მოსახლეობაში ამ სინდრომის ჩამოყალიბებაზე უკვე კარგა ხანია, ბევრი ქვეყანა თუ ორგანიზაცია მუშაობს, და არცთუ წარუმატებლად. ამ სინდრომის განვითარებას (განსაკუთრებით 2005 წლიდან) საკმაო სტიმულს აძლევს სახელმწიფოს პოლიტიკა დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში. ამას დროულად სჭირდება ყურადღების მიქცევა. როცა ჩვენში სხვის კმაყოფაზე ყოფნის სინდრომზე ლაპარაკობენ, მას

ხშირად აიგივებენ შვილებზე მშობლების ზრუნვის ქართულ (უფრო სწორად, კავკასიურ) ტრადიციასთან. თუმცა სინამდვილეში საერთო ცოტაა. ზრუნვა ნამდვილად არ ნიშნავს შვილის გაზულუქებას, რაც არასწორი აღზრდის შედეგი უფროა.

ხუთშაბათი

„ენდე, მაგრამ აკონტროლე“ – ასეთია მიზანი ჩვენი მონიტორინგისა, რომელსაც პერიოდულად ვატარებთ და ეს „პერიოდი“ დღევანდელ დღეს დაემთხვა. უნდა მომენახულებინა ორი ახალგაზრდა კაცი, რომელთაც ერთობლივი მცირე ბიზნესი დავუფინანსეთ: ყავის დისტრიბუცია. გრანტის გაცემამდე ბევრი კონსულტაცია და განხილვა ტარდება. ამ ახალგაზრდების მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოვიჩინე – მაინცდამაინც არ მჯეროდა მათი შრომისმოყვარეობის და საქმისადმი დამოკიდებულების, რადგან არათუ ბიზნესის, უბრალო სამუშაო გამოცდილებაც ნაკლები ჰქონდათ. გადაწყვეტილება მივიღეთ, მაგრამ მეშინოდა, გრანტი არ გაენიავებინათ. გრანტის მიზნობრივი ხარჯვის კონტროლი ჩემი მოვალეობაა და ამიტომ ვღელავდი. ტელეფონით ვესაუბრე, შევუთანხმე შეხვედრის დრო და ადგილი და, ფოტოაპარატით აღჭურვილი, ცოტა დაძაბული წავედი მონიტორინგზე. შევხვდი და რამდენიმე კონკრეტული მაღაზიაც ვნახე, სადაც ისინი ყავის დისტრიბუციას ახდენენ. ჩანაწერები მაჩვენეს და გამაცნეს თავიანთი საქმიანობის სქემა. გავოცდი და აღვფრთოვანდი მოსმენილითა და ნანახით. ამ ორმა ახალგაზრდამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მონდომებითა და შრომით ყველაფრის გაკეთება შეიძლება. ისეთი კმაყოფილები და აღფრთოვანებულები მაცნობდნენ მომავლის გეგმებს! სამსახურში დაბრუნებული, სათითაოდ ვუყვებოდი თანამშრომლებს მათი წარმატების ამბავს. ვიგრძენი, რომ მათაც გადაედოთ სიხარული, რასაც მე განვიცდიდი. ღმერთმა ასეთი განცდის უნარი არ მოგვაკლოს!

პარასკევი

დღესაც მონიტორინგის დღეა, თანაც გასვლითი. მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტებში უნდა მოვინახულოთ ექვსი ბენეფიციარი, 16 საათზე კი საინფორმაციო შეხვედრა გვაქვს კასპის გამგეობის შენობაში.

დილის 9 საათზე გავუდექით გზას მე და ჩემი ორი კოლეგა. მოვიარეთ რამდენიმე სოფელი, ადგილზე ვნახეთ ის სამშენებლო დანადგარები, მინიტრაქტორები, მსხვილფეხა პირუტყვი, სავაჭრო ცენტრები, რომელთა შეძენასა და ამოქმედებაშიც იმ ხალხს ჩვენი პროექტი დაეხმარა. ვნახეთ დახმარებით კმაყოფილი და ოპტიმისტურად განწყობილი ადამიანები, რომლებიც სამშობლოდან წასვლაზე აღარ ფიქრობენ. ეს კი ჩვენი პროექტის მთავარი მიზანია.

მოგვიანებით ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართულ

მარტი

12

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე იმსჯელეს საქართველოში შექმნილ რთულ ეკონომიკურ ვითარებაზე.

თბილისში მთავრობის გადადგომის მოთხოვნით „თავისუფალი ზონის“ თაოსნობით მოწყობილ აქციაზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ნაციონალური მოძრაობის წევრებს გიგა ბოკერიასა და გიორგი გაბაშვილს, რის შემდეგაც პოლიციამ დააკავა რამდენიმე აქტივისტი.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საქართველოში ამ ქვეყნის ელჩის თანამდებობაზე სენატს წარუდგინა იენ კელის კანდიდატურა.

13

კვორუმის არარსებობის გამო არ შედგა პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, რომელზედაც უნდა განეხილათ „ლარის კურსის სტაბილიზაციისკენ მიმართული ღონისძიებები“.

ირაკლი ღარიბაშვილმა ოპოზიციასა და მედიასაშუალებებს მოუწოდა, შეწყვიტონ ეკონომიკური სირთულეების გარშემო ქვეყანაში ქაოსის შექმნა, რადგან „ეკონომიკას სჭირდება მშვიდი გარემო“.

თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის, ალექსანდერ ვერშბოუსგან მიღებული წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ნატო-საქართველოს „არსებითი

შაბათი

2007 წლის 7 ნოემბერს თბილისში გამართული საპროტესტო აქციის დარბევისა და ტელეკომპანია „იმედში“ სპეცრაზმელების შეჭრის საქმეებზე პროკურატურამ დააზუსტა ბრალდება ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის მიმართ, ბრალი დაუმძიმა თავდაცვისა და იუსტიციის ყოფილ მინისტრებს დავით კეზერაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს, თბილისის ყოფილ მერს გიგი უგულავას.

აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიულმა სამსახურმა განაცხადა, რომ ვიცე-სპიკერად ჯემალ ფუტკარაძის არჩევა უკანონოა, რადგან 13 მარტის სხდომის დახურვის შემდეგ დეპუტატთა ნაწილმა კენჭისყრა თვითნებურად ჩაატარა.

თბილისში ევროპის ერთა თასის გათამაშების მორიგ მატჩში საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა გუნდმა დიდი ანგარიშით (33:0) დაამარცხა რუსეთის ნაკრები.

აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ვიცე-სპიკერად აირჩიეს პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან“ გარიცხული ჯემალ ფუტკარაძე.

საინფორმაციო შეხვედრაზე ვისაუბრეთ არალეგალური მიგრაციის საფრთხეებზე, ტრეფიკინგზე, საზღვარგარეთ ლეგალური დასაქმებისა და სწავლის შესაძლებლობებზე, გავაცანით მასპინძლებს საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამა. ასეთი შეხვედრები ინფორმაციის გავრცელების აპრობირებული, ეფექტიანი საშუალებაა და ჩვენც წარმატებით ვიყენებთ. სახლში დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი დავბრუნდი.

საღამოს საინფორმაციო გამოშვებებიდან და ტოქშოუებიდან ბევრი არაობიექტური, ზედაპირული და ცალმხრივი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ კვლავ განმიახლდა განცდა, რომ ადამიანებს ძალიან გვაკლია სამართალი (ისევე როგორც ზღვას – ხიდი და ცას – კიბე), მეტი და ნაკლები ბოროტების გარჩევის უნარი. მართალია, ეს არ არის ადვილი, მაგრამ ჭკუისა და სინდისის მოხმობით ხომ მაინც შესაძლებელია.

მარტი

დილით მამაკაცის ხმამაღალმა შეძახილმა გამაღვიძა: „ვიბარებ ჯართს, ვიბარებ გაფუჭებულ მაცივრებს, გაზქურებს!“ საათს შევხედე. ცხრის ნახევარია. ეჰ, როგორ მინდოდა გამოძინება... ჩემ თვალის გახელაზე მეუღლესაც გაეღვიძა (საოცარია, მაგრამ ჩემსა და მეუღლეს შორის რაღაც უცნაური ბიოლოგიური კავშირია: სულ რომ არ გავინძრე და მხოლოდ თვალი გავახილო, მასაც უმალ ეღვიძება). როგორ ხარო, მკითხა. მე არა მიშავს, მაგრამ ამდენ გაჭირვებულ ხალხს რა ეშველება-მეთქი. ორივე გავჩუმდით და ფიქრიც გამყვა: „როგორ უჭირს ხალხს, რამდენი მათხოვარია, რამდენი ვინმე (ხანდაზმულიც და ახალგაზრდაც, ქალიც და კაციც) იქექება ნაგვის ურნაში... ნეტავ რას პოულობენ ისეთს, რის გაყიდვას ან მოხმარებასაც შეძლებენ?! ან რამდენი ჯართი უნდა მოაგროვოს კაცმა, რომ საღამოს ოჯახში პურის ფული მიიტანოს? როცა ამაზე სიტყვა ჩამომიგდია, ბევრს მტკიცება დაუწყია, მათხოვრობა ბიზნესად აქციესო, ჯართით დიდი ფული კეთდებაო... ასეთ ადამიანებთან კამათის სურვილიც არ მაქვს. ერთს ვნატრობ მხოლოდ: ღმერთო, ისეთი საქართველო მანახვე მალე, სადაც მათხოვრის დანახვა გაგვიკვირდება, სადაც დილით გაღვიძებულ ადამიანს ეცოდინება, იმ დღეს რა საქმე უნდა აკეთოს და ამის ცოდნა სიხარულს მიანიჭებს.

დღეს ჩემთვის ისეთი შაბათია, როცა შემიძლია, შინ ვიყო და დრო ქმარ-შვილსაც დავუთმო. ოჯახური გარემო ხომ ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისათვის. ეს გარემო არავის უნდა უბიძგებდეს, რომ გაიქცეს, თავი აარიდოს ოჯახის წევრებთან ურთიერთობას. ჩემი აზრით, ოჯახი ყველაზე მთავარია, თუმცა საყვარელი სამუშაოც არანაკლებია. ვიცი, რომ ბევრი ფიქრობს ასე. უმძიმეს 1990-იან წლებში ჩემ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა, ასაკისა და სქესის მიუხედავად,

სწორედ ასე ფიქრობდა. იმედია, დღესაც ოჯახი რჩება უმ-
ნიშვნელოვანეს ფასეულობად ჩვენი შვილებისა და შვილიშ-
ვილებისათვის. უამისოდ ხომ შეუძლებელია საზოგადოების,
როგორც ცივილიზებული სოціალური ერთობის არსებობა...

თამარ ლალიაშვილი

იურისტი, სამართლის დოქტორი. დაიბადა 1963 წლის 10 ივნისს დაბა სიონში. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკულტეტი. 2010 წელს ბრემენის (გერმანია) უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საპროცესო შეთანხმების შედარებითი ანალიზი გერმანიის, აშშ-ისა და საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად“. სხვადასხვა დროს მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში (კონსულტანტად), პროკურატურაში (პროკურორის თანამდებობაზე), ბრემენის მთავარი პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორად. 1999 წელს, მოსამართლეთა გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, გახდა მოსამართლე. როგორც რამდენიმე საერთაშორისო ფონდის სტიპენდიატი, მუშაობდა გერმანიის ქალაქების – ფრაიბურგის, კიოლნისა და ბრემენის უმაღლეს სასწავლებლებში. კანონის უზენაესობის ქართულ-ნორვეგიული ასოციაციის დამფუძნებელი.

მარტი

15 კვირა

თბილისის საქალაქო სასამართლომ პატიმრობის ვადა გაუხანგრძლივა დედაქალაქის ყოფილ მერს გიგი უგულავას.

ტელეკომპანია GDS-ის ეთერით გადაიცა პროექტ „20/30“-ის პირველი გამოშვება, რომლის სტუმარი იყო საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, საზოგადოება „20/30“-ის დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი.

თავისუფლებასთან ასოცირდება კვირა, მაგრამ თუ ვართ ნეტავ თავისუფალნი? ყველაფერს ჩვენი დრო უნდა, რამდენი რამ ნთქავს ჩვენს წუთებს, წამებს.

წუთებს ვითვლი უნებურად. და ვფიქრობ, რამდენი ასეთი წუთი გავიდა.

კარზე ზარია. ვაღებ. ახალგაზრდა ქალბატონი დამწუხრებული სახით დახმარებას ითხოვს. თვალს ვერ მისწორებს. ფულს ვაძლევ. მლოცავს თვალებდახრილი, ვერ გავუბედე შეკითხვა, მისი სახე იმდენ რამეზე მეტყველებდა. სიდუხჭირე, ცხოვრების სისასტიკე და სუსხი შემომაფრქვია. გული დამძიმდა. მაინც რომ სჯერა ღმერთის სიკეთის, კიბეზე ჩადის და, ღმერთი შეგეწევაო, ამბობს. ვწუხვარ... რატომ არ შეიძლება ამ ადამიანთა დახმარება, დასაქმება. გზაარეულები კარდაკარ დადიან... ნუთუ ასე რთული მისაღწევია გონივრული პოლიტიკა?!

შემდეგ დრო ისევ გაფრინდა მეგობრებთან აზრის გაცვლა-გამოცვლაში.

16 ორშაბათი

სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე სამსახურებრივ გულგრილობაში ბრალდებული, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი ლევან ჩაჩუა.

დილა გათენდა. ფიქრებმა შემარხიეს, ჯერ კიდევ ღამის ბინდია, ფიქრები კი ამ ბინდს ჭრიან. როგორი იქნება ეს დღე ჩემთვის, და, საერთოდ, ნებისმიერისთვის... ნეტავ სოფლად რა ხდება, ჩემს მშობლებთან, – 80 წლის მამა ისევ შრომობს,

უკვე საქონელს მიელალება, დედა კი ჩაის ადუღებს... ქათმებს ჯერ კიდევ თავი ფრთებში აქვთ, ალბათ, ჩარგული... კატები დედას დასდევენ, ხოლო ძაღლები ცქმუტავენ, ელოდებიან, როდის მოიცლის მათთვის დედა... მეზობლებიც ასე არიან... სოფლად უჭირს ხალხს, შრომა არ ეზარებათ, მაგრამ საჭირო ტექნიკა არ გააჩნიათ მიწის დასამუშავებლად, საწვავისათვის ფული არა აქვთ...

ფიქრებით უკან ვბრუნდები.

ვჩქარობ, სამსახურში არ დამაგვიანდეს. ქუჩაში სწრაფად მივდივარ, დილის სუსხი მელამუნება, სასიამოვნოა გაზაფხულის სურნელი. ქალაქში ჯერ მანქანების სიმრავლე არ არის, მაგრამ მალე ქუჩები გაიჭედება. სამარშრუტო ტაქსიში ვჯდები. ბევრს ეჩქარება, ფეხზე ვდგავარ. მგზავრების სახეებს ვაკვირდები. ყველა საკუთარ ფიქრშია ჩაძირული. ფიქრი არ მასვენებს, ღიმილი არავის დასთამაშებს სახეზე. ფიქრით სხვაგან არიან, დანაღვლიანებულნი. ამდენი ფიქრი, ამდენი...

დილის 9 საათზე პოლიციის აკადემიაში ვარ. სასიამოვნო გარემოა. მიხარია ჩემი კოლეგების დანახვა. თუმცა კვლავ უამრავ ფიქრიან სახეს ვხედავ...

მეორე სემესტრის პირველი ლექციაა. სტუდენტებს გამოძიების საფუძვლებზე ვესაუბრები. ვუხსნი იმ სირთულეებს, რომელთა წინაშეც პრაქტიკულად დგება გამომძიებელი... გამოძიება მეცნიერება არ არის, ის ხელოვნებაა.

აინტერესებთ სტუდენტებს... კითხვებს მისვამენ და ვპასუხობ. მნიშვნელოვანია კანონის მორჩილება. ვიდრე არ ვისწავლით კანონის დაცვას, ბევრი არაფერი შეიცვლება. მუდამ უკანონობასა და უსამართლობაში ვიცხოვრებთ.

დრო მიქრის და ისევ ღამის წინაშე ვდგები.

სამშაბათი

ისევ დილაა, ისევ სამსახური, ისევ ლექცია. ხილიანის ქუჩაზე ჩავრბივარ. ქუჩის გასწვრივ ტროტუარზე ვერ დავდივარ, ქუჩის კიდეზე მივრბივარ, არ დამაგვიანდეს... ტროტუარზე კი შავმინებიანი, უზარმაზარი ჯიპები გაყინული მინის თეთრ თვალებს მაყოლებენ. გუნებაში ვბრაზობ – „სითი პარკი“... ადამიანს ვერ გაუვლია ტროტუარზე, ქუჩაზე გვიწევს სირბილი. ვინ ფიქრობს ამაზე? ჯიპების მეპატრონეს ეს არ აწუხებს, „სითი პარკი“ შემოსავალზე ფიქრობს, სხვების ბედი კი ვის ანაღვლებს? – არავის... ჩემ წინ დედა-შვილი ასევე ქუჩაში მიდის. ბავშვი, ალბათ, მეორეკლასელი იქნება. დედას შვილის ჩანთა აქვს მხარზე წამოკიდებული. ბავშვი ანცობს, ხან წინ გარბის, ხან უკან რჩება. უნებურად ფიქრები შემომესია. დედას ჩანთა აქვს აკიდებული, შვილს უმსუბუქებს ტვირთს და მოვალეობას. ნეტავ ეს მომავალში თუ იქონიებს გავლენას ამ ბავშვზე? დედა კვლავ შეეცდება სხვა პასუხისმგებლობა და ვალდებულებაც ააცილოს თავიდან, ალბათ. არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ შიშის სუსხს. აქ ხომ არ უშვებენ დედები შეცდომას,

დავით უსუფაშვილმა პარლამენტის ბიუროს აცნობა, რომ პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საკანონმდებლო ორგანოში მოხსენებით გამოსვლა 31 მარტს გადაწყვიტა.

პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის საკითხზე თბილისში გამართულ მაღალი დონის შეხვედრაზე გამოსვლისას გიორგი მარგველაშვილმა მხარი დაუჭირა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის კვოტირების სისტემის შემოღებას.

თანამდებობიდან გადადგა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბესლან ბუტბა; თავისი გადაწყვეტილება ბუტბამ იმით ახსნა, რომ ის ბევრი საკითხის გადაწყვეტას ჩამოაშორეს და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ფაქტობრივად, მეორე მთავრობა შექმნეს.

საქართველოს ესტუმრა ნატოს შემფასებელი მისია, რომელიც შეისწავლის ნატო-საქართველოს ერთობლივი საწვრთნელი ცენტრის შესაქმნელად საჭირო პოტენციალსა და ინფრასტრუქტურას.

თურქეთის ქალაქ ყარსში გაიმართა „ტრანსანატოლიის ბუნებრივი გაზსადენის“ პროექტის საძირკვლის ჩაყრის ცერემონია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა - გიორგი მარგველაშვილმა, რეჯეპ ტაიპ ერდოანმა და ილჰამ ალიევმა.

ევროკავშირმა და აშშ-მა განაცხადეს, რომ არ ცნობენ „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულებას“, რომლის ხელმოწერასაც რუსეთი აპირებს სამხრეთ ოსეთთან, ამასთან ამ შეთანხმებასა და მანამდე, აფხაზეთთან გაფორმებულ ასეთსავე დოკუმენტს აფასებენ საქართვე-

ელემენტარულ საკითხებზე შვილებს პასუხისმგებლობას არიდებენ და თვითონ ტვირთულობენ. ეცოდებათ შვილები და ბოლოს ასე ჩნდება უპასუხისმგებლობა... თავი გავაქნიე, არა, არ მინდა ასე იყოს. იქნებ არც არის ასე, და ვცდები...

ლექცია. სტუდენტები. დაინტერესება დიდია. მიხარია ამდენი შეკითხვა და ასეთი ინტერესი. შესვენებაზე – წუხილი და გაორება, ახალგაზრდების გონებაში შეპარული იმედგაცრუება... ვსწავლობთ და ნეტავ თუ რამეს მივაღწევთ ჩვენი ცოდნითო. პატრონი თუ არ გყავს, არაფერი იქნებაო – გული მეწურება. ვამხნევებ – ცოდნა ყველაფერს ამარცხებს... იჯერებენ და უხარიათ. შესანიშნავ მოხსენებებს აკეთებენ.

ისევ ღამემ შემოიხედა ფანჯარაში. მეგობრების ზარები.

პოლიტიკის გარეშე რა ცხოვრებაა... მეგობრები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ნინო გვენეტაძის ბრძოლას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობისთვის...

18 ოთხშაბათი

დილამ ისევ ოთახში შემოიხედა. ისევ ფიქრები აქოჩრილა...

ისევ ხილიანის ქუჩაზე ჩავრბივარ. ფიქრები არ მასვენებს. მეგობრებთან გუშინდელი საუბარი გონებაში ჩამრჩა. ნინო გვენეტაძე. მისცემს თუ არა ხმას პარლამენტი... დიდი ალბათობით, მისცემს.

თითქმის რვა წელი გავიდა. უსამართლობის ქარიშხალი ერთად გავიარეთ, ბევრი რამ ვნახეთ და განვიცადეთ, ოთხი მოსამართლის წინააღმდეგობა არსებული რეჟიმის მიმართ – გვენეტაძე, ლალიაშვილი, ტურავა, ისაევი. გააფთრებული ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ. მთელი სახელმწიფო აპარატი უპირისპირდება ამ ოთხ, დამოუკიდებელ მოსამართლეს. რამდენი რამ ვნახეთ და გადავიტანეთ... კოლეგები, რომლებთან ერთადაც წლები ვმუშაობდით, ჩვენ წინააღმდეგ უსამართლო ბრძოლას თავის სასიკეთოდ იყენებდნენ... ვინც ჩვენს საქმეს განიხილავდა მაშინ, თანამდებობის შენარჩუნებისა და დაწინაურების გარანტია ჰქონდა. ჩვენი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მათ დაწინაურებას ნიშნავდა. კონკურენციაც კი გაიმართა – ბევრს სურდა ჩვენი საქმის განხილვა, ჩვენ საწინააღმდეგოდ გადაწყვეტილების გამოტანა და დაწინაურება... და შედეგიც არ აყოვნებდა. სამწუხარო რეალობა ადამიანის ბუნების. და შემდეგ ეს პირები, მოსამართლის მანტიაში, უამრავი ადამიანის ბედს წყვეტდნენ... სპობდნენ მათს ცხოვრებას, ანადგურებდნენ...

ამ სამწუხაროზე სამწუხარო ფიქრებით აღმოვჩნდი აუდიტორიის წინაშე. დიდია სტუდენტების სურვილი, მეტი ინფორმაცია მიიღონ. ენერგიას არ ვიშურებ. მოსამართლის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი სახე შინაგანი დამოუკიდებლობაა – ვუხსნი სტუდენტებს... ეს კანონში არ წერია, ეს თვით პიროვნების შემადგენელი ნაწილია. ყურადღებით მისმენენ.

ლოს ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო სამართლის ხელყოფად.

68 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის წევრი, მარტვილის მაჟორიტარი დეპუტატი ნაციონალური მოძრაობიდან ნაული ჯანაშია.

რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტებმა ვლადიმირ პუტინმა და ლეონიდ თიბილოვმა მოსკოვში ხელი მოაწერეს „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ 25-წლიან ხელშეკრულებას.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ალიანსი არ აღიარებს რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულებას“ და მას საერთაშორისო სამართლის დარღვევად აფასებს.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის 31-ე რაუნდის დასრულების შემდეგ თანათავმჯდომარეებმა ევროკავშირიდან, ეუთოდან და გაეროდან განაცხადეს, რომ მოლაპარაკების დღეს რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერ ხელშეკრულების გაფორმებამ დისკუსიისთვის „რთული კლიმატი“ შექმნა.

პარლამენტმა ნაციონალური მოძრაობიდან არჩეულ გიორგი ოჩიაურს პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყვიტა დეპუტატის უფლებამოსილება და ცნო უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილედ დანიშნული დავით საყვარელიძის ადგილმონაცვლის, ეკა ხერხეულიძის სადეპუტატო უფლებამოსილება.

ლექციის შემდეგ ვფიქრობ, რამდენი მათგანი გაუძლებს წნეხს, რაც შეიძლება გზად შეხვდეთ...

სახლში დაბრუნებულს კვლავ ღამე შემომცქერის, შემდეგ კი...

ხუთშაბათი თენდება.

ხუთშაბათი

19

ისევ ფიქრები დამფრიალებენ. ისევ ამიტაცეს და სადღაც სხვაგან წამიღეს, უცხო სამყაროში, დილით არ მინდა ამ საოცრებიდან დაბრუნება, იქიდან, სადაც სულ მზეა, ნათელია, სიმშვიდე, სიკეთე და სიყვარულია. მაგრამ ტელეფონის ზარი კვლავ მამცნობს, ამ სამყაროში რომ ვარ და რეალობაში მაბრუნებს. ამჯერად დოლიძის ქუჩაზე ჩავრბივარ, სასტუმრო „აჭარასთან“, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელზე შუქნიშნის წითელი ფერი კაშკაშებს, გავშეშდი... გამვლელები მოძრაობენ, სულაც არ აინტერესებთ წითელი ფერი, არც მანქანათა სიმრავლე, რაღაცნაირად ახერხებენ ავტომობილების ნაკადში გაძრომას... ვეღარაფერზე ვფიქრობ, გაბრაზება და აღშფოთება მიპყრობს... არ ვიცი, რა ვქნა... გავეკიდე ერთ-ერთს, ქალბატონია... შევაჩერე და ვეკითხები – თქვენ რომ დღეს სახელმწიფომ უფლება დაგირღვიოთ, მოგეწონებათ? გაკვირვებული ორი თვალი მიცქერის, ვერ გაიგო კითხვა. უკანონოდ და უსამართლოდ რომ მოგექცეთ სახელმწიფო, მოგეწონებათ? – კვლავ ვეკითხები. რა თქმა უნდა, არაო, მპასუხობს... თქვენ რომ ასე იქცევით და დადგენილ წესს არღვევთ, წითელ შუქნიშანზე ქუჩას კვეთთ, ეს თუ მოგწონთ? ცოტა გაბრაზდა. ეს ისეთი რა დარღვევაარ... უბედურება ეს არის, საკუთარს ვერ ვხედავთ, სხვისას კი ვხედავთ, სხვას პასუხს ვთხოვთ, ჩვენი დარღვევები არ გვაინტერესებს, თუ პასუხს მოგვთხოვენ, ვბრაზობთ, იქ ვარღვევთ, სადაც შეგვიძლია. გაბრაზებული გამშორდა. გული შემეკუმშა. ვერ გაიგო-მეთქი, ვფიქრობდი... ვინ იცის, იქნებ დაფიქრდეს კიდეც.

შემდეგ კი – ისევ სტუდენტები, ლექცია და საუბარი.

საღამოს ისევ სიბნელე მეგებება...

პარასკევი

20

დღეს ისეთი დღეა, ფიქრი რომ ზენიტშია. ფორიაქობს ჩემი სული. ჩვენ ოთხნი ვიყავით, ოთხი მოსამართლე ერთად ვიბრძოდით უსამართლობის წინააღდეგ: ნინო, მერაბი, თამარი, მურმანი. დღეს ორი მათგანი კვლავ უბრუნდება თავის მოსამართლის საქმიანობას. ვიდრე პარლამენტში კენჭისყრაა, ყველა ჩვენი კოლეგა შფოთავს... განცდა დიდია. გამოუთქმელია, რასაც განვიცდით. ნინო და მერაბი კვლავ მოსამართლეები არიან... ყველას საოცრად გვიხარია, მომავლის რწმენა ჩნდება. სიმართლე იმარჯვებს ბოროტებაზე!

სიმშვიდე გვიბრუნდება ყველას და იმედი, რომ სიმართლე ძლიერია, რომ სიმართლე დაუმარცხებელია.

ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ტერიტორიების ანექსიისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად შეაფასა რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთთან „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულების“ გაფორმება.

შსს-მ განაცხადა, რომ სამსახურიდან დაითხოვა საპატრულო პოლიციის თანამშრომელი რუსლან ბაზიაშვილი, რომელიც სამინისტროს ბაზაში არსებულ საიდუმლო ინფორმაციას სისტემატურად გადასცემდა ნაციონალური მოძრაობის წევრს გივი თარგამაძეს.

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს თბილისის ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე მამუკა ცაავა.

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს მდივანმა არმაზ ახვლედიანმა უფლებამოსილება შეიჩერა.

პარლამენტმა 88 ხმით დაამტკიცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე პრეზიდენტის მიერ წამოყენებული ნინო გვენეტაძის კანდიდატურა.

სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო პროკურატურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ბრალდებული, პარლამენტის წევრი ნაციონალური მოძრაობიდან როლანდ ახალაია.

ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ყველაზე მძიმე შეცდომად ზედმეტი პრემიების გამოწერას მიიჩნევს.

„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან ხელშეკრულებების გაფორმებას სერიოზული პრობლემა უწოდა და პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას დააკისრა.

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა არტურ მიქვაბია.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ თბილისში გამართა საპროტესტო აქცია მთავრობის გადადგომის მოთხოვნით.

გიორგი მარგველაშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი ესტუმრნენ მარნეულს, სადაც ადგილობრივ მაჰმადიანებთან ერთად აღნიშნეს ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული.

ბუქარესტში რუმინეთის ნაკრების დამარცხების შედეგად (15:6) საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა გამარჯვება მოიპოვა ევროპის ერთა თასის გათამაშებაში.

21 შაბათი

დღევანდელი დღე ისტორიულია. 2005-2006 წლები კვლავ აჩქარებულ კადრებად გადის ჩემს გონებაში. რამდენი მოსამართლე ელოდა ჩვენი საქმის განხილვას... ბევრს ჰქონდა ჩვენი გამარჯვების იმედი, რათა თვითონაც შესძლებოდათ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. სამწუხაროდ, დავმარცხდით იმ ბრძოლაში, მიუხედავად საერთაშორისო მხარდაჭერისა... და ბევრმა იმედი დაკარგა. დღევანდელმა დღემ კი სხვა აზრი შექმნა – სიმართლისათვის ბრძოლაში დამარცხება არ არსებობს, სიმართლე დაუმარცხებელია.

აღელვებული, აფორიაქებული, უკვე შემოსულ სიბნელესაც ველარ ვამჩნევ, ტელეფონის ზარი არ წყდება.

ისევ ხილიანის ქუჩაზე ჩავრბივარ, განწყობილება სხვაა... მიხარია სიმართლის ზეიმი. ვიმედოვნებ, სხვებიც იპოვიან თავიანთ სიმართლეს. მათი, ყველა მათგანს დარღვეული უფლებებიც აღდგება ადრე თუ გვიან.

სამარშრუტო ტაქსიში ვჯდები, ლექციაზე მიმეჩქარება... და უცებ ისევ რეალობა. ახალგაზრდა ბიჭი გემრიელად მიირთმევს მზესუმზირას, ჩენჩოებს კი მანქანის ფანჯრიდან ისე ისვრის, ვითომც არაფერიო. კითხვა დავუსვი, თუ მოსწონდა, რასაც აკეთებდა. გაიოცა – რას ვაკეთებო? ქუჩას რომ ანაგვიანებდა, შენიშვნა იუკადრისა, გაბრაზდა, თქვენ რა გესაქმებათო. რა თქმა უნდა, მეც და სხვასაც გვესაქმება, რადგან ამ ქუჩებში ჩვენ დავდივართ-მეთქი. უფრო გაბრაზდა, ყველა მგზავრი ჩვენ გვიყურებს და გვისმენს. სამწუხაროდ, მდუმარედ. იქნებ დაფიქრდე და გააანალიზო, რას აკეთებ-მეთქი, ვეუბნები, ახალგაზრდა უფრო ინტენსიურად ისვრის მზესუმზირას ჩენჩოებს და გაბრაზებული ამბობს – ზნეობას ნუ მასწავლითო. მე კი კვლავ ვთხოვ, დაფიქრდეს და გააანალიზოს, რას სჩადის. პასუხი ასეთი იყო – მე რა საზოგადოებაშიც გავიზარდე, ისე ვიქცევიო... მაგრამ ცოტა ხანში მაინც შეწყვიტა მზესუმზირას კვნეტა და ხმას არ იღებდა...

მგონი, მაინც დაფიქრდა... არ ვიცი.

ფიქრით კვლავ გვენეტაძისა და ტურავას მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნას ვზეიმობ. კვლავ მახსენდება ჩვენი ბრძოლის ეპიზოდები. ერთ-ერთი სხდომა: იუსტიციის საბჭოს სადისციპლინო კოლეგია ჩვენს საქმეს იხილავს, ჩვენ ვიდევნებით. მოსამართლე ლაშა კალანდაძე სხვა კოლეგებთან ერთად საღეჭ რეზინს ღეჭავს... არ უსმენს გამომსვლელს, არც აინტერესებს. ჩემს შენიშვნაზე, შეწყვიტოს კოლეგიაზე რეზინის ღეჭვა და გამომსვლელს მოუსმინოს, კალანდაძე ხელს კარისკენ იშვერს შემდეგი სიტყვებით: ქალბატონო თამარ, თუ ჩვენი ღეჭვა არ მოგწონთ, დარბაზი დატოვეთო.

სიბნელე მოდიოდა, და რვა წელი იბატონა.

მაგრამ ნათელი უფრო ძლიერი აღმოჩნდა... ცხოვრების მატარებელი მიქრის...

ზვიად დევდარიანი

სამოქალაქო აქტივისტი. დაიბადა 1977 წლის 29 ივლისს ხარაგაულში. დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. საქართველოს გაეროს ასოციაციის დამფუძნებელი. მუშაობდა გაეროს ასოციაციის ქვემო ქართლის რეგიონის კოორდინატორად, მმართველობისა და გამჭვირვალობის პროგრამების კოორდინატორად, აღმასრულებელ დირექტორად.
2006-2009 წლებში იყო ქართულ-აზერბაიჯანულ გაზეთ „ტაიმერის“ დირექტორი. არის სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (CIDA) დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი.

22

კვირა
09:00

კვირადღეა და ლოცვით დავიწყებ. წარმომიდგენია, რამდენს გაუკვირდება. სულ ასეა: ჩემს მეგობრებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ჩემი საქმიანი პარტნიორებიც არიან, ყოველთვის უკვირთ, როდესაც იგებენ, რომ ვმარხულობ. ახლაც ასე იქნება. სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში ვერ თავსდება მუშაობა და აქტიური, დაუფარავად დაფიქსირებული პოზიციები გენდერული თანასწორობისთვის, უმცირესობების დაცვისთვის, დისკრიმინაციისა და ძალადობის დაუშვებლობისთვის და ლოცვა, მარხვა, ეკლესიაში სიარული. არადა, პირიქით უნდა იყოს და, თუ ვლოცულობ, ვლოცულობ იმ ღმერთის მიმართ, რომელმაც სიყვარული და თანასწორობა იქადაგა. გული მტკივა, რომ ის, ვინც შუამავლის როლს უნდა კისრულობდეს კაცსა და ღმერთს შორის, ხშირად ეწინააღმდეგება რელიგიის ამ მთავარ პრინციპებს. განსაკუთრებით მწყდება გული, როდესაც საქმე საქართველოს საგარეოპოლიტიკურ კურსს ეხება და ვისმენ, რომ სახელმწიფო, რომელმაც სახელმწიფოებრიობა და სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია ძალით წაგვართვა, სახელმწიფო, რომელიც ორი საუკუნეა, მხოლოდ ჩვენს ვასალურ არსებობას თანხმდება, რომელმაც 2008 წელს ჩვენი ქვეყნის ორი რეგიონის ოკუპაცია მოახდინა და შემდგომ ამ რეგიონების ანექსიისკენ გადადგა ნაბიჯი, შესაძლებელია, ერისთვის და ბერისთვის საქართველოს საგარეო არჩევანი იყოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღმკვეთ ზომად პატიმრობა შეუფარდა ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილეს, ქრთამის აღებაში ბრალდებულ მამუკა ცაავას.

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პირველმა ლედიმ მაკა ჩიჩუამ პრეზიდენტის სასახლეში უმასპინძლეს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს.

ორ სეფისკვერს წავიღებ ჩემი ორი ბიჭისთვის. მე ძალიან მიყვარს, მაგრამ ჩემს შვილებს, სოლომონსა და დანიელს არასდროს დავაძალებ სეფისკვერის ჭამას. მე შევთავაზებ, ვაჩვენებ ჩემს მაგალითს და მერე თავად გადაწყვიტონ, ილოცებენ თუ არა და, თუ ილოცებენ, სად ილოცებენ.

16:00

კინოჩვენებაზე ოჯახური დასწრება უკვე ტრადიციაა. პოპკორნი, „კოკა“, 3D-სათვალე და გადანაწილება: ზვიადი, დანიელი, სოლომონი, თეონა. შუქების ჩაქრობა, გაუთავებელი რეკლამა, „აუუუ, როდის დაიწყება?!“ და მერე – წავიდააა! ოღონდ სულერთია, რა, და ამაში სრულიად გულწრფელი ვარ. მთავარია, ერთად ვართ. ჩემი საუკეთესო პროექტები ჩემი შვილები არიან. კი შევუწუხე გული ჩემი ფეისბუკის მეგობრებს ფოტოებით და ამათი ამბებით, მაგრამ, მგონი, იმათაც შეუყვარდათ უკვე: გვქომაგობენ, გვამხნევებენ, გვაქებენ, გვტუქსავენ. მოკლედ, ასწორებს ოჯახი!

P.S. შემდეგ არჩევნებზე იმ პოლიტიკურ პარტიას ვაძლევ ხმას, რომლის წინასაარჩევნო სლოგანი იქნება „კინო 5 ლარად, კოლა 1 ლარად, პოპკორნი 2 ლარად“. ოღონდ ნურავინ დაიწყებს ამ ციფრების დაჯამებას და ქვეტექსტების ძებნას.

ჰოდა, აქვე გადავწყვიტე: ვინაიდან ერთი კვირის დღიურს ვწერ და კვირაში 7 დღეა, 7-ჯერ ვიტყვი ამას:

საქართველოში რუსეთი უნდა დასრულდეს!

23 ორშაბათი

08:00

მაღვიძებს სოლომონის შუბლით მოწოლა ჩემს ცხვირზე. ნუ სუნთქავო, ცოტა ხანში მეუბნება. ეჰ, ავდექი და მივხედე საქმეს, თორემ ესენი ჟანგბადსაც მიკეტავენ უკვე.

09:00

დაიწყო. აი, ორშაბათი მიყვარს სწორედ ყველაზე მეტად! ჰო, რთულიო, საშინელიო და რა ვიცი, კიდევ რაო, მაგრამ ყველაზე მეტი ენერგია მაინც ამ დღეს მაქვს. და კიდევ: მიყვარს, რომ ჩემი ყოველდღიურობა არ ჰგავს იმ ფილმს, „ზაზუნას დღე“ რომ ჰქვია, ბილ მარეისა და ენდი მაკდაუელის მონაწილეობით. არ არის ყოველი დღე ერთი და იგივე და არც მოწყენილობისგან თავის მოკვლაზე მიფიქრია ამ ერთფეროვნების გასამრავალფეროვნებლად. ამიტომაცაა, რომ უკვე ოცი წელია, არასამთავრობო სექტორში ვარ, იქ, სადაც ჩემი ძალიან დიდი ოჯახია, სადაც ზოგი დედას ჰგავს, ზოგი – მამას, ზოგი – დიდ ბებია-ბაბუას, მაგრამ სადაც გვაერთიანებს მთავარი: ღირებულებები. შესაძლოა, ესეც არ გვესმოდეს ყოველთვის ერთნაირად, ამაზეც ვკამათობთ, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ მარტო ჩვენს თავს არ ვეკუთვნით და ჩვენ უკან ათასობით ადამიანის თვალებია, რომლებიც უკან დახევის საშუალებას არ გაძლევენ და თან გამხნევებენ. გრანტის საჭმელად არ ვართ

უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე ოფიციალურად შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ გამართა პოლიტსაბჭოს სხდომა, რომელზედაც მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის დაწყების საკითხი განიხილა.

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ მისი პარტია მხარს არ დაუჭერს ნაციონალური მოძრაობის ინიციატივას მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მესამე ქვეითი ბრიგადის ნაკრები ასეული ოფიციალურად შეუდგა ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებას.

აქ, ნამდვილად ვიცი, და თუ ვინმეს აგენტები ვართ, ალბათ, ჩემი ქვეყნის, რომელიც არ გვემეტება ჭაობისთვის, კორუფციისთვის, ანარქიისთვის, სიღარიბისთვის, მონობისთვის.

09:00

აქ კი დავვარდი ქადაგად, მაგრამ დანიელი ბაღშია წასაყვანი და ახლა უნდა ჩავაცვა, დესერტი მივართვა, თვალები ამოვწმინდო, რომ დილიდანვე ტელევიზორს შეავლოს თვალი და 09:30-ზე ბაღში ვიყოთ. დღესაც რომ უკან გამოგვაბრუნონ დაგვიანების გამო, სახლში აღარ შემოგვიშვებენ. შესვლისთანავე გოგოები „დანიელის“ ძახილით გვეგებებიან. დანიელი, ღირსეულად, ოდნავ იღიმება და შედის.

საქართველოში რუსეთი უნდა დასრულდეს!

სამშაბათი

23:00

ღამის ფიქრები. შვედეთი გამახსენდა. ერთი წლის წინ ვიყავი სამი კვირით, თან გენდერულ ასპექტებს ვსწავლობდი და თან პრაქტიკას ვეცნობოდი ამ უმშვენიერეს ქვეყანაში, სადაც თანასწორობა უკვე თეორია არ არის. ჰოდა, სანამ ერთ დღეს ერთი მნიშვნელოვანი „დეტალი“ არ აღმოვაჩინე, ვერ მივდიოდი საბოლოო დასკვნამდე, თუ რატომაა ეს სახელმწიფო გამორჩეულად წარმატებული ევროპის ფარგლებშიც კი. და აი, ის დეტალიც:

XVII საუკუნიდან მსოფლიოში შემორჩენილი ერთადერთი აფრიანი ხომალდი „ვასა“ მთელი შვედეთის სიამაყეა, რომელმაც სამი საუკუნის წინათ სულ ორი მილი გაცურა და ჩაიძირა, იმიტომ რომ იჩქარეს და მისი კონსტრუირებისას შეცდომა დაუშვეს. 1961 წლამდე მდინარის ფსკერზე ედო ბინა ამ გიგანტურ ხომალდს. ახლა ამაყობენ. ამაყობენ და ამბობენ, რომ ეს მუზეუმი, რომელიც „ვასას“ აუშენეს, შეცდომის აღიარების მუზეუმიცაა.

მოკლედ, რომ ვაკვირდები საქართველოში პოლიტიკოსების გამოსვლებს, ვუყურებ ურთიერთობას ოჯახებში, მეგობრებს, შეყვარებულებს, მეზობლებს, თანამშრომლებს, უცნობებს, ნაცნობებს, ყველაზე მეტად თვალში მხვდება არა სიმაღლე, თვალის ფერი, კბილების სითეთრე, კილო ან ინტონაცია, არამედ შეცდომის აღიარების უნარის არქონა. ამიტომაცაა, რომ სულ შეტევაზე ვართ. შეტევაზე, რომელიც ყვირილშია გადაზრდილი და, როგორც წესი, მეტად უტევს ის, ვისაც მეტი შეცდომა აქვს დაშვებული, ვისაც მეტად ერგება შეცდომის აღიარება. ასე წინ ვერასდროს წავალთ, წინ ვერ წავალთ, სანამ არ გამოჩნდებიან პირველი ქართველები, რომლებიც შეცდომებს აღიარებენ, რომლებიც პატიებას ითხოვენ, რომლებიც ყვირილის ნაცვლად მოზომილად დაიწყებენ საუბარს. სწორედ, ასე გავაოცებთ ევროპას და –

საქართველოში რუსეთი უნდა დასრულდეს!

24

რამდენიმე მედიასაშუალებამ გაავრცელა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის, IRI-ს დაკვეთით ჩატარებული გამოკვლევის შედეგები, რომელთა თანახმად „ქართული ოცნება“ ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ ძალად რჩება, თუმცა მისი მხარდაჭერის ხარისხი შემცირდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ პარლამენტს მიმართა წინადადებით, 31 მარტის სხდომაზე გიორგი მარგველაშვილის გამოსვლაზე დასასწრებად მიიწვიოს მთავრობის წევრები, სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელები და დიპლომატიური კორპუსისა და მედიის წარმომადგენლები.

თბილისში გაიმართა დონორთა საკოორდინაციო ფორუმი, რომლის მონაწილეებსაც პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააცნო საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ-პოლიტიკური გეგმები.

25 ოთხშაბათი

ევროკომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს მიერ „სამეზობლო პოლიტიკის“ პროგრამის განხორციელების შესახებ.

„რუსთავი 2“-ის ერთ-ერთი დამაარსებლის, ეროსი კიწმარიშვილის ოჯახმა ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს მოსთხოვა, ბოდიში მოიხადოს განცხადებისთვის, რომ ეროსი კიწმარიშვილმა „ფსევდოოპოზიციური“ და „არაობიექტური“ მედიასაშუალება შექმნა.

ერგნეთში გაიმართა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფების 53-ე შეხვედრა.

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა თბილისში ამხანაგურ მატჩში დაამარცხა მალტის ეროვნული გუნდი – 2:0.

08:00

სოლომონს გლანდების ოპერაციას ვუკეთებთ. ეს დღეები მხოლოდ ამ თემით არის დაინტერესებული და ყველას სათითაოდ, დაწვრილებით გვეკითხება, რა და როგორ მოხდება. მე სრულიად მშვიდად ვპასუხობ და ვცდილობ, ეს სიმშვიდე გადავდო. არადა, ღამე უფროსებს, ფაქტობრივად, არ გვძინავს.

09:30

ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ნაყინს ჭამს. წინ რეაბილიტაციის ორი კვირა გველის. ფეისბუკი გვქომაგობს, სოლომონის ფოტოს დადებიდან ერთ საათში 200 ლაიკი აქვს.

17:30

წინა კვირას მოვიარე კვოტირების მოთხოვნით გამართული NGO-შნიკური აქციაც და უფრო აკადემიური იმ 50 ქართველი ქალის ცხოვრების ამსახველი ფოტოების გამოფენაც, რომლებმაც საქართველოს განვითარებაში წვლილი შეიტანეს. ნეტავ მათგან რამდენს იცნობენ საქართველოში, რამდენის გვარს ჩამოთვლიან ან გვარების გახსენებისას თუ იტყვიან, ვინ იყვნენ ეს ქალები? არადა, როგორც მამაკაცები, ისინიც საქართველოს დამოუკიდებლობის შემოქმედები იყვნენ და საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ბევრ სფეროში შეჰქონდათ წვლილი. ჰოდა, ქალები ითხოვენ მეტ ქალს პარლამენტში! ჩემთვის ეს უფრო კამპანიის სლოგანია და ბევრად უფრო მეტი მგონია გასაკეთებელი, ვიდრე პირდაპირ კანონმდებლობით რიცხვების შეცვლა და საპარლამენტო სავარძლების გადანაწილება. თუმცა ვფიქრობ, რომ კვოტირება აუცილებელია, როგორც დროებითი მექანიზმი. ისტორიული უსამართლობა ხელოვნური ჩარევით თუ არ გამოსწორდა, კაცები ნებით არაფერს დათმობენ. ეგრეა. საკმარისია, გადახედო კონფერენციებს, სატელევიზიო გადაცემებს, ბიზნესებს, პოლიტიკას: შავი კოსტიუმებისა და ჰალსტუხების სრული დომინირებაა.

ვინც კვოტირებას ეწინააღმდეგება, ნეტა თუ სმენია იმის შესახებ, რომ 1946 წელს გაეროს მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის სამუშაო ვერსიას კაცთა უფლებების დეკლარაცია ერქვა? ეს რომ გენდერის ტრენინგზე მოვისმინე, ძალიან შემრცხვა. სად დავმალულიყავი, არ ვიცოდი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ სულ რაღაც 70 წლის წინათ მასკულინური მსოფლიო კაცების უფლებების უნივერსალიზებას გეგმავდა, რომ არა ძალიან მაგარი ქალი – ელეონორ რუზველტი. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ კაცებთან ერთად ადამიანის უფლებების დეკლარაცია ქალებსაც შეეხოთ.

ჰოდა, სოლიდარობა ქართველ ქალებს, რომლებიც პირადი ინტერესებით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ სათავეში უდგანან ისტორიულ პროცესს, რომლის მიზანიცაა თანასწორუფლებიანობის პრინციპის წიგნებიდან გადმოტანა და ცხოვრებაში განხორციელება! ამიტომაც – მეტი ქალი პარლა-

მენტში და –

საქართველოში რუსეთი უნდა დასრულდეს!

ხუთშაბათი 26

09:00

მაგარ კონფერენციაზე აღმოვჩნდი დილაუთენია: „დემოკრატიის არსი: საგარეო, ეკონომიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის არჩევანი რეგიონში“. კონფერენცია ორგანიზებულია სტენფორდის უნივერსიტეტის და ჩემი მეგობრებისა და პარტნიორების – ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრის მიერ. დიპლომატები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, არასამთავრობები, ექსპერტები... გაივსო დარბაზი. პარლამენტის თავმჯდომარე და პრეზიდენტიც აქ არიან. პრემიერი რომ არ არის, აღარ მიკვირს, მაგრამ მწყინს. ასე ხელოვნური დისტანცირებით რეპუტაციას ვერ მოიპოვებ.

ეს ამბავი იქით იყოს და, კონფერენციაზე სამი დასკვნა გავაკეთე: 1. რუსეთი არის საფრთხე მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის; 2. ამერიკელები ამას აცნობიერებენ და მზად არიან წინააღმდეგობისთვის, ევროპელები ამას აცნობიერებენ და მზად არიან ამ საფრთხესთან ადაპტაციისთვის; 3. ჩვენი მთავარი ძალა ადამიანური რესურსია და გულდასაწყვეტია, რომ ამ პოტენციალის სრულფასოვანი გამოყენება ვერ მოვახერხეთ. ვუსმენდი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს, დარბაზიდან სამოქალაქო ლიდერების მიერ დასმულ შეკითხვებს და ვფიქრობდი, რა მაგარი იქნება ამ ხალხისგან ერთი ნორმალური ხელისუფლების დაკომპლექტება, რომელიც, არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, ქვეყანას სახელმწიფოს დაამსგავსებს, უკან არ დახევს და წინ წასწევს. არა გვაქვს, საერთოდ არა გვაქვს შეცდომის უფლება! ახლა ის მომენტია, როდესაც მეორე შანსს, შესაძლოა, ვერც ვეღირსოთ და ეს უკვე ათწლეულებით გადაგვაგდებს უკან.

კაი, ადუღდა თავი. ვერ ვიტან ამ კონფერენციებსა და ტრენინგებს. ახლა ისეთ ასაკში ვარ, თან მაინტერესებს ეს აკადემიური ამბები და თან ჯერ იმდენადაც არ დავბერებულვარ, რომ ძილსა და ღვიძილს შორის გავიყვანო ეს საზარელი ჯდომის მთელი დღე.

ამიტომაც, ავდგები და წავალ, საქმესაც მივხედავ და –

საქართველოში რუსეთი უნდა დასრულდეს!

პარასკევი 27

09:00

დანიელი ჩაჰბარდა ბაღს. გზაში მეკითხება: „მამი, როდის მოხვალ?“ ამ კითხვაზე ვეუბნები, დედაშენის აგენტი ხარ-მეთქი და ვიცინით. არადა, ვიცი, ერთი სული აქვთ დანიელსაც და სოლომონსაც, სახლში მივიდე და ერთი ხელი ფეხბურთი მოვ-

მარტი

თბილისში გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პრესკონფერენცია.

პოლიციელისგან ინფორმაციის უკანონოდ მიღების საქმეზე პროკურატურაში მოწმედ დაკითხეს საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატი გივი თარგამაძე.

გიორგი მარგველაშვილმა თბილისში გახსნა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „დემოკრატიის არსი: საგარეო, ეკონომიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის არჩევანი რეგიონში“.

ნატოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნა ალექსანდრე მაისურაძე.

თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2 ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის ასეულმა უდანაკარგოდ დაასრულა

სამშვიდობო მისია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.

ტელეკომპანია „თრიალეთმა“ ირაკლი ღარიბაშვილს გაუგზავნა ღია წერილი, რომელშიც შიდა ქართლის ადგილობრივ ხელისუფლებას კომპანიაზე ზეწოლაში ადანაშაულებს.

ცხოთ, ერთ-ორი ლარნაკი ავაყირაოთ, კარადა შევაზანზაროთ და მოგება-წაგება ვისწავლოთ.

კარგი დღეა პარასკევი, თუ მას ადამიანური შაბათ-კვირა მოჰყვება. ადამიანური, ანუ ისევ სამსახურში თუ არ მიდიხარ, ან სახლში თუ არ ზიხარ მთელი დღე და კომპიუტერში არ გაქვს თავი ჩარგული.

არადა, კარგი დრო იყო ათი წლის წინ მხოლოდ ერთი გარემოების გათვალისწინებით: შემეძლო, პროექტი მეწერა, შიგადაშიგ ჩამომეხსნა ფანჯარა და ლექსიც დამეწერა. რაც უფრო დაღლილი ან გაბრაზებული ვიყავი, მით უკეთესი ლექსი გამომდიოდა. პროექტებში ასე არ არის.

ახლა ის ლექსი გამახსენდა, ყველაზე უკეთესი რომ არ არის ჩემი შეფასებით, მაგრამ ყველაზე მეტად რომ გამოხატავს გაბრაზებას. მოიცა, როგორ იყო?..

დღე გამოცლილი ბოთლებით ჩავაბარე და შევისყიდე ღამე ხურდებით.

მე შენ მომწყინდი, იმიტომ რომ აღარ მაეჭვებ, ფერებს კარგავ, ანუ ხუნდები.

მე ყურადღებას უკან ვითხოვ და ისტერიკას,

რომ დააბრუნებ, მინდა მივცე ჩემს მეზობელ კეთილ ბერიკაცს.

ქვიშის საათში მოვაგროვებ შენზე დახარჯულ საათის ისრებს,

ფეხსაცმლის ლანჩებს ამოვაგლეჯ შენი ოთახის შეღებილ ფიცრებს.

ამას მოვითხოვ იმიტომ, რომ მე შენ მომწყინდი,

აღარ მაეჭვებ და ეს ქცევა გახდა საეჭვო.

მოვალეობად ქცეული კოცნა ტუჩზე დამერჭო,

ჩამომეკოკრა სიმწრის ყვავილი და გამიხადა მოგონებად ზეწრის ქავილი.

მე არაფერი არ მაწუხებს, ყველაფრის გარდა, შენი შიმშილი გადმომეფარდა.

და მაინც ვითხოვ ყველა ნათითურს, შენი სხეულის ოკეანეს არ უნდა კვალი,

უკან მეკუთვნის ჩემი შვილიც – დაბადებული ლიანდაგზე,

წარწერით „მომავალი“.

(ისე მიღიმი, როგორც მათრახი უღიმის ურჩებს,

შენა გაქვს ქუსლზე გამობმული ჩემი სახელი და ურტყამ ქუჩებს).

მე არაფერი აღარ მახსოვს ყველაფრის გარდა,

შენ მოგონების გამიქურდე დიდი ზურგჩანთა.

ნუ გეშინია, არ ვუხმობ ქარებს. შენს განშორებას მოწყენით გავზრდი.

სულაც არ გესვრი გამოწვევის წითელ ნიჟარებს –

მართლა გავბრაზდი.

ხანდახან საჭიროა გაბრაზებაც.

ყველა ქვეყნის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც გადამწყ-

ვეტ სიტყვას თავისუფლებისა და განვითარებისთვის გაბრაზებული ახალი თაობა ამბობს. ამას ემსახურებოდა ვარდების რევოლუციაც და უნდა გაგრძელდეს ის, რაც მაშინ ბოლომდე ვერ მოხდა, –

საქართველოში რუსეთი უნდა დასრულდეს!

შაბათი

28

კვირაც სრულდება, ჩემი კვირის დღიურებიც და –

საქართველოში რუსეთიც უნდა დასრულდეს! თუ გვსურს, რომ საქართველო გაგრძელდეს...

თბილისში მოკლეს ბიზნესმენი ბესიკ ხარძიანი.

დავით უსუფაშვილმა საკონსტიტუციო რეფორმაზე მომუშავე საპარლამენტო კომისიას მოუნოდა, გააქტიუროს საქმიანობა.

საქართველო შეუერთდა მსოფლიო აქციას „დედამიწის საათი“.

თამარ ისაკაძე

ფსიქოლოგი. დაიბადა 1981 წლის 7 ივნისს თბილისში. დაამთავრა თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. არის განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრი. მისი სამუშაო გამოცდილება უკავშირდება ინკლუზიური განათლების სფეროს, მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაციაში „პირველი ნაბიჯი - საქართველო“, როგორც ბავშვთა კლინიკური ფსიქოლოგი და პროექტების კოორდინატორი. არის ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიაში სხვადასხვა ტრენინგ-მოდულისა და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობლების სახელმძღვანელოს“ ავტორი. ჩატარებული აქვს გამოკვლევები საგანმანათლებლო სისტემაში გენდერული თანასწორობის დანერგვისა და განვითარების მიმართულებით. ამჟამად მუშაობს მულტიდისციპლინური გუნდის კოორდინატორად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

მარტი

29

კვირა

„დედი, დედიკო, დე, ავდგეთ!“

ავდექით, ჩავიცვით. წინდების ჩაცმაზე გაწევ-გამოწევა გვაქვს: „არ მინდა წინდები!“ – „რა გახდა ეს წინდები, ჩაიცვი, დედი, რა, აი, მე მაცვია“. – „გაიხადე შენც!“ ელაპარაკე ახლა ამას.

„მე ჩავრთავ კომპიუტერს, მე, მეეეეე... მე დავწერ პინგუს, არა პეპას, პეპა უნდა ჩავრთო... P... ე...“ – „ახლა enter-ს დაჭირე, საჩვენებელი თითით უნდა მივუთითო კლავიატურაზე შესაბამისი ასოები თანამიმდევრობით, და ისიც აჭერს, დრო სამმაგად მეტი იხარჯება, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი ეგო რეალიზებულია.

დღეს კვირაა. დღეს ნიტასი ვარ მთელი დღე, როგორც ჩემს შვილს უნდა, ისე უნდა მოვიქცე. დღეს ძიძა არ მოვა, დღეს მთელი დღე აღმოჩენების დღე გვექნება, მთელი დღის ურთიერთობის პროცესში ერთმანეთში უამრავ რამეს აღმოვაჩენთ, დავაფასებთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ მშვენიერია, მე რომ მისი დედა ვარ და ის – ჩემი შვილი.

ოცი წუთი მინდა, რომ დავიბანო, ჩავიცვა. გვერდიდან არ მშორდება, ხან რას მთხოვს, ხან – რას. „ის მომაწოდე, წყალი მინდა, ეს გამხადე!“ ამიტომ პარალელურად ვმოქმედებ, როგორც ყოველ დილას: აბაზანა, ჩაცმა, ყავა, ნიტას ინსტრუქციების შესრულება.

როგორმე თმა უნდა შევიღებო. ნიტას დედაჩემი არ იტო-

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ რეგიონში, სადაც დევალვაცია განიცადა ყველა ვალუტამ, „ყველაზე უკეთ ლარი დგას“.

თბილისში, ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან, რამდენიმე საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ გამართა აქცია-პერფორმანსი „დავტირით ლარს“.

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული გუნდი ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ შეხვედრაში შინ დამარცხდა მსოფლიოს ჩემპიონთან, გერმანიის ნაკრებთან – 0:2.

ვებს – „არ შემიძლია ბავშვებიო...“ სალონში მივდივართ. ბედად მულტფილმები გადის ტელევიზორში, თუ არადა, ჩანთაში ორი სათამაშო და სახატავი მაქვს.

„დედი, ხინკალი მინდა!“

ათი ხინკალი და ორი ჩაი, ნიტა ცომს ჭამს, მე – ხორცს.

„დედი, საბაგიროზე მინდა! მინდა, მინდა!..“

მივდივართ რიყეზე. ცივა, ცოტა წვიმს კიდეც, სიცივისგან ხელები მეყინება, მილურჯდება. ნიტას კიდევ როგორი თბილი ხელები აქვს, ხელს რომ ჩავკიდებ, თითქოს ხელთათმანს ვიცვამ. საბაგიროს წვიმიანი, დაბურული შუშებიდან ნისლში გახვეულ სველ ქალაქს გადმოვხედეთ. ახლა შუშის ხიდზე გადავალთ. ნიტა სივრცეში ორიენტირებას მშვენივრად ახერხებს.

„როგორ წვიმს, დედი! ტაქსით წავიდეთ!“ – გადაწყვიტა ნიტამ.

ჩემს დასთან მივდივართ, სანდროს ნახვასაც მოვასწრებთ. სანდრო, ჩემი დისშვილი, ხუთი თვისაა.

„სანდრო უფრო პატარაა თუ მე? მე როდის დავპატარავდები? რატომ არის სანდრო პატარა? მე რომ დავპატარავდები, პამპერსი და ბოთლი მექნება? მე სამი წლის ვარ? მერე ოთხის გავხდები?“

„ჩვენ ძალიან გვიყვარხარ, რამდენი წლისაც ხარ, იმდენი წლის გვიყვარხარ.“

სანდროზე ეჭვიანობს ხოლმე ნიტა, იქიდან დაბრუნებული სპექტაკლებს დგამს: „ამიყვანეთ, ვტირი, აი ვტირიიიიი, ااااا, მომაქციეთ ყურადღება, საწოვარა მინდა, არ ვიცი ლაპარაკიიი!..“ მე აღფრთოვანებას ვერ ვმალავ ნიტას გარდასახვის უნარით, თუმცა ეს ჩვეულებრივი თავდაცვითი მექანიზმია, ასაკობრივია. საშიში არაფერია, მთავარია, უფროსებმა აღვიქვათ სწორად. ამ დროს დედაჩემი ბრაზდება ხოლმე, ფუ, რეებს შვრება ეს ბავშვიო, ამბობს.

თბილისში ბავშვებისთვის გასართობი ადგილის მოძებნა შეუძლებელია. 5 საათი ხდება, „მაკდონალდსში“ მივდივართ „ჰეპი მილში“ ნაპოვნი სათამაშოთი გამოწვეული სიხარულის შეგრძნების მიზნით. ვსხდებით მეორე სართულზე, რომლის გრძელი მაღალი ფანჯრიდან ჩანს ბებერი ჭადარი, ველოსიპედი, მელიქ აზარიანცის სახლის ერთი კედელი. წვიმს ისევ.

საღამოს გიორგიც მოდის. ორსულად რომ ვიყავი, სულ მეშინოდა, ნიტა რაიმე პრობლემით არ დაიბადოს-მეთქი, ანუ სულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან რომ ვმუშაობ, მაინც მეშინოდა, ადამიანური შიშით მეშინოდა... გიორგის რომ ვუთხარი, მიპასუხა, მერე რა მოხდა, გინდ პრობლემური დაიბადოს, ხომ ჩვენი შვილი იქნება და ისევე გვეყვარება, როგორც სხვა შემთხვევაშიო. დაუნის სინდრომით რომ იყოს-მეთქი? მაინც შევიყვარებთ, ჩვენი შვილი იქნება, სახლში წამოვიყვანთ და გავათამამებთო. ამის შემდეგ

აღარ მეშინოდა. ეს სიტყვები მაძლიერებს.

11 საათი ხდება.

„დამაძინე, დე, მიმღერე!“

30 ორშაბათი

თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ განაცხადა, რომ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და ყველას მოუწოდა, მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინონ ქვეყნის თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას.

ბრიუსელში გაიმართა ევროკავშირთან საქართველოს სტრატეგიული დიალოგის მესამე შეხვედრა.

პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის, ლევან ყიფიანის საქმიანობა და შესაბამისი დასკვნა გაუგზავნა პრემიერ-მინისტრს.

მარჯვენა ხელით კბილებს ვიხეხავ, მარცხენა ხელით ჩაის ვუკეთებ ნიტას, თან შარვლის ჩაცმას ვლამობ; მარცხენა თვალით გვერდულად საათს გავხედავ, მარჯვენით – ნიტას, რომ სადმე არ აძვრეს, უცებ არ გადმოვარდეს. ჯერ ცხრის ნახევარია, ცოტაც, ცოტაც და ნინო მოვა. ნინო ძიძაა. ნინო რომ არ მოდიოდეს, სამსახურში ვერ ვივლიდი, შესაბამისად, ვერც ჩემი თავის პროფესიულ რეალიზებას მოვახდენდი, ვერც გემრიელი ოლადების სურნელს დავატრიალებდი რძიან ყავაზე მისაყოლებლად. ეს ბინა სულ ერთი ოთახია, მაგრამ ნიტა ხუთი სანტიმეტრითაც არ მშორდება. ახალ თამაშს ვიგონებ: „მოდი, ვითომ ჩუქუ-მატარებელი ვართ, აბა, მომკიდე ჟაკეტზე, ჩუქუ, ჩუქუ“ მივდივართ, ჩუქუ... აბა, დედამ ყავა გაიკეთოს, ახლა სარკესთან მივდივართ... მატარებელი ვართ, ახლა დედამ სახეზე კრემი წაისვას „მე წითელი ვაგონი ვარ, შენ რა ფერის ვაგონი ხარ?“ – „შენ ლურჯი, იმიტომ რომ ლურჯი მაისური გაცვია“

ნინო მოვიდა!

ამოვისუნთქე. ახლა 15 წუთი მაქვს, რომ ჩავიცვა და გავვარდე.

„ჰიალურონის მჟავა სახის კანს ჭიმავს მაგრად“ – ორი თვეა, მგონი, დედაჩემი ყოველდღე მიყვება ამ მჟავას სასწაულმოქმედების შესახებ. ცალი ყურით ვუსმენ, პარალელურად ხელფასს ორად ვყოფ: ბინისა და ძიძის, დღეს კომუნალურებიც უნდა გადავიხადო, თორემ გათიშავენ. სახლი საშინლად დასალაგებელია. სახლს ვინ ჩივის – ჩანთა, კომპიუტერის დესკტოპი და კარადა დამალაგებინა ნეტა.

„ჰიალურონის მჟავა“

„წავედი, ნინო!“

მორჩა, ლიფტში ვარ, სულ რომ დიდი საცობი იყოს, მაქსიმუმ 20 წუთში მივალ ტაქსით საბურთალოდან პლეხანოვამდე. ცივა გარეთ, თოვლნარევი წვიმა მოდის, ქოლგა არ მაქვს, თავი ვერ მოვაბი ქოლგის ყიდვას, ამიტომ დიდი შარფი მაქვს შემოხვეული.

„თავშლის გამო ვინმე არაბი და სხვა ქვეყნიდან ჩამოსული მეგონეთ რა, გოგონი, მაპატიეთ“, – მიბოდიშებს ტაქსის მძღოლი.

„და მერე რა, სხვა ქვეყნიდან რომ ვიყო?“

„აღარ იტევს ეს თბილისი ამდენ ინდოელს და ირანელს და რა ვიცი მე, ზანგებს.“

„გამიჩერეთ რა, არ მინდა ამის მოსმენა!“ – გადმოვდივარ ეგრევე.

რა გავაკეთე ვითომ ამ საქციელით? სამსახურში ვაგვი-

ანებ ისედაც, მაგრამ იქნებ შეცვალოს ამ კონკრეტულმა მძღოლმა დამოკიდებულება? თუნდაც იმის გამო, რომ მგზავრი დაკარგა. ბიჰევიორისტები ამტკიცებენ, რომ უარყოფითი განმტკიცება ამ დროს აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

სამსახურში ფეხით მივდივარ. როცა სამსახურის საქმეები და შენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, ეს სულიერი ჰარმონიაა და სტრესი ნაკლებად გემუქრება. ინკლუზიური განათლება რა არის ჩემთვის? ეს მარტო სამსახური არ არის, უფრო სწორად, ეს ჩემთვის საერთოდ არ არის სამსახური, ეს ჩემი ცხოვრების წესია, ჩემი დამოკიდებულებაა ადამიანებისა და მათი თანაცხოვრებისადმი; პოზიციაა, რომელიც ყველა სფეროში უნდა აისახოს; ადამიანური ჰარმონიის ამოხსნის გასაღებია. ჩვენ, ადამიანებმა, უნდა ვაღიაროთ, რომ განსხვავებულები, მაგრამ თანასწორები ვართ. ეს თავიდან ბოლომდე მჯერა და მინდა, ყველას გავაგებინო. ამაში სამსახური მეხმარება.

სამშაბათი

თავის აუტანელი ტკივილი მაღვიძებს. გეგმები შემეცვალა, დილიდან სულ სხვანაირად მქონდა დაგეგმილი საქმეები. სამშაბათის to do list-ი აირია, ზოგი საქმე ამოვარდა, ზოგი – ხვალისთვის გადავიდა. ვერ ვიტან, გეგმები რომ მეცვლება. ძალიან ფრიგიდული ვარ აშკარად. თუმცა, მთავარია განწყობა, და მეც უცებ გადავერთვები ახალ რუტინაზე.

სამსახურში რუტინულ წვრილმანებში ჩავერთე, მობილურზე რამდენიმე ზარს ვუპასუხე, ელფოსტაზე ხუთ, ექვს თუ შვიდ წერილზე გავეცი პასუხი. ახლა მულტიდისციპლინური გუნდის წევრების ანგარიშები უნდა დავამუშაო. არა, ჯერ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა დასკვნებს წავიკითხავ, კომენტარებს გავაკეთებ... ანგარიშები ხვალისთვის გადავდე. ტელეფონი არ ჩერდება:

„გამარჯობა, ქალბატონო თამუნა (ეს „ქალბატონო“ ძალიან მეუცხოება). თქვენი ნომერი მომცეს, ჩემს შვილს აქვს სწავლაში პრობლემები, კი არის შეფასებული მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, რეკომენდაციებიც დაუწერეს, როგორ უნდა იმუშაოს მასთან მასწავლებელმა, მაგრამ ვერ რთავს ჩემს შვილს, ლუკას, კლასში. სულ რესურსოთახშია ბავშვი. მე ვამეცადინებ, ამის გამო სამსახურსაც თავი დავანებე...

დეტალურად გამოვკითხე, მოვუსმინე, ემოციურად დავამშვიდე, შევპირდი, რომ საქმეს გავარკვევდი. ახლა სკოლაში ვრეკავ, სკოლა მეუბნება, ყველაფერი რიგზეაო. იდეალურად მუშაობს მასწავლებელიო. გადავწყვიტე, მულტიდისციპლინური გუნდის წევრი გავუშვა კეისის სუპერვიზიაზე.

რამდენიმე კეისია კიდევ მოსაკითხი. რუსკა მეხმარება. რუსკა ნამდვილი ოქროა, თითოეული ბავშვის საქმე ბოლომდე მიჰყავს, მშობლებს აკვალიანებს, ბევრ რამეს აკეთებს, სანდო ადამიანია. სანდო და პოზიტიური.

პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით გამოვიდა პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი.

თამარ ბერუჩაშვილი ბრიუსელში შეხვდა ევროკომისიის პირველ ვიცე-პრეზიდენტს ფრანს ტიმერმანსს, ევროკომისარს ვაჭრობის საკითხებში სესილია მალსტრიომსა და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრს დიდიე რეინდერსს.

ოფიციალურად ამოქმედდა საკანონმდებლო ცვლილება ფარულ მოსმენის „ორგასაღებიანი სისტემის“ შესახებ.

1 ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ უარი უთხრა საქართველოს მთავარ პროკურატურას ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიციაზე.

ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური კონსულტაციები ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარებისა და იქ რუსეთის უკანონო ქმედებების საკითხზე.

IRI-მ გამოაქვეყნა საქართველოში თებერვალში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები; მანამდე ეს შედეგები არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელა რამდენიმე მედიასაშუალებამ.

დღეს, რაც დაგეგმილი მაქვს, როგორმე ყველაფერი უნდა მოვასწრო. მიმდინარე კვირა მთლიანად აუტიზმს ეთმობა, მთელ მსოფლიოში უამრავი ღონისძიება იმართება აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით. საქართველოშიც ხდება რაღაც კარგი ცვლილებები ამ კუთხით. 11 საათზე პრეზენტაციაა. ეკამ თბილისის საჯარო სკოლების დირექტორებს კიდევ ერთხელ შეახსენა ინკლუზიური განათლების წესები. ეკას ბევრი კარგი თვისება აქვს, მოტივირებულია, ძალიან ვაფასებ. დარბაზი დიდია, ხალხიც ბევრია, მგონი, ყველა დირექტორი აქ არის. ისმენენ და აქტიურად სვამენ კითხვებს. ეს კარგია, მაგრამ მაინც იგრძნობა ბარიერები, მუდმივად იგრძნობა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიმართ დამოკიდებულება – „ჩვენ“ და „ისინი“.

ჯერ კიდევ დღის პირველი ნახევარია, „რუსთავი 2“-ზე „შუა დღეში“ მივდივარ, აუტიზმის მქონე ბავშვების თემაზე სალაპარაკოდ. წინა ბლოკში ქალბატონი თამარ გაგოშიძეა მიწვეული, ისიც ბავშვების თემაზე. ერთი სიამოვნებაა მისი მოსმენა. ეთერში შესვლამდე ვუთხარი კიდეც, მეუხერხულება, თქვენ შემდეგ მე რომ უნდა ვილაპარაკო აუტიზმზე-მეთქი. გაეცინა და ძალიან უშუალოდ რაღაც გაიხუმრა კიდეც.

საღამოს საჯარო ლექციას ვკითხულობ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში. სტუდენტებთან ურთიერთობა ძალიან მომწონს. აუდიტორია სამართლის, ჟურნალისტიკის, სტომატოლოგიისა და სხვა ფაკულტეტების სტუდენტებისგან შედგება. ჩემი ძირითადი მიზანი და მესიჯი ის არის, სტუდენტებსა და მომავალ პროფესიონალებს ვუთხრა, რომ აუტიზმის მქონენი არ არიან განწირული მხოლოდ ექიმის მომსახურების ან ქველმოქმედების მისაღებად; რომ საზოგადოება მრავალფეროვანია და, როგორც პაზლის (აუტიზმის სიმბოლოა) სხვადასხვა ფერი, ისიც სხვადასხვა შესაძლებლობისა თუ ხასიათის ადამიანებისგან შედგება. შესაბამისად, თავსატეხი რომ აიწყოს, საზოგადოების ყველა განსხვავებულმა წევრმა ერთმანეთთან ჰარმონიაში უნდა იცხოვროს.

სახლში 9-ზე შემოვდივარ, ძალიან დაღლილი. ნიტას ვაძინებ, სრულიად უსმენო სიმღერით – მარტო მას მოსწონს და ითხოვს, რომ ვუმღერო. ვფიქრობ, ნიტას დავაძინებ და სიგარეტს მშვიდად მოვწევ-მეთქი. მაგრამ ნიტაზე ადრე მე ჩამეძინა.

2 ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

პოლიციამ დააკავა თბილისის იუსტიციის სახლთან იპოთეკით დაზარალებულთა მიერ მოწყობილი საპროტესტო აქციის ორი მონაწილე, რომლებმაც კვერცხები დაუშინეს შენობას.

2007 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2 აპრილი აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების დღედ გამოაცხადა.

დილით ჟურნალისტი მირეკავს, თქვენი თანამდებობა ზუსტად მითხარითო. „საქართველოს განათლებისა და მეცნიერე-

ბის სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს მულტიდისციპლინური გუნდის კოორდინატორი“ – ბოლომდე მაცალა სიტყვის დამთავრება და, ცოტა მოკლედ არ შეიძლებაო?

რა თქმა უნდა, 2 აპრილი აუტიზმს ეძღვნება. აუტიზმის მქონე ბავშვთა მშობლებს ბევრი რამ სჭირდებათ, საქართველოში სერვისების სიმცირე და სიძვირეა. საღამოს ფილარმონიაში იმართება აუტიზმისადმი მიძღვნილი კონცერტი. ეს ყველაფერი მშობლების ორგანიზებულია, ძალიან მაგრები არიან!

ახლობელი მირეკავს, როგორც ფსიქოლოგი, იქნებ დამეხმარო, ჩემს შვილს ბაღში სიარული არ უნდა, პრობლემები აქვსო.

ბავშვები დაბადებიდან იკვლევენ გარემოს. ეს მუდმივი ურთიერთქმედების საფუძველზე მიღწეული ადაპტაციის პროცესია, ძალიან რთული პროცესი! გარემოში ყველაფერი იგულისხმება, დაწყებული ოთახში მდგარი ავეჯით, დამთავრებული მშობლების ნათქვამი სიტყვებითა და მოპყრობით. ზოგჯერ ბავშვები, როცა ჯიუტობენ და ცელქობენ, სინამდვილეში ვითარდებიან. ამიტომ არ უნდა გავბრაზდეთ, მაგრამ მათთან მოპყრობის უკეთეს ხერხებს მუდმივად უნდა ვსწავლობდეთ. პირველ ყოვლისა, ჩვენ, დიდებმა უნდა ვისწავლოთ, როგორ მოვექცეთ შვილებს. უმეტესობას ჰგონია, რადგან მშობელია, მშობლის როლთან ერთად მზა ცოდნა აქვს ბავშვის აღზრდის საკითხებში. ზოგს ისიც ჰგონია, მშობლობა აუცილებლად იმას ნიშნავს, რომ სიმართლე მუდამ უფროსის მხარეს იყოს. ზოგ მასწავლებელსაც ასე ჰგონია. მოკლედ, წამყვანი პოზიციის დათმობა, ჩემი დაკვირვებით, მშობლებსაც და მასწავლებლებსაც ძალიან ეძნელებათ. იქნებ ამიტომაც, ჩვენს ქვეყანაში იშვიათად ნახავთ ბაღის ან დაწყებითი კლასების მასწავლებელს, რომელიც, სპორტულად ჩაცმული, ბავშვებთან ერთად იატაკზე ზის და მათთან თამაშობს.

პარასკევი

აბაზანაში შევდივარ, შემორბის ნიტაც:

„დე, მეც დამბანე, მეც, მეც მაბანავეეეეეეეეეე!“ – „კი, გაბანავებ, როცა მოვრჩები.“

ტრენინგებზე მშობლებსა და მასწავლებლებს „ბავშვის ქცევის პოზიტიური მართვის მოდულში“ ვეუბნები ხოლმე: „წინადადება დაიწყეთ დადებითი სიტყვით. ბავშვთან მეტ შედეგს მიაღწევთ, თუ დაეთანხმებით წინადადების პირველ ნაწილში და მეორეში შესთავაზებთ განხორციელების გზას.“ ნიტას შემთხვევაში ამ რეკომენდაციამ აშკარად გაამართლა. ამიერიდან ტრენინგებზე უფრო დამაჯერებლად გამოვიყენებ ამ რეკომენდაციას, როგორც შედეგზე ორიენტირებულს. ფსიქოლოგ-ტრენერის როლს მიჯაჭვული ვარ. მოდულების

თბილისში გაიმართა საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის თავდაცვის მინისტრების – მინდია ჯანელიძის, ზაქირ ჰასანოვისა და ისმეთ ილმაზის შეხვედრა.

მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული 42 სამხედროს ნეშტები.

სპორტულმა ფედერაციებმა გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც შეშფოთება გამოთქვეს სპორტის სამინისტროსა და პარლამენტის პროფილური კომიტეტის ბოლოდროინდელი დაპირისპირების გამო და მათგან ფედერაციათა პოზიციების გათვალისწინება მოითხოვეს.

პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ყოფილი და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრები ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი დაადანაშაულა იმაში, რომ მათ უარი ათქმევინეს ქვეყანას თავდაცვის ერთ-ერთი ფუნდამენტური საშუალების შეძენაზე და განაცხადა, რომ 2014 წლის 28 ოქტომბერს, თავდაცვის მინისტრობის პერიოდში, მის მიერ საფრანგეთში ხელმოწერილ მემორანდუმს ექვს თვეში უნდა მოჰყოლოდა თავდაცვით შეიარაღებაზე შეთანხმების გაფორმება, რაც არ მომხდარა.

თავდაცვის სამინისტრომ უარყო გავრცელებული ცნობა შეიარაღებული ძალების IV მექანიზებულ ბრიგადაში სამხედროების მასობრივი ინტოქსიკაციის შესახებ.

ირაკლი ღარიბაშვილი მარნეულში შეხვდა კომპანია RMG-ის თანამშრომლებს, რომლებსაც უთხრა, რომ მთავრობა არ დაუშვებს საწარმოს მუშაობისთვის ხელის შეშლას და 3 000 ადამიანის უმუშევრად დარჩენას.

დამუშავება, თეორიისა და პრაქტიკის შეჯამება, აუდიტორიისთვის ინფორმაციის გაზიარება და გაზიარების მეთოდების მუდმივი ძიება... ტრენერობა 2007 წლიდან დავიწყე. რეგიონებში, სოფელ-სოფელ დავდიოდი და მასწავლებლებს ვუზიარებდი ინფორმაციას, როგორ ასწავლონ ისე, რომ არ ავნონ; ისე, რომ ტრავმა არ მიაყენონ; ისე, რომ შედეგს მიაღწიონ. ბავშვზე ორიენტირებული სწავლება ჯერ კიდევ არ არის სრულად მიღწეული. ამიტომ ინკლუზიური განათლების პრობლემა ზოგადი პრობლემის ნაწილია. თუმცა არიან გამორჩეული, ნოვატორი და კრეატიული მასწავლებლები, ოღონდ ცოტანი არიან, და თუ არ მომრავლდნენ, სკოლა მუდამ ფსიქოტრავმების წყარო იქნება.

საღამოს მე და ეკა ილიას უნივერსიტეტში, „ლიგამუსში“ მივდივართ. დისკუსიაა აუტიზმის შესახებ. ბევრი ხალხია, ძალიან ბევრი ნაცნობი. ნინცოს და ნატას ვხედავ გამომსვლელებში. თავის დროზე ამ ადამიანებისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ჟანას სიტყვა მომეწონა ყველაზე მეტად, აუტიზმზე კი არა, ბავშვზე უნდა ვილაპარაკოთო. ცენტრში უნდა იდგეს მსჯელობა ბავშვზე, რომელიც ამ საზოგადოების წევრია. ვერ ვისწავლეთ ადამიანებზე ორიენტირება. რა გვჭირს?!

დისკუსიის შემდეგ მე და ლია ტაბატაძე ვერანდაზე ვსხდებით. სიგარეტს მოვწევ მშვიდად. რომ ზიხარ და აუჩქარებლად ეწევი სიგარეტს, ამაზე მეტი დასვენება რა გინდა! ლიასთან ლაპარაკი მიყვარს. არაჩვეულებრივი ადამიანია! ზოგჯერ მგონია, რომ მეჩვენება – როგორ შეიძლება ადამიანი ასეთი კარგი იყოს? ლია ის ადამიანია, რომელმაც 21 მარტს მთელი ქვეყნის მობილიზება შეძლო დაუნის სინდრომის შესახებ სოციალური კამპანიის ფარგლებში.

4 შაბათი

თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირმა ორი პოლიციელი დაჭრა.

ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა ბიძინა ივანიშვილის სახლთან გამართეს საპროტესტო აქცია და „ქართული ოცნებისგან“ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება მოითხოვეს.

თბილისში გაიმართა ცხოველთა დამცველების საპროტესტო აქციები, რომელთა მონაწილეებმა საკრებულოს მოსთხოვეს, უარი თქვას ცხოველთა მიმართ „არაჰუმანური მოპყრობის საფრთხის შემცველი“ ახალი წესების შემოღებაზე.

გუშინ, ნიტა რომ დავაძინე, 11 საათი ხდებოდა. მეც, სანამ ძილი მომერეოდა, მოვასწარი და მაღვიძარა ღამის 3 საათზე დავაყენე. ასე ვიქცევი ხოლმე, როდესაც სამუშაო მაქვს, ცოტა უნდა დავიძინო და მერე ავდგე, როცა გათენებამდე ჯერ კიდევ ადრეა.

ტრენინგი დამიკვეთეს, როგორც კერძო პირს. კარგია, ჩემთვის ეს დამატებითი შემოსავლის წყაროა, ოღონდ მოდულის ღამე წერის და შაბათ-კვირას მუშაობის ხარჯზე. ზოგჯერ მგონია, რომ ჩემს რესურსებს კარგად არ ვიყენებ, თორემ ფინანსურად ცოტა მეტი მექნებოდა, ან, უბრალოდ, დრო არ არის ფიზიკურად, რომ სხვა საქმეც ვაკეთო... ამას წინათ, 21 მარტისთვის ჭრელი წინდებით ფოტოების გადასაღებად რომ წავედით, იქ ცირა ვნახე და ხუმრობით ვკითხე, ფსიქოლოგ-ტრენერები ხომ არ გინდათ ღამის ცვლაში-მეთქი?

დღეს, 2 საათზე, მსვლელობაა ცხოველთა უფლებების დაცვის მოთხოვნით. ამას წინათ გავიგე, რომ ძაღლების ქუჩა-

ში ხოცვა ისევ დაიწყეს. გადავირიე, ვინ გასცა ასეთი განკარგულება? მაგრამ საზოგადოების იმ ნაწილზე უფრო გავბრაზდი, რომელსაც პროტესტის გრძნობა არ გასჩენია.

ხვალ ბზობაა, მომავალ კვირაში – აღდგომა. რაღაც უცნაური კულინარიულ-გასტრონომიული რელიგიაა ჩვენს ქვეყანაში გაბატონებული. მესმის, როგორ დადის მრევლი მოძღვართან იმ მიზნით, რომ სამარხვო კარაქზე, ტორტზე თუ რძის პროდუქტებზე აიღოს კურთხევა, ვხედავ ძვირად ღირებულ მანქანებს, კურთხევის ნიშნად ჯვრები რომ აქვთ მიკრული; ვხედავ, ხალხი ფეისბუკზე როგორ აზიარებს ხატებს და ლოცვებს... ზოგიერთმა ასეთმა ადამიანმა სოციალური ქსელიდან წამშალა იმის გამო, რომ ქსენოფობია და ჰომოფობია მიუღებელია ჩემთვის. არ მინდა, მოზვრები და ცხვრები დახოცონ ამ აღდგომას. რაღაც უცნაური ფენომენია ეს ყველაფერი. მარტო უცნაური რომ იყოს, რა უშავს, აგრესიული ფენომენია! ისე, ზოგი მღვდელი ისე ჩხუბობს ხოლმე, მრევლიც მათ ჰბაძავს, ალბათ. მარტივი სოციალური დასწავლის თეორიაა, მოიქცე ისე, როგორც იქცევა შენთვის მისაღები ავტორიტეტი. არადა, ჰუმანიზმი და სიყვარული, რაც ქრისტემ იქადაგა, იმდენად ამოუხსნელია, იქამდე ვერ მივა კაცობრიობა; თითოეულ ადამიანს მხოლოდ იქამდე მისვლის მცდელობის უნარი თუ აქვს თავისი სიცოცხლის მანძილზე.

როგორი წვიმიანი გაზაფხულია, მაგრამ იმედიანი. წვიმიანი იმედებიც არსებობს...

დათო გაბუნია

დრამატურგი, მთარგმნელი. დაიბადა 1982 წლის 12 აპრილს ფოთში. დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი ინგლისური ენის სპეციალობით. რამდენიმე პიესის ავტორი. თარგმნილი აქვს დრამატურგიული და პროზაული ტექსტები ინგლისური და შვედური ენებიდან. თეატრალური პრემია „დურუჯისა“ და ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატი დრამატურგიის ნომინაციაში. მუშაობს საქართველოს მწერალთა სახლსა და სამეფო უბნის თეატრში.

5 კვირა

საავადმყოფოში გარდაიცვალა თბილისში 4 აპრილს დაჭრილი პოლიციელი ბექა მარგიშვილი.

ტელეკომპანია GDS-ის გადაცემა „კვირის 20/30“-ში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი „ოპოზიციაშია გუნდთან“, მაგრამ ამას „ვერ ამხელს“.

გიორგი მარგველაშვილმა და ირაკლი ღარიბაშვილმა აღდგომის დღესასწაული მიულოცეს გრიგორიანული კალენდრის მიმდევარი კონფესიების წარმომადგენლებს.

დღიურების მიმართ უცნაური დამოკიდებულება მაქვს. ბავშვობაში არ ვწერდი, ზოგადად, კითხვა მერჩივნა და, ალბათ, ამიტომ. 19-20 წლის ასაკში ვწერდი სისტემატურად, ლექსებთან ერთად. მადლობა ღმერთს, რამდენიმე წლის წინ ეგ ჩანაწერები ერთად შევკრიბე და საზეიმოდ გადავყარე სანაგვე ურნაში. ოღონდ არ დამიხევია, მაინც ჩემი დაწერილი იყო.

დღეს კვირაა, ახლახან დავბრუნდი დიდი ბრიტანეთიდან. ორ პატარა ქალაქში ვიყავი: ნორიჩში (ნორფოლკი) და აბერისტვითში (უელსი) – ერთგან ბრიტანული ლიტერატურის ფესტივალზე, მეორეგან ქართული პოეზიის თარგმნის უორკშოპზე. წლის ბოლოს ბრიტანული გამომცემლობა ექვსი ქართველი თანამედროვე პოეტის ლექსებს გამოსცემს და მე ბრიტანელ პოეტებს თარგმნაში ვეხმარები. პოეზია და მაღალი ლიტერატურა იქით იყოს და, თბილისში დილის 11 საათზე ჩამოფრენილმა, ბრიტანეთის ლამაზი პროვინციების შემდეგ განსაკუთრებით მწარედ ვიგრძენი, რა სიმახინჯეში ვცხოვრობთ. რამდენიმე დღე გავიდა უკვე, მაგრამ ეს შეგრძნება არ მშორდება. მალე მაინც ამწვანდეს ჯერ კიდევ დარჩენილი ხეები, ოდნავ შენიღბავს ამ უაზრო შენობებითა და მშენებლობებით გადაჭედილ პეიზაჟს. ერთმა მეგობარმა მითხრა, სადღა დარჩა ხეებიო?! ეგეც მართალია.

დღეს ბზობაა. ისევ გაივსო ქალაქი გაჩეხილი ტოტებით.

მე-5 კლასში ნასწავლი ბოტანიკიდან მახსოვს, რომ ბზა ძალიან ნელა იზრდება. მეცოდება. აუცილებლობას ვერ ვხედავ.

კვირა დასვენების დღეა და ბევრი დრო მაქვს ჩემი საყვარელი საქმიანობისთვის: ძილი, ძილი და ძილი. საყვარელი ფილმების ყურებისას ან წიგნის კითხვისასაც ისე სიამოვნებით ვიძინებ, რომ სულ არ მაწუხებს სინდისი.

ორშაბათი

6

დილა აუზით იწყება. გამრუდებული ხერხემლის გამო დავდივარ. დიდად არ მიყვარს ცურვა და წყალი, მაგრამ სხვა რა გზაა. მეც ვამყარებ სტერეოტიპს: საქართველოს ზღვისპირეთში დაბადებულ და გაზრდილ ხალხს არ უყვარს ზღვა, არ უყვარს წყალი. ჩემს შემთხვევაში ნამდვილად ასეა. აუზზე ყოველი წასვლისას სულ იმედი მაქვს, რომ რაიმე საინტერესოს მოვკრავ ყურს და მერე სადმე, დავუშვათ, პიესაში გამოვიყენებ. შენც არ მომიკვდე! იქაური კაცების ძირითადი და ლამის ერთადერთი სალაპარაკო თემაა: რამდენი დღე სვამდნენ გაბმულად, როგორ „პახმელიაზე“ არიან და როგორ უჭირთ ან ეზარებათ ვარჯიში. არავითარი ფეხბურთი, პოლიტიკა, სექსი, მანქანები. მოსაწყენი მოსასმენია და საბოლოოდ ჩავიქნიე ხელი – ამ მასალის გამოყენებით პიესა არ დაინერება. ისევ და ისევ ხერხემლის გამო გავაგრძელებ.

აუზის შემდეგ – სამსახური, საქართველოს მწერალთა სახლი, მაჩაბლის 13. ორი წლის წინ, როცა მწერალთა სახლის დირექტორმა, ნატა ლომოურმა, გასაუბრებაზე დამიბარა, ამ სახლის სილამაზემ ისეთ დღეში ჩამაგდო, ლამის არაფერი მესმოდა, რას მეუბნებოდნენ.

დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე, ეკატერინე ფორაქიშვილი, ის იშვიათი გამონაკლისები იყვნენ, როცა ადამიანი ძალიან მდიდარია და თან უაღრესად კარგი გემოვნება აქვს. 1905 წელს აშენებულმა სახლმა ხანგრძლივი და მძიმე ისტორია გამოიარა. დღეს უკვე საჯარო დაწესებულებაა, რომელიც ღიაა ყველასათვის და არ ეკუთვნის ერთ რომელიმე ჯგუფს თუ გაერთიანებას. იმედია, მალე მოვახერხებთ მეორე სართულზე დავით სარაჯიშვილის მუზეუმის გახსნას – ეს დიდებული კაცი ნამდვილად იმსახურებს ამას. გაიხსნება საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი მწერლების მუზეუმიც. ჩვენთან ხშირად მოჰყავთ სკოლის მოსწავლეები, ვუყვებით ამ სახლის ისტორიას, 1937 წლის ამბებს და მათი გაოცებული თვალები აშკარად იმაზე მეტყველებს, რომ უმეტესობას წარმოდგენა არა აქვს, რა ხდებოდა მაშინ, ვინ იყო, დავუშვათ, სტალინი. გამოსასწორებელი საქმეა.

მწერალთა სახლში დიდი დღეები გველოდება: 18-23 მაისისთვის თბილისის პირველ საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალს ვამზადებთ და არის დიდი გაწამაწია. ვპატიჟებთ მწერლებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, უკრაინიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ბელო-

პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭომ საქართველოს ხელისუფლებას მიმართა მოწოდებით, მიიღოს ზომები, რათა შეწყდეს ექსტრემისტთა მხარდასაჭერად ახალგაზრდების გამგზავრება პანკისიდან სირიაში.

თბილისს ეწვია რუმინეთის თავდაცვის მინისტრი მირჩა დუშა, რომელიც შეხვდა თავის ქართველ კოლეგას მინდია ჯანელიძეს, ირაკლი ღარიბაშვილსა და გიორგი მარგველაშვილს.

ირაკლი ღარიბაშვილმა პირადად მიუსამძიმრა მოკლული პოლიციელის, ბექა მარგიშვილის ოჯახს და საავადმყოფოში მოინახულა დაჭრილი პოლიციელი ვალერიან გრძელიშვილი.

საპროტესტო აქციების მიუხედავად, თბილისის საკრებულომ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა „შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის წესი“.

რუსიიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, ავსტრიიდან, პოლონეთიდან, ლიტვიდან... უამრავი საქმეა, თავჩახრილები ვმუშაობთ. რუტინული და მძიმე სამუშაოა, მაგრამ მკითხველების ინტერესი უკვე იმდენად დიდია, რომ არ გვეზარება.

7 სამშაბათი

შსს-მ სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებათა პროექტიდან ამოიღო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოხატვის თავისუფლების ხელყოფის საფრთხედ შეფასებული ფორმულირება, რომლის თანახმად გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სასჯელი შუღლის გაღვივებისკენ მიმართული მოწოდებებისთვის.

გიორგი მარგველაშვილმა პირადად მიუსამძიმრა თბილისში მოკლული პოლიციელის, ბექა მარგიშვილის ოჯახს.

ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებას მიმართა ინიციატივით, პოლიციელის სოციალური დაცვის გარანტია გაუთანაბრდეს სამხედრო მოსამსახურისას და განისაზღვროს 100 ათასი ლარით.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა განაცხადა, რომ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესის შესახებ საზოგადოება არასწორად იყო ინფორმირებული და წერილობით განმარტა ახალი წესის ყველა პუნქტი.

წიგნების ციებ-ცხელება დამეწყო. სააღდგომოდ ფოთში მივდივარ, ჩემს ოჯახთან, სადაც ორი გოგო მელოდება – ჩემი ძმის და დის შვილები, ანი და ნატა. დიდი ხანია მიეჩვივნენ, რომ ჩემგან საჩუქრად ძირითადად წიგნებს იღებენ, უკიდურეს შემთხვევაში – საკანცელარიო ნივთებს. ჰოდა, მეც ვაგროვებ ამ წიგნებს და ფოთში ყოველ წასვლაზე წავზიდავ ხოლმე. თან ერთი უბედურება მჭირს: ყველა ამ წიგნს ჯერ მე თვითონ ვკითხულობ და მხოლოდ შემდეგ მიმაქვს ბავშვებთან. აბა, როგორ! რაიმე რომ მკითხონ, პასუხის გაცემა ხომ უნდა შემეძლოს? ზოგ წიგნს წინასწარ ვყიდულობ, ვიცი, რომ მათთვის ჯერ ადრეა, მაგრამ მაინც. მიწყვია წლობით თაროზე და, როცა შესაბამის ასაკს მიაღწევენ, მერე ვაჩუქებ. ასე ვიყიდე მარჯან სატრაპის „პერსეპოლისი“ – შესანიშნავი წიგნი, ჩემი გოგოებისთვის ადრეა, მაგრამ ორ-სამ წელიწადს მოვიცდი, არა უშავს.

სამაგიეროდ ფოთში თამამად წავიღებ მალალა იუსაფზაის წიგნს „მე ვარ მალალა“. იმედია, მოეწონებათ ყველაზე ახალგაზრდა ნობელიანტის ცხოვრება. კიდევ ჰარპერ ლის „ნუ მოკლავ ჯაფარას“ მივამატე სიას, უკვე დროა, დავსერიოზულდეთ. საერთოდ, სულ არ ვუშლი, ყველაფერი იკითხონ, რაც მოსწონთ ან მოდაშია. ასე გადააბულბულა უფროსმა „ბინდის საგა“, ადრე ძალიან მთხოვა, მიყიდეო (რა დღე დამადგებოდა მაგის წამკითხავს, არ არის რთული წარმოსადგენი!). რამდენიმე თვის თავზე კი გულწრფელად გამომიტყდა, აუ, გოგო კი ვარ, მაგრამ არ მინდა ეს „სიყვარულები“, ახლა რამე სათავგადასავლო ჩამომიტანეო. ერთი სიტყვით, წაიკითხა და თვითონვე მოინელა. „შიმშილის თამაშებზე“ გადაერთო. მთავარი გმირი, მებრძოლი გოგო მოსწონს, ჯენიფერ ლორენსის ორი უზარმაზარი პლაკატიც აქვს გაკრული საძინებელში. მერე „ჰარი პოტერს“ მიადგა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფილმი ზეპირად იცის. ეტყობა, ჩემმა შეგონებამ გაჭრა, გაუთავებლად რომ ვუმტკიცებდი, წიგნები მაინც სულ სხვაა-მეთქი. დამეჯერება, 11 წლის წინ მე თვითონ ვთარგმნე მეორე და მესამე ნაწილები. ახლა დიდ შარში ვარ – შემდეგი ტომების ჩატანას დავპირდი, არადა, ტირაჟი თურმე ამოწურულა და, სანამ ახალი დაიბეჭდება, ვერაფერს ვიზამ. უნდა მოვიარო თბილისის ყველა მაღაზია, იქნებ სადმე ჰქონდეთ შემორჩენილი.

მოკლედ, იკითხონ, თუნდაც საეჭვო ღირებულების წიგნები, ჭრელი, სხვადასხვანაირი. კითხვაში განაფული ტვი-

ნი დროსთან ერთად თავად გამოხშირავს სისულელეებს და კარგს დატოვებს. რომ მახსენდება, რამდენი ნაგავი მაქვს ბავშვობაში წაკითხული, მეცინება. მაგრამ ეგეც ბუნებრივი პროცესის ნაწილია. მთავარია, ბავშვებმა წიგნები იკითხონ!

ძილის წინ კიდევ ერთი დიდი სიამოვნება შემოვუნახე თავს: ჩემი საყვარელი ამერიკული სერიალის, „Mad Men"-ის ბოლო სეზონის პირველი სერია ვნახე. სერიალების მიმართ აგდებული დამოკიდებულება სწორედ „Mad Men"-მა გამიქარწყლა ორი წლის წინ, როცა ჩემთვის უძვირფასესმა ადამიანმა ლამის იძულებით მაჩვენა ერთი სერია. მას მერე ველარ მოვწყდი. 1950-60-იანი წლების ამერიკა, ნიუ-იორკი, გადასარევი მსახიობები, გასაშტერებლად მაგარი დიალოგები და პერსონაჟები. ერთი სიტყვით, ისეთი გადატრიალება აღმოჩნდა ჩემთვის, რომ სერიალის სცენარისტობა მომანდომა. იმედია, ამ ოცნებას ოდესმე ავისრულებ. დღევანდელ სერიაში კი გამოყენებული იყო პეგი ლის სიმღერა „Is That All There Is?" მოკლედ, მეთიუ უაინერმა კარგად იცის, როგორ უნდა მოიგოს ჩემი გული.

ოთხშაბათი

სამეფო უბნის თეატრში ვარ, ეს ჩემი კიდევ ერთი სამსახური და სიყვარულია. ოფიციალურად ლიტერატურული ნაწილის გამგე მქვია. სასაცილო ტიტულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელი „ლიტერატურული ნაწილი" მხოლოდ მე ვარ. ე.ი. საკუთარი თავის გამგე გამოვდივარ. მწერალთა სახლის არ იყოს, აქაც დიდი ამბებია. შარშან ჩვენთან გაიხსნა თემურ ჩხეიძის სახელოსნო, სადაც ექვსი ახალგაზრდა რეჟისორი და სამი დრამატურგი სწავლობს. თეორიიდან უკვე პრაქტიკაზე გადადიან – დრამატურგებმა დაწერეს მოკლე პიესები, რომელთა მიხედვითაც რეჟისორები ერთ მთლიან სპექტაკლს დადგამენ. არ ვიცი, სპექტაკლი როგორი გამოვა (ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია), მაგრამ ამ დრამატურგების სახელების დამახსოვრებას თამამად ვურჩევ თეატრის მოყვარულებს: მაკა კუკულავა, დათა ფირცხალავა, ალექს ჩიღვინაძე. სახელოსნოს მუშაობის მიმართ ძალიან მიკერძოებული ვარ, პირველ ყოვლისა, დრამატურგები მაინტერესებს და მიხარია, რომ ჩემი მოლოდინი უკვე გაამართლეს. პიესები ერთდროულად აქტუალური, სახალისო, სასტიკი და ორიგინალურია. ერთი სული მაქვს, როდის ვაჩვენებთ მაყურებელს. რატომღაც მჯერა, რომ თემურ ჩხეიძის ხელმძღვანელობით ეს ავტორები ძალიან მალე აალაპარაკებენ თეატრის კრიტიკოსებსა და მაყურებელს.

პარალელურად ჟან ჟენეს „მოახლეების" რეპეტიციები მიმდინარეობს. ნიკა თავაძე დგამს. როლებში: ნინო კასრაძე, ნატო მურვანიძე და ბაია დვალიშვილი. თანაც ეს შედევრი პიესა ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ირმა ტაველიძემ, შესანიშნავად თარგმნა ფრანგულიდან! ერთი სიტყვით, დიდ მოლოდინში ვარ.

8

სამოქალაქო კამპანია „ეს შენ გეხება"-ს თაოსანმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს პარლამენტის მიერ 2014 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა თანახმადაც ფარული მოსმენის „გასაღები" შსს-ს დარჩა.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მთავრობას მზად აქვს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, პოლიციელთა სოციალური დაცვის გარანტიები გაუთანაბრდება სამხედრო პირებისთვის დანესებულ გარანტიებს და „ფარისევლობა" უწოდა ნაციონალური მოძრაობის მიერ 7 აპრილს წამოყენებულ ინიციატივას.

ხვალ „ტროელ ქალებს“ ორმოცდამეათედ ვითამაშებთ. ეს სპექტაკლი ჩემთვის გამორჩეულია. 2013 წელს დადგა დათა თავაძემ. ტექსტებს ყველგან ვაგროვებდით, ვიწერდით ინტერვიუებს ომგამოვლილ ქალებთან, ვიგონებდით ჩვენი ბავშვობიდან, ვთარგმნიდით ევრიპიდეს „ტროელი ქალებიდან“ და ა.შ. ყველაფერი სცენაზევე, რეპეტიციებისას, ჩვენი შესანიშნავი გოგოების, მსახიობების მონაწილეობით კეთდებოდა და უნდა ვაღიარო, სულაც არ ვიყავით დარწმუნებულები, რომ ასეთი წარმატებული სპექტაკლი გამოვიდოდა. პრემიერა შვედეთში ვითამაშეთ და გაოგნებულები ვუყურებდით ატირებულ შვედ მაყურებელს. დამატებითი სპექტაკლიც კი დაგვანიშნინეს. მსახიობები დაიღალნენ, მაგრამ, აბა, უარს როგორ ვეტყოდით?!

მაისის ბოლოდან მოყოლებული, გასტროლებზე მივდივართ ჯერ გერმანიაში, ორგან (ციტაუ, კარლსრუე), შემდეგ კი – რუმინეთში (სიბიუ). აქაც უამრავი საქმეა, არ არის ადვილი ამ ყველაფრის ორგანიზება, მოლაპარაკებები მიმწვევ ფესტივალებთან, უამრავი ტექნიკური დეტალის განხილვა, მაგრამ მე და დათა ვუძლებთ. უკვე გვესიზმრება პასპორტების ასლები, ვიზები და თვითმფრინავის ბილეთები.

9 ხუთშაბათი

დილიდან წიგნის მაღაზიებში დავწანწალებ. ვერა და ვერ ვიშოვე „ჰარი პოტერის“ მესამე და მეოთხე წიგნები. რა გაეწყობა, ბოდიშს მოვუხდი გოგოებს.

საღამოს „ტროელი ქალებია“. ისევ ყველა ბილეთი გაიყიდა. რეჟისორისა და ჩემს დამსახურებას ვერც შევადარებ იმას, რასაც ჩვენი შესანიშნავი მსახიობები აკეთებენ და ამ საღამოს უკვე ორმოცდამეათედ დაატრიალებენ სცენაზე: ქეთა შათირიშვილი, მაგდა ლებანიძე, კატო კალატოზიშვილი, ნატუკა კახიძე და სალომე მაისაშვილი. მე, ალბათ, ვერასოდეს გავხდებოდი მსახიობი. გადაუჭარბებლად ვიტყვი, ურთულესი პროფესიაა! ისევ დავჯდები დარბაზში და ვუყურებ სპექტაკლს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ჯერზე თავიდან განვიცდი. ყველა იმ ქალის სახე მახსენდება, რომელთა ისტორიებიც სპექტაკლში გამოვიყენეთ. ბანალური „მადლობა“ ამ ქალებისთვის საკმარისი არ იქნება. შარშან, ბრიუსელში გასტროლის დროს, სპექტაკლის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალი, საოცრად აღელვებული იყო, გადაკოცნა მსახიობები და მერე გვითხრა, რომ ერთ-ერთი ისტორიის გმირი თვითონაა. თურმე მისი დისგან ამიღია ინტერვიუ თბილისში, თავად კი ახლა ბელგიაში ცხოვრობს. მართლა მქონდა შეგრძნება, რომ რეალობიდან გავედით და მხატვრულ გამონაგონში ამოვყავით თავი.

ნაშუადღევს თეატრში მივედი. სალაროს ფანჯარაში კეიტი მიტჩელის „რეჟისორის ხელობაა“ გამოდებული. ეს წიგნი ერთი თვის წინ გამოვეცით. იმედია, ბევრი ახალგაზრდა რეჟი-

პროკურატურამ ერთი პოლიციელის მოკვლისა და მეორის მოკვლის მცდელობის ბრალი წაუყენა ძებნილ შალვა აბულაძეს (დაუსწრებლად) და განაცხადა, რომ მანამდე ამ უკანასკნელს ასევე დაუსწრებლად ჰქონდა მისჯილი პატიმრობა 2015 წლის 23 იანვარს ბორჯომში პოლიციის ერთი თანამშრომლის მოკვლისა და მეორის მოკვლის მცდელობისთვის.

საქართველოში პატივი მიაგეს 1989 წლის 9 აპრილს, დამოუკიდებლობის მოთხოვნით თბილისში გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპული 21 ადამიანის ხსოვნას.

ბიძინა ივანიშვილმა თავის ბიზნესცენტრში მიიღო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის წევრები.

სორი წაიკითხავს და გამოიყენებს.

ზოგადად, როცა ახალგაცნობილები ჩემს პროფესიას იგებენ, ხშირად მესმის ასეთი ფრაზა: „აუ, როგორ არ მიყვარს თეატრი!“ ასეა, თეატრი ისეთ ტაკიმასხარაობად გადაიქცა საქართველოში, სულ არ მიკვირს მსგავსი დამოკიდებულება. ჰოდა, ზედმეტ და უსაგნო წუწუნს აჯობებს, თეატრში მომუშავე ყველა ადამიანმა ასეთი შეფასება საკუთარ თავს დააბრალოს და უკეთესი შედეგის მისაღწევად იმუშაოს. ჩვენ ვცდილობთ.

პარასკევი

10

ბედის ირონიაა, რომ ჩემისთანა უკიდურესად არარელიგიურ ადამიანს უწევს ამ დღეებში „თავისუფლების დღიურების“ წერა. ფარისევლობას ვერ დავიწყებ: ჩემში არავითარ სანტიმენტებს არ აღძრავს რელიგიური დღესასწაულები. სულ ბაბუაჩემი მახსენდება, გადასარევი კაცი, შალიკო გაბუნია. 1945 წლიდან მოყოლებული, დალაქად მუშაობდა ფოთის რკინიგზის სადგურზე. 80-ს გადაცილებული, ჯიუტად, ველოსიპედით დადიოდა სამსახურში ყოველდღე და, სანამ იმდენად არ დაუძლურდა, რომ ველოსიპედს ვეღარ იმორჩილებდა, სამსახურს თავი არ დაანება. მაგარი კაცი იყო, ცოტას ლაპარაკობდა, ეწეოდა გაზეთში გახვეულ თუთუნს და ჩვენ, ბიჭ შვილიშვილებს, ჭკუას გვასწავლიდა, რომ მოწევა ცუდია. ჰოდა, შალიკოსგან გამომყვა ცივი დამოკიდებულება რელიგიისადმი. არ სწამდა და მოკალი! მე გარეგნობითაც დავემსგავსე შალიკოს, აგერ უკვე ულვაშსაც ვატარებ. რა კარგია, რომ ჩემს შეუჭრელ თმას ვერ ხედავს, ერთადერთი, რაზედაც გამუდმებით მეჩხუბებოდა, ეს საკითხი იყო: როგორც კი დამინახავდა ორ სანტიმეტრზე მოზრდილ თმას, ნაწყენი ხმით მეუბნებოდა: „რას გავხარ, ბაბუ, მოი, გაგპარსო!“

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს პოლიციელების მკვლელობასა და მოკვლის მცდელობაში ბრალდებული შალვა აბულაძე.

რომის პაპმა ფრანცისკემ ვატიკანში მიიღო საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი.

და კიდევ – ბაბუაჩემის დანატოვარი სტალინის პორტრეტი (ტილო, ზეთი), რომელიც სადალაქოში გამოსაჩენ ადგილას ეკიდა, ახლაც უნდა გვქონდეს სადღაც სახლში, მისი გარდაცვალების შემდეგ იმტვერება ალბათ სადმე. ჰო, ბაბუამ წარმატებით ჩაანაცვლა რელიგია სტალინიზმით. ამაში ვერ დავემსგავსე...

შაბათი

11

მატარებლის ბილეთი უკვე ვიყიდე, ფოთში მივდივარ სააღდგომოდ. გუშინ ბედის ირონია ვახსენე და, ხვალ რაც მოხდება, ეგ უკვე ირონიასაც სცილდება: 12 აპრილს ჩემი დაბადების დღეა, 33 წლის ვხდები. კომენტარი ზედმეტია.

ხუთსაათიანი გზა მელოდება ფოთისკენ. რაიმე კარგი წიგნი უნდა ჩავიგდო ჩანთაში, ოღონდ ამჯერად ჩემთვის – საბავშვოები სულ წაკითხული მაქვს. არჩევანი ელის მანროზე შევაჩერე. კიდევ კარგი, ამ შესანიშნავმა მწერალმა ნობელის პრემია მიიღო, თორემ წაუკითხავი დამრჩებოდა. შარშან მისი

მოსკოვის ერთ-ერთ სასტუმროში გარდაცვლილი იპოვეს მსახიობი კოტე თოლორდავა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საოკუპაციო ძალების გადაწყვეტილება აღდგომის დღესასწაულის გამო 11 და 12 აპრილს, „საზღვრის“ დაკეტვის შესახებ უხეშად არღვევს თავისუფალი გადაადგილების ფუნდამენტურ უფლებას.

ორი წიგნი წავიკითხე და თავს ვერ ვპატიობდი, აქამდე რატომ არ ვიცოდი-მეთქი. სულ მოთხრობებს წერს, მაგრამ ახლა მისი რომანი – „გოგონებისა და ქალების ცხოვრება“ – უნდა წავიკითხო. მატარებლით მგზავრობას ეს დიდი ხიბლი აქვს: თბილისი-ფოთი, ფოთი-თბილისი. ორ გზაზე თავისუფლად ვასწრებ რომანის წაკითხვას.

ჩავალ ფოთში, კაის ვჭამ, კაის ვსვამ, მომივლიან, დამასვენებენ, ვისეირნებ ბავშვებთან ერთად, მომიყვებიან წაკითხულ წიგნებზე, ვიმეცადინებთ ინგლისურში. აი, თურმე მეც მყვარებია დღესასწაულები, როგორც დასვენების საშუალება.

რამდენიმე დღეში ისევ თბილისში დავბრუნდები. მწერალთა სახლი და სამეფო უბნის თეატრი – საქმეები მელოდება.

გიგა კობალაძე

იურისტი. დაიბადა 1978 წლის 15 იანვარს ხაშურში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ეწეოდა კერძო საადვოკატო საქმიანობას. 2011 წლიდან არის საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე.

ეპიზოდი

12

თბილისში, გლდანის დასახლების საცხოვრებელ კორპუსში, გაზის გაჟონვით გამოწვეული აფეთქების შედეგად დაიღუპა ერთი ადამიანი.

საქართველოში აღინიშა აღდგომის დღესასწაული.

კვირა

დღიური არასდროს დამიწერია. მიზეზი არ ვიცი. ალბათ ვფიქრობდი, რომ საკუთარ საიდუმლოს გავთქვამდი, ჩემს პირადულ ცხოვრებას გამოვამზეურებდი. ახლაც ასე ვფიქრობ, მაგრამ დავთანხმდი, ვცადო და ჩემი ერთი კვირა აღვწერო. იქნებ საინტერესოც იყოს!

დღეს აღდგომაა! არ მიყვარს დღესასწაულები. მიზეზი ვიცი: რიტუალი – ზოგადი, უშინაარსო მოქმედება, რომელსაც მოწესრიგებული ფორმა აქვს და თავისუფლებას გიზღუდავს. და კიდევ, მგონია, რომ ამ დროს ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს და გაჩერებულია. აქტიურ ცხოვრებას ვარ მიჩვეული. უმოქმედობა მაღიზიანებს. დამოუკიდებელი ცხოვრება ადრეული ასაკიდან დავიწყე. სულ სამსახურში ვიყავი ჩაფლული და, მგონი, ზედმეტი მომივიდა. დღემდე ასეა, სამსახურს ყველაზე მეტ დროს ვუთმობ.

გვიან გავიღვიძე. უკვე რამდენიმე წელია, მარტო ვცხოვრობ. მივეჩვიე. დღეს შვილები უნდა ვნახო, გუშინ შევპირდი. ხშირად ვერ ვნახულობ, კვირაში ორჯერ თუ ვახერხებ. განვიცდი.

მეგობარმა დამირეკა, ერთ-ერთ კაფეში იკრიბებიან. მივედი. ბევრნი მოვგროვდით. ვისაუბრეთ, ვიხუმრეთ, ცოტა ვიკამათეთ კიდეც. რამდენიმე საათი სასიამოვნოდ გავატარე, მაგრამ ბოლომდე ვერ დავრჩი, შვილები მელოდებოდნენ.

ნუცა 12 წლისაა, ელენე – 11-ის. უკვე დიდები არიან. და-

მოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ. თავისუფლები არიან, როგორც მათი თაობის უმრავლესობა. მიხარია. სახლში ჩემი ყოფილი ცოლიც დამხვდა. სადღაც მიდიოდა, მაგრამ შეყოვნდა, ცოტა ხანს ჩვენთან ერთად იყო, შემდეგ წავიდა. რამდენიმე საათს ვიყავი. ელენეს ახალი, ჩემთვის უცნობი სიმღერა აუწყვია. დაუკრა. შევაქე. ნუცაც ჩაერთო, ვისაუბრეთ, ცოტა ვიცელქეთ კიდეც. წესის მიხედვით შეღებილი წითელი კვერცხებიც გავტეხეთ სიმბოლურად. არდადეგები აქვთ და გაზარმაცება შევატყვე. მსუბუქად ვუსაყვედურე, მაგრამ მესმის: ყველაფერი ხომ გაჩერებულია!

სასიამოვნოდ დამუხტული დავბრუნდი სახლში. მონატრება დავიკმაყოფილე. სინდისიც ნაკლებად მქენჯნის. დედაჩემმა დამირეკა, საფლავზე წასვლის საათზე შევთანხმდით. ხვალ რიტუალის დღეა. ვემორჩილები.

ქრისტე აღსდგა!

13 ორშაბათი

პანკისის ხეობიდან სირიაში წასული 18 წლის რამზან ბაღაკაშვილისა და 16 წლის მუსლიმ კუშტანაშვილის ოჯახის წევრებმა დაადასტურეს, რომ ორივე ახალგაზრდა ექსტრემისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთ საწვრთნელ ბაზაზე იმყოფება.

ხელისუფლებისა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წარმომადგენლებმა მუხათგვერდისა და ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოებზე პატივი მიაგეს დაღუპული სამხედროების ხსოვნას.

შეთანხმებულ დროს მივდივარ მამაჩემისა და ბებია-ბაბუის საფლავებზე. არც საფლავზე მისვლა მიყვარს, განსაკუთრებით საყოველთაო მსვლელობის დროს. მგონია, რომ საფლავზე მიუსვლელადაც შესაძლებელია უხილავი კონტაქტის დამყარება.

მეხსიერება საუკეთესო საშუალებაა. და კიდევ, არანაკლები მიზეზია „საცობი“, რომელიც ამ დროს განსაკუთრებულ ფორმას იძენს. თითქოს ყველა პირობაა შექმნილი, რომ დაუბრკოლებლად გადავაადგილდეთ, მაგრამ მაინც არ გამოდის. არასწორად ვმოძრაობთ, სხვაზე ადრე გვინდა მისვლა; არასწორად ვჩერდებით, ყველაზე ახლოს გვინდა ვიყოთ; არასწორად მოვდივართ უკან, გვეჩქარება, სხვაც ბევრი საქმე გვაქვს; ერთმანეთს არ ვუთმობთ, ღირსების საკითხია! ეტყობა, ჩვენი ხასიათია. ვერ გამოვსწორდებით?!

დედაჩემი და ჩემი და უკვე მისულან. დავაგვიანე. სანთლები უკვე დაუნთიათ. ისევ წესის მიხედვით შეღებილი წითელი კვერცხები, პასქა და ღვინო, ტრადიციულად. ცოტა ხნით ვჩერდებით. ვსაუბრობთ, ვიხსენებთ და ისევ ჩვენ-ჩვენი გზით ვბრუნდებით უკან.

ირგვლივ ყველაფერი ისევ გაჩერებულია. ქუჩებიც ცარიელი და უსიცოცხლოა. სახლისკენ წავედი. უცბად მამიდაჩემთან მომინდა მისვლა. სახლში უნდა იყოს. მოვტრიალდი. ბავშვობიდან მიყვარს მასთან ყოფნა. ხშირად მივდიოდი. ბოლო დროს ვეღარ ვახერხებ და მსაყვედურობს ხოლმე. ვენატრები. მგონია, რომ ყველაზე მეტად ესმის ჩემი. მეგობრები ვართ. ბევრ საერთოს ვპოულობთ. და კიდევ, მასთან ყოველთვის კარგი განწყობილებაა. ბევრნი ცხოვრობენ დიდ სახლში. ბიძაჩემი (მამას შემდეგ ჩემი საუკეთესო უფროსი მეგობარი), მამიდაშვილები, მამიდაშვილის ქმარი და შვილები. ახერხებენ მხიარულად ყოფნას. იუმორით და სიყვარულით. ბებია და ბა-

ბუაც აქ იყვნენ. ბებიამ ორიოდე წლის წინ გადაწყვიტა წასვლა, ბაბუამ – ოდნავ მოგვიანებით. მაიმედებდა მათი ყოფნა. მათ გარეშე დაირღვა მთლიანობა. მამიდაჩემი სახლში დამხვდა. გამიმასპინძლდა. მზრუნველია. სხვანაირი გემო აქვს მის მორთმეულს. დიდი ხანია, არ ვყოფილვარ. მოვიკითხეთ ერთმანეთი. ბევრი სიტყვა არ დაგვჭირვებია. კიდევ ერთი მონატრება დავიკმაყოფილე. წამოვედი.

გზად დედაჩემმა დამირეკა. ნუცა და ელენე თავისთან მიუყვანია და მთხოვა, მოგვიანებით უკან, სახლში წამეყვანა. დავთანხმდი. მეგობარმა მომწერა, გნახავდიო. სახლში მოვიწვიე, თან ვუთხარი, რამდენიმე საათი მაქვს დრო-მეთქი. უხეშად მომივიდა. ეწყინა. აღარ აპირებდა მოსვლას. ცოტა ხანს ვიყავით ერთად. შვილები მყავს სახლში წასაყვანი.

გადავწყვიტე, დედაჩემთანაც შემევლო. იშვიათად მივდივარ. როცა ნუცა და ელენე მასთან არიან და ვაკითხავ, ქვემოდან ვურეკავ და ჩამოდიან ხოლმე. დღეს ავედი. მიზეზიც მაქვს. ჩემი და მეორედ თხოვდება. ემზადება. სტუმრების სიას ადგენს. ანაწილებს, ვინ სად დაჯდება. რესტორანი, მენიუ და სხვა წვრილმანები უკვე გარკვეული აქვს. ორგანიზებული ადამიანია. როგორც უფროს ძმას, დეტალებს მითანხმებს. ჩემს აზრსაც ითვალისწინებს. მომავალი ქმარიც გამაცნო. არ მინდა ჩავერიო. მინდა თავისუფალი გადაწყვეტილებები მიიღოს.

შვილებს ვტოვებ და სახლში ვბრუნდები. ხვალ სამუშაო დღეა. გეგმებს ვაწყობ. გაჩერებული ვიყავი. ბევრი საქმე დაგროვდა. დღევანდელი დღით კმაყოფილი ვარ. ყურადღებიანი ვიყავი. დღესასწაული გამომადგა. ყველგან და ყველაფერში შეიძლება კარგის პოვნა!

სამშაბათი

ხუთდღიანი მოსაწყენი შესვენების შემდეგ ენერგიულად მივდივარ სამსახურში. ბევრი საქმის მოსწრება მინდა. გეგმები დაწყობილი მაქვს. თავში მიტრიალებს. ბლოკნოტი არ მაქვს, ვერ მივეჩვიე. ტელეფონში ჩაწერაც ვცადე, არ გამოვიდა. რიტუალს ვამსგავსებ, მოწესრიგებული ფორმა აქვს და გზღუდავს. მთავრის ჩანიშვნა რომ გამოგრჩეს, შეიძლება აღარც გაგახსენდეს. არადა, მთავარი არასდროს გავიწყდება. მეხსიერება საუკეთესო საშუალებაა. მთავარი კი პასუხისმგებლობაა!

ჩაუნიშნავი საქმეების კეთება დავიწყე. თითქმის ყველა თანამშრომელს ცალ-ცალკე დაველაპარაკე. კიდევ ერთხელ განვიხილეთ უახლოესი გეგმები. დავრწმუნდი, რომ ფორმაში იყვნენ. ყოველთვის მიყვარდა ჩემი პროფესია. შეგნებულად ავირჩიე. 11 წელი აქტიური ადვოკატი ვიყავი. საავტორო უფლებებში რამდენიმე წლის წინ მოვხვდი. ამ საქმესაც დიდი სიყვარულით ვაკეთებ. მგონი, წარმატებულადაც. რთული სფეროა. თავიდანვე დიდი შემართებით დავიწყეთ. კარგი

14

საქართველოს ესტუმრნენ დანიის, პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრები – მარტინ ლიდეგორდი, გჟეგოჟ სხეტინა და მარგოტ ვალსტრიომი, რომლებიც თბილისში შეხვდნენ ხელისუფლების, ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს.

მთავარმა პროკურატურამ დაადასტურა, რომ ინტერპოლმა შეწყვიტა იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის ძებნა.

ორი პოლიციელის მკვლელობაში ბრალდებული შალვა აბულაძის ადვოკატმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ მისი კლიენტი უარყოფს მკვლელობის ფაქტებს და თავს დამნაშავედ ცნობს მხოლოდ იარაღის უკანონოდ შეძენა-ტარებაში.

გიორგი მარგველაშვილმა შეიწყალა 78 მსჯავრდებული, რომელთაგან 57-ს სასჯელი მთლი-

ანად მოეხსნა, ხოლო 21-ს შეუმსუბუქდა.
საქართველოში აღინიშნა დედაენის დღე.

გუნდი ვართ. ერთად კარგად გამოგვდის. გვიყვარს ჩვენი საქმე. მთავარი მოტივაცია ხომ სიყვარულია!

ერთ-ერთ რადიოში ჩამწერეს. ბოლო წლებში საავტორო უფლებები აქტუალურია, მასმედიის მხრიდან ყურადღება ექცევა. ცნობიერებაზე დადებითი ზემოქმედება უნდა მოხდეს, სხვაგვარად ამ სფეროში პრობლემების გადაჭრა გაგვიჭირდება. სხვისი საკუთრების პატივისცემა შინაგანი კულტურის ნაწილი უნდა გახდეს. საავტორო უფლებების დარღვევა სირცხვილად უნდა იქცეს, სხვა გზა არ არსებობს. მიზანი ძნელია, მაგრამ მიღწევა შეიძლება!

სამსახურში დავბრუნდი. დღეს ყველაფერს, ალბათ, ვეღარ მოვასწრებ. რაღაცების ხვალისთვის გადადება მომიწევს. აპრილის ბოლო განსაკუთრებით დატვირთული გამოდგა. 26 აპრილი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღეა. წელს ეს დღე საავტორო უფლებებს ეძღვნება. „საქპატენტთან“ ერთად აღვნიშნავთ. დიდი სამზადისი გვაქვს. ჰიმნის შექმნაზე კონკურსი გამოვაცხადეთ, სოციალური ვიდეორგოლის გადაღება გვინდა, ავტორებისთვის სამუშაო შეხვედრის გამართვას ვაპირებთ, კონცერტიც უნდა გავმართოთ და საზეიმო მიღება მოვაწყოთ, მოკლედ, საქმე ძალიან ბევრია!

ამ ყველაფერს 28-29 აპრილი მოსდევს. საავტორო უფლებების ევროპის კომიტეტი თბილისში იკრიბება. ევროპის ყველა ქვეყნიდან ჩამოდიან. 50 ქვეყანაა, თუ არ ვცდები, ევროპაში. მნიშვნელობითა და მასშტაბით ეს ყველაზე დიდი შეკრებაა ამ სფეროში, რაც კი ოდესმე ჩვენთან ყოფილა. რამდენიმე წელი ვცდილობდით საერთაშორისო პარტნიორების დარწმუნებას, რომ ეს შეკრება თბილისში ჩატარებულიყო. პირობა წამოგვიყენეს, შედეგები გააუმჯობესეთო. შევპირდით. შევძელით. პირობა არც მათ დაურღვევიათ. აპრილის მიწურული აირჩიეს. ბევრი რამ უნდა მოვასწროთ. შთამბეჭდავად უნდა ჩავატაროთ. განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა.

სამსახურიდან რვა საათისთვის წამოვედი. დიდი ხნის უნახავი მეგობარი ვნახე. კაფეში ვივახშმეთ, შემდეგ ჩემთან ავედით. ცოტა მოვწრუპეთ. ბევრი ვისაუბრეთ. გვიანობამდე დარჩა. უერთმანეთოდ გატარებული დრო ერთ საღამოში გავატარეთ.

15 ოთხშაბათი

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას შს მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ განაცხადა, რომ დასრულებულია მოკვლევა პანკისის ხეობიდან სკოლის ორი მოსწავლის სირიაში გამგზავრების საკითხზე და შედეგებს საზოგადოება უახლოეს მომავალში შეიტყობს.
ახალქალაქის მაჟორიტარმა დეპუტატმა სამველ პეტროსიანმა საქართველოს პარლამენტს

სამსახური

დავთანხმდი. ჩავწერეთ.

სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელი ვერ გავხდი. ელექტრონული დღიურია, თითქოს გაშიშვლებს. ჩემს მოსაზრებებს არ ვაზიარებ. არაგულწრფელი მგონია. პოზიორობა არ მიყვარს. არც ფოტოს ვინახავ ბევრს, რამდენიმე მაქვს. სოციალურ ქსელს კომუნიკაციისთვის და ინფორმაციის მისაღებად ვიყენებ, თუ რაიმე საინტერესოს გადავაწყდი, საკუთარ კედელზე ვინახავ ხოლმე. კიდევ, დაბადების დღეები აღარ მავიწყდება!

სამ საათზე „არტარეაში“ მივედი. 28 აპრილისთვის ვიდეორგოლი უნდა მოვამზადოთ – ქართული ხელოვნების გამორჩეულობასა და მისი დაცვის მნიშვნელობას ეხება. ცოტა რთული ამოცანაა. გადმოცემის მარტივ ხერხს ვეძებთ. სათქმელი გულწრფელი უნდა იყოს, გულწრფელობა ხომ დამაჯერებელია! რამდენიმე ადამიანის ჩაწერა გადავწყვიტეთ. რა კადრები გამოვიყენოთ, მოვიფიქრეთ. სცენარის მონახაზი გავაკეთეთ. დრო ცოტა გვაქვს, უნდა მოვასწროთ!

ისევ სამსახურში ვარ. დღის ბოლოა. დღეს თითქმის ყველაფერი მოვასწარი, გუშინ გადადებული საქმეებიც კი. კმაყოფილი ვარ. სოციალურ ქსელში მეგობარმა მომწერა, მომენატრეო. შევხვდით. კაფეში გვინდოდა წასვლა, მაგრამ ჩემთან გადავწყვიტეთ, სახლში. ჩინური საჭმელი და საკე ვიყიდეთ. ვახშამი გემრიელი გამოვიდა. თბილი საკეც მოუხდა. თითქოს გუშინდელი საღამოს გაგრძელებაა სხვა პერსონაჟით. მალე წავიდა.

ხუთშაბათი

დილა ისევ ფიროსმანით და გუდიაშვილით დაიწყო. სხვა არხმა გააშუქა. ჩამწერეს. რომელიღაც სააგენტოსა და გაზეთსაც მივეცი ტელეფონით ინტერვიუ. ჩვენს სფეროში მასმედიის მხარდაჭერა სასიცოცხლოდ აუცილებელია! ის ხომ ერთდროულად მრავალ ადამიანამდე ინფორმაციის მიტანის საუკეთესო საშუალებაა. დიზაინერის ქცევა დიდწილად სწორედ ინფორმაციის არქონამ გამოიწვია.

ისევ ბევრი საქმე მაქვს. მსიამოვნებს. კიდევ ერთხელ ვამოწმებ თანამშრომლებს. მუდამ საქმის კურსში მინდა ვიყო. არ მინდა რამე გამომრჩეს. ყველა დეტალი მაინტერესებს. დეტალები მნიშვნელოვანია, მთლიანობის უკეთ შეგრძნებაში მეხმარება.

მივდივარ კულტურის სამინისტროში. რაღაც საკითხზე გადაწყვეტილება აქვთ მისაღები. საავტორო უფლებებს ეხება. ჩვენი აზრიც აინტერესებთ. საკითხი განვიხილეთ. საჭიროზე დიდხანს ვიმსჯელეთ. საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მივიღეთ. ბევრი დრო დავკარგე, რამდენიმე საათი. დროის დაკარგვა არ მიყვარს. დრო ყველაზე მნიშვნელოვანია, ცოტა გვაქვს. გადაწყვეტილებები სწრაფად უნდა მიიღო. შეიძლება შეცდომებიც მოგივიდეს, მაგრამ უნდა ისწავლო, გამოცდი-

ᲡᲞᲠᲘᲜᲢᲘ

16

მოუწოდა, გენოციდად აღიაროს ოსმალეთის იმპერიაში სომხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რასაც მოჰყვა მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის აზერ სულეიმანოვის უკმაყოფილო განცხადებები.

ეკონომიკის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ დასრულდა რუსეთთან ავიამიმოსვლის საკითხებზე 2014 წლის ბოლოს დაწყებული ტექნიკური კონსულტაცია, რომლის შედეგადაც მხარეებმა მოილაპარაკეს არეალის გაფართოებისა და ფრენის სიხშირის საკითხებზე.

კომპანია „ენერგოპრო ჯორჯიამ“ ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მიმართა ტარიფის კორექტირების განაცხადით.

გიორგი მარგველაშვილი რიგაში შეხვდა ლატვიის პრეზიდენტს ანდრის ბერზინშს, პრემიერ-მინისტრს ლაიმდოტა სტრაუიუმასა და პარლამენტის სპიკერს ინარა მურნიეცეს.

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ უფლება იცოდნენ, რომელმა ქვეყანამ მისცა ლტოლვილის სტატუსი სამშობლოში რამდენიმე საქმეზე ბრალდებულ იუსტიციის ყოფილ მინისტრს ზურაბ ადეიშვილს.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ ყირიმი რუსეთის ნაწილია და აღარასოდეს დაუბრუნდება უკრაინას, რომლის ხელისუფლებამ ყირიმის საკითხში „თავად დაუშვა პრინციპული შეცდომები“.

ლება შეიძინო და მომავალში უკეთ ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღო.

უკვე 6 საათი იყო, სამსახურში რომ დავბრუნდი. ისევ ვერ ვასწრებ რაღაცებს. ხვალის იმედად უნდა ვიყო. ინტერნეტში ელექტროველოსიპედების ვებგვერდს გადავაწყდი. ველოსიპედით სიარული მიყვარს. რამდენიმე წელია, დიდი ხნის მეგობართან ერთად დავდივარ თბილისის ზღვაზე. საკმაოდ კარგი ვარჯიშია და თან სასიამოვნო. ზღვას წრეს ურტყამ, მუსიკას უსმენ და თავისუფლებას გრძნობ. თითქოს დროსა და სივრცეში იკარგები. დიდი ხანია, აღარ ვყოფილვართ. მეგობარს ვებგვერდის მისამართი მივწერე და გავეხუმრე, ამით მაინც ვიაროთ-მეთქი. მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ განვაახლებთ „დიდ სპორტს“, როგორც კი დათბება.

გვიანობამდე ვიმუშავე. არ მიყვარს საქმის გადადება.

17 პარასკევი

ხულოს მუნიციპალიტეტში ჰესის მშენებლობისას მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა ორი ადამიანი, რომელთაგან ერთი თურქეთის მოქალაქე იყო.

უფლებადამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიაგაერთიანებებმა პარლამენტს მოუწოდეს, არ მიიღოს მთავრობის ინიციატივით სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილება ძალადობრივი ქმედებისკენ მოწოდების კრიმინალიზაციის შესახებ, რადგან, თავდაპირველი ფორმულირების შეცვლის მიუხედავად, დოკუმენტი შეიცავს სერიოზულ საფრთხეებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მხრივ.

პარასკევი

პარასკევი შეხვედრით დაიწყო. ახალი რადიოს გახსნას აპირებენ და საავტორო უფლებების საკითხი აინტერესებთ. ნებართვა სჭირდებათ. წინასწარ ზრუნავენ. მიხარია. ადრე ასე არ ხდებოდა. საავტორო უფლებები უკვე მნიშვნელოვანია, თანდათან შინაგანი კულტურის ნაწილი ხდება. ესე იგი ამ სფეროსაც აქვს მომავალი. ეს მომავალი აუცილებლად დადგება!

3 საათზე საკონკურსო კომისია იკრიბება. 26 აპრილის ჰიმნი უნდა შეირჩეს. შვიდი განაცხადი შემოვიდა. შეკრება „საქპატენტის“ ოფისშია. კომისიის ერთ-ერთი წევრი მეც ვარ, მუსიკაში დილეტანტი. შევიკრიბეთ. შვიდივე სიმღერა მოვისმინეთ. ჩემი მოკრძალებული აზრიც გამოვთქვი. ბევრი მსჯელობის შემდეგ გამარჯვებულიც გამოვავლინეთ, საკონკურსოდ წარმოდგენილებიდან საუკეთესო. მართალია, ბოლომდე არ მოგვწონს. რაღაცები შესაცვლელია ტექსტში. ვურეკავთ. ვულოცავთ. ხვალ ვთხოვთ შეხვედრას. დრო ცოტაა. უნდა მოვასწროთ!

სამსახურში ვბრუნდები. დღეს მთელი სამსახური უნდა შევიკრიბოთ. პარასკეობით, როგორც წესი, 7 საათზე ვიკრიბებით ხოლმე. მთელი კვირის შედეგებს განვიხილავთ. პრობლემებს ვაანალიზებთ, მომავალ კვირას ვგეგმავთ. ეს შეკრებები ერთიანობას უწყობს ხელს. ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა უფრო იოლია, ერთმანეთის პრობლემებს უკეთ ვხედავთ, ურთიერთდახმარების სურვილი გვიჩნდება. ვერთიანდებით. ძალა ხომ ერთობაშია!

შეკრება დამთავრდა. პრობლემა ბევრია. გადაწყვეტის სურვილი – დიდი. მშვიდად ვარ. ყველას იმედი მაქვს. მოტივაცია სიყვარულია. სიყვარული ხომ აუცილებლად იმარჯვებს!

ბევრი საქმის მიუხედავად, შაბათ-კვირას ვისვენებთ, იშვიათი გამონაკლისების გარდა. მინდა სამსახურისთვის განკუთვნილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ. საკმარისია.

დასვენება აუცილებელია. არ უნდა გადაიღალო. ხარისხი მნიშვნელოვანია. თუ აკეთებ, ხარისხიანად უნდა გააკეთო, ნაკლები შეცდომით, რწმენით და სიყვარულით!

პარასკეობით ყველაზე მეტად ვერთობი ხოლმე. მეგობრებთან ერთად კლუბებში დავდივარ, ხანდახან დილამდეც კი. მიყვარს პარასკევი. განტვირთვას ვახერხებ. საქმეებზე არ ვფიქრობ. ამ დღეს თავისუფლება განსაკუთრებით იგრძნობა. ყველგან უჩვეულოდ ბევრი ხალხია. ყველა ცდილობს, მძიმე სამუშაო კვირის შემდეგ დასვენების ფორმა მოძებნოს. უკვე ესეც ერთგვარ ჩვეულებად ჩამოყალიბდა. ჩვენც თანდათან ვსწავლობთ სამსახურისა და დასვენების გამიჯვნას, ერთმანეთთან შეთავსებას. ამ პარასკევს არ გამიმართლა. „თავისუფლების დღიურები“ უნდა დავწერო. გართობაზე უარს ვამბობ. სახლში ვარ. წერას ვაგრძელებ. იქნებ ეს არის ნამდვილი დასვენება და ის გამოგონილია? პასუხი არ მაქვს. თავისუფლება მსიამოვნებს, დღიურის ფორმით გამოხატულიც კი. თავისუფლების პოვნა ყველა სიტუაციაში შესაძლებელია!

შაბათი

ეს შაბათი დასვენების დღე არ გამოვიდა. 12 საათზე სამუშაო შეხვედრა გვაქვს ხელოვანებთან „საქპატენტის“ ოფისში. გვინდა, რაც შეიძლება მეტი ხალხი მოვიდეს. მოდიან. კითხვა ბევრია. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმით მიმდინარეობს. ინტერესდებიან. ვუხსნით. მომწონს. მთავარი მოქმედი პირები არიან. მათი განწყობა მნიშვნელოვანია. უპასუხოდ არ უნდა დარჩნენ. მათთვის ვცდილობთ. იმსახურებენ. მინდა, კმაყოფილები იყვნენ, უკეთესობა იგრძნონ.

შეხვედრა 3 საათამდე გრძელდება. 3 საათზე ჰიმნის კონკურსში გამარჯვებულს ვხვდებით. კიდევ ერთხელ ვულოცავთ და ჩვენს მოსაზრებებს ვაცნობთ. გვეთანხმება. კარგი ჰიმნი უნდა გამოვიდეს. ამაყები ვართ. შევძელით. თუმცა, ირაკლი რომ ყოფილიყო, ალბათ, ამოცანა გაცილებით ადვილი იქნებოდა. ირაკლი ხომ უალტერნატივოა. სურვილი მაინც გადამწყვეტია, სიყვარულს იწვევს. სიყვარული მთავარი ძალაა, ყველაფერს შეგაძლებინებს!

დღეს განსაკუთრებული დღეა. ჩემი და წვეულებას მართავს, მომავალი ქმრის მშობლები და ნათესავები უნდა გაგვაცნოს. ვემზადებით. ემოციურად განსხვავებული მდგომარეობაა. ვიკრიბებით. ქართული სუფრა იშლება. იშვიათია კარგი ქართული სუფრა. სუფრის წევრები ძირითადად მომავალი კეთილგანწყობის იმედად არიან ხოლმე. რეალობა სხვაა. დიდხანს იშვიათად ვჩერდები. მოსაწყენია, გულწრფელობა აკლია. ავანსად გაიცემა აქტივები. შეიძლება, არც დაგიბრუნდეს. ქართული ხასიათია. გავცემთ. ერთი შეხედვით, არ ვფიქრობთ გაცემულის დაბრუნებაზე, მაგრამ სინამდვილეში ყველაზე მეტად ეს გვინდა! ამით ვცოცხლობთ, ეს გვამოძრავებს!

უკრაინის ქალაქ მარიუპოლთან დაიღუპა ამ ქვეყნის სამთავრობო ძალების მხარდასაჭერად მებრძოლი საქართველოს მოქალაქე გიორგი ჯანელიძე.

ჰესის მშენებლობაზე დასაქმებული ორი ადამიანის დაღუპვის მეორე დღეს ხულოში გაიმართა ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეებმა მშენებელ კომპანიას, „აჭარისწყალი ჯორჯიას“ უსაფრთხოების ზომების გამკაცრება მოსთხოვეს.

ნაციონალური მოძრაობის თაოსნობით საქართველოს რამდენიმე ქალაქში გაიმართა პოლიციისადმი სოლიდარობის აქციები.

წამოვედი. შაბათის საღამოც დღიურის წერას დავუთმე. ვამთავრებ. ალბათ, პირველად და უკანასკნელად წავედი ასეთ რისკზე. განტვირთვა მინდოდა. პასუხისმგებლობის შეგრძნება არ მეშვება. პირველად ვცადე. შაბათ-კვირა გადავიხადე. ყველაზე დიდი ფასი, რაც შემეძლო. ბედნიერი ვარ. უჩვეულოდ საინტერესოა. ღირდა. უფასო ხომ არაფერია! ყველაზე სასიამოვნო მაინც თავისუფლების განცდაა!

ლაურა კუტუბიძე

ჟურნალისტიკის დოქტორი, მედიის ექსპერტი. დაიბადა 1953 წლის 29 ივნისს. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი ჟურნალისტიკის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, საქართველოს რადიოს ახალგაზრდული და საინფორმაციო პროგრამების რედაქციებში, „ქართულ ტელეფილმში“, „ახალ ქართულ გაზეთში“, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, კომპანიებში - „nikkolo m“-ი, „პრაიმ-ტაიმი“, „ემ-ენ კონტაქტი“, „სარკე კვლევა“. კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2009 წლიდან ხელმძღვანელობს ჟურნალისტიკის მიმართულებას იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ასწავლის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კვირა

კვირა მაბნევს. იმდენ რამეს ვგეგმავ და უმეტესწილად ვერაფერს ვასრულებ... კვირაზე ვამყარებ წინა დღეებში გასაკეთებლის გაკეთების იმედს. ვერ მოვიშორე ეს მავნე ჩვევა. თუმცა ცხოვრების დაგეგმვა არასოდეს მყვარებია.

აღდგომის თანმხლები რიტუალი – საფლავებზე გასვლა – ამ კვირისთვის გადმოიდო. ორშაბათს მხოლოდ ჯიქიას ქუჩის თავში მდებარე სასაფლაომდე მივაღწიეთ მე და ჩემმა მეუღლემ. საბურთალოს სასაფლაოსკენ მიმავალი მანქანების მწკრივი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან იწყებოდა, მუხათგვერდში მიმავალი – „გუდვილიდან“; მოვბრუნდით და საფლავზე გადასაგორებელი აღდგომის კვერცხი მაცივარში დავაბინავეთ. დღეს კი გადარბენით მოვიარეთ რვა საფლავი, ყველგან ჩამოვცრემლე და, ქაშუეთში კოტე თოლორდავას დაკრძალვაზე მისულს, ცრემლი აღარ შემრჩა. სამწუხაროდ, პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ განო, მისი მეუღლე, ჩვენი ოჯახის უახლოესი ადამიანების შვილია და ჩემი შვილების თანატოლი. ამ ლეგენდარული სიყვარულით შექმნილი ოჯახის, ნიჭიერი, ლამაზი და ქარიზმატული წყვილის ამბავი და კოტეს გარდაცვალება ლამის კვირის მთავარ თემად აქცია ქართულმა მედიამ...

ძალიან ვცდილობ, დღიურის პირველი დღე არ დავამძიმო იმ განცდით, რამაც ამ დღეებში თითქოს ჰაერიც დაამძიმა ჩემ გარშემო და ყველაფერი უკანა პლანზე გადასწია. დაკრძალ-

თბილისსა და საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში გაიმართა სირიელი ბავშვებისადმი სოლიდარობის აქციები, რომელთა მონაწილეებმა დაგმეს „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორი სირიასა და ერაყში.

ბათუმში მიმდინარე საერთაშორისო ფორუმის - „რელიგია და მშვიდობის“ მონაწილეებმა მიილეს ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც აღნიშნეს, რომ ისლამი და ქრისტიანობა მშვიდობის რელიგიებია და მოითხოვეს მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების პატივისცემა და უფლებების დაცვა.

ტელეკომპანია GDS-ის ეთერით გამოსვლისას ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ გიორგი მარგველაშვილის განცხადებები და ქმედებები ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს ემთხვევა და ამავე პარტიის „სიცრუის მანქანას“ ემსახურებიან რომან გოცირიძე, ალექსანდრე ელისაშვილი, ეკა გიგაური და კახა კოჟორიძე.

ვიდან უახლოეს მეგობრებთან ერთად დავბრუნდით სახლში და წავიხემსეთ. ახლა ვერ ვიხსენებ, კოტეს შესანდობარი თუ ვთქვით. ასეთ დროს გგონია, რომ ამაზე უარესი რა უნდა მოხდეს, მაგრამ ცხოვრება მუდმივად გვაფხიზლებს და სულ მახსენდება ბესიკ ხარანაულის სტრიქონი: „მადლობელი ვარ მე იმ ლურსმნის, ფეხსაცმელში რომ მქონდა ამოჩრილი და მოსვენებას არ მაძლევდა...“

ჩემი მეოთხე, ნაბოლარა ქალიშვილი, მარიამ-მარო, სამზარეულოში შემოდის მკლავზე სველტილოშემოხვეული; ცოტა ხანში თავის ოთახში გამიხმობს და, ვითომც არაფერი, ისე მეუბნება: „ახლა რომ ამას რენტგენი დასჭირდეს?“ ვფეთქდები: „რას მკლავ, ადამიანო, რად უნდა რენტგენი კედელზე უბრალოდ მირტყმულ ხელს?“ – ქოქოლას ვაყრი და რაღას არ ვეუბნები, გამწარებული! მერე სადაზღვევო კომპანიაში ვრეკავ და ჩემს მეუღლეს და ჩვენს მეგობარ რომეოს მორიგე პროვაიდერ კლინიკაში მიჰყავთ. უკან თაბაშირში ჩასმული მკლავით მოჰყავთ. თურმე მარო ჩვენს ოჯახში გაფეტიშებულ არსებას, კატა ჯენოვეტას ავარჯიშებდა; ძალიან ასაკოვანია, თუმცა ძველებურად ლამაზი. დაზანტდა, მძიმე ოპერაციაც გადაიტანა და ვეტექიმმა გვირჩია, აიძულეთ, ბევრი იმოძრაოსო. ჯენოვეტამ ალბათ არა, მაგრამ მარომ კი ბევრი ირბინა, ფეხი აუცურდა, ახალნაოპერაციევი ცხვირი რომ გადაერჩინა, იდაყვით დაეხეთქა იატაკს და ძვალი აეტკიჩა. მე როგორღაც მშვიდად შევხვდი ამ ამბავს, აი, ჩემმა მეგობარმა მარინამ კი ძალიან ინერვიულა და იტირა კიდეც.

თუმცა ამ მძიმე კვირადღეს მაინც კეთილი ბოლო ჰქონდა: საღამოს ჩემმა რძალმა, ძმისშვილის ცოლმა, ლამაზმა და მშვიდმა, პატარა ტონი მოგვიყვანა სტუმრად – თან გონიერი, თან საოცრად მოუსვენარი არსება. მანამდე ჩემმა მეორე ქალიშვილმა, ნინომ, არაჩვეულებრივი ბრაუნი გამოგვიცხო; ჩემი უფროსი ქალიშვილი, ლიზაც გვესტუმრა ქმართან ერთად. ვერ მოვითმენ, რომ არ ვთქვა: ოთხი ქალიშვილის შემდეგ სიძე ჩემი მეხუთე შვილია, თანაც ღირსეული ადამიანი. რაც მთავარია, ამ საღამოს შინ იყო მარგოც, რიგითი ნომრით მესამე ქალიშვილი, რომელსაც მეგობრებში ყოფნას არაფერი ურჩევნია, თან სულ საქმეებშია გართული და სულ თავს გვანატრებს.

კვირადღის პოსტსკრიპტუმად, ალბათ, ის გამოდგება, რომ კვირისთვის მოტოვებული ერთი გეგმა მაინც შევასრულე: შუაღამისას, უფრო სწორად, გათენებისას, როგორც იქნა, გადავგზავნე თეზისები ამერიკანისტიკის მორიგი საერთაშორისო კონფერენციისთვის. მეტი რა გზა მქონდა? – ბოლო ვადა იწურებოდა...

20 ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციებმა უარყვეს გავრცელებული ცნობა, თითქოს

ლა გვაკრთობს და გვაშფოთებს ცუდი ენერგეტიკით, ლოცვის სიტყვები მომენტალურად მშველის დღის დაძაბულობასთან გასამკლავებელი ენერგიის მოსაკრებად. ტრანსპორტში კი სულ „თავისუფლების დღიურებს“ ვწერ. შესაძლოა, ეს თავდასაცავი რეაქციაა, რომ გონების გამოთავისუფლებულ კუნჭულში მძიმე საფიქრალმა არ დაიბუდოს, მაგალითად, სირიის საშინელებებმა თუ ათასმა სხვა საკაცობრიო ან პერსონალურმა დარდმა.

დღეს ამან ვერ მიშველა. მეტროს ვაგონში კუთხის სკამზე მოვკალათდი თუ არა, რატომღაც მამა დამიდგა თვალწინ; შეიძლება იმიტომ, რომ „თავისუფლების დღიურს“ ვწერ და, თუ რამეა ჩემში თავისუფალი, მამისგან მომდგამს. იქნებ ვაჟაფშაველაც ამიტომ უყვარდა განსაკუთრებული სიყვარულით. სულ პატარას, გვერდით მიმისვამდა და ვაჟას პუბლიცისტურ წერილებსაც კი მიკითხავდა. თითქმის არ მესიზმრებიან, მაგრამ დედ-მამის ხმა ისე ცოცხლად ჩამესმის, უფრო ხშირად, ერთმანეთს როგორ ეძახიან: „მარგალიტა! პოლიო!“ მოკლედ, დელისიდან ვაგზლამდე, მეტროს ოთხი სადგურის გავლაში, ლამის ნახევარ ჩემს ცხოვრებას გადავურბინე. არადა, როგორ არ მიყვარს უკან მიხედვა! და კორტასარის „მდევარიც“ თავისთავად ამოტივტივდა...

ამ ეტაპზე ჩემი ცხოვრება იყოფა: უმაღლესებად, სემესტრებად, სალექციო დღეებად, სასწავლო კურსებად, ლექციებად, სემინარებად...

დღეს გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტისა და რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დღე მაქვს. თავართქილაძის უნივერსიტეტის მოწესრიგებულობას და კომფორტულ გარემოს ადამიანური ურთიერთობის კომფორტულობაც აძლიერებს.

თავართქილაძის ჟურნალისტიკის სპეციალობის მეოთხეკურსელებს საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR-ის) კურსს ვუკითხავ. „პიარი“ ისეთ საყველპურო სიტყვად იქცა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიგონებ. თანაც ჩვენს რეალობაში ისე გადაიხლართა ერთმანეთში ჟურნალისტიკისა და პიარის პროდუქტები, ასე ადვილად ვერ გამოხსნი. თუნდაც ათი წლის წინ სტუდენტებს პიარის ანაბანას მოკრძალებით ვასწავლიდი რიდერებითა და პიარკომპანიებში მუშაობისას დაგროვილი გამოცდილებით. ახლა ნათარგმნი ახალი ამერიკული სახელმძღვანელოებიც გვაქვს, ამ სფეროში ნაშრომები ქართულ ენაზეც მომრავლდა, გამოცდილებაც მეტი დაგვიგროვდა, მაგრამ მეჩვენება, რომ სტუდენტებში ამ საგნის მიმართ ინტერესი განელდა. შესაძლოა, ეს იმიტომაც მოხდა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების არსებით მიმართულებებს თითქმის არ ეტყობა საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიულად წარმართვის კვალი. არადა, დეფიციტიც ისევე ვნებს ამგვარ კომუნიკაციას, როგორც გადაჭარბება. თანამედროვე საკომუნიკაციო სივრცეს თავისი იმპულსები აქვს

საქართველოს პირველი პირები 23-24 აპრილს მონაწილეობას მიიღებენ სომხეთში დაგეგმილ ღონისძიებებში, რომლებიც ოსმალეთის იმპერიაში სომეხთა „გენოციდის“ მეასე წლისთავს მიეძღვნება.

საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი ლუქსემბურგში შეხვდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო უწყებათა ხელმძღვანელებს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი კიევში შეხვდა თავის უკრაინელ კოლეგას ვლადიმირ გროისმანს.

მთავრობამ პარლამენტისთვის გასაგზავნად მოიწონა საკანონმდებლო ინიციატივა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ პოლიციელთა ოჯახებისთვის ყოველთვიური ათასლარიანი კომპენსაციის დანიშვნის შესახებ.

და, თუნდაც გენიალური რამე გააკეთო, არ რეაგირებს, თუ მის ენაზე არ „გადათარგმნე“. ასეთ დროს ძალიან მშველის ჩემი უელბეკი: „რუკა უფრო საინტერესოა, ვიდრე ტერიტორია“, ანუ საინფორმაციო ორეული უფრო საინტერესო და აქტუალურია, ვიდრე თავისთავადი მოცემულობა.

21 სამშაბათი

თანამდებობიდან გადადგა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით შავლიაშვილი, რომელიც ამ პოსტზე პრემიერ-მინისტრის ბრძანებით მოადგილემ, ნოდარ ჯავახიშვილმა შეცვალა.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ავლაბრის სასახლიდან ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენციაში გადასვლის საკითხი პრეზიდენტის გადასაწყვეტია, თუმცა ქვეყნის მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე ნახევარმილიარდიან სასახლეში ყოფნა ადეკვატური არ არის.

დავით უსუფაშვილი კიევში შეხვდა უკრაინის პრემიერ-მინისტრს არსენი იაცენიუკს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ერთმანეთს სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ წევრები და მხარდამჭერები.

საქართველოს მთავრობამ და აშშ-ის ბიოფარმაცევტულმა კომპანია „გილეადმა“ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის საფუძველზეც სახელმწიფომ C ჰეპატიტით დაავადებულთა უფასოდ მკურნალობა იკისრა.

დღეს მცირეოდენი ამოსუნთქვის დღეა, ლექციები 11 საათზე მეწყება. სახლიდან გამოვალ თუ არა, 10-15 წუთში ჯავახიშვილში ვარ. ჯავახიშვილის ჟურნალისტებს ამ სემესტრში მხოლოდ ერთ კურსს ვუკითხავ. ორ ჯგუფად გაყოფილი სტუდენტები მთელი სემესტრის მანძილზე ორ ინტეგრირებულ მარკეტინგულ პროექტზე მუშაობენ და დღეს შუალედურ გამოცდაზე პირველი ეტაპის შედეგები უნდა წარმოადგინონ.

წარმოადგინეს! ისეთი შრომა, მოტივირებულობა, კრეატიულობა ჩანდა ორივე პროექტში, გული დამწყდა, 15 ქულაზე (ანუ მაქსიმუმზე) მეტის დაწერა რომ არ შემეძლო.

ჯავახიშვილიდან თეატრალურში მივდივარ. აქ უკვე მეექვსე წელია, ვასწავლი ტელერადიოჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებს. არ შემიძლია არ ვთქვა, რომ წინა ორი წლის გამოშვების სტუდენტთა უმრავლესობა ისე გამოირჩეოდა ნიჭიერებით, ცოდნითა და მომზადებით, ლამის ვირწმუნე ჩვენი ჟურნალისტიკის ნათელი მომავალი. მგონი, არც ახლანდელები იქნებიან მათზე ნაკლები, ოღონდ წინასწარ ქება ცუდად მაქვს დაცდილი...

დღის ბოლოს, როგორც ყოველდღე, მაღაზიიდან მაღაზიაში დავრბივარ და ჩამოწერილი სიის მიხედვით, და სპონტანურადაც, სურსათ-სანოვაგის მარაგს ვავსებ. ეს ჩემი ფუნქციაა, ოჯახის დანარჩენ წევრებს კი განაწილებული აქვთ საჭმლის კეთების, სარეცხ ავტომატში სარეცხის ჩატვირთვა-ამოტვირთვისა თუ დალაგების ფუნქციები. თუ ცოცხალი ვარ, ხანგამოშვებით მეც გამოვდგები დამხმარე ძალად; მაგალითად, დღეს მჭადს ვაცხობ და კარტოფილსაც შევწვავ...

22 ოთხშაბათი

საქართველოს სახელმწიფო ვიზიტით ესტუმრა ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო.

გურჯაანის გამგეობასთან კვლავ მოხდა ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა „საგარეო საქმეთა მინისტრის“ თანამდებობიდან დაითხოვა დავით სანაკოევი.

დღეს ჩემთვის ამ სემესტრში ყველაზე რთული დღეა. დილის 10 საათიდან – ლექციები თავართქილაძეში, მერე იქვე შეხვედრა იმ სტუდენტებთან, რომელთა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელიც ვარ. მერე მივდივარ თეატრალურ უნივერსიტეტში, ტელერადიოჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებთან, საღამოს 5 საათიდან ისევ თავართქილაძეში ვბრუნდები, ამჯერად მაგისტრანტებთან.

დილიდან თავ-პირის მტვრევით ჩავრბივარ მეტროსადგურ „დელისში“, სადგურის მოედნის გრძელ გვირაბსაც ლამის სირბილით გავდივარ და ესკალატორსაც ვეჯიბრები სისწრაფეში; მარჯვედ ვუვლი გვერდს ჩამწკრივებულ მგზავრებს და თან საფეხურებს ვითვლი: 15-20-ის შემდეგ ერთი ამოსუნთქ-

ვა, მერე ისევ მაღლა და მაღლა... გადასასვლელ ხიდთან გადაჭედილ 37 ნომერ სამარშრუტო ტაქსის თუ მივუსწარი, ხომ კარგი, ზედ თავართქილაძეუნის კარიბჭესთან მიმიყვანს, თუ არადა, 222-ში მოხვედრა უფრო ნაღდია, ოღონდ კიდევ ერთი გაჩერების გარბენაც მომიწევს თავართქილაძემდე.

იმ დღეს მეუღლეს ვუთხარი, რომ მე და ის სხვადასხვა სოციუმს წარმოვადგენთ. მასაც დაძაბული გრაფიკი აქვს, მაგრამ მანქანით მოძრაობს და მეტროში თუ ქუჩაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოწყალების მთხოვნელსა და ნაგვის ურნაში თავჩაყოფილ უპოვარს მაინც არ ეჩეხება ასე ხშირად. რამდენს გინდა უშველო?! ვეხმარები, როგორც შემიძლია, მაგრამ ეს ერთგვარი უპირატესობის შეგრძნება და თეთრების, გინდ ლარის სანაცვლოდ მათი გულიდან ამოსული დალოცვა უფრო მანადგურებს.

ბევრი ჩემი კოლეგა ქალი მანქანით დადის და, მეც რომ ვიცოდე მანქანის მართვა, ალბათ, გაცილებით შემიმსუბუქდებოდა ეს ყოველდღიური მარათონი. მაგრამ, რასაც ცხოვრებაში ვერასოდეს ვისწავლიდი, მძღოლობა და ტორტის ცხობაა. ხუმრობით ბევრჯერ მითქვამს, რომ ტორტის გამოცხობას ბავშვის გაჩენა მირჩევნია. ხუმრობა იქით იყოს და, კიდევ კარგი, 34 წლისა გავთხოვდი და არა 20-ის, თორემ ახლა, ალბათ, ოთხი კი არა, 14 შვილი მეყოლებოდა.

დღის რიტმი რომ აღვწერო, სტუდენტებზე საუბრით ისე გავერთობი, როგორც დედა-შვილების ამბების მოყოლით. უამრავი სტუდენტი მყავს და ყოველ სემესტრში ახლები მემატებიან, მაგრამ თითოეული ისე შემოდის ჩემს ცხოვრებაში, რომ მერე აღარ გადის. რასაც გადავაწყდები ყოფაში თუ საინფორმაციო სივრცეში, თუნდაც რაღაცით საყურადღებოს, მაშინვე ვუკავშირებ რომელიმე სალექციო თემას და, სანამ სტუდენტებამდე მივაღწევდე, გონებაში უკვე მაქვს ის ლექცია ჩატარებული. ადამიანთა ერთ ნაწილს საქმე თავისთვის სჭირდება – არსებობისთვის, თვითდამკვიდრებისთვის. სხვები საქმისთვის არსებობენ და იხარჯებიან...

ეს დღე მეტროს განწყობილებით დავიწყე და ბარემ მეტროთივე დავამთავრებ. საბურთალოს ხაზის ბაქანზე საღამოობით ხან ფანდურიანი მომღერლის ხმა ეფინება გვირაბს, ხანაც – გიტარისტების. დღეს ორი გიტარისტი უკრავდა. მათ წინ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი შეჩერდა: ქმარს პატარა ჰყავდა ატატებული, დედას კი ხელჩაკიდებული მიჰყავდა ასე, სამოოთხი წლის ბიჭუნა. უცებ ბიჭუნამ დედას ხელი გამოსტაცა და მუსიკის რიტმზე ცეკვა დაიწყო. ისე თავგამოდებით ცეკვავდა, მატარებელი რომ ჩამოდგა, ვერაფრით ვერ წამოიყვანეს, ტირილი მორთო. ჩვენ ჩავსხედით, ისინი დარჩნენ და დაძრული მატარებლის ფანჯრიდან დავინახე, რომ ბიჭუნა ისევ აცეკვდა. მთელი დღის დაღლა ჩამომებერტყა. მაინც, რა კარგია ცხოვრება!

გვიან ღამით ფეისბუკი დავლაშქრე; პირველ ყოვლისა, ჩემს

წილ კედელს ვამოწმებ. სპამი თუ დამხვდა, ისე უნდა ამოვძირკვო, როგორც პატარა უფლისწული ძირკვავდა ყოველდღე ბაობაბებს, რომ არ გაზრდილიყვნენ და მისი პატარა პლანეტა ფესვებით არ დაეფლითათ. მერე ინბოქსში გადავინაცვლებ, რომ ყველაზე გადაუდებელ მესიჯებს მაინც ვუპასუხო. ნიუსფიდსაც შევავლე თვალი და რას ვხედავ: ჩემს ენამოსწრებულ, გონებამახვილ და, საერთოდაც, არაჩვეულებრივ კოლეგას და ფრენდს, ნინო კვაჭანტირაძეს უდევს პოსტი: „დღეს ჩემი მიწაუღირსებელი ლენინიკოს დაბადების დღეა! აი, ესეც ერთი უცნობი ფოტოა – მსუქანი ლენინი და აკორდეონიანი ტროცკი. ფოტო გადაღებულია ერთი საუკუნის წინ – 1915 წელს!“ ფოტოა ისეთი, სიცილით მოკვდები. ნინომ მერე მიაკომენტარა კიდეც: „ტროცკიც მშვენიერი სტილნი ბიჭია, – თეთრი შარვალი და ტუფლები, ლენინი საირმის დამსვენებელს ჰგავს“. ამ კომენტარმა ხომ უფრო გულიანად მაცინა და, დაკომენტება რომ არ დამზარებოდა, მეც მივაწერდი, მე კიდევ ოსტაპ ბენდერებს მაგონებენ-მეთქი. არა, ერთი კვაჭანტირაძისნაირი ფრენდი ყველას უნდა ჰყავდეს, რომ ფეისბუკზე ცხოვრება ღირდეს! კიდევ ერთი: ეს პოსტი რომ არა, 22 აპრილი ისე ჩაივლიდა, ლენინი გონების არც ერთი კუნჭულიდან არ ამოტივტივდებოდა.

მართლაც ბედნიერებაა თუნდაც ასეთი თავისუფლება!

23 ხუთშაბათი

ისევ „მაკონდოში“ გავიღვიძე. როცა ასე გაბმულად წვიმს, ყოველთვის მახსენდება მარკესის „ისაბელი უცქერს წვიმას მაკონდოში“. როგორ იჟღინთება წვიმით ყველაფერი, როგორი გაუსაძლისი ხდება... რუსულ ენაზე გამოცემული მარკესი, რომელშიც ეს ნოველაც იყო, ბოლომდე არც მქონდა ჩაკითხული, ჩემი მეგობრის მამიდას, არაჩვეულებრივ ქალბატონს, ზაირა კიკვიძეს ვათხოვე. ზაირა 9 აპრილს შეეწირა... აპრილის დადგომისთანავე ვცდილობ, ისე მოვიშორო თავიდან 9 აპრილის სიმძიმე, როგორც კოშმარული სიზმარი ან საშინელებათა ფილმის შთაბეჭდილება.

აი, დღეს რომ თელავს მივემგზავრებოდე, ამგვარი ფიქრები ვეღარ ამეშლებოდა, ვერ მოვიცლიდი. ხუთშაბათი-პარასკევი თელავის დღეებია. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვმუშაობ ასოცირებულ პროფესორად და ჟურნალისტიკის მიმართულებას ვხელმძღვანელობ. ეს კვირა შუალედური გამოცდებისაა. საგამოცდო ცენტრში ჯერჯერობით მხოლოდ პირველი-მესამე კურსების სტუდენტები აბარებენ. ხვალ მეოთხეკურსელებთან მაქვს ლექცია და მაინც მივდივარ, ოღონდ ერთი დღით. ეს დღე როგორღაც ამოვარდა ჩემი წელთაღრიცხვიდან; კვირადღისა არ იყოს, უამრავი გეგმით დავტვირთე და მხოლოდ ორიოდე შევასრულე, ისიც ასეთ კოკისპირულ წვიმაში.

ახლა, როცა ამ ტექსტს ვაწყობ, გომბორის მიხვეულ-მოხ-

ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო თბილისში შეხვდა გიორგი მარგველაშვილს, ირაკლი ღარიბაშვილსა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

თბილისში გაიმართა თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა საქართველოსა და აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძის ხელმძღვანელობით დაესწრო ერევანში გამართულ ღონისძიებებს, რომლებიც ოსმალეთის იმპერიაში სომეხთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მე-100 წლისთავს მიეძღვნა.

ვეულებში უნდა ვიყო და გონებით მაინც იქა ვარ. გომბორის ხსენებაზე: ორი წლის წინ ფეისბუკზე ერთი პოსტი დავწერე ჩემი სტუდენტების ჯინაზე; წუწუნებდნენ, საავტორო სვეტისთვის თემა ვერ მოვიფიქრეთო. არადა, გაჩერებიდან გაჩერებამდეც შეიძლება წააწყდე საბაბს, რომელიც სვეტისთვის განგაწყობს. ახლა რომ დამეწერა პოსტი გომბორზე, განწყობილება იგივე იქნებოდა, ოღონდ შემოდგომის ჯადოქრობას გომბორზე ახალგაღვიძებული გაზაფხულის უბიწო სიმწვანის ხიბლი ჩაენაცვლებოდა. მოკლედ, აი ის პოსტიც:

„ნამდვილად ნატვრის ხის დამსახურებაა, მე რომ გომბორის გზას ვარ გამოკიდებული. ეს ამბავი ასე იყო: 30 თუ 31 წლის წინათ ალვანს მივემართებოდით, გომბორის გზით, ჩემი თუში რძლის საუცხოო ოჯახისკენ. დედაჩემმა ნატვრის ხეს ჰკიდა თვალი და, რომ გაიგო, რა დანიშნულება ჰქონდა ფერად-ფერადი ნაჭრებით დახუნძლულ ამ საოცრებას, სასწრაფოდ გააჩერებინა მანქანა, ოთხად გახია საგანგებოდ გახამებულ-გაუთოებული საგარეო ცხვირსახოცი და ნატვრის ხეს შეაბა. არ გაამხილა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ორ ნაკუწს მაინც ჩაუთქვა ჩემი გათხოვება (30 წელს ვიყავი მიღწეული თუ გადაცილებული, ზუსტად არ მახსოვს)... გამოხდა ხანი, კახელების რძალიც გავხდი, ოთხი კახელი ქალიშვილისგან ტვინის გაწყალებაც აღარ ვიკმარე და თელავის უნივერსიტეტს მივაშურე მომავალი ჟურნალისტების გასანათლებლად. მოდი და ნატვრის ხის ძალას ნუ ირწმუნებ! გომბორის გზის რამდენიმეწლიანმა გაუქმებამ ვინ იცის, რამდენი ჩემისთანა პატარძალი დაუკარგა კახელებს. ახალ გზას, მგონი, ისევ იმ მოსახვევში, სადაც ძველი ნატვრის ხე იდგა, ისევ გაუჩნდა ახალი ნატვრის ხე: ცელოფნის ფერადპარკებშებმული, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ტოტებაჩეხილი შემომეფეთა. ვერ ამიხსნია, ვისთვის რა უნდა დაეშავებინა. შეიძლება მავნე ტრადიციებთან მებრძოლ მავან ნეობოლშევიკს არ მოუვიდა თვალში...

გომბორზე ახლა ზღაპრული და ჯადოსნური შემოდგომაა (შეხსენება – როგორც მოდელირებულ სიტუაციას შეეფერება, ეს ორი წლის წინანდელი პოსტია). თეთრიწყლების ტყეში რომ შექროლდა ტაქსი, სუნთქვა და მზის წნული შემეკრა ემოციისგან, ისეთი ფერებით იყო განათებული. უცნაური დამთხვევით სწორედ მაშინ აუწია მძღოლმა მუსიკას და „რამდენი მალოდინე, რამდენი შემოდგომა“-მ გული შემიკუმშა და მიწაზე დავეშვი გასაფრენად გამზადებული...

ამ გზას ყველაფერი უხდება: ტაშფანდურები და დიმპიტაურები, ‘ბლატნოი’ ‘Какая осень в лагерях’ და წითელი ‘ბასანოჟკებიც’! ძალიან მაშაყირეს ერთ დაბადების დღეზე შეკრებილმა მეგობრებმა, ინტერნეტში ‘ბასანოჟკები’ რომ მოვძებნე, მაგრამ მერე ვაჟამ, ჩემმა მეუღლემ, ფოქსტროტი რომ მაცეკვა, მგონი, ისიც ახსნეს, რა ძალა მადგას ამ ხნის ქალს, ყოველკვირა ხუთშაბათ-პარასკევს, აგერ უკვე მეხუთე წელია, თელავში სიარულს რომ არ ვეშვები. მიცოდებენ, მე კი

ისინი მეცოდება, ამ საოცრებას რომ ვერ ხედავენ. როგორც კი ტაქსი გომბორის გზისკენ გადაუხვევს და თავაწყვეტილი გაქროლდება, ნელ-ნელა გამოდის ჩემი არსებიდან ჰომოფობერული ჭუჭყი და მერე, აღმართებს რომ შევუყვებით, მიხვეულ-მოხვეულებში იფანტება. ვზივარ გარინდებული და გუნებაში 'თავისუფლების დღიურებს' ვწერ... თუ არადა, გავშლი ჩემს დავთრებს და სტუდენტების ნაწერებს ვასწორებ ჩემი ბროლშემღვრეული თვალებით, შიგ რომ თავკომბალები დაცურავენ.

აი ასე – არაფერი ყოფილა ეს ექვსი ათეული! გომბორგადავლილი, სკამზე არც კი ჩამოჯდები, ისე ჩაატარებ ოთხხუთ ლექციას, თელავიდან ჩამოსული, დელისის მიდამოების მაღაზიებსაც დალაშქრავ ვაკე-საბურთალოს საზღვრამდე, ფოქსტროტსაც იცეკვებ, არც დრო-ჟამს ითვლი, არც ის გგონია, რომ შენმა მატარებელმა ჩაიარა, არც გლობალური დათბობა გაშინებს და არც გლობალური ეპოქის გამოწვევები; ის კი არა, გგონია, პროტოგლობალურ მომავალსაც მოესწრები... და იქით მხარესაც ისე ბუნებრივად გადახვალ, როგორც გომბორის ერთ ლამაზ მოსახვევში!"

24 პარასკევი

პარასკევი დაიწყო დილით 7 საათზე წამოხტომით და 48 საათი ისე გავიდა, ანუ შაბათი ისე გათენდა, რომ ერთი საათიც არ მიძინია, თუ არ ჩავთვლით თელავ-თბილისის გზაზე სულ რაღაც 10-15-წუთიან ფხიზლად თვლემას. დროის ამ მონაკვეთმა იმდენი რამ დაიტია, მესიჯურად თუ ჩამოვთვლი:

თელავისთვის მსუბუქი საგზალი, ლეპტოპი და მობილური არ უნდა დამრჩეს; თუმცა იქ ჩასული აღმოვაჩენ, რომ დამრჩა ჟურნალისტების იმ პატარა ოთახის გასაღები, რომელიც ერთგვარი სახელოსნოს ფუნქციასაც ითავსებს და ნავსაყუდლისასაც, სადაც არა მხოლოდ ლექტორები ვიბრუნებთ სულს ყავით, არამედ სტუდენტებიც.

თბილისიდან დემისეზონურად გამოწყობილი მივდივარ, გომბორის უღელტეხილზე კი ნამდვილი თოვლიან-ბურუსიანი, მომაჯადოებელი ზამთარი მხვდება. ვგიჟდები თოვლზე! ტაქსიში წინ ვზივარ და ხარბად ვისრუტავ ზამთრის ბოლო გაბრწყინებას.

თელავში ჟურნალისტიკის მაინორის სტუდენტები მახარებენ საპრეზენტაციო პროექტებით, მეოთხეკურსელები. ერთ მათგანს, ელენეს, იმდენი ვიზუალური თუ ტექსტური მასალა მოუგროვებია ამერიკაში ორი ქართველი ახალგაზრდის მიერ შექმნილი, ვირტუალური და ფიზიკური სამყაროს დამაკავშირებელი სოციალური ქსელის თაობაზე... და ეს მისი პრეზენტაციის მხოლოდ ერთი ასპექტია.

დეკანატში შესვლამდე ფანჯრებისკენ გამირბის თვალი. ჩვენი მეხუთე სართულის დერეფნის ფანჯრებიდან კავკასიონის დიდებული ხედი იშლება. ახლა ბურუსშია ჩაძირული.

ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო თავის ქართველ კოლეგასთან გიორგი მარგველაშვილთან ერთად ეწვია ბათუმს, რითაც დაასრულა საქართველოში პირველი სახელმწიფო ვიზიტი.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პროკურატურას მოუწოდა, დაინყოს გამოძიება 2014 წლის 13 დეკემბერს კომპანია RMG Gold-ის მიერ საყდრის-ყაჩაღიანის პირველ სალიცენზიო უბანზე განხორციელებული აფეთქების საქმეზე, რადგან იმ დროისთვის მას მიღებული არ ჰქონია შესაბამისი ნებართვა.

თბილისში, თურქეთის საელჩოსთან, გაიმართა აქცია სახელწოდებით „გვახსოვს და მოვითხოვთ", რომლის მონაწილეებმა თურქეთისა და საქართველოს მთავრობებს მოუწოდეს, „გენოციდად" აღიარონ ოსმალეთის იმპერიაში სომეხთა მასობრივი ხოცვა-ულეტა.

ზაფხულის უთოვლო კავკასიონი იმდენად არ მიყვარს – სანამ თოვლიანია, მკაცრია და შეუვალი, და ასე მგონია, ისევე გვიცავს, როგორც კაატინგა კანუდოსს...

განცხადებების დაფაზე ახალი, მიმზიდველი პოსტერია: „ტემპუსის“ პროგრამის ფარგლებში თელავის უნივერსიტეტში კარიერული ცენტრი შექმნილა. ძალიან გამიხარდა. ძალიან მიყვარს ეს უნივერსიტეტი, ყველაფერი მახარებს, რაც სასიკეთო ხდება. არ ვაიდეალებ, ბევრი რამეა შესაცვლელი, მაგრამ გული მწყდება, მავანთა პიროვნულ დაპირისპირებას ზოგჯერ უნივერსიტეტის იმიჯი რომ ეწირება.

საგამოცდო ცენტრიდან გასასწორებელი ნამუშევრები გამოვიტანე და ტაქსი გამოვიძახე. დღეს თბილისში დროზე უნდა დავბრუნდე.

დელისთან ისევ ვასწრებ რაღაც-რაღაცების ყიდვას, სახლში შერბენას, ყავის დალევას, „გადარეფრეშებას“ და მეუღლესთან ერთად ფილარმონიაში მივდივარ მსოფლიო კინომუსიკის შედევრების მოსასმენად. ხუთი წუთის გზას 40 წუთს ვანდომებთ, მე ფილარმონიასთან ჩამოვდივარ, ვაჟა კი მანქანის გასაჩერებელ ადგილს ეძებს. თურმე ვარაზისხევამდე მოუწია წასვლა. დარბაზში შემოვიდა თუ არა, კონცერტიც დაიწყო – მართლაც არაჩვეულებრივი, აზარტული, სუნთქვისშემკვრელი! საოცარი მაესტრო გვყავს, ნიკოლოზ რაჭველი! მიქელაძის სახელობის იუბილარი ორკესტრიც ხომ საუცხოოა! „ამარკორდის“ მუსიკაზე ვაჟა თვალებს იწმენდდა, კონცერტის მერე მეგობარს ეუბნებოდა ტელეფონით, ამეტირაო... ერთსაც ვიტყვი: კინო ჩემი ცხოვრების ლაიტმოტივი და ბედია, რომელმაც არა მხოლოდ შემახვედრა ჩემს კინორეჟისორ მეუღლეს, არამედ მასთან ერთად ერთ არსებად მაქცია.

P.S.: დანარჩენი დრო ამ 48 საათიდან „თავისუფლების დღიურის“ „დაკომპაქტებას“ მოვანდომე...

შაბათი

დღეს ბრმა და ყრუ ვარ, ვეცდები ისეთი არაფერი შევამჩნიო, აღვიქვა და განვიცადო, რომ სულმა წამძლიოს დღიურში ჩასაწერად. ლიმიტს უკვე გადავაცილე და იმ ჩვენს ყბადაღებულ „გადმობრუნებულ პირამიდასავით“ წვერის წაკვეცა რომ არ დასჭირდეს, უმჯობესია, თვითონ დავასრულო. ბოლო ფრაზას ვწერ და მარინა ვაშაყმაძეს ვუგზავნი – მის წინაშე, ჩემი შვილებისა და, ბოლოს, მსმენელის წინაშე ძრწოლით და ცახცახით.

მთავარმა პროკურატურამ დაადასტურა, რომ საბერძნეთის უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს უარი ეთქვა შსს-ის ყოფილი მაღალჩინოსნის, დათა ახალაიას ექსტრადიციაზე.

ნატა გაგუა

ექიმი-ნუტრიციოლოგი. დაიბადა 1966 წლის 14 ივლისს ბათუმში. სწავლობდა მოსკოვის (რუსეთი) ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე. დაამთავრა მოსკოვის სეჩენოვის სახელობის სამედიცინო აკადემიის სამკურნალო ფაკულტეტი; რუსეთის სამედიცინო აკადემიის კლინიკური ორდინატურა სპეციალობით: „შინაგანი დაავადებები, დიეტოლოგია"; რუსეთის სამედიცინო აკადემიის კვების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული სერტიფიკაციის კურსები სპეციალობით ექიმი-თერაპევტი; ამავე აკადემიის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები დიეტოლოგიის განხრით. იყო მოსკოვის სამედიცინო ასოციაცია «МераМед»-ის ექიმი-დიეტოლოგი. მუშაობდა ექიმ-დიეტოლოგად მოსკოვის ბაკულევის სახელობის კარდიოქირურგიის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. ამჟამად მუშაობს თბილისის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში.

26

მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებისას დაღუპული გიორგი ჯანელიძე.

საქართველოში აღინიშნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღე.

კვირა

ჩანაწერი პირველი:

დილიდანვე სახლის რემონტზე ვფიქრობ და მივაკითხე კიდეც ჩემს ბინას, კელიას რომ ვეძახი ჩემთვის, ჩუმად. მენდელეევის კვალობაზე, ადამიანი სამუშაოში ისე უნდა გადაეშვასო, რომ ამბობდა, როგორც მონასტერშიო. „გადაეშვას" ისე ვამბობ, სიტყვის მასალისთვის, თორემ „წავიდეს" სჯობია, მონასტერში ხომ მიდიან. თუმცა ერთმა მონაზონმა მითხრა, მონასტერში კი არ მიდიან, მოდიანო. ჰოდა, მეც მოვედი ჩემი რემონტის სანახავად (გასაკონტროლებლად-მეთქი, ვერ ვიტყვი, დიდად არ მესმის ამ საქმეების. პროცესი არ მესმის, თორემ შედეგი კი მომწონს, თუკი მოსაწონი გამოვიდა, რაღა თქმა უნდა). თუმცა ამ ბოლო დროს ჩემი მოსაწონი რა არის ამ ამბავში, მართლა ვერ ვხვდები. ვუკირკიტებ და ვუკირკიტებ, დავღალე ხალხი, იქით არქიტექტორს გავუწყალე გული, აქეთ – სამუშაოს მწარმოებელს. არ იმჩნევენ. ალბათ, იმას თუ უწევენ ანგარიშს, რომ ქალი ვარ (არა მგონია, ჩემი დიეტოლოგობა ანაღვლებდეთ, ყოველ შემთხვევაში, ვიზუალურად ნამდვილად არ იმსახურებენ ჩემს ყურადღებას, როგორც პროფესიონალისა). პროფესიონალები არიან თავადაც და ბოლომდე უნდა გამიძლონ. ამით ვიმშვიდებ თავს და მათაც ვამშვიდებ. ზოგჯერ ვერევი კიდეც მათს საქმეებში, მეც საქმეში ვარ, მოკლედ. რას იზამ, კლიენტი მქვია, კლიენტს კი ბოლომდე უნდა უსმინო, რაც უნდა პროფანი იყოს. ოქროს კანონია!

მისმენენ, და მერე ისევ აგრძელებენ თავისას. მოკლედ, დილიდანვე მაგარ ამბავში ვარ, გაწამაწიაში, როგორც იტყვიან. არ ვიცი, პროფესია შევიცვალო თუ დროებით მივებარო ამ ჩემს მშენებლებს. არაფერია გამორიცხული ასეთი უსასრულო რემონტის გადამკიდე (ამ ბოლო დროს დავასკვენი, რომ ყველა რემონტი ერთნაირია დედამიწის ზურგზე, და დავმშვიდდი).

ჩანაწერი მეორე:

გასულ კვირას კოტე თოლორდავას დაკრძალვაში ვიყავი. უნიჭიერესი მსახიობი რომ არის და ჩემი პაციენტი, ეს ცალკე თემაა, მაგრამ, როცა ამ ადამიანს შევეხე, მასში ის სიფაქიზე და მოკრძალება დავინახე, რომელსაც განსაკუთრებით ვაფასებ. კიდევ – უბრალოება, ნიჭიერ ადამიანებს რომ ახასიათებთ, ზეციდან დასაჩუქრებულებს. ძალიან სხვა იყო კოტე, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეთი იყო, ასეთად დავინახე. სხვისთვის არ ვიცი. არ მიყვარს წარსულში მოხსენიება ახალგაზრდა გარდასულების, ამაში ვხედავ გამოსავალს. იყო კი არა, არის, თავისი ნათელი ღიმილით, უშუალობით და სითბოთი, მაყურებელს რომ ხიბლავდა და ყველა შემხვედრს, ნაცნობს თუ უცნობს. მეც, მათ შორის. არავის დანახვა არ მინდა ახლა, მინდა უბრალოდ ვიფიქრო კოტე თოლორდავაზე, როგორც ცოცხალზე. იგივე განცდა მქონდა ნიკო გომელაურის მიმართ. საერთოდაც, ერთმანეთს ვამსგავსებ ამ ორ ადამიანს, ღიმილით, თვალებით. ორივე გრძნობდა სიკვდილს, ახალგაზრდობაშივე შემოსტუმრებულ აღსასრულს. ღმერთმა გაანათლოს კოტე და ნიკო და ყველა მარად ახალგაზრდა გარდასული ამა ქვეყნიდან, ჩემი დაც, მათ შორის.

ჩანაწერი მესამე:

სხვა ტალღაზე გადამრთო მოდების ჩვენებამ, ნიჭიერმა დიზაინერმა, სალი ფანგანმა რომ დამპატიჟა. სილამაზე ესაჭიროება ყველას, ნამდვილი სილამაზის აღქმა ყველას სწყურია და ენატრება. ნამდვილი სილამაზე ხომ ენერგიაა, სიცოცხლე. დასიფრიფანებენ ეს გოგონები და გაზაფხულს გრძნობ, მოჭარბებულ სიცოცხლის განცდას და მშვენიერებას, რისი მოტანაც ახალგაზრდებს ძალუძთ მხოლოდ, ლამაზ ჯიშს, რომელიც ასე გემოვნებით იცვამს და დახვეწილად. ხელოვნებაა ნამდვილი, ხელოვნების გამოფენა, და ვხალისობ მეც. სიხარულს მანიჭებს ეს ყველაფერი და სიამაყის, ღირსების განცდასაც იმის გამო, რომ ასეთი ლამაზები ვართ ქართველები, ჯიშიერები, ნატიფები, დახვეწილები. ამას ყველაფერს ჯერ დანახვა უნდა და მერე დაფასება. ვიღაცას მინდა გავუზიარო მოვარდნილი განცდები და შთაბეჭდილება, მერე ვჩუმდები (მხოლოდ ქაღალდს თუ გავუზიარებ) და ახალგაზრდებს ვაყურადებ ისევ, ჩემებურად ვეფერები, ვუმზერ და მადლობელი ვარ სალის, რომ ამ სილამაზის ფეიერვერკს და დღესასწაულს დამასწრო და მაზიარა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ინდოეთში საქართველოს ელჩი ლევან ნიჟარაძე გაემგზავრა ნეპალში, რათა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეთა გამოყვანა 26 აპრილს მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის ზონიდან.

კიევში გაიმართა საქართველოსა და უკრაინის ჯანდაცვის მინისტრების – დავით სერგეენკოსა და ალექსანდრე კვიტაშვილის შეხვედრა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საპარლამენტო კომიტეტმა მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებისას უმოქმედობაში დაადანაშაულა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და განაცხადა, რომ კომიტეტი შესაბამის რეაგირებას ელოდება მთავრობის მეთაურისგან.

27 ორშაბათი

ჩანაწერი პირველი:

დილით სიჩუმე მიყვარს. ხშირად მაქვს ასეთი წუთები თუ წამები, დილით ჩიტები რომ დაჭიკჭიკებენ მხოლოდ. ირგვლივ სიჩუმე სუფევს. მეჩვენება, რომ სიჩუმეს შენ კი არ უსმენ და შენ კი არ მშვიდდები, ისიც გისმენს თითქოს, გეფერება, გესაუბრება, გითმენს ბევრ რამეს, გიგებს. ვერაფრით რომ ვერ მოგითმენს და, მგონი, ვერც გაგიგებს მოსაუბრე ადამიანი, რაც უნდა ახლობელი იყოს. ამიტომ მიყვარს სიჩუმე, რელაქსია, ერთი მხრივ, ჩემთვის და, მეორე მხრივ, ჩემი კეთილი თანამოსაუბრე, ფიქრის საგანი. ეს კი ძალიან გჭირდება ადამიანს, განსაკუთრებით გადატვირთული რეჟიმი როცა გაქვს, მაშინ, როგორც იტყვიან, თავის მოსაფხანად როცა არ გცალია. ჰოდა, „ცოტა ხანს დამაცადეთ“ – ჩემთვის ვფიქრობ: სიჩუმეს ვუსმენ, ჩემს უჩინარ რელაქსაციას. თანაც ყავას ვწრუპავ, რაღა თქმა უნდა. უყავოდ ჩემი დილა ვერ წარმომიდგენია!

ჩანაწერი მეორე:

„ხუთი თვეა, თქვენთან მოსვლას ველოდები“, – მეუბნება პაციენტი და, ცოტა არ იყოს, მაბნევს ეს წინადადება, მაშინებს კიდეც. პასუხისმგებლობის ხარისხია დიდი. როგორ უნდა გენდობოდეს ადამიანი, როგორ უნდა სჯეროდეს შენი, ხუთი თვე რომ გელოდოს, თანაც რა დროში, სწრაფმავალი როა ყველაფერი, ერთ დღეში ხდება ის, წინათ რომ წლები სჭირდებოდა. „ამას დანახვა უნდა და დაფასება“, – ვეუბნები ჩემს თავს. საერთოდ, პაციენტებთან ურთიერთობა საოცრად მცვლის, მზრდის კიდევაც. რამდენი ადამიანიცაა, იმდენი სამყაროა. ზოგი მხიარულია, ისეთ სასაცილო ფრაზას გეტყვის, მთელი დღე შენთვის გეცინება. ძალიან ვუმადლი ასეთებს, გუნება-განწყობილებას გიცვლიან. ზოგი ტრაგიკულია, თავისი პირადი დრამის მატარებელი, და გიზიარებს ამას. ამათაც არანაკლებ ვუმადლი. რახან მენდობიან, ესე იგი ახლობლადაც მთვლიან რაღაც თვალსაზრისით, ეს კი აუცილებელია ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაში. პაციენტს რომ დაეხმარო, უნდა გიყვარდეს, მაგრამ მასაც ხომ უნდა უყვარდე ცოტა მაინც!.. თუ არ უნდა უყვარდე, უნდა გენდობოდეს მაინც. მიყვარს ჩემი პაციენტები – უკლებლივ ყველა. მე ხომ ისინი ყოველდღიურად მავსებენ და მასწავლიან, მარტო მე კი არ ვეხმარები მათ. მადლობა უფალს პროფესიისათვის!

ჩანაწერი მესამე:

არქიტექტორთან საუბარი ერთი სიამოვნებაა ჩემთვის, დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში. სხვა ხედვა აქვთ ამ პროფესიის ადამიანებს, ხედვის სხვა მასშტაბი. მგონი, ზემოდანაც ხედავენ, გვერდიდანაც, ახლოდანაც, შორიდანაც. ექიმებიც ასე ვართ, ამიტომაც ვუგებ თემო ახმეტელს. ოღონდ

ჩვენ, ექიმებს, ადამიანებთან გვაქვს საქმე და ამით უფრო გვიადვილდება ჩვენი ხელობა. ადამიანია, ცოცხალი, მეტყველი. მათ კი ქვა უნდა გააცოცხლონ, შენობა, გააადამიანურონ და გაათბონ, ადამიანისთვის მახლობელი გახადონ. ბინის დიზაინი ჩემს ხასიათში უნდა იჯდეს და არა მხოლოდ ხასიათში – მუშაობაში, პროფესიაში. ძნელი ხელოვნებაა ნამდვილად. ჯერ მე რა მესმის საკუთარი თავის და მერე არქიტექტორმა როგორ უნდა გამიგოს? მგონი, ისე ვარ მოწადინებული, რაღაც ჩემეული გავაგებინო თემოს, საბოლოოდ ვერაფერს ვაგებინებ მაინც. მე უფრო ვუჯერებ მას, ვიდრე ის – მე. ასე ჯობია ალბათ, პროფესიონალია და შიგნიდან ხედავს, სიღრმიდან, საკუთარი გამოცდილებით ვიცი. ვნახოთ, რა გამოგვივა, როგორ დასრულდება ჩვენი თანამშრომლობა. მჯერა ყველაფერი კარგად იქნება, „ია ტაკ დუმაიუ...“

სამშაბათი

ჩანაწერი პირველი

წვიმასთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს ბავშვობიდან, აი, როგორც ადამიანთან, ცოცხლად, თვალნათლივ და ხელშესახებად, ვესაუბრები თითქოს წვიმას, ამბებს ვუყვები. არც ის მტოვებს უყურადღებოდ. ალბათ, ბათუმის ბრალია და ბათუმელობის. ბათუმში ხომ გადაუღებლად წვიმს, თითქოს სულში გაწვიმს, მოგონებებში. ამ ბოლო დღეებში თბილისშიც ბათუმურად წვიმს და ეს მოგონებებს მიღვიძებს, განსაკუთრებით, ბავშვობის ტკბილ მოგონებებს. ერთმა სასულიერო პირმა მითხრა ოპტინოში, სადაც ბავშვობა გაგონდება, იქ ინახება შენი სიწმინდეო. ჩემი, ალბათ, ბათუმშია. ყოველ შემთხვევაში, იქიდან იწყება და მერე ვრცელდება თბილისსა და სხვა ქალაქებში. ახლა, ამწუთას, თბილისში ბათუმურად წვიმს, მე კი ბებიის პატარა ბელეტაჟი მახსენდება ჯინჭარაძის ქუჩაზე და იმავე ქუჩაზე მდებარე ჩემი სკოლა და სახლი, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ნეტა იმ დროს, იმ სითბოს და სიყვარულს... ყავის სუნი მახსენდება კიდევ და წვიმის წვეთები ფანჯრის მინაზე. და სადღაც ამოკითხული და დამახსოვრებული პოეტური ფრაზა თუ სტრიქონი: „წვიმს, მარტოობა წვიმის ენით მესაუბრება“. კარგი მარტოობაა ეს, ლამაზი მარტოობა, ადამიანური სითბოთი და წვიმის სურნელით გამთბარი, ბათუმში გატარებული ბავშვობიდან რომ მოულოდნელად „შემომესტუმრა“. ბედნიერები ვიყავით მაშინ, ლაღები და გულწრფელები, რაც მთავარია. იწვიმე, წვიმავ!

ჩანაწერი მეორე:

სალომესთანაც მაქვს განსაკუთრებული ურთიერთობა, ჩემს პატარა სალომკასთან – ჩემს დეიდაშვილის შვილთან, ორი წლისაც რომ არ არის ჯერ და ერთ-ერთი მთავარი და საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში. უსიტყვოდ მივანიჭეთ ტახტი, ულაპარაკოდ. „აიპედს“ და „აიფონს“

28

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის თანამდებობიდან გადადგა ელგუჯა ხოკრიშვილი, რომელმაც ეს ნაბიჯი საზღვარგარეთ მცხოვრებ ოჯახთან ყოფნის სურვილით ახსნა.

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა ოქროს მედლები მოიპოვა ჩინეთში გამართულ მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში, რომლის გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხა მასპინძელი ქვეყნის ნაკრები – 2,5:1,5.

30 არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება, რომელშიც „სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციის მცდელობად“ და „განსხვავებული აზრის უპატივცემულობად“ შეაფასა ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მისამართით გახშირებული სიტყვიერი თავდასხმები.

ეტრფის და თანამედროვეობის ეს საჩუქარი შესანიშნავად გამომადგა სალომესათვის „ქრთამად“. ეგრევე მოდის, მეფერება, მკოცნის. რას იზამ, ეტყობა, ძალიან გვიყვარს ქართველებს კარგი ცხოვრება და სალომეც ხომ ქართველია, ნამდვილი ქართველი. დედაჩემი მეორედ მოსულს ეძახის. უსიტყვოდ ესმის თითქოს ყველაფერი, მზერა, გაღიმება... ირონიასაც კი გრძნობს და დაცინვას. არა, კი არ დავცინით ქალბატონს, ამას როგორ ვაკადრებთ დედოფლის სახელის მატარებელ „სერიოზულ“ ადამიანს, მაგრამ კაი გვარიანად კი გვეცინება მის არტისტულ მანერებზე. არტისტია ნამდვილი, მღერის და ცეკვავს განუწყვეტლივ და, თანაც, აუდიტორიას ითხოვს მუდმივად. ჩვენც აქ არა ვართ? სხვა რა საქმე გვაქვს? კირჩხიბია მაინც და თავისნება, „მისთათალა“, აჭარულად რომ ვთქვათ, მისი კუთხის მეტყველებიდან გამომდინარე; თანაც, ძალიან მგრძნობიარეა და ფაქიზი. ეს კირჩხიბებს გვახასიათებს, რას იზამ, სისათუთე დაგვებედა დაბადებიდან. ჰოდა, მე და სალომეს განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს. თითქოს გრძნობს ჩემს სერიოზულ დამოკიდებულებას მისდამი და თავადაც ასე მექცევა. ამხედავს, დამხედავს და მთხოვს. რას მთხოვს? ტექნიკასთან ურთიერთობა მტკივნეული საკითხია, ეს ამბავი ორივეს გვიყვარს და განსაკუთრებით გვესათნოება (მგონი, გვჭირდება კიდეც, ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე, სალომეც საქმიანობს: წამდაუწუმ აჭერს ღილაკებს, ზოგჯერ ზუსტადაც). ნატას მაგივრად ატოს მეძახის, თუ ადოს. ჩემი სიცოცხლის ელექსირია სალომე. მარტო სალომე რატო, ყველა ბავშვი, ალბათ, ამ ქვეყანაზე.

29 ოთხშაბათი

ჩანაწერი პირველი:

დილა, ტრადიციულად, ჩემი ლულუს ცხვირის შეხებით იწყება. ლულუზე ცალკე რომ არ ვილაპარაკო, ძალიან უსამართლო ვიქნები, მარტო მის წინაშე კი არა, საკუთარი თავის წინაშეც, პირველ ყოვლისა. ლულუ ჩემი პუდელია, სამეფო პუდელი! გრძნობები მეფური თუ არა, სამეფო პუდელს რომ შეეფერება, ისეთი მაინც აქვს. უკიდურესად განცდიანია, უღალატო და ერთგული. ძაღლიო, ამის თქმა ზოგჯერ მიჭირს კიდეც, იმდენად ადამიანურია, იმდენად ალალი. სიყვარულისგან იბნიდება, რომ იტყვიან, გაღმა გადის, მარილზე. ოდნავ ყურადღებას თუ მოაკლებ, შეიძლება ხმა არ გაგცეს მთელი დღის განმავლობაში, დაგემალოს და გაგეცალოს, სადღაც, კუთხეში მიიყუჟოს. შენ თავად უნდა მოძებნო და გამოიყვანო, ვთქვათ, საწოლს ქვეშიდან, და საქებარი და საფერებელი სიტყვები არ დაიშურო მისთვის. მოკლედ, შემორიგების მთელი პროცედურაა ჩასატარებელი ამ შემთხვევაში. ვისაც საყვარელი შინაური ცხოველი ჰყავს სახლში, ის ხომ მაინც გამიგებს, სხვას არ დავეძებ. მოკლედ, ლულუ ჩემი ანტიდეპრესანტია. სალომესა და ლულუს სერიოზული კონ-

ლევან ყიფიანი გადადგა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან, რის შემდეგაც საჭირო შეიქნა პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ნდობის ხელახლა გამოცხადება.

ირაკლი ღარიბაშვილი ტელეფონით ესაუბრა გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს.

ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის ოჯახის ადვოკატმა დაადასტურა, რომ პროკურატურის მიერ იდენტიფიცირებულია ხარძიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი.

პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა ნაციონალური მოძრაობის ინიციატივას საყდრისის საბადოს გარშემო განვითარებული მოვლენების შესასწავლად დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე.

კურენცია ახასიათებთ ერთმანეთთან დამოკიდებულებაში და ფარულად მტრობენ კიდეც ერთიმეორეს. სალომეს ხელი ზურგს უკან მუდმივად მზადა აქვს ლულუს ბეწვების შესაწუხებლად (თუ მოსაგლეჯად არა) და ლულუც გრძნობს ამას თავისი გენიალური ინტუიციით. რა გინდა, იღონო ასეთ შემთხვევაში, როგორ გინდა, ობიექტურობა შეინარჩუნო და როგორც ერთი, ისე მეორე მხარის ინტერესები დაიცვა, ერთსაც ასიამოვნო და მეორესაც? მით უმეტეს, როცა ფრიად დავალებული ხარ როგორც ერთი, ისე მეორე ქალბატონისგან. ისე, კაცმა რომ თქვას, ლულუსგან უფრო ვარ დავალებული (რაკი ობიექტურობაზე ავლაპარაკდი, ესეც უნდა ითქვას, ბარემ). ლულუ სახლიდან მაცილებს ყოველდღე და სახლში მელოდება მოწყენილი და უჩემობით დასევდიანებულ-აწრიალებული. თუკი რაიმე ტკივილმა ოდნავ შემაწუხა, ხომ არ მშორდება და თვალებში შემომციცინებს თანამგრძნობელი, თითქმის ცრემლიანი მზერით! სალომე ასეთ ღირსებებს ჯერჯერობით ვერ ამჟღავნებს, ბუნებრივია. ვნახოთ, რას იზამს მომავალში, როგორ მოიქცევა და გარდაისახება ეს ქალბატონი. ჯერჯერობით კი მეორე „ქალბატონი“ ამ მხრივ და ამ თვალსაზრისით ნამდვილად შეუდარებელია: ლულუ-ანტიდეპრესანტი. მე ვაფასებ მის ამ თვისებას და თავდადებას და შეძლებისდაგვარად ვაჯილდოებ კიდეც დროდადრო.

ხუთშაბათი

ჩანაწერი პირველი:

გადაწყდა: დედა საოპერაციოა. ვემზადებით მომავალი კვირისათვის. შვილისათვის თავდადებული დედა თუ ვინმეს ჰყავს, ალბათ, პირველ ყოვლისა, მე ვარ ასეთი. ჩემი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი მოსკოვში მაქვს გატარებული და მართლა ვერ შეადარებ: ჩვენი დედები – „ეს ჭამე, ის დალიე, ადექი, დაჯექი...“ ისინი არა – გახდი ზრდასრული? მიდი, იცხოვრე. არ ვიცი, რა ჯობია. ალბათ, ზომიერებაშია მაინც გამოსავალი. მაგრამ ზომიერება რაში ვიცით ქართველებმა, ამაში რომ ვიცოდეთ? სითბო დიდია და სიყვარული, მაგრამ დამოუკიდებლობის შეზღუდვის ხარისხიც მაღალია. რაც არის, არის, დედა მთელ ქვეყანას მირჩევნია და დავრჩები მისი ხათრით ბოლომდე პატარა! თავგანწირულია ჩემთვის დაბადებიდან. ჩემს პროფესიულ დაოსტატებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის, ყველანაირად მიწყობდა ხელს. ასე რომ, ამ შემთხვევაში ვიხევ უკან, ვთმობ პოზიციებს. ისე კი, ბოლომდე გულწრფელი რომ ვიყო ამ სუფთა ფურცლის წინაშე, რომელზედაც ვწერ, არც მე შემიძლია უდედოდ, როგორც დედას – უჩემოდ. ასე ჩამოგვიყალიბდა ცხოვრება და ურთიერთობა იმთავითვე. ქართულია, ვიცი, და ეს მომწონს.

ჩანაწერი მეორე:

წიგნების კითხვა ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ წიგნების-

გავრცელებული ცნობების პასუხად, თითქოს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში არასრულწლოვნებზე სექსუალურ ძალადობაში ფრანგ სამხედროებთან ერთად ქართველებიც მონაწილეობდნენ, გენერალური შტაბის უფროსმა ვახტანგ კაპანაძემ განაცხადა, რომ ამაში „95%-ით ეჭვი ეპარება“, რადგან ცნობებში მითითებულ პერიოდში ქართველი სამხედროები ცენტრალურ აფრიკაში საერთოდ არ იმყოფებოდნენ.

„საქსტატმა“ გამოაქვეყნა 2014 წლის შემოდგომაზე ჩატარებული საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგები. გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად საქართველოში ამჟამად 3 729 635 ადამიანი ცხოვრობს, რაც 2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით 14,7%-ით ნაკლებია.

თბილისში გაიხსნა ევროპის საინვესტიციო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონული წარმომადგენლობა.

თვის ძველებურად აღარ მცალია. არც ფილმისთვის, აღარც მხატვრული ლიტერატურისთვის. დავიწყობ ზოგჯერ თა-როზე საყვარელ ნაწარმოებებს, მოვიმზადებ, ჩემი ჭკუით, და იმტვერებიან წაუკითხავად. როდემდე უნდა ვიყო ასე, არ ვიცი. ადამიანი უნდა კითხულობდეს რაღაცას, თავისი პრო-ფესიისგან განსხვავებულს. სულ ამას ვუმტკიცებდი თანა-კურსელებს არცთუ შორეულ წარსულში და ახლა მე შემეყარა ეს სენი, მხოლოდ მიმდინარე სამეცნიერო ლიტერატურას თუ გადავხედავ და ისიც – ნაჩქარევად. გამოვსწორდები ამ მხრივ. ოდესმე გამიადამიანურდება დღის რეჟიმი. ვნატრობ ასეთ დროს! იმედით ცოცხლობს ადამიანი...

ჩანაწერი მესამე:

დილიდან სამედიცინო პროექტზე ვმუშაობ. მასშტაბზე არასოდეს მიფიქრია და არც ასპარეზის გაზრდაზე გარეგანი თვალსაზრისით. რაც ვარ, ის მყოფნის, შინაგანად მაკმაყოფი-ლებს, რადგან ინდივიდუალური პროექტების მომხრე უფრო ვარ ბუნებით, მუშაობაშიც და ცხოვრებაშიც. მაგრამ ამ პრო-ექტმა მომხიბლა რატომღაც, არ ვიცი, რატომ. პიროვნებამაც ითამაშა, ალბათ, როლი, დამაჯერებელია მისეული ხედვა, რე-ალური და პერსპექტიული. უბრალოდ, გუნდის ყველა წევრმა უნდა მოვინდომოთ, ყველამ უნდა დავდოთ თავი. გუნდური პრინციპი უნდა ავამუშაოთ გონებაში (თუმცა ასეთ საქმეში გულიც არანაკლებ მნიშვნელოვანია) და მაშინ ასეთი მასშ-ტაბური მიზნებიც განხორციელდება. იმედი მაქვს, ამ შემ-თხვევაშიც ასე მოხდება. პიროვნებას რაც შეეხება, ანუ შეფს, ჯერჯერობით ინკოგნიტოდ დავტოვებ მის სახელს. ასე უფრო კომფორტულად ვიგრძნობ თავს და საქმისთვისაც ასე ჯობია, გამოცდილებით ვიცი.

პარასკევი

ჩანაწერი პირველი:

არ ვიცი, რატომ ვაკეთებ ამ ჩანაწერებს, ზოგმა შეიძლე-ბა დღიურად აღიქვას, ზოგმა – თავისებურ აღსარება-თვი-თანგარიშად. ალბათ, არც ერთია და არც მეორე. ეს საკუთარ თავთან გასაუბრება უფროა, ისეთი რამის თქმა, რაზედაც ფიქრობ, მაგრამ ვერ ამოთქვამ, იმიტომ რომ ამის აუცილებ-ლობა არ არის. მით უმეტეს ჩემთვის, ადამიანისთვის, ვისი პროფესიული დატვირთვაც იმდენად დიდია, რომ ფიქრისთ-ვისაც აღარ სცალია. ფიქრისთვის როგორ არ უნდა ეცალოს ადამიანს? დაკვირვებისთვის. ჰოდა, ჩემთვის ეს ჩანაწერებია თუ დღიური, ეს არის სწორედ: ჩემი ფიქრების ამონათქვამი, ჩემი შინაგანი აზრების. ვაკვირდები და ვამბობ, სხვანაირად არ შემიძლია.

ჩანაწერი მეორე:

ღამის 3 საათია, თემომ ბინის დიზაინის ახალი ვერსია გად-

ირაკლი ღარიბაშვილმა გარე-მოს დაცვის, სპორტისა და თავ-დაცვის მინისტრებად დანიშნა, შესაბამისად, გიგლა აგულაშვილი, ტარიელ ხეჩიკაშვილი და თინა ხი-დაშელი.

გიორგი მარგველაშვილმა ერ-თი კვირით გადადო პარლამენტის-თვის მთავრობის განახლებული შემადგენლობის წარდგენა და გა-ანცხადა, რომ სურს პრემიერ-მი-ნისტრსა და პარლამენტს მისცეს საშუალება, უფრო მშვიდ გარემო-ში გამართონ კონსულტაციები.

თავდაცვის ყოფილი მინისტ-რი მინდია ჯანელიძე დაინიშნა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნად.

საქართველოს პროფკავშირებ-მა და რამდენიმე სტუდენტურმა მოძრაობამ თბილისში მანიფესტა-

მომიგზავნა, ვათვალიერებ.

როგორც ყველა ხელოვანს, თავისი ხელწერა აქვს. მომწონს პროექტი, არა, მეტიც – ძალიან მომწონს!

შაბათი

ჩავუჯექი ერთი კვირის განცდილსა და ნაფიქრალს, ამბობენ დღიურების წერა მანერული საქმეაო. მე ასე არ ვფიქრობ. დამამშვიდა ამ საქმიანობამ, დამაფიქრა, ამ ბოლო დროს თითქმის ყველა გამოწვევას ვიღებ და ცხოვრების ინტენსიური რიტმი მაქვს.

დღეს პაციენტმა მითხრა, ამ სიბერეში ჩემი თავი უნდა შევიყვაროო. ისე თქვა, თითქოს თავი იმართლა. საკუთარი თავის სიყვარულს ხშირად ეგოიზმთან აიგივებენ. არადა, აუცილებელია განვასხვაოთ ის, თუ რა გვიყვარს და როგორ გვიყვარს საკუთარ თავში. ეგოიზმთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ადამიანს თვითტკბობისა და დომინირების ასპექტები უყვარს თავის თავში. მაგრამ, თუ უყვარს ის, რაც მასში უმაღლესი და არსებითია, ის, რაც მას ცხოველისაგან განასხვავებს და ადამიანად აქცევს, ანუ თავისი იდეალური ღვთაებრივი პლასტი, თუ უყვარს სულიერი ზრდისა და განვითარების ტენდენცია საკუთარ თავში, სხვებთან ჭეშმარიტი ურთიერთობა და შემოქმედების უნარი, მაშინ ასეთი სიყვარული ეგოიზმს მოკლებულია და ზრდის ცხოვრების ხარისხს. ასეთი სიყვარული მოყვასისადმი სიყვარულს კი არ აბრკოლებს, არამედ, პირიქით, აძლიერებს მას. მე მინდა, ასე გვიყვარდეს საკუთარი თავი.

დასასრულ... მინდა მადლობა ვუთხრა „რადიო თავისუფლებას“ იმისათვის, რომ მომცა ეს ერთი კვირა, დამამშვიდა, დამაფიქრა და ჩემს თავში ჩამახედა.

დღიურები არასოდეს დამიწერია... კარგი ყოფილა!

ციებით აღნიშნეს დასაქმებულთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე.

2

პანკისის ხეობაში უარყვეს გავრცელებული ინფორმაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი მეთაურის, თარხან ბათირაშვილის დაღუპვის შესახებ.

ბათუმში გაიმართა ეკომიგრანტთა და იპოთეკური სესხით დაზარალებულ მოქალაქეთა საპროტესტო მსვლელობები.

ქუთაისში აღნიშნეს ქალაქის ტრადიციული დღესასწაული „გვირილობა“.

რატი იონათამიშვილი

საჯარო მოხელე, ფილოლოგი. დაიბადა 1979 წლის 9 ივნისს თბილისში. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 2000 წლიდან ეწევა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას. ავტორია წიგნებისა „წყვეტილი ხაზების ბოდვა“ და „ღიმილის ხაზი“. 2005 წლიდან არის ШШ პირთა უფლებადამცველი; მისი ორგანიზებით საქართველოში პირველად გაიმართა ШШ პირთა საჩვენებელი ტურნირები პარაპლანით ფრენაში, პარაკანოეში, ბოულინგში, ავტორბოლაში, აფროსნობაში, ჯომარდობაში და სხვა. 2015 წლიდან არის თბილისის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრი.

მასი

3

კვირა

თბილისში გაიმართა კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს სხდომა, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილი თავმჯდომარეობდა.

გარდაიცვალა კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე.

კვირას მინდოდა, ჩემით გამღვიძებოდა, მაგრამ ჩემს ძმისშვილს მოვენატრე და არ მაცლის. თამაში უნდა ჩემთან. თამაშს მარტივი წესები აქვს, უფრო სწორად, წესები არა აქვს, ერთის გარდა – ღუტუნი არ შეიძლება. დანარჩენი ყველაფერი მოსულა, თავზე დახტომაც, ჭიდაობაც, ძალისმიერი ილეთებიც. ბოლოს იღლება და ყიყლიყო უნდა მომიმზადოს. მე ახლა მახსენდება, რომ დედამიწის მეორე მხარეს დიდი კალათბურთი იყო – დანკანი გრიფინის წინააღმდეგ! ლეგენდა ხვდება ახალ თაობას. მეშვიდე, გადამწყვეტი მატჩია. ორივეს ერთნაირად ვგულშემატკივრობ. მწყინს, დანკანმა რომ წააგო, თუმცა გრიფინის კარგი თამაშიც მიხარია. უკვე დროა, ავდგე. მოვწესრიგდი, გადავხედე რამდენიმე პროექტს (უსაქმოდ ისევ ვერ ვისვენებ) და ახლა მინდა წავიკითხო.

ახალი ავტორი არ წამიკითხავს უკვე კაი ხანია. „კაი ხანი“ ჩემთვის რამდენიმე თვეა. ახლაც ვფიქრობ, რომელი წიგნი წავიკითხო. ვკითხულობ: მარსელ პრუსტი, ჟაკ პრევერი, ეგზიუპერი, ლოტრეამონი, მიშელ უელბეკი (აშკარად ფრანგულ თაროს მივადექი)... ლერმონტოვი, მაიაკოვსკი, ესენინი (უცნაურია, ეს ორი დიდი პოეტი წიგნების თაროებმა შეარიგა, ალბათ, ყველა მკითხველის თაროზე გვერდიგვერდ არიან), უმბერტო ეკო, ფამუქი და ბოლოს მაინც იმას ვიღებ, რაც ბევრჯერ მაქვს წაკითხული. ისევ კამიუს ესეების გუნებაზე ვარ. ვკითხულობ. „სადაც ამდენი მზეა, შეუძლებელია, ყველაფერი

უაზრო იყოს...“ „გამოცდილება ყოველთვის მარცხია“ და მომწონს ეს პესიმისტური ოპტიმიზმი, რომლის აბსურდი ყოველთვის უფრო მიზიდავდა, ვიდრე სხვების რეზონულობა. აბსურდის გმირი აბსურდულად მოკვდა. კითხვის დროს მიყვარს მუსიკის მოსმენა. ახლა გალიანოს და მაილს დევისს ვუსმენ...

ორშაბათი

4

წვიმს. მიყვარს წვიმაში ავტომობილით სიარული, როცა ეწევი და მუსიკას უსმენ. მაგრამ საცობები მაინც თავისას შვრება. წვიმის დროს თბილისში, მგონი, მარტო წვიმის წვეთები კი არა, ავტომობილებიც „ცვივა“, ან წვიმის დროს ტყეში სოკოები და ქალაქის ქუჩებში ავტომობილები მრავლდება. არ ვიცი, სხვას რას მივაწერო, რომ მშრალი ამინდის დროს საცობი ბევრად ნაკლებია. უამრავი შეხვედრა მქონდა, საინტერესო არაფერია. უფრო სწორად, საინტერესო ამ შეხვედრების შედეგები უნდა იყოს.

ჰო, მართლა, დღეს ახალ ოთახში გადავედით. კარგად მოვეწყვეთ, მშვენიერი გარემოა შექმნილი კარგი საქმეების გასაკეთებლად. უნდა გავაკეთოთ კიდეც, სხვა რამის უფლება არ გვაქვს.

მასი

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურმა გავრცელა ინფორმაცია, რომ ირაკლი ღარიბაშვილს დაუკავშირდა სომხეთის პრემიერ-მინისტრი ჰოვიკ აბრაჰამიანი, რომელმაც საუბარში დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ერევნის მხარდაჭერა და განუმარტა, რომ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ანატოლი ბიბილოვი მთიან ყარაბაღში იმყოფებოდა კერძო ვიზიტით და პირადი ხასიათის, არაფორმალური შეხვედრა ჰქონდა სომხეთის პარლამენტის სპიკერ გალუსტ საჰაკიანთან.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ არ ცნობს მთიან ყარაბაღში 3 მაისს ჩატარებულ „საპარლამენტო არჩევნებს“ და კვლავ ადასტურებს მხარდაჭერას აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი.

თბილისში გაიხსნა საქართველოს, მოლდავეთისა და უკრაინის საპარლამენტთაშორისო ფორუმი.

თბილისში საპროტესტო აქცია გამართეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებმა, რომლებმაც უკმაყოფილება გამოხატეს იმის გამო, რომ ცენტრის ხელმძღვანელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნულმა კომისიამ უნდა აირჩიოს.

სამშაბათი

5

ჩემს სამსახურზე აქამდე არაფერი მითქვამს. მერიაში ვმუშაობ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ვარ. ოფიციალურად ქალაქ თბილისის მერიის შშმ პირთა საბჭოს აღმასრულებელი მდივანი მქვია და სავსებით ვიზიარებ გაეროს „შშმ პირთა უფლებების კონვენციის“ პრინციპებსა და ღირებულებებს. 5-ზე ეთერში ვარ რადიო თავისუფლებაში, გოგი გვახარიასთან. გზაში მახსენდება, რომ 2005 წელს ჩემი პირველი ვიზიტი ტელევიზიაში გოგი გვახარიას გადაცემაში შედგა. მაშინ 15 წუთი ვისაუბრეთ შეზღუდული შესაძლებლობის თემაზე და დოკუმენტურ ფილმზე „მეფე ხეიბარი“, რომელიც ამერიკელი მხატვრის,

შსს-მ განაცხადა, რომ საფეხბურთო თამაშების „ჩაწყობის“ ბრალდებით დააკავა რვა პირი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ყოფილი მერის, გიგი უგულავასთვის, 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციისა და ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის საქმეზე შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიების – პატიმრობის გაუქმების შესახებ.

თამარ ბერუჩაშვილი ბერლინში შეხვდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს.

ფოთის პორტის თანამშრომლებმა დაიწყეს გაფიცვა ხელფასის გაზრდის მოთხოვნით.

პრეზიდენტის სასახლესთან გაიმართა იპოთეკური სესხით დაზარალებულ მოქალაქეთა საპროტესტო აქცია.

დენი კეპლინგერის ცხოვრებას ეხება. მას შემდეგ კვირა არ გავა, რამდენიმე ჩაწერა, გადაღება ან ინტერვიუ არ მქონდეს, მაგრამ გვახარიას გადაცემაში დღეს მხოლოდ მეორედ მივდივარ. თან ამჯერად, როგორც „უფლებადამცველი საჯარო მოხელე“ (გოგიმ მიწოდა დღეს ასე). საინტერესო ინტერვიუ გამოვიდა. 6-ზე სამსახურში ვბრუნდები, თათბირი გვაქვს ქალაქის მთავრობის წევრებთან ერთად.

საქმეებს დღეს შედარებით ადრე ვამთავრებ. 8 საათია, ამიტომ მეგობრებთან ერთად რამდენიმე საათის გატარება საუკეთესო დასვენებაა. ბევრს ვსაუბრობთ, გვიანია, მაგრამ კარგად შევექცევით. ახალ სურათებსაც ვიღებთ. იმ მეგობრებიდან, რომლებთანაც ახლა ვარ, უმეტესობა ჩემი თანამშრომელია, ამიტომ მაინც სულ თბილისზე ვლაპარაკობთ. ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი, დედამიწაზე ყველაზე ძვირფასი ადგილია. ჩემი ბავშვობის უბნები, სოლოლაკი და ვერა, განსაკუთრებით მიყვარს. იქ სხვა „სპლინია“ და სხვა სურნელია, იქ ჩემი ბავშვობა და ყველაფერი პირველია. ყველა ჩიხთან, ეზოსთან, ჩემი თბილისური ისტორიაა. სადაც უნდა ვიყო, ვისვენებდე და ვმოგზაურობდე, ყველაზე ბედნიერი მაშინ ვარ, როცა ჩემს ქვეყანაში და უფრო – ჩემს ქალაქში ვბრუნდები. მე მაქვს ჩემი „შინ“ და საპატიოა, რომ ამ ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის წევრი ვარ.

6 ოთხშაბათი

გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტს წარუდგინა მინისტრთა კაბინეტის განახლებული შემადგენლობა.

უშედეგოდ დასრულდა ფოთის პორტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მოლაპარაკება გაფიცულ თანამშრომლებთან.

ავტომობილს მერიის ფარეხში ვაჩერებ. ყოველი დღე, ყავისა და სიგარეტის მერე, მერიის მძღოლებთან და დაცვასთან მისალმებით იწყება. დღეს გიორგობაც მივულოცეთ ერთმანეთს. მათი სახელი არ ვიცი, მაგრამ გამარჯობა ყველას უნდა ვუთხრა. საერთოდ, არ მიყვარს უსალმო ადამიანები, ან ადამიანები, რომლებიც ნაცნობობას პროფესიებით და კიდევ უარესი – მდგომარეობით არჩევენ. ლიფტშიც ყველას ვესალმები მიუხედავად იმისა, ვიცნობ თუ არა. მისალმება გვაახლოებს ერთმანეთთან. ეს აუცილებელია. ლიფტი ნებისმიერ დიდ შენობაში ცალკე თემაა, ყოველი გაჩერების დროს შეიძლება ვინმე საინტერესო უცნობი შემოვიდეს და გავიდეს, ან შემოვიდეს და აღარ გავიდეს. შენს ჩასვლამდე მაინც. აი ახლაც, ერთი მამაკაცი შემოვიდა პირველ სართულზე და მე-6 სართულამდე შვიდ ანეკდოტს მოჰყვა. არც ერთი არ იყო სასაცილო, მაგრამ მოსწრებით მოასწრო. ეს კაცი რამდენიმე დღის წინაც შემხვდა (მე-11-დან მე-6 სართულამდე მგზავრობდა) და მაშინაც ასე მოიქცა...

დღეს მთავარი თემა შშმ პირთათვის პარკირების წესში ცვლილებების შეტანაა. ამ გადაწყვეტილებას ძალიან ბევრი ელოდება და ჩვენი ვალია, რაც შეიძლება მალე მივიღოთ. არც ერთი დღე დასაკარგი არ გვაქვს. დღის ბოლოს მივდივარ ძველ სამსახურში, ვხვდები ძველ მეგობრებს და თანამებრძოლებს. ძალიან მიხარია!

ხუთშაბათი

7

დილიდან უამრავი შეხვედრა მაქვს. ხელი მოვაწერეთ პროექტს და უსინათლოებს დავუბეჭდავთ ჟურნალ „სინათლეს“. ჟურნალი ბრაილის შრიფტით იქნება აწყობილი და მე ვერ წავიკითხავ, მაგრამ მე კამიუსაც იშვიათად ვკითხულობ ახლა. 12-ზე ვიყავი სპორტის სასახლეში, რომლის ადაპტირებასაც ვიწყებთ. ძალიან მომწონს პროექტი. დღეს დაიწყო სამშენებლო სამუშაოები, ერთი სული მაქვს, როდის დასრულდება. დანგრეული კიბის დანახვა ცხოვრებაში არ გამხარებია ასე. კამიუ ამბობდა: „არ არსებობს კედელი, რომელიც არ იქცევა კარად“, მე კი ვამბობ: „არ არსებობს კიბე, რომელსაც პანდუსად არ ვაქცევთ.“ მშენებლობაზე თქვეს, თვე-ნახევარს გაგრძელდებაო. ვიცი, რომ ძალიან ცოტა დროა ასეთი მასშტაბური სამუშაოებისთვის, მაგრამ რა დაიცდის ამდენ ხანს!

კიდევ რამდენიმე საინტერესო აუდიენციის მერე დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობლებთან. შეხვედრამ მძიმედ ჩაიარა, კმაყოფილი არ ვარ. არ ვარ იმიტომ, რომ ხანდახან მგონია, მშობლები დათვურ სამსახურს უწევენ შვილებს. მე თუ რამეს მივაღწიე დღეს, მივაღწიე იმიტომ, რომ ვიცოდი: უფლებების დაცვა არის ღირსება, მცირე კომფორტისთვის ყველაფერზე უარის თქმა კი სინამდვილეში კომფორტის დათმობასაც ნიშნავს. ყველაფერს ვერ ვიტყვი, თუ რატომ ვარ უკმაყოფილო. იმედია, რაღაც მაგალითს აიღებენ, გააძლიერებენ ბრძოლას შვილების უფლებებისთვის, რომ მერე მათმა შვილებმა უფრო მეტად შეძლონ საკუთარი და სხვების უფლებების დაცვა. ადამიანს ადამიანად სწორედ უფლებებისთვის ბრძოლა აქცევს, რადგან უამისოდ არ არსებობს თავისუფლება, წარმატება და პროგრესი.

დღეს ადრე ვიძინებ – პირველ საათზე. რადგან ხვალ ხუთზე უნდა ავდგე და წავიდე დასავლეთ საქართველოში მივლინებით.

თბილისს ესტუმრა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ან ბრასერი, რომელიც შეხვდა გიორგი მარგველაშვილს, ირაკლი ღარიბაშვილსა და დავით უსუფაშვილს, მოინახულა წეროვნის დევნილთა დასახლება და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელი ხურვალეთი.

გიორგი მარგველაშვილმა გამოსცა განკარგულება 8 მაისისთვის პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

პარასკევი

8

გზაში დიდ დროს ვატარებ ფიქრში. საჭესთან ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი ზის. თავიდან ბევრს ვლაპარაკობ, რომ არ ჩაეძინოს, მაგრამ ყველაფერი რიგზეა. და მახსენდება... მრავალი წლის წინ ვერ წარმოვიდგენდი, თუ დღეს საჯარო სამსახურში ვიქნებოდი. მომწონდა, რომ „უფლებადამცველი“ მერქვა და ვიბრძოდი ცვლილებებისა და თანაბარი შესაძლებლობებისთვის. არ მქონდა ოცნებები, მქონდა მხოლოდ მიზნები, და ჩემი მთავარი მიზანი იყო, ვყოფილიყავი ყველაზე პასიური შშმ პირი, ოღონდ, ცხადია, ისეთი აქტიური, როგორიც დღეს ვარ. ვიცი, რომ ეს საქმე დაუფასებელია და, რამდენსაც უნდა დაეხმარო „გარეთ გამოსვლაში“, როგორც უნდა შეცვალო გარემო, მადლიერი ბევრი არ იქნება. იმის თქმაც მინდა, რომ მადლიერების მოლოდინით თუ დაიწყე საქმის კეთება, განწი-

ევროკომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს მიერ საviზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ.

გიორგი მარგველაშვილმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და დავით უსუფაშვილმა ერთობლივი წერილით მიმართეს ევროკომისიის პრეზიდენტს ჟან-კლოდ იუნკერს, ევროკავშირის საბჭოს ხელმძღვანელს დონალდ ტუსკსა და ევროპარლამენტის პრეზიდენტს მარტინ შულცს და მოუწოდეს მათ, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ რიგის სამიტზე მხარი დაუჭირონ საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დაწესებას.

ქუთაისში გაიმართა პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, რომელზედაც დაიწყო მთავრობის განახლებული შემადგენლობისა და მისი პროგრამის განხილვა.

პარლამენტმა საბოლოო, მესამე მოსმენით დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის საფუძველზეც ისევ გამარტივდა რამდენიმე თვის წინ გამკაცრებული სავიზო და საიმიგრაციო წესები.

ხელფასის გაზრდის მოთხოვნით გაიფიცნენ „შუახევიჰესის“ მშენებლობაზე დასაქმებული მუშები.

რული ხარ. ჯობია, საერთოდ არ დაიწყო. იმიტომ ხომ არ აკეთებ, რომ შეგაქონ, აკეთებ მხოლოდ იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეგიძლია.

ბავშვობიდან არასდროს გავურბოდი პრობლემებს და პასუხისმგებლობას. არც ახლა გავურბივარ. ამ თვისებამ გადაწყვიტა ყველაფერი. ვიცი, რომ ჩემი ყველა გადაწყვეტილება სწორი არ იქნება, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მათ მისაღებად დიდ დროს არ დავხარჯავ. ვიცი, პრობლემები მხოლოდ იმიტომ არსებობს ჩემს ცხოვრებაში, რომ მათგან გამარჯვების ისტორიები შევქმნა. ამიტომ ყოველი ახალი პრობლემა ახალი გამოწვევაა ჩემთვის და მათთან ჭიდილს აზარტში შევყავარ. ასე უფრო მეტია თავგადასავალი და ცხოვრება ინტერესს არ კარგავს. ამიტომ, როცა მეკითხებიან ხოლმე, ეს თქვენთვის ადვილი იყო თუ არაო, – ვპასუხობ, ის უფრო ძნელი იქნებოდა, სახლში რომ დავრჩენილიყავი და უარი მეთქვა ყველაფერზე, მათ შორის ცხოვრებაზე, სადაც ამდენი მზე შეიძლება იყოს-მეთქი. არა, ცხოვრებაში დაბრუნება ძალიან მარტივი იყო და მართლა არაფერი შეუცვლია ჩემში იმ მომენტს, როცა ეტლი დამჭირდა. ეტლი რომ დამჭირდა, მხოლოდ ეგ იყო. მაგრამ ამის გამო უფრო მეტი შევცვალე გარემოში და კიდევ მეტს შევცვლი.

ამიტომ დავტოვე სამოქალაქო სექტორი და უფლებადამცველი საჯარო მოხელე გავხდი. პასუხისმგებლობას წარმატება მოაქვს და წარმატების გარეშე არ არსებობს ბედნიერება. მე ვარ ბედნიერი, რადგან შემიძლია, მქონდეს პასუხისმგებლობა და არ მეშინოდეს გადაწყვეტილების მიღების. მივლინების საქმეებს გვიანობამდე ვერ ვამთავრებ. მერე მივდივარ სასტუმროში, სადაც ყოველთვის უხარიათ ჩემი დანახვა. ვარ ჩემს ორ თანამშრომელთან ერთად, რომლებიც ჩემი მეგობრები არიან. მათთან ერთად მივლინებაში კი არა, ომშიც წახვალ, რადგან გჯერა და ენდობი. საერთოდ, გამიმართლა: ადრეც და ახლაც. ყოველთვის მიხარია მისვლა სამსახურში.

ღამით მეგობრებს ვხვდები...

9 შაბათი

პარლამენტმა 8 მაისს დაწყებული მრავალსაათიანი დებატების შემდეგ, ღამის სამის ნახევრისთვის, 87 ხმით 38-ის წინააღმდეგ, ნდობა გამოუცხადა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.

საქართველოს ქალაქებში აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავი.

თბილისში გაიმართა ქართველი ბაიკერების საპროტესტო აქცია რუსი ბაიკერების ვიზიტის წინააღმდეგ.

შაბათს ყოველთვის გვიან ვიწყებ, მაგრამ დღეს მეგობრებმა გამაღვიძეს. გუშინ პარასკევი აღვნიშნეთ და „სამკურნალოდ“ მიდიან. მეც ვდგები, როგორც არ უნდა მინდოდეს დასვენება (და შაბათს დილით ძილს თითქოს არაფერი სჯობს), სასწრაფოდ ვდგები! ასეთ დროს, თუ არ წავედი მათთან, მერე უფრო ვერ ვისვენებ ხოლმე. სასიამოვნო სიგრილეა, ერთად ვსხედვართ, ბევრს ვიცინით, ვიხსენებთ გუშინდელ დღეს, ვუსმენთ ქალაქურ სიმღერებს. ძლივს მოვიფიქრეთ, რომ დავშლილიყავით. ახლა ოჯახთან მინდა. უქმეებზე ყველაზე მეტად მიხარია ოჯახთან ყოფნა და სულ არ მინდა საქმეებზე ფიქრი.

ოჯახში ვარ, მაგრამ მაინც სულ საქმეებზე ვფიქრობ. ორ-

შაბათიდან ბევრი საქმე მაქვს მოსასწრები, ბევრი სწორი და კარგი გადაწყვეტილება უნდა მივიღო. ჩემი თავის იმედი მაქვს, რადგან ჩემს ყველა ფიქრში სხვების ინტერესი უფროა, ვიდრე საკუთარი თავის. გასაფორმებელია ხელშეკრულება უსინათლოებთან, დასამთავრებელია ინვენტარიზაციის გეგმა, რათა თბილისის გეგმური ადაპტირება დავიწყოთ, მოსაგვარებელია მონიტორინგის საკითხები, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები იყვნენ ჩართული პროგრამების განხორციელებაში. ამით უპრეცედენტო პრეცედენტს შევქმნით. მონიტორინგის საკითხები ჩემთვის ძალიან საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანია, რადგან უამისოდ ვერ ვითარდება სამოქალაქო საზოგადოება, არ ხერხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინკლუზიურობის უზრუნველყოფა. მერე რა, რომ მონიტორინგი ბევრს დღესაც გოგოლის „რევიზორი“ ჰგონია?! ჩვენ დავამკვიდრებთ თანამედროვე ხედვას და პრინციპებს. წარმატებული მაშინ ხარ, როცა „გაკვირდებიან“, „გამოწმებენ“, რათა მერე უფრო სწორი, კარგი და ეფექტიანი გადაწყვეტილებები მიიღო. მთავარმა მონიტორმა, რომელსაც არასდროს არაფერი გამორჩება (ჩვენი გულის ფიქრები და ის ხელნაწერებიც კი, რომლებიც არასდროს იწვის), კარგად იცის ეს...

ამასობაში გავიდა ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი კვირა, რომელიც მალე აღარ იქნება მარტო ჩემი, რადგან რადიო თავისუფლებას აქვს ასეთი საინტერესო რუბრიკა: „თავისუფლების დღიურები“... და კიდევ ბევრი გაიგებს იმის შესახებ, თუ რას ვაკეთებდი და რას ვფიქრობდი მაისის პირველ კვირას; და, ექნება იმის მოლოდინიც, რომ ამ ჩემი დღიურების დაწერიდან წაკითხვამდე კიდევ ბევრი ცვლილების მოხდენა მოვასწარი. ცვლილებებისთვის ღირს ცხოვრება, რადგან სხვების კეთილდღეობისთვის გამიზნული ნებისმიერი ცვლილება სრულყოფისაკენ გადადგმული ნაბიჯია.

ნინო ზამბახიძე

ფერმერი. დაიბადა 1978 წლის 14 ივნისს თბილისში. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი მთარგმნელ-რეფერენტის განყოფილების ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. არის გრენობლის (საფრანგეთი) ბიზნესის უმაღლესი სკოლის მაგისტრანტი ბიზნესის ადმინისტრირებაში და კავკასიის უნივერსიტეტის მაგისტრანტი საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირებაში. სადისტრიბუციო კომპანია შპს „ელ-ბი-ენ ლაინის“ დამაარსებელი. 2008 წლიდან ხელი მოჰკიდა ფერმერულ საქმიანობას და ახალციხის რაიონის სოფელ წნისში დააარსა შპს „ჯორჯიან ბიზნეს ზონი“, რომლის მმართველი დირექტორიც თავადაა. 2010 წელს ახალციხეშივე დააარსა რეგიონული განვითარების ასოციაცია. მიენიჭა „წლის მეწარმე ქალის“ წოდება ეკონომიკის სამინისტროს და ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ინიციატივით მოწყობილი ბიზნესდაჯილდოების, „მერკური 2011“-ის ფარგლებში. 2012 წელს თანამოაზრეებთან ერთად დააარსა საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, რომელსაც დღემდე სათავეში უდგას. 2014 წელს საფუძველი ჩაუყარა საქართველოს მეწარმეთა ქსელს.

10 კვირა

ქობულეთის სასტუმრო „არმაზში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაიღუპა სამი ბავშვი.
თბილისში რამდენიმე ღონისძიებით აღინიშნა „ევროპის დღე“.

არ მიძინია – მთელი ღამე მონოტონურად ტექსტს ვიმეორებდი. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მიხდება საჯარო გამოსვლა და კამერასთანაც ხშირად მიწევს მუშაობა, მაინც ყველა ჩაწერის წინ ძალიან ვნერვიულობ. დღეს თემა უფრო განსხვავებულია – სტუმრად მივდივარ „ჩაის თემაზე“. ჩემმა ლექტორმა, ანდრო დგებუაძემ დამპატიჟა. ეს ყველაზე განსხვავებული ფორმატია, რაც კი ოდესმე მქონია. საშუალება გაქვს, დაანახვო ხალხს, ვინ ხარ რეალობაში. ალბათ, ძალიან ძნელია, ოფიციალური განცხადებიდან ან ჟურნალიდან ამოიცნო პიროვნება. რა თქმა უნდა, შეიძლება ზოგადი წარმოდგენა შეგექმნას ადამიანზე, მაგრამ, ვფიქრობ, საიდუმლო ყოველთვის დეტალებშია. ჰოდა, დღეს ზუსტად იმაზე ვილაპარაკე, რაც მხოლოდ ჩემმა მეგობრებმა იციან. ჩემი „ჩაის თემა“ იყო: „არასოდეს თქვა არასოდეს“. მართლა ასეა: რაზედაც ვთქვი, არასოდეს გავაკეთებ-მეთქი, ყველაფერი გავაკეთე.

დღეს პირველად გავუგე მსახიობებს – სცენაზე ფეხი რომ შევდგი და გულმა ბაგაბუგი დაიწყო, მივხვდი, როგორ ნერვიულობენ. მგონი, გავართვი თავი, თუმცა ამას ორი კვირის მერე ვნახავ, როდესაც ჩანაწერი გავა ეთერში. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს, იმას, თუ სად ჰყვები შენს ამბავს და რამდენად დადებითად არის განწყობილი შენდამი მსმენელი. ძალიან გამიმართლა! იმდენი სითბო მოდიოდა მსმენელისგან, რომ მეც „დავიქოქე“, მოვყევი, ორმა ძროხამ როგორ შეცვალა

ჩემი ცხოვრება, როგორ გავხდი ფერმერი და, რაც მთავარია, ძალიან ლოგიკურ ამოხსნამდე მივედი: როცა სოფლის მეურნეობაში დავიწყე მუშაობა, ფერმერობა არ იყო პრესტიჟული და ჩემი გადაწყვეტილება ბევრს სიცილსაც ჰგვრიდა. მეუბნებოდნენ – კაი რა, ვერაზე გაზრდილმა გოგომ რა ფერმერობა მოინდომეო?! ახლა ფერმერობა მოდაშია. სუფრას ვერ ნახავ, ვინმე მაინც არ ლაპარაკობდეს სოფლის მეურნეობაში ინვესტირებაზე. რატომ? იმიტომ რომ ეს თბილისში „გაპონტებულია“ და უკვე კარგ საქმედ მიიჩნევა, ანუ ძალიან „მაგარი ტიპი“ ხარ, თუ რამეს აწარმოებ. მიხარია, რადგან ეს ქვეყნის ეკონომიკას კარგად „ამოქოქავს“ და, რაც მთავარია, რეგიონებიდან მიგრაციას შეამცირებს.

საქართველო აგრარული ქვეყანა არ არის, თუმცა საამისო ამბიცია და სურვილი ნამდვილად გვაქვს. ჰოდა, თუ სურვილია, შესაძლებლობაც გაჩნდება, რომ რეგიონების მოსახლეობას მეტი დოვლათის შექმნაში დავეხმაროთ. ჩემი ყოველი დღე ისედაც ხომ ამ ფიქრით იწყება და მთავრდება!

ეს ძლივს გადავაგორე და ახლა ისევ სიტყვა უნდა მოვამზადო ხვალისთვის: „ქალის როლის გაძლიერება აგრარულ სექტორში“. თან ერთი ჩვევა მაქვს: სიტყვას არასდროს ვკითხულობ, მიყვარს, როცა ვსაუბრობ. თუმცა ეს კიდევ მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ერთხელ ასე ვმეცადინეობდი და ჩემმა უმცროსმა შვილმა დედაჩემს უთხრა, ბებო, მგონი, დედა გაგიჟდაო. რატომ? – ჰკითხა დედაჩემმა. ოთახში შევედი, წამოწოლილია, კედელს უყურებს და ერთსა და იმავეს იმეორებსო. რომ გაიზრდება, ალბათ, მასაც ექნება ასეთი მომენტები და მერე გაახსენდება „გაგიჟებული“ დედა. უი, ლამის არის, ჩამომეძინოს. წავედი უკვე, თორემ ხვალისთვის ვეღარ მოვასწრებ მომზადებას.

ორშაბათი

ჰაერზე, ალბათ, არავინ არაფერს ამბობს. ხომ არის ნათქვამი, ორშაბათი მძიმე დღეაო. ჰოდა, არც ჩემი ორშაბათი იყო გამონაკლისი. დილით ბეჯითად მომზადებული წავედი და ევროპელ ქალებს შევხვდი. სიტყვითაც გამოვედი, ძირითადად ვილაპარაკე რეგიონში მცხოვრებ ქალთა პრობლემებზე. იმასაც გავუსვი ხაზი, რომ ჩვენში არ არის ქალის კარგი „როლმოდელი“: წარმატებული ქალები ხშირად ან წარმატებული მამების შვილები არიან, ან წარმატებული ქმრების ცოლები, უარეს შემთხვევაში – წარმატებული კაცის საყვარლები. ძალიან გავბრაზდი, როცა აღმოვაჩინე, რომ საქართველოში 59 გამგებლიდან მხოლოდ ერთია ქალი, 12 მერიდან – არც ერთი, 9 გუბერნატორიდან – ერთი, და ისიც მოვალეობის შემსრულებელი. არადა, გინდ ასე თქვი, გინდ ისე, ქალი არანაკლებ საქმეს აკეთებს დღევანდელ საქართველოში, ვიდრე მამაკაცი.

გულდასმით მისმენდნენ და თავს აქნევდნენ: არ ელოდნენ,

გიორგი მარგველაშვილი ბრიუსელში შეხვდა ნატოს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს, ევროკომისარს სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში იოჰანეს ჰანს და ევროპარლამენტის წევრებს.

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე დაინყო საქართველო–აშშ-ის სწავლება „ღირსეული პარტნიორი“.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ განაცხადა, რომ ლიბიის წყლებში თურქეთის სატვირთო გემის დაბომბვის შედეგად ეკიპაჟის ექვსი ქართველი წევრი არ დაშავებულა.

ირაკლი ღარიბაშვილმა გურიის რეგიონის გუბერნატორად დანიშნა გია სალუქვაძე.

ასე რიცხვებით თუ ვილაპარაკებდი. თუმცა გაოცება ვერ დამალეს, როდესაც, მაგალითად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის ციტატა მოვიყვანე: „უცხოეთიდან ქალების მიერ გადმორიცხული თანხა არის დაახლოებით 800 მილიონი დოლარი წელიწადში. ეს არის საქართველოს ეკონომიკისთვის სპილენძის, სამკურნალო საშუალებების, ხორბლისა და შაქრის იმპორტი, ერთად აღებული; ეს არის ფერად შენადნობთა, თხილის, ღვინისა და მინერალური წყლის ექსპორტი ერთად აღებული; ეს არის ჩვენი ქვეყნის შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და სასჯელაღსრულების სამინისტროების ბიუჯეტი ერთად აღებული, და ეს არის ჩვენი ქვეყნის ერთი წლის მთლიანი საპენსიო ფონდი.“ სხვისი არ ვიცი, მაგრამ არც მე მიფიქრია, რამდენად მნიშვნელოვანი ყოფილა ქალის როლი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში. ვიცოდი, რომ მაგრები ვიყავით, მაგრამ ასე თუ ვეხმარებოდით ეკონომიკას, არ მეგონა!

ქალებთან შეხვედრა დავამთავრე და ფერმერთა ასოციაციაში გავიქეცი, ფერმერები მელოდებოდნენ. მიყვარს მათთან საუბარი, ალალი ხალხია. რასაც ფიქრობენ, იმას ამბობენ. ამასთან ძალიან, ძალიან მიმძიმდება ხოლმე გული მათთან საუბრის შემდეგ: ბევრი პრობლემა აწუხებთ. რითაც შემიძლია, გვერდში ვუდგავარ, მაგრამ არის ისეთი ნიუანსები, სადაც მე ვერაფრით დავეხმარები. ვხვდები, რომ მათი ცხოვრებით ვცხოვრობ. ზუსტად მესმის, რა ადარდებთ და რისი შეცვლა სურთ. ერთფეროვან ცხოვრებას ებრძვიან, უნდათ, ფართოდ გაშალონ საქმიანობა, მაგრამ საშუალება არა აქვთ. ჩემგან ითხოვენ პასუხს, რატომ არის სამყარო ისე მოწყობილი, რომ მათნაირ მშრომელ ხალხს ხელს არავინ უმართავს. ძალიან ცუდი შეგრძნებაა, როდესაც არ იცი, რა უპასუხო. ცდილობ, დაამშვიდო, მაგრამ სიტყვები ჰაერშივე იკარგება.

დღეს მათი მონაყოლი ისე განვიცადე, რომ აქეთ მამშვიდებდნენ: არა უშავს, რამე იქნება და გვეშველებაო. სახლში გულდამძიმებული დავბრუნდი. წამოვწექი, ტელევიზორი ჩავრთე და იმ საშინელ ტრაგედიას ვუყურე, რაც ქობულეთში დატრიალდა: სამი ბავშვი დაიღუპა ხანძარში! ხანძრის მიზეზი გაურკვეველია. კიდევ უარესმა ფიქრმა წამიღო: იმისთვის წვალობ, შრომობ, რომ შენს შვილს უზრუნველი მომავალი მოუწყო და სამყაროზე ბრაზდები, თუ რამე ისე არ არის, როგორც შენ გინდა. ამ ბავშვების მშობლებმა რა თქვან, რა?..

არა, არაფერი არ არის სიცოცხლის ფასი! მართლა ყველაფერს ეშველება, სანამ ადამიანი ცოცხალია...

12 სამშაბათი

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა „საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ დარღვევად“ და „იურიდიული ძალის არმქონე

დღეს დასვენების დღეა, მაგრამ საქმემ დასვენება არ იცის. ისე, საქმე უფრო მასვენებს, ვიდრე უსაქმურობა. დილით ჩაწერა მქონდა, პატარა ვიდეორგოლი გადაიღეს. ძალიან კარგი პროექტი იწყება ბავშვების განათლებისთვის – „ლოგიკმეტ-

რი“. ჩემთვის ის მართლაც აღმოჩენა იყო: კომფორტული, საინტერესო, სახალისო და საჭირო ინტერნეტპორტალი, რაც ახალი სიტყვაა განათლების სფეროში. მე რომ ამდენი შესაძლებლობა მქონოდა, რამდენად წინ ვიქნებოდი ახლა... ჩემ დროს სწავლა, ფაქტობრივად, არ იყო, ლექციები ცდებოდა, მეცადინეობა სანთლის შუქზე გვიწევდა. ახლა კი რამდენი რამ არსებობს იმისთვის, რომ ისწავლოს ადამიანმა. მათემატიკა არ მიყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი მათემატიკოსი იყო და 28 წელი უნივერსიტეტში სხვებს უკითხავდა ლექციებს, მე მაინც ვერ შემაყვარა ეს საგანი. მეუბნებოდა, ისწავლე, ეგ მარტო ციფრები არ არის, ლოგიკურ აზროვნებასაც უწყობს ხელსო. მე კი ჩემსას არ ვიშლიდი და ვეუბნებოდი, ლოგიკური აზროვნება მაქვს და დანარჩენს კალკულატორითაც გამოვიანგარიშებ-მეთქი. ხშირად უთქვამს, გაიზრდები და გაგახსენდება ჩემი ნათქვამი, უფრო მეტს კი მაშინ მიხვდები, როცა მშობელი გახდებიო. ახლა ვხვდები, რა მართალი იყო! ჯერ იმიტომ, რომ ახლა მაგისტრატურისთვის მათემატიკა მჭირდება და სამჯერ მეტი შრომა მიწევს, რომ ვისწავლო. მერე იმიტომ, რომ ზუსტად ამასვე ვეუბნები ჩემს შვილებს: მათემატიკა ისწავლეთ-მეთქი. ნეტა ადამიანი რა ფენომენია, რატომ გვგონია, რომ მშობლები სწორს არ გვირჩევენ? ან რატომ არ ვსწავლობთ ჭკუას სხვის შეცდომებზე? თუმცა მაინც კარგია, რომ თუნდაც გვიან ვხვდებით და დიდობაში მაინც ვიცვლით აზრს.

...ასე იყო დედაჩემიც. მეუბნებოდა, იარე მუსიკაზეო; იშხნელების შვილიშვილი ხარ და სირცხვილია, დედა, რომ არ უკრავდეო. არც მას ვუჯერებდი, ვეუბნებოდი, თქვენ დაუკარით და იმღერეთ, მე მოგისმენთ-მეთქი. ახლა მე ვეუბნები ჩემს შვილებს ზუსტად იმავეს: დედა, გაიზრდებით, გოგოებს გაეპრანჭებით და მერე მოგინდებათ დაკვრა და სიმღერა-მეთქი. ძალიან გამიმართლა, ასეთი ოქრო დედა რომ მყავს. ყველაფერს, რაც მე ვერ მომცა, ახლა ჩემს შვილებს აძლევს: დაჰყავს სპექტაკლებზე, კონცერტებზე, გამოფენებზე. აი, დღესაც, მე სახლში შედარებით ადრე მივედი. დავალება მქონდა მოსამზადებელი ლიდერობაზე, დედაჩემმა კი მოჰკიდა ჩემს შვილებს ხელი და „ზაზანოვაში“ წაიყვანა კონცერტზე. მაგიდაზე მარწყვი დამიდო, მითხრა, იმეცადინე და ადრე დაიძინე, ადამიანს აღარ ჰგავხარ, კარს გარედან ჩავკეტავთ და არ დაგველოდოო. მგონი, ჯობია დავუჯერო. მეცადინეობასაც მოვრჩი, ფეისბუკსაც ჩავუარე და გავიგე, რას გამოვაკლდი, სანამ ვმეცადინეობდი. ახლა წავედი, დავიძინებ. ხვალ დილით ადრე უნდა ავდგე – ბორჯომში მივდივარ ფერმერებთან შესახვედრად.

ოთხშაბათი

წვიმს, საშინელი ამინდია. ადრე თუ წვიმა რომანტიკა იყო ჩემთვის, ახლა გაავდრება ძალიან მადარდებს. ხვნის პერი-

13

თბილისის ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა თამარ კორძაიამ დატოვა „ქარ-

დოკუმენტებად“ შეაფასა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან გაფორმებული „ხელშეკრულებები“.

სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს დააკისრა 33 500 ევროს გადახდა ორგანიზაცია „იდენტობისა“ და კიდევ 13 მომჩივნისთვის 2012 წლის 17 მაისს ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად თბილისში გამართული მსვლელობის მონაწილეთა მიმართ მომხდარი ძალადობის გამო.

გიორგი მარგველაშვილი ბრიუსელში შეხვდა ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე დონალდ ტუსკსა და ბელგიის მეფე ფილიპს.

ირაკლი ღარიბაშვილმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტმა სუმა ჩაკრაბარტიმ თბილისში ხელი მოაწერეს მემორანდუმს ინვესტორთა საბჭოს შექმნის შესახებ.

თული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქცია და შეუერთდა „ქართული ოცნება – რესპუბლიკელების“ ფრაქციას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო განჩინება „საყდრისყაჩაღიანის“ არქეოლოგიური ობიექტის ადგილზე დათვალიერების შესახებ მხარეების, მოწმეებისა და სპეციალისტების მონაწილეობით.

ოდია და ფერმერები ვერ თესავენ. თუ ასე გაგრძელდა, წელს მოსავალიც არ ექნებათ. ბორჯომში ვიყავით მე და ჩემი მოადგილეები. წაღვერის ფერმერთა ასოციაციას შევხვდი. ძალიან საყვარელი ხალხი გავიცანი: მიყვებოდნენ, როგორ დაიწყეს მიწის პატარა ნაკვეთზე ბიომარწყვის წარმოება და როგორ ელოდებიან მოსავალს, რომ ტურისტებს შესთავაზონ, რაც საჭიროა. საოცარი ადამიანი ვნახე. თავისი ხელით გაკეთებული ხის კოტეჯები – სასტუმრო კომპლექსი დაგვათვალიერებინა. ისეთი მოვლილი იყო იქაურობა, თავი ევროპაში მეგონა! მერე რამდენიმე საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთი მოვინახულეთ და უკან დავბრუნდით. ოფისში მომიწია მისვლა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 7 საათი იყო. იმეილებზე უნდა მეპასუხა და საბუთები წამომეღო.

მაისი

უკვე იმდენ რამეზე ვფიქრობ, ყველაფერი მავიწყდება. დღეს ჩემი ნათლულის დაბადების დღე იყო. მივულოცე, მაგრამ ბავშვების წაყვანა დამავიწყდა. ისე, 21 ნათლული მყავს და ამ ჩემი გიჟური გრაფიკის გამო ყურადღებას ვერ ვაქცევ. სულ ვიმშვიდებ თავს: აი, ცოტაც და საფუძვლიანად დავდგები ფეხზე, მერე უფრო ხშირად ვნახავ-მეთქი. მაგრამ არ იქნა და არ დადგა ეს „მერე“.

11 საათზეღა გამახსენდა, რომ დღეს ჩემი მეგობარი მიფრინავს გერმანიაში. იქ ცხოვრობს და წელიწადში ერთხელ ჩამოდის. სამი კვირა იყო აქ და სულ სამჯერ ვნახე. მასთან გავიქეცი დასამშვიდობებლად. რა ვქნა, რა?! ეს 24 საათი არ მყოფნის, კიდევ დამატებით ექვსი საათი მჭირდება, რომ ყველაფერი მოვასწრო. ხვალაც საოცრად გადატვირთული დღეა: EBRD, ფერმერები, საღამოს კიდევ გადაცემის ჩაწერა. ახლა დავიძინე, თორემ დამათენდა თავზე...

14 ხუთშაბათი

თბილისში გაიხსნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრა და ბიზნესფორუმი მსოფლიოს 60-მდე ქვეყნის მთავრობებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით.

ევრობანკის ყოველწლიური შეხვედრის გამო საპროტესტო აქცია გამართეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა „მწვანე ალტერნატივამ“ და „მწვანე მუშტმა“, რომლებიც ბანკისგან მოითხოვენ, შეწყვიტოს ხიფათის შემცველი ჰესების პროექტების დაფინანსება.

ფოთის პორტის ადმინისტრაციასთან შეთანხმების შემდეგ პორტის თანამშრომლებმა შეწყვიტეს 5 მაისს ხელფასის გაზრდის მოთხოვნით დაწყებული გაფიცვა.

დღეს ჩემი დილა იმაზე ადრე დაიწყო, ვიდრე დაგეგმილი მქონდა. ჰოლანდიელები იყვნენ ჩამოსული, აგროსექტორში აპირებენ ინვესტირებას და გაირკვა, რომ დღეს 12 საათზე მიფრინავდნენ. ძალიან მთხოვეს შეხვედრა და დილის 7 საათზე შევხვდი „ჰოლიდეი ინში“. რომ გავამგზავრე, ვიფიქრე, დავჯდები და ყავას დავლევ-მეთქი. ამ დროს, ერთი ასაკოვანი უცხოელი ქალი მომიახლოვდა და მითხრა, თქვენს საუბარს ვისმენდი, რამდენი რამ გცოდნიათ სოფლის მეურნეობაშიო; მამაჩემი ფერმერი იყო და თქვენ რომ გისმენდით, ბავშვობაში გადავვარდიო. გაირკვა, რომ საქართველოში EBRD-ის შეხვედრის ფარგლებში ყოფილა ჩამოსული. დიდხანს ვისაუბრეთ და ერთად გავემართეთ ახალგაზრდობის სასახლეში ინვესტორების შეხვედრაზე. საკმაოდ საინტერესო შეხვედრა იყო, ახალი ნაცნობები...

არ ვიცი, საიდან გამომიმუშავდა, მაგრამ ერთი ჩვევა მაქვს: არასდროს არავისთვის მითქვამს უარი შეხვედრაზე. ჩემი აზ-

რით, რაც მეტია კონტაქტი, მეტი სიძლიერეა და ჟურნალისტებს არასდროს ვეუბნები უარს ინტერვიუზე, ვაფასებ მათს შრომას და მომწონს, როგორ უნდათ, პირველები იყვნენ. იმდენად საყვარლები არიან, დილის 7 საათზე, დილის გადაცემაშიც კი ვიღებ მონაწილეობას – მიუხედავად იმისა, რომ ძლივს ვდგები საწოლიდან. დღესაც ჩაწერაზე ვიყავი ინოვაციების სააგენტოში, სტუდენტებთან ჰქონდათ შეხვედრა და მიმიწვიეს. იქ მივხვდი, რომ ამ ქვეყანას ნამდვილად აქვს მომავალი. იმდენი საყვარელი და ჭკვიანი ბავშვი იყო, გავგიჟდი. ძალიან მომწონს მათი მიდგომა და სურვილი, რომ იცოდნენ რაც შეიძლება მეტი. სავიზიტო ბარათი მთხოვეს. მითხრეს, რაღაცებზე კონსულტაცია გვჭირდება და მოვალთო. პირველკურსელები იყვნენ. თან დაამატეს, თუ დაგვეხმარებით, ჯიბის ფულს ვიშოვითო. ასეთ ბავშვებს როგორ არ უნდა დაეხმარო ადამიანი!

გადავიქანცე, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარ. ახლა ჯობია დავიძინო. ხვალ ისევ მძიმე დღეა, კვირის ბოლოა და ყველაფერი შესაჯამებელი მაქვს.

პარასკევი

15

დღეს საოცარი გადარბენა მქონდა. ამ გაჭედილმა ქუჩებმა ხომ სულ გადამიყვანა ჭკუიდან! ყველა შეხვედრაზე ერთი საათით ადრე გავდიოდი, რომ მიმესწრო. ფაქტობრივად, ოთხი საათი გზაში დავხარჯე. ისე, გაახარებს ღმერთი ამ ცუკერბერგს ფეისბუკის გამოგონებისთვის! ჭედვაში დროის დაკარგვა დამენანა და ყველა მეილს გავეცი პასუხი: 25 მეილი იყო. მერე ფეისბუკში ვიყავი შემძვრალი და ვეცნობოდი დღის ამბებს, ორ ძირითად თემას: ლარი და პოლიტიკა. ოჰ, ამ ლარის დევალვაციამ ხომ ბოლო მომიღო! დღეს ყველაზე მაღლა ავიდა კურსი და ჩემი ფერმერები მირეკავდენ, ახლა რაღა გვეშველებაო. ეს შეკითხვა მაგიჟებს, რა ვუთხრა?.. ვპასუხობ, არ ინერვიულოთ, რამე იქნება-მეთქი და ეს „რამე“ მეც არ ვიცი, რა უნდა იყოს.

როგორც იქნა, დანიშნულების ადგილს მივაღწიე. ქართული სუვენირები უნდა მეყიდა. ხვალ ბუდაპეშტში მივფრინავ: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შეხვედრაა, თანაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი სურსათის უსაფრთხოების კუთხით.

მაღაზიაში შევედი და აღმოვაჩინე, რომ ბარათს არ იღებენ. ნაღდი ფული უნდა გადამეხადა, გამოვედი და საქართველოს ბანკთან მივედი. ჩემ წინ იდგა ასაკოვანი ქალი, რომელიც თითო ჯერზე ხუთლარიან კუპიურას იღებდა. ჩემ უკან მდგომმა მამაკაცმა ჰკითხა: ქალბატონო, ამდენ ხანს რას აკეთებთო, ქალმა კი უპასუხა: შვილო, 100 ლარი უნდა გამოვიტანო და ხუთლარიანი კუპიურები მინდა, ბანკომატს არ ვენდობიო. გამეღიმა და შევთავაზე, იქნებ მე დაგეხმაროთ-მეთქი. არა, შვილო, ასე მშვიდად ვარ, თან ვითვლიო. ზუსტად 30 წუთი ვე-

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში რუსმა სამხედროებმა „საზღვრის“ დარღვევისთვის დააკავეს საქართველოს ხუთი მოქალაქე, მათ შორის ორი არასრულწლოვანი.

სოჭში გაიმართა რუსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტების ვლადიმირ პუტინისა და რაულ ხაჯიმბას შეხვედრა.

ბრატისლავაში მოეწყო „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ წევრი ქვეყნებისა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თამარ ბერუჩაშვილმა.

მთავრობამ დაამტკიცა და პარლამენტს გაუგზავნა ახალი კანონპროექტები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და პროკურატურის შესახებ.

ლოდე ფულს, ასეთი მშვიდი არასდროს ვყოფილვარ. ძალიან საყვარელი ქალი იყო, რომელსაც მხოლოდ თავისი საკუთარი ფული უნდოდა და ბანკს არ აძლევდა საშუალებას, რომ მოეტყუებინა.

სუვენირები ვიყიდე და შემდეგ გაბრიაძის კაფეში წავედი, სადაც ისევ EBRD-ის ფარგლებში გაიმართა სტუმრების მიღება. უჩვენეს მარიონეტების თეატრის წარმოდგენა „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“. ძალიან დიდი ხანია, ასე არ მისიამოვნია! ბავშვობის მერე მარიონეტების წარმოდგენა ნანახი არ მქონდა. უცებ მივხვდი, რომ ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ის მომენტი, როდესაც არავისზე და არაფერზე არ ვფიქრობდი, მხოლოდ თოჯინებს ვუყურებდი და სადღაც, სხვა სამყაროში ვიყავი. სახლში სულიერად დამშვიდებული დავბრუნდი, გადმოვიღე ჩემოდანი, ჩავალაგე, მოვწესრიგდი, წამოვწექი და დავიწყე დღიურის წერა, რომელიც უკვე უნდა დავასრულო, რადგან აეროპორტში მივდივარ.

16 შაბათი

აეროპორტისკენ მივდივარ. ოთხი დღით უნგრეთში მივფრინავ!!!

P.S. ლარი გაამყარეთ, ლარი!!!

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაადასტურა სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქის, პანკისელი გურამ ცათიაშვილის დაღუპვის ფაქტი.

ოცამდე არასამთავრობო ორგანიზაციამ და სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ხელისუფლებას მოუწოდეს, უზრუნველყოს უსაფრთხოება იმ აქტივისტებისა, რომლებიც 17 მაისს თბილისში აღნიშნავენ ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა ნანა დარასელიამ და ნინო ბუაჩიძემ დავის მონაწილე მხარეებთან და ექსპერტებთან ერთად დაათვალიერეს საყდრის-ყაჩაღიანის უბანი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორად აირჩია ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე.

პაატა შამუგია

პოეტი. დაიბადა 1983 წლის 20 მარტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებში. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა ჟურნალებთან „ლიბერალი“, „ცხელი შოკოლადი“, „ლიტერატურული გაზეთი“, „არილი“, „ახალი საუნჯე“ და ა.შ. 2012 წელს ჟურნალმა „ცხელმა შოკოლადმა“ დაასახელა წლის ადამიანად. ლიტერატურული პრემია „საბას“ ორგზის ლაურეატი. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, თურქულ და გერმანულ ენებზე.

კვირა

ვწერ ყველგან: სახლში, ავტობუსში, შესვენებებზე, სამსახურში, კაფეში. ვწერ ყველაფერს: ლექსს, ჩანახატებს, ესეებს, რომანს და... დღიურსაც. მეოთხე კლასიდან დღემდე ვწერ ერთ გაბმულ დღიურს, რომელშიც აღწერილია ყველაფერი, ჩემი ცხოვრების ყველა წვრილმან-მსხვილმანი: ჩემი შეყვარებულები, რომლებიც, რატომღაც, მალევე იქცეოდნენ ხოლმე ჩემს ყოფილ შეყვარებულებად, ჭირვეული და საყვარელი მეზობლები, მეგობრები, უცნობები, სიზმრები, ყველა(ფერი) აქაა. რამდენიმეათასგვერდიანი დღიურია, მაგრამ ის არასდროს გამოქვეყნდება! როცა „თავისუფლების დღიურის“ დაწერა მთხოვეს, უყოყმანოდ დავთანხმდი. მერე ცოტა დავფიქრდი, დღიური პირადი საქმეა, მე კი ასე საჯაროდ პირად ამბებს უნდა მოვყვე, გამოვა აქედან რამე?

მოკლედ, რაც არი, ეგ არი.

დღეს კვირაა, ჩემი საყვარელი დღე. კვირას შეგიძლია გააკეთო ბევრი რამ. და მე ყველაზე ფილოსოფიურ საქმეს ვირჩევ – ვაკეთებ არაფერს. ეს დიდხანს არ გრძელდება, მაგრამ მაინც. საერთოდ, დილა იწყება სიგარეტით. არც ეს კვირაა გამონაკლისი. თვალის გახელის შემდეგ პირველი ოპერაცია სიგარეტისა და ასანთის ალქიმიაა. რამდენიმე ღერის მერე თვალებიდან ლიბრი მშორდება. ბევრს ვეწევი. იმდენს, რომ სიგარეტი უკვე სხეულის დამატებად მექცა. დარწმუნებული ვარ, გენის მუტაცია გარდაუვალია და ჩემი შვილები უეჭვე-

თბილისში უინციდენტოდ ჩაიარა ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილმა აქციებმა.

საპატრიარქომ გააუქმა „ოჯახის სიმტკიცისა და სიწმინდის დაცვის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიებები და მიზეზად დაასახელა თბილისში აწყურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის „პირველად შემობრძანება“.

საქართველოს არაოფიციალური ვიზიტით ესტუმრა სომხეთის პრემიერ-მინისტრი ჰოვიკ აბრაჰამიანი, რომელსაც ბათუმში უმასპინძლა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ლად პირში სიგარეტგაჩრილები დაიბადებიან. ნანიკო რეკავს. უნდა, რომ პოეზიის საღამო მომიწყოს თავის სკოლაში. ახლა დეპრესია მაქვს-მეთქი, თავს ვაცოდებ და ერთი თვის მერე ვნიშნავთ საღამოს. „მანამდე ხო გაგივლის?“ – მეკითხება. რამხელა პესიმიზმია!

სარამაგუს ვკითხულობ, უკვე ბოლოსკენ ვარ. დიდი ავტორია. ნობელიანტები ხანდახან მოსაწყენები არიან, ჟოზე – პირიქით.

ნინოს ვურეკავ და ჩაის ვსვამთ მის სამსახურთან. ლოკარნოს ფესტივალიდან ახალი ჩამოსულია. მისი დოკუმენტური ფილმის ჩვენება იყო. ბოლოს იქაური მარიხუანის ეფექტებზე მიყვება. ისე, შეეძლო, მეგობრისთვისაც ჩამოეტანა (შსს-ვ, ვხუმრობ!).

შეღამებულზე „პირიმზეში“ მივდივარ. ბევრი უცხო ხალხია მაგიდასთან. მალე გამოვდივარ. ალკოჰოლი ოდნავ მეკიდება.

სტუდქალაქში სიჩუმეა. ამ ბოლო დროს არავინ ხმაურობს. ნასვამი სარამაგუს ვუბრუნდები. ნასვამზეც მომწონს. თავიდან თითქოს ყველაფერი კანონიკას მიჰყვება და უცებ ხელიდან გისხლტება. მსოფლიოს ქრისტიანებმა იესოს და მარიამ მაგდალელის აქ აღწერილ სექსზე ალესეს მახვილი, არადა, კანონიკის სრული აყირავება ლაზარეს ეპიზოდშია. ლაზარეს აღდგინება ქრისტეს ერთ-ერთი მთავარი სასწაულია. სარამაგუს იესო არ აცოცხლებს მას. მიზეზი მარიამ მაგდალელის (წიგნის მიხედვით, მისი ცოლის) სიტყვებია, ბოლო წამს რომ უჩურჩულა: „არავინაა ქვეყანაზე ისე ცოდვილი, რომ ორჯერ მოკვდეს.“

საეტაპო სიტყვებია!

დღეს 17 მაისია – ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღე. კარგი იქნებოდა, ეს დღე ბოღმის და უტვინობის სიმბოლოდ რომ არ ექცია ქართულ უსულო სასულიერო იერარქიას.

18 ორშაბათი

ორშაბათი მძიმე დღეა. ლელას ზარი მაღვიძებს. უცნაურ სიზმარს ვნახულობდი: სადღაც მდინარის პირას ვიჯექი, თანმხლები ჩეჩენი გოგო წარმოუდგენელი ხმით მიმღეროდა. სირინოზივით. მე იქვე სახელდახელოდ შეთხზულ ჰაიკუს ვუკითხავდი და თვალს მისი – სავარაუდოდ, მკვრივი – მკერდისკენ ვაპარებდი. სიზმრის ფინალისკენ ჩეჩენმა სირინოზმა სახეზე ხელი წაივლო და კანი გადაიძრო, კანქვეშ ჩემი მეზობელი აღმოჩნდა, რამაც ძალიან გამაკვირვა. მერე ამ ჩემმა მეზობელმაც წაივლო სახეზე ხელი, ახლა ნახე, სინამდვილეში ვინ ვარო და... ამ დროს რეკავს ლელა. ლიტერატურის ფესტივალის ამბავში პრესკონფერენცია რომ გვაქვს, ხო გახსოვს? რა თქმა უნდა-მეთქი, და თან მზადებას ვიწყებ. სწრაფად ვხტები ლოგინიდან და სკამზე ფეხის თითი ისე გამეტებით მიმერტყა, მგონია, მომძვრება.

თბილისში გაიმართა საქართველოსა და ავსტრიის პრეზიდენტების გიორგი მარგველაშვილისა და ჰაინც ფიშერის შეხვედრა.

ბუდაპეშტში ჩატარდა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა, რომელზედაც სიტყვა წარმოთქვა დავით უსუფაშვილმა.

ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თეირანში შეხვდა ირანის საგარეო საქმეთა და ენერგეტიკის მინისტრებს მოჰამად ჯავად ზარიფსა და ბიჟან ზანგენეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჟურნალისტ ნინო მიქიაშვილის სარჩელი საყდრის-ყაჩაღიანის საბადოზე კომპანია RMG-ის მიერ სამუშაოების შეწყვეტის თაობაზე და მიზე-

ასეა, ლიტერატურა მტკივნეულია.

მწერალთა სახლიდან პირდაპირ სამსახურში მივდივარ. მე და თეა ჩვენი აუცილებელი რიტუალის – ერთმანეთთან პოლიტიკურ თემებზე კამათის – შემდეგ ვსხდებით და ტექსტებზე ვმუშაობთ.

სამსახურიდან ისევ მწერალთა სახლში უნდა მივიდე. დღეს დიდი დღეა – ლიტერატურის საერთაშორისო ფესტივალი. ამაღამ საერთო საღამო იქნება, ყველა მონაწილე თავის ენაზე წაიკითხავს. საერთოდ, მწერალთა სახლმა ბოლო დროს ისეთი შთამბეჭდავი ლიტერატურული პროექტები გააკეთა, რომ რაღაც კარგის მოლოდინი მაქვს. ასეცაა. გადასარევი უცხოელი ავტორები და ჩემი ქართველი კოლეგები... და მთავარი: მკითხველები. ამდენ ხალხს მიტინგებსა და გასვენებაში თუ ნახავ. რა კარგია, რომ მოდიან პოეზიის საღამოებზე. მერე შეიძლება წიგნებიც წაიკითხონ.

საღამოს კლაუდიო პოცანით ვიწყებთ. ისეთი დეკლამატორია, მთელი აუდიტორია უცებ აჰყავს. მე ჩემს ერთ-ერთ ბოლო ლექსს ვკითხულობ. ეს არის თვითირონიული რეფლექსია იმაზე, თუ როგორ მოულოდნელად გადავიქეცი გენიოსად და რა რთულია, საერთოდაც, გენიოსობა.

ასეა.

სამშაბათი

დილიდან არც ისე ლიტერატურულ გარემოში ვარ – პროფილაქტიკაში. ჩემი ჯაბახანა „ლოლიტა“ ურევს. თავიდანვე ასე შევარქვი. სერია აქვს „LOL“, არის ზუსტად იმდენის, რამდენისაც ლოლიტაა ნაბოკოვის რომანში, მე კი ჰუმბერტ ჰუმბერტი ვარ. ალექსა მეუბნება, რომ ჰუმბერტი კი არა, პერვერტი ვარ, ამ სისულელეებზე რომ ვფიქრობ, მაგრამ ვიღაც ხომ უნდა იყოს პერვერტი, როცა გარშემო ამდენი წმინდანია. ზოგჯერ უკვირთ კიდეც, პოეტს რად გინდა მანქანაო. ჯერ ერთი, ამ ინდუსტრიულ არქეტიპს სიმბოლურად თუ დაარქმევ მანქანას და მეორეც, მე მგონი, პოეტები ტუალეტში რომ არ დადიან, იმ ოპერიდან არის ესეც.

პროფილაქტიკიდან რადიოში მიწევს გასვლა. იქიდან გამოსული ვხედავ, გოგო ეწვალება და მანქანას ვერ აყენებს სადგომზე. გავა-გამოვა, გავა-გამოვა, ვერა! ვიწყებ „სტაიანშჩიკობას“, არ შველის, ახალბედა მძღოლი ჩანს. ბოლოს მთხოვს, შენ გამოცდილი ჩანხარ და იქნებ დაჯდე და დამიყენოო. რა პრობლემაა-მეთქი, ვჯდები ამაყად, როგორც გამოცდილ მძღოლს შეეფერება, სწრაფად შევდივარ და... იქვე მდგარ მანქანას ვარტყამ.

ახლა მე და იმ გოგოს გვიწევს თავად იმ გოგოს მანქანის და, ბონუსად, ვიღაც ძალიან უჟმური კაცის ახალთახალი „მერსედესის“ გაკეთება.

მთელი დღისგან განსხვავებით, საღამო ნამდვილად ლიტერატურით სავსეა. ფესტივალის განრიგით, მე, კეროლინ

ზად ის დაასახელა, რომ ობიექტს შეჩერებული აქვს ძეგლის სტატუსი.

თბილისში გაიფიცნენ ხელნაწერთა ცენტრის თანამშრომლები, რომლებმაც მოითხოვეს დირექტორის შესარჩევი კონკურსის შედეგების გაუქმება და ცენტრისთვის ავტონომიის მინიჭება.

თბილის-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებელმა მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა ხელფასის გაზრდის მოთხოვნით.

რადიო თავისუფლებასთან ინტერვიუში ევროკავშირის საბჭოს ხელმძღვანელმა დონალდ ტუსკმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ევროკომისიის მომდევნო შეფასება საქართველოსა და უკრაინის მიერ სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე ისევე დადებითი იქნა, როგორც წინა ანგარიში, 2016 წელს შესაძლებელი გახდება უვიზო მიმოსვლის უზრუნველყოფა.

ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა საქართველოში ვიზიტად მყოფ ავსტრიის პრეზიდენტს ჰაინც ფიშერს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქართველო-ავსტრიის ბიზნესფორუმის გახსნაში.

უშედეგოდ დასრულდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გაფიცული თანამშრომლებისა და საქართველოს განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის შეხვედრა.

ცნობილი გახდა, რომ ნიკო ფიროსმანის სურათი „არსენალის მთა ღამით“ „ქრისტის“ აუქციონზე გაიყიდება.

ფორშეს და კიმბერლი ჯონსონს გვიწევს საერთო საღამოს ჩატარება. ქართულ-ამერიკული საღამოა. კეროლინის რამდენიმე ლექსი მე და დალილა გოგიამ ვთარგმნეთ. დალილამ – უკეთესად. ცოტას ვღელავ, მაგრამ მალევე მეხსნება – უშუალო და ლაღი პოეტები არიან კიმბერლიც და კეროლინიც.

20 ოთხშაბათი

ოკუპირებული ცხინვალის იზოლატორიდან გაათავისუფლეს „საზღვრის“ დარღვევისთვის ბოლო დღეებში დაკავებული საქართველოს ექვსი მოქალაქე.

ვლადიმირ პუტინმა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი დანიშნა თავის საგანგებო წარმომადგენლად სამხრეთ ოსეთთან გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხებში.

თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებელმა კომპანია „სინოჰოდრომ“ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე არა აქვს დასაქმებულთათვის ხელფასის გაზრდის შესაძლებლობა და გაფიცულებს მოუწოდა, განაახლონ მუშაობა.

მაისი

გვიან გამეღვიძა. საერთოდ, სამ-ოთხ საათს მძინავს, უკვე წლებია. ბიოლოგიური საათი არეული მაქვს. მშია. ნინოს ვურეკავ, იქნებ სადმე წაგვეხემსა. ჩემთან მოდი და რამე გემრიელი ჩვენ თვითონ გავაკეთოთო, მთავაზობს. ჩვენ ჩვენი უნიკალური რეცეპტები გვაქვს. კვერცხი ხახვით და არაჟნით ბოლოდროინდელი ერთობლივი ნოვაციაა. დარწმუნებული ვარ, მისით მსოფლიოს დაპყრობა შეგვიძლია. როლებსაც იქვე ვინაწილებთ: მე ხახვს ვჭრი და ცრემლებს ვაღვარღვარებ, ნინო კვერცხს და არაჟანს ანაწილებს. მზადაა. ხახვი მეტი მოგვვივიდა. ფაქტობრივად, ხახვს ვჭამთ ცოტაოდენი კვერცხის არომატით. არ ვიმჩნევთ. ერთმანეთს ვამხნევებთ, რომ ოქროს ხელები გვაქვს, ბაჯაღლოსი.

ნინო ჩემი ყოფილი გოგოა. მართალია, რამდენიმე თვეა, დავშორდით, მაგრამ თითქმის ყოველდღე მაინც ერთად ვართ. ვეუბნები, დღიურში უნდა გახსენო-მეთქი. ეცინება და თავს მიქნევს.

21 ხუთშაბათი

რიგაში გაიხსნა ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სამიტი, რომელშიც მონაწილეობს საქართველოს დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით.

საქართველოს, უკრაინისა და მოლდავეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ევროკომისარს სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში იოჰანეს ჰანს რიგაში გადასცეს პეტიცია ამ ქვეყნებისთვის ევროპული პერსპექტივის აღიარების მოთხოვნით.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელებმა დაამტკიცეს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული ბანკისგან საფინანსო ზედამხედველობის ფუნქციის გამოყოფას და ზედამხედველობის სააგენტოს შექმნას.

1872 წელს წამოუწყიათ მშენებლობა. სასახლის ბაღი სულაც ვერსალის მებაღეს დაუპროექტებია. ამ ბაღში კოტრიალი ჰყვარებიათ აკაკი წერეთელს და ილია ჭავჭავაძეს. ასეთია შატო მუხრანის ისტორია. ცვრიან ბალახს ჩვენც შევუდგით ბეჭები: მე, ლია ლიქოკელმა, ეკა ქევანიშვილმა და შოთა იათაშვილმა. მერე ჩვენს უცხოელ კოლეგებს შევერიეთ. ეს გასვლა ლიტერატურულმა პრემია „საბამ“ დაგეგმა და ფესტივალის მონაწილე ავტორები ამ საინტერესო სივრცეში გვამოგზაურა.

საღამოს – ისევ მწერალთა სახლი. და ისევ ფესტივალი. არაჩვეულებრივი სამებაა დღეს: ზვიად რატიანის, სერგეი ჟადანის და ვერა პავლოვას საერთო საღამო. ვერას ვეღარ მივუსწარი. თარგმანებს მთარგმნელები ახმოვანებდნენ. ბაკურაძეს უთარგმნია ჟადანის ლექსი და კითხვას იწყებს. სამჯერ დაიწყო და სამჯერვე დაავიწყდა. მგონი, ცოტა შეზარხოშებულია. გვერდით ეკო დეისაძე მიდგას და ყურში მიჩურჩულებს, გალის სიგარეტი აქვს უეჭველი მაგას მოწეულიო.

ნეტა, რა უნდა იყოს ეს „გალის სიგარეტი“?

22 პარასკევი

რიგაში დასრულდა „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ორდღი-

დაიწყოს ზუსტად, ევროპული პუნქტუალობით. დროა უკვე, ევროკავშირში მაინც მიგვიღონ. ცოტა ადრე მიწევს მისვლა მწერალთა სახლში, ამიტომ „ანტიკაფეში“ გავდივარ: ჯერ ერთი, აქვეა, დადიანზე და, თანაც, მეგობრისაა. საკმარისი მიზეზია. კრისტი გემრიელ ჩაის მახვედრებს, ლექსი დავწერეო, მეუბნება. რუსულად წერს, ჯერ ქართული ისე არ იცის. ჩაი ძალიან გემრიელია.

ზუსტად 9-ზე ფესტივალის დახურვაც იწყება. უცხოელებს ქართველები ენაცვლებიან, კითხულობენ თავიანთ და ნათარგმნ ტექსტებს. დიდხანს იწელება, უკვე 12-ის ნახევარია. უზომოდ ვიღლები და ვიპარები. დალილა გოგია და შორენა ლებანიძე მემგზავრებიან. ისინიც კარგა დაღლილები ჩანან.

პოეზიას გამოზოგვა უხდება. ამდენის ერთად მიღება არაა რეკომენდებული.

შაბათი

23

დღეს შაბათია. ისე მოხდა, რომ ჩემი დღიურები და ფესტივალი ერთმანეთს დაემთხვა, ამიტომ ძირითადად მასზე მომიხდა წერა.

კარგად მეძინა. დილისკენ რაღაც სიზმარიც ვნახე: პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი და ექსპრეზიდენტი სააკაშვილი მსტუმრობდნენ. მარწმუნებდნენ, რომ საქართველო გაბრწყინდებოდა. ოთახში, სადაც ვიყავით, ყალბი ოქროს ყანწები ეკიდა კედელზე, სამლიტრიანები. სააკაშვილმა ჩამოხსნა და რატომღაც ბაშარ ალ-ასადის სადღეგრძელო დალია. ღარიბაშვილიც აჰყვა, ვახტანგურად დალიეს. მერე იზასავეს იქვე სუფრასთან. კედელზე, ყანწების გვერდით ერეკლე მეორის სურათი ეკიდა, მის ქვემოთ მინიატიურული თოჯინა იყო ჩამოკონწიალებული, რომელიც პერიოდულად სტვენის ხმას გამოსცემდა. კარი გაიღო. გამეღვიძა.

რა უცნაური სიზმარი იყო! ალბათ MAP-ს მოგვცემენ.

ანი სამიტი, რომლის მონაწილეებმაც ხელი მოაწერეს დასკვნით დეკლარაციას.

რიგაში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მხრივ პირველი იყო მოლდავეთი, შემდეგი კი იქნება საქართველო და არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ საქართველოს მოქალაქეები 2016 წლიდან შეძლებენ უვიზოდ მოგზაურობას შენგენის ზონის ქვეყნებში.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ქვეყნის ეკონომიკისთვის „ზიანის მომტან პოლიტიკურ გადაწყვეტილებად“ შეაფასა საპარლამენტო უმრავლესობის საკანონმდებლო ინიციატივა ეროვნული ბანკისთვის საფინანსო ზედამხედველობის ფუნქციის ჩამორთმევის შესახებ.

საქართველოს ბიზნესასოციაციებმა ქვეყნის საბანკო სექტორისთვის, საინვესტიციო გარემოსა და მთლიანად ბიზნესისთვის საფრთხის შემცველად მიიჩნიეს საპარლამენტო უმრავლესობის საკანონმდებლო ინიციატივა ეროვნული ბანკისთვის საფინანსო ზედამხედველობის ფუნქციის ჩამორთმევის შესახებ.

საქართველოში აღინიშნა „აფხაზეთობის“ სახალხო დღესასწაული.

სალომე ბენიძე

პოეტი, მწერალი, მთარგმნელი. დაიბადა 1986 წლის 12 ნოემბერს ქუთაისში. სხვადასხვა დროს სწავლობდა ჟურნალისტიკას, საზოგადოებასთან ურთიერთობასა და პოლიტიკურ მეცნიერებებს თსუ-ში, ვილნიუსის (ლიტვა) უნივერსიტეტსა და თესალონიკის (საბერძნეთი) ალექსანდრეს ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. გამოცემული აქვს პოეტური კრებულები „მოხსენებითი ბარათი“ და „ამბავი უძინართა“, პროზაული კრებული „ქალაქი წყალზე“. მისი მოთხრობები სხვადასხვა დროს შევიდა კრებულში „15 საუკეთესო მოთხრობა“. არის ლიტერატურული პრემია „საბასა“ და წინანდლის პრემიის ლაურეატი. მუშაობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში, წერს რამდენიმე ბეჭდური და ინტერნეტგამოცემისთვის და აქტიურადა არის ჩართული სამოქალაქო მოძრაობაში ქალთა უფლებების დასაცავად.

24 კვირა

ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზთან რუსმა სამხედროებმა „საზღვრის“ დარღვევის ბრალდებით დააკავეს სამი პირი.

ვაზიანის პოლიგონზე საჩვენებელი სწავლებით დაიხურა საქართველო-აშშ-ის სამხედრო წვრთნა „ღირსეული პარტნიორი“.

თბილისში, თურქეთის საელჩოსთან, სამოქალაქო გაერთიანებების, „მწვანე მუშტისა“ და „ვეგან ბაზის“ თაოსნობით, გაიმართა აქცია, რომლის მონაწილეებმა პროტესტი გამოთქვეს თურქეთში ორი ატომური ელექტროსადგურის დაგეგმილი მშენებლობის წინააღმდეგ.

მაღვიძარამ ჯერ 8:30-ზე დარეკა, მერე 8:45-ზე. დიდი ხანია, ერთი ზარი აღარ მაღვიძებს. კვირადღეს ადრე ადგომა, მით უმეტეს, ძალიან რთულია ჩემთვის. ჩემი კვირადღეები ხშირად არ ჰგავს სხვებისას. ჩემი კვირადღეები ხშირად სამუშაოა. ასეა დღესაც. ორი წელი ხდება, რაც ქალთა საინფორმაციო ცენტრში ვმუშაობ. რეგიონებში გასვლა, ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამჯერად კახეთში ვართ და ტრენინგს ჟურნალისტებისთვის ვატარებთ, ცენტრალური და რეგიონული მედიის წარმომადგენლებს ვესაუბრებით გენდერზე, ქალთა უფლებებზე, ქალების პოლიტიკაში მონაწილეობასა და საერთაშორისო ვალდებულებებზე. დღეს ბოლო, მესამე დღეა. ყველა კმაყოფილი ჩანს, ტრენერებიც და მონაწილეებიც. უკვე შემიძლია, მშვიდად ვიყო.

წუხელ „ევროვიზიას“ ვუყურეთ. 2008 წლის მერე აღარ დავინტერესებულვარ, რა ხდება ამ კონკურსზე, თუმცა წელს ნინა სუბლატს ვგულშემატკივრობდი. როგორც ბევრ ადამიანს საქართველოში, მეც მქონდა იმედი, რომ ნინა ათეულში მაინც მოხვდებოდა. სამწუხაროდ, იმ ქვეყნებმაც კი, რომელთაგანაც მიჩვეული ვართ მხარდაჭერას, საკმაოდ დაბალი შეფასება მოგვცეს. რადგან „ევროვიზია“ პოლიტიკური ქვეტექსტებით გამორჩეული კონკურსია, წლევანდელმა შეფასებებმა გული დამწყვიტა და ცოტა შემაშფოთა. განსაკუთრებით

ვილნიუსის ჩართვას ველოდებოდი. არ დავმალავ, გამიხარდა, რომ ლიტვამ რუსეთს ერთი ქულაც არ მისცა. ლიტვაში 2006-07 წლებში ვსწავლობდი და არ არსებობს საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვა ქვეყანა, რომელიც „წვიმის მიწაზე“ მეტად მიყვარს. ლიტვა არის სახელმწიფო, რომელმაც იცის, რა უნდა, ჯიუტად მიიწევს წინ და უკან დახევას არ აპირებს. მახსოვს ლიტველების მხარდაჭერა 2008 წლის ომის დროს, მახსოვს მათი პოზიცია ჩვენთვის რთულ დღეებში. მგონია, რომ ლიტვა იმედებს არასოდეს გამიცრუებს და გულის სიღრმეში ვიმედოვნებ, რომ ოდესმე ისევ გადავსახლდები ვილნიუსში, თუნდაც რამდენიმე თვით.

ორშაბათი

ამ კვირაში არ ვმუშაობ. რამდენიმე შაბათ-კვირა დამიგროვდა, რაც სამსახურში და ტრენინგებზე გავატარე და გადავწყვიტე, საკომპენსაციო გამოსასვლელი დღეები ამეღო კარს მომდგარი წიგნის ფესტივალის გამო. როგორც წესი, ასე ხდება – სამსახურებრივ შვებულებას ლიტერატურას ვახმარ, ჩემი თარგმანების დასრულებას, წერას, ღონისძიებებს და ნამდვილი დასვენება მაინც არ გამომდის. ბოლოს, ალბათ, 2009 წლის აპრილში მოვიწყვე ნამდვილი არდადეგები, როცა საბერძნეთში სწავლის დროს საალდგომოდ იტალიაში გავემგზავრე.

არა, არ ვწუწუნებ. ჩემი ცხოვრება ისეთია, როგორიც თავად მინდოდა ყოფილიყო: დატვირთული და მოუსვენარი. დღის ბოლოს უკან რომ ვიხედები, ზოგჯერ თვითონაც მიკვირს, ამდენს როგორ ვასწრებ.

დილიდან გადარბენაზე ვარ. კიდევ კარგი, კახეთში წასვლამდე მანქანა ჩემს მეგობარს, სანდრო ლორთქიფანიძეს დავუტოვე. მოიცალა, მიხედა და ზეთგამოცვლილი დამახვედრა. უმეგობრებოდ არავინ და არაფერი არ ვარ. მთელი გულწრფელობით ვამბობ ამას. სანდრო კი, საერთოდ, ცალკე მდგომი ადამიანია ჩემთვის. მასთან მეგობრობა ჩემი ცხოვრების საუკეთესო ისტორიებს შორისაა.

ქალაქში ჩვეულებრივზე მეტი საცობია. დამოუკიდებლობის დღისთვის სამზადისის გამო ქუჩები გადაკეტილია. ძლივს ვაღწევ სასტუმრო „ბეტსიმდე“, სადაც ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამი“ სამუშაო შეხვედრას მართავს კამპანია „გმირი ფერმერი ქალის“ ფინალური ეტაპის მონაწილე ბლოგერებისთვის.

დიანა ანფიმიადი მირეკავს, მთხოვს, ჩემი მოკლე ბიოგრაფია გადავუგზავნო. ზუსტად არ ვიცი, რად უნდა, მაგრამ, დიანა რომ მხოლოდ კარგ საქმეებში მხვევს, ეს უკვე არაერთგზისაა დადასტურებული.

შეხვედრის მერე მეგობრების შვილებისთვის საჩუქრების საყიდლად გავრბივარ. საცობში 50 წუთს ვატარებ, ვაკე-საბურთალოს ახალ გზაზე უქმად დგომით ვსარგებლობ და ხა-

25

დეპუტატმა ზურაბ ჯაფარიძემ ფეისბუკზე გამოქვეყნებული განცხადებით დაადასტურა გავრცელებული ცნობა, რომ მან, პავლე კუბლაშვილმა, გოგა ხაჩიძემ და გიორგი მელაძემ დატოვეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტებს წარუდგინა 2014 წლის ანგარიში, რომელიც კომიტეტებმა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს.

ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ახალ დირექტორს ზაზა აბაშიძესა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს თამარ სანიკიძეს.

თუნას ვურეკავ. ხათუნა ჩემი ცხოვრების პატარ-პატარა სიხარულებს ქმნის – ჩემს კაბებს. ვთხოვ, რამდენიმე თვის წინ ნაყიდი კაბა, რომელიც მგონია, რომ არ მიხდება, როგორმე გადააკეთოს და მომარგოს. ხათუნასი ისე მჯერა, როგორც საკუთარი თავის, მჯერა, რომ ისიც, როგორც მე, ჯადოქრების შთამომავალია და, როცა ადამიანური რესურსი აღარ ჰყოფნის, რაღაც არნახული მაგიის დახმარებით ახერხებს ყველაფრის მოგვარებას.

ზვიად კვარაცხელია მირეკავს. მეუბნება, რომ ჩემი თარგმანი, მილორად პავიჩის „უნიკალური ეგზემპლარი“, სტამბიდან გამოვიდა და შემიძლია, გამომცემლობაში მივიდე. პროექტი „პავიჩი ქართულად“ გამომცემლობა „ინტელექტს“ ეკუთვნის. ჩემი ლექსების კრებულებიც „ინტელექტის“ გამოცემულია. საერთოდაც, საკუთარ თავსა და ნაწერებს სერიოზულად რომ შევხედე, დიდწილად ზვიადის დამსახურებაა.

გამომცემლობიდან „მაკდონალდსში“ მივდივარ. იქ ანი და მარი მელოდებიან, ლეასთან ერთად. „უნიკალური ეგზემპლარის“ პირველ ეგზემპლარს ანის ვუძღვნი საჩუქრად. ის ჩემი თარგმანის პირველი მკითხველია. თვეების განმავლობაში ვუგზავნიდი გამოუქვეყნებელ თარგმანს, ის კი ერთგულად კითხულობდა და თავის აზრს მიზიარებდა. ჩვენ არც ბავშვობის მეგობრები ვართ და არც უნივერსიტეტის. ის ჯერ სანდროს შეყვარებული გახდა და მერე ჩემი მეგობარი, მაგრამ ასე მგონია, მთელი ცხოვრება ვიცნობდი და ჩემს დღეებს, ჩემს წლებს, ყოველთვის გვერდით მოჰყვებოდა.

გოგოებს სახლებში ვარიგებ, უკვე გვიანია. ლეა, რომელიც ჯერ სამი წლისაც არაა, ჩემ უკან ზის და ინგლისურ საბავშვო სიმღერებს მღერის. მეც მიყვარდა ეს სიმღერები სკოლის პირველ წლებში. მღერის მთელი მონდომებით, საყვარლად და სასაცილოდ, მაგრამ ზუსტად.

ზოგჯერ ბედნიერება სწორედ ასეთია: ქალაქი, რომელიც დასაძინებლად ემზადება, მეგობრები, რომლებიც ხმამაღლა იცინიან და პატარა, ლამაზი და ჭკვიანი გოგო, მეგობრების შვილი, რომელიც შენი ბავშვობის სიმღერას მღერის.

26 სამშაბათი

საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არაერთი ღონისძიებით აღინიშნა დამოუკიდებლობის დღე.

ოსურმა მხარემ გაათავისუფლა და ქართველ სამართალდამცველებს გადასცა „საზღვრის“ დარღვევისთვის სხვადასხვა დროს დაკავებული ათი მოქალაქე.

თბილისის ზოოპარკში ვეფხვებმა მძიმე ტრავმები მიაყენეს მათს მომვლელს გულიკო ჭიტაძეს.

დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა, დღე, რომელიც ყველაზე დიდი დღესასწაული უნდა იყოს, თუმცა ჩვენ მას ძირითადად გადაკეტილი ქუჩების გამო წუწუნით აღვნიშნავთ. სულ ვფიქრობ, რომ სახელმწიფო მხოლოდ მაშინ ვიქნებით, როცა ხალხი დამოუკიდებლობის დღეს ისეთივე სიხარულითა და ენთუზიაზმით მიულოცავს ერთმანეთს, როგორითაც სხვა საერო და საეკლესიო დღესასწაულებს ულოცავს. თუმცა ამას, ალბათ, დრო სჭირდება. ჯერ ერთმანეთისთვის ცხოვრების შემსუბუქება უნდა ვისწავლოთ, ზებრაზე გზის დათმობა, წითელზე ქუჩის გადაჭრისგან თავის შეკავება, ჩვენზე გაჭირვებულების დახმარება, სხვისი განსაცდე-

ლის გამო თავის შეწუხება. ერთი სიტყვით, თანაცხოვრებაში გვჭირდება მეცადინეობა.

დღეს ჩემთვის ორმაგად დიდი დღესასწაულია. წუხელ თბილისში ჩემი საყვარელი სერბი მწერლის, მილორად პავიჩის ქვრივი, იასმინა მიხაილოვიჩი ჩამოვიდა. ის თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის განსაკუთრებული სტუმარია. ფესტივალზე გამომცემლობა „ინტელექტი“ წარადგენს სერიას – „პავიჩი ქართულად“. იასმინა სწორედ „ინტელექტის“ მოწვევით იმყოფება საქართველოში და დღეს გამომცემლობის ოფისში გვხვდება მთარგმნელებს, რედაქტორებს, დიზაინერს – ყველას, ვინც წვლილი შეიტანა პავიჩის ქართულად გამოცემაში.

მხიარული ჩანს, უბრალო და თბილი, მთარგმნელებს სათითაოდ გვეხვევა, გვკოცნის და მადლობას გვიხდის გაწეული სამუშაოსთვის. ყველას სახელი და გვარი იცის. აღტაცებულია გარეკანებით და კომპლიმენტებს არ იშურებს დიზაინერის, თეონა ჭანიშვილის მისამართით (ჩვენც ვუერთდებით). „იცი რა, მშვენივრად ვხვდები, რატომ ეყვარებოდა ეს ქალი მილორადს“, – მეუბნება ქეთი ყანჩაშვილი, მთარგმნელი იასმინა მიხაილოვიჩის წიგნისა „ხაზართა ზღვის ნაპირებზე“. მე თავს ვუქნევ. ინტერესი მკლავდა, როგორი უნდა ყოფილიყო ჩემი ყველაზე საყვარელი მწერლის მუზა და ცხოვრების მეგზური. პირველმა შთაბეჭდილებამ არ გამაწბილა.

იასმინა ჰყვება მილორადზე, ჰყვება სიყვარულით, ემოციებით, მონატრებით. „ის წარსულიდან უყურებდა მარადისობას, მე უფრო თანამედროვე ამბები მაინტერესებდა. ჩვენ სხვადასხვა დროში ვცხოვრობდით და ბედნიერი ვარ, რომ გადავიკვეთეთ... ვეჭვიანობდი თუ არა? რა თქმა უნდა, ვეჭვიანობდი. ვეჭვიანობდი ყველა ქალზე, ვინც მის წიგნებშია“, – ამბობს ის და თვალები ისე უციმციმებს, რომ ვხვდები: ალბათ, სწორედ ასეთია ვარსკვლავების ნათება ხაზარეთის ცაზე.

იასმინას ბევრი რამ მინდა ვკითხო, იმდენი, რომ უხერხულიც კია. არადა, თავის შეკავება ძნელია. ყოველდღე არ ხვდები ადამიანს, რომელიც შენს საყვარელ მწერალს ამქვეყნად ყველაზე უკეთ იცნობდა. ცოტა მერიდება, მაგრამ მაინც ვეკითხები, საკუთარი ნაწარმოებებიდან რომელი უყვარდა ყველაზე მეტად თავად პავიჩს. პასუხმა გამაოცა: კაცს, რომელიც მსოფლიომ რომანებით გაიცნო, ყველაფერს თურმე თავისი ლექსები ერჩივნა. უკან ეკა ქევანიშვილი მიზის და შემიძლია, თავი დავდო, რომ ისიც იმასვე ფიქრობს, რასაც მე: პოეზიით თავის დამკვიდრება ძნელია, პოეზია ნაკლებად აინტერესებთ გამომცემლებს, პოეზია არ იყიდება საერთაშორისო ლიტერატურულ ბაზარზე. ოდესმე, ალბათ, ჩვენც რომანების წერაზე გადავალთ.

საღამოს „ლიბერალის“ დაბადების დღეზე უნდა წავიდე. ჩემი საყვარელი ჟურნალია, ჩემი საყვარელი ჟურნალისტებით. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის „პიარს“, ყო-

ველთვის მაქვს მათი იმედი. მედიაადვოკატირებაში ნამდვილი ჩემპიონები არიან!

სანამ „ლიბერალს“ ვესტუმრები, მაკასთან ვასწრებ შერბენას. რადგან დასვენების დღეა, ყველა ვიყრით თავს: მაკა, ნინა, ბელა, თამთა და მე. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე შიგნითა მხარეა, სადაც ყოველთვის მივდივარ, ზოგჯერ ძალიან დაღლილი, ზოგჯერ ძალაგამოცლილი, სასოწარკვეთილიც კი. მაშინაც, როცა მგონია, რომ მორჩა, აღარაფერი შემიძლია, მათი იმედი მაქვს. ჩვენ არ ვართ ერთმანეთის მიმართ მუდმივად სითბოს გამომხატველი სამეგობრო და არც სოციალურ ქსელებში ვუწერთ ერთმანეთს გულის ამაჩუყებელ კომენტარებს, მაგრამ მათი სიყვარული ყველაზე დიდი რამაა ჩემს ცხოვრებაში – არაჩვეულებრივი და ყოვლისშემძლე. ამ ეზოს, მაკას მშობლების სახლის მწვანე ეზოს, ბევრი ჩვენი თავგადასავალი ახსოვს, ახლა კი ჩვენი ბავშვების, უფრო სწორად, ჩემი გოგოების ბავშვების თავგადასავლების მოწმეცაა. არ გამოვრიცხავ, საოცრებათა ქვეყანაში გადასასვლელიც სადმე აქ იყო, ჩემი მეგობრის ეზოში, შუაგულ თბილისში.

27 ოთხშაბათი

„პიკის საათით“ დაწყებული დღე ყოველთვის კარგი დღეა. აქ ოდესღაც სტაჟიორი ვიყავი, ახლა კი ხშირი სტუმარი ვარ. ამჯერად წიგნის ფესტივალზე და პავიჩზე სალაპარაკოდ მიმიწვიეს.

რადიოდან გამოსული, სოლარიუმში შერბენასაც ვასწრებ, მერე „პროსპეროში“ მივდივარ საწერად. ვგიჟდები „პროსპეროს“ ომლეტზე. მისი გემოს მიხედვით შემიძლია, შეუცდომლად გამოვიცნო, დღეს რომელი მორიგეობს მათი მოღიმარი და საყვარელი გოგოებიდან.

„ექსპო-ჯორჯიაში“ მივდივარ. მარის და ირაკლის დავპირდი, დაგეხმარებით-მეთქი. მარი და ირაკლი ჩემი მეგობრები არიან. ორი წლის წინ ბათუმში გახსნეს მაღაზია „წიგნები ბათუმში“, რამდენიმე თვის წინ კი – ამავე სახელწოდების გამომცემლობა. შეუძლებელია, მათმა ენთუზიაზმმა და საქმის სიყვარულმა გულგრილი დაგტოვოს, ამიტომ მეგობრები ვცდილობთ, ისე შევუწყოთ ხელი მათს წინსვლას, როგორც შეგვიძლია.

საშინლად ცხელა. მე და მარი გადასაფარებლების საყიდლად მივდივართ – გამომცემლობისა და მაღაზიის სტენდი კარგად უნდა გამოიყურებოდეს.

„ექსპოში“ დაბრუნებული, მათს წიგნებს ვათვალიერებ. საოცრებაა! ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა და მაინც გაოცებული ვარ, რომ ეს ყველაფერი რამდენიმე თვეში მოახერხეს. აი, რა ხდება, როცა ორ ჭკვიან და ენთუზიასტ ადამიანს ერთმანეთი შეუყვარდება და საერთო ოცნების ასახდენად ძალ-ღონეს არ იშურებს.

საღამოს თუმანიშვილის თეატრში საზეიმო მიღება და იას-

დეპუტატებმა ზურაბ ჯაფარიძემ, პავლე კუბლაშვილმა, გოგა ხაჩიძემ და გიორგი მელაძემ განაცხადეს, რომ იწყებენ „ახალი პოლიტიკური ცენტრის“ შექმნას.

„საქსტატმა“ გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა თანახმად 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, უმუშევრობა საქართველოში 2,2%-ით შემცირდა და 12.4% შეადგინა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ბოლო 11 წლის განმავლობაში.

პარლამენტმა ცნო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრად დანიშნული გიგლა აგულაშვილის ადგილმონაცვლის, რესპუბლიკელი თემურ ნერგაძის სადეპუტატო უფლებამოსილება.

ირაკლი ღარიბაშვილმა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ფრენსის გარიმ თბილისში ხელი მოაწერეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმს.

მინა მიხაილოვიჩის წიგნის პრეზენტაციაა. სანდროს გადაღებები აქვს და ვერ მოდის. მე, ანი, მარი და ირაკლი შვიდ საათზე ადგილზე ვართ. არაფერი გვეტყობა, რომ დილის რვიდან ფეხზე ვდგავართ და ვმუშაობთ, დავრბივართ და არ დაგვისვენია. ბედნიერი ვარ, რომ ამას ვახერხებ. კიდევ უფრო ბედნიერი ვარ, რომ მეგობრებიც ასეთი შემხვდა.

ხუთშაბათი

28

დღეს დედაჩემის დაბადების დღეა. ყოველ წელს ვაპირებ, 28 მაისს ქუთაისში ვიყო, მაგრამ მაინც ვერ ჩავდივარ. დედაჩემს ესმის, რომ გადატვირთული განრიგი მაქვს და არ მსაყვედურობს. საერთოდ, მას უფრო კარგად ესმის ჩემი, ვიდრე ამბობს და ვიდრე მე ვაღიარებ. ვიცი, რომ თავისი დედა ყველა შვილს საუკეთესო ჰგონია. არც მე ვარ გამონაკლისი, მით უმეტეს, რომ დედაჩემი მართლაც არაჩვეულებრივი ქალია: ლამაზი, ჭკვიანი და უშიშარი. ორი წლის ვიყავი, როცა მამა გარდამეცვალა. მას შემდეგ ოცდაექვსი გრძელი წელი გავიდა, დედას კი ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს უკან, ისე იარა წინ, თავისი მიზნისკენ, რომელსაც ჩემი ბედნიერება ერქვა და ჰქვია დღემდე. თუ ვინმე მკითხავს, როგორ გავხდი ფემინისტი, აუცილებლად ვიტყვი, რომ ამის მაგალითი დედაჩემმა მომცა – ისე, რომ ტერმინებსა და დეფინიციებზე არ უფიქრია. უბრალოდ, ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ქალი დამოუკიდებელი უნდა იყოს, რომ ყველაფერს ჩემით უნდა მივაღწიო, რომ საშინელებაა, როცა ქალს საკუთარი შემოსავალი არა აქვს და მამაკაცზეა დამოკიდებული. მართალია, ხშირად წუხს, რომ „ამხელა გოგო“ ვერ ვდიასახლისობ, რომ რთული ხასიათი მაქვს და ეშინია, რომ ჩემთან ცხოვრებას ვერც ერთი კაცი ვერ გარისკავს, მაგრამ ნამდვილად ვიცი, ძალიან ამაყობს, ასეთი რომ ვარ და არა სხვანაირი.

შვებულებაში კი ვარ, მაგრამ მაინც ვერ ვისვენებ და კავკასიის უნივერსიტეტში გავრბივარ, სადაც ქალთა საინფორმაციო ცენტრის დირექტორი, ელენე რუსეცკაია და რექტორი, კახა შენგელია, ხელს აწერენ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

დღეს მანქანაც დავაზღვიე, თეკლა დამეხმარა ტექნიკური დეტალების მოგვარებაში. ის ჩემი ბავშვობის მეგობარია. სულ ვეჩხუბები იმის გამო, რომ ტელეფონს არასოდეს პასუხობს, მაგრამ ჩემს გაბრაზებაზე ისე გულიანად ეცინება, როგორც არავის. ალბათ, ამიტომ გვაკავშირებს ამდენწლიანი მეგობრობა. რამდენწლიანი? ზუსტად არ მახსოვს. ალბათ, ოც წელს მალე მივუკაკუნებთ.

პირველ საათზე წიგნის ფესტივალი იხსნება. იასმინა მიხაილოვიჩი სიტყვით გამოდის, მერე კი გამომცემლობა „ინტელექტის“ სტენდთან ავტოგრაფებს არიგებს. მე და ქეთი ყანჩაშვილს მისთვის საჩუქარი გვაქვს. გახარებული იასმინა გულში გვიკრავს ორივეს და მადლობას გვიხდის. გულწრფე-

საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა პარლამენტის წინააღმდეგ უჩა ნანუაშვილისა და მიხეილ შარაშიძის მიერ ორი წლის წინ შეტანილი სარჩელი, არაკონსტიტუციურად ცნო 73 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის განსაზღვრის წესი და მიუთითა, რომ მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა.

პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით დამტკიცა პრეზიდენტის ბრძანება, რომლის თანახმად ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სწრაფი რეაგირების ჯგუფში ჩაერთვება საქართველოს შეიარაღებული ძალების ხუთი სამხედრო მოსამსახურე, მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში კი მონაწილეობას მიიღებს ერთი ოფიცერი.

თბილისში გაიხსნა წიგნის მე-17 საერთაშორისო ფესტივალი.

ლად მშურს ადამიანების, რომლებიც ასე გამოხატავენ სითბოს და ყურადღებას. მე არ გამომდის.

დილით, სანამ იასმინას საჩუქარს ვფუთავდი, სალომეს დავურეკე. ათას სისულელეზე ვიქაქანეთ. საკუთარ თავს ვუტყდები: როცა ყველა მეგობარს ოჯახი და შვილი ჰყავს, ძალიან მნიშვნელოვანია, გეგულებოდეს თუნდაც ერთი ადამიანი, ვისაც შეუძლია, შუაღამისას გამოვიდეს სახლიდან და კინოში წამოგყვეს და ცხოვრებასაც იმ წერტილიდან ადევნებდეს თვალს, საიდანაც შენ. სალომე ჩემთვის ზუსტად ასეთი ადამიანია.

29 პარასკევი

ცხინვალის დე ფაქტო ლიდერმა ლეონიდ თიბილოვმა ტასის საინფორმაციო სააგენტოსთან საუბარში განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის ხალხი ერთმნიშვნელოვნად ელოდება ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას, თუმცა დასძინა, რომ მისი ხელისუფლება ამ საკითხს სიფრთხილით ეკიდება, რათა ისედაც რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში არ დააზარალოს რუსეთის ინტერესები.

განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის შუამავლობით აფხაზურ მხარესთან მიღწეულია შეთანხმება აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების მიზნით კიდევ 11 სამარხის გახსნის შესახებ.

ევროპასთან ინტეგრაციისა და აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებად აირჩიეს ლევან ბერძენიშვილი და გელა სამხარაული, რომლებმაც შეცვალეს მინისტრებად დანიშნული თინა ხიდაშელი და გიგლა აგულაშვილი.

გასი

გუშინ ვფიქრობდი, ხვალ მხოლოდ პავიჩზე და ჩემს თარგმანზე დავწერ-მეთქი, მაგრამ ვინ დაგაცადა. შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ გაზის ინკასატორმა, რომელმაც ვერა და ვერ დამიჭირა შინ, გადაწყვიტა, სახლში არავინ ცხოვრობსო და გაზი გადამიკეტა. ყველა შესაძლო ნომერზე დავრეკე, გავბრაზდი, ვიჩხუბე და ბოლოს, როგორც იქნა, ჩამირთეს. უნდა გამოვტყდე, საოჯახო საქმეები მკლავს. სახლის ერთხელ დალაგებას ტრენინგის ჩატარება ან ათეულობით გვერდის თარგმნა მირჩევნია, მაგრამ რას ვიზამ, ჩემი არჩევანია, ყველაფერს თავად გავწვდე და ვალდებული ვარ, საკუთარ არჩევანს ისევე ვცე პატივი, როგორც სხვებისას.

საღამოს მწერალთა სახლში პავიჩის ყველა ქართული თარგმანის წარდგენაა. „უნიკალურ ეგზემპლარზე“ რომ არაფერი ვთქვა, არ გამოვა. ჯადოსნური წიგნია! ბედნიერი ვარ, რომ მე ვთარგმნე და არა ვინმე სხვამ. პავიჩზე მეტად არც ერთი მწერალი არ მიყვარს. ან როგორ შეიძლება, არ ვგიჟდებოდე კაცზე, რომელმაც საკუთარი სურვილების მოთვინიერება და სიზმრების მოსმენა მასწავლა, რომელმაც მითხრა, რომ მართალი ვარ, როცა ცხოვრება შიშების დაძლევა მგონია. ნეტავ ისე გამმართლებოდა, რომ ცოცხალი ყოფილიყო და თბილისში სტუმრად ისიც ჩამოეყვანათ. ახლა ისღა დამრჩენია, სალმან რუშდისთან შეხვედრაზე ვიოცნებო. ჩემი და მისი სიყვარული ცალკე ამბავია.

პრეზენტაციამდე ნიკას მესიჯი მომდის, მებოდიშება, რომ ვერ მოვიდა. საპატიო მიზეზი აქვს, ვერაფერს ვიტყვი. წუხელ რაღაცებს მიყვებოდა ფეისბუკის ჩატში. როგორც ყოველთვის, ბევრი მაცინა. როგორ უნდა გავუბრაზდე?

პრეზენტაციაზე მადლობების გადახდა ჩემი საყვარელი საქმეა. მადლობას ვუხდი გამომცემელს, მეგობრებს, ჩემს საყვარელ რედაქტორს, თაკო ლონდარიძეს, თან ხალხს ვათვალიერებ. ბოლო რიგში მაკა სეხნიაშვილი ზის, ჩემი ყოფილი უფროსი და დიდი მეგობარი, რომელსაც სრულიად დამსახურებულად, ჩემს მეორე დედად მოვიხსენიებ. მარიკა ბაკურაძე გვიან დავინახე. აშკარად ძალიან დაღლილი სახე აქვს. როგორ მინდა, დაისვენოს. საკუთარ დასვენებაზე ხომ ვოც-

ნებობ, მაგრამ მარიკას დასვენება კიდევ უფრო დიდ ოცნებად მაქვს ქცეული. გოგა ჩანადირი ფოტოებს მიღებს. რაც ვმეგობრობთ, სულ ვსაყვედურობ, ერთი ნორმალური ფოტო არ გადაგიღია ჩემთვის-მეთქი და ბოლო რამდენიმე დღეა, გადაწყვიტა, როგორც თავად ამბობს, „ჩემი ყბიდან ამოვიდეს“. მაკა, ნინა, თამთა და ბელა ვერ მოვიდნენ, მგონი, ცხოვრებაში პირველად მოხდა, რომ ჩემთან დაკავშირებულ დიდ ამბავს არც ერთი არ ესწრება. ძალიან დამწყდა გული, მაგრამ მესმის, ღმერთობა რომ ძნელია. ეს ხომ ისედაც ვიცით და, მგონი, დედობა კიდევ უფრო ძნელია.

იასმინა მიხაილოვიჩი ამაღამ მიფრინავს. საჯაროდ გვპირდება, რომ შემდეგ წიგნს საქართველოზე დაწერს. დამშვიდობებისას მეუბნება, რომ მზადაა, პირადად გამიწიოს კონსულტაცია, თუ პავიჩის სხვა ტექსტის თარგმნასაც მოვკიდებ ხელს. თბილისში მისი ყოფნა ჩემი გაზაფხულის საუკეთესო ნაწილი იყო. შვილიშვილებს სიამაყით მოვუყვები, როგორ შევხვდით ერთმანეთს მე და იასმინა – დიდი და პატარა ჯადოქრები.

შაბათი

ნინო ნადიბაიძემ მითხრა, რომ „15 საუკეთესო მოთხრობის“ დაჯილდოება 11 ივნისისთვის იგეგმება. მიყვარს ეს პროექტი. თუ ოდესმე მოვახერხე და მოთხრობების კრებულს თავი მოვუყარე, „15 საუკეთესოს“ დამსახურება იქნება და ლელა ცისკარიშვილის, რომელმაც რამდენიმე წლის წინ საგულდაგულოდ გადამალული მოთხრობა გამომატანინა სააშკარაოზე.

დილიდან მენატრება ბათუმი. უფრო სწორად, არ ვიცი, ბათუმი უფრო მენატრება თუ მაიკო. სხვანაირად რომ ვთქვა, ბათუმი ჩემთვის მაიკოა და მისი ოჯახი. ბათუმი ჩემთვის ცხოვრების თავიდან დაწყებაა. ივნისში აუცილებლად წავალ.

თეას ფოტოებს ვათვალიერებ. პორტუგალიაში აკეთებს სადოქტოროს. მინდა, მალე ჩამოვიდეს. წარმოუდგენლად დიდ სტიმულს მაძლევს ყოველთვის, როცა ჩემს ცხოვრებაში გარდამტეხი მომენტი დგება. თეასნაირები ცოტანი არიან. ისინი ახლოს უნდა გყავდეს.

სამსახური მომენატრა. ჩვენი გადარბენა, ჩვენი დიდი და ნათელი ოთახი, გვერდით – მარიამი და ნანუკა. დატვირთული კვირა იქნება. 5 ივნისს ქალთა საინფორმაციო ცენტრის 15 წლის იუბილეს აღვნიშნავთ. ხვალინდელ დღესაც მოუთმენლად ველოდები: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე უნდა გავიდეს ვიკა ბუკიას ტელებლოგი „შუშის ჭერი“, რომლის მთავარი თემა ქალების პოლიტიკაში მონაწილეობაა. წელს გადამწყვეტი წელია, წინ საპარლამენტო არჩევნები გვაქვს და წლევანდელ მუშაობაზე დიდწილადაა დამოკიდებული, გაიზრდება თუ არა 2016 წლის მოწვევის პარლამენტში ქალთა რაოდენობა.

კედის უნდოდა, ხვალ ქალაქგარეთ გავსულიყავით. რაღაც

30

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშნა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც მანამდე უკრაინის მოქალაქეობა მიანიჭა.

გიორგი მარგველაშვილის თაოსნობით თბილისში მოეწყო კონფერენცია საარჩევნო სისტემის გარდაქმნის საკითხებზე, რის შემდეგაც ფორუმის მონაწილე 14 პოლიტიკურმა პარტიამ და 8 არასამთავრობო ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს ერთობლივ დოკუმენტს.

ტური გამოძებნა, ექსტრემალური გასართობებით. რომელი ექსტრემალი მე ვარ, მაგრამ დრო რომ მქონდეს, კედის და სანდროს ხათრით წავიდოდი. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხებ.

მთელი კვირა უცნაურ სიზმარს ვხედავდი: ჰერმიონ გრეინჯერი ვიყავი და დემენტორებს ვიგერიებდი ჰოგვორტსის კედლებთან. პრინციპში, ჩვენი ყოველდღიურობაც ასეთია: ადამიანები მუდმივად ვდგავართ საკუთარი სიმშვიდის ციხე-სიმაგრესთან და დარდსა და ტკივილს ვებრძვით. ასე ვარ მეც. მიყვარს, ძალიან მიყვარს ჩემი ცხოვრება, მთელი თავისი მღელვარებითა და მოულოდნელობებით, ბევრი საქმით, გზებით, მსოფლიოში საუკეთესო მეგობრებით, მიყვარს ისეთი, როგორიც არის, როგორიც მე თვითონ შევქმენი.

ხვალ წიგნის ფესტივალი იხურება. ორშაბათიდან აერობიკას, აკვააერობიკას და სირბილსაც განვაახლებ. ახლა კი წავედი, „ახალი საუნჯისთვის“ მოთხრობის წერა უნდა დავასრულო, თორემ შოთა იათაშვილი ნამდვილად მომკლავს.

იოსებ ბარათაშვილი

ადვოკატი. დაიბადა 1960 წლის 19 მაისს ბოლნისში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტი; თსუ იურიდიული ფაკულტეტი; წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურა. 80-იანი წლების დასაწყისიდან იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი; კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გეოლოგიური ექსპედიციის ინჟინერ-გეოლოგად; საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის პედაგოგად, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის იურისტად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიწვეულ სპეციალისტად. იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, სისხლის სამართლის კომიტეტის თავმჯდომარე, იურიდიული კომპანია „პროცესის“ პარტნიორი და დირექტორი, სისხლის სამართლის რეფორმების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს თანამომხსენებელი. არაერთხელ ყოფილა აღიარებული საქართველოს წლის საუკეთესო ადვოკატად. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გამგეობის წევრი, არაერთი პუბლიკაციის ავტორი.

კვირა

საჯაროდ წასაკითხად დღიურის წერა მთლად ჩვეულებრივი რამ არ უნდა იყოს. თან გულწრფელი მინდა ვიყო და თან ხალისი არა მაქვს, ჩემი პირადი ცხოვრების ან პროფესიული საქმიანობის დეტალები ფართო საზოგადოების განხილვის საგნად ვაქციო.

რატომ დავთანხმდი შემოთავაზებას ერთი კვირის განმავლობაში დღიურის წერის შესახებ? რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ რადიო თავისუფლება ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ადრეული ახალგაზრდობიდან ვუსმენ, იმ დროიდან, როდესაც ახშობდნენ და წარმოუდგენელ ხრიალში მიხდებოდა რადიომიმღებში ცალკეული ფრაზების გარჩევა. რადიო თავისუფლება ჩემს ცნობიერებაში დაკავშირებულია დისიდენტურ მოძრაობასთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და, რაც მთავარია, სიმართლის ხმასთან იმ გარემოში, რომელშიც უსამართლობა და სიცრუე იყო გამეფებული.

მახსოვს, 80-იანი წლების დასაწყისში პირველად მოვისმინე იმ დროს ჯერ კიდევ აკრძალული, გრიგოლ რობაქიძის შესანიშნავი ესე „რა უნდა აგონდებოდეს ქართველს“, გადმოცემული რადიო თავისუფლების ეთერით. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი ადგილი: „ქართველი ხდება ‘თავნება’, როცა იგი ვერ ჰპოულობს სხვაში გამოხმაურს: ასხივოსნებას. იგი ხდება ურჩი და უდრეკი. მას ვერც მოხრი და ვერც გასტეხ. ხოლო საკმარისია ‘შეასახელო’ იგი, რომ ეს ურჩი და უდრეკი მყისვე

გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმით მიხეილ სააკაშვილმა შეურაცხყოფა მიაყენა ქვეყანასა და პრეზიდენტის ინსტიტუტს.

სენაკისა და ზუგდიდის ოლქებში გაიმართა საკრებულოს საშუალედო არჩევნები.

მოდრკეს და იქცეს თვინიერ. ეტყვი მას მზიური გულგადაშლით: 'შენს მეტი ამას აბა ვინ შეასრულებს!': და იგი, წაქეზებით ახალისებული, თავს გასწირავს, ოღონდ კი შეასრულოს დაკისრებული. აქ იმალება 'შესახელება'. სადაა 'სახელი' თუ შესრულებული ბრძანების შედეგია? ბრძანებით საქართველოში ვერაფერს მიაღწევ – ხოლო შესახელებით ყველაფერს. ეს უნდა იცოდეს წინასწარ ყოველმა მმართველმა ქართველი ხალხისა."

საქართველოს რომელიმე ხელისუფალს რომ გაეთვალისწინებინა ეს სიტყვები, იქნებ ბევრად ნაკლები უბედურება მომხდარიყო და ქვეყანაც დღეს უკეთეს მდგომარეობაში ყოფილიყო. ვინ იცის...

დღეს ამერიკის იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელების თხოვნით ჩემივე კოლეგების – ადვოკატების წინაშე უნდა წავიკითხო ლექცია სისხლის სამართლის პროცესის პრობლემურ საკითხებზე. საპასუხისმგებლო საქმეა. მივდივარ ამერიკის იურისტთა ასოციაციის ოფისში, ჭავჭავაძის გამზირზე. ვხვდები პროექტის კოორდინატორს, მამუკა მამაცაშვილს, და ადვოკატებს. მოხსენება, შემდეგ – შეკითხვები, და საუბარი. ვგრძნობ კეთილგანწყობას კოლეგების მხრიდან. ბევრ მათგანს კარგად ვიცნობ სხვადასხვა პროცესიდან. დიდ პატივს ვცემ მათ და ყველა იმ ადვოკატს, რომელთაც, უკანასკნელი წლების დიდი სირთულეების მიუხედავად, უკან არ დაუხევიათ და ყველაფერი გააკეთეს თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფების დასაცავად და გადასარჩენად.

შემდეგ სახლში ვბრუნდები; საღამოს ოჯახთან ერთად ვატარებ.

დღეს სულთმოფენობაა. ყველას ვულოცავ.

1 ორშაბათი

ცესკოს მიერ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემების თანახმად, სენაკისა და ზუგდიდის საკრებულოების 31 მაისს მოწყობილ საშუალედო არჩევნებში გაიმარჯვეს კოალიცია „ქართული ოცნების" კანდიდატებმა.

ბრიუსელში გაიმართა თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მოსკოვში მიიღო სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი.

ცნობილი გახდა, რომ ნიკო ფიროსმანის „არსენალის მთა ღამით" „ქრისტის" აუქციონზე მილიონნახევარ დოლარად შეიძინა საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც გადაწყვიტა, სურათი

შეხვედრა დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბში მისი თავმჯდომარის, სოსო ცისკარიშვილის მიწვევით. შეხვედრას ესწრებიან ექსპერტები, აგრეთვე თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია და პარლამენტის წევრი, ჩემი მეგობარი შალვა შავგულიძე.

საუბარი შეეხება თავდაცვის სამინისტროს ხუთი თანამშრომლის: ნუგზარ კაიშაურის, დავით წიფურიას, გიზო ღლონტის, გიორგი ლობჟანიძისა და არჩილ ალავიძის სისხლის სამართლის საქმეს დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვის ბრალდებით, ანუ „კაბელების საქმეს", როგორც მას მედიის წარმომადგენლებმა უწოდეს. ამ საქმეს თავიდანვე მძიმე პოლიტიკური ფონი ახლდა. სამმა მინისტრმა თანამდებობა დატოვა; ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ შელახეს ბრალდებულთა უდანაშაულობის პრეზუმფცია. როგორც მოსალოდნელი იყო, წინასწარი გამოძიება უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში წარიმართა. პირველი ერთი თვის განმავლობაში ბრალდების მხარე უარს გვეუბნებოდა მტკიცებულებათა

ასლების გადმოცემაზე, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ბრალდებულთა დაცვა. შემდეგ, როდესაც სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკული განცხადებების შედეგად მტკიცებულებათა დიდ ნაწილს მოეხსნა გრიფი „საიდუმლო“ და ისინი ჩვენ გადმოგვეცა, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა სტრუქტურები, გამოგონილი მიზეზებით, ყველანაირად გვიშლიდნენ ხელს ბრალდებულთა სასარგებლო მტკიცებულებების მოპოვებაში, რაც კანონით დაუშვებელია. პროკურატურის მოთხოვნით, სასამართლომ ორჯერ გადადო წინასასამართლო სხდომა, ამის შემდეგ ზემოქმედება მოახდინეს ერთ-ერთ ექსპერტზე და უარი ათქმევინეს უკვე მომზადებული საექსპერტო დასკვნის ხელმოწერაზე. ცხადია, ყველაფერი ეს ერთ მიზანს ემსახურებოდა: გაეტეხათ ბრალდებულთა ნებისყოფა და დაერწმუნებინათ სასამართლო, რომ დაცვის მხარეს მტკიცებულებები არ გააჩნდა.

ბრალდებულთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, მძიმე ვითარების მიუხედავად, მათ არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაუხევიათ. ძალიან მადლობელი ვარ მათი, რომ გვენდნენ და გაიზიარეს ჩვენ მიერ შეთავაზებული მოქმედების გეგმა.

რაც შეეხება დაცვის მხარეს, რომელსაც ჩემთან ერთად წარმოადგენენ ადვოკატები ვახტანგ კვიჟინაძე, ლევან და გიორგი სამუშიები, უნდა ვთქვა, რომ უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში, უთანასწორო პირობებში, გავაკეთეთ ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი, რათა დაგვესაბუთებინა ბრალდების პოზიციის სიმცდარე და ბრალდებულთა უდანაშაულობა. ასევე კარგად იმუშავა ადვოკატმა ლევან ვეფხვაძემ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან. შევძელით ჩაგვეტარებინა ექსპერტიზა, რომლითაც დადასტურდა, რომ ბრალდების მხარის მიერ „გაფლანგული“ თანხის ოდენობის გამოთვლისას დაშვებული იყო უხეში შეცდომები და სინამდვილეში კი არ გაიფლანგა, არამედ დაიზოგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი მილიონობით ლარი. გარდა ამისა, როგორც აღმოჩნდა, არც ერთი ბრალდებული არ ყოფილა იმ თანხის მართლზომიერი მფლობელი ან გამგებელი, რომლის გაფლანგვასაც პროკურატურა ედავება მათ და არც ერთ ბრალდებულს არ ჰქონია ანგარებითი მიზანი, რასაც არც ბრალდების მხარე უარყოფს. ყოველივე ამის გარეშე, ნებისმიერი იურისტი დამეთანხმება, გაფლანგვა თეორიულადაც კი არ შეიძლება არსებობდეს.

1 აპრილს დაიწყო წინასასამართლო სხდომა, რომელიც უკვე ორ თვეზე მეტია, გრძელდება. მიზეზი ის არის, რომ ბრალდების მხარის არაერთი მტკიცებულება, მათ შორის ამავე მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, მოპოვებულია კანონის დარღვევით და ამ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში ეს საქმე, წესით, უნდა შეწყდეს. დაიწყო ბრალდებულთა პატიმრობის მერვე თვე. წინასასამართლო სხდომის ამდენი ხნით გაგრძელება, ვფიქრობ, რე-

კორდია, თანაც არა მხოლოდ ქართულ მართლმსაჯულებაში. მომდევნო სხდომა 5 ივნისისთვის არის დანიშნული.

ამ საკითხებზე გვქონდა საუბარი ექსპერტთა კლუბში მე და ჩემს კოლეგებს. შევეცადეთ, მოკლედ ჩამოგვეყალიბებინა პროცესზე შექმნილი ვითარება, შემდეგ კი პასუხი გავეცით ექსპერტთა შეკითხვებს.

2 სამშაბათი

თბილისს ესტუმრა ესტონეთის პრეზიდენტი ტომას ჰენდრიკ ილვესი, რომელიც შეხვდა გიორგი მარგველაშვილს.

ხევსურეთში, მდინარე ანზაკის ხეობაში მეწყრის ჩამონოლის შედეგად დაიკარგა ერთი ადამიანი.

საქართველოს ეწვია ეუთოს მორიგე თავმჯდომარე ქვეყნის, სერბიის საგარეო საქმეთა მინისტრი ივიცა დაჩიჩი, რომელიც თბილისში შეხვდა თავის ქართველ კოლეგას თამარ ბერუჩაშვილს, აგრეთვე გიორგი მარგველაშვილს, ირაკლი ღარიბაშვილსა და დავით უსუფაშვილს.

თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციასთან, გაიმართა აქცია მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით.

დილით წავიკითხე გამოჩენილი რუსი ფილოლოგისა და კულტუროლოგის, სერგეი ავერინცევის წერილი „ტოტალიტარიზმი: ყალბი პასუხი რეალურ შეკითხვებზე“. ავტორი წერს, რომ „ტოტალიტარული წარსულის დაძლევის პრობლემა თეორიულად ყველა იმ ხალხის წინაშე დგას, რომელთაც ეს გამოუვლიათ, თუმცა სინამდვილეში, როგორც ვხედავთ, ტოტალიტარიზმის დაძლევას ძალზე ცოტა ვინმე თუ ცდილობს.“ სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებასაც საკმაოდ უჭირს ტოტალიტარულ წარსულთან დამშვიდობება. არც არის გასაკვირი. ყოფილი ათეისტები ერთ დღეში, ღვთისმეტყველებად მოგვევლინნენ, ყოფილი ჯალათები – ადამიანის უფლებათა დამცველებად. ამას, როგორც წესი, მოსდევს ძალიან მძიმე შედეგი: ცრუ ფასეულობების დამკვიდრება, მოსახლეობაში ნიჰილიზმის ზრდა და ყველაფერზე ხელის ჩაქნევა, რაც დიდი საფრთხეა ქვეყნისათვის.

შემდეგ მივდივარ სასამართლო პროცესზე. განიხილება ერთ-ერთი სამოქალაქო საქმე. ვაყენებ შუამდგომლობას. მოსამართლე არ აკმაყოფილებს. პროცესი გადაიდო ერთი თვით.

საღამოს ოფისში გამომიარა ჩემმა მეგობარმა, მამუკა წერეთელმა. მივდივართ კაფეში და ვლაპარაკობთ ფეხბურთზე, პოლიტიკაზე და ათას სხვა რამეზე.

3 ოთხშაბათი

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო საქართველოს მიერ წარდგენილი რეზოლუცია აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ.

ესტონეთის პრეზიდენტი ტომას ჰენდრიკ ილვესი თბილისში შეხვდა ირაკლი ღარიბაშვილსა და დავით უსუფაშვილს და სიტყვით გამოვიდა ატლანტიკურ საბჭოში.

მთავარი პროკურატურის სპეციალურმა დეპარტამენტმა, რომელიც სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულს იძიებს, ამ ეტაპზე დასრულებულად გამოაცხადა 2010 წელს მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის ხუთი ფაქტის გამოძიება, რის საფუძველზეც გადაწყდა, ოთხ მომჩივანს დაუბ-

დილით შვეიცარიის საკონსულოში მივდივარ ვიზის მისაღებად. ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მომიწევს გამგზავრება. რამდენიმე საათს რიგში დგომის შემდეგ, როგორც იქნა, ვაბარებ საბუთებს. მანქანაში რადიომიმღებით ვუსმენ მიხეილ სააკაშვილის გამონათქვამს იმის შესახებ, რომ ქართველმა მოსამართლეებმა არ გაამართლეს, ამიტომ თურმე საჭიროა მათი დათხოვნა და მათ ნაცვლად უცხოელი მოსამართლეების მოწვევა, რათა მართლმსაჯულება სწორად განხორციელდეს. ამ სიტყვების მოსმენისას მწარედ მეღიმება. თვითონ ბ-ნი სააკაშვილი არ იყო ის ადამიანი, რომელმაც ყველანაირად ჩაახშო მოსამართლეთა დამოუკიდებლობა თავისი მმართველობის დროს და მართლმსაჯულება წმინდა ფორმალობად გადააქცია? მახსენდება, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი სულხან მოლაშვილის სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, ბ-ნმა სააკაშვილმა ტელევიზიით განაცხადა, რომ პირადად ის პატიმრობიდან არ გაათავისუფლებდა

ბრალდებულს. ამ განცხადებას მოჰყვა მოლაშვილის მიმართ არაადამიანური მოპყრობა და უსამართლო განაჩენის გამოტანა. ჯერ კიდევ 2011 წელს, წინა ხელისუფლების დროს, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს წინაშე ეღიარებინა პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის შელახვის, მოლაშვილის მიმართ არაადამიანური მოპყრობის, მისი წამების, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის ფაქტები. გავიხსენო სხვა მსგავსი უსამართლობები? ვფიქრობ, არ არის საჭირო, საზოგადოებას ეს ყველაფერი ისედაც კარგად ახსოვს. უსამართლო და შერჩევითი მართლმსაჯულება იყო ის, რამაც მოსახლეობაში დაამკვიდრა უსამართლობის საყოველთაო განცდა. ამიტომ, პავლე მოციქულის სიტყვებით მინდა მივმართო მიხეილ სააკაშვილს: „კი მაგრამ, სხვებს რომ ასწავლი, რად არ ასწავლი შენსავე თავს? ქადაგებ: არა იპაროო, და იპარავ? ამბობ: არ იმრუშოო, და მრუშობ? კერპები გძაგს და მკრეხელობ? რჯულს იქადი და რჯულის დარღვევით ღმერთს შეურაცხყოფ? ვინაიდან, როგორც წერია, თქვენ გამო იგმობა ღვთის სახელი წარმართთა შორის.“

ხუთშაბათი

4

ეს დილა, როგორც ყოველთვის, ტელეფონის ზარებით იწყება. მირეკავენ ნაცნობები და უცნობები. ზოგ მათგანს შეხვედრა სურს, ზოგს – იურიდიული კონსულტაცია. შემდეგ მივდივარ ჩვენს საადვოკატო ოფისში, სადაც ყოველთვის მიხარია მისვლა, რადგან აქ მუშაობენ ძალიან კარგი ადამიანები: გივი, ვახტანგი, მარიკა, შორენა, ლევანი, გოგა, ნოდარი, ლალი და ბატონი დავითი. დღეს ლალის დაბადების დღეა, ჩვენი ოფისის მენეჯერის, ძალიან კეთილსინდისიერი და ნიჭიერი ადამიანის. ყველა ვულოცავთ. შემდეგ – პატარა სუფრა დაბადების დღის აღსანიშნავად.

მოგვიანებით კიდევ ერთხელ ვავლებ თვალს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა სისხლის სამართლის საქმის მასალებს და ხვალინდელი პროცესისათვის ვემზადები.

პარასკევი

5

დღის 11 საათი. გრძელდება წინასასამართლო სხდომა „კაბელების საქმეზე“. სასამართლო სხდომაზე მოსამართლე დავით ჯუღელი თითქმის ოთხი საათის განმავლობაში კითხულობს განჩინებას ბრალდებისა და დაცვის მხარის მტკიცებულებათა მთავარ სასამართლო სხდომაზე დასაშვებობის შესახებ. განჩინებაში დეტალურად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მრავალრიცხოვან პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, განხილულია როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის პოზიცია. შესაძლოა, არ ვეთანხმებოდე მოსამართლის ზოგიერთ მოსაზრებას, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ სისხლის სამართლის საქმეებ-

რუნდეს ძვირად ღირებული ავტომანქანები.

თბილისის რამდენიმე რაიონში კოკისპირულმა წვიმამ დააზიანა საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურა, ადიდებულმა მდინარე ვერემ კი ვაკის რაიონში დატბორა საცხოვრებელი სახლები და ცხოველთა თავშესაფარი, სადაც 12 ძაღლი დაიხრჩო.

დუშეთის მუნიციპალიტეტში წვიმამ დააზიანა გზები და ელექტროგადამცემი ხაზები.

საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა აზიმ სადიკოვმა განაცხადა, რომ ფონდი ვერ მიიღებს მხედველობაში კანონთან ინდივიდუალური პირების კავშირს, რადგან ეს არ არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მანდატი, და კიდევ ერთხელ გამოთქვა შეშფოთება ეროვნული ბანკის კანონში მოსალოდნელი ცვლილების გამო, რომელმაც, შესაძლოა, შეზღუდოს ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობა.

შსს-მ თვითმკვლელობამდე მიყ-

ვანის მუხლით აღძრა სისხლის სამართლის საქმე თბილისის პრობაციის სამსახურის უფროსის, ბესიკ ცხადაძის გარდაცვალების გამო.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გამოაცხადა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ისევ შერეული სისტემით ჩატარდება, თუმცა მაჟორიტარული ოლქების ამომრჩეველთა რაოდენობას შორის არსებული დისბალანსი შემცირდება, მაჟორიტარის ასარჩევად საჭირო ბარიერი 30-დან 50%-მდე გაიზრდება, ხოლო 2016 წლის შემდეგ არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით მოეწყობა.

ზე საქართველოს სასამართლოებში ასეთი დასაბუთებული განჩინება დიდი ხანია არ მინახავს. მოსამართლე აკმაყოფილებს დაცვის მხარის შუამდგომლობის იმ ნაწილს, რომლითაც ვითხოვდით ბრალდების მხარის მიერ ჩატარებული სასაქონლო და საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას. ამავე დროს, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. ეს გარემოება, ცხადია, მნიშვნელოვნად აძლიერებს დაცვის პოზიციას. შემდეგ სასამართლო სხდომა გახსნილად ცხადდება და დარბაზში შემოდიან ბრალდებულთა ოჯახების წევრები, ახლობლები, პოლიტიკოსები. ბრალდების მხარე აცხადებს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოში, ხოლო მე ვამბობ, რომ დაცვის მხარე სასამართლოს განჩინებას არ გაასაჩივრებს. წინასასამართლო სხდომა გადაიდო იმ დრომდე, ვიდრე სააპელაციო სასამართლო არ განიხილავს ბრალდების მხარის საჩივარს და საქმე კვლავ არ დაბრუნდება თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლოდან გამოსვლის შემდეგ ინტერვიუს ვაძლევ სხვადასხვა ტელეკომპანიის ჟურნალისტებს და ვესაუბრები ბრალდებულთა ახლობლებს.

საღამოს კიდევ ერთხელ ვაანალიზებ დღევანდელ სასამართლო პროცესს და ვფიქრობ: მართალია, ქართულ მართლმსაჯულებას ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი ევროპულ სტანდარტებამდე, მაგრამ უსამართლობა იქნებოდა, არ გვეთქვა, რომ სამი-ოთხი წლის წინათ, განსაკუთრებით პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე, საერთოდ წარმოუდგენელი იყო იმგვარი დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება, როგორიც დღეს გამოაცხადა მოსამართლემ. ეს ქმნის საფუძველს გარკვეული ოპტიმიზმისათვის, თუმცა ყველაფერ ამას სჭირდება გაძლიერება და დიდი ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან.

6 შაბათი

თბილისის საკრებულოს შენობიდან აბანოთუბნამდე გაიმართა მსვლელობა მწვანე საფრის განადგურების ხარჯზე მშენებლობებისა და თბილისის ისტორიული ცენტრის დამახინჯების შეწყვეტის მოთხოვნით.

ავღანეთსა და საქართველოში სამხედრო მოსამსახურეებმა სამგლოვიარო ცერემონიით აღნიშნეს ავღანეთში, მოწინავე ბაზა „ორბზე“ თავდასხმის შედეგად შვიდი ქართველი ჯარისკაცის დაღუპვის მეორე წლისთავი.

კოკისპირულმა წვიმამ და ძლიერმა სეტყვამ დააზარალა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სოფლები.

მაისი

ალექსანდრა დავთიანი

**მოსწავლე. დაიბადა 1998 წლის 22 დეკემბერს თბილისში.
სწავლობს – 92-ე საჯარო სკოლის XI კლასში.
2009 წლიდან არის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო
დრამატული თეატრის საბავშვო სტუდიის მსახიობი.**

ივნისი

7

სეტყვამ და გრიგალმა დააზარალა კახეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტის სოფლები.

თბილისში გაიმართა მარათონი სახელწოდებით „ერთად ვიმარჯვებთ“.

კვირა

დღიურის დაწერა არასდროს მიფიქრია, ალბათ იმიტომ, რომ ნარატიული წყაროების ეს ფორმა ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ ფრაგმენტული ჩანაწერების ერთობლიობა იყო, რომელსაც თან ერთვის ქრონიკა – ადამიანის სენტიმენტალობისა და რომანტიზმის ერთგვარი წერილობითი ნაყოფი. ადამიანს დროდადრო უწევს ისეთი ამბების განცდა და ისეთ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან შეხვედრა, რომ ჩაწერა და შენახვა კი არა, ზოგჯერ მათი გახსენებაც ეძნელება. მაგრამ წერის დაწყებისთანავე მივხვდი, რომ ნებისმიერი ეგო-დოკუმენტი არის წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისა და, ზოგადად, ადამიანის ინდივიდუალობისა და შინაგანი „მეს“ ჩამოყალიბების ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი, თან საკმაოდ ეფექტიანი საშუალება...

მოკლედ, პირველად მიხდება ჩემი ფიქრების, სურვილების, მისწრაფებების ასე საჯაროდ გამოცხადება. არ ვიცი, რამდენად გულწრფელი იქნება მომავალი კვირის აღწერა, მაგრამ უნდა დავწერო. როგორც რუსები ამბობენ, назвался груздем – полезай в кузов...

ჩემთვის ყოველი დილა მაღვიძარას მონოტონური და საშინლად მომაბეზრებელი ხმით იწყება. ზოგჯერ მინდა, კედელს ვესროლო, მაგრამ მაღვიძარა ჩემს მობილურ ტელეფონშია და სწორედ ეს მიშლის ხელს ამ სასურველი გეგმის შესრულებაში. არც ეს კვირადღე იყო გამონაკლისი. გამეღვი-

ძა... უფრო სწორად, ამ საშინელმა ზარმა გამაღვიძა 10 საათზე. ბალიშის მაგივრად თავი გადაშლილ წიგნზე მედო, რომანზე „საბრალონი“... წუხელ თითქმის არ მეძინა, მაგრამ იმის გამო კი არა, რომ ვიქტორ ჰიუგოს შედევრს ვკითხულობდი, არამედ იმიტომ, რომ დღეს გრიბოედოვის სახელობის თეატრში ამ სეზონის ბოლო რეპეტიცია მაქვს. დღეს იქნება ახალი პიესის ან პიესების წაკითხვა და, რაც მთავარია, როლების განაწილება. ღამე გავათენე მოსალოდნელ რეპეტიციაზე ფიქრში...

უცებ ავდექი, უკვე მაგვიანდებოდა: რეპეტიცია 12 საათზე იწყება, მაგრამ მშვენივრად ვიცი, რომ მოსამზადებლად ერთი საათი არასდროს არ მყოფნის... გასაკვირია: 10:45-ზე უკვე მზად ვიყავი სახლიდან გამოსასვლელად.

გრიბოედოვის თეატრში ექვსი წლის წინ მივედი. თეატრის საბავშვო სტუდიამ გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა, თეატრალური ნიჭის მქონე ბავშვებს ეძებდნენ. გადავწყვიტე, ბედი მეცადა. მაშინ ათი წლის ვიყავი, მაგრამ რატომღაც ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მიმიღებდნენ. მართლა მიმიღეს და მას შემდეგ თეატრი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია...

თეატრის შენობას მივუახლოვდი. განუმეორებელი თეატრალური ატმოსფერო ჯადოსნურ ზემოქმედებას ახდენს ჩემზე. რეპეტიციის დღეები ყოველთვის სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსეა ჩემთვის. მნიშვნელობა არა აქვს, რა განწყობაზე ვიყავი მანამდე...

ავედი სარეპეტიციო დარბაზში, სადაც ჩვენი რეჟისორი გველოდებოდა. დაახლოებით 12:15-ზე დავსხედით რეჟისორის მაგიდის ირგვლივ და ყველაფერი დაიწყო. გვერდით მომისხდნენ სოფი და ნათია. უცნაურია, მაგრამ განსხვავებული ხასიათისა და ინტერესების მქონე სამი ადამიანი თეატრში ყოველთვის ერთად ვართ, გვსიამოვნებს ერთმანეთთან ურთიერთობა, ალბათ, რაღაც უხილავი და აუხსნელი ძალა გვაერთიანებს. როგორც ფიზიკოსები ამბობენ, საპირისპირო მუხტის ნაწილაკები ერთმანეთს იზიდავენ... საინტერესოა, რომ ამ კანონმა ასეთი ცხოვრებისეული ფორმა მიიღო ჩვენ შემთხვევაში.

ხან სოფი ჩამჩურჩულებდა რაღაცას, ხან ნათია, დაბნეულად და არეულად ვცემდი პასუხს. არც ბიჭების განუწყვეტელ ხუმრობებზე ვრეაგირებდი, თუმცა ჩვეულებრივ სიცილით ვიგუდები ხოლმე. არ ვიცი, მაგრამ ვიოლინოს სიმივით დაძაბული ვიყავი, რატომღაც ძალიან ვნერვიულობდი, არ შემიძლია ამ შინაგანი მღელვარების აღწერა...

ჩემი ღამის თევა ფუჭი არ ყოფილა, წილად მხვდა მშვენიერი როლები რუსულ კლასიკურ ნაწარმოებებში. ბლომად მაქვს სამუშაო. რეპეტიცია დასრულდა, ყველას დავემშვიდობე და თავისუფლების მოედნის მეტროსკენ გავემართე.

16 საათზე უკვე სახლში ვიყავი. ცუდად კი მეძინა, მაგრამ უნდა ვიმეცადინო. მიუხედავად იმისა, რომ წლის ბოლოა,

რამდენიმე ჩათვლა მაქვს ჩასაბარებელი.

ოჯახის წევრებს ვთხოვე, ხელი არ შემიშალონ მეცადინეობაში და ჩემს პატარა ოთახში ჩავიკეტე.

ორშაბათი

8

გორის ჰოსპიტალში გარდაიცვალა 2012 წელს ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულებისას დაჭრილი კაპრალი რამაზ დავითაია.

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული „საგანგაშო ინფორმაციით“ ბიძინა ივანიშვილი „კაბელების საქმის“ გამო შეხვდა რამდენიმე მოსამართლეს და დაჰპირდა, რომ თავდაცვის სამინისტროს ხუთი ბრალდებული თანამშრომლის გამტყუნების სანაცვლოდ არ ამოქმედდება სასამართლოს თავმჯდომარეთა არჩევის ახალი წესი.

„რუსთავი 2“-თან ინტერვიუში იუსტიციის საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ უარყო მტკიცება, რომ მოსამართლეები ბიძინა ივანიშვილს შეხვდნენ და ირაკლი ალასანიას განცხადებას „სასამართლოზე ზეწოლის მცდელობა“ უწოდა.

ორშაბათი

არ მახსოვს, წუხელ რომელ საათამდე ვიმეცადინე. მშობლები თითქმის ყოველდღე შენიშვნას მაძლევენ დღის არანორმალური რეჟიმის გამო.

მშვენივრად ვიცი, რომ ჩემი ასაკისთვის მავნებელია ღამის თევა და უძილობა, მაგრამ ჯერჯერობით სხვა გამოსავალი არ მაქვს. სამაგიეროდ საფუძვლიანად გავიმეორე მთელი მასალა. იმედია, არ გამიჭირდება ჩათვლის ჩაბარება. მაინც ვღელავ. საათს შევხედე. 8:45-ია, დროა, გავიდე სახლიდან. გზაში დღევანდელ დღეზე ვფიქრობდი. მალე სკოლასაც მივუახლოვდი.

გაკვეთილები, ჩვეულებისამებრ, 9 საათზე დაიწყო. პირველივე გაკვეთილზე წერითი ფორმით ჩავაბარეთ მათემატიკა. რუსული რატომღაც გაგვიცდა. სამაგიეროდ მოვასწარი ფიზიკის გამეორება, რომელშიც ბოლო საკონტროლო გვიწევდა. ამის შემდეგ გამოგვიცხადეს, რომ ორი გაკვეთილის მერე შინ გაგვიშვებენ. არც მეოთხე და არც მეხუთე გაკვეთილი არ ჩატარდა, რადგან მე-11 კლასს გამოცდა ჰქონდა და ჩვენი მასწავლებლები მათთან იყვნენ. მგონი, ისინი მოწაფეებზე მეტად ნერვიულობდნენ გამოცდების შედეგების მოლოდინში.

ჩვენ, როგორც 92-ე სკოლის ყველაზე მოწესრიგებული და დისციპლინიანი კლასი, წყნარად ვისხედით, სხვადასხვაგვარად ვირთობდით თავს.

ამ სკოლაში შარშან გადმოვედი. ღმერთო, დღემდე მახსოვს, როგორ ვღელავდი პირველ დღეს. განუწყვეტლივ ვეკითხებოდი თავს, როგორ მიმიღებენ ახალი თანაკლასელები-მეთქი. მე ხომ რუსული სკოლიდან ვარ, რაღაცას არასწორად თუ ვიტყვი, ხომ არ დამცინებენ? როგორ ავითვისებ სამეცნიერო ტერმინოლოგიას? თეთრი ყვავივით ხომ არ ვიქნები?

ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ამ კლასში მოვხვდი. არასდროს დამავიწყდება ის სითბო, რომლითაც შემხვდნენ კლასელები და მასწავლებლები. პირველივე დღეს ვიგრძენი, რომ ამ ოჯახის კიდევ ერთი წევრი გავხდი...

ზარამდე ხუთი წუთი რჩებოდა. ერთ-ერთმა კლასელმა თქვა: „ხალხნო, ხუთ წუთში დასრულდება ჩვენი რვათვიანი ტანჯვა!“ მართალია, დღეს ორშაბათია, მაგრამ ბავშვები შევთანხმდით, რომ პარასკევამდე არ ვივლით სკოლაში, ცოტას მასწავლებლებსაც დავასვენებთ... ზარი დაირეკა და ყველა გარეთ გავედით.

ორის ნახევარზე შინ მივედი. უპირველეს ყოვლისა, მივეფერე ჩემს კატას, წყალი გამოვუცვალე, საჭმელი დავუყარე და კომპიუტერს მივუჯექი.

ნუთუ სასწავლო წელი ნამდვილად დასრულდა? არ მჯერა! მახსოვს, როგორ ვათენებდი ღამეებს, როგორ მეძინებო-

და გაკვეთილებზე, როგორი დაღლილი ვბრუნდებოდი რეპეტიციებიდან. ჩავიკეტებოდი ხოლმე ჩემს ოთახში და ღამის 4 საათამდე ვმეცადინეობდი. დილით რომ ვიღვიძებდი, სახე ან რომელიმე სახელმძღვანელოში მქონდა ჩარგული, ან რომელიმე კონსპექტში. მართლა არ მჯერა, რომ უკვე ზაფხულია და დასვენების დრო დადგა...

9 სამშაბათი

თბილისში გაიხსნა ნატოს სტრატეგიული სამხედრო პარტნიორობის კონფერენცია.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიურომ გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოში მიმდინარე საკანონმდებლო პროცესის შესახებ და მისი ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად 22 რეკომენდაციით მიმართა მთავრობასა და პარლამენტს.

„რუსთავი 2“-მა უჩვენა ვრცელი ინტერვიუ იუსტიციის ყოფილ მინისტრთან, სისხლის სამართლის რამდენიმე მუხლით ბრალდებულ, ძებნილ ზურაბ ადეიშვილთან.

იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა „მსოფლიოს მართლმსაჯულების პროექტის“ კანონის უზენაესობის ახალი ინდექსი, რომლის თანახმად საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის რეგიონებში პირველ ადგილზეა, ხოლო მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის – 29-ზე.

სკოლა რომ დამთავრდა, თითქოს შვება ვიგრძენი და დღეს 12 საათზე გამეღვიძა. 4 საათზე ნათიას უნდა შევხვდე და პიესა გამოვართვა. დრო ბლომად მაქვს. ჯერ სახლი მივალაგე, მერე კი, ჩვეულებისამებრ, კომპიუტერთან დავჯექი.

საინტერესოა, რა იქნება, მთელ მსოფლიოში თუნდაც ერთი დღით რომ გამორთონ ფეისბუკი, და არა მარტო ფეისბუკი, ყველა სოციალური ქსელი. რა მოუვა ამ „სელფიებისა“ და „ვაიფაის“ თაობას, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი მე ვარ და გულწრფელად ვაღიარებ ამას. ყველანაირად ვებრძვი ამ „ინტერნეტფილიას“, ზოგჯერ ისე ვბრაზობ საკუთარ თავზე, მინდა გამოვრთო ეს წყეული კომპიუტერი, მაგრამ არ შემიძლია. თავს სიტყვას ვაძლევ: „კიდევ 15 წუთი და გამოვრთავ... აი, ახლა შეტყობინებას ვუპასუხებ და აუცილებლად გამოვალ საიტიდან... ახლა გვერდის ბოლომდე ჩავალ და დავიწყებ მეცადინეობას...“ და ასე გადის მთელი ცხოვრება ვირტუალურ სამყაროში.

გამოვიდა, რომ ინტერნეტით გამოწვეულ პროგრესს კვალდაკვალ მისდევს რეგრესიც. ინტერნეტი ნამდვილად გვაძლევს წარმოუდგენელ შესაძლებლობებს, მაგრამ მისი რაციონალური გამოყენების არცოდნა, შესაძლოა, ცუდი შედეგით დამთავრდეს. მაწუხებს იმაზე ფიქრი, რომ ერთმანეთთან უშუალო ურთიერთობა – პირისპირ შეხვედრა – ადამიანებმა ინტერნეტმიმოწერასა და მესიჯებში გავცვალეთ...

სახლიდან ოთხის ნახევარზე გამოვედი. თავისუფლების მოედანზე უნდა შევხვდე მეგობარს. იმედია, არ დავაგვიანებ, როგორც ყოველთვის. რა საშინელი ჩვევაა!

შეხვედრაზე 15 წუთით მაინც დავაგვიანე. „გოგო, ჩამოყალიბებული პიროვნება ხარ, არაფერი გაკლია, პუნქტუალობას როგორ ვერ შეგაჩვიე?!“ – გაეცინა ნათიას. მე კი კიდევ ერთხელ მივეცი სიტყვა, რომ გამოვასწორებ ჩემს „უნამუსო“ საქციელს. მერე მივედით პარკში და დეტალურად ვისაუბრეთ ბოლო სპექტაკლის პრემიერაზე, წინა სპექტაკლებზე და, რა თქმა უნდა, ახალი როლების განაწილებაზე.

დაახლოებით შვიდ საათზე დავემშვიდობეთ ერთმანეთს და მე მეტროში შევედი. სახლში რომ დავბრუნდი, ესემესი მომივიდა სოფისგან: რაღაც საინტერესოსა და დამაინტრიგებელს უნდა მოგიყვეო. მოვემზადე ახალი ამბისთვის, დავურეკე და უცებ აღმოჩნდა, რომ სახლში მხოლოდ საათ-ნახევარში იქნება და ახლა ვერაფერს მეტყვის. როგორ უყვარს ამ გოგოს ჩე-

მი გაბრაზება! ხომ იცის, რომ ეს ლოდინი ჩემთვის აუტანელი იქნება. გამწარებული შევედი ოთახში და ხელში წიგნი ავიღე.

21 საათზე სოფიმ დამირეკა. ბევრი ვიჭორავეთ. თეატრალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული არც ერთი თემა არ გამოგვპარვია. ეს არის ადამიანი, რომელთან საუბარშიც დრო შეუმჩნევლად გარბის. ღამის პირველ საათზე გამოვედი სკაიპიდან და უცებ მორფევსის სამეფოში აღმოვჩნდი – ჩამეძინა.

ოთხშაბათი

10

დღეს ბებიას უნდა მივაკითხო. რამდენი ხანია, ვაპირებ. ზოგჯერ იმდენად ვარ ჩართული მეცადინეობაში, რომ დარეკვაც კი მავიწყდება. იქ, ალბათ, საღამომდე ვიქნები.

15:30. დროა გამოვიდე. აი, უკვე „მარშრუტკაში“ ვარ და მუსიკას ვუსმენ. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, რომ 16 წლის გოგო ფრანგულ შანსონზე ვარ შეყვარებული. ჩემს მუსიკალურ გემოვნებას არც დღეს ვუღალატე...

ნახევარ საათში უკვე ავლაბარში ვიყავი. მეტროსთან ჩამოვედი და ფეხით მივედი წურწუმიას ხუთ ნომრამდე, ბაბუაჩემის სახლამდე. ვერ ვიტყვი, რომ ეს არის მხოლოდ თეატრი. არა. ეს არის სახლ-მუზეუმი, სახელოსნო, მარიონეტების თეატრი, ერთგვარი სინთეზი... ეს სახლი ტრადიციულ თბილისურ „იტალიურ“ ეზოშია, რაც მას სიმბოლურ დატვირთვასაც ანიჭებს. ეს ნამდვილად არ არის ჩვეულებრივი სახლი, მასთან დაკავშირებული პირველი ასოციაცია, ალბათ, იქნება სიტყვა „ზღაპარი“, ზოგჯერ მიუწვდომელი და ბევრისთვის გაუგებარი სამყარო... აქ ყოველ საგანს თავისი დატვირთვა, თავისი დანიშნულება აქვს, იქნება ეს ნახატი, მინიატიურა თუ სხვა ფორმის კომპოზიცია. სიტყვებით ვერ ახსნი იმ გრძნობას, რომელსაც განიცდი, ხელში უდიდესი სითბოთი, სიყვარულითა და ოსტატობით შექმნილი მარიონეტი რომ გიჭირავს და მასთან მუშაობას იწყებ... სწორედ მუშაობას, და არა თამაშს. რადგან ის კონტაქტი, რომელიც მყარდება ერთი შეხედვით უსულო მარიონეტსა და ადამიანს შორის, საოცარია... თოჯინასთან თამაშის დროს დომინანტია ადამიანი, რომელიც ამოძრავებს მას, აქ კი, პირიქით, ზოგჯერ მგონია, რომ თვითონ მარიონეტი მამოძრავებს და თანაბარი „უფლებებით“ ვსარგებლობთ. ყოველი თოჯინა არის უნიკალური მექანიზმი, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, პასუხისმგებლობას და, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულს. ეს თოჯინები ბაბუაჩემმა, გარი დავთიანმა გააკეთა.

შინ ბებია და მამიდა დამხვდნენ. გვიანობამდე დავრჩი. ღამის 12 საათზე მამამ გამომიარა და ერთად დავბრუნდით სახლში.

ხუთშაბათი

11

დღეს მხიარული და ხალისიანი დღე იქნება. ჩემი თანაკლასელი ელენე უნდა მოვიდეს. ათ საათზე გამეღვიძა, ავდექი და

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ ვალერი ცერცვაძემ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ ჩინჩალაძემ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ კატეგორიულად უარყვეს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერ ირაკლი ალასანიას მტკიცება, თითქოს „კაბელების საქმის“ გამო შეხვდნენ ბიძინა ივანიშვილს.

თბილისს ესტუმრა საუდის არაბეთის პრინცი ალ ვალიდ ბინ თალალ ბინ აბდულაზიზ ალ საუდი, რომელიც შეხვდა გიორგი მარგველაშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს.

მთავრობამ მიიღო ახალი დადგენილება, რომლის თანახმად მსოფლიოს 94 სახელმწიფოს მოქალაქეებს ერთ წლამდე გაეზარდათ საქართველოში უვიზოდ ყოფნის ვადა.

სახლი მივალაგე. მშობლები დილიდან საღამომდე მუშაობენ. ჩვეულებრივ, სკოლიდან რომ ვბრუნდები, არავინ მხვდება და, როგორც წესი, 8 საათამდე მარტო ვარ. მთლად მარტო არა – ჩემს პატარა შავ ქაჯთან, ჩემს კატასთან ერთად ველოდები, როდის მოვა დედა სამსახურიდან. მამა კი ხან რომელ საათზე ბრუნდება, ხან რომელზე...

სამუშაო დღეებში ჩვენი საღამოები ერთმანეთს ჰგავს. ერთად დიდ დროს არ ვატარებთ. მშობლები, ჩვეულებრივ, დიდ ოთახში სხედან, ტელევიზორს უყურებენ, მამა პარალელურად კომპიუტერთან მუშაობს, მე კი ჩაკეტილი ვარ ჩემს ოთახში და ვმეცადინეობ. ხან ერთი შემოვა რაღაცის საკითხავად, ხან მეორე. არეულად ვპასუხობ და წერას ვაგრძელებ. იმედია, არდადეგებზე ყველაფერი შეიცვლება...

ელენე ხუთზე უნდა მოვიდეს. მანამდე კარადას მივალაგებ.

ძალიან მსიამოვნებს ამ ბავშვთან ურთიერთობა. არაორდინარული და საინტერესო პიროვნებაა. ყოველთვის მშურდა მისი გაბედულებისა და სითამამის. მეჩხუბება ხოლმე: „ასეთი მშიშარა ქათამი როდემდე უნდა იყო? თუ რაღაცას გეტყვიან და არ მოგეწონება, უნდა შეეპასუხო, ხასიათი უნდა აჩვენო!“ მართალია ჩემი ელენე. იმედია, მასთან ურთიერთობა ჩემს ხასიათს უკეთესისკენ შეცვლის...

ხუთ საათზე ელენე უკვე ჩემთან იყო. კარგად გავატარეთ საღამო. ძირითადად სკოლაზე და თეატრზე ვსაუბრობდით. ისიც თეატრალურ სტუდიაში დადის. ალბათ, ამანაც იმოქმედა ჩვენს დაახლოებაზე. ათ საათზე გავედით ეზოში, სახლამდე გავაცილე და შინ დავბრუნდი.

თორმეტისთვის ოთახში ჩავიკეტე, ხელში წიგნი ავიღე, მაგრამ ელენესთან გატარებული დროით გამოწვეულმა დადებითმა ემოციებმა წაიღო ყოველგვარი ძალა და მალე ჩამეძინა.

12 პარასკევი

რომ გამეღვიძა, საათი 8:32-ს აჩვენებდა. სკოლაში წიგნები მქონდა ჩასაბარებელი და მაგვიანდებოდა. თუმცა მაინც ზუსტად ცხრაზე მივედი. მეგონა, მთელი კლასი იქ დამხვდებოდა, მაგრამ სულ ხუთნი ვიყავით. მასწავლებელს წიგნების შეგროვებაში დავეხმარეთ, მერე სახლებში გაგვიშვეს. მივედი კლასის დამრიგებელთან, რომელმაც მითხრა, რომ წელს ყველა საგანში „ათიანები“ გამომყვა და ოქროს მედლის პრეტენდენტი ვარ! გახარებული გამოვედი სკოლის შენობიდან.

16 წელი რთული ასაკია. და ზოგადად ტინეიჯერობის პერიოდი... დიახაც, რთულ ასაკად მიმაჩნია... ამბობენ, რომ ეს არის ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები, რომ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ეს ოქროს პერიოდი. პირადად მე გარდატეხის პერიოდს „ოქროს პერიოდად“ არ მივიჩნევ. პირიქით, ვფიქრობ, რომ ის ყველაზე გაურკვეველი და ყველაზე აუხსნელი პერიოდია...

„საიდუმლო“ მოუხსნა „კაბელების საქმის“ გამო სააპელაციო სასამართლოში შეტანილ საჩივარს.

„მაესტროსთან“ ინტერვიუში თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ ივნისში საფრანგეთთან გააფორმებს ხელშეკრულებას საჰაერო თავდაცვითი სისტემების შეძენის შესახებ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა წამოაყენეს ინიციატივა, მთიანი რეგიონების განვითარების ხელშესაწყობად შეიქმნას მთის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა.

ირაკლი ღარიბაშვილი ბაქოში შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს და ოლიმპიურ სოფელში ესტუმრა ევროპის სპორტული თამაშების მონაწილე ქართველ ათლეტებს.

ძლიერმა სეტყვამ და წვიმამ დააზარალა სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის სოფლები.

73 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი.

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში სამხედრო წვრთნების გამო თბილისის საგარეო უწყებამ რუსეთი დაადანაშაულა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასა და 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების უხეშად დარღვევაში.

პარლამენტმა საბოლოო, მესამე მოსმენით დაამტკიცა სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილება ძალადობრივი მოქმედებებისკენ მოწოდების კრიმინალიზების შესახებ.

პრეზიდენტმა გიორგი მარგვე-

ამ ასაკისთვის სიტყვა „გარდატეხა“ მშვენივრად არის შერჩეული. ხშირად ვცდილობ იმის გარკვევას, ბავშვი ვარ თუ ზრდასრული, ჩამოყალიბებული ადამიანი. ზოგჯერ „ბავშვს“ მეძახიან და ცოტა მწყინს, მაგრამ, იმავდროულად, მეშინია ზრდასრული ადამიანის პასუხისმგებლობის, სირთულეების, პრობლემების, რაც ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, და მაშინ თვითონვე ვუწოდებ საკუთარ თავს „ბავშვს“.

კიდევ ერთი, რაც ძალიან მაფიქრებს, პროფესიის არჩევაა. მე-11 კლასში გადავდივარ და ჯერ კიდევ არ მაქვს არჩეული მომავალი სპეციალობა, გაურკვევლობაზე უარესი კი ამქვეყნად არაფერია.

დიდი ხანია, ექიმობაზე ვფიქრობ, მაგრამ როდესაც მხარს არავინ გიჭერს და ახლობლები სრულად არ იზიარებენ შენს გადაწყვეტილებას, შეიძლება, ყოველგვარი სტიმული დაკარგო. მგონი, მეც დავკარგე. იმედია, მომავალი წლისთვის საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებ.

ლაშვილმა 226 მსჯავრდებული შეინყალა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის თანახმად 2012-14 წლებში თვითმმართველობებში პრემიებისა და სახელფასო დანამატების სახით გაცემულია 100 მილიონ ლარზე მეტი.

შაბათი

13

დღეს შაბათია და დედა სახლშია. სამზარეულოდან დილიდანვე მესმის მისი ფუსფუსი. წუხელ ცუდად მეძინა, მთელი ღამე ვნერვიულობდი. დღეს რადიო თავისუფლების ოფისში მივდივარ ჩაწერაზე.

თითქმის ყოველდღე ვფიქრობ, როგორ გავამართლებ ჩემი მშობლებისა და ახლობლების იმედებს. მართალია, არასრულწლოვანი ვარ, მაგრამ უკვე ბევრ რამეს ვაკვირდები და ვიცი, რომ ცხოვრება რთულია, რთულია „ადამიანობის“ შენარჩუნება. ამ საკითხზე უფიქრია არაერთ ფილოსოფოსს, მწერალს, პოეტსა თუ დრამატურგს. მახსენდება ბერძენი ბრძენის, დიოგენე სინოპელის მაგალითი. იზოლაციაში მცხოვრები ფილოსოფოსი დღისით, მზისით, სანთლით დადიოდა და, როდესაც ერთმა მოქალაქემ ჰკითხა, რას აკეთებო, უპასუხა: „ადამიანს ვეძებ“.

ალბათ, უფრო გამართლებული იქნება, წარმოსახვითი სანთლით ჩვენ ირგვლივ კი არა, საკუთარ თავში ვეძებოთ ადამიანი, სიცოცხლის ბოლომდე შევინარჩუნოთ და გავუფრთხილდეთ ამ წოდებას...

ღამით მოსული კოკისპირული წვიმის შედეგად თბილისში კალაპოტიდან გადმოვიდა მდინარე ვერე, დედაქალაქსა და მის შემოგარენში განვითარდა ღვარცოფული და მეწყრული პროცესები.

ევროპის 2016 წლის მორიგი ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები სტუმრად დიდი ანგარიშით (0:4) დამარცხდა პოლონეთის ეროვნულ გუნდთან.

ზურაბ გურიელიძე

ბიოლოგი. დაიბადა 1959 წლის 5 დეკემბერს თბილისში. დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი ზოოლოგიის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების მთავარ სამმართველოში, ზოოლოგიის ინსტიტუტში, სახეობათა კონსერვაციის ცენტრ „ნაკრესში“, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი თავად არის. 2006 წლიდან თბილისის ზოოლოგიური პარკის დირექტორი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. დაცული აქვს დისერტაცია თემაზე „ირმის პოპულაციის რეგულირების ბუნებრივი მექანიზმები მგლის რიცხოვნობის დინამიკის ფონზე“. გავლილი აქვს ჯერალდ დარელის სახელობის ველური ბუნების ცენტრის კონსერვაციული ბიოლოგიის კურსი (კუნძული ჯერსი, დიდი ბრიტანეთი).

14 კვირა

შსს-მ თბილისსა და მის შემოგარენში წყალდიდობისა და ღვარცოფის შედეგად დაღუპულად გამოაცხადა 12, ხოლო დაკარგულად – 24 ადამიანი.

წყალდიდობის შედეგად დანგრეული თბილისის ზოოპარკიდან გაიქცნენ მისი ბინადრები, მათ შორის მტაცებელი ცხოველები.

ხელისუფლებამ დროებით საცხოვრებლებში გადაიყვანა სტიქიური უბედურების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი და დაზარალებული 100-ზე მეტი ოჯახი.

სტიქიური უბედურების გამო ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში ამოქმედდა მუშაობის საგანგებო რეჟიმი და სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩაერთო ასობით მოხალისე.

საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ცნობა პანკისის ხეობასა და თბილისში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად რამდენიმე პირის დაკავების შესახებ.

დაახლოებით პირველის ნახევარი იყო, როდესაც ძლიერი წვიმის მერე მე და ჩემი მეუღლე ზოოპარკში ჩამოვედით, რომ შეგვემოწმებინა, რა ხდებოდა. ჯერ ქვედა ნაწილში, აფთრების ვოლიერისკენ წავედით, რადგან იქ მუდამ წყალი დგება ხოლმე. გზაში შეგვხვდა ვეტექიმი, რომელმაც გვითხრა, რომ პატარა პრობლემა შეიქმნა: გარეული ღორის გოჭები გვყავდა და, რომ არ დამხრჩვალიყვნენ, რაღაცები ჩაუყრია წყალში. ახლა ყველაფერი მშვიდად არისო. მაინც ჩავედით სანახავად. მივედით, ჩავხედეთ. იმ მომენტისათვის არაფერი ისეთი პრობლემა არ იყო.

აფთრები წყალში დატყაპუნებდნენ, რაც მათ ძალიან უყვართ. უცებ თანამშრომელმა დამიძახა, აფთრების ვოლიერში ჩანჩქერი გადმოსკდაო. გავიხედეთ, მართლაც ჩანჩქერი იყო გადმოვარდნილი. მე სასწრაფოდ შევტრიალდი და გავიქეცი, იმიტომ რომ მეუღლე მანქანაში იჯდა და, როდესაც გზაზე ავედი, დავინახე, უკვე მდინარე მოდიოდა. მანქანაში ჩავხტი და უკუსვლით წავედი საკმაოდ სწრაფად, მაგრამ გზაში თვალი მოვკარი, რომ ცოცხალი წერო მოჰქონდა წყალს, დაახლოებით წელამდე იყო. გავჩერდი, გადმოვხტი მანქანიდან (პიკაპი იყო), წერო საბარგულში ჩავაგდე და, ისევ რომ ჩავჯექი, კარის დახურვა ვეღარ შევძელი. წყალმა კარი მოგლიჯა, მთლიანად გაასწორა, არ წაუღია. შემდეგ უკვე გაღებული კარით მომიწია ასე უკუსვლით მოძრაობა. რამდენიმე მეტრი გავიარეთ, მან-

ქანა წყლით ივსებოდა. მერე ძრავა ჩაქრა. მე და ჩემი მეუღლე გადმოვძვერით, მეორე მხრიდან კარის გაღება შეუძლებელი იყო. შემდეგ უკვე ღობეებს ვებღაუჭებოდით. ასე მივედით ერთ-ერთ შენობასთან, რომელსაც შედარებით დაბალი სახურავი აქვს. იქვე იყო ღობე. დათვების ბოლო ვოლიერთან. სადღაც კუთხეში მორი იყო გაჩხერილი და მას მოვეჭიდეთ. წყლის ქვეშ ფეხები გავუყარე ღობეში. წყალი ძალიან მაღალი იყო, თითქმის ფანჯრამდე აღწევდა, უკვე ვტივტივებდით. როცა მივხვდით, რომ წყალი ისე მატულობდა, თავზე გადაგვივლიდა, სახურავზე აძრომა ვცადეთ, ფანჯარა ჩავამტვრიეთ... ჩემი მეუღლე ვერ მიძვრებოდა, ცდილობდა, ხელი ჩაეჭიდა რამისთვის, მაგრამ მოსაჭიდებელი არაფერი იყო. მერე მივფოფხავდით, მივცურავდით... ბოლოს მივცურეთ, მივაღწიეთ დაახლოებით დათვების ვოლიერამდე. შევხედე, რომ დათვები აღარ ჩანდნენ. ეტყობა, შეშინებულები შიგნით შეიმალნენ ან უკვე დამხრჩვალი იყვნენ. ავძვერით ღობეზე, ავედით ამ პირველ სახურავზე. როგორც იქნა, გადავედით და, გადავედით თუ არა, წყალი სახურავზეც შემოვარდა. რაღაც რკინის ცილინდრი ვნახე, საკმაოდ დიდი, არ ვიცი, რა იყო. მივაყუდეთ, როგორც იქნა, და იმის დახმარებით ავძვერით შემდეგ სახურავზე. ავედით და იქაც ამოვარდა წყალი, გავიქეცით შემოსასვლელისკენ. წყალი მოგვდევდა, პირდაპირი მნიშვნელობით...

ამ შენობას სპეციფიკური სტრუქტურა აქვს, კიდევ ერთი სახურავია და შემდეგ – პარაპეტი. ბოლოში მისულებმა, დავინახეთ, რომ იქიდანაც წყალი მოდიოდა. ამიტომ შემოვტრიალდით ერთ-ერთი ამ შემაღლებული სახურავისკენ, რომელიც – სადაც ჩვენ ვიდექით, იქიდან ორი მეტრით არის დაშორებული – ორი მეტრის სიმაღლისაა. მეუღლე კისერზე შევისვი, ავწიე და, როგორც იქნა, შევსვი იმ სახურავზე. შემდეგ ამ შემაღლებულ სახურავზეც ამოვიდა წყალი. იქიდან იყო პარაპეტი, სადღაც 70-80 სანტიმეტრი, ამ პარაპეტზე ავედით. და აქ, უკვე ჩვენგან 15-20 სანტიმეტრში, წყალი გაჩერდა. გარშემო ყველაფერი წყლით არის სავსე. ვუყურებთ, მანქანები დაცურავენ... სამარისებური სიჩუმე იყო. ორი საათი ვიდექით ასე.

შემდეგ უკვე მოვიდა ხალხი. როგორც იქნა, დაიწყო მოძრაობა. წყალმაც ცოტა დაიკლო. ჩემი მეუღლე ყვიროდა, მიშველეთ, მიშველეთო! იქიდან ვიღაცა პასუხობდა, რომელიც ხეზე იყო ასული, დათვები არიან გამოსულიო. შეშინებული იყო, არ ვიცი, ალბათ, ღამით შემოიპარა ზოოპარკში. მერე არ მინახავს ის ადამიანი. პირველი მოვიდა ჩვენი თანამშრომელი კოტე ფხაკაძე, რომლის მადლიერიც, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე ვიქნები. მერე მოვიდნენ მაშველებიც. ნათია მათ გადავაბარე და მეც გავყევი. ზებრების ვოლიერთან ღობეს გამოვყევით და ასე გავედით სამშვიდობოს. აქ, რა თქმა უნდა, საშინელება დაგვხვდა. სანამ იქ ვიდექით, უკვე ისროდნენ: ხმა ისმოდა. რომ ამოგვიყვანეს, ყველაფერი დამთავრებული იყო...

ეს ყველაფერი დინამიკურად ხდებოდა და, რომ გათენდა,

დავიწყეთ ცხოველების ძებნა. ცოცხალი ცხოველები გვყავდა გადასარჩენი. მე უკვე ძალაგამოცლილი ვიყავი, თუმცა მოძრაობა შემეძლო. ჩემი მეუღლე სახლში გავუშვით, მანამდე ჯერ სასწრაფომ აღმოუჩინა დახმარება...

ნამდვილად არ ვიცი, როგორ მოახერხეს ჩემმა თანამშრომლებმა ასე სწრაფად ზოოპარკში მოსვლა. ზოგიერთი, მაგალითად, ვანო დარასელია, როგორც შემდეგ გავიგე, შვებულებაში იმყოფებოდა, სადღაც სულ სხვაგან იყო და უცებ საიდან გაჩნდა აქ, თბილისში, არ ვიცი. იქ იყო ყველა ვეტექიმი: ირაკლი რობაქიძე, ვანო მარხვაშვილი, ნიკა ქერდიყოშვილი და ზოოპარკის მთელი შემადგენლობა. მიდიოდა გამალებული მუშაობა, რომ ცხოველები გადაგვერჩინა. ხშირ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ტრანკვილიზატორებს ვიყენებდით. მახსენდება, ერთ-ერთი ცხოველი უკვე ცუდად იყო და ამოსაყვანად ჩახტა ჩვენი თანამშრომელი. ეს მტაცებელი ცხოველი იყო, რომელიც, მართალია, შემდეგ დაიღუპა, მაგრამ მან მაინც ამოიყვანა და ვეცადეთ, რომ გადაგვერჩინა.

ყველაზე მოულოდნელი იყო ბეჰემოთის აღმოჩენა გმირთა მოედანზე. აქ უკვე ჩვენი მეგობრები მოვიდნენ: „ნაკრესის“ თანამშრომლები. ჩვენ, ყველანი, ნაკრესელები ვიყავით თავის დროზე: ლევან ბუთხუზი და ბეჟან ლორთქიფანიძე, რომელიც სწრაფად მოვიდა ტრანკვილიზატორებითა და თოფით... სწორედ ბეჟანმა დააძინა, უფრო სწორად, მან ესროლა ბეჰემოთს და შემდეგ ცხოველი გაბრუებული იყო. ეს ძალიან რთული გასაკეთებელი იყო, რადგან დოზა ზუსტად უნდა ყოფილიყო შერჩეული, რომ ბეჰემოთი არ დაწოლილიყო, თორემ მერე ამხელა მასის აწევა მისთვის სახიფათო იქნებოდა. შემდეგ თანამშრომლები, იგივე ლევანი, ბეჟო და მწვანეთა მოძრაობის ოთხი წევრი, რომელთა სახელები არც კი ვიცი, მოცვივდნენ თავიანთი მანქანებით, გვეხმარებოდნენ ბეჰემოთის ზოოპარკში შედენაში. ნელ-ნელა მოვიყვანეთ და შევიყვანეთ უკვე გამზადებულ სპილოს ვოლიერში. ასე ვითარდებოდა პროცესები. მთელი დღის განმავლობაში მსგავსი სიტუაცია იყო...

ჩემი სამი თანამშრომელი დაიღუპა: გულიკო ჭიტაძე, მისი ქმარი მალხაზ ჭიტაძე და გივი დვალი. შემდეგ იპოვეს ისინიც. ის შენობა მთლიანად სავსე იყო შლამითა და წყლით, ძალიან რთული მდგომარეობა იყო. ჩვენი სხვა თანამშრომლებიც იყვნენ მოსული, მათ შორის პიარის მენეჯერი მზია შარაშიძე თავისი მეუღლით. სწორედ მისმა მეუღლემ შეძლო პირველმა შიგნით შესვლა. შევედით ადმინისტრაციის შენობაში, სადაც ჩემი ძაღლი იყო დატოვებული. ძალიან შეშინებული დაგვხვდა: ერთი მხრიდან წყალი უტევდა, მეორე მხარეს კონდიციონერზე დათვი იჯდა. ლეკვია, სულ ერთი წლისაა და ძალიან შეშინებული იყო. ამ დროს მიკროავტობუსის თავზე, რომელიც შედარებით მაღალი იყო, ილომ მოძრაობა შენიშნა და... არ დამავიწყდება მისი სიხარული – კარაკულა! ეს არის შუმბას, თეთრი ლომის მეგობარი, პუდელი კარაკულა, რომელიც სა-

ხურავზე იჯდა. ილო თვითონვე მივიდა, გამოიყვანა და ავიყვანეთ ჩვენთან, კაბინეტში. მოკლედ, როდესაც შევედით, ჩემმა ძაღლმა შიშისგან ჯერ ყეფა დამიწყო და, როცა დამინახა, რომ მე ვიყავი, ჩამეხუტა ადამიანივით.

ამის შემდეგ დაიწყო ტექნიკის შემოსვლა, გასვლა... მუშაობა ერთი წუთითაც არ გაჩერებულა.

ორშაბათი

15

დაიწყო რუტინული სამუშაოები: მკვდარი ცხოველების მოძებნა, გამოტანა. ვცდილობდით, შევსულიყავით სხვადასხვა ადგილზე. მთელი ზოოპარკის თანამშრომლები ჩართული იყვნენ. რა თქმა უნდა, ჩართული იყო სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურა და მთელი დღის განმავლობაში ასეთი სამუშაოები მიმდინარეობდა. რამდენიმე მკვდარი ცხოველი იპოვეს, მათ შორის მტაცებლები. ზოგიერთი მტაცებლის ძებნა არ იყო დასრულებული, არ ვიცოდით, სად უნდა ყოფილიყვნენ. მოვიდა ბევრი მოხალისე. ძალიან დიდი საქმე გააკეთეს, თუმცა აქ ძირითადად მაინც ტექნიკის სამუშაო იყო. ყველაფრის ხელით გაკეთება შეუძლებელი იყო. უამრავი ხალხი შეიკრიბა ზოოპარკის გარშემო. შემოსვლის ნებართვას ითხოვდნენ, მაგრამ არავის უშვებდნენ, რადგან მძიმე ტექნიკა მუშაობდა და გარკვეული ხიფათი შეიძლებოდა წარმოქმნილიყო. მეც ვთხოვე, რომ მოეცადათ და, როგორც კი ტექნიკა დაამთავრებდა თავის საქმეს, ისინიც შეძლებდნენ ჩვენთან ერთად მუშაობას. ზოგიერთი უკვე სხვა ტიპის საქმეს აკეთებდა და ძალიან მადლიერი ვართ მათი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ნინო ბიგვავა, რომელმაც უზარმაზარი საქმე გააკეთა.

მოულოდნელად გავრცელდა ინფორმაცია ჩემი გარდაცვალების შესახებ... რა თქმა უნდა, ძალიან დავწყვიტე გული ჩემს ახლობლებს, რომლებსაც ჩემთან კონტაქტის საშუალება არ ჰქონდათ, რადგან ტელეფონი ერთი წუთით არ დუმდებოდა და დაკავშირება რთული საქმე იყო. როდესაც მეც გავიგე ჩემი გარდაცვალების შესახებ გავრცელებული ხმები, ამან რაღაც მხიარული ნოტები შემოიტანა მთელ ამ ტრაგიზმში, რაც ჩვენ გადაგვხდა. ჩემი, ასე ვთქვათ, ხსოვნის სადღეგრძელოც კი დავლიეთ თითო ჭიქით.

სამშაბათი

16

მოხალისეები უკვე გაიყვანეს ტერიტორიიდან, უფრო სწორად, შემოსვლა აუკრძალეს. შესაბამისად, აქ მუშაობდნენ მერიის სტრუქტურები, დასუფთავება. ასევე ძალიან დიდი დახმარება აღმოგვიჩინა რკინიგზის დეპარტამენტმა.

ასეთი სამუშაოები გრძელდებოდა. კიდევ რამდენიმე მკვდარი ცხოველი იპოვეს, უკვე ზოოპარკს გარეთ.

ივნისი

წყალდიდობისა და ღვარცოფის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 15-მდე გაიზარდა; გლოვის ნიშნად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაუშვეს სახელმწიფო დროშები.

ზოოპარკის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია დაღუპული ცხოველების ზუსტი რიცხვის დადგენა და სიმართლეს არ შეესაბამება სოციალური ქსელებით გავრცელებული ცნობები თბილისის სხვადასხვა უბანში ცხოველების გამოჩენის შესახებ.

სტიქიის მიზეზების შესასწავლად ირაკლი ღარიბაშვილმა შესაბამის სამსახურებს დაავალა საგანგებო ჯგუფის შექმნა და არ გამორიცხა ამ საქმით პროკურატურის დაინტერესებაც.

შსს-მ დაადასტურა, რომ პანკისის ხეობასა და თბილისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაკავეს „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენელი საქართველოში აიუფ ბორჩაშვილი და კიდევ სამი პირი, რომლებსაც ბრალად ედებათ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის მოქალაქეთა გადაბირება და უცხო ქვეყნის ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა.

თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა საფრანგეთში ხელი მოაწერა პირველ კონტრაქტს საჰაერო თავდაცვის სისტემის შესაძენად.

თბილისსა და მის შემოგარენში სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა რიცხვი 17-მდე გაიზარდა.

უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანმა მინდია ჯანელიძემ განაცხადა, რომ მტაცებელი ცხოველების მხრიდან მოსახლეობას საფრთხე ამ ეტაპზე არ ემუქრება, რადგან დადასტურდა, რომ დაკარგული ცხოველების ნაწილი ვოლიერებში დააბრუნეს, ნა-

წილი დამხრჩვალი იპოვეს, ხოლო ნანილი ლიკვიდირებულია.

მოძრაობა „მწვანე მუშტმა“ მოითხოვა ვერის ხეობის ნანილსა და ზოოპარკის ტერიტორიაზე გაშენდეს თბილისის ცენტრალური ტყე-პარკი.

ირაკლი ღარიბაშვილმა არ გამორიცხა, რომ სტიქიით გამოწვეულმა ზარალმა 100 მილიონ ლარს მიაღწიოს და მხარი დაუჭირა ვერის ხეობაში და ზოოპარკის ტერიტორიაზე პარკის მშენებლობის იდეას.

17 ოთხშაბათი

თბილისში, ზოოპარკის მახლობლად, წყალდიდობის დროს გაქცეულმა ვეფხვმა მოკლა 43 წლის ოთარ ცუხიშვილი; მოგვიანებით ვეფხვი სპეცრაზმელებმა მოკლეს.

თბილისის პროკურატურაში დაკითხეს ზოოპარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე და სამაშველო სამსახურისა და კრიზისების მართვის საბჭოს წარმომადგენლები.

მთავრობის ადმინისტრაციასთან გაიმართა ზოოპარკის დირექტორის მხარდასაჭერი აქცია.

სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 18-მდე გაიზარდა მას შემდეგ, რაც მაშველებმა აღმოაჩინეს დაკარგულად მიჩნეული კიდევ ერთი ადამიანის გვამი.

პროკურატურამ განაცხადა, რომ დაიწყო გამოძიება 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიური უბედურების გამო.

თბილისს ეწვია ბულგარეთის პრეზიდენტი როსენ პლევნელიევი, რომელიც შეხვდა გიორგი მარგველაშვილს, ირაკლი ღარიბაშვილსა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა და გიორგი მარგველაშვილმა მიიღეს თბილისში სტუმრად მყოფი ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟან ასელბორნი.

დღევანდელი დღე ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოდგა. გუშინ თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა, მაგრამ დილით, როდესაც ცხოველები გადავთვალეთ, აღმოჩნდა, რომ ვეფხვი გვაკლდა. რამდენიმე ხნის შემდეგ დამიკავშირდნენ და შევატყობინე ეს ამბავი, თუმცა უკვე ძალიან გვიან იყო. სწორედ რამდენიმე წუთის შემდეგ მოხდა საზარელი შემთხვევა, როდესაც ვეფხვი თავს დაესხა ადამიანს და ის დაიღუპა. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ვეტექიმი რამდენიმე წუთით ადრე დაბრუნდა იმ შენობიდან. მან შეამოწმა იქაურობა და ვერაფერი ნახა. როგორც ჩანს, ვეფხვი შლამში იყო ჩაფლული ან მიყუჩებული, არაფერი ჩანდა...

იქიდან უკვე გამოტანილი იყო ერთი მკვდარი ვეფხვი წავიდა სხვა დამხრჩვალი ცხოველის გამოსატანად და, სამწუხაროდ, რამდენიმე წუთში ეს უბედურება მოხდა. მერე მოვიდნენ საჯარისო ნაწილები და ცოცხლად დარჩენილი ვეფხვი მოკლეს. თუმცა ამას მე არ შევსწრებივარ. სამართალდამცველი ორგანოებიდან მოვიდნენ ჩემთან, დაბარებული ვიყავი სხვადასხვა ადგილას. შემდეგ უკვე ჩავთვალე, რომ უნდა გამეკეთებინა განცხადება ამ ამბავთან დაკავშირებით. ვთქვი, რომ მიზეზებს ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ასეთი მძიმე, ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. ამიტომ ჟურნალისტებს განვუცხადე, რომ შეცდომა მე დავუშვი, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. ამის შემდეგ ისევ უნდა დავბრუნებულიყავი პროკურატურაში ჩვენების მისაცემად. მივედი კიდეც ჩემს ორ თანამშრომელთან ერთად. როდესაც გამოვედი, გარეთ ჟურნალისტები მელოდებოდნენ. მანამდე, სანამ გზაში ვიყავი, დამიკავშირდნენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები და მითხრეს, რომ ისინი გამოყოფდნენ ადვოკატს, თუ მე არ მყავდა. რა თქმა უნდა, არ მყავდა. შესაბამისად, ადვოკატი გამოგზავნეს. უცნაური კია, მაგრამ ადვოკატი გვარად ვეფხვაძე იყო... დაკითხვაზე სწორედ მასთან ერთად ვიყავი.

დაკითხვა ხანმოკლე გამოდგა. გარეთ რომ გამოვედი, ჟურნალისტები მომცვივდნენ და სწორედ მათგან გავიგე, რომ უამრავი ხალხი გამოსულა ჩემთვის სოლიდარობის გამო-

საცხადებლად. ამან ძალიან ამიჩუყა გული: ნამდვილად არ მოველოდი ხალხის ასეთ რეაქციას. კანცელარიაში რომ მივედი, იქ რამდენიმე ათასი ადამიანი მელოდებოდა.

ავედი. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ჩემს დაკავებას არავინ აპირებდა. მე, ბუნებრივია, ავუხსენი მდგომარეობა – რა ხდებოდა, როგორ იყო, რა იყო.

ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ხალხს, ვინც ასე ერთხმად, უცბად, რამდენიმე წუთში გამოვიდა ქუჩაში, თან რამდენი ადამიანი მოვიდა! როგორც გავიგე, საქართველოს სხვა ქალაქებშიც ყოფილა მხარდამჭერი აქციები. ჩემთვის ეს ძალიან გულის ამაჩუყებელია...

არც მჯერა, რომ ეს ყველაფერი მართლა მოხდა. თავი კოშმარულ სიზმარში მგონია და ძალიან დიდი სურვილი მაქვს, მალე გავიღვიძო... თუმცა, საუბედუროდ, ეს რეალობაა.

ხუთშაბათი

18

დავუბრუნდი ჩვეულებრივ საქმიანობას. საქმეს ის ართულებს, რომ ბევრგან პანიკაა. ხშირად გვირეკავდნენ და გვეუბნებოდნენ, აქა და აქ ესა და ეს ცხოველი ვნახეთო. იძულებული ვიყავით, გვევლო თბილისში და სხვაგანაც. ხან ჩემს მეგობრებთან თუ თანამშრომლებთან ერთად მივდიოდი, ხან ჩემი თანამშრომლები მიდიოდნენ უჩემოდ. მოკლედ, ზოოპარკის მთელი შემადგენლობა ვეძებდით ცხოველებს, რომელთა არსებობის დამადასტურებელი ვერც ერთი ფაქტი ვერ აღმოვაჩინეთ. დაახლოებით ასე იყო მთელი დღის განმავლობაში. თან ისევ გრძელდებოდა რუტინული სამუშაოები. ამ დროს ჩემი მეუღლე და შვილი, რომელიც მალე 16 წლის გახდება, ხშირად ჩამოდიოდნენ. რადგან ჩემი მეუღლეც ზოოლოგია, პროფესორი, ისიც გვეხმარებოდა რაღაც საკითხებში, რაც ცხოველებთან იყო დაკავშირებული. ჩემი შვილი ჩვენს ძაღლს უვლის. რადგან აქ აკრძალული იყო შემოსვლა, მიზანშეწონილად არ მიმაჩნდა, შვილი ამ ტერიტორიაზე შემომეყვანა. არაფერი კარგი სანახაობა აქ მისთვის არ იყო.

მაშველებმა ზოოპარკის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს გოგონას გვამი, რის შემდეგაც სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 19-მდე გაიზარდა; ჯერაც უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება სამი პირი.

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის რესურსების მოძიება მთავრობის საქმეა, დანაკლისის შემთხვევაში კი მისი სახით არსებობს „დაზღვევა და ყველა თანხა“.

პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, აღმკვეთი ზომა, პატიმრობა, გირაოთი შეუცვალოს „კაბელების საქმეზე“ ბრალდებულ თავდაცვის სამინისტროს ხუთ თანამშრომელს.

ბათუმში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“.

პარასკევი

19

სამუშაოები გრძელდება. ვიღებთ სხვადასხვა გამოძახებას. გავრცელდა ფოტო კლდეზე გადაღებული ვეფხვისა, რომელიც შემოწმების შემდეგ კატა აღმოჩნდა. ასევე ვრცელდებოდა ძალიან ბევრი ინფორმაცია ვეფხვის სხვადასხვა ადგილზე ნახვის შესახებ. რა თქმა უნდა, არც ერთი არ დადასტურდა. ძალიან ხშირად ინფორმაციები საკმაოდ კომიკური იყო. ასეთი ტრაგიკული სიტუაცია რომ არ ყოფილიყო, ალბათ ძალიან ვიმხიარულებდით.

მოგვიწია მარნეულში წასვლა, სადაც მდინარეში იპოვეს „ვეფხვი“, შუა მდინარეში. მოგვიხდა მაშველებთან ერთად ჯერ ნავით მისვლა, მერე მდინარეში ტოპვა, არც ისე ღრმა,

თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობიდან გირაოს გარეშე გაათავისუფლა „კაბელების საქმეზე“ ბრალდებული თავდაცვის სამინისტროს ხუთი თანამშრომელი, რომლებსაც თავდებად დაუდგნენ „თავისუფალი დემოკრატების“ საპარლამენტო ფრაქციის წევრები.

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის“ დააჯილდოვა 13 ივნისის წყალდიდობის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული მეხან-

ძრე-მაშველი ზურაბ მუზაშვილი (სიკვდილის შემდეგ).

თბილისში პირველი სხდომა გამართა მდინარე ვერის ხეობის ახლებურად დაგეგმარების მიზნით შექმნილმა სახელმწიფო კომისიამ.

ბრატისლავაში მიმდინარე გლობალური უსაფრთხოების ფორუმის კულუარებში გიორგი მარგველაშვილი შეხვდა სლოვაკეთის პრეზიდენტს ანდრეი კისკას და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს დევიდ კამერონს.

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკასთან მარტში გაფორმებული „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულების“ რატიფიკაცია მოახდინა.

ძლიერმა სეტყვამ, წვიმამ და ქარმა დააზარალა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლები.

თბილისში ამინდის გაუარესების გამო შესაძლო საფრთხის თავიდან ასაცილებლად სტიქიის ზონებიდან, ზოოპარკის ტერიტორიიდან და სვანიძის ქუჩიდან გაიყვანეს მოსახლეობა, მოხალისეები და სამხედროები.

ბრატისლავაში მიმდინარე გლობალური უსაფრთხოების ფორუმის კულუარებში გიორგი მარგველაშვილი შეხვდა ხორვატიისა და პოლონეთის პრეზიდენტებს, კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩსა და ბრონისლავ კომოროვსკის.

დაახლოებით მუხლს ზევით წყალში. ისიც ძაღლი აღმოჩნდა. მართალია, უჩვეულოდ დიდი ძაღლი, მაგრამ მაინც – ძაღლი. შემდეგ კიდევ ერთი ძაღლი იყო დაფიქსირებული, ისიც მდინარეში. კიდევ ერთხელ გავტოპეთ. ბოლოს დავბრუნდით გალუმპულები. და ეს დღეც ასე დამთავრდა...

20 შაბათი

დღეს ისევ გრძელდება ვეფხვის ძიება. ვეფხვი ნაპოვნი არ არის, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად ცოცხალია. თანაბარი ალბათობაა, შეიძლება ცოცხალი იყოს, შეიძლება მკვდარი. ვეძებთ ზოლებიან აფთარსაც, რომლის კვალსაც ჯერ ვერ მივაგენით.

კიდევ ერთი გამოძახება – გორის რაიონის სოფელი რეხა. მოვიდა შეტყობინება, რომ ნახეს ვეფხვის კვალი. სურათი გადმომიგზავნეს, რომელზეც ცხადად ჩანდა, რომ ეს იყო ძაღლის კვალი. ვუთხარი, სახიფათო არ არის-მეთქი, მაგრამ მოსახლეობა იმდენად შეშინებული იყო, იძულებული გავხდით, ჩავსულიყავით. მე და ჩემი სამი თანამშრომელი ჩავედით „ვეფხვის“ საძებნელად. რა თქმა უნდა, არავითარი ვეფხვი იქ არ ყოფილა. ეს იყო ჩვეულებრივი ძაღლის კვალი, რომელიც შეშინებულ მოხუც ქალს ვეფხვის უზარმაზარ ნაკვალევად მოეჩვენა. შემდეგ ჩამოვიდნენ კრიმინალისტებიც, აიღეს ანაბეჭდი თაბაშირით, რათა დაგვედასტურებინა, რომ ეს ნამდვილად ძაღლის კვალი იყო. ამასობაში მოვიდა სოფლის კიდევ ერთი მცხოვრები, რომელიც საკმაოდ მხიარულ ხასიათზე იყო და განაცხადა, რომ მან საკუთარი თვალით ნახა... ლომი! ცოტა მეტიც და, ალბათ, დინოზავრებსაც ნახავდა, ან მწვანე დრაკონებს მაინც...

მერე წავედით მეორე სოფელში, საიდანაც ასევე მივიღეთ შეტყობინება. რომ ჩავედით, უკვე ადგილზე დაგვხვდა მონადირეების ჯგუფი, რომელიც იმავე საქმეზე გამოეძახებინათ. აღშფოთებული იყვნენ, რადგან იქაც ძაღლი აღმოჩნდა.

დავბრუნდით თბილისში. სხვადასხვა უწყებასთან ერთად ვამოწმებთ საეჭვო ადგილებს. მივიღე ინფორმაცია, რომ ამჯერად უკვე მარნეულის რაიონის სოფელ თაზაქენდში უპოვიათ რაღაც ცხოველი. მართალია, გამოგზავნილი ფოტო ძალიან უხარისხოა, მაგრამ, სავარაუდოდ, ის ცხოველიც ძაღლია. ახლა სწორედ იქ მივემგზავრები...

მაშო სამადაშვილი

ჟურნალისტი. დაიბადა 1991 წლის 26 ივლისს თბილისში. დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით. მუშაობდა ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“, იყო თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალისა და ევროკავშირის კულტურული კვირეულის ორგანიზატორი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული კლუბის მენეჯერი და ჟურნალ „ინდიგოს“ მთავარი რედაქტორის ასისტენტია.

კვირა

მე და თინა ადრიანად ვიღვიძებთ. თინა ჩემი საუკეთესო მეგობარია. უცნაურია, ერთმანეთს არაფრით ვგავართ, ყველაფერი განსხვავებული მოგვწონს და გვაინტერესებს, და მაინც ჩემი ერთ-ერთი უახლოესი ადამიანია. შაბათს ერთმანეთის საფუძვლიანი ნახვის დღე გვქონდა, რაც იშვიათად გამოგვდის ხოლმე. „მტკვარზე“ ვიყავით. ამ ტრაგიკული კვირის შემდეგ გასართობად წასვლას არც გადავწყვეტდით, მაგრამ ჩემი საყვარელი კლუბის მენეჯერები და ჩემი მეგობრები, ქეთა და ბერო ზუსტად ისე მოიქცნენ, როგორც მათგან ველოდი: ამ ღამით შემოსული თანხა მთლიანად სტიქიით დაზარალებულებს გადაურიცხეს. გვიან მოვედით და კიდევ უფრო გვიან დავიძინეთ, ამიტომ მიკვირდა, ასე ადრე რამ წამომახტუნა-მეთქი.

როგორც წესი, დილით, თვალის გახელისთანავე, დღის გეგმებს ვაწყობ. თავში პრიორიტეტების მიხედვით ვალაგებ საქმეებს და შემდეგ მათ კეთებას ვიწყებ, თუმცა ამჯერად ყველაფერი სხვანაირადაა. ბოლო რვა დღე ერთი გაბმული შემზარავი სიზმარივითაა, რომელშიც უკან დაბრუნება და რამის შეცვლა არ შეგიძლია, თან ბოლომდე ვერც იმის გააზრებას ახერხებ, სინამდვილეში რა მოხდა. ყველა საინფორმაციოს ყურება, ფეისბუკის მუდმივი სკროლვა, ხან ისტერიული ტირილი, ხან – შოკური სიცილი ჩემი ცხოვრების წესად იქცა და მისგან თავის დაღწევა მიჭირს. არც მინდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ვეგან ჯორჯიის“ აქტივისტებმა თბილისის მერიასთან გამართეს აქცია ზოოპარკის გაუქმების მოთხოვნით.

ბრატისლავაში მიმდინარე გლობალური უსაფრთხოების ფორუმის კულუარებში გიორგი მარგველაშვილი შეხვდა ჩერნოგორიის პრემიერ-მინისტრს მილო ჯუკანოვიჩსა და ამერიკელ სენატორს ჯონ მაკკეინს.

თბილისში გაიმართა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მმართველთა საბჭოს ყოველწლიური შეხვედრა.

13 ივნისის ღამეს დიდხანს ველოდი. ჩემი საყვარელი მეგობრის, თეოს დაბადების დღეა. თეოსთვის წინასწარ ნაყიდი საჩუქრის, ჩვენი საყვარელი წიგნის, სილვია პლათის „ზარხუფის“ ინგლისურენოვან გამოცემაში იუბილარისთვის საგანგებოდ დაწერილი წერილი ჩავდე და წავედი. გეგმა ასეთი იყო: დიდი ხნის უნახავი მეგობრები უნდა შევკრებილიყავით და შემდეგ სადმე დილამდე გვეცეკვა. რომ გაწვიმდა, მახსოვს ყველა ვანუგეშე, ძალიან მალე გადაიღებს-მეთქი. მოგვიანებით, როდესაც აივანზე წყალი დადგა და კარები ჩავრაზეთ, მივხვდი, რომ მალე არ გადაიღებდა. ზოოპარკიდან ვეფხვი გაიქცაო, ვიღაცამ რომ თქვა, სასაცილოდ არ მეყო. ოდნავ მოგვიანებით, სასხვათაშორისოდ, ფეისბუკზე სიახლეებს ჩამოვუყევი. დაუჯერებლად ჟღერდა ის, რასაც ვკითხულობდი და ვფიქრობდი, ორმა ჭიქა ღვინომ ასე როგორ დამათრომეთქი. მერე შუქი ჩაქრა. როცა ოცი ადამიანი ჩემს აიფონში „კურიერის“ საყურებლად შევგროვდით და პირველი კადრები ვნახეთ, მართლა არ მახსოვს, რა ვიფიქრე. არც ის მახსოვს, როგორ მოვედი სახლში.

დილას შუქი არ იყო. მარტო ვიყავი, ჩემი მეგობარი სალომე ადრე გავიდა და მომწერა, „სმარტი“ არ მუშაობსო. ტელეფონი მეთიშებოდა, ინტერნეტი არ მუშაობდა. დილიდან ნათესავები მირეკავდნენ და მაფრთხილებდნენ, გარეთ ფეხი არ გადგაო. ამ დღიდან ბევრი არაფერი მახსოვს, გარდა იმისა, რომ მთელი დღე სრულიად უუნაროდ ვიწექი. მეორე დღეს მივხვდი, რომ ასე არ შეიძლება, რომ ახლა საკუთარ თავზე ფიქრი დიდი ეგოისტობაა. ზუსტად ამ დროს ფეისბუკზე 13 ივნისის საორგანიზაციო ჯგუფში დამამატეს, ჰეშტეგებით მონიშნულ უახლეს დავალებებს მალევე გავეცანი და მომარაგებული წყლით გმირთა მოედანზე წავედი. ხალხი უკვე იშლებოდა, თავი ისევ ძალიან უსუსურად ვიგრძენი, რომ ახლაც ვერაფერს ვაკეთებდი. ამ დროს ყვავილების მაღაზიის წინ ქალი დავინახე და წყალი ხომ არ გინდათ-მეთქი, ვკითხე. შენ გაიხარე, აქ წყალი დიდი პრობლემააო – მითხრა და სახე გაუნათდა. გამიხარდა, რომ ერთ ადამიანს მაინც გამოვადექი. მერე წყნეთის ქუჩაზე წავედით, ვითარება უნდა მენახა და ჯგუფისთვის ინფორმაცია მიმეწოდებინა. უკვე იქაც სიმშვიდე იყო.

მეორე დღეს ჩემმა მეგობრებმა და მე „მზიური“, სვანიძის ქუჩა და ვაკის გამგეობა მოვიარეთ. ყველგან სასმელი წყალი მივიტანეთ. გული მწყდება, რომ ხელებში ფიზიკური ძალა საერთოდ არ მაქვს, ყველა ამ ადგილას მოხალისეები თავდაუზოგავად ასრულებდნენ ძალიან მძიმე ფიზიკურ სამუშაოს. თავი იმით ვინუგეშე, რომ, რაც შემიძლია, იმას ვაკეთებ.

საღამოს ქეთა გაბუნიამ მომწერა. მე და ქეთა დიდი ხანი არ არის, რაც დავმეგობრდით, მაგრამ ასე მგონია, ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს. ბევრი საერთო ინტერესი და საქმე გვაქვს. მომწერა, რომ ხვალ დილიდან ვაკის გამგეობაში ვჭირდები, მოხალისეების ორგანიზებაში უნდა დავეხმარო.

17 ივნისი, ალბათ, არასდროს დამავიწყდება იმ ადამიანებისა და ამბების გამო, რაც იმ დღეს მოხდა და ვის გარემოცვაშიც ვიყავი. ქეთა ძალიან მობილიზებულია, გაუჩერებლად ლაპარაკობს ტელეფონით და თან ჩემს ამოცანას მიხსნის: ჩვენს მოხალისეებს უნდა დავურეკო და ვთხოვო, მოვიდნენ, შემდეგ კი მათ სხვადასხვა ობიექტზე გავანაწილებთ. ბევრი მეუბნება, რომ მოვა, ბევრიც ბოდიშს მიხდის, რომ სწავლა ან სამსახური უშლით ხელს. ამ ფონზე ვერაფრით ვერ ვიგებ ისედაც გაუგებარ რამეს – ამ კოლაფსში რატომ არ აცხადებს მთავრობა საგანგებო მდგომარეობას, და კიდევ ერთხელ ვბრაზდები.

შემდეგ ნიკას ვხვდები, ნიკა „პარტიზანული მებაღეობის“ აქტივისტია. „პარტიზანული მებაღეობა“ და „წითელი ჯვარი“ – ეს მთელ ამ პროცესში ძირითადი გამწევი ძალაა. ნიკას კომპიუტერული ქსელები და ლოგისტიკა აბარია, ცოტა ხანს ერთად ვმუშაობთ. კონცენტრირებული და ძალიან საქმიანია. გამგეობის ერთ-ერთ ოთახში სახელდახელოდ მოწყობილ „ოფისში“ ისე მოწესრიგებულად მუშაობს, გაოცებას ვერ ვმალავ. მალე ანანო ბაკურაძეს ვხვდები. პირბადე უკეთია, მაგრამ თვალები უცინის. ძალიან ცუდ გუნებაზეა, მაგრამ თვალები აქვს ასეთი. ანანოს აქამდე მხოლოდ ფეისბუკით ვიცნობდი, ასე პირველად ვხედავ. ახლა ერთად უნდა ვიმუშაოთ: საკვები და ჰიგიენის ნივთები დავახარისხოთ და შემდეგ გავანაწილოთ. უცბად გავუგეთ ერთმანეთს, დროდადრო ვისვენებთ და ერთიმეორეს ვაცნობთ თავს. აღმოჩნდა, რომ ტოლები ვყოფილვართ, ერთი პროფესია გვქონია, საერთო მეგობრები გვყოლია. თანაც თურმე ერთნაირი რამეები მოგვწონს.

მერე გიო მოდის. გიო შენგელია დი-ჯეია. მე, როგორც ღამის კლუბების მოყვარული, მის უამრავ სეტზე ვარ ნამყოფი და აქამდე ვიცოდი, რომ კარგი დი-ჯეია, მაგრამ ახლა ბევრი რამ შეიცვალა: ჯერ საორგანიზაციო ჯგუფში მისმა აქტიურობამ და საქმეში მუდმივმა ჩართულობამ მიიქცია ჩემი ყურადღება, მერე კი, გამგეობაში მოსული და წყლის რიგში ჩამდგარი რომ დავინახე, გული ძალიან ამიჩუყდა. ძალიან მაგარია, კარგი არტისტი კარგი აქტივისტიც რომ არის! ჩემ გარშემო რამდენიმე მანამდე უცნობი ადამიანი ერთ დღეში ჩემი თანამოაზრე გახდა, რაც ყველაზე ამაღელვებელია, ჩვენ სხვებზე ზრუნვამ გაგვაერთიანა. ვიდექი გარეთ და დროდადრო ვიცრემლებოდი, ძალიან ემოციური დღე იყო.

ქეთა, მე და მისი მეგობარი ნინო გამგეობიდან საღამოს გამოვდივართ და ჯერ ის არ გვაქვს გააზრებული, რომ რიგის ქუჩაზე (სავარაუდოდ) ვეფხვი დაინახეს, როცა ვიგებთ, რომ ზოოპარკის დირექტორი ზურა გურიელიძე დაკითხვაზე მიჰყავთ. გაოგნებულები ვუყურებთ და კითხვებს ვაყრით ერთმანეთს. ტელევიზორში აჩვენებენ გაურკვეველი შეხვედრიდან თუ დაკითხვიდან გამოსულ ზურა გურიელიძეს, რომელიც ამბობს, რომ ყველაფერი მისი ბრალია. ფეისბუკზე შევდივარ

და უკვე მხვდება ორი აქცია ზოოპარკის დირექტორის მხარდასაჭერად. საათს ვუყურებ, შვიდის ოცი წუთია. ერთ-ერთი აქცია ჩემი მეგობრისა და ჩემთვის სამაგალითო მოქალაქის, პაატა საბელაშვილის ორგანიზებულია. მეშინია, რომ ქალაქში მორბენალი ვეფხვისა და საცობების გამო ხალხი არ მოვა. ვწერ კიდეც, იქნებ ხვალისთვის გადაგვედო აქცია, მეტი ხალხის მობილიზება უკეთ გამოვა-მეთქი, მაგრამ უამრავი პოსტი მხვდება: ზოგი გზიდან წერს, ზოგი სამსახურიდან, ზოგი უნივერსიტეტიდან – ყველა მოდის. გავდივართ, ვხვდებით დიდ საცობში, რომელსაც ბოლოს და ბოლოს თავს ვაღწევთ და რვის წუთებზე კანცელარიის წინ ვართ. უკვე ბევრი ხალხია, სასტვენის ხმა მესმის. უკან ვიხედები. რა თქმა უნდა, პაკოა.

დაახლოებით ერთ საათში კანცელარიის წინა და მიმდებარე ტერიტორია მთლიანად ივსება, იმდენ ნაცნობს ვხვდები, მათ მოკითხვას ვერც კი ვასწრებ. აქციის დამთავრებამდე ვიგებთ, რომ პრემიერ-მინისტრი ზოოპარკის დირექტორის პირველი დამცველი იქნება. მიზანი მიღწეულია: როდესაც შენი ხელისუფალი ცდილობს, პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს და სრულიად უდანაშაულო გამოვიდეს, შენ უნდა აჩვენო, რომ თვალები ფართოდ გაქვს გახელილი და უსამართლობას არ დაუშვებ.

22 ორშაბათი

პარალიზებული აღმოჩნდა ინტერნეტსაიტი Biletebi.ge, რომელსაც უნდა გაეყიდა თბილისში „ბარსელონასა“ და „სევილიას“ შორის 11 აგვისტოსთვის დანიშნული უეფას სუპერთასის მატჩის ბილეთები.

საქართველოს საგარეო უწყებამ ცხინვალის რეგიონის ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილება საოკუპაციო რეჟიმთან გაფორმებული „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულების“ რატიფიკაციის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დასაშვებად ცნო პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების საქმეზე ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის წარდგენილ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებასთან დაკავშირებით და საქმის არსებითი განხილვის დაწყება 6 ივლისისთვის დანიშნა.

დღეიდან თბილისი Open Air-ზე ვიწყებ მუშაობას, დღეიდან 7 ივლისამდე. თბილისი Open Air ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი მუსიკალური ფესტივალია, რომელსაც AlterVision Group-ი აწყობს. მედიასთან ურთიერთობა ჩემს მეგობარს, სოფო ებრალიძეს აბარია. წელს მის ასისტენტად ვმუშაობ. ძალიან საინტერესო გამოცდილებაა ჩემთვის, შევძლებ, შიგნიდან დავაკვირდე, როგორ მზადდება მუსიკალური ფესტივალი, მით უმეტეს, რომ წელს რამდენიმე ისეთი გამორჩეული ჯგუფი ჩამოდის, გახსენებაზეც სუნთქვა მეკვრება: Placebo, Archive, The Tiger Lilies... არ ვიცი, რომელი ერთი გავიხსენო.

სოფოსთან მივდივარ. გარეთ აუტანლად ცხელა, აივანზე ვსხედვართ, ქვემოთ ვიხედები და ისევ წინა კვირაში ვბრუნდები, ჩიქოვანის ქუჩიდან ზოოპარკის დატბორილი ნაწილი და განადგურებული ახალი გზა ჩანს. ამ სიმაღლიდან პირველად გადავხედე ამ მონაკვეთს. ალბათ, ბოლო წამამდე არ მჯეროდა, რა მოხდა და სტიქიას რა შედეგები მოჰყვა. ფარდას ვწევთ. მთელი დღე ჟურნალისტებთან რეკვაში გადის, იმ დღეს, ალბათ, ასჯერ მაინც გავიმეორე ეს ფრაზა: „სალამი, თბილისი Open Air-იდან გირეკავთ აკრედიტაციასთან დაკავშირებით“. დროდადრო გვართობს სოფოს პატარა შვილი, მიქაელი, რომელიც ძალიან სასაცილოდ ლაპარაკობს და განუწყვეტლივ „სათამაშოების ისტორიის“ ჩართვას მოითხოვს.

სიიდან ბოლო ჟურნალისტს ვურეკავ და საათზე ვიხედები. უკვე 18 საათია, საჩქაროდ ვიძახებ ტაქსის და ილიაუნისკენ

მივდივარ. ჩიქოვანიდან ჭავჭავაძემდე მისვლას 45 წუთს ვანდომებ, ყველგან საცობია. გზაში ფეისბუკით რამდენიმე საქმეს ვაგვარებ და წიგნის სახლ „ლიგამუსში“ შევრბივარ. უკვე წელინად-ნახევარია, ილიაუნიში ვმუშაობ. ილიაუნის ლიტერატურულ კლუბში ყოველ ხუთშაბათს ვიწვევთ მწერლებს, პოეტებს, კრიტიკოსებს, მკითხველებს, და რომელიმე კონკრეტულ ავტორზე ან წიგნზე ვსაუბრობთ. გვინდა, რომ კლუბში მოსული სტუდენტები წასვლისთანავე წიგნის მაღაზიას ესტუმრონ ან სახლის ბიბლიოთეკები გადაქექონ იმ წიგნის ძიებაში, რომელზედაც ჩვენმა სტუმარმა ისაუბრა.

დღეს განსაკუთრებული შეხვედრა გვაქვს. კლუბში სტუმრად არის ევროპაში ყველაზე წარმატებული გერმანულენოვანი ქართველი მწერალი, ნინო ხარატიშვილი. გასულ ზამთარს ბერლინში მისი ბოლო რომანის საჯარო კითხვაზე აღმოვჩნდი და სიამაყისგან მთელი საღამო ვცქმუტავდი. შეხვედრამ ძალიან კარგად ჩაიარა. ნინომ თავის სამ რომანზე ისაუბრა. პირველი, „ჟუჟა“, უკვე გამოიცა, ის თარგმნეს ნატალია ნადირაშვილმა, ეკატერინე რაისნერმა და მანანა თანდაშვილმა; მსახიობი ნინო ბურდული თარგმნის ნინოს მეორე რომანს – „ჩემი ალერსიანი ტყუპისცალი“ – და მომავალში აპირებს თარგმნოს მისი მესამე და, ჯერჯერობით, ბოლო რომანიც – „მერვე სიცოცხლე (ბრილკასთვის)“. მსახიობებმა ნინო ბურდულმა და თამრიკო მამულაშვილმა ნინოს პიესებიდან ნაწყვეტებიც წაიკითხეს. ძალიან ბედნიერი ვიყავი. ერთი იმაზე მწყდებოდა გული, რომ მე და ნინომ ვერა და ვერ მოვახერხეთ „ჩვენებური ჩამოსხდომა“ და ერთმანეთისთვის მთელი წლის ამბების გაზიარება, რაც ჩემი ერთ-ერთი საყვარელი რიტუალია, მაგრამ ნინოს „გადარბენის“ გამო „ჩამოსხდომას“ შემდეგი ჩამოსვლისთვის ვდებთ.

სამშაბათი

დღეს მანქანის მართვის პრაქტიკული კურსის პირველი გაკვეთილი მაქვს. მირეკავს მასწავლებელი, ერთმანეთს „სმარტის“ ეზოში ვხვდებით და ნუცუბიძის პლატოზე ავდივართ. როცა მასწავლებელი ადგილს მიცვლის და მეუბნება, ახლა შენი ჯერიაო, ჯერ მეცინება, შემდეგ კი საქმიანად გადმოვდივარ მანქანიდან. მართალია, ცოტა მეშინია, რადგან ცხოვრებაში პირველად ვჯდები საჭესთან, მაგრამ თან იმდენად მაინტერესებს, როგორ მუშაობს ეს სისტემა, რომ ვერ ვითმენ. „სერგო მასი“ აუღელვებლად მიხსნის, რა რის შემდეგ უნდა გავაკეთო და მანქანას ვძრავ. პირველი მოსახვევი, გზაზე ბავშვის გადარბენა და გადამსწრები ტაქსი არასდროს დამავიწყდება, თუმცა, როგორც ველოდი, მანქანის მართვა ძალიან აზარტული აღმოჩნდა.

უკვე რამდენიმე დღეა, ქალაქში მარტო დავრჩი. ჩემი ოჯახის წევრები, ტრადიციისამებრ, ივნისის შუა რიცხვებში გურიაში მიდიან და სექტემბრის ბოლომდე იქ რჩებიან. მართა-

მთავრობამ გამოაცხადა, რომ 140 მილიონი ლარით ამცირებს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, თუმცა შემცირება არ შეეხება სოციალურსა და კაპიტალურ ხარჯებს.

„რუსთავი 2“-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ „კაბელების საქმის“ მოსამართლემ დავით ჯუღელმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძის ზეწოლის გამო პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა საქართველოში იტალიისა და აშშ-ის საელჩოებს.

ბუენოს-აირესში გაიმართა საქართველოსა და არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრების თამარ ბერუჩაშვილისა და ექტორ ტიმერმანის შეხვედრა, რომლის მსვლელობაშიც მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ განაცხადა, რომ უეფამ 48 საათი მისცა Biletebi.ge-ს სუპერთასის მატჩის ბილეთების გაყიდვისას შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად.

ლია, სახლის საქმეების კეთება დიდად არ მიყვარს, მაგრამ ახლა მიწევს და მსიამოვნებს კიდეც. დედაჩემი რომ მხედავდეს, როგორი მონდომებით ვაკეთებ საჭმელს, ვალაგებ, ვრეცხავ, ვფენ და ვაუთოებ, ძალიან გაუხარდებოდა, თუმცა, როგორც განებივრებული და მუდმივად „სახლიდან გავარდნილი“ შვილი, მისი აქ ყოფნისას სახლის საქმეებს იშვიათად ვაკეთებ და ჩემს უეცარ სახეცვლილებას, ალბათ, ძნელად დაიჯერებს.

მთელი დღე ყველა საქმის პარალელურად ფეისბუკს ვსკროლავ, ეს ჩემი ბოლოდროინდელი მავნე ჩვევაა, თუმცა სტიქიის შემდეგ განსაკუთრებით ინტენსიური გახდა. არც ერთი ცხოველი არ უპოვიათ. თუ ერთი წამით მაინც გამოვრთავ თავდაცვის ქვეცნობიერ ინსტინქტს, გამოდის, რომ სადღაც, აქვე, ერთი დათვი, ერთი ვეფხვი და ერთი აფთარი დასეირნობენ, თუმცა ამაზე ფიქრს დაწყებისთანავე ვახშობ და ისევ უტოპიად ვტოვებ, როგორც აქამდე. ვცდილობ, რამეს ვუყურო, ტელევიზორში რაღაც სულელური მუსიკალური შოუ გადის. ცალი თვალით ვუყურებ და მეძინება.

24 ოთხშაბათი

თბილისის ზოოპარკის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ტერიტორიის გაწმენდისას აღმოაჩინეს 13 ივნისის წყალდიდობის შემდეგ დაკარგულად მიჩნეული ზოლებიანი აფთრის ლეში.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ „კაბელების საქმის“ მოსამართლე დავით ჯუღელის სახელით განაცხადა, რომ ეს უკანასკნელი არ შეხვედრია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ნინო გვენეტაძეს და არც რომელიმე საელჩოსთვის უთხოვია პოლიტიკური თავშესაფარი.

დილით მე და „სერგო მასი“ ისევ „სმარტის“ ეზოში ვხვდებით. გარეთ დგას. მძღოლის მხარეს არ ჯდება, მეუბნება, რომ დღეს მე უნდა ვატარო. რუსთაველიდან ვიწყებ: კოსტავას, პეკინს, ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგს, თამარაშვილსა და ჭავჭავაძეს გავდივარ და დანიშნულების ადგილამდე მივდივარ. თავი შუმახერი მგონია! ძალიან ცხელა. გონს მოსასვლელად ჩემს ნათლიასთან, ქეთისთან ავდივარ. ამ სახლში რა დროიდან დავდივარ, არც მახსოვს. როგორც მიყვებიან, თვეების რომ ვიყავი, მას შემდეგ. ეს ერთადერთი სახლია, ჩემი სახლის გარდა, სადაც მისვლის წინ თითქმის არასდროს ვრეკავ, რადგან ყოველთვის ვიცი, ან ქეთი იქნება, ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი და მე, მშიერს, მწყურვალს, დაღლილს, გულნატკენს ან ძალიან გახარებულს შესაბამის დახმარებას გამიწევს. ახლაც ასე ხდება. ქეთი სახლშია.

საღამოს ვიგებ, რომ აფთრის ლეში იპოვეს. ძალიან მიჭირს იმის აღიარება, რომ სადღაც გულის სიღრმეში გამიხარდა. ახლაც რომ ვწერ, ძალიან მრცხვენია.

ამ სიახლესთან ერთად ზურა გურიელიძის „დღიურები“ ქვეყნდება. კითხვას ვიწყებ და მგონია, რომ ფენტეზის ჟანრის რომანს ვკითხულობ, თან უჩვეულოდ სადად და გულწრფელად დაწერილს. არც კი ვიცი, ამ კვირაში რამდენი ვიფიქრე მასზე. ეს დღიურები ჩემს ფანტაზიას კადრებად ალაგებს და კიდევ ერთხელ ვცდილობ წარმოვიდგინო, რა გამოიარა. არ გამომდის.

საღამოს კარგი ამბავი გველოდა: კუს ტბაზე კაფე „ვიტამინი კუბები“ იხსნება. მენიუ ჩემი უსაყვარლესი მეგობრის, თამარ ბაბუაძის შედგენილია. მისი სიყვარულით და მხარდაჭერის სურვილით აღვსილი მე და ჩვენი საერთო მეგობარი,

როგორც მე ვეძახი, „ლამაზი, ჭკვიანი, წარმატებული“ ნინო ლომაძე, ბავშვებთან ერთად, კუს ტბაზე ავდივართ. პირველი სიგრილე გვაბედნიერებს, შემდეგ ამას უგემრიელესი საჭმელი და ცინცხალი კენკრის ლიმონათი ემატება. ნინოს გამორჩეულად კარგად აღზრდილი შვილები ჰყავს. ამიტომ ისინი წყნარად თამაშობენ, ჩვენ კი მედიის ახალ გამოწვევებზე, იდეებზე, ინსპირაციებსა და ათას რამეზე ვსაუბრობთ.

ცოტა ხნით ნუცა-სანდროსთან შევრბივარ. სანდრო ჩემი ძმაა, მართალია, ის კაკულიაა და მე – სამადაშვილი, მეტიც, არც ერთი წვეთი საერთო სისხლი არ გვაქვს, მაგრამ რამდენიმე წლის წინ ასე გადაწყდა. სანდრო თავისი სერიალის ბოლო სერიას წერს და თან სიცხისგან ზანტად მოძრაობს, ელენე (ნუცა-სანდროს შვილი) გასაოცარ შეგნებას იჩენს და სანდროს აძინებინებს თავს, ნუცას მაშოსთან ლაპაკი ენდომებაო, ნუცა და მე კი აივანზე ვსხედვართ და ათას საჭირბოროტო ამბავს ვარჩევთ. წვიმა იწყება, გარეთ შეშინებული ვიხედები, მაგრამ მსუბუქად წვიმს, მხოლოდ იმდენად, რომ სუნთქვა შესაძლებელი გახდეს.

სახლში გვიან ვბრუნდები, გზად ტაქსის მძღოლი მეჩხუბება, შორიდან მოვბრუნდი, რატომ არ იღებდი ტელეფონს, ასე გიყვართ ადამიანების წვალებაო – მადანაშაულებს. ძალიან ვმწარდები, ვუხსნი, რომ ქვეყანაში სტიქიაა და ქსელები ცუდად მუშაობს, მაგრამ არ მეშვება, რაღა თქვენთან გაჭირდა დარეკვა, ახლა გადავამოწმებ ცენტრთან, მარტო თქვენ ხართ ასეთი განსაკუთრებული თუ სხვებიცო, თუ მეშლება, ბოდიშს მოგიხდითო, მეუბნება. ამოწმებს. ცენტრი ეუბნება, რომ დღეს კლიენტებთან დაკავშირება ჭირს. უკვე სახლთანაც მოვედით. ბოდიშს არ მიხდის.

ხუთშაბათი

დღეს კლუბის ბოლოსწინა შეხვედრაა. გამომცემლობა „დიოგენესთან“ ერთად წარმოვადგენთ ჯეფრი იუჯინიდისის რომანს „თვითმკვლელი ქალწულები“ (მთარგმნელი თამარ ლომიძე). ეს რომანი სერია „ამერიკელების“ მე-14 წიგნია. ამ სერიაში თანამედროვე ამერიკელი მწერლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შედის და, ერთი გამონაკლისის, სილვია პლათის „ზარხუფის“ გარდა, ყველა პირველად ითარგმნება ქართულ ენაზე. ეს ერთ-ერთი ჩემი საყვარელი სერიაა და ძალიან მიხარია, ამ პრეზენტაციას ილიაუნის ლიტერატურული კლუბი და წიგნის სახლი „ლიგამუსი“ რომ მასპინძლობენ. იმდენად ცხელა, რომ ვღელავ, ხალხი მოვა თუ არა, თუმცა ხალხიც ბევრი მოდის და მომხსენებლებიც ძალიან საინტერესოდ საუბრობენ. ეს რომანი ჩამთრევი და ძალიან საინტერესო სიუჟეტით გამოირჩევა, რომელსაც განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის დეტექტიური ელემენტები. მოკლედ, „თვითმკვლელი ქალწულები“ წასაკითხი წიგნია.

მაშველებმა მტკვრის პერიმეტრზე დაიწყეს 13-14 ივნისის სტიქიური უბედურების შემდეგ დაკარგული სამი ადამიანის ძებნა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ტრადიციული ანგარიში მსოფლიოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ.

ნატოს ევროპაში განთავსებული ძალების მთავარსარდლის მოადგილე, გენერალი ადრიან ბრედშოუ თბილისში შეხვდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს ვახტანგ კაპანაძესა და ქართველ ჯარისკაცებს.

თინა ხიდაშელი ბრიუსელში შეხვდა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილეს ალექსანდერ ვერშბოუს და სიტყვით გამოვიდა „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის მონაწილე ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა სხდომაზე.

აშშ-ის საელჩომ გამოაცხადა, რომ სენატმა საქართველოში ახალ ელჩად დაამტკიცა იენ კელი.

მონტევიდეოში მოეწყო საქართველოსა და ურუგვაის საგარეო საქმეთა მინისტრების თამარ ბერუჩაშვილისა და როდოლფო ნინ ნოვოას შეხვედრა, რომლის მსვლელობაშიც ხელი მოეწერა შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ.

საპარლამენტო კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს საკანონმდებლო ცვლილებას ბანკისგან საფინანსო ზედამხედველობის ფუნქციის გამოყოფის შესახებ, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციამ „ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დარღვევად“ შეაფასა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ დავით ჯუღელმა არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა „კაბელების საქმეზე“ ბრალდებულთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და საქმის არსებითი განხილვის დაწყების თარიღად 10 ივლისი განსაზღვრა.

საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო პარლამენტის წინააღმდეგ თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას სარჩელი წინასწარი პატიმრობის ცხრათვიანი ვადის შესახებ.

საქართველოში აღნიშნეს წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღე.

გარდაიცვალა საესტრადო მომღერალი ეთერ კაკულია.

ᲝᲗᲮᲨᲘ

26 პარასკევი

დილიდან – მანქანის მართვის ერთი გაკვეთილი, მეორე გაკვეთილი. მერე სამღეროსა და ბანკში შერბენაც უნდა მოვასწრო და ორ საათზე უნივერსიტეტში ვიყო. „სცენარის წერის თეორიული და პრაქტიკული კურსის“ ბოლოსწინა ლექცია მაქვს. ერთი წლის განმავლობაში „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტი ქეთი დევდარიანი სცენარის წერას გვასწავლიდა. რა გამოვა ჩვენგან, არავინ იცის, მაგრამ იქნებ ერთ დღეს შევიცვალო სამუშაო სფერო და ამ საქმეს მივყო ხელი. ქეთიც სკოლაში გერმანულის მასწავლებელი იყო, ვიდრე 35 წლისამ სცენარის წერა არ დაიწყო.

იქიდან წვრილ-წვრილ საქმეებზე გავრბივარ, ძალიან ცხელა, მაგრამ გადავწყვიტე, ამაზე არ ვიფიქრო, ასე უფრო მიადვილდება. ამასობაში ექვსის ნახევარი ხდება, პაკოს უნდა შევხვდე. ზუსტად არ ვიცი, სად არის ე.წ „ნარკოლოგიური“, ამიტომ მასთან ერთად მივდივარ. ქუჩის ნარკოტესტირების წინააღმდეგ აქციას მართავენ „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი (GeNPUD) და „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი“. აქციის მთავარი მოთხოვნა ქუჩის ნარკოტესტირების სრულიად არაეფექტიანი და შეურაცხმყოფელი პრაქტიკის გაუქმება და სისხლის სამართლის კოდექსიდან 273-ე მუხლის ამოღებაა. თუ ეს მოხდა, მაშინ გაუქმდება ნარკოტიკების მოხმარებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც. სულ რამდენიმე მოქალაქე და ის ადამიანები არიან, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ. გული მწყდება. მეტს ველოდი, მაგრამ არა უშავს...

27 შაბათი

ლიზიკო ჩამოვიდა. ლიზიკო ჩემი 17 წლის დაა. სულ რამდენიმე დღეა, არ მინახავს და ძალიან მომენატრა. მის მკაცრად განაწილებულ ორდღიან ვოიაჟში ჩვენი საერთო დრო შაბათის მეორე ნახევარია. Lisi Wood-ზე მივდივართ. დასვენების დღეს ჰაერს, მეგობრებსა და ცეკვას, ჩვენი აზრით, არა-

სანტიაგოში გამართული შეხვედრისას საქართველოსა და ჩილეს საგარეო საქმეთა მინისტრებმა თამარ ბერუჩაშვილმა და ერალდო მუნიომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის უვიზო მიმოსვლაზე.

ფერი სჯობს. მიხარია, ლიზიკოს და მე ერთნაირი გართობა რომ მოგვწონს: მარტო რომ დადიოდეს, ვინერვიულებდი და, ერთად რომ ვართ, თან წყნარად ვარ და თან ვგრძნობ, რომ ლიზიკო უმცროსი დიდან ჩემს მეგობრად იქცევა. ვიცი, რომ გზად იმდენ ამბავს და ისეთი ტემპით მომიყვება, თავბრუს დამახვევს. მიხარია.

თუმცა მანამდე გაკვეთილი მაქვს. ცურვაზე და აკვაერობიკაზე დავიწყე სიარული. წინ ცხელი და გრძელი ზაფხულია უამრავი საქმით – სუნთქვა უნდა მეყოს. მერე ნანატრი შვებულებაც მოვა. მთავარია, მშვიდობა იყოს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ თბილისში გამართეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის სამწლიანი მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია.

ნიკა ბრეგვაძე

იურისტი. დაიბადა 1985 წლის 22 ივნისს თბილისში. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა კომპანია „სვანიძე და პარტნიორების“ ადვოკატად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის განხრით, სს „მინის“ იურისტად, „თიბისი ბანკის“ იურიდიული განყოფილების იურისტად, შპს „თიბისი ფეის“ იურიდიული განყოფილების უფროსად; ილიაუნისა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიწვეულ ლექტორად. ამჟამად არის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მოადგილე; რეგულარულად ატარებს ტრენინგებსა და საჯარო შეხვედრებს სტუდენტებისა და სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფისთვის.

ივნისი

28 კვირა

პანკისის ხეობის მოსახლეობაზე დაყრდნობით, საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქის, 23 წლის თურფალ ბორჩაშვილის დაღუპვის შესახებ.

ბათუმის პორტში შემოვიდა აშშ-ის საზღვაო ძალების მე-6 ფლოტის ნაღმოსანი გემი „ლაბუნი“.

საკვირაო ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესია იზიარებს ამერიკელი სასულიერო პირების პოზიციას, რომელთა აზრითაც აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების შესახებ დიდი შეცდომაა.

თბილისის საკრებულოსთან გაიმართა აქცია მდინარე ვერის ხეობაში რეკრეაციული პარკის გაშენების მოთხოვნით.

თითქმის ორი წელია, პირადსა და საჯაროს შორის ბალანსს ვეძებ, დღეს კი ჩემი „პირადი“ ჩემივე ნებით უნდა გავასაჯაროო. რადიო თავისუფლების დღიურების მუდმივი მკითხველი ვარ, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ ერთ დღეს ჩემს დღიურებს სხვები წაიკითხავდნენ.

ბოლო სამი თვის განმავლობაში პირველი კვირადღეა, როდესაც სამსახურში არ ვარ და შევძელი ქალაქგარეთ, სუფთა ჰაერზე დასვენება ძალების მოსაკრებად. ქალაქში გვიან დავბრუნდი.

29 ორშაბათი

ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ, უეფას გადაწყვეტილებით, სუპერთასის ბილეთებს კვლავ Biletebi.ge გაყიდის, 30 ივნისს – ადგილობრივი ქომაგების-

დღიურების წერა საკმაოდ მძიმე და მოვლენებით დატვირთულ სამუშაო კვირას დაემთხვა. როგორც წესი, ორშაბათ დილას მთელი კვირის კალენდარს ვადგენ ხოლმე, თუმცა ამჯერად უკვე დაგეგმილი გამოვიდა: სამი სასამართლო პროცესი

და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის – ჩემი სამსახურის დაბადების დღე. მგონი, სავსებით საკმარისია ერთი სამუშაო კვირისთვის.

შაბათ-კვირას „მაგთის“ მიერ გავრცელებული შეტყობინების გამო სამსახურში მისულს მსჯელობა და განხილვა მხვდება. ჩვენი აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ღელავს და მიყვება, რომ მთელი ფეისბუკი ამ ამბავს აზიარებს და მეკითხება, ჩვენი პოზიცია როგორია. სანამ ორშაბათის ტრადიციულ მენეჯმენტის თათბირზე შევალ, ჩვენს იურისტს, სალომეს ვთხოვ, წერილი დაწეროს „მაგთისთვის“, რათა მაქსიმალურად ოპერატიულად შევძლოთ საკითხის შესწავლის დაწყება. თათბირზე შესვლამდე ეკასთან, მარიამთან და ნატალიასთან ვასწრებ სასწრაფო საკითხებზე დალაპარაკებას.

ძალიან გამიმართლა, ასეთი თანამშრომლები რომ მყავს, ბევრი მათგანის შერჩევაში პირადადაც ვმონაწილეობდი. მათი მონდომება, საქმისადმი დამოკიდებულება და ენთუზიაზმი ყოველდღე სასიამოვნოდ მაკვირვებს!

მენეჯმენტის შეხვედრაზე განვიხილეთ მიმდინარე კვირის პრობლემური თემები: მოქალაქეთა განცხადებებით დაწყებული, სამეურნეო საკითხებით დამთავრებული.

შეხვედრის შემდეგ ვიწყებ მზადებას სასამართლო პროცესისთვის. ხანგრძლივი შემოწმების შემდეგ დავაჯარიმეთ სამი სააფთიაქო ქსელი: „ავერსი“, „პე-ეს-პე“ და „სახალხო აფთიაქი“, სამივეს დავავალეთ 1 ივლისამდე აფთიაქებში აუდიოჩაწერის შეწყვეტა. აღმოჩნდა, რომ დახლზე დამონტაჟებული გოლფის ბურთის მსგავსი მიკროფონებით აფთიაქები მომხმარებლისა და ფარმაცევტის კომუნიკაციას იწერენ ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ბოლო დროს ამ თემაზე ბევრს ვსაუბრობთ, მაგრამ ასეც უნდა იყოს მისი მასშტაბურობის გამო, რადგან ასეთი ჩაწერით აფთიაქში შესული ყველა ადამიანის პირად ცხოვრებაში ერევი. მომხმარებლების უფლებებთან ერთად, არც ფარმაცევტების უფლებები უნდა დაგვავიწყდეს. სამივე სააფთიაქო ქსელში 4000-მდე ფარმაცევტი 24-საათიანი აუდიოვიდეოკონტროლის ქვეშ მუშაობს, მათი ქცევა თუ საუბარი დამსაქმებლის მუდმივი კონტროლის საგანია.

სასამართლო პროცესი მარტივი არ იქნება, თუმცა ამ მხრივ კარგი გამოცდილება გვაქვს: შარშან პირველი პროცესი მოვუგეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას, ორი კვირის წინ კი სასამართლომ ინსპექტორის კიდევ ერთი გასაჩივრებული გადაწყვეტილება დატოვა ძალაში. ვნახოთ, რა მოხდება დღეს...

ხუთის ნახევარზე სასამართლოში მივდივართ, დღეს მოწინააღმდეგე მხარე „PSP აფთიაქია“. მხარემ შუამდგომლობა წამოაყენა, რის გამოც სასამართლო განხილვა მომდევნო კვირისთვის გადაიდო.

ოფისში ვბრუნდებით, საქმის გადადებასაც აქვს თავისი დადებითი მხარე: სხვა საქმეებისთვის მეტი დრო დამრჩა. თამუნა და მე გვიანობამდე ვმსჯელობთ სხვადასხვა თემაზე.

თვის, ხოლო 1 ივლისს – უცხოელებისთვის.

გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ქორწინება და ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა.

თამარ ბერუჩაშვილი მინსკში შეხვდა ბელორუსიის საგარეო საქმეთა მინისტრს ვლადიმირ მაკეის.

უეფას სუპერთასის მატჩის 1500-მდე ბილეთის გაყიდვის შემდეგ ინტერნეტსაიტ Biletebi.ge-ს კვლავ ტექნიკური პრობლემები შეექმნა, რის შემდეგაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ბილეთები სალაროებში გაიყიდება.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა მხარი დაუჭირა მარიხუანის მოხმარებისთვის სასჯელად დაწესებული ერთ წლამდე პატიმრობის გაუქმებას.

დედაქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა.

სახლში გვიან ვბრუნდები. ასე ხშირად ხდება, მაგრამ გაცნობიერებული მაქვს, რომ ახალი ინსტიტუტის ჩამოყალიბებას მეტი მუშაობა სჭირდება, ჩვენ კი სულ რაღაც ორი წელია, ვარსებობთ და ქმედით, ავტორიტეტულ, მოქალაქეზე ორიენტირებულ სამსახურს ვქმნით.

30 სამშაბათი

დილა სასიამოვნო ამბით დაიწყო. ჩემმა დამ, რომელიც უკვე ერთი წელია, ნიდერლანდში ცხოვრობს და სადოქტორო თემაზე მუშაობს, გახარებულმა დამირეკა, მითხრა, რომ მისი ნაშრომი ევროპის ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდება. უმცროსი დის წარმატებები განსაკუთრებით მახარებს.

სამსახურში საქმეები დროულად დავასრულე და ამიტომ სავარჯიშოდ წასვლა მოვახერხე. ბავშვობიდან ძალიან მიყვარს კრივი. ვცდილობ, კვირაში ორჯერ მაინც მივიდე კრივის დარბაზში და ვივარჯიშო. ეს განტვირთვაში მეხმარება. ერთი სურვილიც მაქვს: მინდა, მეგობრებთან ერთად უფასო თანამედროვე სავარჯიშო დარბაზი მოვაწყო კრივით დაინტერესებული ბავშვებისთვის.

1 ოთხშაბათი

ჟენევაში გაიმართა საერთაშორისო დისკუსიის 32-ე რაუნდი.

თბილისის მერიამ განსაზღვრა ზიანის ანაზღაურების წესი 13-14 ივნისის სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის.

საზოგადოებრივმა მოძრაობამ „თბილისის ალტერნატიული მერია“ გამართა აქცია თბილისის მერის, დავით ნარმანიას გადადგომის მოთხოვნით; პოლიციამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალდებით დააკავა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ხარატიშვილი.

57 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე შალამბერიძე.

საქართველოში დაიწყო ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი.

დილას ტრადიციულად ყავის საყიდლად გავიარე და სამსახურში მივედი. ჩვენი ენერგიული და დაუზარელი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ოთახიდან განსაკუთრებული ხმაური გამოდიოდა: დღეს აპარატის დაბადების დღეა. „პიარი“ ღელავს, მოკლე ფილმიც მოამზადა ჩვენი საქმიანობის ორ წელიწადზე.

დღესაც სასამართლოა. ამიტომ გვანცასთან დიდხანს საუბრის დრო არ მაქვს, მალე გამოვდივარ. არადა, უნდა, ყველაფერს დაწვრილებით მომიყვეს. სამსახურში ყველას ჩამოვუარე და მივესალმე. აქამდე პატარა ოფისში ერთ ოთახში რამდენიმე ადამიანი ერთად ვისხედით და მხოლოდ ორ ოთახში მიწევდა გამარჯობის სათქმელად შესვლა. ახლა გრძელი დერეფანი უნდა გავიარო.

სასამართლოსთვის ვემზადები. არ მინდა, ეს პროცესიც გადაიდოს, მოქალაქეები კონკრეტულ შედეგებს ელოდებიან. ორი საათისთვის მე და სალომე დიღმისკენ დავიძარით. ამჯერად სასამართლო განხილვა შედგა. მოსამართლეს ავუხსენით, რომ აფთიაქებში დახლებთან საუბრის ჩაწერა არის უხე-

ში ჩარევა როგორც მომხმარებლების, ისე ფარმაცევტების პირად ცხოვრებაში. თუ დაფიქრდები, მიხვდები, რომ ცოტა უხერხულია, როცა ვიღაც გიყურებს და გისმენს, ხედავს და იცის, რა წამალი ან პირადი ჰიგიენის ნივთები იყიდე აფთიაქში, თან ამას მხოლოდ და მხოლოდ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აკეთებს. სულ ვფიქრობ, ახლა რომ არ გავაპროტესტოთ, რა იქნება შემდეგ. ალბათ, ექიმის კაბინეტშიც დაგვახვედრებენ კამერებს და აუდიოჩამწერებს და დაგვარწმუნებენ, რომ ეს ისევ და ისევ ჩვენი ინტერესების დასაცავად კეთდება.

მოსამართლემ მოისმინა ორივე მხარის არგუმენტები. საბოლოო გადაწყვეტილებას ათ დღეში გამოაცხადებს.

ოფისში ვბრუნდებით, შეხვედრა მაქვს. არადა, ჩვენი თანამშრომლები მეძახიან, ფილმის ჩვენება იწყება და შენ გელოდებითო. დავპირდი, რომ მალე მივალ. უკვე ძალიან გავმრავლდით, 36 თანამშრომელი ვართ! გადავწყვიტეთ, წელს ინსპექტორის აპარატის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის რამდენიმე ადამიანი გამოგვეყო და სერტიფიკატებით დაგვეჯილდოებინა. ადამიანს უხარია, როცა მის შრომასა და მონდომებას საჯაროდ აღიარებენ. ღონისძიებამ უჩემოდ ჩაიარა, ვერ მოვასწარი შესვლა. არადა, თურმე მეც დამაჯილდოვეს. გამიხარდა, ეს ორი წელი აქტიური და გამოწვევებით აღსავსე იყო, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო წინ გველოდება.

ღონისძიებით ყველა კმაყოფილია. საღამოს თამუნას ვესაუბრე რამდენიმე საკითხზე. შევაჯამეთ დღე და სამომავლო გეგმები განვსაზღვრეთ.

ძილის წინ წიგნი გადავშალე, მხოლოდ რამდენიმე გვერდის წაკითხვა მოვახერხე. მალევე ჩამეძინა.

2 ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

დღის პირველ ნახევარში სასამართლო სხდომა იყო, ხოლო საღამოს კვლავ ერთ-ერთ მობილურ ოპერატორთან გვქონდა შეხვედრა. თითქმის ყველა კომპანიასთან ასე ინდივიდუალურად გვიხდება მუშაობა. გვესმის, რომ კომერციულ ორგანიზაციებს თავიანთი ინტერესები აქვთ, მაგრამ ინტერესების ხარჯზე მოქალაქეების უფლებები არ უნდა ილახებოდეს. მოკლედ, ისევ ბალანსის თემაა. ალბათ, ყველა სამსახურში გიწევს დანის პირზე სიარული, მაგრამ აქ – ყველაზე მეტად.

ჩვენი სამუშაო საათები შვიდის ნახევარზე მთავრდება, მაგრამ, როგორც წესი, ჩემი სამუშაო დღე გვიანობამდე გრძელდება. თუმცა ეს ისე ბუნებრივად ხდება, ხშირად ვერც კი ვგრძნობ. კარგია, როდესაც საქმის კეთება გსიამოვნებს და იცი, რომ შენი ქვეყნისთვის სასიკეთო ცვლილებების მოხდენაში მონაწილეობ. მჯერა, ინსპექტორის აპარატს განვითარებისა და წარმატების დიდი პოტენციალი აქვს.

საქართველოს ესტუმრა თურქმენეთის პრეზიდენტი გურბანგული ბერდიმუხამედოვი, რომელიც შეხვდა გიორგი მარგველაშვილს, ირაკლი ღარიბაშვილსა და დავით უსუფაშვილს.

საქართველოს ჯანდაცვის ყოფილმა და უკრაინის ჯანდაცვის ამჟამინდელმა მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა განაცხადა, რომ უკრაინის პრემიერ-მინისტრს მიმართა თხოვნით თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

პროკურატურამ ქონების გამოძალვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბიზნესმენ დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ (დაუსწრებლად).

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა პარლამენტს რიგგარეშე სხდომაზე წარუდგინა 2014 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ.

თბილისში ევროპის ლიგის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩის დროს, რომელშიც ადგილობრივმა „დინამომ“ აზერბაიჯანის „გაბალას“ სძლია (2:1), რამდენიმე გულშემატკივარმა გამოფინა პლაკატი წარწერით: „ჩვენ გვახსოვს ზაქათალა, კახი“ და შეურაცხყო აზერბაიჯანის სახელმწიფო დროშა.

საქართველოში დაიწყო ერთიანი ეროვნული გამოცდები.

3 პარასკევი

სტრასბურგის სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე თბილისმა მოსკოვისგან მოითხოვა კომპენსაციის სახით 70,3 მილიონი ევროს გადახდა 2006 წელს რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების მასობრივი დეპორტაციით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

პარლამენტმა მესამე, საბოლოო მოსმენით დაამტკიცა მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის თანახმად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ პოლიციელთა ოჯახები ერთჯერადად მიიღებენ კომპენსაციას 100 ათასი ლარის ოდენობით.

თბილისის ზღვაზე გაიხსნა მუსიკალური ფესტივალი „თბილისი Open Air.“

დღეს სასამართლო განხილვა არ არის დანიშნული. სამაგიეროდ აპარატშია დაგეგმილი სხვადასხვა შეხვედრა. საკანონმდებლო ცვლილებებზე ვმუშაობთ. რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი აფერხებს ინსპექტორის აპარატის ეფექტიან მუშაობას. გვინდა ხარვეზების აღმოფხვრა, მაგრამ, სანამ მთავრობასა და პარლამენტს ჩვენს წინადადებებს წარვუდგენთ, გველოდება მსჯელობა და განხილვები. ერთმანეთის ოპონენტები ჩვენ თვითონ ვართ.

საღამოს, ძალიან დატვირთული კვირის შემდეგ, მეგობრები მოვინახულე. მათთან ერთად ხშირად ვუსმენ მუსიკას, ვმსჯელობთ სხვადასხვა მუსიკალურ მიმდინარეობაზე. მუსიკას ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია. ვცდილობ, არ გამოვტოვო საინტერესო, ასევე ჩემი საყვარელი შემსრულებლების კონცერტები. კონცერტებსა და ფესტივალებზე მიღებული ენერგეტიკული მუხტი დიდხანს მიმყვება ხოლმე.

4 შაბათი

ირაკლი ღარიბაშვილმა „პროვოკაციად“ შეაფასა 2 ივლისს თბილისში „დინამოსა“ და „გაბალის“ ფეხბურთელთა მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი და შსს-ს მისი გამოძიება დაავალა.

ნაციონალურმა მოძრაობამ პარტიის აღმასრულებელ მდივნად აირჩია სერგო რატიანი, რომელმაც ამ პოსტზე ზურაბ ჯაფარიძე შეცვალა.

შაბათიც დადგა. მინდა, ეს დღე ჩემს ოჯახს დავუთმო, მაგრამ სამსახურში შევლა მაინც მომიწევს. დღეს ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღეა. ეს ქვეყანა ჩემი მეორე სამშობლო მგონია. სავსებით ვიზიარებ ამერიკელებისთვის მთავარ ღირებულებას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომ მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია ღირებული რამ შექმნას.

ბექა გონაშვილი

ფერმერი. დაიბადა 1985 წლის 30 მარტს თბილისში. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკულტეტი. იყო ანსამბლ „ჩვენებურების“ თანადამფუძნებელი და მენეჯერი, ფესტივალ „არტ-გენის“ თანაორგანიზატორი და წამყვანი. არის სხვადასხვა სახალხო დღესასწაულისა და კონცერტის თანაორგანიზატორი. 2009 წლიდან დაიწყო ბიზნესი – ცხვრისა და მსხვილფეხა პირუტყვის ექსპორტი არაბულ ქვეყნებში. 2010 წლიდან საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარეა. 2011 წელს დედოფლისწყაროში გახსნა ფერმერთა მომსახურების ცენტრი. არის მეცხვარეობის შესახებ რამდენიმე გამოკვლევის ავტორი და თანაავტორი.

ივლისი

5

კვირა

დილა ჩვეულებრივად, შვიდისთვის დაიწყო: მეყველეთა გილდიის თავმჯდომარე ანა მიქაძე და ქალბატონი მანანა გადავიყვანე ზურას ფერმაში. ანა საცდელად ამზადებს სხვადასხვა ყველს ზურას და გიორგის ფერმის რძისგან. როგორც თავად ამბობს, ძალიან საინტერესო და მათი პრაქტიკისთვის უჩვეულო შემთხვევებთან აქვთ საქმე. „ფრეში“, ანუ ახალმოწველილი რძე სულ სხვა თვისებებისაა, ვიდრე ის, რომლისგანაც აქამდე აკეთებდნენ ყველს. ტექნოლოგიის შეცვლა უწევთ, წვალობენ. მაგრამ თან ძალიან უხარიათ, რომ ასეთ უნიკალურ რძეს მიაგნეს – დაავადებებისგან თავისუფალს, პირდაპირ წველის დროს რომ დალევ კაცი უშიშრად, არ შეგეშინდება ბრუცელოზის, მასტიტისა თუ რაიმე სხვა სნეულებისა.

მთავარი ისაა, რომ ზურაც და გიორგიც 25-26 წლის ახალგაზრდები არიან და თავიანთი მართლაც არაადამიანური შრომით აჩვენებენ ანას, რამხელა ტვირთია ფერმაში შრომა. სწორედ მათზე გადის ამ ქვეყნის მომავალი.

საკვების საწარმოში გადავედი, ხვალე თელავში უნდა წავიღო ჩემს ქარხანაში დამზადებული ღორის საკვები. პირველი გასვლაა, ვნახოთ, რა მოხდება. ის კი ვიცი, რომ შედეგით ყველა კმაყოფილი იქნება: ოთხი თვის ღორს რომ 90-100-კილოიანებს დაკლავენ, ნაცვლად რვა-ათი თვე ლოდინისა, ეს საშუალებას აძლევს ფერმერებს, წელიწადში სამჯერ მოასწრონ

თბილისში, „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, აღმოაჩინეს ივნისის სტიქიური უბედურების შემდეგ ზოოპარკიდან დაკარგული ერთი-ერთი ვეფხვის ლეში, რის შემდეგაც ზოოპარკის ადმინისტრაციამ და მერიამ განაცხადეს, რომ დაკარგულად არც ერთი მტაცებელი აღარ ითვლება.

თბილისის საკრებულომ დაამტკიცა მერიის მიერ მომზადებული დოკუმენტი სტიქიური უბედურებით დაზარალებულთათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ბათუმში გაიხსნა რკინიგზის ახალი სადგური.

ფულის შოვნა. ვნახოთ...

შუადღისას საკვების „სტიკერების“ დიზაინზე წავიმუშავეთ, უნდა შევცვალო. ასეთი კარგი პროდუქტი უკეთეს დიზაინს იმსახურებს ნამდვილად. :-)

6 ორშაბათი

თბილისში რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი მათემატიკის ინსტიტუტის ყოფილი შენობის ჩამონგრევის შედეგად დაიღუპა ოთხი ადამიანი.

„გენდერული თანასწორობის“ 2015 წლის კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიაზე გამოსვლისას გიორგი მარგველაშვილმა „კატასტროფული“ უწოდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალების მკვლელობის 2014 წლის სტატისტიკას.

დილას, 6-ის ნახევარზე, ჩემი თეთრი რაშით, „ფორდის“ მარკის მინისატვირთოთი, თელავს გავეშურე. ძალიან მიყვარს ეს ქალაქი, მერვე კლასი აქ ვისწავლე. ის ერთი წელი სრულიად საკმარისი გამოდგა, რომ უზომოდ შემყვარებოდა თელავი – ხალხი, კლასელები, ნათელა მასწავლებელი, რომელსაც არასდროს გამორჩება ჩემი დაბადების დღე. მე თუ დამავიწყდა, იმედიანად ვარ: ვიცი, რომ მას არ დაავიწყდება მოლოცვა. :-)

პროდუქტი მოეწონათ, გაუხარდათ. კარგ ფასში შევთავაზე და თანამშრომლობაზეც შევთანხმდით. ის კი არა, ძროხისა და ღორის ხელოვნური განაყოფიერების სწავლა გვინდაო, სპეციალისტები არ ჰყოლიათ. მაგაშიც უნდა დავეხმარო. ეგ საქმე ჯერჯერობით (და, ალბათ, კიდევ რამდენიმე წელი) ბიზნესად ვერ გამოდგება, მაგრამ ვიღაცამ უნდა დაიწყოს ჯიშების გაუმჯობესება აქტიურად. აქამომდინ ძალიან ბევრი გრანტი დაიხარჯა ამ მიმართულებით, მაგრამ არაფერი გამოვიდა, რადგან, სამწუხაროდ, ხალხია არასწორად მომართული, სიახლეების დანერგვა არავის უნდა. უფრო სწორად, როგორ არ უნდა! უბრალოდ, აქ ორი კატეგორიაა ფერმერების: ვისაც სურს, მაგრამ რისკისა და ამ რისკთან დაკავშირებული ხარჯების ეშინია (დაიღალნენ მრავალი ასეთი სიახლის შეთავაზებით, რომლებმაც ჩვენს პირობებში არ გაამართლა, და ამიტომ ალმაცერად გიყურებენ), და ვისაც უნდა, რომ ვიღაცამ (მაგალითად, მთავრობამ ან დეპუტატმა, ან გამგებელმა) დაუხნას, დაუთესოს, ძროხაც მოუწველოს, ძროხის კვებაზეც იზრუნოს და, ბოლოს მზამზარეულ მანონში ისევ მზამზარეული პური ჩაუმტვრიოს. აი, ეს ღუპავს დღეს ჩვენს სოფლის მეურნეობასაც, თავად სოფელსაც და ქვეყანასაც. მართლა მომენატრა მშრომელი და შემართებული ახალგაზრდების გაცნობა...

დედოფლისწყაროში დაბრუნებული, კალოზე გადავედი, მამაჩემი დღეს მორჩა მოსავლის აღებას. წლეულს ბარაქიანი წელი იყო, მარცვალი კარგად მოვიდა, ცოტა ხორბალმა ვერ მისცა ხალხს ის შედეგი, რასაც ელოდნენ, მაგრამ ქერებმა ივაჟკაცეს, აავსეს ქიზიყის ბეღელ-კალოები.

ჩემი პატარა ცოლი, ნინიკო, ამ საღამოს, როგორც იქნა, გავასეირნე. არადა, ახლა სეირნობა ძალიან სჭირდება, მალე პატარა მეცხვარეს გამიჩენს, ნანატრს! აგერ უკვე მეშვიდე წელია... ეს ერთი და სხვა მრავალი! მრავალი, მაშ, ჩვენ ხო წინდაწინ ათ შვილზე შევთანხმდით... :-)

სამშაბათი

გუშინწინ დღიურში არაფერი ჩამიწერია ერთ საკმაოდ უცნაურ ამბავზეც, რაც ისევ და ისევ მაღალი ტექნოლოგიების დახმარებით მოხდა, შეიძლება პირველადაც კი ქართულ აგრარულ სივრცეში.

საქმე ისაა, რომ გიორგიმ ფერმიდან მწყემსი გაუშვა 1 ივლისიდან, ანუ დამხმარე აღარავინ ჰყავდა და 35-მდე ძროხას თავად უვლიდა. ძალიან იღლებოდა. კვირას მე და ქაჩალიჩმაც მოვინახულეთ და საღამოს ნახირშიც მივეხმარეთ, მაგრამ მთელი დღით ვერ დავეხმარებოდით, რა თქმა უნდა. ხოდა, ამ წვალებას ანა მიქაძემ რო უყურა, ქალაქში გაბრუნებულმა, ეგრევე ფეისბუკს მიმართა და დაწერა, მოხალისე ხო არავინ ხართ, რომ ფერმაში სამუშაოდ წამოხვიდეთ რამდენიმე დღითო. ხოდა, აგერ ათი კაცი გამოეხმაურა, ამ ათიდან სამმა დაურეკა, წამოვალთო, ხოლო მეორე დღეს, თბილისიდან 7-ზე გამოსულს, გზაში ეკა დაეწია, რომელიც თავისი მანქანითა და ეკიპირებით წამოვიდა. ეკას არ ვიცნობდი, მაგრამ ფეისბუკის და, ზოგადად, ინტერნეტის დახმარებით ბევრი მეგობარი მყავს და აღმოჩნდა, რომ ის ლუარსაბ ტოგონიძის, ჩემი ინტერნეტით გაცნობილი და აწ უკვე რეალური ცხოვრების ძმაკაცის ცოლისდაა, რამაც გამახარა, გამაოცა და გამაამაყა კიდეც ერთდროულად!

წავიყვანე სტუმარი, ნახა ფერმაც, იშრომა კიდეც. ანასთან ერთად გვიანობამდე იყვნენ ფერმაში. გიოს ეხმარებოდნენ წველაში, საკვების დაყრაში, დახვეტაშიც კი, და გასავათებულები ამოვიდნენ ღამის 12 საათზე. მაგრამ მოტივირებულები არიან: ხვალეც წავალთო, ამბობენ!

აქ დამებადა იდეა, რომ გავაკეთო ინტერნეტრესურსი, აგროლანსერის სამსახურით. ვისაც სოფლის მეურნეობა აინტერესებს ან სურს მომავალში ამ საქმეს მოჰკიდოს ხელი, კარგი საშუალება ექნება, რომ პრაქტიკა გაიაროს, ხოლო თავად იმ ფერმერს, ვინც მიიღებს, ეყოლება თუნდაც ერთდღიანი უფასო მუშახელი (კვებისა და ცხოვრების ხარჯების ანაზღაურებით), რომელიც მიეხმარება. კარგია, უნდა მოვქოქო ეს იდეა, ისევე როგორც ფერმერთა სოციალური ქსელის იდეა, მააშ: შრომამ შექმნა ადამიანი, ინტერნეტმა დახვეწაო! :-)

დღეს ერთმა კარგმა ამბავმა გამახარა: თელავში საკვები კარგად გაყიდულა. 14 ტომარა გაიყიდა გუშინ ჩატანილი. მაშ, ხვალე უნდა მივაშველო უკვე სხვა პროდუქტებიც. დავღერღეთ, გავამზადეთ, შურიკა ძია მიმყოფოს ღმერთმა კარგად, ქარხანას ისე კოხტად და საათივით ამუშავებს, ერთი გრამი მტვერი არსად არის. აკი ამბობს ხოლმე: აქ რომ კაცი მოვა, შარვალ-კოსტუმითაც რომ მუშაობდეს და მერე ქორწილში წავიდეს, არ უნდა შერცხვესო. :-)

რახან მოსავლის აღებას მორჩა, ხვალე მამაჩემი მთაში მიდის, ცხვართან. მეც ძალიან მომინდა! ამას წინათაც ვაპირებდი, ჭიის წამალი რო წაიღო. ვიფიქრე, წავალ ორი-სამი დღით

ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ უეფას სუპერთასის მატჩის ბილეთები 12 ივლისს დილის 9 საათიდან გაიყიდება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე.

21 წლის ლიკა კიკიანმა ფეისბუკით გაავრცელა ვიდეომასალა, რომელშიც ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს პოლიციელებს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძე ვითარების ადგილზე გასაცნობად ქობულეთში შეხვდა მედრესის გახსნის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს.

მთავრობამ შეაჯამა სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ – ერთი წლის შედეგები.

და მე დავალევინებ-მეთქი: თან საქმეს გავაკეთებდი, თან დავისვენებდი ამოდონა ორომტრიალისგან. მაგრამ ნინიკოს ახლა ვერ დავტოვებ. წელს მომიწევს ცხვარში ერთდღიანი ვიზიტით შემოვიფარგლო და მაქსიმალურად მობილიზებული დაველოდო პატარა მწყემსს... :-)

8 ოთხშაბათი

იუსტიციის სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთიდან ქართველთა მასობრივი დეპორტაციის შესახებ თბილისის სასარგებლოდ გადაწყვეტილ საქმეზე საპასუხო არგუმენტების წარსადგენად სტრასბურგის სასამართლომ მოსკოვს ვადად განუსაზღვრა 2015 წლის 9 ოქტომბერი.

ვაზიანის ბაზაზე დაიწყო საქართველოს, აშშ-ის, ბულგარეთის, ლატვიის, ლიტვისა და რუმინეთის სამხედროთა ერთობლივი წვრთნა – Agile Spirit.

პარლამენტმა მესამე, საბოლოო მოსმენით დაამტკიცა „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კანონპროექტი“, რომელიც ითვალისწინებს შსს-გან სახელმწიფო უსაფრთხოების ფუნქციის გამოყოფას და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შექმნას.

შსს-მ განაცხადა, რომ გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული მოკვლევით არ დადასტურდა პოლიციელთა მიერ მოქალაქე ლიკა კიკიანის ფიზიკური შეურაცხყოფა.

დილიდან თელავს მივაშურე, დავცალე პროდუქცია, მაგრამ ჰაა, პოლიტიკაზე კამათს მაინც ვერ ავცდი გაგანია წინანდლის ბოლოებზე. ამერიკა რო ფინთია და რუსეთი რო მაინც ერთმორწმუნეა, ეგ გავარჩიეთ მე და გიამ, მეგუთნიშვილმა. :-)

ეს ამერიკა რო უვარგისია და სატანის მონაშენი, გავიგე, მაგრამ ეს რუსეთი რანაირადღაა ამ ტანჯული ქვეყნის მოამაგე, ერთი ეგ ვერ ამოვიკითხე ამ 200 წლის მანძილზე ნაწერ ვერც ერთ ისტორიის წიგნში. ჩემი აზრით, არც ერთი უქნია ღმერთს საჩვენოდ, არც მეორე და არც კიდე სხვა ქვეყანა, ყველას თავისი ინტერესი აქვს და იმ ინტერესს იცავს. ეგ ჩვენა ვართ უბედურები, რომ საკუთარი არც ინტერესი გაგვაჩნია, არც მაგ ინტერესზე დაფუძნებული სტრატეგია და არც ამ სტრატეგიის განხორციელების სურვილი. ყველა თავისასა წადინობს და თანაც ისე წადინობს, რომ სხვისა თუ გადაეღობა წინ შემთხვევით, მაშინვე ძირიანად სპობს და ანადგურებს. არც კი გაიხედავს წინ, იქნება და მისთვის ხელსაყრელიც კი იყოს, ვიღაცასთან გაამხანაგებით იაროს მიზნისკენ... ეეჰ, ილიამ ვერ გაასწორა ეს ქვეყანა და მე რას ვიქამ, აბა?!

ძალიან ბოდიშების ხდით, როგორც იქნა, დღეს დავჯექ და „მერსი კორპსისთვის“ საჭირო დოკუმენტაცია დავასრულე. ეს ორგანიზაცია მეცხვარეთა ასოციაციას გვეხმარება სასწაულად! ჰელენი, მათი ხელმძღვანელი, შეიძლება ითქვას, ძალით მაკეთებინებს იმ საქმეს, რაზედაც ძალიან ხშირად მითქვამს, უნდა შევეშვა, დრო აღარ დავკარგო და მხოლოდ საკუთარ საქმეზე ვიფიქრო-მეთქი, გავეშვა ამ საქვეყნო სატკივარზე სირბილს წინ და უკან, ყვირილს პრესით და ტელევიზია-რადიოებში გამოსვლებით. ვაცნობ ხალხს ამ ცხვარმეცხვარის პრობლემას, გამგონეც ბევრია. ესმით, განა არ ესმით, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გვიანდება, ხანდახან, რაც გადაიდგმება, ისიც არასწორია. მერე იმაზე მეშლება ხოლმე ნერვები - მაშ, ასე არასწორად გადმოვცემ-მეთქი იმას, რაც გასაკეთებელია?!

ამ ბოლოს რამდენიმე ფაქტის გამო პირდაპირ ვთქვი კიდეც, ასოციაციას თავი უნდა გავანებო-მეთქი, მაგრამ მერე ხან ცხონებული პაპაჩემი, ხან სპირიდონა პაპა, ხან სეიფუნა ღულელაური, ხან ფიდო გაფრინდაული, საშიშა და მამამისი, ჯუმბერა ძია, ხან შემზარავი გოგია და მათი დაკოჟრილი ხელები, ნაადრევად დაბერებული, მაგრამ გულად მოახალგაზრდავე სახეები ამომიტივტივდება გონებაში და გული ისევ

მომიბრუნდება ხოლმე. იმ დღეს მამაჩემმაც მითხრა (არ ვიცი, იგრძნო თუ რაა), ამ ასოციაციას თავი არ გაანებო, ხალხი გენდობა, წლები დაგჭირდა, მაგრამ ყველა კატეგორიის ხალხში, როგორც მეცხვარეში, ისე სხვა პროფესიის ხალხში, ნდობა გაქვს და მაგ ბრძოლას ბოლომდე მიყვანა უნდაო. ძნელია, მაგრამ ამჯერადაც დამძალა, მიმიბრუნა გული, შემოდგომიდან ბევრი რამის კეთებას დავიწყებ... უფრო თავდაუზოგავად.

ხუთშაბათი

წუხელ ცოტა ნინიკომ შემაშინა, მუცელი სტკიოდა. ამიტომ ხვალე ქალაქში უნდა წავიყვანო.

ძალიან ბედნიერი ვარ ნინიკოთი. არც ისე ბევრი მეგულება თბილისში დაბადებული და გაზრდილი გოგო, შარდენსა და მეგობრების გარემოში ყოფნას მიჩვეული, ერთ დღეს ქმარს სოფლად საცხოვრებლად გაჰყოლოდეს. თანაც როგორ?! ჩემი ძმაკაცების შვილების ნათლია ის არის. იმდენად ყველას შეაყვარა თავი და იმდენად თბილია, ასე მგონია, აქაური იყო და არის კიდეც. ქუჩაში ჩემზე მეტად მას ესალმებიან, მოიკითხავენ ხოლმე, ბაზარში გამყიდველი ქალები სულ ტუსტუსით დაჰყვებიან და ეფერებიან. :-) წლების წინ ბუღალტერიც ეგ იყო ჩემი, საქმის მწარმოებელიც. ფინანსური და საგადასახადო რომ დამესხა თავს ორივე კომპანიაზე, მაშინ სწორედ ნინოს და მამაჩემის სწორი აღრიცხვიანობის წყალობით გადავრჩი დიდ ჯარიმებს. უკვირდათ აუდიტორებს, ასე სწორად დალაგებული დოკუმენტაცია ჯერ არ გვინახავსო!

ჩემს ამჟამინდელ ბუღალტერს ველაპარაკე დღეს ტელეფონით. თბილისშია, თავად ტრენინგებზეა, ხოლო უფროსი ვაჟი, ილიკო, რომელიც წელს აბარებს, კარგად მიიწევს წინ ეროვნულებშიო. ასეც ვიცოდი! მაგარი ბიჭია! და, რაც ყველაზე მეტად მახარებს, როცა ნატომ დაიწყო ჩემთან მუშაობა, ნელ-ნელა ნახა, რასაც ვაკეთებდი და რა პრობლემებიც მქონდა, მაგალითად, კადრების სიმცირე, ის, რომ ვეტექიმების კატასტროფული დეფიციტი გვაქვს, ძალიან ცოტა რო არიან და ისიც მოხუცები, ილიკომ გადაწყვიტა, ვეტერინარულზე ჩააბაროს! ბრავო! აი, ამისთვის ღირდა ჩემი 4-5-წლიანი წვალება დედოფლისწყაროში. მე მას ყველანაირად ხელს შევუწყობ, ყველგან გავუშვებ, სადაც მივწვდები (გრანტები და ასე შემდეგ), და ექვსი-შვიდი წლის მერე რაიონს ერთი კარგი ახალგაზრდა სპეციალისტი ეყოლება. მის მაგალითს ვინმე მისი მეზობელიც მიჰბაძავს, ნახავს, რომ ის დასაქმდა, კარგად ცხოვრობს, ანაზღაურებაც აქვს და თან ბევრს სჭირდება. მერე ის მეზობელიც, იმედია, აღარ ჩააბარებს არარსებულ პროფესიაზე, როგორიცაა „საბანკო საქმე“, „საბაჟო საქმე“, სადაც, რას ასწავლიან ოთხი-ხუთი წელი, ჩემამდე არ დადის, და მერე ისევ სიგარეტის ან მაკარონის დისტრიბუციაში იწყებენ მუშაობას. მაგრამ რა გინდა, ძმაო, დიპლომი უდევთ შინ

9

მოქალაქე ლიკა კიკიანის მიმართვის საფუძველზე პროკურატურამ დაიწყო გამოძიება პოლიციის მიერ ჯგუფურად, ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოძალვაში ბრალდებულ თავდაცვის ყოფილ მინისტრს, დავით კეზერაშვილს აღმკვეთ ზომად პატიმრობა შეუფარდა (დაუსწრებლად).

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე მოსკოვში შეხვდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერს სერგეი ნარიშკინს.

სააგენტო „სპუტნიკ ოსეტიამ“ გაავრცელა ცნობა, რომ სამხრეთ ოსეთში მშენებელთა ბრიგადამ გადალესა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი თირის მონასტრის კედლები.

ქალაქ გაბალაში ადგილობრივი გუნდისა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მატჩის დროს აზერბაიჯანელ ქომაგთა ნაწილმა ტრიბუნაზე საქართველოს დროშა დაწვა და გამოფინა პლაკატები, რომლებზედაც ბორჩალო აზერბაიჯანის ისტორიულ მიწად იყო მოხსენიებული, „რუსთავი“, „მარნეული“ და „ბოლნისი“ კი აზერბაიჯანული სახელებით შეეცვალათ; მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით – 2:0.

წყნეთ-ახალდაბის საავტომობილო გზაზე მეწყერი ჩამოწვა.

ისეთი, ქვას გახეთქს!

მოკლედ, ფრიად კარგი დღე იყო სიამოვნებისგან ხელების ფშვნეტისა.

10 პარასკევი

საქართველოს მთავრობამ „პროვოკაციად“ შეაფასა აზერბაიჯანის ქალაქ გაბალის სტადიონზე 9 ივლისს მომხდარი ინციდენტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიწყო ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გამო სამსახურებრივ გულგრილობაში ბრალდებული დაცვის ყოფილი წევრების, კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას საქმის არსებითი განხილვა.

თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა პარიზში ხელი მოაწერა მეორე კონტრაქტს საფრანგეთისგან საჰაერო თავდაცვის სისტემების შეძენის შესახებ.

ტელეკომპანია GDS-ის გადაცემა „20/30“-ში ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ყველა საარჩევნო პირობა ეტაპობრივად შესრულდა და სრულდება, და უარყო ოპოზიციის ბრალდება, თითქოს მთავრობა ერევა დამოუკიდებელი ინსტიტუტების, მათ შორის ეროვნული ბანკის მუშაობაში.

დილით საქმეებს მივხედე, ფერმაშიც ვიყავ, ანაც ვინახულე. ანას შვილის, ბექას დამზადებული სულგუნი გავსინჯე... კატასტროფულად მაგარი რამეა, სასწაული! ბავშვობიდან ძროხას, რძეს და ყველს ვუყურებ, ვჭამ, მაგრამ ასეთი რამე არ გამისინჯავს! ბრავო! ესეც კიდევ ერთი ჯეელი ახალგაზრდა, თავისი საქმის უზადო მცოდნე, მოყვარული და ამ დალოცვილი ქვეყნის პატრიოტი, ოღონდ არა სიტყვით, ყანწების გამოცლით ან პატრიოტულ მოტივებზე მხატვრულად ლექსწამკითხველი, არამედ რუდუნებით, თავჩახრილად მომუშავე.

საქმეები მივალაგ-მოვალაგე, ორი-სამი დღით ქალაქად რომ ვიყო. უკვე ბევრი ვინმე მელოდება ქალაქში, ხვალინდელ დღეს ვგეგმავ. დედოფლისწყაროში ასე არ იყო, საათებში გაწერა არ მიწევდა ჩემი გრაფიკისა, აი, ამიტომ არ მიყვარს თბილისი. რამე შეხვედრას ან სამუშაოს ვერ გათვლი სწორად და წასულია შენი საქმე, წინდის თვალივით აირევა გეგმა და მერე იწყება გადარბენა, ვიღაცის ლოდინი, ბოდიშების ხდა და ასე შემდეგ.

ისე, ორი-სამი კვირაა, არ ვყოფილვარ აქეთ და გზებზეც რამდენიმე რამეა შეცვლილი, გაგეცინება კაცს. სართიჭალაში სანიაღვრეს აშენებდნენ, კარგია! ბურებს გოჭების საჭმელი წამოვუღე და ეგ დავუტოვე - მთხოვეს, იქნება ხვალე გარდაბანში ჩვენი ფერმა მოინახულოო, რაღაცებს ვგეგმავთ, თან სხვა ბურებსაც უნდათ შენი გაცნობაო და რჩევები გვჭირდებაო. შევთანხმდით: ხვალე, 8-ზე, ორთაჭალაში შევხვდებით და წავალთ. პივოტები უნდა დაეყენებინათ და საინტერესოა.

სახლში მოსულს, დედაჩემმა მახარა, რომ მამაჩემს მოუტანია წიგნი, რომელშიც ყველა წყაროა ამოკრეფილი, სადაც გონაშვილები არიან მოხსენიებული. საინტერესო რამე ჩანს, უნდა ჩავუჯდე, თანაც პატარა მეცხვარე ჯერ კიდე უსახელოა, ვერ მოვიფიქრეთ მე და ნინიკომ, რა დავარქვათ. ხოდა, შეიძლება სწორედ მანდ ამოვიკითხო მისი სახელი, ვინ იცის... :-)

საღამო მშვიდად ჩავატარე, კარგი გემრიელი კაცი, ზურა ფიროსმანაშვილი მესტუმრა. მომავალ კვირაში ძროხების კვების ჰოლანდიელი სპეციალისტი ჩამოდის მათთან და უნდა შევხვდეთ, კახეთშიც უნდა წავიყვანოთ და ფერმები ვანახვოთ: რა მდგომარეობაა, რას აჭმევენ ახლა, ყველაზე ოპტიმალური რაციონის შედგენა რომ შევძლოთ. კარგია! ანუ სწორი კვება, საკვების დამზადება, მცენარეთა დაცვა, ვეტერინარული მომსახურება, ჯანმრთელი პირუტყვი, ჯიშობრივი გაუმჯობესება – ეს ისაა, რაც ხვალინდელ ქართველ ფერმერს ქმნის და ჩვენც ამას ვქმნით უკვე ხუთი წელია. კადრებში გვიჭირს, მაგრამ მაგასაც ვუმკურნალებთ ღვთის მადლით.

შაბათი

დილას წავედი გარდაბანში, ლემშვენიერას ტერიტორიაზე, ნაციონალების დროს ბურებს რო მიწები მისცეს, იქ. მომეწონა, სულ პივოტები უყენიათ სარწყავად. ჩარლზს ცხვარიც ჰყავს 500 სულამდე და წუხელ მგელი დასცემიათ. ცხრა სული დაუხოცა თურმე, თოთხმეტი კიდე გაუფუჭა, ვუმკურნალეთ, როგორც შეგვეძლო. მანახვა წყლის რეზერვუარიც, საიდანაც პივოტებს წყალი უნდა მიეწოდოს. გამაცნო სხვა ბურებიც. ბევრი რამ აინტერესებდათ. გავუზიარეთ გამოცდილება ერთმანეთს. ძალიან მშრომელი ხალხია! ვენაცვალე მაგათ. საერთოდ, ყველა მშრომელ ადამიანს გაუმარჯოს ღმერთმა: ქართველია, ირანელი, ინდოელი თუ ბური. ძალიანაც კი მინდა, რომ ეგ მშვენიერ მიწები არა ბურების, არამედ ქართველების იყოს, მაგრამ ასე დებას რა აზრი აქვს, ქართველებისა არ იყო, რო ზედ არავინ არაფერი გააკეთა?! და დღემდე რამდენი მიწა გვიყრია მასე უქმად, მაგრამ დაიცაა... მოვა მთავრობა და მოგვიხნამს, მოგვითესავს და ლუკმას პირში ჩაგვიდებს მერცხლის ბარტყივით...

ჩამოვედი ქალაქში და ეგრევე ნოტარიუსთან მოვხვდი, ირან-საქართველოს სავაჭრო პალატის საბჭოს წევრად ამირჩიეს და ეგ უნდა გაფორმებულიყო. რამდენი ასეთი ორგანიზაციის წევრი, დამფუძნებელი და საბჭოს წევრი ვარ, ვინ მოთვლის! ხეირი არაფერია, მაგრამ ნაცნობობა კარგია, ბევრ რამეში გამომდგომია, და მეც ბევრს გამოვდგომივარ. მაგრამ ძალიან ბევრ დროს მართმევს ასეთი ორგანიზაციების ფარგლებში აქტიურობა. ამიტომ საჭიროა, ორი ან სამი მაინც ვიყო, ან ამ დალოცვილ ღმერთს ვთხოვო, ეს 24 საათი ცოტა გაზარდოს.

ფიდომ დარეკა, მთიდან ჩამოველ, კლიენტი ხო არავინაა. მე ვუთხარ, აგე, რამადანი რო დამთავრდება, ველოდები-მეთქი არაბებსა. ხოდა დაილალე და ამოდი თუშეთშიო, წელს შენი იმედი გვაქვს თუშებსაო, შარშანდელივით საცოდავ ბედში არ ჩავცვივდეთ, ვაჭრებს რო „პოსლეზე“ გავატანეთ მთელი წლის ნაჯაფიო... ეგე, ამის გამო მიბრუნდება ხოლმე ისევა გული მეცხვარეთა ასოციაციისკენ, დახმარება სჭირდებათ...

სტუდიაში წასვლამდინ „ლივინგსტონში“ შევუარე ირაკლის. სრულდება ჩვენი პროგრამაც. ბიჭები მიკეთებენ ხელოვნური განაყოფიერების „სოფტვერს“, გადამყვნენ ზედ, მაგარი გამოდის, საამაყო ნამდვილად! ბევრი სასარგებლო აპლიკაციის გაკეთება შეიძლება ერთობლივად, ძალიან ნასიამოვნები ვარ! მოკლედ, ახალ ტექნოლოგიებს ფეხს და ხელს ვუწყობთ ქართველი ფერმერები!

მაშ, გასრულდა ესე ამბავი ამ კვირაში ნაგროვები. თუ ამ დღიურის წაკითხვის ან მოსმენის მერე ერთით მეტი ფერმერი გვეყოლება საქართველოში, ერთით მეტი ადამიანი დააფასებს ფერმერის შრომას, მაშ, ტყუილად არ მიწერნია ამდენი, იმიტომ რომ „ფერმერი არის გმირი“!!!

მთავრობამ „სახიფათო პროვოკაციად“ შეაფასა და დაგმო რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟება გორის რაიონის სოფლებთან წითელუბანსა და ხურვალეთთან, და ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანთან.

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, თირის მონასტრის დაზიანების შესახებ გავრცელებული ცნობის გამო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდა, დააჩქარონ ერთობლივი მონიტორინგის უზრუნველყოფის პროცესი.

წალკის მუნიციპალიტეტში გაიფიცნენ კომპანია BP-ის კონტრაქტორი ფირმის, „ბეხტელენკა“-ს სამშენებლო ბაზაზე დასაქმებული მუშები, რომლებიც მოითხოვენ შრომითი ხელშეკრულების გადასინჯვას და სამსახურიდან დათხოვნილ თანამშრომელთა დაბრუნებას.

ნინო კვარაცხელია

პიარმენეჯერი. დაიბადა 1967 წლის 18 იანვარს სოხუმში. დაამთავრა აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოგეოგრაფიული ფაკულტეტი. დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „კოალიცია სამართლიანობისათვის“, იყო ამავე ორგანიზაციის გამგეობის წევრი და კომუნიკაციების ხელმძღვანელი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) კონსულტანტად; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სტატისტიკის დეპარტამენტის GIS-ის ექსპერტ-კონსულტანტად; მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერის დროებითი საორგანიზაციო სამუშაო ჯგუფის წევრად. ამჟამად არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი მთავრობის აპარატის პროტოკოლის, საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი; განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საპრეზიდენტო პროგრამა „ჩემი სახლის“ ექსპერტი.

12 კვირა

ნაციონალური მოძრაობისა და „თავისუფალი ზონის“ წევრებმა ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან გამართეს აქცია და მოითხოვეს ქვეყნიდან ივანიშვილისა და „მისი უუნარო მთავრობის“ წასვლა.

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში დილის 9 საათზე დაიწყო და თითქმის 24 საათს გაგრძელდა უეფას სუპერთასის მატჩის ბილეთების გაყიდვა.

7 საათზე აფორიაქებულმა გავიღვიძე, ხვალ ჩემი პროექტის პრეზენტაციაა. ვღელავ, როგორც ყოველი პროექტის პრეზენტაციის წინ. ყავა დავლიე და გადავხედე სცენარს, მოწვეული სტუმრების სიას, რამე და ვინმე ხომ არ გამომრჩა? ეს მნიშვნელოვანია! ნიტამ გაიღვიძა. როგორც კი ჩავიხუტე, უმალვე დავმშვიდდი, ჩემი „დოზა“ პოზიტივი მივიღე. ტელეფონმა დარეკა, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან დამიკავშირდნენ, პროექტის შესახებ დილის გადაცემაში სიუჟეტის მომზადება შემომთავაზეს. გამიხარდა, უნდა შემერჩია სამი კანდიდატი ინტერვიუსთვის. კარგი გოგოა ანი, მსიამოვნებს თავაზიან და პროფესიონალ ადამიანებთან მუშაობა. არც რესპონდენტების მოძიება გამჭირვებია, სიამოვნებით დამთანხმდნენ. მივაწოდე ყველა საჭირო ინფორმაცია და მასალა პროექტისა და ბუკლეტის შესახებ.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა, კმაყოფილი ვარ. ხათუნამ დამირეკა, ჩემმა მეგობარმა და პროექტის კოორდინატორმა. პრეზენტაციის შესახებ კიდევ ერთხელ გავიარეთ კონსულტაცია, ერთმანეთს წარმატება ვუსურვეთ და მოვილაპარაკეთ, რომ აჯობებს, დავისვენოთ. ერთმანეთს პოზიტიურ ნოტზე დავემშვიდობეთ. დეიდაშვილთან წავედი სტუმრად. ზურა რეჟისორია და თან ჩემი „ფსიქოლოგი“, ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია მისი შეფასება და რეკომენდაციები. კარგი რჩევები მივიღე.

ტრადიციისამებრ, ავთო მირეკავს ერთსა და იმავე დროს – 6 საათზე. ავთო აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის დირექტორია. ყოველ კვირას, 5 საათზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხზე გადის ერთსაათიანი გადაცემა „აფხაზეთი“. გადაცემის შემდეგ დეტალურად ვაანალიზებთ საინფორმაციო ბლოკს, სიუჟეტებს. შენიშვნები, რეკომენდაციები, ცოტა კამათი, ცოტაც – იუმორი...

დღის ბოლო შტრიხი. სტილისტთან ლამაზი ვარცხნილობა გავიკეთე და მივიღე რჩევა, როგორ შევინარჩუნო ხვალამდე. ყველანი სახლში ვართ: ნიტა, თამუ და სანდრო. ნიტას გულში ვიხუტებ და ვიძინებ. თუმცა დაძინებამდე – ტრადიციული საღამოს საუბრები მშობლებთან. ერთმანეთს ყურმილს ხელიდან სტაცებენ დედა და მამა, ვინ უფრო მეტ ინფორმაციას მომაწვდის. რა ბედნიერებაა, რომ მყვანან!..

ორშაბათი

7 საათზე ვიღვიძებ, ვცდილობ, სიმშვიდე შევინარჩუნო, დილის შხაპი, ყავა. მზად ვარ. „რუსთავი 2“-ში მივდივარ. ხათუნას გავუარე. მაკიაჟი, მიკროფონი, სტუდია, პირდაპირი ეთერი, ემოციები... ფიქრები ამეშალა. ტკივილი განმიახლდა, დარდი აბობოქრდა; გამახსენდა სოხუმი, ჩემი სახლი. ვცდილობ, ცრემლები შევიკავო. გამომდის.

საოცრად სენტიმენტალური, სევდანარევი და თბილი დილის გადაცემა გამოვიდა.

სამსახურში გავრბივარ. ორშაბათის დილის თათბირს ვესწრები, ცოტათი ვაგვიანებ. არ მიყვარს დაგვიანება, არც ორშაბათის თათბირები მიყვარს. დავალებები, დავალებები, დავალებები...

11 საათზე ეროვნული პარლამენტის საგამოფენო დარბაზში ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ მაინც ცოტა ვღელავ.

„მარგალიტები მეხსიერების საგანძურიდან“ – ასე ეწოდება პროექტს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა თანადგომის“ ორგანიზებითა და საქველმოქმედო ფონდ „სარაჯიშვილის“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ალბომში წარმოდგენილი ყველა ნივთი აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებს მშობლიური სახლებიდან გამოჰყვათ და დღემდე აგონებთ იქაურობას, იქ გატარებულ ბედნიერ დღეებს. შესაბამისად, შინ დაბრუნების სურვილსა და იმედს უმძაფრებთ. დევნილთა ცხოვრებისეული ისტორიების ამსახველი ალბომის გამოცემაში კომპანია „მედიასითი“ დაგვეხმარა. მასში მოთხრობილი ამბები, ქართულთან ერთად, აფხაზურ, ინგლისურ და რუსულ ენებზეა გამოცემული. ჩემთვის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია. არ ველოდი, თუ ამდენი ხალხი დაესწრებოდა: პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, კოლეგები, მეგობრები, ნათესავები...

ყველა გაფაციცებით უსმენდა. არავინ გასულა დარბაზიდან, ე.ი. პრეზენტაცია შედგა. ემოციები, შეფასებები, რჩევე-

რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ წითელუბანთან, ხურვალეთთან და ორჭოსანთან „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟების გამო გიორგი მარგველაშვილი შეხვდა საქართველოში ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის, აგრეთვე კომპანია BP-ის წარმომადგენლობის ხელმძღვანელებს.

„საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟების გამო შედგა სატელეფონო საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე დავით დონდუასა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინს შორის.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთს მოუწოდა, შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტაზე 2008 წლის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, ომამდელ პოზიციებზე დააბრუნოს თავისი სამხედრო შენაერთები და გააუქმოს გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარების შესახებ.

თბილისში გაიხსნა 13-14 ივნისის სტიქიური უბედურების ამსახველი ფოტოგამოფენა.

ბი, გულწრფელი მოლოცვები, სურვილები, ინტერვიუები, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები, ჟურნალ-გაზეთები... ბედნიერი ვარ, მაგრამ სევდიანიც. აფხაზეთი, სამაჩაბლო, ისევ მომავლის იმედი.

სამსახურში ვბრუნდები. რამდენიმე მნიშვნელოვანი ზარი. გავეცანი მედიამონიტორინგს, შევამოწმე ვებგვერდი, სოციალური ქსელებიც, მეილებიც.

პროექტის ორგანიზატორები შევიკრიბეთ. გავაანალიზეთ პრეზენტაცია და დავსახეთ სამომავლო გეგმები. დავიღალეთ, მაგრამ სასიამოვნოდ. წარმატებული პრეზენტაციის აღნიშვნა შაბათისთვის გადავდეთ.

გული დამწყდა, რომ ვერ დავესწარი კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლის პრემიერას, მაგრამ, იმედია, მოვახერხებ და აუცილებლად ვნახავ უახლოეს მომავალში.

სახლში ვარ და ნიტასთან ვნებივრობ... დღეს ორი თვის გახდა.

წარმატებული დღის სასიამოვნო დასასრული.

14 სამშაბათი

გლდანის ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში გაზის გაჟონვის გამო მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა ხუთი ადამიანი.

ხურვალეთთან და წითელუბანთან ჟურნალისტთა თაოსნობით გაიმართა საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეებმაც მიწიდან ამოთხარეს „საზღვრის“ აღმნიშვნელი ერთ-ერთი ბანერი და მის ნაცვლად საქართველოს დროშა აღმართეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა „პროვოკაცია“ უწოდა შიდა ქართლის საოკუპაციო ხაზთან „საზღვრის“ აღმნიშვნელი ახალი ბანერების დადგმას და დასძინა, რომ რუსეთთან ურთიერთობის არსებული ფორმატის გადასინჯვა არ იგეგმება.

დამირეკა ირაკლი ყანდარელმა, აფხაზეთის საპატიო მოქალაქემ და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა. 92 წლისაა, ვმეგობრობთ. ფილტვების ანთება აქვს. ექიმი გავუგზავნეთ და მადლობა გვითხრა, თანაც დამატებით წამლები დასჭირდა, უნდა დავეხმაროთ...

კოლეგები კონსულტაციისთვის მირეკავენ, მნიშვნელოვანი თემები განვიხილეთ.

სამსახურში ვარ. ხვალ „ქორთიარდ მარიოტში“ მნიშვნელოვანი ღონისძიება გვაქვს. ბესოსთან, ჩემს მოადგილესთან ერთად გადავხედე პროტოკოლურ საკითხებს, ლელასთან ერთად შევიმუშავე ღონისძიების გაშუქების გეგმა. ხვალისთვის მზად ვართ.

ისევ მედიამონიტორინგი, ვებგვერდი, სოციალური ქსელები,

ნიუსები.

თამუნამ დამირეკა, ბებია-ბაბუასთან მივდივარ და ნიტაც მიმყავსო. მეც გამომიარეს. მშობლებთან სიურპრიზი დამხვდა: მამას ახალი წიგნი. სიამაყის გრძნობა დამეუფლა, ჩემი საყვარელი მამიკო 80 წლისაა და წიგნი გამოსცა. სერიოზული ნაშრომია. ძმა და ძმისშვილიც მოვიდნენ, ყველანი შევიკრიბეთ. მიყვარს ჩემი ოჯახი, განსაკუთრებულ ენერგიას მაძლევს.

ოთხშაბათი

დილის 7 საათია. წყალი არ მოდის, ვცდილობ, არ შევიმჩნიო, მაგრამ დილის შხაპი?!.. სიმშვიდეს ვინარჩუნებ. როგორღაც მოვწესრიგდი, ყავა დავლიე, ნიტას ვაკოცე და სამსახურში გავიქეცი.

ტრადიციისამებრ: მედიამონიტორინგი, ვებგვერდი, სოციალური ქსელები, ანონსები, ნიუსები.

სალომემ დამირეკა, „კვირის პალიტრის“ კორესპონდენტმა - ჩემი პროექტის შესახებ სტატია იბეჭდება.

ვემზადებით მრგვალი მაგიდისთვის, საინტერესო და მნიშვნელოვანი თემაა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა „ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმების“ ფორმატით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო უწყებების, აფხაზეთის ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები. გაიმართა საინტერესო დისკუსია. ფონი მძიმეა: აბაშიძე-კარასინის შეხვედრა, ხურვალეთში, წითელუბანსა და ოკუპირებულ ორჭოსანთან საოკუპაციო ბანერების აღმართვა...

შესვენებაზე ტელეკომპანია „ერთსულოვნებაში“ გავრბივარ. ისევ პირდაპირი ეთერი, საუბრები პროექტზე „მარგალიტები მეხსიერების საგანძურიდან“. ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებზე, გავიხსენეთ თბილისში 13 ივნისს დატრიალებული ტრაგედია. აფხაზეთიდან დევნილი ია მაისაია მეორედ დარჩა უსახლკაროდ. ძლიერი პიროვნებაა.

კონფერენციაზე ვბრუნდები. საინტერესო ინიციატივებს გავეცანით. ტელევიზიებშიც საინტერესოდ გაშუქდა, ცნობები საინფორმაციო სააგენტოებითაც გავრცელდა. კმაყოფილი ვარ, ჩვენმა დეპარტამენტმა კარგად იმუშავა.

მირეკავს ჩემი კლასელი და ბავშვობის მეგობარი – მარი. მომენატრე და შევხვდეთო. შეხვედრა შაბათისთვის დავგეგმეთ. სახლში გვიან ვბრუნდები. ცოტათი დაღლილი ვარ, მაგრამ, როგორც კი ნიტას ჩავეხუტე, ენერგია დამიბრუნდა და ბედნიერების განცდა გაძლიერდა. ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემს ცხოვრებაში.

15 ივლისი

საგარეო საქმეთა სამინისტრომ შვეიცარიის საელჩოს შუამავლობით რუსეთს გადასცა საპროტესტო ნოტა თბილის-გორის ავტომაგისტრალის მახლობლად „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერების განთავსებით გამოხატული პროვოკაციული მოქმედების გამო.

პრაღაში გაიმართა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის საგანგებო წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, გრიგორი კარასინთან.

ევროკავშირმა კვლავ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრული მხარდაჭერა და განაცხადა, რომ თავიდან უნდა იქნეს აცილებული პროვოკაციული ნაბიჯები, რომლებიც ზიანს აყენებს ვითარების სტაბილიზაციის მცდელობებს.

კონკურენციის სააგენტომ შეთანხმებული ფასით მოქმედებაში დაადანაშაულა და 51,6 მილიონი ლარით დააჯარიმა საწვავის იმპორტიორი უმსხვილესი კომპანიები.

გიორგი მარგველაშვილმა ხელი მოაწერა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს, რომელიც ითვალისწინებს შსს-გან უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფას.

16 ხუთშაბათი

რუსეთის საოკუპაციო ძალებისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ჩამოხსნეს 14 ივლისის საპროტესტო აქციის დროს წითელუბანთან და ხურვალეთთან აღმართული საქართველოს დროშა.

გაერომ, ეუთომ და ევროსაბჭომ საოკუპაციო ხაზთან განვითარებული მოვლენების გამო შეშფოთება გამოთქვეს და რუსეთს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდეს.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ „პროვოკაციად" შეაფასა რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქში მასშტაბური წვრთნების არეალის გავრცელება ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონზე.

თბილისის ვიცე-მერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, რომ 13-14 ივნისის სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდს 8 მილიონი ლარით შეავსებს ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდი „ქართუ".

პარლამენტმა საბოლოო, მესამე მოსმენით დაამტკიცა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების კანონი", რომელიც მაღალმთიანი დასახლებებისთვის სოციალურ-ეკონომიკური პრივილეგიებისა და საგადასახადო შეღავათების დანესებას ითვალისწინებს.

დილით – ყავა, სამსახური, მედიამონიტორინგი, ვებგვერდი, სოციალური ქსელები, ნიუსები, შეხვედრები, ტელეფონის ზარები, მეილები... არ ვღალატობ ყოველდღიურ ტრადიციას.

დავიწყე საბუთების შეგროვება იტალიის საკონსულოში წარსადგენად – შენგენის ვიზისთვის. უკვე ოთხი წელია, აგვისტოს ბოლოს ვთიშავ ყველანაირ საკომუნიკაციო წყაროს ორი კვირით და ვისვენებ მეგობრებთან ერთად. ჰაერივით მჭირდება დასვენება. თანაც, კალაბრიაში რომ ვარ, თავი სოხუმში მგონია...

შაბათს აფხაზეთის სახალხო საბჭოს პირველი თავმჯდომარის, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის დაბადების 135-ე წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო პროგრამის ფარგლებში ქუჩისა და მემორიალური კომპოზიციის გახსნაა. ბევრი საქმე მაქვს. გავედი, ტერიტორია დავათვალიერე, მერიის პროტოკოლის სამსახურს ვესაუბრე, თბილისის მერს ველოდებით სტუმრად. შაბათი დღე დაგეგმილია.

რა დამღლელია საბუთების შეგროვების პროცესი!

ფოთში ვრეკავ, იქაური თეატრის დირექტორთან. იქ გაიხსნა „რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი". მაყურებლის წინაშე წარდგნენ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა" და სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ინფორმაცია მაინტერესებს.

შინ მივდივარ, სახლს ვალაგებ, სადილს ვამზადებ. ესეც ჩემი ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილია. დღეს ნიტას აუცრეს. ყველაფერი კარგად იქნება.

17 პარასკევი

სოფელ ხურვალეთის მოსახლეობამ ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის" წარმომადგენლებს არ მისცა საოკუპაციო ხაზთან კარვების გაშლის საშუალება, რასაც მოჰყვა დაპირისპირება და პოლიციელთა მიერ ორგანიზაციის ხუთი წევრის დაკავება.

პარლამენტში ნდობის ჯგუფის წევრებთან გამართულ დახურულ შეხვედრაზე თინა ხიდაშელმა ისაუბრა საჰაერო თავდაცვის სისტემების შეძენის შესახებ საფრანგეთთან გაფორმებული ორი კონტრაქტის დეტალებზე.

პარლამენტმა მესამე, საბოლოო მოსმენით დაამტკიცა ეროვნული ბანკის კანონის ცვლილება, რომლის მიხედვითაც საფინანსო ზედამხედველობას განახორციელებს არა ეროვნული ბანკი, არამედ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო.

ყველაფერი კარგად იქნება...

შაბათი

8 საათია. გავიღვიძე, ნიტამაც გაიღვიძა, ჩემს ოთახში წამოვიყვანე. დღე პოზიტიურად დაიწყო. ყავა დავლიე, ვისაუზმე, მანქანამ გამომიარა. ვაშლიჯვრის დასახლებაში მივდივარ. საზეიმოდ უნდა გავხსნათ არზაყან ემუხვარის სახელობის ქუჩა და მემორიალური კომპოზიცია.

თბილისის მერი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება დევნილობაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, არზაყან ემუხვარის შთამომავლები. მისასალმებელი სიტყვა, აფხაზურ-ქართული სიმღერა, ტაში, ყვავილები...

ჰო, ტელევიზიები, ჟურნალისტები, ფოტოგრაფები...

საღამოს მეგობრებთან ერთად მცხეთაში მივდივარ, ჩემს მშობლიურ სამყაროში ვიქნები.

საქმეებზე ვიფიქრებ ხვალ, დღეს არა. ჩემს თავს პირობას ვაძლევ, რომ დავისვენებ. მეღიმება.

ირაკლი ღარიბაშვილმა „პროვოკაციული“ და „ანტისახელმწიფოებრივი“ უწოდა საოკუპაციო ხაზთან „თავისუფალი ზონისა“ და ცალკეულ პირთა ქმედებებს და პოლიციელებს პროვოკაციების აღკვეთისკენ მოუწოდა.

თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციასთან, რამდენიმე მედიასაშუალებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის თაოსნობით მოეწყო აქცია სახელწოდებით Stop Russia!

მთავრობის ადმინისტრაციასთან აქცია გამართეს ერთსქესიანთა ქორწინების მოწინააღმდეგეებმა.

გიორგი ოქროპირიძე

ხელოვანი. დაიბადა 1962 წლის 13 მაისს თბილისში. სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1991 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს ვენაში (ავსტრია). არაერთი პერსონალური და ჯგუფური გამოფენის მონაწილე. განხორციელებული აქვს შემდეგი პროექტები: „Schilde 7 schildern“ (პოეტ უტე აიზინგერთან ერთად); ციკლი „შინისაკენ და უკან“ (მუსიკოსების ნიკა მემანიშვილისა და რეზო კიკნაძის მონაწილეობით); „ქანდაკება, რომელიც იჭმევა“ და სხვა. მისი ნამუშევრები დაცულია ვენისა (ავსტრია) და მოსკოვის (რუსეთი) მუზეუმებში. 1994 წელს დააარსა კულტურის ცენტრი „კულტურშმიდე“. განხორციელებული აქვს გაცვლითი პროექტები ავსტრიასა და საქართველოში, მათ შორის ქართული ხელოვნების ექვსკვირიანი ფესტივალი GeorgiARTE ვენაში, ქართველ და ავსტრიელ მოქანდაკეთა სიმპოზიუმი თბილისში, ქართული ფილმების კვირეული ვენაში, ქართული ხელოვნების ფესტივალი „ტაბლა“ ვენაში. სისტემატურად ატარებს ავსტრიულ-ქართული ხელოვნების სიმპოზიუმს საქართველოში.

19 კვირა

თბილისის საკრებულოსთან წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს „პანორამა თბილისის“ პროექტის მოწინააღმდეგეთა აქციის ათამდე მონაწილე.

ათამდე არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა ერთობლივი განცხადება, რომელშიც შეკრებისა და გამოხატვის უფლების შეზღუდვის მცდელობად შეაფასა პოლიციის ქმედებები 18 ივლისს, მთავრობის ადმინისტრაციასთან გამართული აქციის – Stop Russia!-ს დაწყებამდე.

გიორგი მარგველაშვილი და თინა ხიდაშელი ვაზიანის ბაზაზე დაესწრნენ ნატოს მრავალეროვნულ სამხედრო სწავლებას Agile Spirit-ს.

დღიურის წერას ყმაწვილობაში ვცდილობდი ხოლმე. კარგი, ლამაზი ბლოკნოტებიც მქონია იმ საბჭოთა დროს. საიდან, აღარ მახსოვს, მაგრამ რამდენიმე კვირას, წლის დასაწყისში, ვერ ვცდებოდი ხოლმე და მოვეშვი. ეგ კი არა, ტერმინ - კალენდარს, რომელშიც შენი მომავალი საქმეები უნდა ჩაწერო, ყოველ წელს ვყიდულობდი, როცა ევროპაში მოვხვდი. სადღაც, იანვრის მეორე-მესამე კვირას ისევ გაფანტულ ფურცლებზე გადავდივარ. ახლა კი დამევალა, ერთი კვირა დისციპლინირებულად აღვწერო. კიდევ კარგი, მხოლოდ ერთი კვირა!

გამიგია, დიდი ფილოსოფოსი იმანუილ კანტი ყოველ დილას, სანამ წერას დაიწყებდა, მასტურბირებდა. მარტოხელა კაცი იყო და, ყურადღება რომ არ გაფანტვოდა...

მე არც მარტოხელა ვარ და, რაც მთავარია, ეგეთ მაგარ რაღაცებს ვერ დავწერ, როგორც ის, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ ხოლმე.

წავედით თელავში.

ჩემთან ერთად ამჯერად სამი ავსტრიელი ხელოვანია პატარა გამოფენის მოსაწყობად: ჩემი ძველი მეგობარი კატი ბოლტი და ერთად მომუშავე წყვილი, ძალიან საინტერესო ხალხი.

გავჩერდით იმ უზარმაზარ, 900 წლის ხესთან. ყოველთვის სასწაული სანახავია! იქვე ახალი საპირფარეშო აღმოვაჩინე. მის წინ მჯდომ ქალს ვკითხე, რა ღირს-მეთქი. 50 თეთრიო. გამეცინა: „ასე ძვირი?“ „კომფორტია!“ - მიპასუხა. მიყვარს თე-

ლავი და თელავური იუმორი. ადრე უფრო ხშირად ვხვდებოდი ხოლმე აქეთ. მომეწონა, რომ გასუფთავებულის და მოვლილის შთაბეჭდილებას ტოვებს. მეორე მხრივ, ფსევდორესტავრაციას ვერც აქაურობა გადაურჩა...

მოვინახულეთ უნიკალური ქალი, 92 წლის ქალბატონი ელენე ლუხუტაშვილი და მისი სახელოსნო, სადაც ის მოზაიკას აკეთებს. დიდი ენთუზიაზმით გვიყვებოდა თავისი ცხოვრებისა და თავისივე უამრავი ნამუშევრის ისტორიას. ძალიან შთამბეჭდავი იყო. ფონად მეზობელი ფანჯრიდან მთვრალი კაცის განუწყვეტელი დედის გინება ისმოდა. მოკლედ, თელავია...

მერე ვიყავით ბაზარში, რამაც სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კარგა ხანს დავრჩით, განსაკუთრებით – ღვინის გამყიდველთან. იმდენი გვასინჯა, რომ მე კარგად შეზარხოშებული წამოვედი. თან ვკითხე, ამდენი თუ უფასოდ უსხით ყველას, რა შემოსავალი გექნებათ-მეთქი. სტუმრები ხართო, მიპასუხა, და ნაყიდ ბოთლებთან ერთად ერთი ბოთლი ჭაჭა საჩუქრად ჩამიდო.

ბევრი რამის ნახვა ვერ მოვასწარით, კატის თბილისში ეჩქარებოდა ფოტოების გამმჟღავნებელთან. ძველ შუამთასთან ტყეში ვივახშმეთ და წამოვედით. მაინც სასიამოვნო გასეირნება გამოგვივიდა.

ორშაბათი

20

დილით მუცლის არეში საშინელმა ტკივილმა გამაღვიძა. არ ვიცი, შუამთის რესტორნის ბრალი იყო თუ ჩემი ნაქები ღვინის და ჭაჭის კახელი გამყიდველის, მე კი საშინლად ვგრძნობდი თავს.

ასე მეორედ მომივიდა. შარშანაც ავსტრიელ სტუმრებთან ერთად ვიყავი, ჯერ კახეთში, მერე – თუშეთში. ვეუბნებოდი, ფრთხილად ჭამეთ და სვით, თქვენს ევროპულ კუჭებს გაუფრთხილდით-მეთქი. ისინი ჩიტებივით იყვნენ, მე კი მოვიწამლე. წელსაც ასე გამოვიდა...

ჯერ გამოფენა უნდა ავაწყოთ, 6 საათზე კი თანამედროვე ხელოვნების ცენტრში პრეზენტაციაა დანიშნული. ეს ცენტრი ერთ-ერთი ის ადგილია თბილისში, სადაც მისვლა, მის დამაარსებელ ვატო წერეთელთან საუბარი და ამბების გაგება ჩემთვის სავალდებულო რიტუალია. ახლა სამედიცინო ინსტიტუტის შენობაშია, ადრე სხვაგან იყო. გადაბარგება მოუხდათ, კიდევ უფრო კარგი და საინტერესო გამოვიდა. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ქვეყანაში ასეთი ადგილებისა და ადამიანების არსებობა. თავისი ინიციატივით, არავის ლოდინში, ბევრ საინტერესო და საჭირო საქმეს აკეთებენ.

გამოფენაც ავაწყვეთ. კიდევ კარგი, ჩემი მხოლოდ სამი ნამუშევარი მქონდა დასაკიდებელი. თანამედროვე ხელოვნების ცენტრამდეც მივაღწიე. უნდა წარგვედგინა ჩვენი თავი, თითოს 20-20 წუთი გვქონდა, უნდა გვეჩვენებინა ნამუშევრები

ივლისი

ახალშექმნილი უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტს წარუდგინა შს მინისტრის, ვახტანგ გომელაურის კანდიდატურა.

თბილისს ეწვია ევროკავშირის საბჭოს ხელმძღვანელი დონალდ ტუსკი, რომელიც შეხვდა გიორგი მარგველაშვილსა და დავით უსუფაშვილს.

უკრაინის საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ცნობა, რომ ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი უარს ამბობს საქართველოს მოქალაქეობაზე.

თბილისში ოფიციალურად გაიხსნა ევროპის ახალგაზრდული თამაშებისთვის აშენებული „ოლიმპიური სოფელი“.

და ცოტაც აგვეხსნა, რა და რატომ. არაფრის თავი არ მქონდა, მაგრამ, მგონი, რაღაც მოვახერხე.

მერე ჩემი მეგობრის, ძალიან კარგი მხატვრის, ვახო ბუღაძის გამოფენა იყო სასტუმრო „რუმსში“, უფრო სწორად, მის გარაჟში. იქ წავედით.

ძალიან საინტერესო გამოფენა იყო, ეს ავტოსადგომის სივრცე, დიდი, კარგი კოლაჟები და დიმა დადიანის ხმამაღალი ელექტრონული მუსიკა. მშვენიერი იყო! ბევრი ნაცნობიც შემხვდა. ცუდი ის იყო, რომ ერთი ჭიქაც ვერ დავლიე.

ბოლოს და ბოლოს მივაღწიე სახლამდე.

21 სამშაბათი

ევროკავშირის საბჭოს ხელმძღვანელმა დონალდ ტუსკმა დაათვალიერა საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელი ხურვალეთი.

თბილისში გაიმართა დონალდ ტუსკის შეხვედრები ირაკლი ღარიბაშვილთან, მთავრობის წევრებთან, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და ნაციონალური მოძრაობის ლიდერებთან, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიით მიმავალ ქართველ სამხედროებთან.

ერთვნულ გალერეაში გამოიფინა ფიროსმანის „არსენალის მთა ღამით“, რომელიც ივნისში „ქრისტის“ აუქციონზე შეიძინა ბიძინა ივანიშვილმა.

ივლისი

ამ საღამოს, 7 საათზე, გამოფენის გახსნაა დანიშნული. თითქოს ყველაფერი მზადაა.

გალერეა „ნექტარი“, სადაც ჩვენი გამოფენა ტარდება, ხელოვან ნინო სეხნიაშვილს ეკუთვნის. ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ ამ ადამიანს. 2005 წელს ჩემ მოწყობილ სიმპოზიუმზე დავპატიჟე გარიყულაში, ისევე როგორც კატი ბოლტი, რომელთან ერთადაც ახლა „ნექტარში“ გვაქვს გამოფენა. იქ დაიწყო ჩვენი მეგობრობა, რასაც ყოველი ჩვენგანისთვის საინტერესო საკმაოდ ბევრი ამბავი მოჰყვა. მაგალითად, შემდეგი სიმპოზიუმები საქართველოში ავსტრიელი და ქართველი ხელოვანების მონაწილეობით, რომელთა ორგანიზებაში კატი ძალიან მეხმარება. თუ მე ვეხმარები მას, უკვე ძნელი სათქმელია. თვითონ კატი არაერთხელ ყოფილა საქართველოში თავისი პროექტებით, ნინო რამდენჯერმე იყო ავსტრიაში. მათი პროდუქტიული ურთიერთობა, საერთოდ, ცალკე საუბრის თემაა. ძალიან მომწონს ნინოს ნამუშევრები და ეს ახალი წამოწყება – გალერეა „ნექტარი“ აღმაშენებლის 16 ნომერში. რაც აქ გამიგია და მინახავს, ყველაფერი საინტერესო და გააზრებულია. მხოლოდ ის მადარდებს, როგორ უნდა იარსებონ ამ გალერეამ და მისმა პატრონმა ქვეყანაში, სადაც არაკომერციული ხელოვნებისადმი ინტერესი ასე დაბალია. ვერ ვხვდები...

ჩვენ, გამოფენის მონაწილეებმა, 7 საათს ოდნავ გადავაცილეთ, ერთი ათი წუთი. იქვე, რომელიღაც დუქანში, ანგარიში არ გვაღირსეს. რა იციან ხოლმე: ჯერ გალოდინებენ, მერე ყველაფერს ერთბაშად თავზე დაგაყრიან, ბოლოს კი ანგარიშის მოტანას ისე გადაგაყოლებენ, თითქოს აქეთ გიხდიდნენ ფულს! მაგრამ მე წყნარად ვიყავი, საქართველოა და ვინ მოვა დროზე-მეთქი? მერე კი, გალერეას რომ მივუახლოვდით, თან ძალიან შემრცხვა, თან გამიხარდა – შესასვლელთან უკვე პატარა რიგი იდგა. სტუმრებს შორის გურამ წიბახაშვილიც იყო, რომელსაც ყოველთვის ასე ვიცნობდი: არაქართულად პუნქტუალურ ადამიანად. თუმცა ის მარტო არ ყოფილა.

მერე სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი მოვიდა, ზაფხულში, სიცხეში... ძალიან სასიხარულო იყო! მოვიდნენ რეზო კიკ-

ნაძე და მისი შვილი გიორგიც, გაშალეს ტექნიკა და დაიწყეს დაკვრა. არაჩვეულებრივად საინტერესო, თანამედროვე კომპოზიციები იყო, ერთი, მეორე... ხალხის დიდი ნაწილი ძალიან ხმაურობდა, მუსიკოსებს ხელი ეშლებოდათ, მე საშინლად ვღელავდი, მაგრამ რა მექნა – რამდენი ვინმე მოვიდა, ვინც ოცი ან მეტი წელი არ მენახა, როგორ მეთქვა გამარჯობის მაგივრად, მოკეტეთ-მეთქი? ეს პრობლემა არა მარტო საქართველოშია. დასავლეთშიც ხშირად მინახავს, გამოფენაზე მისული ხალხის დიდი ნაწილი რთულ მუსიკას რომ ვერ ეგუება და გართობა ჰგონია. ბოდიში, ჩემო საყვარელო რეზო! პატივი დაგვდეთ, მოხვედით. როდის ყოფილა საქართველოში, რექტორები პატარა გალერეებში უკრავდნენ?! ჩვენ კი ვერ მოგიარეთ...

ამ უხერხულობის გარდა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ხალხის დიდი ნაწილი ნამუშევრებს ათვალიერებდა, ინტერესდებოდნენ, გვეკითხებოდნენ რაღაცებს, რამდენიმე აქტიური ახალგაზრდა გავიცანი არტსცენიდან, რაც ყოველთვის სასიამოვნოა.

მოგვიანებით გალერეის სარდაფში ჩავედით. მოვიდა დათო შუღლიაშვილი თავისი გიტარით, გვქონდა ცოტა ღვინო, ცოტა საჭმელი, რაც ნინომ დაგვიმზადა დიდი სიყვარულით. მოკლედ, მშვენიერი საღამო გამოვიდა. ავსტრიელ სტუმრებსაც ძალიან მოეწონათ, როგორც მითხრეს.

ოთხშაბათი

გამოფენამ ჩაიარა. დღეს უფრო წყნარი დღე უნდა იყოს, წესით. ბირგიტი და ვოლფგანგი, ავსტრიელ ხელოვანთა წყვილი და მე ჩემს დასთან, ნინოსთან, ვერაზე ვცხოვრობთ. ისინი დილით გადიან, რაღაცებს ყიდულობენ, ნინოსაც უკვე მომზადებული აქვს ხოლმე რაღაც. კატიც მოდის და დიდებული საუზმე გამოგვდის.

„ნადუღს ტყემალს ნუ ასხამ!“ – ვეჩხუბები ბირგიტს, – „არ უხდება!“ ეს იმას, ის – ამას... ბირგიტი იცინის და მეკამათება, მე არ ვუთმობ. ასე ვმაიმუნობთ და ვართ. საერთოდ, ეს ამბავი ვერ მოვიშალე. ამას წინათ შვეიცარიელმა ფრეცისმა, რომელიც აქ უკვე რამდენიმე წელია ცხოვრობს, ხინკალს ისეთი რამე უქნა, პირად შეურაცხყოფად მივიღე. თუ გინდა, თქვა, რომ ქართველებს იდიოტებად თვლი, პირდაპირ მითხარი, ეგ პერფორმანსი რად გინდა-მეთქი? არადა, რა ჩემი საქმეა, ნეტა? რამდენი წელია, ევროპაში ვცხოვრობ და მაინც, რამდენიმე რამეზე საშინლად ვღიზიანდები. მაგალითად, ჩემს სახელოსნოში, ვენაში, სტუმრები რქაწითელზე რომ მეუბნებიან, ტკბილიაო, იმიტომ რომ ავსტრიული ღვინის სიმჟავე არ დაჰკრავს; ან ჩემს შეთავაზებულ ხინკალს ეგრევე დანას რომ დაუსვამენ ხოლმე, სულ ვლანძღავ. ზოგი, ეტყობა, ისეთი დაშინებული მყავს, რომ ისე ხმამაღლა იწყებენ ხვრეპას, იქით ჩემი დასამშვიდებელი ხდებიან. ასეთ დღეში ვარ ხოლმე შუა-

პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მოიწონა ვახტანგ გომელაურის კანდიდატურა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

დავით უსუფაშვილი ბრიუსელში შეხვდა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილეს ალექსანდერ ვერშბოუს.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ საზღვრის გადმოწევის პროცესი გაგრძელდება, თუ საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან დიალოგს არ დაიწყებს.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია დათანხმდა თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდას, თუმცა არა იმ მოცულობით, რომლითაც მათი მფლობელი კომპანიები ითხოვდნენ.

პარლამენტმა საბოლოო, მესამე მოსმენით დაამტკიცა სახელმწიფო ენის კანონი.

გულ ევროპაში. ხალხს, ალბათ, ცოტა დარტყმული ვგონივარ, მაგრამ რა ვქნა...

დღეს ჩვენი სტუმრების ბოლო დღეა თბილისში, ხვალ მიდიან, ე.ი. ტურისტული პროგრამა გვაქვს. მივდივართ ძალიან სიმპათიურ პატარა მაღაზიაში, ვყიდულობთ წასაღებად ტყემალს, აჯიკას, რაღაცებს...

მერე ვხვდებით ლესელიძეზე, საეკლესიო მაღაზიაში. რამდენია ეგეთი მაღაზია ამ უბანში, ნუთუ ყველა ახერხებს ბიზნესის კეთებას? ვიძენთ სანთლისგან ჩამოსხმულ ფიალებს, არყის ჭიქებს, ბევრ უცნაურ რამეს, ნაკლებად რელიგიური, უფრო ეგზოტიკური ხიბლის გამო. სტუმრებს შეპირებული ვართ, რომ აქაურ კოლეგებს შევახვედრებთ. ამიტომ ჯერ ზაირა ბერელიძეს ვეწვიეთ მის გალერეაში. ძალიან კარგი სივრცეა, მშვენიერი ეზოთი. ვნახეთ გიორგი ყვავილაშვილის კარგი ფოტოგამოფენა. საერთოდ, კარგი რაღაცები ხდება ამ გალერეაში და ზაირასთან ურთიერთობა ყოველთვის სასიამოვნოა.

გურამ წიბახაშვილთან ფოტოგალერეაში უკვე დაგვაგვიანდა გახანგრძლივებული საუზმის გამო. ეს საქმიანი კაცი დილას „იჭირება“ მხოლოდ. ვახო ბუღაძე ავად გამხდარა...

მივდივართ (და მე ეს ძალიან მიხარია) ნინო ჭილაშვილისა და კოტე სულაბერიძის სახელოსნოში. ამ მშვენიერ ხალხსაც ერთ-ერთი ჩემი სიმპოზიუმიდან ვიცნობ და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. საბურთალოზე რომელიღაც კვარტალი, რომელიღაც კორპუსი... ვერასდროს ვერ ვიმახსოვრებდი ამ მისამართებს. თან გამოთაყვანებული ტაქსის მძღოლი შეგვხვდა საშინელი მუსიკით, გაფუჭებული მუხრუჭებით, სამწუხაროდ, გაუფუჭებელი სიგნალით და თან უჭკუო. ჩემს აგრესიას ვერევი, მაგრამ საშინლად მრცხვენია ხოლმე. ეს არსება კი ეკლესიის დანახვაზე საჭეს ხელს უშვებს პირჯვრის გადასაწერად და, შეიძლება, დემონსტრაციებზეც დადის ქართული კულტურის დასავლურისგან „გადასარჩენად“. საერთოდ, მანქანების ამბავი თბილისში, ეს დემონსტრაციები და მრავალი სხვა, არა დღიურის, არამედ დიდი გამოკვლევების თემაა. ამიტომ თავს ვანებებ ამასთან დაკავშირებით ჩემი ფიქრების გადმოცემას.

ბოლოს და ბოლოს მივაგენით სახლს, ფეხით ავედით „ხრუშჩოვკის“ ბოლო სართულზე და მოვხვდით კოტეს და ნინოს მშვენიერ სამყაროში. კარგი ხალხი, ცოტა ღვინო, ყველი, პური, კარგი, უაღრესად საინტერესო ნამუშევრები, ასევე საინტერესო საუბარი, ბევრი ინფორმაცია. დრო მალე გავიდა. სამწუხაროდ, დაპატიჟებულები ვართ სხვაგან, უკეთეს სახლში, მაგრამ ნაკლებად საინტერესო სიტუაციაში. რას დავთანხმდი გუშინ მე ქლიავი?! ისევ ტაქსი, ამჯერად - წესიერი. ეგეთებიც არიან, მადლობა ღმერთს!

სტუმრობა იმდენად მოსაწყენი და მაზალო იყო, რომ მისი აღწერა არ მსურს.

დავბრუნდით სახლში, ბირგიტი და ვოლფგანგი დილაად-

რიან მიდიან. მაინც ისევ სამზარეულოში დავსხედით, ცოტა ღვინო და არც ისე ცოტა საჭმელი, რაც, თავისთავად, წინა სტუმრობის ხარისხზე მეტყველებს, და ვსაუბრობთ. ძალიან სიმპათიური და საინტერესო ხალხია. ინტერესიანი, კეთილი, იუმორით სავსე, ბევრის მცოდნე, სულ იმაზე ფიქრობენ, რით შეძლებენ დაეხმარონ ამა თუ იმ ადამიანს, ვინც აქ გაიცნეს. ნეტა ხშირად იაროს ასეთმა ხალხმა აქეთ.

დავიძინეთ.

სტუმრები წავიდნენ.

ხუთშაბათი

23

ОКТОМБЕРИ

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ „ენერგო პრო ჯორჯიას“ აბონენტებისთვის 3,95 თეთრით გაზარდა კილოვატსაათი ელექტროენერგიის ფასი.

კომპანია „თელასმა“ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მიმართა ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის განაცხადით.

კოკისპირულმა წვიმამ, ძლიერმა სეტყვამ და ქარმა დააზარალა კახეთის რამდენიმე რაიონი.

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 98 მსჯავრდებული შეიწყალა.

გამომიარეს ნინომ და კატიმ, წავედით გარიყულაში. ესეც ერთ-ერთი ის ადგილია, სადაც ჩასვლა ჩემთვის აუცილებელი რიტუალია. ძალიან მომწონს და მიყვარს იქაურობა. უცნაური, ლამაზი ბუნება, არქიტექტურა, ბევრი რამ. მდინარე თეძამი, რომელშიც აუცილებლად უნდა ვიბანაო, რაც ეგრევე სამივემ შევასრულეთ, რა თქმა უნდა. მის ნაპირებზე – ნაგვის მთები, ეს უკვე სიყვარულის სფეროში არ შედის. რამდენადაც ვიცი, ნაგვის მანქანა დადის უკვე რამდენიმე წელია. საიდან გროვდება მაშინ ამდენი? ესეც ცალკე ნაშრომის თემაა. მე ვერ დავწერ, მე მხოლოდ გინება შემიძლია და ამას დღიურში ხომ არ ჩავწერ?! და, საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, წილხვედრი ქვეყანა ვართ, ისინი კი დაიწვებიან ჯოჯოხეთში: კულტურაც არა აქვთ და გარყვნილებიც ყოფილან. გადაარჩინოს ღმერთმა საქართველო გაკრიალებული მდელოებისგან, მდინარეებისგან, მოვლილი ტყეებისგან! დაინგრეს ძველი ეკლესიები, ჩვენ ათჯერ მეტ ახალს ავაშენებთ სხვაგან! გადმოგვიწიოს ერთმორწმუნე დიდმა ძმამ საზღვარი, სადაც უნდა, ჩვენ გადავიტანთ ჩვენს გზებს, სოფლებს, ქალაქებს! რა მნიშვნელობა აქვს ამას ყველაფერს? მთავარია, ჩვენ ავმაღლდებით და გავიმარჯვებთ! ვის ვებრძვით ოღონდ, არ ვიცი..

წამიღო თეძმის გრილ წყალში წოლისას ფიქრებმა, გამიგრძელდა წერა...

„არტვილა გარიყულა“ – ჩვენი მგზავრობის მიზანი. კარგი პოლონელი ადამიანის ქმნილება, თავისი უნიკალური არქიტექტურით და გრძელი ისტორიით.

ყარამან ქუთათელაძე – ამ სახლისა და ადგილის გამომაცოცხლებელი და სულისჩამდგმელი.

დიდი და რთული საქმეა, რასაც ყარამანი აკეთებს. ბევრმა მოინდომა მსგავსი რამ და ვერ შეძლო, ძალიან ძნელია. ბევრი შრომაა გაწეული და ამას დიდი პოზიტიური შედეგი აქვს. უღრმესი გულახდილი პატივისცემა ყარამანს, იმისგან დამოუკიდებლად, რომ მეგობრები ვართ.

ორი სიმპოზიუმი გვაქვს აქ ჩატარებული და ერთ სხვასაც ვახლდი. ბევრად მეტი საინტერესო რამ მოხდა და ხდება აქ უკვე 15 წელია.

ამ იუბილესთან დაკავშირებით დაგვპატიჟა ყარამანმა, რადგან ჩვენი საერთაშორისო სიმპოზიუმი ერთ-ერთი პირველი იყო. უნდა, რომ აუცილებლად იყოს წარმოდგენილი ფესტივალზე სექტემბერში.

აქ ერთი ამბავია, მიდის მზადება და მუშაობა, კეთდება სხვადასხვა ქვეყნის პავილიონები. მიმიქარავს ვენეცია!

არც მე და არც კატი აქ არ ვიქნებით. მოსაფიქრებელია, რისი გაკეთება შეიძლება. შემოფარგლულ ეზოში პავილიონის მოწყობის იდეა არ გვხიბლავს. სამმა დავიწყეთ სოფელში ბორიალი. საკმაოდ შორს მივადექით რაღაცას, რესტორნის მსგავსს. ახალი აშენებულია, მაგრამ სტრუქტურა ძველია: კუპეები და მთელი ამბავი, ბევრი უაზრო ბეტონი. დავსხედით, შევუკვეთეთ ლუდი, ვესაუბრეთ კეთილ დეიდას, რომელიც გვემსახურებოდა, და ნელ-ნელა გაგვიჩნდა აზრი, რომ შესაძლებელია, აქ გაკეთდეს გამოფენა. ჩვენი სიმპოზიუმებიდან საკმარისი მასალაა დარჩენილი აქ. თუ შესაძლებლობა იქნება, კიდევ რაღაცის მიმატებაც შეიძლება და ამ სივრცეს ავითვისებთ. უჭკვიანესი გოგოები არიან კატი და ნინო!

ცოტა შორს არის ვილიდან. თბილისიდან ფესტივალზე ჩამოსული ხალხი აქ, ალბათ, არ ჩამოისეირნებს. აქ ვინც დადის, შეიძლება არ იყოს დაინტერესებული ჩვენი ამბებით, მაგრამ ხომ შეიძლება სხვანაირადაც მოხდეს... არტვილის ჩაკეტილი, ელიტარული სივრცე იქნებ ცოტა გაიხსნას.

დავბრუნდით უკვე სამარშრუტო ტაქსით, რომლის მძღოლმაც ფული არ გამოგვართვა. ვესაუბრეთ ყაროს, მას მოეწონა ჩვენი წინადადება. ვნახოთ, რა გამოვა...

მერე, რა თქმა უნდა, პატარა სუფრა, იქვე დამზადებული შამპანურის დაჭაშნიკება, სასიამოვნო ხალხი და ასე შემდეგ...

ღამე იქ დავრჩით.

24 პარასკევი

მთავრობამ განაცხადა, რომ სოციალურად დაუცველ ოჯახებს სახელმწიფო სრულად დაუფარავს განსხვავებას ელექტროენერგიის ძველსა და ახალ სამომხმარებლო ტარიფებს შორის.

პარლამენტმა 82 ხმით მიიღო „ქართული ოცნების“ მიერ ინიციირებული რეზოლუცია „რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული მორიგი პროვოკაციული ქმედების შესახებ“.

თბილისს ეწვია ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გაერთიანების პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი.

დილას ხათუნას სახელგანთქმული, ულამაზესი და მდიდრული საუზმე.

ასე იყო მთელი იმ კვირების განმავლობაში, რაც აქ გამიტარებია. რა კარგია, როცა ვინმე ცოდნით და სიყვარულით აკეთებს თავის საქმეს!

ნელ-ნელა წამოვედით თბილისისკენ. შევიარეთ კასპში, ცოტა ვიბორიალეთ, უცნაურ მაღაზიაში უცნაური რაღაცები ვიყიდეთ, ცუდ კაფეში ცუდი ლუდი დავლიეთ, ვისაუბრეთ ჩვენს გეგმებზე. ცხელა, მაგრა ცხელა! თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ევროპაში თურმე უფრო ცხელა და რა კარგია, რომ აქ ვარ ამ დროს, ვენის მაგივრად – კასპში. როდისმე რამე თუ ეშველება ასეთ ქალაქებს საქართველოში? ღმერთმა ქნას! მაგრამ მაინც მაგრა ცხელა. მერე რა, რომ ვენაში ახლა 40 გრადუსია? იქ როცა ცხელა, ველოსიპედით დუნაიზე მივდივართ ხოლმე დიდიან-პატარიანად, და ვგრილდებით. თბილისში როცა ცხელა, ზიხარ და ბუზღუნებ, რომ ცხელა. ესე იგი, მაინც,

აქ უფრო ცხელა.

ჩვენი ნინო თან მაგარი მძღოლია, ამიტომ მალე ჩამოვედით თბილისში.

აუ, კარგია სახლში ყოფნა ჩემს საყვარელ დასთან, ნინოსთან ერთად. და მეტი არავინ! ცოტა დავიღალე სტუმრებით და სტუმრობით. მაგარია რამდენიმე საათი არაფრის კეთება. ისე, ჩვენ კიდევ ერთი საყვარელი და გვყავს, უმცროსი – ქეთი, მაგრამ ის ამ ერთკვირიანი დღიურის მიღმა დარჩა. იმედია, მაპატიებს.

მოგვიანებით ერთმა ძალიან კარგმა ადამიანმა, რომელსაც, სამწუხაროდ, იშვიათად ვხვდები, „პურპურში“ დაგვპატიჟა. პარასკეობით რექტორი უკრავს ხოლმე კარგ ტიპებთან ერთად. ცოტა ხალხი იყო, ეტყობა, სიცხის გამო. მე კი ეს გამიხარდა: არ იყო ყაყანი, მხოლოდ ჩვენ ვყაყანებდით... რამდენიმე ჩემთვის მნიშვნელოვანი და დიდი ხნის უნახავი ადამიანიც მოვიდა. კიდევ ერთი სასიამოვნო საღამო გავატარე.

შაბათი

25

დღეს ბევრი საქმე არა მაქვს და არ მინდა, რომ მქონდეს. ერთი ვიცი: როდისმე ეს დღიურები უნდა ჩავწერო და აუცილებლად უნდა წავიდე დემონსტრაციაზე „პანორამა-თბილისის“ საწინააღმდეგოდ. ძალიან განვიცდი ამ ჩვენი ოდესღაც მაგარი ქალაქის ბედს. მე მგონი, კიდევ არის გადარჩენის შანსი, ამიტომ ბევრმა ხალხმა უნდა იაროს ასეთ დემონსტრაციებზე. ყველას ყველაფერი ეხება. თუ რაღაც ცუდია, ყველასთვის ცუდია. ავსტრიაში უკვე ბევრი წელია, რესტავრაციის სფეროში ვმუშაობ. რაღაც ცოდნა და გამოცდილება დამიგროვდა საიმისოდ, რომ დავინახო, რა როგორ კეთდება ქალაქში და რამდენად სწორად. არ მალაპარაკებს მხოლოდ დამოკიდებულება რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ბევრი მცდარი რამ გაკეთდა ამ ქალაქში. ახლა ისევ რაღაცას ძალიან არასაჭიროს და მავნეს აპირებენ. ამიტომ მე ვთვლი, რომ იქ ყველა უნდა მივიდეთ. სად არიან, სხვათა შორის, ის ტაბურეტიანი „ბაბუაწვერები“? არც საზღვრის გადმოწევა აწუხებთ, არც ქალაქის დამახინჯება? მარტო ის, ვინ ვისთან „ქინძაობს“? უცნაური ფორმაა სამშობლოს სიყვარულის, მაგრამ ეგ ჩემი საქმე აღარ არის. დღიურის წერას კი ვამთავრებ. არც ვიცი, ვინმეს თუ დააინტერესებს ეს ჩემი ამბები...

საქართველოს ესტუმრა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის დელეგაცია, რომლის წევრები თბილისში შეხვდნენ გიორგი მარგველაშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს, „მატროსოვის ციხეში“ მოინახულეს ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნები ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა და ბაჩანა ახალაია.

კოჯრის გზატკეცილზე, „პარტიზან მებაღეთა“ თაოსნობით გაიმართა აქცია „პანორამა თბილისის“ პროექტის წინააღმდეგ.

სანქტ-პეტერბურგში მოეწყო ფეხბურთელთა 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა, რომელმაც გამოავლინა საქართველოს ნაკრების მეტოქეები: ავსტრია, ირლანდია, მოლდავეთი, სერბია და უელსი.

ირაკლი გვახარია

ექიმი. დაიბადა 1961 წლის 1 მაისს თბილისში. დაამთავრა სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, ერისთავის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის კლინიკური ორდინატურა. მუშაობდა მოსკოვის (რუსეთი) ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში, სადაც 1990 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1992 წლიდან ცხოვრობს მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში, რომლის კლინიკურ-დიაგნოსტიკურ ცენტრებში გაიარა გზა რიგითი კარდიოლოგიდან სამედიცინო და ახალი პროექტების დირექტორამდე. ამჟამად არის მექსიკის უმსხვილესი კერძო დიაგნოსტიკური ცენტრის, Grupo Diagnostico Aries-ის ახალი პროექტების დირექტორი, კლინიკა Santa Rosa-ს წამყვანი კარდიოლოგი, 20-მდე სამედიცინო ნაშრომის ავტორი, მექსიკის სამი სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

26 კვირა

თბილისში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის მე-13 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი.

ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის დელეგაციის წევრები თბილისში შეხვდნენ ნაციონალური მოძრაობისა და „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარის“ პრეზიდენტი როვნაგ აბდულაევი.

ჰაკერებმა გატეხეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ვებსაიტი.

გუშინ, გვიან ღამით, მეხიკოდან ნიუ-იორკის გავლით ჩამოვფრინდი ჩემს საყვარელ პარიზში. ერთად ვართ მე, ჩემი მეუღლე, თამრიკო და ჩემი ორი უმცროსი შვილი, ნატი და სანდრო. ნატი და სანდრო დილიდან მზად არიან რუკებითა და ფოტოაპარატებით ხელში. დღის გეგმაც მათ შემიდგინეს. პარიზი რომ განუმეორებელია, ყველამ ვიცით, მაგრამ მე, ჩემი სიტუაციის მიხედვით, ორს დავამატებ: ჯერ ერთი, ეს, ალბათ, ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, სადაც, ორი დღით რომ ჩადიხარ, თავად ემალები ნაცნობებს; მეორეც, ალბათ, ერთადერთი ქალაქია, სადაც, როგორი დღის გეგმაც უნდა შეგიდგინონ, მაინც ბედნიერი და კმაყოფილი რჩები და მთლიანად შეიძლება მიენდო სხვის „დაგეგმვას“, ამ შემთხვევაში – ჩემი სანდროს და ჩემი ნატისას.

დღეს ქალაქის ცენტრი ორ ნაწილადაა გაყოფილი „ტურ დე ფრანსის“ ბოლო ეტაპის გამო, მთელი პარიზი ქუჩაშია გამოსული. ჩვენ ხუთი საათისთვის რივოლიზე დავდექით და ველოდებით „რკინის ადამიანების“ გამოჩენას. ყველგან ჩანს კოლუმბიის დროშები. და აი, გამოჩნდნენ ლიდერები, მათ შორის არის ადამიანი, რომელსაც მთელი წლევანდელი „ტურის“ განმავლობაში ვგულშემატკივრობდი. ეს არის კოლუმბიელი ნაირო კინტანა, ღარიბ ინდიელთა ოჯახის შვილი, რომლის მსგავსნიც მილიონობით არიან დღეს ლათინურ ამერიკაში და რომელიც საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლე-

ბა რაღაც წინააღმდეგობიდან ცხოვრების უბედნიერესი ეტაპის დაწყება. ის ხომ სკოლამდე დღეში 20 კილომეტრს ფარავდა წინ და უკან ველოსიპედით... და ასე მივიდა ტრიუმფალური თაღის წინ დაჯილდოებაზე, როგორც „ტურ დე ფრანსის“ ვერცხლის პრიზიორი.

საღამო ლათინურ კვარტალში დავამთავრეთ, სადაც უბრალო, ჩვეულებრივ რესტორანში ვივახშმეთ. უცბად გამოჩნდა იაპონელების დიდი ჯგუფი. გამყოლი რაღაცას მოჰყვა, იაპონელებმაც ფოტოაპარატები ამოიღეს და ყველამ გადაღება დაიწყო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს რესტორნის მეპატრონესაც გაუკვირდა: ასეთი ნეტა რა თქვეს ჩემს კაფეზეო. მოკლედ, ჩვენი აზიელი მეგობრები ყოველთვის მაკვირვებენ თავიანთი ცნობისმოყვარეობით, ტექნიკის სიყვარულითა და გუნდურობის შეგრძნებით. წარმოვიდგინე, ქართველი რომ ყოფილიყო, სხვის მიერ ამოღებული ფოტოაპარატის დანახვაზე, ალბათ, პირიქით, შეინახავდა თავის აპარატს.

ორშაბათი

27

ეიფელის წინ აღმოვჩნდით. პირველი აზრი, რაც აქ მებადება ხოლმე, ისაა, რომ მსოფლიოს ისტორიაში, ალბათ, ყველაზე მეტჯერ ნანახს ვუყურებ. ვკამათობ თამრიკოსთან: რატომ მაინცდამაინც ეიფელი? შემდეგ – ტრიუმფალური თაღი, სადაც ნაპოლეონის მიერ ყველაზე სახელოვნად მოგებულ ბრძოლებს შორის რატომღაც ვხედავ მოსკოვსაც, თუმცა ყველამ ვიცით, რომ მოსკოვი ნაპოლეონს უბრძოლველად ჩაჰბარდა. შემდეგ – Les Invalides – ნაპოლეონის ორი გამოსახულება: როგორც იმპერატორისა და როგორც დამარცხებულისა. ყველაფერი ეს ძლიერ მოქმედებს ჩემს შვილებზე, რომლებსაც ისტორია ძალიან უყვართ.

ღამე ვიგებთ, რომ ჩვენი ჩემოდნები ჯერ კიდევ არ ჩამოსულა ნიუ-იორკიდან. იძულებული ვართ, შოპინგს მივმართოთ. ღამით, როგორც იქნა, ჩამოვიდა ჩემოდნები. ამასთან დაგვხვდა ამერიკელების მიერ დატოვებული ბარათიც, რომ ჩემოდნები რაღაც უსაფრთხოებისთვის ორი დღის განმავლობაში გახსნილი და დაკავებული იყო.

საქართველოში მოხდა 4,1 მაგნიტუდის მინისძვრა, რომლის ეპიცენტრი კახეთის რეგიონში მდებარეობდა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ყოველწლიური ანგარიში მსოფლიოს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში ტრეფიკინგის მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ.

სამშაბათი

28

პარიზიდან მივფრინავთ სტამბოლში. გზაზე პარიზის სხვა შენობებსაც ვათვალიერებ. სტამბოლში ბოლოს და ბოლოს ვუერთდები სხვა ქართველებს. გამახსენდა მოსკოვ-თბილისის ავიარეისები. ვუყურებ ხალხს და სულ იმას ვფიქრობ, რას უნდა აკეთებდნენ ნეტა საქართველოს გარეთ-მეთქი. შემდეგ იმასაც ვფიქრობ, რა შეიძლება საქართველოში გააკეთონ-მეთქი.

ვხვდები ჩემი მეგობრის, რეზოს ქალიშვილს მეუღლესთან ერთად. უფრო მეტად ვგრძნობ საქართველოს მოახლოებას.

თვითმფრინავში ჩემ გვერდით 70 წელს გადაცილებული

ენერგეტიკის სამინისტრომ „დეზინფორმაცია“ უწოდა გავრცელებულ ცნობას, თითქოს საქართველოს აგვისტოში გაზის მოწოდების შეწყვეტა ემუქრებოდეს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ მწვავედ გააკრიტიკა პარლამენტის მიერ ეროვნული ბანკის კანონში შეტანილი ცვლილებები და მიესალმა პრეზიდენტის განზრახვას, კანონს ვეტო დაადოს.

ქართველი ქალი ზის და ძალიან მოხერხებულად ხმარობს კომპიუტერის პროგრამებს. უეცრად წარმოვიდგინე დედაჩემი და გავიფიქრე, რა კარგი იქნება, 70-80 წელს გადაცილებულებს რაღაცნაირად კომპიუტერი რომ ვასწავლოთ. მაშინ ხომ შეიძლება, რაღაცით შევუმსუბუქოთ სიმარტოვის შეგრძნება, რასაც ამდენი ნეირო-ფიზიოლოგიური ავადმყოფობა მოჰყვება დღეს საქართველოში.

თბილისის აეროპორტი. მოცინარი სახეები, ჩვენი ძმები, დები, ბიძაშვილები. როგორც ყოველთვის, თამრიკოს ცრემლები...

და, რა თქმა უნდა, ჩემი გულის აჩუყება გოგის დანახვაზე. გოგი, ჩემი ძმა, ბევრს ნიშნავს ჩემს ცხოვრებაში. ჩვენ ყოველთვის კეთილი პაექრობა გვქონდა ერთმანეთთან. სწავლაში (როგორც სკოლაში, ისე უნივერსიტეტში) გოგი ჩემთვის მუდამ მაგალითი იყო. ორივე 23-ე სკოლაში ვსწავლობდით. კარგად მახსოვს, დედა რომ გამოგვივლიდა და ხელიხელჩაკიდებული მივყავდით, სულ გოგის ეკითხებოდა ხოლმე: „გოგი, აბა, რა ქენი, მათემატიკაში რა მიიღე? ქიმიაში რა მიიღე?“ (საერთოდ, ამ საკითხში მშობლები უფროსი შვილისადმი უფრო ყურადღებიანი არიან). მე აქედან ვხტუნაობდი ხოლმე: „მე, მე, მე რატო არ მეკითხები? მე რატო არ მეკითხები?“ შემდეგ ისე გამოვიდა, რომ მეც გოგის გზა გავიარე: სკოლა მეც მედალზე დავამთავრე, მაგრამ გოგი უფრო ხელოვნებაში წავიდა, მე – მედიცინაში. გოგი რომ მყავს, ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს... დღეს მას დედაჩემთან ყოფნა, მის ჯანმრთელობაზე ზრუნვა აკისრია, და მე დიდ მადლობას ვუხდი ამ ყველაფრისთვის.

ვუახლოვდები სახლს, სადაც მთელი ახალგაზრდობა გავატარე. რომელსაც ძველი თბილისელები კარგად იცნობდნენ, როგორც კამოს 2-ს და სადაც ასე დიდი ხნის წინ შესახლდნენ უახლესი საქართველოს ყველაზე ცნობილი ადამიანები: პარტიული მუშაკები, ტელევიზიის დიქტორები, ფეხბურთელები, აკადემიკოსები, მათ შორის, ბაბუაჩემიც, საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი გეოლოგი და პროფესორი. თუმცა ჩვენს საძმოში ნახევარზე მეტი ადგილი მეზობელი ქუჩების „ჩვეულებრივი“ ოჯახის ბიჭებს ეკავათ და ყველა ასე, ერთად ვიზრდებოდით.

ბოლოს და ბოლოს ვხვდები დედას. ცრემლები, როგორც ყოველთვის... 1992 წლიდან ერთი და იგივე: „ირაკლი, კი მაგრამ, სულ როდის ჩამოხვალ, დედიკო?“ შემდეგ თამრიკოს დედა. ისევ თამრიკოს ცრემლები... ღამე, ფაქტობრივად, თეთრად გავათენეთ.

29 ოთხშაბათი

პრეზიდენტის მრჩევლებმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნეს ალტერნატიული წინადადება, რომე-

ის კი ათს აძლევდა, ან ჯოკერს რომ ეთამაშებოდა და ყველა ერთად ჭიჭყინებდა. თვალზე ცრემლი მოგვადგა. ვიცი, რომ ბაბუას სული, რა თქმა უნდა, საბურთალოს სასაფლაოდან ძალიან შორს არის, მაგრამ, ალბათ, იმაზე ახლოს, ვიდრე მექსიკაა. ალბათ, კიკეთშია, ან იქნებ – გაგრაში. მოვინახულე თამრიკოს მამისა და ჩემი საყვარელი მერაბის, თამრიკოს ძმის, საფლავები. ისევ მოგონებები, ცრემლები...

6 საათზე, როგორც დავთქვით, წყნეთის რესტორანში ვიყავით. ცხოვრებაში ბევრი მეგობარი მყოლია და თან – ძალიან განსხვავებულები, დაწყებული საბავშვო ბაღით. შემდეგ – კოლორიტული 23-ე საშუალო სკოლა, უბანი, სამედიცინო ინსტიტუტი, მოსკოვი, მექსიკა... მაგრამ ჩვენი სამედიცინოს ჯგუფის მეგობრობა მაინც სხვაა და, შეიძლება ითქვას, განუმეორებელი. თხუთმეტამდე მეგობარი ასე განუყრელნი ვართ იმ შორეული 1978 წლიდან, როდესაც სამედიცინოს კარი შევაღეთ. იგივე ხუმრობები, იგივე სადღეგრძელოები, იგივე სიმღერები. თითქმის არაფერი შეცვლილა ამ 37 წლის მანძილზე და ჩვენც ისევე ვიცინით და ვმხიარულობთ, თითქოს პირველად ვხედავთ ერთმანეთს. აქ იყვნენ ჩემი გოლა, ჩემი მეგობარი პირველი კლასიდან, როცა ბუჯიაშვილი-გვახარია სიის მიხედვით ერთ მერხზე დაგვსხეს; ჩემი რეზო და ალიკო – მეგობრები 76 წლიდან, როდესაც სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელად ერთ მასწავლებელთან დავიწყეთ მეცადინეობა ფიზიკაში; მიშა, პაატა, ჯაყო, ხაჩიკა, გია, სევა, გოჩა. მერე ტელეფონით ზურაც ჩაგვერთო ვაშინგტონიდან. სანდრო და ნატი გასუსულები გვიყურებდნენ და, ალბათ, ფიქრობდნენ, ეს ამ ხნის ხალხი რამ გააგიჟაო. მერე იყო ხაჭაპური, ხინკალი, მწვადი, მხალეულობა... მოკლედ, მაგრად ვიგიჟეთ!

მე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე 1984 წელს და იქ შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც დაინტერესებული იყო კარდიოქირურგიაში მუშაობით. ყველა მოსკოვში გავემგზავრეთ სამუშაოდ. სამ წელიწადს ვმუშაობდი პირველ კლინიკურ ორდინატურაში, შემდეგ დავიცავი დისერტაცია ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ინსტიტუტში. მერე, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, ჩემს მოვალეობად მივიჩნიე დავბრუნებულიყავი. ჩამოვედი თბილისში და ვცდილობდი, შემენარჩუნებინა მუშაობის ტემპი, რომელსაც მოსკოვში მივეჩვიე. ვმუშაობდი ერთდროულად სამ საავადმყოფოში, მაგრამ, სამწუხაროდ, დავინახე, რომ ვერ ვიღებდი იმას, რაც ჩემი აზრით უნდა მიმეღო და რისთვისაც ამდენ ხანს ვისწავლე. ამიტომ დროებით უცხოეთში წასვლა გადავწყვიტე. გაცვლითი პროგრამით უნდა წავსულიყავი საფრანგეთში, ქალაქ ლიონში. სამწუხაროდ, ამ დროს დაიწყო თბილისის ომი და ფრანგი ქირურგი თბილისში აღარ ჩამოვიდა. მეც თბილისში დავრჩი. ამ დროს მოხდა ანეკდოტური რამ: ერთ ჩვეულებრივ ქართულ ქეიფში გვერდით მომიჯდა თბილისელი ბიჭი, რომელსაც ჩემს ამბავს

ლიც ითვალისწინებს საფინანსო ზედამხედველობის სამსახურის დატოვებას ეროვნული ბანკის შემადგენლობაში.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ „კატეგორიულად მიუღებელია“ ეროვნული ბანკის ახალი კანონის გამო „ხელოვნურად ატეხილი აჟიოტაჟი“.

მოვუყევი. მან მითხრა, რომ ჰყავდა ბიძაშვილი, რომელიც მექსიკაში ქალაქ ლა-პასში ცხოვრობდა. ისიც მითხრა, რომ სამ კვირაში აპირებდა წასვლას და შემომთავაზა, შენც წამოდიო. მეც, რა თქმა უნდა, გამიხარდა. მეორე დღეს პასპორტების გამოსართმევად მოვიდა. მივეცი პასპორტები. ის წავიდა მოსკოვში, გამიკეთა ვიზა. გავყიდე ჩემი მანქანა 3 000 დოლარად და ამ ფულით მე და თამრიკო ჩავედით მექსიკაში. როცა ჩავედით, სოლიკომ მითხრა (სოლიკო ერქვა იმ ჩემს ნაცნობს), რომ უკვე ლა-პასში უნდა წასულიყო და ჩვენ, ფაქტობრივად, მარტო დავრჩით აეროპორტში. არც ესპანური ვიცოდი, არც არავის ვიცნობდი. შემდეგ დავუკავშირდით სოლიკოს ბიძაშვილის ერთ-ერთ მანქანის ხელოსანს, რომელიც მეხიკოში იყო გადმოსული საცხოვრებლად და იმასთან ერთად წავედი მის სახლში. ასე მოვხვდი 20-მილიონიან ქალაქში ენის უცოდინარი, უნაცნობოდ, პრაქტიკულად უფულოდ...

შემდეგ დავიწყე ვიზიტები მექსიკის კარდიოქირურგიულ ცენტრებში, მაგრამ ყველგან მთხოვდნენ სპეციალურ დოკუმენტებს: მექსიკის ექიმის ტიტულს და ასე შემდეგ. დრო რომ მომეგო, გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებით მივედი ერთ-ერთ კლინიკურ ლაბორატორიაში და... კარდიოგრამების გადაღებით დავიწყე სამსახური. თვეში 300 დოლარი მქონდა, მაგრამ მე და თამრიკო მაინც ბედნიერები ვიყავით. შემდეგ გავხდი იმ კლინიკური ლაბორატორიის დირექტორი. ორ წელიწადში გადავედი სხვა კლინიკურ ლაბორატორიაში, რომელიც დღეს მექსიკაში სამ წამყვან ლაბორატორიას შორისაა. ამ ლაბორატორიებში ვარ ახალი პროექტების დირექტორი, ვაკონტროლებ ყველა ახალ პროექტს. ვემსახურებით წელიწადში ნახევარ მილიონამდე ავადმყოფს. ეს არის კერძო კლინიკები, სადაც ჩვენი ძირითადი სამსახური ავადმყოფების მიღება და დიაგნოზის დასმაა უამრავი ავადმყოფობის შესახებ. სამი წლის მერე, როცა მექსიკის ექიმის ტიტული მომცეს, გულის ქირურგიას აღარ დავბრუნებივარ, მაგრამ კარდიოლოგის პრაქტიკას ისევ ვაგრძელებ და ასევე ვარ ამ კლინიკური ლაბორატორიების სპეციალისტი.

30 ხუთშაბათი

რუსეთის წინააღმდეგ მოქმედ სანქციებთან საქართველოს შეერთებაზე ევროკავშირის განცხადების კომენტირებისას საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, დავით დონდუამ განმარტა, რომ ჯერ კიდევ 19 ივნისს ავტომატურად გაგრძელდა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის გამო ევროკავშირის საბჭოს მიერ 2014 წელს მიღებული დადგენილება, რომლის ფარგლებში დაწესებული 12 სანქციიდან საქართველო შეერთებულია ყირიმში ან სევასტოპოლში წარმოებული პროდუქციის იმპორტის აკრძალვას.

დილას, დაპირებისამებრ, ბავშვები ქალაქის დასათვალიერებლად გავიყვანე. საშინელი სიცხეა. იმას ვფიქრობ, ფოტოაპარატით ხელში ვიღაცამ რომ დამინახოს ამ სიცხეში, ხომ იფიქრებს, ეს ირაკლი რამ გააგიჟაო. შიგადაშიგ თავს ვაფარებთ სუვენირების მაღაზიების კონდიციონერებს. ამ 23 წლის მანძილზე სულ ამ პრობლემას ვაწყდები: რამე ლამაზ საჩუქარს ვეძებ მექსიკაში წასაღებად და, ფაქტობრივად, სულ ერთსა და იმავე ყანწებსა და ხანჯლებს ვხედავ. მხოლოდ გამყიდველები იცვლებიან.

საღამოს წყნეთში მივდივართ სტუმრად თამრიკოს ბავშვობის მეგობარ ნინო სუხიშვილთან. ვუყურებ ნიანიუს და სულ

იმას ვფიქრობ, როგორ ახერხებს ასე, მხრებით ატაროს ამოდენა პასუხისმგებლობა – საქართველოს ერთ-ერთი ისეთი მთავარი ღირსშესანიშნაობა, როგორიც სუხიშვილების ცეკვის ანსამბლია. დღეს ვამთავრებთ და ნიანიუ და ზურა გვეპატიჟებიან ზემო წყნეთში, რესტორანში. ამ სიცხეში ნამდვილად ედემის ბაღში მეგონა თავი. კიდევ ერთხელ გამახსენდა ის წლები, როდესაც კიკეთში დავდიოდით და ჩვენთვის საუკეთესო გართობა კიკეთის ღია კინოს ხის სკამებზე ჯდომა და „ფანტომასის“ ყურება იყო, ან პანტიანში ასვლა და ფეხბურთის სანახავად მანქანებზე ანტენების გამობმა. მოკლედ, დრო იცვლება...

ღმერთს მადლობას ვუხდი, რომ ოთხი შვილი მყავს. ჩემი გოგო 18 წლისაა. მექსიკაში დაიბადა, მექსიკაში გაიზარდა. მისი უფროსი ძმები ცურავდნენ და ნატიც დაჰყვებოდა ხოლმე საცურაოდ. შემდეგ სწორედ ის აღმოჩნდა საუკეთესო მოცურავე. პროფესიონალი მოცურავეა. მექსიკის მრავალგზის ჩემპიონია როგორც ახალგაზრდებში, ისე უფროსებში. ეს ბოლო ორი წელი ფლორიდაში ვარჯიშობდა. ახლა სკოლა დაამთავრა და ტეხასის A&M-ის უნივერსიტეტში შედის, ძალიან აინტერესებს კვების ინჟინერია. სხვათა შორის, ეს უნივერსიტეტი ამ დარგითაც არის წარმატებული.

სანდრო 20 წლისაა. სწავლობს მექსიკის უნივერსიტეტში, რომელიც უფრო ეკონომიკური განხრისაა, მეორე კურსზე გადავიდა. გიორგიმ ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა. 22 წლისაა. ერთი თვეა, მუშაობა დაიწყო „გოლდმან საქსის“ მექსიკის ფილიალში. ჩემი უფროსი ბიჭი, ნიკა, 31 წლისაა. მადრიდში ცხოვრობს და მარკეტინგის დარგში საქმიანობს. უყვარს დიჯეობა, უყვარს მუსიკა და ძალიან უყვარს მადრიდი...

პარასკევი

დილისთვის ბევრი სამუშაო დამიგროვდა. მექსიკასთან დროში განსხვავება 9 საათია. სამსახურში ვცდილობ, ყველაფერი ჩემი კონტროლის ფილტრში გავატარო. ამიტომაც ჩემი არდადეგები ერთ-ერთი ის მომენტია, როდესაც ამ სივრცეს ვტოვებ. ჩემი მუშაობის პრინციპი ყოველთვის იყო, რომ იტყვიან, ჯარისკაცების აყვანა და ჩვენ შორის სივრცის შევსება ისევ მათ მიერ, და არა, ვთქვათ, სხვა, უცხო ხალხის მოყვანა გუნდში. ჩემი აზრით, ეს უფრო დინამიკურს ხდის ჯგუფს, რომელიც წელიწადში ნახევარ მილიონ ავადმყოფს ემსახურება.

ღამით ჩემს საყვარელ რეზოსთან ვარ, წავკისში. რეზოსთან სტუმრობაც ტრადიციაა. ეს არის კაცი, რომელიც არასოდეს მაგრძნობინებს, რომ თბილისიდან წასული ვიყავი; ისე მექცევა, როგორც უცხოეთში რომ ხარ ჩასული და ვიღაც გვერდით დაგიდგება.

ღამე ბავშვებს უნდა გავუარო შარდენზე. იძულებული ვარ, დავჯდე კაფეში. შემდეგ ავდივარ ახალ ხიდზე და იქიდან ვათ-

ერგნეთში გაიმართა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფების 57-ე შეხვედრა.

მთავრობამ 2016 წლის 31 დეკემბრამდე მორატორიუმი გამოაცხადა მცხეთაში ნებისმიერი სახის მშენებლობაზე, პრივატიზაციასა და გასხვისებაზე, რაც მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მცხეთის დაბრუნების სურვილით ახსნა.

გიორგი მარგველაშვილმა ვეტო დაადო პარლამენტის მიერ ეროვნული ბანკის კანონში შეტანილ ცვლილებას ამ უწყებისთვის საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ჩამორთმევისა და ამ მიზნით სპეციალური სააგენტოს შექმნის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოსთან ათამდე არასამთავრობო ორგანიზაციის თაოსნობით გაიმართა მდუმარე აქცია, რომლის მონაწილეებმა პროტესტი გამოთქვეს „პანორამა თბილისის“ მოწინააღმდეგეთა აქციაზე დაკავებული შვიდი პირის 100-100 ლარით დაჯარიმების გამო.

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ სექტემბრიდან გალის რაიონის სკოლებში ქართულენოვანი სწავლება რუსულით შეიცვლება.

მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, რომ ინტერპოლის შესაბამის დანაყოფს მიმართავს და არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოითხოვს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადებას, ხოლო თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის მიმართ – ძებნის აღდგენას.

იუსტიციის სამინისტრომ განაცხადა, რომ სტრასბურგის სასამართლომ განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოიღო ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, დავით მირცხულავას მიერ 2004 წელს შეტანილი სარჩელი მას შემდეგ, რაც მთავრობამ აღიარა მომჩივნის მიმართ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევა და მას კომპენსაციის სახით 5 ათასი ევრო შესთავაზა, რაზეც თვით მირცხულავაც დათანხმდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრად წარადგინა გიორგი მღებრიშვილის, ხოლო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად კახი კახიშვილის კანდიდატურები.

თბილისში საზეიმოდ დაიხურა ევროპის მე-13 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომლის მსვლელობაშიც საქართველოს სპორტსმენებმა 4 ოქროსა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ივლისი

ვალიერებ თბილისს. ვიღებ სურათებს და იმავე წუთს ვგზავნი მექსიკაში. დაახლოებით ხუთ წუთში ასამდე „ლაიკი“ მომდის ჩემი აღფრთოვანებული მექსიკელი მეგობრებისგან.

შაბათი

1

დღეს მივდივარ ფუნიკულიორის რესტორანში, რომელიც ასე ძალიან უყვარს ჩემს ნატის, ჩემს ორ უახლოეს მეგობართან, ლია ჯანელიძესა და ზვიად ბახუტაშვილთან ერთად. ზვიადი, შეიძლება ითქვას, საქართველოში დღეს ყველაზე გამორჩეული და მსოფლიო დონის კარდიოქირურგია, რომელიც ძალიან მიყვარს. მე თვითონ გავიარე ეს გზა, მოსკოვში ერთად ვსწავლობდით, მერე მოსკოვიდან ჩამოვედი და აქ ვაპირებდით გულის ქირურგიის აწყობას. სამწუხაროდ, ჩვენ არ გამოგვივიდა, ზვიადი კი ჩამოვიდა და შეძლო. გუშინ მითხრა, რომ წელს 200-ზე მეტი ოპერაცია აქვს გაკეთებული. ზვიადი ნამდვილად ჩემი სიამაყეა და ძალიან მიხარია, რომ ის ჩემი მეგობარია. ალბათ, კარგად გავატარებთ დღევანდელ საღამოს...

აგვისტო

იდა ბახტურიძე

გენდერის სპეციალისტი. დაიბადა 1984 წლის 14 ოქტომბერს ახმეტაში. დაამთავრა თსუ, მოპოვებული აქვს სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხი გენდერის კვლევების მიმართულებით. მუშაობს გენდერული თანასწორობის საკითხებზე და თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. არის ფემინისტი აქტივისტი და ქალთა მოძრაობის აქტიური წევრი. მონაწილეობს კვლევით პროექტებში, ძირითადად, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით. ამჟამად მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციაში „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის - საქართველო“ (WECF), როგორც კოორდინატორი და გენდერის სპეციალისტი.

კვირა

ოცდაათი წელი ისე გავიდა, დღიური არ მქონია. ერთხელ ლექსიც კი დავწერე, მაგრამ დღის მანძილზე მომხდარი ამბები – არასოდეს. ახლა ვფიქრობ და ძალიან მომინდა იმ დღიურების წაკითხვა, მაგალითად, 14-15 წლის იდა რომ დაწერდა. ცოტა გული მწყდება, ამას რომ ვერასოდეს შევძლებ. მიუხედავად ამისა, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ არც 30 წლის იდას დღიურები იარსებებს, გარდა ამ ერთი განსაკუთრებული კვირისა.

ჩემი კვირადღის განრიგის უცვლელი პუნქტი – „დილის ძილი“ – დღეს დაირღვა. მაღვიძარა 9 საათიდან რეკავს. 15-20 წუთის მერე ძლივს ვახერხებ ადგომას. ეს კვირა განსაკუთრებულია, რამდენიმე დღეში დედა ჩამოდის, რომელიც ათი წელია, იტალიაში ცხოვრობს და მუშაობს, როგორც უამრავი ქართველი ემიგრანტი.

არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოდან წასული მიგრანტების რაოდენობა მილიონ-ნახევარია და აქედან 65%-ს შეადგენენ ქალები, რომელთა ოჯახების შემოსავლის დიდ ნაწილს (ზოგჯერ კი მთელ შემოსავალსაც) მათი გზავნილები შეადგენს. ხშირად ისინი არიან თავიანთი ოჯახების ერთადერთი მარჩენლები, და ზოგჯერ – არა მარტო თავიანთი ოჯახების.

მოკლედ, ნაგავს ვიღებ და სახლიდან გავდივარ. 10 საათზე მეტროსთან უნდა შევხვდე ლალის (სახელი შეცვლილია), რო-

კვირა 2

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში შეხვდა პატიმრებს, რომლებიც საქმეების გადასინჯვის მოთხოვნით შიმშილობენ.

მაღალმთიანი აჭარის სოფელ ბეშუმში აღნიშნეს შუამთობის სახალხო დღესასწაული, რომელსაც დასავლეთ საქართველოს მუფთ ბეგლარ ქამაშიძესა და სხალთის ეპისკოპოს სპირიდონთან ერთად დაესწრო ირაკლი ღარიბაშვილი.

მელიც სახლის დალაგებაში დაგვეხმარება. დედას დასახვედრად ვემზადებით და გვინდა, სახლიც განსაკუთრებულად დავალაგოთ. ვჯდები მანქანაში და ვურეკავ. ლალი მიბოდიშებს. ისევ მეტროში ყოფილა, იმიტომ რომ სიცხის გამო ღამით გამოუძინებელს დილით ჩასძინებია. უკან ამობრუნებულს დაკოც ფეხზე მხვდება და ყავას მთავაზობს. დაკო ჩემი დაა. სულ ვფიქრობ: როგორ გამიმართლა, რომ მყავს და, რომელიც თან ჩემი თანამოაზრე და მეგობარია.

ლალის ზარის მოლოდინში ფეისბუკს ვათვალიერებ. პოსტები, ძირითადად, სიცხეზეა და აქაც, როგორც ყოველთვის, ორი ბანაკია: სიცხეზე მოწუწუნეები და სიცხეზე მოწუწუნეთა მგმობელები.

დაკო ბოლო დროს კულინარიამ გაიტაცა და ხშირად ამზადებს საინტერესო კერძებს. ახლაც იღებს სპეციალურად გამოწერილ კულინარიის ჟურნალს და იწყებს სტუმრისათვის სადილის მზადებას. ჯერ შუადღეა და ლალის შესახებ უკვე იმდენი რამე ვიცით, მგონია, დიდი ხნის ნაცნობია. არადა, დღეს პირველად ვნახეთ. ჩვენ არაფერს ვეკითხებით, თვითონ ჰყვება და ჰყვება. ცხადია, არ ვაწყვეტინებთ. საინტერესო მოსაუბრეა. მისი ისტორია სევდიანია, ტრაგედიებითა და პატრიარქალური კულტურისთვის დამახასიათებელი სისასტიკით სავსე. მაგრამ ის მებრძოლი და ოპტიმიზმით სავსე ქალია.

ღამის თერთმეტის ნახევარზე დაღლილი ლალი იქამდე მივაცილე, საიდანაც ტრანსპორტს გაჰყვებოდა. ლიფტში მეუბნება, კარგი ხელი მაქვს და ჩემ დალაგებულ სახლს მალე აუცილებლად დიდი ბედნიერება ეწვევაო. მონოლოგს ამთავრებს ამ ფრაზით: „აი, ნახავ, თუ ერთ-ერთი მალე არ გათხოვდეთ!“ მეცინება და ვეუბნები, რომ ეს ის არ არის, რასაც ამ სახლის ბინადრები ახლა დიდ ბედნიერებად მიიჩნევდნენ. მაგრამ „გათხოვებაზე“, როგორც მასკულინური კულტურის გამოვლინებაზე სასაუბროდ დრო არ გვაქვს და არ ვუღრმავდებით ამ თემას.

სახლში დაბრუნებული, თავის მოწესრიგებას ვიწყებ. ხვალ ორშაბათია.

3 ორშაბათი

მაღვიძარას რამდენიმეჯერ დადუმების შემდეგ მახსენდება, რომ დღეს ჩემი ბოლო სამუშაო ორშაბათია. მომავალი კვირის ორშაბათს შვებულებაში გავიღვიძებ, თანაც მშობლიურ ახმეტაში. მიხარია, მაგრამ წინ მთელი კვირაა, საქმე კი ბევრია, და არც ისე ხალისით ვდგები.

ოფისში მისული ორშაბათის ტრადიციული „სკაიპკოლის“ დაწყებამდე ელექტრონული ფოსტით მოსული წერილების ნაწილის შემოწმებას და პასუხების დაგზავნას ვასწრებ. იმის გამო, რომ ვმუშაობ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელსაც ჰქვია „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის“ (WECF), რომ ჩემი კოლეგების ერთი ნაწილი მიუნხენის, მეო-

უკრაინის უშიშროების სამსახურის პრესმდივანმა უარყო ადგილობრივი და ქართული მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, რომ კიევმა პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა საქართველოს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე.

ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ სატელევიზიო არხებით ქართულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე დაიწყო

რე კი უტრეხტის ოფისებშია, სკაიპი ჩვენი კომუნიკაციის ძირითადი საშუალებაა. კვირის გეგმებს გადავხედეთ, საქმე გადავინაწილეთ და ერთმანეთს პარასკევამდე დავემშვიდობეთ.

ამასობაში პირველი საათი სრულდება. ორის თხუთმეტ წუთზე სტომატოლოგთან ვარ ჩაწერილი. კიბეზე ჩასვლისას ფეისბუკს ვხსნი და მხვდება სასჯელაღსრულების ახალი მინისტრის ინტერვიუ: „შაბათ-კვირას და უქმე დღეებში მსჯავრდებულ ქალებს მიეცემათ საშუალება, გავიდნენ ციხის ტერიტორიიდან და დრო გაატარონ ოჯახთან ერთად“. ძალიან მაინტერესებს, რას გულისხმობს მინისტრი, მაგრამ სიჩქარის გამო მოსმენას ვერ ვახერხებ. ის, რომ იქ ოჯახის წევრებთან გრძელვადიანი პაემნები დაწესებული არ არის, ქალთა კოლონიის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა. სწორედ ამაზე საუბრობს სახალხო დამცველი 2014 წლის ანგარიშში. რამდენიმე კვირის წინ კოლონიის ნახვის შემდეგ ქალთა მოძრაობის წევრებმაც ეს დაასახელეს ერთ-ერთ პრობლემად და ხელისუფლებას შეახსენეს, რომ ვალდებულია, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე შექმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა სასჯელაღსრულების მე-5 დაწესებულებაში.

კონდიციონერებით აღჭურვილ სტომატოლოგის მისაღებშიც კი ცხელა. ჩემს რიგს ველოდები და თან ტელევიზორს ვუყურებ. დიდი ხანია, აღარ ვიცი, ამ დროს რას უჩვენებენ ტელევიზიები. ჯერ ინდური სერიალის, „დინასტიის“ რეკლამაა, შემდეგ – თურქული „ლამაზი სიზმრის“, მერე - ისევ ინდური სერიალი „მოჯადოებულები“ და თურქული „სტამბოლის ცა“ ერთმანეთის მიყოლებით. აქედან ჩემი ახალი აღმოჩენა: ბაზარი და ქართველ მაყურებელთა გულები ინდურ სერიალებს დაუპყრია!

როცა კბილის დაბჟენის შედეგ სტომატოლოგის კაბინეტში პაციენტი და ექიმი ფემინიზმსა და ქალთა უფლებებზე საუბრობენ, ეს, ჩემი აზრით, იმის ნიშანია, რომ მოჯადოებული წრე იხსნება: ამ თემებზე საუბარი ნელ-ნელა სცდება საკონფერენციო თუ სატრენინგო ოთახებს და სხვა სივრცეებში გადადის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი სტომატოლოგი, თამუნა ყურაშვილი, ქალთა მოძრაობის აქტიური წევრია. თუმცა თამუნა მე ამ ნიშნით ნამდვილად არ ამირჩევია და, საერთოდაც, მის მიერ დაბჟენილი კბილი უკვე მქონდა, როცა მისი ფემინისტობა აღმოვაჩინე. ახლა მას ქალთა მოძრაობის ბოლო შეხვედრის დეტალებს ვუყვები, რადგან თავად მოსვლა ვერ მოახერხა. ქალთა მოძრაობა გეგმავს ახალი კამპანიის დაწყებას ე.წ. „ქალიშვილობის ინსტიტუტის“ წინააღმდეგ, რადგან გასულ კვირაში კიდევ ერთი გოგო გახდა გაუგონარი ძალადობის მსხვერპლი ქმრის მხრიდან. პირველ ყოვლისა, ახლა მარიამს ვჭირდებით: ჩვენი სოლიდარობითა და კონკრეტული დახმარებით უნდა ვაგრძნობინოთ, რომ მარტო არ არის იმ ბრბოს წინაშე, რომელიც ქალს საკუთარ სხეულზეც კი არ უტოვებს თავისუფალ არჩევანს. ამ ეტაპზე უკვე ვიცით,

საინფორმაციო ვიდეორგოლების ტრანსლირება ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლით სარგებლობის წესების შესახებ.

თბილისში გამართული პოლიტსაბჭოს სხდომის შემდეგ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პარტია იწყებს მზადებას მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის.

რომ მარიამი დროებით თავშესაფარში გადავა და რეაბილიტაციის კვალიფიციურ კურსს გაივლის.

ძალიან მნიშვნელოვანია ფართომასშტაბიანი კამპანია „ქალიშვილობის ინსტიტუტის“ წინააღმდეგ. ქალთა მოძრაობის ორი შეხვედრა მიეძღვნა იმაზე მსჯელობას, თუ როგორი უნდა იყოს ეს კამპანია. შეხვედრაზე მოსული ყველა ქალი ძალიან გაბრაზებული და შეურაცხყოფილია. ამიტომაც შეხვედრები ემოციურია. გვინდა, რომ კამპანია იყოს რადიკალური და ხმამაღალი. მაგრამ ქალის სექსუალობა და სხეული იმდენად ფაქიზი თემაა, რომ ფორმისა და მთავარი მესიჯის შერჩევა ძალიან გვიჭირს. ჩემი აზრით, დღევანდელ რეალობაში განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან დიდია საფრთხე, კამპანია იქცეს მხოლოდ გაბრაზებული აქტივისტების „ორთქლის გამოშვებად“, რაც ცუდი სულაც არ არის, მაგრამ ახლა ამის დრო აშკარად არ გვაქვს! მე მგონია, რომ კამპანია გასაგებ ენაზე უნდა მოეწყოს მარიამისა და მისი ტოლი გოგოებისთვის, რომლებმაც არ იციან და არც აინტერესებთ ფემინისტური ფილოსოფია თუ თეორიები. ისინი ჩვენი მოკავშირეები უნდა გახდნენ, არ უნდა დავაკომპლექსოთ „მენტორულ-დამრიგებლური“ ტონით.

სამსახურში დაბრუნებულს ჩემი ძმა, პაატა მირეკავს, რომ თავისი სამაგისტრო გამოცდების ქულები მაცნობოს. დაიმედებულია, რომ ჩააბარებს, მე კი მგონია, უკეთესი ქულების მიღებაც შეეძლო.

საღამოს სამივე ერთ დროს ვბრუნდებით შინ, რაც ძალიან იშვიათად ხდება.

4 სამშაბათი

მაღვიძარას ზარამდე სიცხე მაღვიძებს. სამსახურში მიმავალს განსაკუთრებით მხვდება თვალში, რომ აგვისტოს თბილისი უკვე საგრძნობლად დაცლილია: გაჩერებებზე ხალხი კანტიკუნტად დგას და მანქანა ბევრად მეტი დადის, ვიდრე ფეხით მოსიარულე.

ინფორმაცია მხვდება, რომ თავდაცვის სამინისტრო სკოლებში სამხედრო სწავლების ინიციატივით გამოდის. ეს არ მომწონს და ვფიქრობ, რომ სკოლებში მილიტარიზმი არ გვჭირდება. რა ფორმითაც უნდა ჩავატაროთ სამხედრო სწავლება, ეს ბავშვებში ომისა და იარაღის რომანტიზაციას გამოიწვევს.

დღევანდელი დღე ჩვეულებრივზე დატვირთულია და ვერ მივდივარ ორ საათზე იუსტიციის სახლში დაგეგმილ შეხვედრაზე, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სტამბოლის კონვენციის სარატიფიკაციო პაკეტის განხილვას ეძღვნება.

საღამოს მე, დაკო, ანა ლობჟანიძე და ნინო გამისონია ჩვენს მეგობრებთან – ეკა სხილაძესთან და ეკა ელოშვილთან ავდივართ სახლში. იქ სხილაძის მომზადებული ცივი ყავა

თბილისში, „ელიავას ბაზრობის“ ტერიტორიაზე, საღებავების საწყობში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაიღუპა ორი და დაშავდა რამდენიმე ადამიანი.

სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რომლის თანახმად სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის სამი წლით პატიმრობა მიესაჯა შს ყოფილ მინისტრს ვანო მერაბიშვილს.

რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა სასურსათო ემბარგოს დასაწესებლად იმ ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მიმართ, რომლებიც განმეორებით შეუერთდნენ ევროკავშირის სანქციებს.

გველოდება. ამ ადამიანების უმრავლესობასთან აქტივიზმმა დამაკავშირა. ამიტომ მათთან ბევრი რამ მაქვს საერთო. ცხადია, მძიმე თემებს გვერდს ვერასოდეს ვუვლით და დღესაც ჯერ წინა კვირაში მომხდარ ძალადობაზე ვილაპარაკეთ. ეკა და ანა სახალხო დამცველის გენდერული დეპარტამენტის თანამშრომლები არიან, ამ საქმეს ისინი უწევენ მონიტორინგს. 20 აგვისტოს მოძალადის სასამართლო პროცესსაც დააკვირდებიან. ქალთა მოძრაობის წევრების ნაწილი სამეგრელოში ჩასვლას და მარიამისთვის სოლიდარობის აქციის გამართვას აპირებს.

სხვადასხვა უფრო მსუბუქ თემაზე საუბრის შემდეგ ერთმანეთის საშვებულებო გეგმებიც დავაზუსტეთ და დავიშალეთ იმ პირობით, რომ თბილისიდან გასვლამდე ერთხელ კიდევ შევიკრიბებით.

სახლში ათი საათისთვის ვბრუნდებით. დღეს დედა ჩამოდის. დრო ძალიან ნელა გადის, აეროპორტში წასვლამდე კიდევ ხუთი საათია. დაკო სადილის მომზადებას იწყებს. მე თან სახლის მილაგებას ვცდილობ და თან 90-იანი წლების კადრებს ვუყურებ ტელევიზორში. მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და იმაზე, რაც ჩვენ გარშემო ხდებოდა, არ მქონდა გააზრებული რეაქციები. მაგრამ მახსოვს შეგრძნებები: ირაციონალური ტკივილი, შიში და უიმედობა. მივხვდი, რომ დღეს ამის ნახვა არ მინდოდა და ბოლომდე არ ვუყურე.

აეროპორტში მისულმა, მანქანა ძლივს გავაჩერე. აღმოჩნდა, რომ ფრენა ერთი საათით გადაედოთ.

შეხვედრამ რაღაცნაირი „მოზომილი“ ემოციების ფონზე ჩაიარა. ასე ვართ: არც მას და არც ჩვენ სიყვარულის გამოხატვა მაინცდამაინც არ გვეხერხება.

ოთხშაბათი

თანამშრომლების ნახევარზე მეტი უკვე შვებულებაშია და ოფისში უჩვეულო სიწყნარეა. მთელი დღე ოფისიდან გაუსვლელად ვმუშაობ.

შიგადაშიგ ვერთვები ქალთა მოძრაობის ფეისბუკჯგუფში მიმდინარე დებატში. უდროობის გამო ყველაფერს თვალს ვერ ვადევნებ. კამათი ძირითადად კამპანიის ფორმასა და შინაარსზე მიმდინარეობს.

მირეკავენ, რომ პაატა მოწამლულა და აფთიაქში უნდა შევიარო.

სახლისაკენ მიმავალ გზაზე ვხედავ, რომ წითელზე ჩემ გვერდით კარგი მარკის ახალი მანქანა ჩერდება. მძღოლი სასულიერო პირია. მის დანახვაზე დღეს გავრცელებული ინფორმაცია მახსენდება: მართლმადიდებელ ეკლესიას თბილისსა და კასპში უსასყიდლოდ გადაეცა მიწის ნაკვეთები. არ მესმის და ვერასოდეს გავიგებ, რატომ ვრიცხავთ ჩვენი ჯიბეებიდან, ანუ ქვეყნის ბიუჯეტიდან 25 მილიონს ამ ინსტიტუტში?! რატომ უნდა გავაჩუქოთ სახელმწიფო ქონება ერთ

ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი „რუსთავი 2“-ის წილის დაბრუნების მიზნით და მოითხოვა ტელეკომპანიის პარტნიორთა წილების დაყადაღება.

„რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ ქიბარ ხალვაშის სარჩელს „ტოტალიტარული შიზოფრენიით შეპყრობილი“ ხელისუფლების თამაში უწოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა 2007 წლის 7 ნოემბერს თბილისში საპროტესტო აქციისა და ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის საქმეზე მიხეილ სააკაშვილის, გიგი უგულავას, ზურაბ ადეიშვილისა და დავით კეზერაშვილისთვის აღმკვეთ ღონისძიებად შეფარდებული პატიმრობა.

ლარად?! და ამის მიუხედავად, რატომ ვიხდით ფულს ნათლობებსა თუ სხვა საეკლესიო რიტუალებში?! ყველა მსგავს კრიტიკულ კითხვაზე ერთი ჯადოსნური პასუხი არსებობს, – „ნუ განიკითხავ“ – რომელიც, ცხადია, მხოლოდ ეკლესიისა და სასულიერო პირების კრიტიკაზე პასუხის დროს ახსენდებათ და ხვდები, რომ საუბრის გაგრძელებას აზრი არა აქვს.

სახლში შემოსვლისთანავე ვხედავ, რომ დედას „უფუსფუსია“. პაატა მეუბნება, მთელი დღე არ დამჯდარაო. თან ამატებს, ვერ გამირკვევია, ასე საგანგებოდ დალაგებულ სახლში რა საქმეს პოულობსო.

საღამოს ხინკალზე წასვლა გვქონდა დაგეგმილი და პაატას ავადმყოფობის გამო გადავდეთ. დაკოც მოდის და სახლში ერთად ვსადილობთ.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოქალაქეებს ურჩია, გახშირებული ტერაქტების გამო თავი შეიკავონ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მოგზაურობისგან.

თბილისში ხელშეკრულების პირობების გადასინჯვისა და რამდენიმე სხვა მოთხოვნით გაიფიცა სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლთა ნაწილი.

6 ივნისი

ხუთშაბათი

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ წინააღმდეგია რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებთან საქართველოს შეერთებისა და სწორედ ამიტომ, შარშან თბილისი ევროკავშირის 15 სანქციიდან შეუერთდა მხოლოდ ერთს, რომელიც შეეხება ყირიმსა და სევასტოპოლში წარმოებულ პროდუქციას.

„რუსთავი 2“-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მის კუთვნილ ავტომანქანებს ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის სარჩელის საფუძველზე აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ყადაღა დაადო.

ტელეკომპანია „არტარეასთან“ინტერვიუში დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ დროა, „ქართული ოცნება“ შეეგუოს იმ რეალობას, რომ პრეზიდენტი კოალიციის პოლიტიკური გუნდის წევრი არ არის, რასაც პრაქტიკულად განაპირობებს ქვეყნის კონსტიტუციური სისტემაც.

აბაზანაში ყველაფერს ერთდროულად გასდის წყალი და ფუჭდება. დილიდანვე ვურეკავ სანტექნიკოსს, რომელიც დღესვე მოსვლას მპირდება. დაიმედებული მივდივარ სამსახურში.

ოთხი საათისთვის ჩემი კოლეგა ანა სამველი მოდის ოფისში. ის WECF-ის საქართველოს ფილიალის დირექტორი, ანუ ჩემი უფროსია. WECF აქ 2007 წლიდან მუშაობს პარტნიორებთან ერთად, მაგრამ ფილიალი წელს, იანვარში გავატარეთ რეგისტრაციაში და წინ დიდი გეგმები გველის.

ანა ჰოლანდიელია, ქართველი ქმარი ჰყავს და ფოთში ცხოვრობს. თბილისში ხშირად ჩამოდის. მის სათბურში მოყვანილი პომიდვრით გავაკეთეთ სალათა და მე, ანამ და ქალბატონმა რუსუდანმა ერთად ვისადილეთ. რუსუდან სიმონიძე ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის, „მწვანეთა მოძრაობის“ თანათავმჯდომარეა. ანა დღესვე ბრუნდება ფოთში, ამიტომ სადილი საქმიანი გამოგვდის და რამდენიმე საკითხზეც ვმსჯელობთ.

დღეს დეიდა და დეიდაშვილები გვეწვევიან სადილად, ამიტომ სამსახურიდან ცოტა ადრე გამოვდივარ, რომ 7 საათისთვის სახლში ვიყო.

პარასკევი

7

დილას ისევ სანტექნიკოსთან ზარით ვიწყებ, იმიტომ რომ გუშინ არ მოვიდა. მპირდება, დღეს აუცილებლად ამოვალო. გადავწყვიტე, შინ ვიმუშაო და მას დავხვდე, იმიტომ რომ დედამ არ იცის, სად რა დევს ამ სახლში.

ხვალიდან ჩემი და დაკოს შვებულება იწყება და ახმეტაში მივდივართ. ახმეტა ჩვენი მშობლიური ქალაქია და განსაკუთრებით მიყვარს. მთელი დღეა, ბავშვობის მეგობრები გვწერენ, რომ ნაწილი უკვე ჩავიდა, ნაწილიც ამ დღეებში ჩადის. ვიცი, რომ ახმეტაში დასვენების დრო ნაკლებად გვექნება, რადგან რემონტს ვიწყებთ და ამ დროს დასვენება წარმოუდგენელია, მაგრამ მაინც ერთი სული მაქვს, როდის წავალ.

პირველის ნახევარზე მეწყება „სკაიპკოლი“ ჩვენი ერთ-ერთი პროექტის პარტნიორებთან უკრაინიდან, მოლდავეთიდან, სომხეთიდან და საქართველოდან. ჩვენი საუბარი დიდხანს გრძელდება ხოლმე და დღესაც ასე იყო: სანტექნიკოსმა მოსვლაც მოასწრო, მუშაობაც და წასვლაც.

საღამოს საყიდლებზე და მანქანის გასარეცხად გავდივარ, სახლში მოსული კი ჩალაგებას ვიწყებ. ხვალ ამ დროს ახმეტაში ვიქნები.

შაბათი

8

დღეს 8 აგვისტოა... 2008 წლის შემდეგ აგვისტო ომთან და ტკივილთან ასოციირდება. რა უნდა ვთქვა, 8 აგვისტო ყველაზე მძიმე განცდების დღეა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ეს მუდმივად უნდა გვახსოვდეს და ჩვენს შემდგომ თაობებსაც გავაგებინოთ, რომ რუსეთი ჩვენი უფროსი ძმა თუ მეგობარი კი არა, ოკუპანტია!

დღეიდან ოფიციალურად შვებულებაში ვარ, მაგრამ კახეთში წასვლამდე ისევ სამსახურის ამბები უნდა მოვაგვარო: ჯერ ბანკში მივდივარ, მერე დაბეჭდილ მასალას ვაკითხავ ერთ-ერთ ფირმაში, ოფისში ამაქვს და იქ ვტოვებ. მოკლედ, ყველაფერს ვასწრებ და ახლა მშვიდად შემიძლია წავიდე ჩემს სახლში – ახმეტაში.

რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფლების - ხურვალეთისა და წითელუბნის მახლობლად კვლავ დადგეს „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერები.

აგვისტოს ომის დაწყების მეშვიდე წლისთავთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც რუსეთი დაადანაშაულა მცოცავი ანექსიის გაგრძელებასა და საერთაშორისო სამართლისა და ნაკისრი ვალდებულებების დარღვევაში.

ცნობილი გახდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით ყადაღა დაედო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ქონებასა და პარტნიორთა წილებს.

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „რუსთავი 2“-ის ქონების დაყადაღების გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს საქართველოში ყველაზე რეიტინგული კერძო ტელეკომპანიის სრულფასოვან ფუნქციონირებას.

აგვისტოს ომის დაწყების მეშვიდე წლისთავთან დაკავშირებით ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე პატივი მიაგეს ომში დალუპულთა ხსოვნას, მოეწყო აქციები და ფოტოგამოფენები.

თბილისში, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე, დაკრძალეს აფხაზეთში, ბაბუშერის სამარხის გახსნის შემდეგ ამოცნობილი 12 დაღუპულის ნეშტები.

ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ინტერნეტბაზარზე მოქმედმა ორმა დიდმა კომპანიამ – „სილქნეტმა“ და „კავკასუს ონლაინმა“ – კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიმართა გაერთიანების შესახებ განაცხადით.

გივი ალხაზიშვილი

პოეტი, ესეისტი, მთარგმნელი. დაიბადა 1944 წლის 26 მაისს თელავში. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისში კულტურის უნივერსიტეტში უძღვებოდა ლიტერატურის დაოსტატების კურსს. გამოცემული აქვს ორმოცამდე პოეტური კრებული, ოთხი რომანი, ესეების რამდენიმე წიგნი და პოეტური თარგმანების კრებულები. პოეტური კრებულისათვის „გამოსვლა უდროობიდან“ 1999 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია, ხოლო წიგნმა „ჩაბრუნებული მზერა“ 2011 წელს მოიპოვა პრემია „საბა“. 2015 წელს აზერბაიჯანის მწერალთა კავშირმა დააჯილდოვა აზერბაიჯანის კლასიკოსის მუშვიგის პრემიით, ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურულ ურთიერთობაში შეტანილი წვლილისათვის. ჟურნალ „ცისკარსა“ და გამომცემლობა „მერანში“ მრავალწლიანი საქმიანობისას, განსაკუთრებით ზრუნავდა ახალგაზრდა მწერლებზე და ხელს უწყობდა მათ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლაში. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, რუსულ, ესტონურ, აზერბაიჯანულ, მოლდავურ და სხვა ენებზე.

ესეისტი

9 კვირა

„რუსთავი 2“-ის დამფუძნებლებმა და ყოფილმა მფლობელებმა დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ საზოგადოებას მიმართეს მოწოდებით, თვალი გაუსწორონ იმ რეალობას, რომ დღეს „რუსთავი 2“ ნაციონალური მოძრაობის მიერ „მკაცრად კონტროლირებადი პარტიული ტელევიზიაა“ და „არაფერი აქვს საერთო დამოუკიდებელ მედიასთან“.

„რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ ჯარჯი აქიმიძესა და დავით დვალს უწოდა „მთავრობის ახალი ფსევდონიმები“ და განაცხადა, რომ გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი ეროსი კიწმარიშვილისგან ჰქონდა ინფორმაცია, რომლის თანახმად ბიძინა ივანიშვილი აქიმიძის, დვალისა და ხალვაშის გაერთიანებული ძალისხმევით აპირებს „რუსთავი 2“-ზე შეტევას.

არდადეგების ჟამია ზაფხული... ამას ჩემი ხნის კაცი თუ იტყვის, ვინც თვალი შეავლო სამოცდათერთმეტწლიანი ზაფხულის მთლიანობას და აღმოაჩინა, რომ თივის სუნი, რომელიც არა მხოლოდ ბალახის, არამედ გასული და მომავალი დროის სუნია, წარმავალობის თანხლებით – დროებით მარადისობაც სუნთქავს ჩვენთან ერთად...

მუდმივი ცვალებადობა

ნებისმიერი გაბატონებული კულტურა ბუნებრივად აჩენს კონტრკულტურის ჩამოყალიბების აუცილებლობას, შესაბამის ატმოსფეროსა და ნიადაგს. როცა კონტრკულტურა დამკვიდრდება და ერთგვარ კლასიკად იქცევა, დროთა განმავლობაში მასაც გაუჩნდება ალტერნატიული კონტრკულტურა. ლიბერალური ღირებულებებით ჯერ ადრექრისტიანული, ხოლო მოგვიანებით პროტესტანტული კულტურის ჩანაცვლება არ იყო უმტკივნეულო პროცესი და ასეთ გარდასახვას ან, იქნებ უფრო სწორია, ვთქვა – თავის ახლით შობას – ყოველთვის თან სდევს „მომხმარებლის“ ბუნებრივი პროტესტი, ტკივილის შეგრძნება გამშობლიურებული სტერეოტიპების მთელი კომპლექსის თანდათანობით ნგრევის გამო. ეს ის პროცესია, როცა ნგრევა წინმსწრებია და აჩენს გაურკვეველი სიახლის ბუნდოვან მოლოდინს და არავინ იცის, საით წაიყვანს ირაციონალური ძიება მაძიებელს. ბევრი რამ ნათლად გვაჩვენა

ლიტერატურის ისტორიამ. მუდმივი განახლების პროცესი უწყვეტია და, ვინც აღარ იცვლება და ერთ ადგილს შეეხამა, იმავე ადგილს ტკეპნის, მას მივიწყების ხავსი ისე გადაუვლის, რომ, სტერეოტიპური აზროვნების ტყვეობაში მყოფი, თვითონაც ვერ შეამჩნევს... ისიც გვასწავლა ლიტერატურის ისტორიამ, რომ ნებისმიერი ნოვაცია ვერ დამკვიდრდება, რაც უნდა პროპაგანდისტული სამსახური გაუწიოს არსებულმა პრომოუშენმა. სუბკულტურული აღმოჩენები სუბკულტურაშივე რჩება, თუმცა არსებობს მათი ვიწრო წრიდან გაღწევის, დამკვიდრების არაერთი მაგალითი. ასე იქმნება საერთო ლიტერატურული გარემო, გამუდმებით რომ იცვლება და ოკეანესავით ნაპირზე რიყავს ცოცხალ თევზებს და მკვდარ სხეულებს, აგრეთვე წერილებიან ბოთლებსაც, რომლებსაც, როგორც გამოცდილება გვკარნახობს, შესაძლოა არაერთი მკითხველი გამოუჩნდეს. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ ინერცია ბატონობს ლიტერატურაში, თუმცა არის რამდენიმე გამონაკლისი, რაც ლიტერატურულ პროცესს გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს და რომლის გვერდის ავლას, მიფუჩეჩებას, გემოვნებიანი მკითხველი ვერ შეძლებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მთელ ლიტპროცესზე ზეგავლენისთვის. სამწუხაროდ, გავლენის ასეთი ძალა დღესაც ინერციას აქვს და ინერცია ბატონობს! მართალია, ეს მანქანა ვერ მოძრაობს, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ამ გაჩერებულ ავტომობილს უწყვეტლად არყევენ, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებს ცოცხალი ეგონოთ.

ორშაბათი

„რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა...“

ე.წ. „დემოკრატია“ თანდათან ჩიხში შეჰყავთ და სიმულაკრების და ფიქციის „გასაგნებით“, რაც აუქმებს, სათუოს ხდის სამართლის არსებობას, იმ ქაოსამდე მივყავართ, სადამდეც მიიყვანეს საქმე „რუსთავი 2“-ის მეპატრონეებმა, რომლებიც დროთა განმავლობაში მრავალჯერ მხოლოდ იმიტომ ცვლიდნენ ერთმანეთს, რომ მისი საბოლოო პატრონი ყოფილიყო ის, ვინც დღესაც კულისებიდან მართავს არსებულ ვითარებას. ეს არის სიმულაკრებით თამაში, რაშიც ისინი კარგად არიან გაწაფული. თუმცა სიმართლის დადგენა შესაძლებელია, თუ ხელოვნურ ბარიერს, ანუ დავას დავისათვის, არ დაუშვებს სასამართლო, მხოლოდ არსებულ არგუმენტებს დაეყრდნობა და არა ფიქციურ იწილო-ბიწილოს... წლების მანძილზე ყველაფერი კეთდებოდა სამართლის ასაბურდად, რათა მიეღწიათ იმ აბსურდისთვის, რომლის ხელის ხლების სურვილი არ უჩნდებოდათ ახალ მეპატრონეებს. ეს ის შემთხვევაა, როცა აფერა გამოიყენება, როგორც სიმულაკრი, რომელიც ბოჭავს სამართალს და ძალაუფლებას ანიჭებს აბსურდს. რა მნიშვნელობა აქვს, რას ლაპარაკობენ? მთავარია, რომ ლაპარაკობენ, როგორც ამბობდა სამუელ ბეკეტის პერსონაჟი მის ერთ-ერთ

10

სოფელ წითელუბანთან „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერების ხელახლა აღმართვის გამო საგარეო საქმეთა სამინისტრომ შვეიცარიის შუამავლობით რუსეთს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა, ხოლო რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ასეთი ბანერები ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარაშენთანაც დადგეს.

გიორგი მარგველაშვილმა და თინა ხიდაშელმა სოფელ შინდისში პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის მოტომსროლელ ასეულთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაღუპული 17 ქართველი სამხედროს ხსოვნას.

საიამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ სასამართლოს განჩინება „რუსთავი 2“-ის ქონების დაყადაღების შესახებ არ შეესაბამება დასაბუთების მაღალ სტანდარტს.

პარლამენტის დეპუტატმა, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიორგი კარბელაშვილმა, რომელიც ნასვამი მართავდა ავტომანქანას, სიტყვიერი

შეურაცხყოფა მიაყენა საპატრუ-ლო პოლიციის თანამშრომლებს და არ დაემორჩილა მათს მოთხოვ-ნას, რის გამოც გორის პოლიციაში გადაიყვანეს.

ფეხბურთში სუპერთასის მატჩ-ზე დასასწრებად თბილისში ჩამო-ვიდა უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი.

მოთხრობაში. ეს სენტენცია შეიძლება მუდმივად იმეორონ იმ პერსონაჟებმა, რომლებიც აბსურდის რეალობას უფრო მეტ პატივს მიაგებენ გაღებული და გასაღები სარფის გამო, ვიდ-რე საქმის რეალურ გამოძიებას, რაც წინასწარულად უარყო ამ საქმის შემქმნელმაც და შემსრულებელმაც, რადგან აბ-სურდის „გაიასნება“ არამც და არამც ხელს არ აძლევთ. ახლა უკვე ნათელია, წლების მანძილზე არხის სერიული გადაფორ-მება ახალ-ახალ მეპატრონეებზე ერთი ფანტასმაგორიის ანი-მატორის სტილისტიკაა. ერთმა მეგობარმა ასე იხუმრა: თურ-მე ამ საქმის ანიმატორი ხანდახან არის ალიგატორი! შესაძ-ლოა, გალაკტიონის პალინდრომი აშორდიაზე გააქტიურდეს, თუ „რუსთავი 2“-ის გამო მართლა აირია ივერია.

აი, რა მზის სიზმარია,
აირევი ივერია...
აი, დროშა, აშორდია,
აერების სიბერეა....

ეს ტექსტი წაღმა-უკუღმა თავისუფლად იკითხება, მაგრამ ვეჭვობ, ივერია მხოლოდ იმიტომ აირიოს, რომ აშორდიამ ასე მოისურვა.

11 სამშაბათი

ეუთოს წარმომადგენელმა მე-დიის თავისუფლების საკითხებში, დუნია მიატოვიჩმა „არაპროპორ-ციული“ უნოდა სასამართლოს გა-დაწყვეტილებას „რუსთავი 2“-ის ქონების დაყადაღების შესახებ და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, მაქსიმალურად უზრუნ-ველყოს მედიის პლურალიზმი.

თამარაშენსა და ცერონისთან „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანე-რების აღმართვის გამო საგარეო საქმეთა სამინისტრომ შვეიცარიის შუამავლობით საპროტესტო ნოტა გაუგზავნა რუსეთს.

ზურაბ ჟვანიას ყოფილმა მცველმა, სამსახურებრივ გულ-გრილობაში ბრალდებულმა კობა ხარშილაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პრო-ცესზე განაცხადა, რომ დიდი ხნის განმავლობაში იცოდა „ზურას ორიენტაციის შესახებ“ და მისგან „შეთავაზებაც ჰქონდა“.

თბილისში გაიმართა უეფას სუ-პერთასის მატჩი, რომელშიც „ბარ-სელონამ“ დაამარცხა „სევილია“ – 5:4; ირაკლი ღარიბაშვილთან ერ-თად მატჩს დაესწრნენ ესტონეთი-სა და რუმინეთის პრემიერ-მინის-ტრები ტაავი რიივასი და ვიქტორ პონტა.

ერთი აღსარების ნათელი

რაც თავი მახსოვს, სულ ვეძებ. ადამიანის დანიშნულებაზე უამრავჯერ მიფიქრია, თუმცა არ ჩამომიწერია პუნქტებად, რადგან ოჯახმა, გარემოცვამ, აღზრდამ, სკოლამ და უნივერ-სიტეტმა, თითქმის ყველაფერი მომცა, რითაც უნდა აღიჭურ-ვოს ადამიანი, მაგრამ მხოლოდ ეს არ ყოფილა საკმარისი და, ვიდრე თვითონ არ აღმოვაჩინე, რა არის ჩემთვის მთავარი ამ სოფელში, მანამდე ვერ ვხვდებოდი, რადგან აყოლილი ვიყა-ვი სტერეოტიპულ გამონათქვამებსა და ლოზუნგურ შეძახი-ლებს და არა გულისხმას, ჩვენ რომ გვიხმობს თავისთან და იქით მიგვიძღვის, საითაც გულისთვალის სხივი სწვდება. ასე-

თი აღმოჩენის შემდეგ იწყება უწყვეტელი ძიება და ეს ძიება იქცევა ცხოვრების წესად და არა ინერციად, რადგან ხან იცი, ხან არ იცი, რას ეძებ და რატომ ეძებ, მაგრამ იცი, რომ ძიების გარეშე არაფერი შეგიძლია და არაფერი გსურს, რადგან ის, რაც შინაგანად გიზიდავს, არა ზედაპირულად და თავისთან გიხმობს, ყოველთვის საძებნელია, მაშინაც კი, როცა შენშია.

„მე კი არ ვცოცხლობ, ქრისტე ცოცხლობს ჩემში" – ეს პავლე მოციქულის სიტყვებია და ამის აღმოჩენა იყო ჩემთვის მთავარი და ვერ ვიტყვი, რომ ამ აღმოჩენის მერე განელდა ძებნის ჟინი, რადგან მე დღემდე ვეძებ იმ სამოთხეს, რომელიც ჩემში მხოლოდ მძლავრი ნოსტალგიის მოუხელთებელ ანარეკლად შემორჩა, და მუდამ თანმდევია ის, რაც აღარ არის და ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ თავს გვახსენებს ის, რომლის ნაკვალევი მძაფრად აღბეჭდილა ჩვენს სულში, „და ვიცით, რომ სანამ დამკვიდრებულნი ვართ სხეულში, განშორებულნი ვართ უფლისგან" (2 კორ. 5. 6); მე ვიცი, რა იმალება ადამიანშიო, ამბობს იესო და მყისვე გვახსენდება, პეტრე როგორ შედრკა წუთიერი სისუსტისას, ვიდრე გამთენიამდე მამალი სამჯერ იყივლებდა.

მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის აღსარება სულისშემძვრელი მაგალითია ჩვენთვის. სადაც ადამიანია, იქვეა დაცემა და ამაღლება, ცოდვა და მონანიება, მიტევება და თანაზიარება. პატრიარქის საჯარო მონანიება ახლაც ჩამესმის, გადამდებია სულიერი ტკივილი, ასე ბუნებრივად რომ ამოთქვა, ამოიქვითინა, ამოიგვრინა და ლამის გული ამოაყოლა! უფალო, შენ ხარ ჩემი სამშობლო! ეს ფრაზა ჩავიწერე წლების წინათ და ახლაც ვიმეორებ...

ოთხშაბათი

პურის რიგი

პურის რიგში დგომის რამდენიმე ქრონოლოგია მახსენდება. პირველად პურის რიგში აღმოვჩნდი 50-იანი წლების დასაწყისში. დიდედას დავყავდი და ყველაფერს ისე ვიმახსოვრებდი, რომ ის შავ-თეთრი კადრები ჩემშია ჩაბეჭდილი. პურის რიგში ისეთი ზედახორა იმართებოდა, რომ დიდედამ ჩემი წაყვანა გადაიფიქრა და ნავთის რიგში მიმიჩინა ადგილი, ცხადია, მასთან ერთად, რადგან იქ, რატომღაც, უფრო მოწესრიგებული რიგი ჩანდა ყოველთვის.

ვიღაცაზე ამბობდნენ, პურის რიგში დაორსულდაო. მაშინ არ მესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა და მოგვიანებით კი თვალწინ დამიდგა ეს ბაკქური კადრი.

მეორედ პურის რიგში ამოვყავი თავი სამოციან წლებში, ტალახივით პურს რომ გვაჭმევდა ნიკიტა სერგეევიჩი და ხორბლის მარაგის ნაკლებობას სტალინს აბრალებდა, რატომ მეტი არ დაგვიტოვაო. მაშინ უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. როგორც ჩანს, ათწლიანი მარაგი ვერ იმყოფინა ხრუშჩოვმა და სტალინის ლანდს შეაწმინდა ხელი. როცა ვამბობ, უნი-

თინა ხიდაშელმა დაადასტურა, რომ „კაბელების საქმეზე" ბრალდებულ სამინისტროს თანამშრომლებს პატიმრობის გირაოთი შეცვლის შემდეგ აღუდგინეს შეჩერებული უფლებამოსილება.

„რუსთავი 2"-მა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ქონებისა და მფლობელთა ნილების დაყადაღების შესახებ და განჩინების გაუქმება მოითხოვა.

ზურაბ ჟვანიას ყოფილმა მცველმა, სამსახურებრივ გულგრილობაში ბრალდებულმა მიხეილ ძაძამიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე განაცხადა, რომ ჟვანია უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა.

თბილისის საკრებულოს უმრავლესობამ რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და საკრებულოს ზოგიერთი წევრის პროტესტის ფონზე დაამტკიცა

ვერსიტეტში ვსწავლობდი-მეთქი, ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინ უნივერსიტეტი ერთადერთი იყო და ასე ყოველ მოსახვევში არ ფუნქციონირებდა. სამწუხაროდ, ამჟამად, უმაღლესდამთავრებულთა უმრავლესობა უმუშევართა რიგებს ავსებს.

პურის რიგი მთელი თავისი სიდიადით საუკუნის ბოლო ათწლეულის პირველ წლებში აბობოქრდა – დაუვიწყარ 90-იან წლებში, როცა ნანატრ დამოუკიდებლობას ვეზიარეთ და როცა გვეგონა, რომ თავისუფლება თვითონ შობდა ყველა სიკეთეს, ხელის და თავის გაუნძრევლად. სამწუხაროდ, ეს ინერცია გარკვეულწილად დღემდე გრძელდება, რადგან ჩვენებურთა დიდმა უმრავლესობამ მიატოვა მიწის დამუშავება და ხელისბიჭობის გზა აირჩია, სხვა ასპარეზი ვერ პოვა სამშობლოში, დათმო მიწათმოქმედების ათასწლეული ტრადიცია და პენჯაბელ ინდოელებს, ლიბოს თანამემამულე ჩინელებს, პაკისტანელ და სპარსელ გლეხებს გადააბარა სადღეგრძელოებში ნალოლიავები სავარგულები.

* * *

ეს ღამეც გადაიფურცლა, ახალი ცა და მიწა ამოიზარდა წყვდიადიდან და სინანულის განცდა ამყვა, არცთუ უმიზეზოდ. ვერ ამოვშალე მეხსიერებიდან ის რესენტიმენტები, რაც ამედევნა საბჭოური ცხოვრებიდან და 90-იანი წლების უმძიმესი და დაუვიწყარი რეალობიდან. უკვე ვგრძნობ, რომ მომიწევს წიგნის, „მომავალი წარსულის“ შევსება ან საერთოდ უარის თქმა ამ ჩანაფიქრზე. ვიღას აინტერესებს ის განუმეორებელი წლები, დროდადრო გვამეცს რომ ამოატივტივებს ხსოვნის ფსკერიდან? ყველას თავის სიმართლე აქვს, არადა, სინამდვილე ერთია. გული არ მიმიწევს, „მომავალ წარსულს“ რომ მივუბრუნდე და მეხსიერებაში აღდგენილი ახალი დეტალებით შევსებას მივყო ხელი. ამ ორჭოფობას თანდათან დავძლევ და ვრცელი სიმშვიდისკენ ავიღებ გეზს ან ვცდუნდები და ისევ მივუბრუნდები ერთხელ წამოწყებულ საქმეს.

13 ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

...ის ახლა ჩემში ისევ ანათებს,
შუქი, რომელსაც არ უნდოდა დამშვიდობება,
როცა თვალს ვხუჭავ, ვშიშობ არ გაქრეს...

როცა პოეზია ტოვებს ადამიანებს, მხოლოდ ლექსებს არ ვგულისხმობ, რადგან ლექსი ყოველთვის არ უდრის პოეზიას, გავიფიქრებ, პოეზია ხომ ჩვენს არსებობაში მოიპოვება, როგორც უძვირფასესი მადანი, ეს იმას ნიშნავს, რომ მკითხველს სულიერად გაუჭირდა და დაკნინდა, ნირი იცვალა და დათმო ის, რასაც „ეყუდნოდა!“ უფრო სწორად რომ ვთქვათ, თანდათან, ნელ-ნელა შეაჩვიეს და დაუმალეს არსობის არსი, დაათმობინეს და ახლა უაზროდ დაყანტალობს წინ და უკან და უმუშევარს, უაზრო მოცალეობით გაბეზრებულს, დაგლახავებულს, მშიერი და უაზრო თავისუფალი დრო რომ უპირებს

მირზა შაფის უბნის განაშენიანების შესწორებული პროექტი.

რუსეთმა საქართველო არ შეიტანა იმ ქვეყნების ნუსხაში, რომლებსაც ევროკავშირის სანქციებთან შეერთების გამო სასურსათო ემბარგო დაუწესა, რადგან საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ მიღებული სანქციები უმნიშვნელოა, ამ ორ ქვეყანას კი ამჟამად აქტიური სავაჭრო ურთიერთობა არ აქვს.

„საქსტატმა“ გამოაქვეყნა წინასწარი მონაცემები, რომელთა თანახმად, 2015 წლის იანვარ-ივლისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14%-ით შემცირდა საგარეო სავაჭრო ბრუნვა.

სპორტის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ძალოსნობის საერ-

გასრესას, დროდადრო თუ წამოაგონდება ადრინდელი სკოლის პროგრამიდან „ვაჰ, სოფელო“ ან „ვაჰ, დრონი, დრონი“ და ესეც მაშინ, თუ სადმე მოახერხა და გადაკრა თავისუფლების ორიოდ ყლუპი.

ახლები აღარ აციტირებენ ქართულ კლასიკას, უბრალო მიზეზის გამო: ზეპირად თითქმის აღარაფერს ასწავლიან და რა უნდა აციტირონ? თანამედროვე ქართულ მწერლობაშიც არის საინტერესო გამონათებები, მაგრამ ამ ტექსტებს სკოლაში არ აჭაჭანებენ „კვალიფიციური“ შემდგენლები. ასე იქცა სახელმწიფო ენა მხოლოდ საპარლამენტო სხდომების და საკანცელარიო დოკუმენტების ენად და პრესის ენად, მაგრამ ვინმე თვლის, რომ მწერლობა სახელმწიფო ენის ნაწილია?! ასე რომ ფიქრობდნენ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, შესაბამის ფაკულტეტებზე მაინც პროგრამებში შეიტანდნენ ზოგიერთ ღირებულ მხატვრულ ტექსტს, რომელსაც ასპარეზი უნდა ჰქონდეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. რადგან საბაზრო თვითდინებას და არაკვალიფიციურ, უგემოვნო შემდგენლებს მივანდეთ სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენა, ყოველგვარი შეფასებისა და შესწავლის გარეშე. სწორედ ამიტომ, სავალალოა შედეგი, რომლის გამოსწორებასაც, სამწუხაროდ, არავინ ფიქრობს.

სკანდინავიის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება მოგვიწევს. ისინი თავიანთ ენებს უდიდესი სიფრთხილით და სიყვარულით ეკიდებიან. შვედებისთვის, ნორვეგიელებისა და ფინელებისთვის, ბენილუქსის ქვეყნებისთვის, ენა და ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურა მთავარი საზრუნავია, როგორც ენის შენახვისა და გადარჩენის უმთავრესი საყრდენი და საშუალება. ჩვენ, როგორც ჩანს, მსგავსი პრობლემა არ გვეხება და გლობალიზაცია ჩვენი ქვეყნის გვერდის ავლით აგრძელებს გზას.

პარასკევი

„ვეფხისტყაოსნის“ ქუჩები

რამდენიმე თვეა, ხატაეთის ქუჩაზე ვცხოვრობ ჩემს ვაჟიშვილ ლაშასთან, მის მეუღლე ქეთი ცეცხლაძესა და უფროს შვილიშვილ ქეთისთან ერთად. ხატაეთის ქუჩა უერთდება როსტევან მეფის ქუჩას, იქვე ახლოს ნურადინ ფრიდონის და შერმადინის ქუჩები მეზობლობენ, ქვემოთ ათცამეტი ასურელი მამის ქუჩაა, ხოლო როსტევან მეფის ქუჩა მშვიდად მიემართება სასამართლოსკენ. რომ მეკითხებიან, „სად ცხოვრობ?“, ვპასუხობ: „ვეფხისტყაოსანში!“ მართლაც ასეა. აქ ყველა ქუჩის სახელი „ვეფხისტყაოსანთან“ მაკავშირებს.

ადამიანურობის დეგრადაცია

ყოველთვის მიუღებელი იყო ჩემთვის პლებეური აღზევება და მათი გემოვნების, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, „გოიმოვნების“ დამკვიდრება, მაგრამ ამ უარყოფით მოვლენას მრავალ-

თაშორისო ფედერაციამ ქართველი ძალოსანი ირაკლი თურმანიძე 105 კგ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონად დაასახელა მას შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ აპრილში თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებულმა, უკრაინელმა ოლეგ პროშაკმა აკრძალული პრეპარატები გამოიყენა.

ნაფიცმა მსაჯულებმა გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს ზურაბ ჟვანიას ყოფილ მცველებს, სამსახურებრივ გულგრილობაში ბრალდებულ კობა ხარშილაძესა და მიხეილ ძაძამიას.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან 23-ე წლისთავის გამო სპეციალური განცხადებები გაავრცელეს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი თანაბარი ხარჯვის ტენდენციით გამოირჩევა, მეოთხე კვარტალში კი ხარჯი კიდევ უფრო ნაკლები იქნება.

ჯერ აღემატება მიზანთროპების ზიზღში აღმოცენებული ქედმაღლობა და დამცინავი დამოკიდებულება ყველასა და ყველაფრის მიმართ, ვინც მათს მენტალიტეტს არ იღებს და მათს იდეოლოგიას არ იზიარებს. ადამიანების ურთიერთობაში გაფეტიშებული პარტიული დისციპლინა სრულიად აკნინებს და კლავს ადამიანს, მის ნაცვლად კი აყალიბებს პარტიული ნიშნით შესაშური ორგანიზებულობით გამორჩეულ მანქანას, რომლის ცხოვრების წესი არაადამიანურობით, ხელოვნურად გაფეტიშებული მომავლით, ფაშიზაციით გამოირჩევა, იმ მომავლით, რომლის დასამკვიდრებლადაც აუცილებელია ფეოდალური მენტალიტეტის ქართველების „გზიდან ჩამოცილება“. რადგან მათი გარდაქმნა შეუძლებელია, ე.ი. უნდა მოვიშოროთ. ეს აუცილებლობა გამოსჭვივის მათი იდეოლოგიიდან და საქმიანობიდან. ასეთი, სხვათა, თუნდაც მოწინააღმდეგეთა მიმართ ზიზღით შეპყრობილი ტიპები ვერ სწყდებიან არაადამიანურობის პათოლოგიურ ინერციას და სწრაფად დეგრადირდებიან! დეგრადაციის გამომწვევი მიზეზია ჰიპერბოლიზებული სიძულვილი, სიძულვილი კი იმ პერსონებით საზრდოობს, ვის სულსაც გამუდმებით ხრავს!

იგი თავის დამარცხებას ფეოდალური მენტალიტეტის საქართველოს აბრალებს, რომლის ამოძირკვა ვერ შეძლო, მაგრამ, როგორც ჩანს, მომავალში კვლავ შეეცდება დასახული მიზნის მიღწევას, ცხადია, თუ მიეცა ამის საშუალება!

15 შაბათი

ღვთისგან ნაწყალობევი დრო

სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან შენი და ჩემი დრო, მიუხედავად იმისა, რომ აწმყო საერთო გვაქვს. განსხვავება ჩვენს სინამდვილეს შორის იმდენად საგრძნობია, რამდენადაც შენ ვერ ამჩნევ სხვაობას, რადგან სტერეოტიპზე აგიწყვია ყოველდღიურობა და თითქოს დრო გაგყავს, მაშინ, როცა დროს გაჰყავხარ.

მე არსად მეჩქარება შენგან განსხვავებით და საკუთარ მოცალეობაში ვარსებობ იმ დროის კარნახით, ღვთისგან რომ მაქვს ბოძებული და არ არის მექანიკური და ელექტრონული საათების ნაწყალობევი. ამიტომ არ უნდა გაიმეორო უაზროდ, დაუფიქრებლად, მეტიჩრული შენიშვნა, მეტადრე მაშინ, თუ შენიშვნა ზედაპირულია და სიღრმეში წუთითაც არ შეყოვნებულა.

თანდათან ყველანი გავუჩინარდებით, მაგრამ უწყვეტი პოპულაცია ასხვაფერებს, ჩქმალავს დანაკლისს, ინარჩუნებს როგორც ადამიანურ რესურსს, ასევე აწესრიგებს ქალაქელი ბეღურების, მწერების, ქალაქელი ყვავების და ჭილყვავების ბალანსს.

დავასრულებ იმით, რითაც დავიწყე. მიუხედავად საერთო აწმყოსი, რომელიც საერთო საცხოვრებელს მაგონებს, არის დრო, რომლის არსებობის შესახებ არაფერი იციან ზოგიერ-

თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე ვიზიტით გაემგზავრნენ აშშ-ში.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ სექტემბრის დამდეგს ირაკლი ღარიბაშვილი მონაწილეობას მიიღებს ჩინეთში დანიშნულ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში, ხოლო სექტემბრის ბოლოს ნიუიორკში სიტყვით გამოვა გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე.

მაღალმთიანი აჭარის ხულოს მუნიციპალიტეტში ხიხანის ციხეზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს XI-XIII საუკუნეების მარანი 43 ქვევრით.

თებმა, ვისაც ეჩვენება, რომ საკუთარი აზრი აქვს. აზრის გამოთქმის თავისუფლება არ ნიშნავს ყველა ეთიკური ზღვარის დარღვევას, მეტადრე უარყოფას. იყავ შენთვის, ჩემო ძვირფასო და უსაყვარლესო ადამიანო, მაგრამ ეცადე, სულში არ ჩამიძვრე! თუთიყუშივით ნუ გაიმეორებ იმას, რაც გონებაში კი არ მომწიფებულა, არამედ დაუფიქრებლობის ზედაპირზე წამოტივტივდა, როგორც მიმზიდველი ფიქცია. გავიმეორებ: ჩვენი საერთო დრო აწმყოა, რომელიც გაურკვეველი დროის შემდეგ იქცევა წარსულად და გვიან მიხვდები იმას, რასაც ახლა ვერ აცნობიერებ – მექანიკური დინების გადამკიდე. შენ რომ ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანი ხარ, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, მაგრამ გირჩევ, ნუ აჰყვები ზედაპირის კარნახს, რომელმაც არაფერი იცის იმ სიღრმის შესახებ, რადგან შეუძლებელია იცოდეს ის, რაც არ უგრძნია და გაუთავისებია, რაც არ გააჩნია. რადგან ერთადერთი რეალური დრო, როცა შეგვიძლია რაიმე გავაკეთოთ, არის აწმყო, სწორედ აწმყოშია აუცილებელი იმ განაზრების რედუცირება, რომელიც მომავალში, მაშინაც კი იარსებებს, როცა ჩვენ მხოლოდ ფიზიკურად აღარ ვიქნებით. ინტენცია იმისკენ უნდა იყოს მიმართული, რისი ამოცნობაც შეუძლებელია, მაგრამ საიდანაც გამოდნება ან გამოკრთის ის სინათლე, რომელიც მხოლოდ იქიდან იღებს სათავეს.

სოფო ჯაიანი

ისტორიკოსი. დაიბადა 1986 წლის 26 მაისს ქობულეთში. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის, დიპლომატიისა და უცხო ენების (ინგლისური) განხრით. ამჟამად მუშაობს სპეციალისტად (ექსკურსიამძღოლად) ბათუმის ბოტანიკური ბაღის მარკეტინგის დეპარტამენტში.

ავტორი

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ლოკარნოს კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა რეჟისორ დათა ფირცხალავას მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მამა“, რომელიც წარდგენილი იყო „იმედისმომცემი ტალანტების“ საკონკურსო სექციაში.

16 კვირა

დღიური არასოდეს მიწერია. ახლა, როცა ეს შემომთავაზეს, დავიბენი. არც კი ვიცი, რა უნდა გამოვარჩიო ჩემი ყოველდღიურობიდან. აქტიური ტურისტული სეზონია, ამიტომ შაბათსა და კვირას ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ერთი მორიგე გიდი მაინც უნდა იყოს. დღეს ჩემი მორიგეობაა. უკვე მეოთხე წელია, ბოტანიკური ბაღის რუსულენოვანი ექსკურსიამძღოლი ვარ და ამ პერიოდში ჩემი თითქმის ყველა კვირადღე პოლონელ ტურისტებთან ერთად იწყება. გზაში კომპანიის წარმომადგენელი მეხმიანება და ბოდიშს მიხდის, რადგან ჯგუფს ათი წუთი აგვიანდება. ჩემთვის ვფიქრობ: ნეტა ყველა ასეთი მოწესრიგებული იყოს!..

როგორც ძირითადად პოლონელებს ახასიათებთ, ექსკურსია ძალიან საინტერესო და მშვიდია. ამ დროის მანძილზე საექსკურსიო ჯგუფთან ჩემი დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა, თითქოს ყველა მათგანის ტვინი ერთნაირად აზროვნებს, კითხვებსაც კი ერთნაირს სვამენ. ექსკურსიის პროცესში მოლარე მირეკავს, რუსულენოვანი გიდი უნდათ. ვპასუხობ, რომ დაკავებული ვარ და, თუ დამელოდებიან, ერთ საათში გავთავისუფლდები. თუმცა დამთვალიერებელს მოცდა არ უნდა. ამიტომ დამოუკიდებლად მოუწევთ გასეირნება.

ცოტა ხანში ისევ ისმის ზარი: პირველ სალაროსთან ექსკურსიამძღოლს ითხოვენ. ვუთანხმდები დროზე, რაც ამჯერად მისაღებია მათთვის. ხანდახან გვიწევს მომსახურებაზე

უარის თქმა. რადგან ბაღის მთავარი ტურისტული მარშრუტი საკმაოდ დიდია, რელიეფი კი – რთული, ერთ ტურს, მინიმუმ, საათ-ნახევარი სჭირდება. კარგია, ტურებს შორის თუ დაისვენებ, მაგრამ ხდება ისეც, რომ ერთი ტური მეორეს გადაებმება ხოლმე. დღესაც სწორედ ასეთი შემთხვევაა.

ბაღში ტურისტების ნაკადი დილიდანვე დიდია. ჯერ ისევ გრილა, ზღვაც ულამაზესი ფერისაა, მშვიდია და სასიამოვნო შეგრძნებას ტოვებს. ამიტომ ჩემი პოლონელი ტურისტებიც პანორამულ გადასახედთან უამრავ ფოტოს იღებენ. აქ რამდენჯერაც მოვდივარ, იმდენჯერ ვრწმუნდები, რომ მართლაც სასწაული ადგილია! ენერგიით ივსები და ეს ყველაფერი უფრო მეტ ძალას განიჭებს, რომ მაქსიმალურად კარგად და საინტერესოდ წაიყვანო ტური. შავი ზღვის ჰორიზონტზე თეთრი კავკასიონი მოჩანს. ბათუმში ამბობენ, თუ ჰორიზონტზე კავკასიონი გამოჩნდა, გაწვიმდებაო. წვიმას სიამოვნებით დაველოდები. მეც იმ რიგით ბათუმელებს მივეკუთვნები, რომლებსაც წვიმა ძალიან უყვართ. ერთი სიტყვით, პოლონელებთან ტური სასიამოვნოდ სრულდება, თუმცა უკვე მერამდენედ მაოცებენ ჩვენი ვიზიტიორები: უამრავი საუკუნოვანი ეგზოტის ფონზე სტუმრების აღფრთოვანებას იწვევს პატარა, მორცხვი ბრაზილიური მიმოზა, რომელიც ხელის შეხებისას ფოთლებს ხურავს. ასევე გასაოცარია მათი რეაქცია ჩინური ჩაის ბუჩქის ნახვისას. ხშირად წაიმღერებენ ხოლმე: Batumi, ech Batumi... Herbaciane pola Batumi... გიორგი გაბრიჩიძის სახელობის ზღვისპირა პარკში ტაშით მემშვიდობებიან. ესეც პოლონელი ტურისტების დამახასიათებელი თვისებაა: Dziękuję bardzo – დიდი მადლობაო.

ელექტროავტობუსით მწვანე კონცხზე ვბრუნდები. გაჩერებასთან უამრავი ტურისტია. ლოდინით დაღლილი არიან. მაგრამ ჩასხდებიან თუ არა, სახე კმაყოფილებით ევსებათ. სასიამოვნო ნიავი ქრის. მთავარ მარშრუტზე ჩავუარე მაგნოლიებს, ბამბუკებს, იაპონურ ბანანებს, ევკალიპტებს, კალისტემონებს... თითოეული მათგანი ახალი ენერგიით მავსებს.

სტუმრებს ქვედა პარკში, ნეკერჩხლების პარტერში ვხვდები. ეს სწორედ ის ადგილია, საიდანაც მწვანე კონცხზე XIX საუკუნის ბოლოს პირველი დეკორაციული ბაღების გაშენება დაიწყო.

ამჯერად ჯგუფში (როგორც მოგვიანებით გავარკვიე) ოთხმოცი წლის ბაბუაა ყაზახეთიდან. ძალიან ენერგიულია, თითქმის ორი საათი არ დაღლილა და ინტერესითაც მისმინა. ტურის დასასრულს ბაბუამ ჩრდილოეთ ამერიკის ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებაში, სადაც ტიტის ხე უკვე ოცდაათი წელია წაქცეულია, მხნედ გაირბინა და ფოტოებიც გადაიღო. აი, ეს არის სიცოცხლის სურვილი!

მოიღრუბლა. ზღვისპირა პარკში უამრავი წყვილია მაყრიონითურთ. ერთი სიამოვნებაა კამერების წინ მათი პოზირების ყურება. ერთ-ერთი წყვილი ხელს აქ აწერს... დასავლური ტრადიციები ჩვენში სულ უფრო იკიდებს ფეხს. ალბათ ამიტომაც

გახდა პოპულარული ბოტანიკური ბაღის ახალი შეთავაზება: ხელმოწერის ცერემონიის გამართვა სპეციალურად მოწყობილ პოდიუმზე. მართლაც ძალიან ლამაზია თეთრი სკამები, მწვანე გარემო და ყვავილები... მაგრამ ქუხილი ისმის. ამიტომ ცერემონიას აჩქარებენ.

სიძე-პატარძალი დასველებას გადაურჩა. ზაფხულის წვიმის წვეთები მასველებს. რატომღაც ელექტროავტობუსში ჩაჯდომას არ ვცდილობ. წვიმამ იმატა. ზღვასაც ნაცრისფერი გადაეკრა. ხეების კონტურები უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა. აი ეს არის ბათუმი...

17 ორშაბათი

თბილისის საქალაქო სასამართლომ კოლეგების თავდებით პატიმრობიდან გაათავისუფლა „კორტების სპეცოპერაციის საქმეზე“ ბრალდებული შვიდი სპეცრაზმელი.

რუსეთმა დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები სამხრეთის სამხედრო ოლქში და ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ყაზბულატ ცხოვრებოვმა და ვიაჩესლავ ჩირიკბამ ცხინვალში ხელი მოწერეს „უვიზო მიმოსვლის შეთანხმებას“.

„საქსტატმა“ გამოაქვეყნა დაზუსტებული მონაცემები, რომელთა თანახმად საქართველოში 2014 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2013 წელთან შედარებით გაიზარდა 86,6%-ით, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 2007 წლის შემდეგ.

ავგისტო

ბაღიდან ბაღამდე ბაღიდან ბაღამდე ბაღიდან ბაღამდე

რებ, მაგრამ როდესაც დამთვალიერებელი შენიშნავს ხოლმე, მეც კიდევ ერთხელ ვაკვირდები მრავალჯერ ნანახს. ახლა ჩემ წინ ზღვაში ღრმად შეჭრილი ბათუმია, მართლაც საოცარია...

დღეს გამიმართლა: ტურებს შორის შესვენების საშუალება მაქვს. ერთ საათში უკრაინული ჯგუფი მოვიდა, რომლის წევრებსაც ელექტროავტობუსით სურთ ბაღის დათვალიერება. ექსკურსიის პროცესში გვხვდება ტელევიზიის გადამღები ჯგუფი. სიუჟეტს ამზადებენ აჭარის ტურისტულ ობიექტებზე. ბათუმის ბოტანიკური ბაღი ხომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ობიექტია. მესიამოვნა, რომ გადამღები ჯგუფი ჩემი ექსკურსანტებისგან იღებს ინტერვიუს.

როგორც კი ექსკურსიიდან ვბრუნდები, ვერთვები ჩემი განყოფილების მიმდინარე საქმეებში. ვეხმარებით ხოლმე ერთმანეთს, როცა საქმე მოძალებულია. ამჟამად ბაღი რამდენიმე პროექტს ამუშავებს ტურიზმისა და მარკეტინგის მიმართულებით, მომავალ წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღი საქართველოს სახელით მონაწილეობას მიიღებს „ექსპო ანთალია 2016“-ის საერთაშორისო გამოფენაში. ეს დიდი პატივია ჩვენთვის, ახლა აქტიური მზადების პროცესია, ნოემბრამდე უნდა დამთავრდეს პავილიონის განაშენიანება. ვემზადებით ბოტანიკური ბაღის მეგობართა კლუბის დაფუძნებისათვის. ეს კარგი ინიციატივაა და მჯერა, რომ საზოგადოება მეტ ინტერესს გამოიჩენს ბაღის საჭიროებების მიმართ.

უკვე ხუთი საათია. სალაროდან მატყობინებენ, რომ დამთვალიერებელს გიდის მომსახურება უნდა. ტურისტი ბაღის ხშირი სტუმარია, ჩვენ ადრეც შევხვედრივართ ერთმანეთს. მოსკოველი ელენა ამჯერად თავის დასთან ერთადაა. თბილად მესალმება და მეუბნება, რომ ძალიან გაუხარდა, ისევ რომ შევხვდით. მეტად თბილი და მეგობრული გასეირნება გამოგვდის. მიყვება თავის ამბებს, თბილისში დასახლებულა. ამიერიდან ყველა სეზონზე თქვენს ბოტანიკურ ბაღს ვესტუმრები, მაინტერესებს სეზონური ცვლილებებიო. მიყვება, ის კამელიები, შარშან აქ რომ შევიძინე, თბილისშიც და მოსკოვშიც შესანიშნავად გრძნობენ თავსო. ელენას და განსაკუთრებით იხიბლება პანორამული გადასახედებით, უკვირს, როგორ შეიძლება ამდენი მცენარე ერთად ცხოვრობდეს და ერთმანეთს ხელს არ უშლიდეს. მხოლოდ მცენარის სახელით არ კმაყოფილდება, აინტერესებს გვარიც, ოჯახიც და სამშობლოც. მეკითხება, როგორ ნიადაგში ხარობს ესა თუ ის მცენარე, ყინვაგამძლეა თუ არა, როგორ მრავლდება და სხვა. დამშვიდობებისას ტელეფონის ნომრებს ვცვლით...

ბაღის გასასვლელში მხვდება მოლარე და მეუბნება, შენი ტურისტები ძალიან კმაყოფილები გავიდნენ ბაღიდან და მადლობა გადაგვიხადესო...

სამუშაო დღის მშვენიერი დასასრულია... ვფიქრობ, იმისთვის, რომ საქმეში წარმატებული იყო, პირველ ყოვლისა, შენ უნდა განიჭებდეს სიამოვნებას ის, რასაც აკეთებ.

ბად“ შეაფასეს.

მთავრობამ კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანს ზაზა ფაჩულიას უსასყიდლოდ გადასცა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის რეკონსტრუირებული სპორტული ბაზა, სადაც კალათბურთის აკადემია გაიხსნება.

19 ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

თსუ არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ეროვნული მნიშვნელობის მქონე გრაკლიანის ძეგლის კვლევისას აღმოაჩინეს დღემდე უცნობი დამწერლობის ერთსტრიქონიანი წარწერა და ძვ.წ. VII საუკუნის ტაძარი.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და საგარეო უწყებამ დაგმეს ქვეყნის ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის სამხედრო წვრთნები და რუსეთის ვერტმფრენის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა.

თინა ხიდაშელი ვაშინგტონში შეხვდა აშშ-ის თავდაცვის მინისტრს ეშტონ კარტერს.

ბაღში მივდივარ. ავტომობილი სწრაფად და ხმაურიანად ამუხრუჭებს – შევშინდი. „ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, მრავალს დაგასწროთ უფალმა!“ – მილოცავს ჩემთვის სრულიად უცნობი მამაკაცი და გზას აგრძელებს. არც ისე ცუდი დასაწყისია...

აზერბაიჯანელი ტურისტები ზოგჯერ დიდი ინტერესით არ გამოირჩევიან, თუმცა მიყვარს მათთან ერთად ტურის გატარება. ბოტანიკურ ბაღში მუშაობის პერიოდში პირველი ტურია, როცა ოცი ექსკურსანტით ვიწყებ ექსკურსიას და ოცი მეტრიც არ გვაქვს გავლილი, რომ უმეტესობა დაიღალა. გზის გაგრძელება აღარ უნდათ. საბოლოოდ, ტურს შვიდი კაცით ვასრულებ. გულწრფელად რომ ვთქვა, არ იყო სასიამოვნო, მაგრამ დასასრულს მაინც გავმხიარულდი: ჯგუფის ახალგაზრდა წევრი, რომელიც ყველაფერს „ლაითად“ უყურებს, ბოლოს მეუბნება, იცით, ჩემს ცხოვრებაში სულ ორი ექსკურსია მომეწონა და ერთ-ერთი ესაა...

დღეში ერთი ექსკურსია არ მღლის, პირიქით, დიდ სიამოვნებას მგვრის. დღეს უმეტეს დროს განყოფილებაში ვატარებ. თაფლის გამოფენას ვამზადებთ. ჩვენი განყოფილება მეტად მხიარული და ხმაურიანია. მიყვარს აქ ყოფნა, ნებისმიერ საკითხზე შეიძლება მოისმინო საუბარი. დღეს „ანთალია ექსპო-2016“-ის საკითხებზე ლანდშაფტის არქიტექტორთან და ბოტანიკოსებთან ერთად მთელი განყოფილება ესკიზებსა და კონცეფციაზე მუშაობს. ამას ემატება კოლექციის შერჩევა და მსჯელობა ჩემთვის გაურკვეველ ბევრ დეტალზე. როგორც ამბობენ, საღამოს დაგეგმილია პროექტის განხილვა ბაღის დირექტორთან და ყველაფერი დაზუსტებული უნდა იყოს. მას ბევრი კითხვის დასმა უყვარს.

დღის ბოლოს, როცა პროექტის განხილვა დაიწყო, მე სახლისკენ გამოვემართე. სასიამოვნოდ დაღლილი ვარ. თუ ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც ვგეგმავთ, დიდი წარმატება იქნება ბაღისთვის და მთელი საქართველოსათვის.

ჩემი შვილი კარებთან დამხვდა, ზღვაზე წავიდეთო...

20 ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ძლიერმა სეტყვამ და გრიგალმა კახეთის რეგიონში დააზარალა ლაგოდეხის, ყვარლისა და ახმეტის მუნიციპალიტეტები.

პროკურატურაში განაცხადეს, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის თანამონაწილეობაში ბრალდებულ პირს აშშ-სა და საფრანგეთში ეძებენ.

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა შრომის პირობების მონიტორინგის შედეგები 30-მდე სახელმწიფო და კერძო უწყებაში.

ღღესაც, როგორც ყოველთვის, 8 საათზე გავიღვიძე. დილით ჩემი კოლეგა, თეო მირეკავს. ერთად მივდივართ სამსახურში. მოწმენდილი ცა და მზის სხივები სტიმულსა და ენერგიას მაძლევს.

ბაღში ადრე მოვედით, ამიტომ თავს უფლებას ვაძლევთ; ბილიკს გავუყვეთ. მაგნოლიების ხეივანში გვხვდებიან სხვადასხვა ეროვნების სტუმრები, თუმცა ქვედა პარკის აუზთან აშკარად ჭარბობენ სელფისჯოხიანი თურქი ტურისტები, რომლებიც ხმაურით იღებენ ფოტოებს. თურქებისთვის დამახასიათებელია ჯგუფურად სეირნობა და ხმამაღალი შეძახილები.

ბაღის ადმინისტრაციაში ავდივარ და ათი წუთის შემდეგ ისევ მწვანე კონცხზე ვბრუნდები. სომეხი ტურისტები არიან. გიდის ამპლუაში იშვიათად მიწევს მათთან შეხვედრა. ოთხ საათზე უკვე ძალიან დაღლილი ვარ: სამი ექსკურსია ერთიმეორის მიყოლებით. განყოფილებაში ყავა მხვდება, ცოტათი აზრზე მოვდივარ.

ვერ ვისვენებ, ერთ-ერთ მარშრუტზე რამდენიმე ეგზემპლარი მაქვს დასაზუსტებელი. უფრო სწორად, მათ შესახებ უფრო საფუძვლიანად უნდა დავამუშაო ინფორმაცია. ერთი საათით ბაღის ლაბორატორიულ კორპუსში გადავდივარ და კონსულტაციას ვიღებ ინტროდუქციის განყოფილების სპეციალისტებისგან. მომაქვს ლიტერატურაც და უკან ვბრუნდები, ზოგჯერ ექსკურსანტებს ისეთი დეტალები აინტერესებთ, რომლებიც მხოლოდ კოლექციაზე მომუშავე სპეციალისტმა თუ იცის. მაგრამ მე ვალდებული ვარ, ყოველთვის მომზადებული ვიყო.

მამშვიდებს ის, რომ დღევანდელ ცხელ დღეს სოფელში დავასრულებ ჩემს ახლობლებთან ერთად. ისე, ადამიანები უცნაურები ვართ: მთელი წელი მზიან ამინდებს ვნატრობთ და, როგორც კი დათბება, სოფლისკენ გავრბივართ...

ჩემს პატარა ანგელოზს ჰამაკში ჩაეძინა. ჩვენ ისევ წყავის ხის ძირში, მაგიდაზე დაწყობილ ცარიელ ლუდის ბოთლებს ვუსხედვართ. დაძინებას არავინ ჩქარობს, აქაც ცხელა...

პარასკევი

მაღვიძარა „მღერის“. მეუღლეს ვაჩქარებ, არ მინდა სამსახურში დავაგვიანო. დილაობით გიდის მომსახურება რატომღაც არავის უნდა, ამიტომ შევუერთდი ბათუმის ბულვარში დაგეგმილი ხვალინდელი გამოფენისთვის მზადების პროცესს. თაფლი ქილებში მოვათავსეთ, ვუკეთებთ შესაბამის შეფუთვას, ეტიკეტს, და ყუთებში ვაწყობთ. ბოტანიკური ბაღი საკუთარი პროდუქციით წელს პირველად გადის თაფლის გამოფენაზე. ეს საქმე ბაღში მეტად პერსპექტიულია და ჩვენებსაც გარკვეული მარკეტინგული ჩანაფიქრი აქვთ. შესვენებამდე გავამზადეთ ფლაერები, სტენდერები, მცენარეები, ჩვენი პავილიონის სტენდი... მოკლედ, თითქმის ყველაფერი რიგზეა. შესვენებაზე შესაბამის დროს ვერ გავედით, ბაღის დირექტორთან სტუმრად არიან ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ბოტანიკური ბაღის დირექტორი და თანამშრომლები. უნგრელებთან ერთად ჩვენი ბაღი სხვადასხვა პროექტზე მუშაობს, ყველა ყურადღებითაა. ბუნებრივია, მეც ადგილზე ვრჩები. ამასობაში შესვენებაც მორჩა, მე კი ტურზე მეძახიან: რუსები, უკრაინელები და, ბოლოს, უცხოეთში მცხოვრები ქართველი ებრაელები. რუსები და უკრაინელები აღფრთოვანდნენ კოლექციით, ქართველი ებრაელები – ბაღის სიახლეებით. მოკლედ, შვიდი საათია და ჯერაც ბაღში ვარ. წვიმას იწყებს. მიკროავტობუსში ვჯდები. მახინჯაურში მაგრად წვიმს. მივედი

ნაციონალურმა მოძრაობამ უარი თქვა ოქტომბრისთვის დაგეგმილ საშუალედო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე და განაცხადა, რომ კრიზისული ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი მთავრობის გადადგომა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებია.

დაბა ჯვარში გაიმართა ენგურჰესის თაღოვანი კაშხლისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების ცერემონია.

ძლიერმა წვიმამ და ქარმა დააზარალა რაჭის რეგიონის სოფლები.

სახლში (ე.წ. „ჭაობში“), აქ სულ არ უწვიმია...

დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ისევ დატვირთული დღე იყო.

22 შაბათი

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ცნობა, რომ, აფხაზეთის ხელისუფლების თხოვნით, სარკინიგზო ჯარების 500-მდე სამხედრო მუშაობს რკინიგზის აღსადგენად ოჩამჩირიდან ენგურის ხიდამდე.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ უარყო გავრცელებული ცნობა, რომ დაუფინანსებლობის გამო შეჩერდა გრაკლიანის ძეგლის არქეოლოგიური კვლევა.

ვისვენებ, მაგრამ ბოტანიკურ ბაღში მივდივარ. ელენიკოს, როგორც ყოველთვის, უჭირს სახლიდან ჩემი გაშვება. სტუმრებს ველოდები. ჩემი დეიდაშვილი, როგორც ყველა დამსვენებელი, შეხვედრას ბოტანიკურ ბაღში ამჯობინებს... სეირნობას ჩაქვიდან ვიწყებთ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მენატრება და მასთან დღის გატარების სურვილი მკლავს, ვჩქარობ. დღეს თაფლის გამოფენაა, ტურიზმის განყოფილების უფროსი რამდენჯერმე მირეკავს. ერთი სიტყვით, „ტურს“ თბილ, ოჯახურ გარემოში ვასრულებ და მივიჩქარი ბათუმისაკენ.

მშვიდი გარემოდან ხმაურიან ბულვარში ვხვდები. ბათუმის ბოტანიკური ბაღი ყოველწლიურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ გამოფენაში. ბაღის ტერიტორიაზე სეზონურად ტარდება თემატური გამოფენები: კამელიების, ბამბუკის, ხილის... მართალია, დღეს თაფლის გამოფენაა, მაგრამ ჩვენს კუთხეს მცენარეებიც ამშვენებს. როგორც ყოველთვის, გამორჩეული პავილიონი გვაქვს. მორცხვი მიმოზა აქაც იზიდავს მნახველებს. თაფლი მოსწონთ, განსხვავებული სურნელი და გემო აქვსო... მართალიცაა: ბოტანიკური ბაღის თაფლი ეგზოტიკური მცენარეების ყვავილებისაა.

სიცხე, მუსიკა, დამსვენებლები... ცოტა დავიღალე. პარალელურად დღიურს ვწერ, ვასრულებ... დღეს უნდა ჩავწერო.

ნესტან მამაცაშვილი



სტუდენტი, დიზაინერი. დაიბადა 1989 წლის 11 ოქტომბერს თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკული დიზაინის ფაკულტეტი და მოიპოვა ბაკალავრის ხარისხი. 2012 წელს ჩაირიცხა მილანის (იტალია) პოლიტექნიკუმში, კომუნიკაციის დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრატურაში. პარალელურად მუშაობდა მილანის ერთ-ერთ კომპანიაში. ცხოვრობს იტალიაში და მუშაობს სამაგისტრო თეზისზე. არის თავისუფალი გრაფიკით მომუშავე „ბრენდინგ-დიზაინერი“.

კვირა

23

ისეთი წვიმაა, ყველაფერზე ფიქრის დრო გაქვს, თუმცა დრო მაინც არ კმარა თითქოს. ხვალ თბილისში მივდივართ და მიხარია, რომ წლევანდელ ზღვაზე ზღვური წვიმაც ვნახე, აქამდე სულ მზე იყო ჩვენ გვერდით, დღეს კი ელვა და მისთანებია. ესეც კარგია. თანაც საბაბია, რომ ზღვაზე არ წახვიდე, იკითხო, ან იუსაქმურო – პინგ-პონგი ითამაშო, წერო, ხვეტო... იტალიის ბილეთები გადავწიეთ და 5 სექტემბერს ვბრუნდებით მილანში. ვწელავ დროს – ვგრძნობ, აქ კარგია, ლაღად ვართ, თითქოს უდარდელად, იქ კი ჩასვლისთანავე დაგვეწყება გიჟური განრიგი, ღელვა, მობილიზება, არც ერთი წამი მოდუნება და, ეტყობა, ამიტომაც არ ვჩქარობ დაბრუნებას. არადა, სამსახურიდანაც იწერებიან და ტყუილების აბლაბუდაში ვარ გახვეული, ვიმიზეზებ ხან რას, ხან რას...

ერთადერთი, რაც მომენატრა, იტალიური ენაა, un caffè per favore...

ყავაზე გამახსენდა, მილანში ყოფნისას ერთ-ერთი, რაც ყველაზე მეტად მენატრება ხოლმე, დედასთან ერთად საუზმობაა, ტოსტის გახუხული პური, მრავალნაირი ყველი, ცხელი ლიმონიანი ჩაი და გათქვეფილი ჭორაობა, ჩვენებური.

„საყდრისის დაცვის კომიტეტის“ წევრებმა მოითხოვეს, რომ გრაკლიანის ძეგლის არქეოლოგიურ კვლევას აღარ უხელმძღვანელოს პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა, რომელსაც კომიტეტმა „კერძო კომპანიების კონტრაქტორი არქეოლოგი“ უწოდა.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო საქართველოს მორაგბეთა ნაკრები, რომელიც ინგლისში მსოფლიო ჩემპიონატზე მიემგზავრება.

ორშაბათი

24

ხვალ ზღვას ვემშვიდობებით და შედარებით შეგრილებულ თბილისს ვუბრუნდებით. როგორ არ მინდა წასვლა. დავიწყებ

საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაგმო ოკუპირებულ აფხაზეთში რკინიგზის აღდგენის საბაბით რუ-

ᲐᲥᲔᲗ-ᲘᲥᲘᲗ ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲡ. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲐᲠᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲮᲝᲚᲛᲔᲯ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲛᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ, ᲘᲥᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲯᲐᲓᲝᲔᲑᲡ ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲧᲘᲠᲐᲖᲔ ᲕᲓᲒᲐᲕᲐᲠ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲕᲔᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲐᲡᲬᲠᲔᲑ, ᲡᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ ᲛᲘᲭᲘᲠᲐᲕᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲙᲣᲗᲮᲔᲡ ᲕᲘᲠᲝᲕᲘ, ᲔᲒᲠᲔᲕᲔ ᲝᲤᲘᲡᲘᲡ ᲕᲮᲡᲜᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲬᲧᲔᲑ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲪ ᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲛᲐᲥᲕᲡ...

ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲦᲛᲝᲕᲐᲩᲘᲜᲔᲗ, ᲠᲝᲛ, ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜᲐᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ Ე.Წ. carsharing, ᲡᲐᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ: damemgzavre.ge. ᲐᲥᲐᲪ ᲕᲪᲐᲓᲝᲗ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲠᲐᲙᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲪᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲑᲐᲗᲣᲛ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲐᲠᲘᲡ ᲕᲘᲜᲛᲔ 33 ᲬᲚᲘᲡ ᲠᲐᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲡ ᲝᲠ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ, ᲤᲐᲡᲘ 5 ᲚᲐᲠᲘ. ᲕᲠᲔᲙᲐᲕ ᲓᲐ ᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘ, ᲝᲠᲘ ᲒᲝᲒᲝ ᲕᲔᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲝᲒᲝ-ᲑᲘᲭᲭ ᲕᲐᲠᲗ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲐᲠᲐᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲝ, ᲛᲔᲠᲔ ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲛᲝᲬᲛᲔ, 5 ᲚᲐᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ-ᲛᲔᲗᲥᲘ? ᲓᲐ ᲐᲠᲐᲝ, ᲐᲑᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲓᲐ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲐᲑᲠᲔᲮᲕᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲜᲘᲨᲜᲐ ᲗᲐᲜᲮᲐᲡ. ᲣᲙᲕᲔ ᲐᲤᲔᲠᲘᲡᲢᲡ ᲕᲣᲬᲝᲓᲔᲑ ᲒᲣᲚᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲣᲪᲑᲐᲓ – ᲣᲤᲐᲡᲝᲐᲝ. ᲘᲡᲔ ᲬᲐᲒᲘᲧᲕᲐᲜᲗ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲛᲐᲠᲗᲝ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡᲝ ᲕᲐᲘ, ᲓᲐᲕᲓᲜᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲢᲘᲡ ᲕᲔᲠᲪ ᲒᲐᲕᲧᲔᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲒᲐᲕᲘᲪᲐᲜᲘᲗ, ᲠᲐᲙᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲬᲧᲓᲘ ᲕᲘᲜᲛᲔ 33 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲟᲐᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ. ᲤᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝ – ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ. ᲕᲠᲔᲙᲐᲕ. ᲐᲡᲔ-ᲐᲡᲔ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲣᲥᲪᲔᲕᲓᲐ ᲐᲠᲐᲐᲭᲐᲠᲣᲚᲐᲓ. ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ, ᲠᲐᲪ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔ, 33 ᲬᲚᲘᲡᲐᲡ ᲜᲐᲦᲓᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲒᲐᲕᲡ ᲮᲛᲐ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲨᲔᲕᲗᲐᲜᲮᲛᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲚᲐᲛᲓᲔ... ᲕᲐᲮ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ.

ᲛᲔ ᲠᲕᲐ ᲑᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲧᲐᲕᲡ, ᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲩᲔᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲐᲐ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ – ᲛᲘᲛᲝᲑᲜᲔᲣᲚᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲐᲛ ᲡᲐᲛᲛᲐᲪ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲐᲛᲝᲛᲘᲕᲡᲝ ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲛᲔᲧᲝ. ᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲧᲝᲤᲜᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲠᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲘᲝᲗ ᲠᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ...

25 ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲓᲘᲚᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲨᲔᲕᲔᲮᲓᲘᲗ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲫᲦᲝᲚᲡ. ᲩᲔᲛᲛᲐ ᲟᲐᲟᲐᲛ ᲩᲐᲛᲝᲛᲒᲕᲐᲪᲘᲚᲐ ᲛᲔ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ. ᲒᲐᲓᲐᲕᲔᲮᲕᲘᲔ ᲑᲘᲫᲐᲡ, ᲩᲐᲕᲔᲮᲣᲢᲔ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲝᲓᲘ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲩᲐᲕᲔᲮᲣᲢᲔᲑᲝᲓᲘ ᲐᲡᲔ ᲛᲐᲒᲠᲐᲓ...

ᲛᲫᲦᲝᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ 33-ᲘᲡ, ᲐᲠᲪ 53-ᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ – ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲡ. ᲨᲔᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲮᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲡᲮᲔᲓᲘᲗ ᲛᲔ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲣᲙᲐᲜ. ᲡᲣᲚ ᲣᲙᲐᲜ. ᲬᲘᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲫᲔ ᲖᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲣᲙᲐᲜ – ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ, ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲣᲓᲘᲜᲐᲠᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲝᲕᲙᲐᲚᲐᲗᲓᲘ ᲓᲐ, ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲜᲔᲕᲐ ᲗᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲐᲠᲐ, ᲔᲒ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲘᲜᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ-

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ „ᲐᲟᲝᲢᲐᲟᲣᲠᲘ ᲥᲪᲔᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲓ“ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲐᲡ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲕᲐᲠᲓᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲐ.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲛᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲛ ᲓᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲕᲐᲠᲓᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲮᲚᲘᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ „ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ“.

ᲙᲝᲙᲘᲡᲞᲘᲠᲣᲚᲛᲐ ᲬᲕᲘᲛᲐᲛ ᲓᲐᲐᲖᲐᲠᲐᲚᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ

ᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲝ ᲯᲖᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲕᲐᲜᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ, ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲐ, ᲐᲠ ᲓᲐᲣᲨᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔ-20 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲛᲐ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲛᲐ“ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲛᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲛ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲛᲘᲣᲚᲝᲒᲪᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ.

თო. მანქანის დაძვრისთანავე ჩართო მუსიკა, აი, „მარშრუტკულ“ მუსიკას რომ ეძახიან, ეგეთი სამი სიმღერა იმღერა მაგნიტოფონმა (დღემდე ვერ ვხვდები, სად შოულობენ ეს მძღოლები ამ რეპერტუარების playlist-ს). ეტყობა, ხმა რომ არავინ ამოიღო, იფიქრა, „დაევასათ“ ჩემი მუსიკაო და კიდევ უფრო მაგრად აუწია, მთელ ამ ჩვენს „მინივენში“ ერთი დიდი დინამიკია და ისიც ჩემ გვერდით. შესაბამისად, ჩემთვის ნამეტანი ხმამაღალია და, საერთოდ, ხუთი საათი ამ მუსიკის მოსმენა უკვე მაშინებს, ამიტომ, ზრდილობიანად, უკაცრავად, თუ შეიძლება ცოტა დაუწიეთ-მეთქი. ეგრევე დამთანხმდნენ და ნანასავით გაიჩითა ეს ჩვენი ვაჟას შერჩეული playlist-ი.

„მინივენი“ მიექანება. ბათუმს გავცდით, მერე კიდევ ერთ ზღვას, მეორესაც, მესამესაც, მიაქანებს საშიშად, აშკარად ცუდი მძღოლია. სულ გასწრებაზე და მერე უხეშად დამუხრუჭებაზეა გადასული. თან უკნიდან გზას ვერ ვხედავ, გზას რომ ვერ ვხედავ, თავბრუც მეხვევა, ცუდად ვარ, გულისრევის შეგრძნებაც მაქვს. მოკლედ, რომ ვეღარ მოვითმინე, მანქანა გავაჩერებინე და, უკაცრავად და, ამ რყევისგან გული ამერია კიდევაც.

ძლივს შემომთავაზეს წინა ადგილი, უფრო სწორად, შუა, გადმოვინაცვლე ერთი რიგით წინ.

ვაშა.

ჩამეძინა.

ჩაგვეძინა.

უკვე უკეთ ვიყავი, თუმცა სუსტად, უჭმელი, კიდევ კარგი, რომ არ ცხელოდა მაინც.

მერე ამ დღიურებზე ფიქრით ვირთობდი თავს და კიდევ იმით, რომ ყოველი ასეთი უსიამოვნო ამბის ცოტა მეტი ხალისით მოყოლა და დღიურად გადაქცევა შეიძლება-მეთქი. ნელნელა უკვე დავიწყე იმ წინადადებების აწყობა, რომლებსაც ახლა ვწერ. ისე, დღიური თუკი ოდესმე დამიწერია, დამიწერია აუცილებლად ლამაზ, სქელყდიან დიდ ბლოკნოტში და პირველად ვწერ ამ ყველაფერს კომპიუტერში

ცოტა გულის ამაჩუყებელიც კი იყო ჩემთვის ეს პატარა აღმოჩენა. დრო გავიდა, დრო შეიცვალა, წინ წავედით? ეგებ უფრო უკან, ვიდრე წინ. არ ვიცი.

მოკლედ, მიგდებულები ვართ. გზაზე სამჯერ გაჩერდნენ, რომ თიხის ქოთნები და დოქები ეყიდათ, კახელები იყვნენ და კახეთში მიდიოდნენ საქეიფოდ. ორჯერ კიდევ იმისთვის, რომ ბავშვს მოესაქმა და მოკლედ ჯამში ერთი რვაჯერ ნაღდად გავჩერდით.

ძილ-ბურანში ვარ, რომ ერთმა ამბავმა მთლად გამომაფხიზლა ლამის თბილისამდე: ბავშვი ჭამს ნაყინს. დაასრულა ჭამა და ბებია (ჩემ გვერდზე მჯდომი) ეუბნება, – მოდი, ბები, გადავაგდოთ ახლა ეს ქაღალდი, ხოო?

და წინ მჯდომ სიძეს ეკითხება, წინიდან მანქანა ხომ არ მოდის, გახედე, მიდიო. ჩაწოლილი რომ ვიყავი სავარძელში,

ამოვიწიე და მინდა დავრწმუნდე, რომ არ მეჩვენება ის, რაც შეიძლება ზუსტად მომდევნო ორ წამში მოხდეს.

უცბად ეს ქალი ფანჯრისკენ წაიწია და მეც დავაწიე:

- ვაიმე, ქალბატონო, ახლა ეს აქედან უნდა გადააგდოთ?

- უი, არ გადავაგდო? – გაკვირვებულმა, მაგრამ თბილად ძალიან.

- უი, არა! – ასევე თბილად ძალიან.

- ნუ გადააგდებთ რა, ქალბატონო, თანაც ბავშვიც დაინახავს, რომ გარეთ გადაგდება არ შეიძლება. ნუ მისცემთ ცუდ მაგალითს, გთხოვთ, ისედაც ნახეთ, როგორი დაბინძურებულია აქაურობა.

არ ვიცი, შერცხვა, დაიბნა, გაბრაზდა, შემაგინა თუ რა ქნა, ფაქტია, რომ იქით გადადო ეს ნაყინის ქაღალდი და გავაგრძელეთ მგზავრობა, მერე მთელი გზა იმაზე ვფიქრობდი, რამდენი ხანია ზოგადად, ჩემს თანამოქალაქეებთან ასე ახლოს აღარ ვყოფილვარ-მეთქი. თბილისში რომ ვცხოვრობდი, საჯარო ადგილებსა და ტრანსპორტში სულ მსგავსი სცენების მოწმე ვიყავი და დღეს – იაფ ტრანსპორტს მონატრებული – სულ ტაქსით ვმოძრაობ. მენტალურად მათგან ყოველთვის შორს ვიყავი, დღეს კი ფიზიკურადაც ძალიან შორს ვარ... მაგრამ ისევე (თუ უფრო მეტად არა) მტკივა ეს საკითხი... ამ ქალზე გავბრაზდი, ისევე როგორც ბევრზე მანამდე, მაგიჟებს ასეთი დამოკიდებულება, არადა, დარწმუნებული ვარ, ამ ქალის ოჯახში სახლი დაწკრიალებულია და ეზოც მოვლილი აქვთ, და აი, ეზოს იქით რა ხდება, უკვე აღარ აინტერესებთ... მძაგს.

მოკლედ, უკმაყოფილოებმა ამ საიტის გამოყენებით და შიგ მსხდომთა შინაგანი კულტურით, როგორც იქნა, ჩამოვაღწიეთ შეგრილებულ თბილისში, მიუხედავად იმისა, რომ არ მინდოდა აღელვებული ზღვის დატოვება, თბილისი მაინც თბილისია, რომ წვიმს, მაშინ კიდევ უკეთესი, თითქოს განტვირთვისთვის; ნიავდება, ირეცხება ნეგატიური ენერგიისგან და ცდილობს, ცუდზე აღარ იფიქროს.

დაბრუნება კი ყოველთვის კარგია...

26 ოთხშაბათი

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი.

ოკუპირებულ ცხინვალსა და სოხუმში აღნიშნეს რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მეშვიდე წლისთავი.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმად 2015 წელს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 28053 აბიტურიენტი.

რინგო (ჩემი ძაღლი) პატარა რომ იყო, მახსოვს, ავად ვიყავი და გვიან ღამით მომთხოვა გარეთ გაყვანა. მე სიცხიანმა ვთხოვე: ახლა ვერ ჩაგიყვან, გეხვეწები, შენ თვითონ ჩადიმეთქი. გავუღე კარი და შურდულივით ჩაირბინა ოთხი სართული. მე აივნიდან ვადევნებდი თვალს, მოისაქმა და, იმიტომ რომ სახლში ეჩქარებოდა, ორ წამში უკან ამოვარდა კმაყოფილი და კიდევ უფრო ბედნიერი, რომ თხოვნა შემისრულა.

წუხელ წვიმდა, ციოდა. რინგო მაღვიძებს, სახეს მილოკავს და თან წკმუტუნებს, თუ გამდის, თავს ვიკატუნებ ხოლმე და, ვითომ არ მესმის მისი წკმუტუნი, მაგრამ ბოლოს რომ ამიკლო, მეც ავდექი და, ალბათ, წყალი უნდა-მეთქი, დავალევი-

ნე, მაგრამ აშკარად კიდევ რაღაცას ითხოვდა. რინგო, ეზოში გინდა? და დაიწყო კუდის ქიცინი, გავუღე კარი, ზღურბლთან გაჩერდა, ამომხედა, მიდი, მიდი, ჩადი-მეთქი, მიიღო ჩემგანაც დასტური და ზუსტად ისევე სწრაფად, როგორც ადრე, ლეკვობაში, ჩავარდა ეზოსკენ. მე აივნიდან ვადევნებდი თვალს, როგორც მაშინ, და ორ წუთში, არც კი, უკვე სადარბაზოსკენ დაიძრა...

ძაღლებს არაფერი ავიწყდებათ...

თბილისში წელიწადში ერთხელ ჩამოვდიოდი, სანამ მე და ალექსი არ გადავეყარეთ სამუდამოდ ერთმანეთს. მასთან ერთად წელს უკვე მეორედ ვარ თბილისში და ეს ის კივილია, რომელიც შიგნით თავისთვის სიხარულით ღმუის, ჩემში არსებობს და ყველგან მიმყავს – ჩვენი ახლობლების გასაცნობად. არც ვარ ბოლომდე დარწმუნებული, სიამოვნებს თუ არა, ჩემი ოჯახის წევრების გარდა, კიდევ ჩემი მეგობრების, ნათესავების წრეში ყოფნა, ყველა რომ ათვალიერებს, ადღეგრძელებს ან, უბრალოდ, კონტაქტის დამყარებას ცდილობს. მაგრამ, რომც არ სიამოვნებდეს, მე თუ რამე მაბედნიერებს, თუნდაც მხოლოდ ამიტომ გააკეთებს. მე კი მართლა ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია ალექსი ყველას გავაცნო. თბილისში ყოფნაც ათასჯერ უფრო სასიამოვნოა მასთან ერთად. მიმყავს ყველგან და ბავშვურად ხელიხელჩაკიდებულები დავდივართ ორივესთვის მშობლიურ ქალაქში.

რა უცნაურია, ჩემი ქმარია, მე კი თბილისში ჩემი შეყვარებული მგონია :)

საღამოს ბაბუაჩემის ოჯახში ვიყავით. ვანო ბაბუ ოთხი წლის წინ გარდაიცვალა. იქ ჩვენი ახლობლები იყვნენ, ზოგი ჩაი-ნამცხვრით, ზოგიც ღვინით. მე არაფერი მინდოდა. მინდოდა ვანო იქ ყოფილიყო და ალექსი გაეცნო, ვიცი, მოეწონებოდა...

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ცალი ხელით ვწერ, მარჯვენა ხელი მთლიანად უფუნქციოდ მაქვს.

დღეს ოპერაცია გამიკეთეს სრულიად მოულოდნელად, თანაც უცნაურად მხიარულ გარემოში. დღევანდელ დღეს, წესით, მხოლოდ ექოსკოპია იყო დაგეგმილი და მომდევნო დღეებში უნდა გამეკეთებინა ოპერაცია, მაგრამ ბარემ ახლავე გავაკეთოთო და საოპერაციოში გამაქანეს, უფრო სწორად, საოპერაციოში რემონტიაო და აქვე კაბინეტში ამოგჭრითო, ცოტა კი შემეშინდა, მაგრამ უვიცი ექიმი არ ჩანდა, პირიქით, ძალიანაც სიმპათიური ქალბატონი იყო. სანამ დამაწვენდნენ, რა საბუთი მივცეთო, ყველა შვებულებაშია და სხვას მოუწია საბუთების გაცემა, მოკლედ, მაგარი არეულობა იყო და ერთ წამს კი ვიფიქრე, ვენდო ახლა ამ ხალხს-მეთქი?! მაგრამ ბოლოს გავწირე ჩემი თავი, დავუდე საოპერაციოდ ხელი, დავწექი და გავირინდე, გამიბუჟეს, გამიყუჩეს და შეუდგნენ საქმეს.

27

ბათუმის ბულვარის ტერიტორიიდან სხვა ადგილას გადატანისას დაზიანდა „ალისა და ნინოს“ ქანდაკება.

ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი თბილისში შეხვდა ხელისუფლების პირველ პირებსა და საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს; სტუმარმა ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად გახსნა ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ „ნატოს გეოპოლიტიკური გავლენის გაფართოებისკენ მიმართული პროვოკაციული პოლიტიკის გაგრძელებად“ და „რეგიონში დესტაბილიზაციის ფაქტორად“ შეაფასა თბილისში ნატო-საქართველოს ერთობლივი ცენტრის გახსნა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა უარყო ცნობა, თითქოს რუსეთის სამხედრო ვერტმ-

ფრენებმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვიეს.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა. რომ გამოვედი, ალექსი მოსულიყო, არც მითქვამს, მოდი-მეთქი. კარგია, ასე სპონტანურად რომ მოხდა. ეგრე ჯობია. მერე ჩემი მამამთილიც მოვიდა, როგორ არ ველოდი, როგორ გამიხარდა და ამიჩუყდა გული.

ისე, დაკვირვებული ვარ, ახლობლების მხრიდან ნებისმიერი, უმნიშვნელო ყურადღების გამოხატვის დროსაც კი ცუდად ვხდები და გული მიჩუყდება. ხანდახან ეს ისეთი მოულოდნელია ხოლმე, რომ სიხარული კიდევ უფრო დიდია, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო მოლოდინის დროს.

ყველა შეწუხებული დგას, თანაგრძნობით მიყურებს და ჰგონიათ, რომ ხელი მომაჭრეს, ამ დროს მყესთან პატარა კისტა მქონდა, რომელიც ამოსაჭრელი აღმოჩნდა. თავს მშვენივრად ვგრძნობ, მინდა მათი ნერვიულობა გამართლებული იყოს, მაგრამ აშკარად ზედმეტად მხიარულად ვარ :)) და მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს. მერე ცხოვრების მომდევნო კადრებიც კი წარმოვიდგინე, ნუთუ მომავალშიც ასე გამახარებენ და ასეთი ყურადღებიანები იქნებიან-მეთქი. მაგას დამსახურება უნდა-მეთქი, გავიფიქრე და მოვეშვი ამაზე ფიქრს, ვნახოთ...

რა მაგარია, რომ მიყვარს ჩემი მამამთილი.

28 პარასკევი

მინისტრთა კაბინეტის წევრები სიონის საკათედრო ტაძარში დაესწრნენ მარიამობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღვთისმსახურებას.

კერძო ვიზიტით ბათუმს ესტუმრა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო მეუღლითურთ.

დღესაც „ცალხელა გოგია“ ვარ, ასე შემარქვა ალექსმა:).

საღამოს ბებოებთან სტუმრად გავედი. იქ როცა მივდივარ, თავს დამნაშავედ ვგრძნობ ხოლმე, მეტ დროს რატომ არ ვატარებ მათთან – ჩემს თავზე მომდის ბრაზი. როცა შორს ვარ და შორიდან ვფიქრობ მათზე, თითქოს თავს ვიტყუებ, აბა, რა ჰქვია ამას, და როცა ვუახლოვდები, აი, მაგალითად, დღეს – დანაშაულის გრძნობა მემატება.

ვიცი, გავა დრო და არ ამცდება თვითგვემა. არადა, ფიზიკურად ვერ ვახერხებ ხშირად კონტაქტს, გინდ იქიდან და გინდ აქედან, მათ კი სწყინთ და ზოგჯერ პატარა ბავშვებივით მებუტებიან ხოლმე, ჯერ ბებო რა სიტკბოებაა და მერე გაბუტული ბებო რა არის, თავისი სევდიანი თვალებით, „რად დამივიწყე?!“ რომ აწერია შუბლზე :)

ისე, ნათქვამია, ყოველი დღე ისე უნდა იცხოვრო, თითქოს უკანასკნელი იყოსო. არ დაიშურო სიყვარული და სითბო სხვისთვის, დღეს, მგონი, ეგეთი დღე იყო, მამას ისე გემრიელად ჩავეხუტე, ღირდა ეს დღე თუნდაც მხოლოდ ამად...

ახლა ერთ-ორ ცრემლს მოვიწმენდ და ტკბილად ჩამეძინება...

შაბათი

შარშან ალექსს დაბადების დღეზე ღია ბარათი ვაჩუქე. საერთოდ, წერა მიყვარს და სხვებისთვის წერილების მიწერა კიდევ უფრო.

ბარათში კი ვწერდი, გისურვებ მუდამ ასეთი ბავშვური იყო-მეთქი, არ მინდა დრომ სილაღე წაგვართვას და თუნდაც სისულელეებზე ერთხელაც ვეღარ ვიხალისოთ. აი, მაგალითად, დღეს ტაქსის უკანა სავარძლის ქვეშ ხუთი ლარი რომ ვიპოვე, და ეშმაკი ბავშვივით ჩამეცინა და ავჟიტირდი და მაგ ხუთი ლარიდან სამ ლარად სახლში მოვედით, ისე გამახალისა ამ დებილობამ, რომ ეჭვი მაქვს, მე სულ ასეთი ვიქნები:))

P.S. სევდიან განწყობილებაზე, ალბათ, წასვლის დრო რომ ახლოვდება და ტოვებ ყველაფერს, რაც ყველაზე მეტად გიყვარს, იმას მაინც ცდილობ, დარჩენილი დღეები ისე იცხოვრო, თითქოს დღე იყოს უკანასკნელი...

ტელეკომპანია „იმედმა“ განაცხადა, რომ „საშემოდგომო სატელევიზიო სეზონზე დროებით აჩერებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქმოუების სეგმენტს“, რაც იმით ახსნა, რომ სურს 2016 წლიდან მაყურებელს შესთავაზოს „თვისებრივად ახალი სატელევიზიო პროდუქტი“.

შსს-მ თბილისის პროკურატურას გამოსაძიებლად გადასცა ოქროყანაში მომხდარი ფაქტი, როცა, წინასწარი ვერსიით, შს მინისტრის ყოფილი მოადგილის, ლევან გვაზავას იარაღის გასროლამ მისი დეიდაშვილის სიცოცხლე იმსხვერპლა, თავად გვაზავამ კი მომხდარის გამო თავის მოკვლა სცადა.

არჩილ ბაქრაძე

ექიმი. დაიბადა 1959 წლის 28 იანვარს თბილისში. ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას იყო ლენინის სახელობის სტიპენდიატი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „არტერიული იმპოტენციის დიაგნოსტიკა და მკურნალობა“. 1989 წელს, დსთ-ში პირველად, თსსუ-ში დააარსა სამედიცინო სექსოლოგიის სასწავლებელთაშორისი კათედრა და დაინიშნა კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებლად. 1990 წელს დააარსა სამედიცინო სექსოლოგიის სამეურნეოანგარიშიანი ცენტრი და საქართველოს სექსოლოგთა ასოციაცია. 1997 წელს სექსოლოგიის ცენტრის სექსოლოგიურ კლინიკა „ლიგად“ გადაკეთებიდან დღემდე არის ამ კლინიკის დამფუძნებელი და დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; 2009 წელს დააარსა არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ფონდი ქართველი“. ეკუთვნის საავტორო უფლება დროშა „ქართველზე“.

30 კვირა

ბათუმის დელფინარიუმში შეიჭრა ცხოველთა უფლებების ათამდე დამცველი, რომლებმაც დელფინების გათავისუფლება მოითხოვეს.

ჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ „პოლიტიკურ გადაწყვეტილებად“ შეაფასა ტელეკომპანია „იმედის“ მიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუების დახურვა.

„იმედის“ ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება, დროებით შეაჩეროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუები, ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა დამოუკიდებელ მედიაზე „ხელისუფლების ზეწოლის გაგრძელებად“ მიიჩნიეს.

00:27 საათია, ჩემს ორივე გოგოს (დიდსა და პატარას) სძინავს. Civilization V-ის მეშვიდე დონე იმდენად რთულია, რომ გამოსავლის ძიებაში ვერც შევამჩნიე კვირადღის დადგომა. ჩემი მდგომარეობა არასახარბიელოა: ჩემს სახელმწიფოს ჰქვია ბიზანტია, რვა ქალაქი მიმდებარე ტერიტორიებით. სამხრეთიდან ესაზღვრება ოკეანე, ჩრდილო-დასავლეთიდან – გაუვალი მთები, რომელთაც ემიჯნება ჯუჯა სახელმწიფო, სახელად „ერევანი“, ჩრდილოეთიდან – 17 ქალაქისგან შემდგარი ძლიერი „რუსეთი“ და აღმოსავლეთიდან მე და რუსეთს გვესაზღვრება ველური კულტურის მქონე „ვიკინგების“ არაპროგნოზირებადი მილიტარიზებული გაუგებრობა. ჩემი მეზობლებისთვის მე წარმოვადგენ გემრიელ ლუკმას, რაც ადრე თუ გვიან მათ ჩემს თავს შეაჭმევინებს. ჩვენი ძალებით მაქსიმუმ 18-23 სვლის განმავლობაში თუ შევძლებთ ქალაქების დაცვას. შეტევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჩემი ყველაზე დიდი მონაპოვარია ბანანის პლანტაციები (რომელთა დანახვაზეც უკვე გული მერევა), სპილოების სასაფლაოები, მყარად გავრცელებული ზოროასტრიზმი მკაცრად ორგანიზებული სასულიერო იერარქიით, რამდენიმე პენსიონერი ჯაშუში და მეზობლებზე უფრო მაღალი ზოგადჰუმანიტარული დონე. 12 მოთამაშის რეიტინგში Civilization V ამ ეტაპზე მაკუთვნებს მე-9 ადგილს. თუ რამე არ ვიღონე, განწირული ვარ. ერთადერთი, რამაც შეიძლება მიშველოს, ზეიარაღია. ასეთი

ზეიარაღია ავიაციის შექმნა (კერძოდ, 1912 წლის „კოკერების“ მძიმე ბომბდამშენების ესკადრილია), რაც თეორიულად შემიძლია, მაგრამ ამისთვის მჭირდება ალუმინი. ჩემი ხსნა ალუმინის საბადოებია. ვიძინებ.

კვირადღე გრძელდება. ვიღვიძებ. 08:14. გოგოებს (დიდსა და პატარას) სძინავთ. როგორმე უნდა გავძლო ზუსტად 46 წუთს, იმიტომ რომ ირმა პუნქტუალური ადამიანია. დილის ტუალეტს მიაქვს 24 წუთი. დარჩენილ 12 წუთს ვახარჯებ ფეისბუკის „ფერმის გმირებს“ და ზუსტად ცხრაზე მესმის ზარი. ირმა ლიმონიანი ყავით იწყებს ჩემი დილის გაფერადებას. ყავის სმის პროცესში ვადგენთ საუზმის მენიუს.

10:00. გოგოები უკვე ადგნენ და გადიან ეკლესიაში. კვირადღე წმინდა დღეა მთელი საქრისტიანოსთვის. ის განკუთვნილია მხოლოდ აღმსარებლობისა და ოჯახისათვის და არა საქმიანობისათვის, მით უმეტეს, საჯარო საქმიანობისათვის, მაგალითად, ისეთისთვის, როგორიც არჩევნებია. არსებობს განმარტება, რომლის მიხედვითაც არჩევნებში ხმის მიცემა საქართველოში არის „არასავალდებულო, არაანაზღაურებადი სახელმწიფო საჯარო სამსახური“. იმიტომ, რომ ზოგ ქვეყანაში არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულოა და ზოგანაც – ანაზღაურებადი. ამ დროს ჩვენ ვმუშაობთ. ეს ძალიან მარტივია. სამუშაოსთვის განკუთვნილია სამუშაო დღეები, დასვენებისთვის კი – კვირა. სწორედ ამიტომ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყნებში, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, არჩევნები ტარდება მხოლოდ ხუთშაბათობით.

ორშაბათი

6:45 საათია. ჩემმა სტალკერებმა შემატყობინეს ორი ამბავი. კარგი ამბავი: ალუმინის საბადოები ექვსი სვლის ფარგლებში ნაპოვნია და არავის მფლობელობაში არ არის; ცუდი ამბავი: ალუმინსა და ჩემ შორის განლაგებულია რუსული სახელმწიფო და მისი ნებართვის გარეშე შანსი არ არსებობს, ამ საბადოებს მივწვდე. შორეული საფრანგეთიდან ადრე ჩანერგილი ჯაშუში მატყობინებს, რომ 11 სვლაში ავიაციის ტექნოლოგიას მოიპარავს. ვიწყებ ოპერაციას! ჯერ „ერევანში“ ვგზავნი ჯაშუშს მთავრობის მოსასყიდად, რათა ეს უკანასკნელი მოკავშირედ გავიხადო, შემდეგ ვაცხადებ სასულიერო პირების მობილიზაციას და ვგზავნი მათ „ვიკინგების“ ქალაქებში ზოროასტრისტული მისიების დასაფუძნებლად. ზოროასტრიზმის გავრცელება „ვიკინგებში“ შექმნის ჩემდამი დადებით განწყობას. 9:00. პაუზა.

დილა სტანდარტულია: ყავა. საუზმე + ნინო (ჩემი მეუღლე) + ამჯერად ქეთის (ოჯახის ახლობელი) მოდუღებული ყავა ლიმონით (ჩემი მეუღლის ნოუ-ჰაუ). შემდეგ ისევ ყავა (ახლა რძით). შემდეგ იწყება ამ ნეტარებიდან სამსახურში ჩემი გაძევების პროცედურა. მე ვეწინააღმდეგები. 12 საათისთვის

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ „შემაშფოთებელია ტენდენცია, როცა მედიაში მიმდინარე პროცესები კითხვებს ბადებს“ და რომ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი „საზოგადოებასთან ერთად დაიცავს მედიის კონსტიტუციით დადგენილ თავისუფლებას“.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ საგარეჯოს ოლქში პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარადგინა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი, ხოლო მარტვილში – დიპლომატი სოსო დანელია.

განათლების სამინისტროსთან გაიმართა აბიტურიენტთა საპროტესტო აქცია „მეორადი ჩარიცხვის“ მოთხოვნით.

საპარტნიორო ფონდმა, კორეის კომპანია K-Water-მა, საქართველოს მთავრობამ, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა და საქართველოს

სახელმწიფო ელექტროსისტემამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებათა პაკეტს ნენსკრაჰესის პროექტის განხორციელების შესახებ.

ვაყენებ პირობას: წავალ სამსახურში, თუ უმცროსი (გვანცა) ლოყაზე მაკოცებს. მტკიცე უარი. ვიწყებ ვაჭრობას – იმავე კოცნაში წავალ სამსახურში და ვამატებ 20 ლარს. ვგრძნობ, რომ ქეთი უკვე ჩემ მხარეზეა. ისევ უარი. მაშინ უფროსს ვპირდები დამატებით 50 ლარს. პატარის თვალებში ვიჭერ იმ ნაპერწკალს, რომელიც გაუჩნდა მონმორანსის კატის დანახვისას – გვანცაც ჩემია, მაგრამ მაინც ვიღებ უარს. არ გამომივიდა... ისევ ვზავდები 100 ლარის დამატებით. ვიღებ კოცნას ლოყაზე და მშვიდობიანი დღის სურვებას (უფროსისგან) ჩემი ანგელოზის მოხსენიებით.

სამსახური: რუტინა. მხოლოდ კონსილიუმებზე იკვეთება საკმაოდ ელეგანტური მდგომარეობა: 23 და 74 წლის პაციენტებმა ერთიმეორისგან დამოუკიდებლად წარმოადგინეს ჩივილები, რომლებიც სიტყვასიტყვით დაემთხვა ერთმანეთს. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ერთმანეთს დაემთხვა მათი ობიექტური გამოკვლევების პასუხებიც. ოღონდ პირველ შემთხვევაში ეს იყო თანდაყოლილი განუვითარებლობის შედეგი, ხოლო მეორეში – ასაკობრივი ცვეთისა.

1 სამშაბათი

ირაკლი ღარიბაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა გიორგი კვირიკაშვილი, ხოლო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად – დიმიტრი ქუმსიშვილი.

თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ნორიოს საწვრთნელი ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე თავი მოიკლა პირველი ქვეითი ბრიგადის რიგითმა.

ბიუროს სხდომით გაიხსნა საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესია.

დავით უსუფაშვილი სიტყვით გამოვიდა ნიუ-იორკში, გაეროს წევრი ქვეყნების პარლამენტთა სპიკერების მსოფლიო კონფერენციაზე.

საქართველოში ასაკობრივი პენსია 10 ლარით გაიზარდა და ახლა 160 ლარს შეადგინს.

დილა – რუტინული. 9:25. რეკეტამდე და სამსახურში გაძევების პროცედურის დაწყებამდე კიდევ 1 სთ. და 35 წთ. მრჩება. ასე რომ, ვაგრძელებ ომს:

სტალკერებს ვაძლევ დავალებას, გაჩერდნენ ალუმინის საბადოებთან, დააფიქსირონ ნებისმიერი კონკურენტის მიახლოება და მყისიერად მაცნობონ. ამასობაში „ვიკინგები“ ელჩების მეშვეობით მითვლიან, რომ ოდინს არ ღალატობენ და, თუ არ მინდა, სათითაოდ ამიჩეხონ ჩემი ზოროასტრისტი მისიონერები, ისინი დროზე უნდა მოვაშორო მათს ქალაქებს. მომენტალურად ვთანხმდები და შინ დაბრუნებული ორი მისიონერი მატყობინებს ჩემი ბანანის პლანტაციების მახლობლად შუბიანი „ვიკინგების“ სამი მსუბუქი ცხენოსანი რაზმის განლაგების ამბავს. ვხვდები, რომ ჯიბეში ერთი ჯოკერი უკვე მაქვს. „ერევნიდან“ ჯაშუში მაცნობებს, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტმა მოითხოვა ნამეტანი ბევრი ფული, რომელიც მე საერთოდ არა მაქვს. მაშინ ის მთავაზობს არჩევნების გაყალბებას, ოღონდ ამ საქმის გასაადვილებლად საჭიროა ელექტორატის რაც შეიძლება დიდი ნაწილის ჩვენს სარწმუნოებაზე გადმობირება. ვიბარებ „სკანდინავიიდან“ გამოძევებულ ჩემს ზოროასტრისტ მისიონერებს და მეგობრულად ვუხსნი, რომ, თუ შეცდომებს არ გამოასწორებენ და „ერევნის“ ელექტორატს არ გადმოიბირებენ, ებიიარდში (ნუ აურევთ სკოტლენდ-იარდსა და ბექიარდში) დავაწყებინებ მუშაობას. ორივე უმალ მიემგზავრება „ერევანში“. სამ სვლაში ჯუჯა სახელმწიფო „ერევანი“ სახელმწიფო რელიგიად იღებს ზოროასტრიზმს.

დილის რეკეტისა და სამსახურში გაძევების პროცედურის

შედეგები მოკლედ: 300 ლარი ბულაჩაურის აგარაკზე სარემონტო სამუშაოებისთვის + 50 ლარი ბენზინისთვის. სამაგიეროდ, ორივე (დიდიც და პატარაც) ერთდროულად მკოცნის ორივე ლოყაზე, 13:00-მდე სამსახურს ვერავინ მიხსენებს და თეთრი ლეპტოპი ჩემია. გავემზადე საომრად: Civilization V უკვე იტვირთება, რძიანი ყავა ქეთიმ უკვე დამიდგა. „ემ-ენდ-ემ-სი", პატარას რომ მოვუტეხე, უკვე ცისარტყელას ასხივებს და ამ დროს – ზარი. ვიღებ ყურმილს.

ჩემი კლინიკა „ლიგის" ადმინისტრატორი, მიშო ბეჟანიშვილი, მეუბნება, რომ კლინიკის ჰოლში ორმოცდაათიოდე წლის ქალი წყევლაგარეული ქვითინით ადანაშაულებს ჰომოსექსუალიზმში თავის თან მიყვანილ 23 წლის ვაჟს და შუალედებში იმუქრება, რომ, თუ არჩილ ბაქრაძე ახლა არ უშველის, თავს დაიწვავს კლინიკის ეზოში. დედა-შვილი შემომყავს კაბინეტში და მკაცრი ტონით ვთხოვ კითხვა-პასუხის წყნარ რეჟიმში წარმართვას. ჯერ ვეკითხები შვილს, უნდა თუ არა ჩემგან რამე. მპასუხობს, რომ არა. მერე ვეკითხები დედას. დედა მთხოვს შველას, თუ არა და იმუქრება შვილის მოკვლით. მე ვუხსნი, რომ განზრახ მკვლელობისათვის შეიძლება 12 წლით ჩასვან, რაც მთელ მის ოჯახს (მეუღლესა და კიდევ ერთ შვილს) შეარცხვენს რაიონის მასშტაბით. იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს, ვთავაზობ ამ შვილზე, უბრალოდ, უარის თქმას. დედა იქვე უყვირის შვილს, რომ ის მისი დედა აღარ არის. მე ვეუბნები ბიჭს, რომ ამიერიდან ის თავისუფალია და შეუძლია წავიდეს. დედა გაკვირვებული მიყურებს. მე ვუხსნი, რომ, რაც მთხოვეს, შევუსრულე: უფრო სწორად, ბიჭს არაფერი უთხოვია, ხოლო დედას განზრახ მკვლელობა გადავათქმევინე, ე.ი. დავეხმარე. [...]

ოთხშაბათი

მე ჯერ კიდევ სამშაბათის საღამოში ვარ, თუმცა უკვე 00:02-ია. ასე რომ, ფორმალურად ოთხშაბათში გადავედი და 112-ე სვლაზე ვარ. ჩემი ჯაშუში „ერევნიდან" მატყობინებს, რომ კიდევ სულ ცოტა ოქროა საჭირო არჩევნების გასაყალბებლად, მაგრამ მე სხვა გეგმა მაქვს: რაკი თაფლაკვერმა ვერ გაჭრა, მათრახი გაჭრის, და მივმართავ ინფორმაციის გაჟონვას, რომ „რუსეთი" გეგმავს „ერევანზე" თავდასხმას. პარალელურად ოფიციალური არხებით, მოკავშირეობის სანაცვლოდ, „ერევანს" ვთავაზობ გატლინგის მეტყვიამფრქვევეთა დამცველ რაზმს, რომლის წინააღმდეგაც „რუსეთის" არსებულ რაზმებს ძალიან გაუჭირდებათ ბრძოლა. „ერევნის" ზოროასტრისტული ელექტორატი მუნიციპალიტეტიდან მოითხოვს ჩვენთან დამეგობრებას და მეტყვიამფრქვევეთა იმედით გადიდგულებული მთავრობა ჩვენთან მოკავშირეობის ხელშეკრულებას აფორმებს. მეორე ჯოკერიც ვიშოვეთ! დგება პირველი ჯოკერის გამოყენების დრო: სისხლის წყურვილით შეპყრობილ ბარბაროს „ვიკინგებს" „რუსეთისთვის"

2 სექტემბერი

თბილისში გაიხსნა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ხელმძღვანელების ყოველწლიური ორდღიანი შეხვედრა, ამბასადორიალი.

პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე განიხილა პრეზიდენტის შენიშვნები ეროვნული ბანკის ვეტოდადებულ კანონპროექტთან დაკავშირებით.

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ვიცე-მერის თანამდებობაზე წამოაყენა ვაკის გამგებლის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსის, ლაშა აბაშიძის კანდიდატურა.

ომის გამოცხადების სანაცვლოდ დიპლომატიური წყაროებით ვთავაზობ არა მარტო ბანანებს, არამედ წინასწარვე სპილოს ძვლისგან გაკეთებულ ოდინის რიტუალურ ფიგურებსაც. „ვიკინგები“ მომენტალურად მთანხმდებიან, რაც რუსებს სასაცილოდ არ ჰყოფნით და იწყებენ მთელი თავიანთი ძალების გადანაცვლებას აღმოსავლეთ საზღვრებთან. ვიცდი ხუთ სვლას, სანამ „რუსები“ დაამთავრებენ ამ გადაჯგუფებას, და ვემზადები დასკვნითი ფაზისთვის.

08:54. დილას ვიწყებ დიეტით. ქეთის გამოსდის ბრწყინვალე ბრინჯის ფაფა.

კლინიკაში – პაციენტები, ასევე რუტინულად: ჩივილები ერექციის ხარისხის დაქვეითებასა და ნაადრევ თესლდანთხევაზე. მოდის ერთი ასაკოვანი (68 წლის) პაციენტი სექსუალური კეთილდღეობის გახანგრძლივების თხოვნით და ერთიც – საზღვარგარეთ საცხოვრებლად მიმავალი ალფონსი, რომელსაც სურს სექსუალურად არამიმზიდველ პარტნიორებთანაც გარანტირებულად ცხოვრების უნარი ჰქონდეს. საინტერესო არაფერი.

3 ხუთშაბათი

Civilization V. დასკვნითი ფაზა. „რუსების“ მთელი ძალები აღმოსავლეთის ფრონტზეა. ზურგში და სამხრეთ-დასავლეთით მარტო გლეხებსა და მუშებს ამუშავებენ პლანტაციებზე. აი, აქ ჯიბიდან ვიღებ მეორე ჯოკერს და ვუცხადებ ომს „რუსებს“. სამოკავშირეო ხელშეკრულებით დავალდებულებული „ერევანი“ასევე უცხადებს ომს „რუსეთს“ და, რაკი ახლომახლო ვერ ხედავს „რუსეთის“ ძლიერ სამხედრო დანაყოფებს, მისი მსუბუქი ერთეულები ხარბდებიან პლანტაციებზე მომუშავე რუს გლეხებს და მუშებს, თან ამ პლანტაციებსაც ძარცვავენ. მეორე ფრონტი მტრის ზურგში გახსნილია! ამავდროულად მე არც ერთი საბრძოლო რაზმი არ მიმყავს რუსეთის საზღვართან ახლოსაც კი. პირიქით, ისინი ჩემი ტერიტორიის სიღრმეში გადამყავს, რითაც ვაგრძნობინებ „რუსებს“, რომ ბრძოლას არ ვაპირებ. პარალელურად თითო სვლაზე ფარულად ვუგზავნი „ერევანს“ თითო დამცველ სამხედრო დანაყოფს, რაც „რუსების“ მხრიდან „ერევნის“ ასაღებად მზარდ სამხედრო რესურსს მოითხოვს და მათ ჩემთვის აღარ სცალიათ. პაუზა.

დილა არასტანდარტულია. დილიდან იუსტიციის სახლში ველოდები რიგს და ამ მოლოდინში მომდის ბრწყინვალე აზრი, რამით გავერთო. მივდივარ საბუთებში და ვწერ განცხადებას თხოვნით, ჩემს პირადობის მოწმობაში ჩამიწერონ, რომ მოქალაქე ვარ. მეუბნებიან, რომ უკვე მიწერია. მე ვაჩვენებ ჯერ ჩემს პასპორტს, სადაც გრაფაში „მოქალაქეობა“ მართლაც მიწერია სიტყვა „საქართველო“, შემდეგ კი ვაჩვენებ ჩემს პირადობის მოწმობას, სადაც ასეთივე გრაფიდან სიტყვა „საქართველო“ საერთოდ ამოღებულია და შიგ, გარდა რაღაც

პარლამენტმა 81 ხმით დაძლია პრეზიდენტის ვეტო ეროვნული ბანკის კანონპროექტზე.

მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფმა საზოგადოების წინაშე ბოდიშის მოხდა მოსთხოვა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, თამაზ მეჭიაურს, რომელმაც 2 სექტემბერს, პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას, „ენჯეოშნიკ სოროსელად“ მოიხსენია პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ „თელასის“ განაცხადის საფუძველზე თბილისში ელექტროენერგიის საფასური არსებული საფეხურების მიხედვით, ყოველ კილოვატსაათზე 3 და 4 თეთრით გაზარდა.

„საქსტატმა“ გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა მიხედვით 2015 წლის მეორე კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 60 900-ით გაიზარდა ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელმა აგვისტოში 2014 წლის აგვისტოსთან შედარებით 5,4% შეადგინა.

თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ სამხედრო სამსახურიდან სამუდამოდ დაითხოვენ ამ უწყებაში ან შეიარაღებულ ძალებში დასაქმებულ ყველა სამოქალაქო თუ სამხედრო პირს, რო-

ლათინური აბრევიატურისა, არანაირი ქართული მონიშვნა არ არის. მეუბნებიან, ამაზე ნუ ინერვიულებთო. ვპასუხობ, რომ ამაზე სანერვიულო თავად აქვთ და აგრეთვე ცესკოს, იმიტომ რომ ორგანულ კანონს არღვევენ და, თუ ეს არ გამოასწორეს, საქმე დასაჭერად გაუხდებათ. მპასუხობენ, რომ დაჭერა გამორიცხულია. ვნაძლევდებით 100 აშშ დოლარზე. ამასობაში ჩემი რიგიც მოვიდა.

ვრეკავ კლინიკაში: ვითარება წყნარია, პაციენტები – მოვლილი, ყველა კონსულტაცია რობერტ გოგნიაშვილმა ჩაატარა.

პარასკევი

14:00. სამსახურში თავისუფალი დრო გამომიჩნდა Civilization V-სათვის. „რუსებმა“ უკვე აიღეს „ვიკინგების“ ერთი ქალაქი, მაგრამ მოსახლეობა მთელ მათს რესურსს აღმოსავლეთ ფრონტზე აბამს. დასავლეთის ფრონტზე „ერევანი“ ჯერ კიდევ ფართხალებს (ჩემი ფარული სამხედრო დახმარების წყალობით), მაგრამ იმისთვის, რომ დაეცეს, „რუსებს“ სჭირდებათ დარტყმა მასზე სამხრეთის მისადგომებიდან, სადაც ჩემი ჯარები დგას. აი, აქ ვაღწევ საწადელს: „რუსები“ თავისით მთავაზობენ ზავს ერთმანეთის ტერიტორიებზე ერთმანეთის საბრძოლო და მშვიდობიანი ერთეულების გატარების საფასურად. Victoria!!!!!!!!!! მე მომენტალურად ვთანხმდები, „რუსებს“ კბილებში ვაძლევ ერევანს დასაღეჭად, თვითონ კი წინასწარვე მომზადებულ მუშათა რაზმს გამყოლი საბრძოლო რაზმით „რუსეთის“ მთელი ტერიტორიის გავლით ვუშვებ ალუმინის საბადოებთან. ჩემს განკარგულებაში 30 სვლაა.

დილა – სტანდარტული. მოდის ჩემი ძმა გიორგი ასათიანი და ისიც მეუბნება, რომ დროშა „ქართველი“ უკვე „ჩემი ცოლის დაქალებშიც“ გამოჩნდა მაცივარზე მიკრული. მე ეს უკვე დროშის ბევრმა მხარდამჭერმა მითხრა. ბევრიც მოითხოვს, რომ ამ დროშის ქვეშ პარტიად გავერთიანდეთ და პარლამენტში შევიდეთ, რათა პრემიერს კადრების სანთლით ძებნა არ სჭირდებოდეს. მაგრამ ისინი ცდებიან. ეს ჭეშმარიტად სამჯვრიანი უძლიერესი და სასწაულმოქმედი დროშა ქართულ პოლიტიკურ მოედანზე ერთი რომელიმე პარტიული მოთამაშისათვის არ არის განკუთვნილი. ის თავად ქართულ მოედანს, ქართველ მსაჯებს და გულშემატკივრებს ეკუთვნით. მთავარია, მოედანი იყოს ქართული, თორემ ტურნირში ყველა უნდა მოვიწვიოთ: ამერიკელიც, რუსიც, ირანელიც, ებრაელიც, თურქიც, აზერბაიჯანელიც და სხვებიც. თუ მოედანი და მსაჯები ჩვენი იქნება, მაშინ სტუმრებიც ჩვენი წესებით ითამაშებენ, მაგრამ, სანამ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებში ჯვაროსნების დროშები ფრიალებს, არ ექნება საშველი არც ერს და არც ბერს. ოჯახსა და სამსახურში რუტინა გრძელდება – როგორც შვეიცარიულ ბანკში.

მელთაც აზარტულ თამაშებში მონაწილეობა დაუდასტურდებათ.

4

ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ არ აპირებს პოლიტიკურ ტოქშოუებზე უარის თქმას და წუხს, რომ „არხზე მიმდინარე სარედაქციო ცვლილებებს გარკვეულმა პირებმა პოლიტიკური დატვირთვა მისცეს“.

საქართველოს ესტუმრა ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბიორგე ბრენდე, რომელმაც თავის ქართველ კოლეგასთან, გიორგი კვირიკაშვილთან ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ. სტუმარი სოფელ ხურვალეთში გაეცნო საოკუპაციო ხაზთან შექმნილ ვითარებას.

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ზოოპარკის აშენების შესახებ.

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ შეხვედრაში საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა დაამარცხა შოტლანდიის ეროვნული გუნდი – 1:0.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ გაავრცელა ცნობა, რომ, პარლამენტის საშუალედო არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადების მიუხედავად, რეგისტრაცია გაიარა ცესკოში, რათა გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფასო საეთერო დრო და საზოგადოებას გააცნოს 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადების მიზეზები.

რიგგარეშე სხდომაზე ხმათა უმრავლესობით თბილისის საკრებულომ მხარი დაუჭირა დედაქალაქის ვიცე-მერის თანამდებობაზე ლაშა აბაშიძის დანიშვნას.

ევროპის კალათბურთელთა ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი მინიმალური სხვაობით წააგო ჰოლანდიის ნაკრებთან – 72:73.

5 შაბათი

ჩემს განკარგულებაში 30 სვლაა. ამასობაში ვასწრებ ალუმინის მოპოვებას. ვაყალიბებ 1912 წლის ბომბდამშენების ორ ესკადრილიას და ვხდები რეგიონის დომინანტი. „ერევნის“, „რუსებისა“ და „ვიკინგების“ მონელება ახლა ჩემთვის მხოლოდ დროის ამბავია. Veni, Vidi, Vici!!!!

დილის „ტუსოვკა“: მხოლოდ ჩემი და, მანანა ბაქრაძე მოვიდა. დამირეკეს ბაქოდან და მთხოვენ რამდენიმე დღით ჩასვლას პაციენტების საკონსულტაციოდ. დავურეკავ ძველ ბაქოელ პაციენტებს და ვეტყვი, რომ ბაქოში მეპატიჟებიან. თუ ჯამური რენტაბელობა კარგი იქნა, წავალ. რატომაც არა, თან გელას და ფარიზასაც მოვინახულებ.

12:00. მოვრჩი და დავასეივე.

(არჩილ ბაქრაძის ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ დღიურის ავტორმა მოგვმართა თხოვნით, ტექსტიდან ამოგვეღო ერთი ადგილი, რომელმაც საზოგადოებაში მწვავე დისკუსია გამოიწვია.)

ლიანა ისაკაძე

მუსიკოსი, მევიოლინე. დაიბადა 1946 წლის 2 აგვისტოს თბილისში. დაამთავრა ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის (რუსეთი) კონსერვატორია. იყო მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი; საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი. 1965 წლიდან მართავს გასტროლებს საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. 1990 წელს გერმანიის ქალაქ ინგოლშტადტში ჩაიყვანა საქართველოს კამერული ორკესტრი, რომელიც უკვე ოც წელიწადზე მეტია, „ინგოლშტადტის ქართული კამერული ორკესტრის“ სახელით გამოდის. 1992 წელს ინგოლშტადტშივე დააარსა თავისი პედაგოგის, დავით ოისტრახის სახელობის მუსიკალური აკადემია. არის ბათუმის კლასიკური მუსიკის ფესტივალის, „ღამის სერენადების“ ორგანიზატორი. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის მფლობელი. მრავალი საერთაშორისო კონკურსის, მათ შორის, პეტრე ჩაიკოვსკის (მოსკოვი, III პრემია), მარგარიტ ლონგისა და ჟაკ ტიბოს (პარიზი, I პრემია), სიბელიუსის სახელობის (ჰელსინკი, I პრემია) და სხვა კონკურსების ლაურეატი. საქართველოს სახალხო არტისტი და საპატიო ნიშნის ორდენოსანი.

კვირა

6

ევროპის ჩემპიონატის მორიგ მატჩში საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები დამარცხდა სლოვენიის ეროვნულ გუნდთან – 68:79.

თბილისში გაიხსნა ქვევრის ღვინის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი.

თბილისური კვირადღე ისეთივეა, როგორიც პარიზული, იმიტომ რომ არაფერი იცვლება. მე მაქვს რეჟიმი, ვარ დიეტაზე... და ამ რეჟიმს ვიცავ როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიასა თუ თბილისში. კვირადღე ჩემთვის იმით არის კარგი, რომ ამ დღეს ყველაფრის უფლებას ვაძლევ თავს, თუმცა დისციპლინას ძალიან მაგრად ვიცავ. დისციპლინის დაცვა კი ჩემთვის არის, ჯერ ერთი, მეცადინეობა, მეორე – დიეტა, მესამე – კონცერტის დღეს განსაკუთრებული სიმკაცრე. მაგალითად, კონცერტის წინ არავითარ შემთხვევაში არ ვჭამ. მხოლოდ შვიდი საათით ადრე შემიძლია ვჭამო. თუმცა არიან მუსიკოსები, რომლებიც, თუ კონცერტამდე ორი საათით ადრე ბევრი საჭმელი არ მიირთვეს, ისე სცენაზე არ გადიან. მე ეს არ შემიძლია, ვერაფრით ვერ წარმომიდგენია! ყველას თავისი ჩვევა აქვს. ჩვენ, მუსიკოსები, ცოტა უცნაური ხალხი ვართ. კიდევ ის არის, რომ კონცერტის წინ აუცილებლად უნდა დავიძინო. ეს აუცილებელია! თუ არ დავიძინე, შეიძლება ცუდად ჩატარდეს კონცერტი.

აი, ასეთია კვირადღე. თვითონ დასახელება „კვირა“ იწვევს სიმშვიდის ემოციას. მე, საერთოდ, მხიარული ადამიანი ვარ. ასეთი დავიბადე, ყველაფერი მიხარია. მოსკოვში, კონსერვატორიაში რომ ვსწავლობდი, მაგალითად, იმის გამო, რომ სულ მიხაროდა (რატომ მიხაროდა, ღმერთმა უწყის, უბრალოდ, მიხაროდა და მორჩა!), хохотуня-ს მეძახდნენ. მერე მეძახდნენ

пингвинчик-ს. „პინგვინჩიკი“ ჩემთვის სიხარულის სიმბოლოა და ძალიან მიყვარს ეს არსება.

7 ორშაბათი

ორშაბათი ჩემთვის ის დღეა, როცა უფრო შებოჭილი ვარ. დისციპლინის დაცვას მაინც განვაგრძობ, მაგრამ ორშაბათი უფრო მძიმე დღეა, რატომღაც. ამიტომ ისიც კი არ მიყვარს, როცა, ვთქვათ, კონცერტი მაქვს დანიშნული ამ დღეს.

დღეს თბილისური ორშაბათია. სახლი, რომელშიც თბილისში ვცხოვრობ, ყველაზე ლამაზი სახლია და ყველაზე კარგ ადგილას დგას, იმიტომ რომ იქიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი ქალაქი...

პარლამენტში რეგისტრაციაში გაატარეს „ქართული ოცნების“ ინიციატივა საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ, რომლის თანახმადაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უნდა გაუქმდეს მაჟორიტარული სისტემა, ხოლო საარჩევნო ბარიერი 5-დან 4%-მდე შემცირდეს.

თბილისში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია – „ევროპის ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი: უსაფრთხოება, ეკონომიკური შესაძლებლობები, თავისუფლება და ადამიანური ღირსება ფრონტისპირა ქვეყნებში“.

მუხრანბატონის ისტორიულ სასახლეში გაიმართა „საბას“ ლიტერატურული პრემიის ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონია.

ზვიად სიჭინავა გადადგა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან.

„ევრო-2016“-ის მორიგ შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრები შინ დამარცხდა ირლანდიელ ფეხბურთელებთან – 0:1.

8 სამშაბათი

სამშაბათს უფრო ვთავისუფლდები სულიერად, ვმეცადინეობ. საერთოდ, არა ვარ ისეთი მუსიკოსი, რომელიც ძალიან ბევრს მუშაობს. ცხოვრებაში ბევრი არასდროს მიმუშავია. არ მიმაჩნია ეს საჭიროდ, იმიტომ რომ ადამიანი მხოლოდ ხელებით კი არ მუშაობს, არამედ ტვინითაც. მეც ტვინში „ვმუშაობ“ და ეს ჩემი ყოველდღიური ცხოვრების ნაკლადაც იქცა. ანუ ერთი ნაკლი მაქვს: როცა ვინმეს ველაპარაკები, რა ენაზეც უნდა ვსაუბრობდეთ – რუსულად, ინგლისურად, გერმანულად თუ ქართულად, ტვინით სულ სხვაგან ვარ, ამ დროს მე ვმუშაობ. აი, ახლა, მაგალითად, ჩემს ტვინში მუშაობს პროკოფიევის სონატა, რომელიც ათ დღეში უნდა დავუკრა. ამიტომ, ადამიანი რომ მელაპარაკება, ძალზე ხშირად გამოდის, რომ მე რაღაც აბსურდს ვპასუხობ და იმას უკვირს, რას ამბობს ეს ქალიო. ის კი არ ესმის, რომ სინამდვილეში, თუმცა მასთან ვლაპარაკობ, სულ სხვაგან მაქვს ტვინი და მუსიკაზე ვმუშაობ ამ დროს. აი ეს არის... ჩემი ნაკლია, ალბათ.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ „საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უხეშ დარღვევად“ შეაფასა ოკუპირებულ აფხაზეთში ვენესუელის საელჩოს გახსნა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში გაიმართა საპროტესტო აქცია ყურძნის ფასის გაზრდის მოთხოვნით.

ევროპის ჩემპიონატის მორიგ მატჩში საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები დამარცხდა საბერძნეთის ეროვნულ გუნდთან – 68:79.

9 ოთხშაბათი

ათი წლის ასაკში რატომღაც უკვე ძალიან ცნობილი ვიყავი. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში. ამ დროს გამგზავნეს ბაქოში. ბავშვების რაღაც კონკურსი იყო და იქ გავიმარჯვე.

თურქეთის სამთავრობო ძალებისა და ქურთი მეამბოხეების დაპირისპირებით გამოწვეული ვითარების გამო საქართველოს

14 წლის ვიყავი, როდესაც მეორედ გამგზავნეს საკავშირო კონკურსზე. იქ დავით ოისტრახი იყო ჟიურის თავმჯდომარე. ჰოდა, მაშინ თქვა, ეს გოგონა სასწრაფოდ უნდა წამოვიყვანოთ მოსკოვის კონსერვატორიაშიო. არადა, მე კიდევ ერთი წელი უნდა მესწავლა აქ, სკოლაში. მაშინ ერთი წლით ადრე დავამთავრე ცენტრალური მუსიკალური სკოლა და მოსკოვში წავედი. დედაჩემიც წამომყვა. მაგრამ, სანამ მოსკოვში წავიდოდი, აქაც, თბილისშიც, ვინც კი ჩამოდიოდა, ასმენინებდნენ ჩემს შესრულებას. მაგალითად, ვან კლიბერნს, რომელმაც სწორედ მაშინ გაიმარჯვა ჩაიკოვსკის კონკურსში და თბილისში ჩამოვიდა; იმასაც მოასმენინეს ჩემი შესრულება. კულტურის სამინისტრომ, გინდა თუ არა, უნდა დაუკრა მის წინაშეო. ვან კლიბერნი ისე გაგიჟდა ჩემი დაკვრით, რომ მუხლებზე დამისვა, ჩამიხუტა, დამიწერა ბევრი ავტოგრაფი. ასე რომ, ბავშვობიდან უკვე განსაზღვრული იყო, რომ მუსიკოსი ვიქნებოდი. ისიც სასწაული იყო, რომ სამი წლისა უკვე ვწერდი მუსიკას: როიალთან მივიდოდი და ვთხზავდი მელოდიას. არავის უსწავლებია, მივიდოდი და ვუკრავდი. ჩემი ძმა, ელდარი, ვიოლინოს რომ უკრავდა, მისი მეცადინეობის მოსმენა მიყვარდა, მაგრამ არ მქონდა უფლება, იქვე ვმჯდარიყავი. ამიტომ როიალის ქვეშ შევძვრებოდი და იქიდან ვუსმენდი... დედაჩემმა მითხრა, რომ დავიბადე, თურმე პირველად „დედა“ კი არ მითქვამს, მიმღერია.

შვიდი წლის გავხდი, მშობლებმა თქვეს, მუსიკალურ სკოლაში უნდა შევიყვანოთო და, ვინაიდან როიალზე დაკვრა ჩემით ვისწავლე, ფორტეპიანოზე მიპირებდნენ შეყვანას. მაგრამ იმ დღეს, როცა ფორტეპიანოს გამოცდა ტარდებოდა, ავად გავხდი. ერთი წელი მომიწევდა ლოდინი, რომ შემდეგ წელს ფორტეპიანოს კლასში შევსულიყავი. ამ დროს კონსერვატორიის რექტორი იყო იონა ტუსკია, რომელიც თავიდანვე ამბობდა, ეს ბავშვი ისეთი ნიჭიერია, პირველი, რაც სჭირდება, ვიოლინოს დაკვრააო. მაშინ ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს, ერთ წელს ხომ არ დაველოდებით ფორტეპიანოს კლასსო და ერთი კვირის შემდეგ ვიოლინოს კლასის გამოცდაზე შემიყვანეს. ჩავაბარე და მიმიღეს გენიალურ პროფესორთან, ლეო შიუკაშვილთან, რომელიც საოცრად მიყვარდა... ჩემი პირველი აღმზრდელი ლეო შიუკაშვილი იყო.

ქართულ სკოლაში ვსწავლობდი და მხოლოდ ქართულად ვლაპარაკობდი. არადა, მოსკოვის კონსერვატორიაში ხომ რუსულად უნდა ჩამებარებინა! რუსულად ერთი სიტყვაც არ ვიცოდი. მოსკოვის კონსერვატორიის რექტორმა ალექსანდრ სვეშნიკოვმა მომცა უფლება, არც ერთი გამოცდა არ ჩამებარებინა და პირდაპირ მიმიღო სასწავლებელში, დავით ოისტრახის კლასში. ერთადერთი, რა თქმა უნდა, ჟიურის წინაშე დამაკვრევინეს ვიოლინოზე. რომ დავუკარი ერთი ნაწარმოები, დავით ოისტრახმა მკითხა, კიდევ დაუკრავ რამესო? ვუთხარი, თუ მოგეწონათ, დავუკრავ-მეთქი. ამაზე იცინა ყვე-

საელჩომ თანამოქალაქეებს მოუწოდა, გამოიჩინონ მაქსიმალური სიფრთხილე და გაითვალისწინონ ქვეყნის შესაბამისი სამსახურების რეკომენდაციები.

ირაკლი ღარიბაშვილი ესტუმრა ჩინეთს, სადაც სიტყვით გამოვიდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სესიაზე „თანამედროვე აბრეშუმის გზა“.

ევროპის ჩემპიონატის მორიგ მატჩში საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა დაამარცხა მაკედონიის ეროვნული გუნდი – 90:75.

ლამ. აი, ასე მოვხვდი მოსკოვის კონსერვატორიაში. გავიდა ორი წელი. მერე დავით ოისტრახმა მომამზადა პარიზის კონკურსისთვის, სადაც გრან-პრი მივიღე, პირველი პრემია. მაშინ 18 წლის ვიყავი.

მერე იყო შემდეგი ეტაპი – ჩაიკოვსკის კონკურსი. კონკურსის წინ, 1970 წელს, ყველა კონკურსანტი გაგვგზავნეს დუბნაში და იქ მუსიკოსთა სახლში მოგვათავსეს, რათა კარგად გვემუშავა. ოთახში ჩამისახლეს მაინცდამაინც გიდონ კრემერი, რომელიც დილის 8-დან ღამის 12 საათამდე უკრავდა და მე ველარ ვმუშაობდი. მთელი დღე აქეთ-იქით დავდიოდი, ერთი თვის განმავლობაში, ტყეში! აბა, როგორ მემუშავა, სულ ის უკრავდა – 12 საათს დღეში! აი, ასეთ პირობებში მომიხდა მომზადება და ასე დავუკარი ეს კონკურსი. რასაკვირველია, მერე მან მიიღო პირველი პრემია, მე კი მესამე პრემია მომანიჭეს.

1990-იან წლებში, როცა საქართველოში პოლიტიკური ცვლილებები ხდებოდა, მე უკვე ვგრძნობდი, რომ სიტუაცია იძაბებოდა. ჩემზეც დაწერეს ცუდი რაღაცები გაზეთში. თუმცა მთელმა საქართველომ დამიცვა მაშინ! არასდროს დამავიწყდება, როგორ დამიცვა მთელმა საქართველომ... ძალიან მადლობელი ვარ. მაგრამ ვხვდებოდი, რომ რაღაც ცუდი უნდა მომხდარიყო, ამიტომ მინდოდა, ეს ჩემი ორკესტრი გადამერჩინა და წამეყვანა. 1989 წელს სპეციალურად წავედი გერმანიაში – ფესტივალზე კონცერტი გვქონდა მე და ჩემს ორკესტრს და იქიდან პირდაპირ გავემგზავრეთ ავტობუსით ინგოლშტადტში, ბავარიაში.

10 ხუთშაბათი

ხუთშაბათი კარგი დღეა, ჩემთვის ყოველთვის კარგი დღეა, ბევრი რამ საინტერესო ხდება. თან, რაც ხდება, ყველაფერი სასიკეთოდ ხდება. ამჟამად ეს მეშვიდე ჩამოსვლა იყო. ფესტივალს, რომელიც 1982 წელს აფხაზეთში დავაარსე, დავარქვი „ღამის სერენადები“. მოცარტს აქვს ნაწარმოები „Eine kleine Nachtmusik“ და „ღამის სერენადები“ სწორედ მოცარტის სიყვარულით დავარქვი. ფესტივალი ბიჭვინთის ტაძარში ტარდებოდა 1982-დან 1988 წლამდე. 89 წელს, როცა შემდეგი ფესტივალი იყო დანიშნული, მთელი მსოფლიოდან ისევ მოდიოდნენ ყველაზე ცნობილი მუსიკოსები... ვინ აღარ ჩამოდიოდა! ეს იყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფესტივალი – ბიჭვინთის „ღამის სერენადები“... 1989 წელს 15 ივლისს უნდა ჩატარებულიყო პირველი კონცერტი და უცებ კულტურის სამინისტროში, თბილისში, წერილი მოვიდა სოხუმის კულტურის სამინისტროდან: არ ვურჩევთ ქალბატონ ლიანას წელს ამ ფესტივალის ჩატარებასო. კულტურის სამინისტრო მეუბნება: არ მიაქციო ყურადღება, ჩაატარეო; აუცილებლად უნდა ჩაატაროო! მაშინვე ვთქვი: კატეგორიულად არ ჩავატარებ, იმიტომ რომ ჩემთან სტუმრები მთელი მსოფ-

სექტემბერი

გიორგი მარგველაშვილმა ხელი მოაწერა კანონპროექტს ეროვნული ბანკის შესახებ, რომლის თანახმად ამ უწყებას ჩამოერთმევა საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია.

ირაკლი ღარიბაშვილი პეკინში შეხვდა ჩინეთის პრემიერ-მინისტრს ლი კეციანს, რის შემდეგაც განაცხადა, რომ ორი ქვეყანა დაიწყებს მოლაპარაკებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, პატიმრობაში მყოფმა ბაჩანა ახალაიამ, დაიწყო შიმშილობა თავისი სასამართლო პროცესის გადადების გამო პროტესტის ნიშნად.

კახეთში ყურძნის ფასის გაზრდის მოთხოვნით გამართული საპროტესტო აქციის საპასუხოდ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ მთავრობა კერძო სექტორს ფასს ვერ უკარნახებს, ხოლო სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდია

ლიოდან მოდიან და როგორ შემიძლია რაღაც რისკზე წავიდე, საფრთხე შევუქმნა ამ ჩემს მუსიკოსებს-მეთქი. არ ჩავატარე და... იმ დღეს დაიწყო ომი.

როცა ჩემი ორკესტრის წევრები გერმანიაში დარჩნენ, მიუნხენში გადავედი საცხოვრებლად. ბავარია ძალზე მაღალი კულტურის რეგიონია, მაგრამ მათი ეს გადამეტებული დისციპლინა და მეტისმეტი ბიუროკრატიზმი ცოტა არ იყოს მომბეზრდა. ახლა პოეზია უფრო მჭირდება-მეთქი, და სხვა ქვეყანაში დავიწყე სახლის ძებნა... ჯერ იტალიაში ვიყავი, მერე საფრანგეთში წავედი და ვიპოვე – გრასი. ქალაქი გრასი კანთან არის ძალიან ახლოს და მთელი საფრანგეთის პარფიუმერიის ცენტრია. სწორედ გრასში ვიყიდე სახლი. ერთი ამბავი გამახსენდა ახლა გრასთან დაკავშირებით: ცხრა წელი გავიდა, რაც იქ ვცხოვრობ და მოდის ერთი მეზობელი, გადასარევი კაცი, და მეუბნება: იცით, რაო, თუ თქვენს ეზოში ხეები არ გასხალით და ბალახი არ გაკრიჭეთ, ყველაფერი ჯუნგლებად გადაიქცევაო. მე ვუთხარი, როგორ გეკადრებათ, მაჩვენეთ, სად არის ჯუნგლები-მეთქი? და ვაჩვენებ მიწის ნაკვეთს სახლის წინ: მშვენივრად მოჭრილი ყველაფერი, გაკრეჭილი, გალამაზებული... ეს მეზობელი კი მეუბნება, ამას რას უყურებთ, აი, იქით გაიხედეთო. თურმე მე მიყიდია სამი ათასი კვადრატული მეტრი მიწა და არ ვიცოდი... იქით ყოფილა მთელი ეს ჩემი მიწა, მართლაც ჯუნგლებად გადაქცეული. არადა, ვუმეორებდი ამ ჩემს მეზობელს: არა, კაცო, ის ჩემი მიწა არ არისმეთქი. წავიდა მეორე დღეს მერიაში თუ სადღაც და მომიტანა ამონაწერი კადასტრიდან. ასე გავიგე, რომ მიწა მართლაც ჩემი ყოფილა!

პარასკევი

პარასკევი არ მიყვარს და, საერთოდ, ძალიან თარსი დღეა.

ახლა საქართველოში ვარ და ეს პარასკევიც გადავიტანე. ყველაფერი გადავიტანე და ფესტივალიც გადავიტანე გადასარევად! ჩატარდა მშვენიერი ფესტივალი ბათუმში და, რაც მთავარია, თბილისში. მართლაც საოცრად ჩატარდა! მომცეს ნება, რომ სასტუმრო „რედისონში“ საქველმოქმედო კონცერტი გამემართა.

თბილისში მანქანით არ დავდივარ. მანანა დავითაშვილს დავყავარ, ჩემს უახლოეს მეგობარს, რომელიც ჩემი გადამრჩენელია ყველაფერში, სასწაული ადამიანი. ან მანანას დავყავარ, ან ჩემს ქმარს. უცხოეთში ყოველთვის მე დავდივარ. გერმანიაში როცა ვცხოვრობდით, აი, გრასში რომ ვიყიდე სახლი, მიუნხენიდან ჩავდიოდი ხოლმე. მთელ იტალიას გავივლიდი მანქანით. თუ ჩემი ქმარი არ მეჯდა გვერდით, საათში 200 კილომეტრი სიჩქარით მივდიოდი. ისე ჩქარა, რომ გზაში რადარები ვერ ასწრებდნენ ჩემს გადაღებას, და არც ერთხელ ჯარიმა არ მომსვლია. გერმანიაშიც ძალიან ჩქარა დავდიოდი ხოლმე. იქ არსებობს „დაუწერელი მოლაპარაკება“ პოლიცი-

თვითღირებულების მიხედვით განისაზღვრა და მევენახეებს თითქმის 100%-იანი მოგება ექნებათ.

ბათუმში გაიხსნა ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონგრესი.

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის მორიგ მატჩში სძლია ხორვატიის ეროვნულ გუნდს (71:58) და მერვედფინალში გავიდა.

ყურძნის ფასის გაზრდის მოთხოვნით გამართული აქციის მონაწილე მევენახეებმა გადაკეტეს თელავ-გურჯაანის ავტომაგისტრალი, რის შემდეგაც პოლიციამ დაუმორჩილებლობის ბრალდებით ოთხი პირი დააკავა.

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, ბაჩანა ახალაიამ შეწყვიტა 10 სექტემბერს დაწყებული შიმშილობა.

ბათუმში ავტორის, თამარ კვესიტაძის თანდასწრებით გაიხსნა ახალ ადგილას გადატანილი ქანდაკება „ალი და ნინო“.

82 წლის ასაკში გარდაიცვალა მწერალი, დრამატურგი და სცენარისტი რეზო ჭეიშვილი.

ასთან. თუ წერია, მაგალითად, 50 კმ/სთ, შეგიძლია, 10 კილომეტრით ან 20-ით გადაამეტო. ჰოდა, მეც ასე დავდიოდი, შეჩვეული ვიყავი გერმანიაში, რომ დაშვებულ სიჩქარეს ათი კილომეტრით ვაჭარბებდი. მერე, როდესაც მიუნხენში სახლი გავყიდე და პარიზში ვიყიდე, მანქანით წავედი და მეგონა, რომ საფრანგეთშიც ასეთი წესია – „დაუწერელი მოლაპარაკება“პოლიციასთან. მივდივარ, წერია 50 კმ/სთ. მე მივდივარ 70-ით და ასე ბოლომდე, პარიზამდე ჩავედი. ერთ თვეში მომივიდა ჯარიმები – დაახლოებით 2 ათასი ევროს გადახდას მთხოვდნენ. გავბრაზდი, წავედი პოლიციაში და ვეუბნები, ეს რა არის, ეს რას ნიშნავს-მეთქი? თქვენ დაარღვიეთო. როგორ, კაცო, რა დავარღვიე, 10 თუ 20 კილომეტრით სწრაფად მივდიოდი და ამისთვის მაჯარიმებთ-მეთქი? რაო?! 10 თუ 20 კილომეტრი გადააჭარბეთო? ჩვენთან 3 კილომეტრითაც თუ გადაამეტებთ დაშვებულ სიჩქარეს, უკვე ჯარიმდებითო...

12 შაბათი

გურჯაანის გამგეობასთან გამართულ აქციაზე მევენახეებმა გადაწყვიტეს, 14 სექტემბრამდე შეაჩერონ საპროტესტო აქციები და განაცხადეს, რომ დაელოდებიან დარგობრივი ეკონომიკისა და აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტებში მიმდინარე განხილვის შედეგებს.

სეტყვამ და ძლიერმა ქარმა დააზარალა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლები.

წლის საუკეთესო არაინგლისურენოვანი ფილმის კატეგორიაში აშშ-ის კინოაკადემიის ჯილდოზე, „ოსკარზე“ წარსადგენად საქართველოდან შეირჩა ლევან თუთბერიძის მხატვრული ფილმი „მოირა“.

შაბათი

ნატალი პატარიძე

ხელოვნებათმცოდნე. დაიბადა 1987 წლის 9 აპრილს ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი და მაგისტრატურა. მუშაობდა ქუთაისის მერიის კულტურის განყოფილებაში ღონისძიებათა ორგანიზების განხრით. დააარსა და ხელმძღვანელობს ახალგაზრდულ ცენტრს, რომელშიც გაერთიანებულია სახელოვნებო დარგის 14 სკოლა.

სექტემბერი

კვირა

13

კვირა ერთადერთი დღეა, როცა ვისვენებ, ახლა ფიქრი არ შემიძლია, მხოლოდ გახსნის გეგმებს ვაწყობ. არ ვიქნები დასაწყისში სიტყვაუხვი, უფრო ვრცლად დღიურს ორშაბათიდან შევავსებ.

13-14 ივნისის სტიქიური უბედურების შედეგად დანგრეულმა თბილისის ზოოპარკმა მუშაობა განაახლა.

პოლიციამ თელავ-ყვარლის დამაკავშირებელი გზის გადაკეტვის საშუალება არ მისცა გლეხებს, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ ყურძნის დაბალი ფასის გამო.

ლას-ვეგასში, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, 57 კგ-მდე წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა.

ევროპის ჩემპიონატის მერვედფინალში საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული გუნდი დამარცხდა ლიტვის ნაკრებთან (81:85) და ასპარეზობას გამოეთიშა.

ორშაბათი

14

დილით ადრე ავდექი, ვერ მოვისვენე, სწრაფად ჩავიცვი და სამსახურში გავიქეცი...

ბოლო ორი წელია, სამსახური უკვე სახლად მექცა, ეს ნიკას დამსახურებაა. ნიკა შენობის მეპატრონეა, ცნობილი ნიკა ჩიქოვანი.

მივდივარ და ვფიქრობ, რა უცნაურია ცხოვრება, მოუ-

მთავრობის სხდომაზე გამოსვლისას ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები კახეთის რეგიონსა და კახელ გლეხს პროვოკაციული მოქმედებებით უპირისპირებენ დანარჩენ რეგიონებსა და მოსახლეობას.

ლოდნელი, შემთხვევითი. აი, მაგალითად, ნიკა ერთი საერთო მეგობრის მეშვეობით გავიცანი. სრულიად არასერიოზულად მივიღე მაშინ მისი საქმიანი წინადადება, როგორმე გამეცოცხლებინა ყოფილი კინოთეატრის, „სულიკოს“ შენობა. თავიდან ყურადღება არ მივაქციე. კიდევ ერთი საუბრის შემდეგ კონცეფცია რომ შევთავაზე, გასაღები ორ კვირაში გადმომაბარა. მაშინ მივხვდი, ფული კი არა, ადამიანებს საწყისები აფუჭებს. გამიკვირდა ნიკას მხრიდან ჩემთვის გამოცხადებული ნდობა. მე მჯერა და მჯეროდა ყოველთვის, ნდობა არის ადამიანობის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი პირობა, რადგან, თუ აღარ ვენდობით, გულიც აღარ გვიჩუყდება და აღარც სიკეთეს ვაკეთებთ. მას შემდეგ ნიკას ნდობას ყოველდღე ისე დავატარებ, როგორც ვალდებულებას, პასუხიმგებლობას ადამიანის მიმართ. მე, ჩემი მხრივ, ვცხოვრობ ისე, ყოველ წუთს, ყოველ წამს, როგორც, ალბათ, მას მოეწონება. „ალბათ“ იმიტომ, რომ სულ სამჯერ მყავს ნანახი... თუმცა მჯერა, ვინც რთული წინააღმდეგობრივი ცხოვრების შემდეგაც ადამიანების ნდობის შენარჩუნება შეძლო, მას სწორი სულიერი ფასეულობები აქვს და აუცილებლად სჯერა სიმართლის, ერთგულებისა და პატივისცემის.

ფიქრებიდან თემურის ზარმა გამომარკვია... ცოტა ხანში სამსახურში მოვიდა. თემური და მე, ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ, ერთად ვიყავით სტუდენტები, მერე – საჯარო მოხელეები, ერთად გავხსენით ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც 14 სახელოვნებო დარგს იტევს. ეს ჩემი მეგობარი ყოველთვის ზუსტად ხედავს, ვინ იტყუება, ვინ როგორი ადამიანია, ვისთან შეიძლება საქმის დაჭერა და ვისთან არა, აფასებს სიმართლეს, ვერ იტანს ფლიდობას, არ უყვარს ფული და საერთოდ ვერ აუხსნია, რატომ შეიძლება ადამიანთა ურთიერთობის საწყისად იქცეს მდგომარეობა, არის ერთგული და პრინციპული. თავიდან ყველას გიჟები ვეგონეთ. თემური ის ადამიანია, რომელსაც ყოველთვის სჯერა ჩემი, თუნდაც ყველაზე გიჟური რამ ვთქვა, მაინც სჯერა, მერე ყველაფერს ვაკეთებთ ერთად, რისიც გვჯერა, რომ გამოგვივა. ასე იყო ცენტრის შექმნის იდეაც. ერთად ავაწყვეთ, ერთად დავიწყეთ და ხვალ უკვე მეორედ მივულოცავთ ბავშვებს ახალ სასწავლო წელს.

დავრეკეთ ორას ბავშვთან, პრეზენტაციის საათი ვაცნობეთ, პედაგოგების სერტიფიკატები დავბეჭდეთ, დარბაზები მოვაპრიალეთ, აუდიტორიები გავამზადეთ, ბალეტის დარბაზში მაკა მახარაძის ნაჩუქარი სურათები დავკიდეთ, ზოგს ცოცხი გვიჭირავს, ზოგს – აქანდაზი. მიყვარს ეს ხმაურიანი მზადება. ღამის თერთმეტი საათია. სახლში მივდივარ, კმაყოფილი, ხვალინდელი დღის მოლოდინში.

15 სამშაბათი

დღეს დილიდან ისევ ამყვა მოუსვენრობა. უკვე მეექვსე წელია, ღონისძიებებს ორგანიზებას ვუწევ და მაინც, როგორც

გურჯაანში საპროტესტო აქცია განაახლეს მევენახეებმა, რომლებმაც გადაკეტეს თელავ-თბილისის ავტომაგისტრალი; გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის, ნაციონალური მოძრაობის წევრ გიორგი ღვინიაშვილის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის პოლიციამ დააკავა აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

„საქსტატმა“ გამოაქვეყნა წინასწარი მონაცემები, რომელთა მიხედვითაც 2015 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში საგარეო სავაჭრო ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14%-ით შემცირდა.

საქართველოში დაიწყო ახალი სასწავლო წელი.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადადო პარლამენტის წი-

პატარა გოგოს, ისე მეშინია სცენის, ხალხთან გამოსვლის და აუდიტორიისთვის მიმართვის.

ცენტრი ნელ-ნელა აივსო ბავშვებით, მშობლებით, ხვევნა-კოცნა, მონატრება, მოკითხვა, ღიმილი...

გახსნა დაიწყო...

პედაგოგებს ვაჯილდოებთ, აი, მაგალითად, სოფო, ჩვენი ბალეტის პედაგოგი, ერთ თვეში რომ შეუძლებელი შეძლო, ის გოგოა. 4 წლის ბავშვებთან ახალი ცეკვა დადგა. მიყვარს თავდადებული ადამიანები, ისეთები, როგორიც სოფოა.

მალე მაკას ველოდებით...

მაკა მახარაძემ მითხრა, მახსოვს – იცი, ნატო, ეს არის პატრიოტიზმი – აკეთო შენი საქმე სიყვარულით, და არა ის, იდგე დროშით და გაჰყვიროდე ურაპატრიოტულ ლოზუნგებსო. მაკა მახარაძის უბრალოებამ, თავმდამბლობამ, უკიდეგანო სიღრმემ და პროფესიონალიზმმა დაძლია გზა თბილისიდან ქუთაისამდე და ის ჩვენი 4 წლის ბავშვების მენტორად იქცა.

აგერ, ნატალია მოდის, ჩვენი სამხატვრო სკოლის პედაგოგი. ნატალია, ნოე და ქეთი და-ძმანი არიან, 70 ბავშვს ხელმძღვანელობენ. აგვისტოში ბულგარეთში ვიყავით, ექვსი პირველი ადგილი ავიღეთ საერთაშორისო პლენერში, რომელშიც გერმანია, საფრანგეთი და საბერძნეთი მონაწილეობდნენ. ჩვენმა პედაგოგებმა ეს შეძლეს ერთ წელიწადში.

გამოცხადდა ნათიას ნომინაცია, ყველაზე ენერგიულის. სულ ნერვიულობს, სულ განცდებშია, ხუთი წლის ბავშვს ცოცხლად შესრულების დროს თუ არასწორი ობერტონი გაეპარა, კვდება, ასე ჰგონია, დასამარდა ქართული მუსიკა. მერე თავდაყირა დგება, ტანსაცმლიდან ძვრება, თავადაც ბავშვად გადაიქცევა და მოჩლექილი ენით მაინც ისე ამღერებს პატარას, როგორც მის მოთხოვნებს შეესაბამება.

ჩვენ ყველა ერთი გუნდი ვართ და ეს ერთიანობა გვაძლევს საშუალებას, განვავითაროთ ცენტრი, რომელიც ბავშვების განათლებას ემსახურება.

ოთხშაბათი

16

კონკურსის იდეა დამებადა: „აღმოაჩინე შენი ქვეყნის ბალეტის ისტორია“. კონკურსებზე რომ დავდივართ, 400 კონკურსანტიდან ცოტამ თუ იცის, სად დაიბადა ვახტანგ ჭაბუკიანი. ჩვენ არ ვიცით ამბები, ვიცით მხოლოდ მათი მიღწევები, არადა ამბები ქმნიან ადამიანებს, ამბებია ჩვენი ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი მუხტი.

ჰოდა, გადავწყვიტეთ, კონკურსი დავიწყოთ სოციალურ ქსელში. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ქართული ბალეტის ნაცნობი და უცნობი სახეების ბიოგრაფიის დეტალები, მათი ცხოვრებისეული ამბები. გამორჩეული მასალის მოწოდებისთვის გამარჯვებულს გასტროლებზე წავიყვანთ ბარსელონაში. ასე ხალხიც მეტს გაიგებს ამ სფეროს შესახებ, ჩვენი ბალეტის ისტორიაზე, და სახელებიდან შევქმნით სახეებს, რომლებსაც

ნაალმდეგ თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადება და მიზეზად ის დაასახელა, რომ მოსამართლე მერაბ ტურავამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო არ მიიღო მონაწილეობა ხელმოწერის პროცედურაში.

სირიაში სამხედრო თვითმფრინავების გასაგზავნად რუსეთის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენების შესაძლებლობაზე გავრცელებული ცნობების საპასუხოდ თავდაცვის სამინისტრომ განმარტა, რომ ამ საკითხზე მოსკოვს თბილისისთვის არ მოუმართავს, ხოლო, თუ მომმართავს, პასუხი უარყოფითი იქნება.

საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პარლამენტის წინააღმდეგ თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმა, რომლითაც დაშვებულია პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა ცხრა თვეზე მეტი ხნით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, ღამით, სასჯელაღსრულების მე-9 დაწესებულებასთან შეიკრიბნენ გიგი უგულავას ოჯახის წევრები, ადვოკატები და ნაციონალური მოძრაობის ლიდერები, რომლებიც

პატიმრის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვდნენ.

არც ისე ბევრი იცნობს ჩვენს ქვეყანაში.

სოციალურ ქსელში შევიხედე, მთელი ქვეყანა ვალუტის გადამცვლელ ჯიხურად იქცა: ლარი, დოლარი, ევრო, ფული. ალბათ, ემილ ზოლა რომ გვყავდეს, დაწერდა წიგნს „ფული 2“. ვზივარ და მახსენდება ჰოფმანის ნათქვამი: „თუკი ხალხს შია, იქ კულტურის ადგილი აღარ არის“. სულ ვეწინააღმდეგები ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანს, ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ ჯიბრში ვუდგავარ და ვუმტკიცებ, რომ სულ გვშია, სულ გვცივა, სულ არასტაბილურ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ მაინც შეგვიძლია ფიქრი კულტურაზე, მის შექმნასა და განვითარებაზე. შეიძლება მე იდეალისტი ვარ, კი, ასეა, მაგრამ მთავარია გჯეროდეს, მერე ყველაფერი გამოდის.

17 ხუთშაბათი

გიორგი მარგველაშვილმა და პარლამენტის, მთავრობისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გიგი უგულავას სარჩელზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს საერთო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

გვიან ღამით თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გიგი უგულავა წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა.

ბათუმში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის საცხოვრებელ სახლთან გამართულ აქციაზე პოლიციამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დააკავა ერთი პირი, რომელმაც პაპუაშვილის სახლს პომიდვრები და კვერცხები დაუშინა.

საქართველოში აშშ-ის ახალმა ელჩმა, იენ კელიმ რწმუნებათა სიგელები გადასცა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს.

მაიკოს და ნინის სკოლაში ვაცილებ. მე ჩემს შვილებთან ერთად გავიზარდე, 17 წლისა უკვე დედა ვიყავი, ბავშვობისდროინდელი ქმარი ძალადობრივი პრობლემებით წარსულში ჩავტოვე.

ჩემს შვილებს არასოდეს ვზღუდავ, ვცდილობ, ვერევი თავს და შეცდომების უფლებასაც ვაძლევ. ჩვენს საზოგადოებაში ბავშვებს პიროვნებებად არ აღიქვამენ. თუ დაჰკვირვებიხართ, თავაზიანი ფორმით მხოლოდ უფროსები მივმართავთ ერთმანეთს, არასოდეს ვუფრთხილდებით ჩვენ წარმოთქმულ სიტყვებს, ეწყინება თუ არა ბავშვს, დაგვემდურება, გაბრაზდება თუ რას იზამს. ჩვენ ის საზოგადოება ვართ, რომელიც ბავშვთან კუნთებს ისინჯავს. რატომღაც ჩვენი სტანდარტული ფორმის აზროვნებით ვცდილობთ მათი ინდივიდუალიზმის უკვალოდ წაშლას. მე არასოდეს ვაძალებ მაიკოს, უყვარდეს მათემატიკა და აუცილებლად ისწავლოს 10 ქულაზე. მან თვითონ უნდა აირჩიოს, რა უნდა, რა მოსწონს, იპოვოს თავისი თავი და არ იქცეს პროფესიული კლიშეების ქვეშ გასრესილ ტრაგიკულ პიროვნებად. მე მინდა, ჩემი შვილები თავისუფალი ნების თავისუფალი ადამიანები იყვნენ და, რაც მთავარია, იყვნენ კარგად – არა ისე, როგორც ჩემს აზროვნებას წარმოუდგენია კარგად ყოფნის მოდელი, არამედ ისე, როგორც მათ უნდათ კარგად ყოფნა. ამის გამო დედასთან მუდმივი კონფლიქტი მაქვს. მისი აზრით, „გადამკვდარი“ დედა არა ვარ. არადა, რა უნდა ვასწავლო შვილებს იმაზე ფასეული, ვიდრე თავისუფლებაა?

სამსახურში მივდივარ, ხათუნა მხვდება. ჩემი მეგობარია უკვე ცხრა წელია. ახლა ჩემთან მუშაობს აქ. არასოდეს იმჩნევს ჩემს ახლობლობას, მისთვის აქ დირექტორი ვარ, დადის და ანგარიშებს მაბარებს. არადა, ორივემ ვიცით, რომ ანგარიშის ჩაუბარებლადაც ვენდობით, არ დავაღალატებთ ერთმანეთს. ეს მისი სხვა ხარისხის პასუხისმგებლობაა, პიროვნული, რომელიც ევროპულია და ქართულს არ ჰგავს. სხვა ხათუნაა სახლში - პერფექციონისტი დიასახლისი, რომელიც, თუ რამე ახალგამოცემულ წიგნს არ მიუტან და ლიტერატურულ მოვლენებს ჩამო-

არჩენ, არ გაპატიებს. სულ რაღაცას აკეთებს, სულ მოძრაობს... ახლაც, ამ წუთში, ზის ჩემ გვერდით და სიებს ჩაჰკირკიტებს, მეკითხება, რას წერო. ვეუბნები, რომ კონკურსის დებულებას ვწერ. სახალისო ყოფილა, როცა გვერდით გიზის ადამიანი და მასზე წერ ისე, რომ მან არ იცის ეს.

დღეს კინოცენტრთან ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი. კინომისიონერი ვხდები, ბავშვებს უნდა ჩავუტარო ლექციები და ვაჩვენო ფილმები, ერთი სკოლა ცოტა სპეციფიკურია - შეზღუდული უნარების მქონე, სმენადაქვეითებულ ბავშვებთან შევდივარ. ძალიან განვიცდი. ჩემი აზრით, შეზღუდული მხოლოდ გარემოა და მხოლოდ ის ადამიანები, რომლებმაც მათთან მოქცევა არ ვიცით. ამიტომ არ მინდა, ვიყო შეზღუდული, მინდა, მათაც ისევე მივაწოდო ინფორმაცია ჩარლი ჩაპლინზე, მელიესზე, როგორც სხვა ბავშვებს მივაწვდიდი.

ამ პროექტში თამთამ ჩამრთო... ჩემი ლექტორი იყო, ახლა მეგობრები ვართ. მახსოვს, უნივერსიტეტში დერეფანში რომ ავედევნე, ჩემთვის მაშინ უნივერსიტეტი ხსნა იყო, თავისუფლების შესაძლებლობა. მე ხომ ორი წელი ვიბრძოდი, რომ ორშვილიანი დიასახლისი არ მრქმეოდა, ორი წელი ვიბრძოლე ძალადობისგან თავის დასაღწევად. ორი წლის შემდეგ ხელიდან დავუსხლტი ადამიანისა და პიროვნების მკვლელ ქართულ ტრადიციებს და უნივერსიტეტის კარებთან დამხვდა თამთა, რომელმაც მაშინვე დამარწმუნა ბრძოლის სისწორეში. იმ დროიდან ჩემი ცხოვრების ბევრი საინტერესო საათი მას დაუკავშირდა.

საღამოს ვჯდები ხათუნასთან გემრიელ მურაბასა და ჩაიზე, ვუყვები მარგარეტ ეტვუდზე, ბრმა მკვლელზე, თეოკრატიული სახელმწიფოს საშიშროებაზე, რომელიც სულაც არ არის ფანტასმაგორიული და შეიძლება სინამდვილედ იქცეს.

პარასკევი

ბანკის მესიჯი მოვიდა. როგორ მიყვარს, ყოველ თვეში ერთსა და იმავე დროს ვახსენდები. ბანკი და პროცენტი, მე მგონი, საქართველოში ყველა ოჯახის რეალობაა: თუკი გაქვს ხელფასი, გაქვს ვალიც, არ გაქვს ხელფასი, არ გაქვს ვალი. თუ არ გაქვს ხელფასი, ე.ი. გშია და მერე კაცმა არ იცის, მთავრობის მიერ მოწოდებულ სტანდარტებში ჩაჯდება თუ არა შენი შიმშილი. ერთი კვირის წინ ზუსტად ასეთ ოჯახს ტანსაცმელი წავუღეთ. თემური სულ ეძებს ასეთებს, ვაგროვებთ ტანსაცმელს, საკვებს და მივდივართ. მერე ასეთ დროს სულ მიტრიალებს გონებაში წინააღმდეგობრივი აზრი. ჩემს მშობლებს ვესაუბრები გახარებული, როგორ წავალთ შობას ლაპლანდიაში, შობის საერთაშორისო ფესტივალზე, ვეუბნები, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, მათი შვილებისთვის, ვხედავ მათს გახარებულ სახეებს, ბავშვების ანთებულ თვალებს სანტას ნახვის მოლოდინში და უცებ შემრცხვება, როცა მახსენდება ისეთივე სიხარული თვალებში, როცა მშიერ ოჯახებს პურს აწოდებ. მრცხვენია და მგონია, რომ ფარისეველი საზოგადოება ვართ. უფრო მეტს უნ-

18

თბილისის საქალაქო სასამართლომ დედაქალაქის ყოფილი მერი, გიგი უგულავა დამნაშავედ ცნო „თბილსერვის ჯგუფის ეპიზოდში“ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდძალი თანხის გაფლანგვაში და მას 4,5 წლით პატიმრობა მიუსაჯა, რიყის ტერიტორიის გასხვისების ეპიზოდში კი უგულავა და მასთან ერთად ბრალდებული, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი გაამართლა.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა „მოსამართლეებზე ზეწოლად“ შეაფასა გიგი უგულავას სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ დაწყებული საპროტესტო აქციები.

პარლამენტმა საბოლოო, მესამე მოსმენით მიიღო პროკურატურის რეფორმირების ახალი კანონი და ფინანსური ზედამხედველობის

ახალი უწყების ხელმძღვანელად დაამტკიცა კოტე სულამანიძე.

და ვაკეთებდეთ, უფრო მეტად უნდა გვახსოვდეს ბავშვები, რომლებსაც პურის ნახვა უფრო უხარიათ, ვიდრე სანტასი.

ფიქრებიდან ვერკვევი, დათო ლიკლიკაძის ხმა მესმის, რიხიანი და ენერგიული - დღეს მედიასკოლაში პირველი ლექცია აქვს. დათომ ორი წლის წინ დაწერა დღიურები ჩაის სახლში. მაშინ გუგა კოტეტიშვილის კაფეს, „ფოე-ფოეს“ ვხელმძღვანელობდი. მე და დათო უამრავ საინტერესო საღამოს ვატარებდით ერთად, ბევრი რამ ვისწავლე მისგან. თვითონ იცინის და ამბობს: „მე ვიცი ცხოვრება“. დიახ, ბატონებო, დათო ლიკლიკაძე არის ადამიანი, რომელმაც იცის ცხოვრება, არის პრინციპების ერთგული და ზოგადად ერთგული. ჩვენ, ახლობლებმა და მეგობრებმა, ეს ყველამ ვიცით, დანარჩენებმა კი იმიტომ არ იციან, რომ დათომ ცხოვრება იცის.

საუკეთესო სტუდენტები გვყავს წელს მედიასკოლაში. ვატყობ, ეს წელი მოქალაქეობრივად აქტიური იქნება ქუთაისისთვის.

19 შაბათი

ბათუმში რამდენიმე საზოგადოებრივი მოძრაობის თაოსნობით მოწყობილი საპროტესტო აქციის მონაწილეებმა მოითხოვეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გიორგი პაპუაშვილის გადადგომა.

ინგლისში მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა სძლია ტონგის ეროვნულ გუნდს – 17:10.

დილა მშობელთა კრებით იწყება, ქართული ცეკვა, ბალეტი, სამხატვრო სკოლა. საესტრადო სტუდიის ბავშვების მშობლებს ბარსელონაში გამგზავრების დეტალებს ვაცნობ. შემდეგ ვუბრუნდები ჩემს დღიურს, დღეს წერა უნდა დავასრულო, ოთხზე ჩაწერაა. არადა, ამ დღეებში მივეჩვიე შინაგან მონოლოგს, ცნობიერების ნაკადის დაჭერას და ფურცელზე გადატანას. მე ერთი უბრალო ქალაქის უბრალო ქალი ვარ. ჩემს ამბავში საინტერესო მხოლოდ ის არის, რომ ბავშვობისდროინდელი ქმარი წარსულში ჩავტოვე. ჩემი შვილების მარტო გაზრდის არ მეშინია, არც ზოგადად მარტოობის და არც ცხოვრების. ტკივილების და სიხარულის ჯაჭვი გვქმნის და გვაყალიბებს პიროვნებებად. მთავარი ის კი არ არის, როგორ ეცემი, არამედ, როგორ დგები. დონალდ ტრამპმა ეს, ალბათ, ბიზნესზე თქვა, მაგრამ მე ეს ცხოვრება მგონია. თუკი ჩემი დღიური შეიძლება იქცეს ტრიბუნად, მაშინ მივმართავ ქალებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ეშინიათ ცხოვრების, ტრადიციების მსხვრევის, საკუთარი თავის: ირწმუნეთ თქვენი შესაძლებლობები და იპოვეთ თქვენი თავი თავისუფლებაში, მარტოობა არ არის საშიში, ის არ კლავს, მაგრამ ძალადობის დროს არასწორად მოქნეულმა მუშტმა შეიძლება მართლაც გიმსხვერპლოთ. ვისწავლოთ მეტი, მოვთხოვოთ ჩვენს თავს მეტი და ნუ ველოდებით ქმარს, რომელიც დაგვაპურებს და აგვაშენებს. მე ნატო პატარიძე ვარ, კატო მიქელაძის ქალაქიდან, ბევრი ქართველი ძლიერი ქალის ხმა ისმის ამ ქალაქში და ჩვენ თქვენ გვერდით ვართ, ვისაც ჯერ გეშინიათ. ჩვენ ეს გადავლახეთ, ახლა თქვენი ჯერია!

გავიქეცი, ხომ გითხარით, ოთხზე ჩაწერაა. აქ ვწყვეტ დღიურს მაგრამ ჩემთვის აუცილებლად გავაგრძელებ წერას, კარგი ყოფილა ცნობიერების ნაკადში აზრებზე თევზაობა.

ვახტანგ მამალაძე

ვეტერინარი. დაიბადა 1966 წლის 16 ივნისს თბილისში. დაამთავრა ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ვეტერინარული მედიცინის ფაკულტეტი. მუშაობდა გერმანიის ქალაქ ჰანოვერის ვეტერინარულ კლინიკაში, თბილისის შპს „ვეტ-ექსპრესში“ - მთავარ ვეტერინარ-ექიმად; იყო ცხოველთა დაცვის საზოგადოება „ლომისა“-ს საბჭოს მრჩეველი ვეტერინარიაში; სათავეში ედგა სრულიად საქართველოს ცხოველთა დაცვის საზოგადოებას; მონაწილეობდა არაერთი კანონპროექტის შემუშავებაში, რომლებიც მიზნად ისახავდა ძაღლებისა და კატების პოპულაციურ მართვას კასტრაცია-სტერილიზაციის მეთოდით. უსასყიდლოდ თანამშრომლობს ცხოველთა სხვადასხვა თავშესაფართან ვეტერინარული მიმართულებით.

კვირა

როგორც ყოველთვის, დილა ფინჯანი ყავით იწყება. ვაპირებდი დასვენებას და ოჯახის წევრებთან ერთად ქალაქგარეთ გასვლას, მაგრამ მობილურზე აწკრიალებულმა ზარმა გეგმები შემიცვალა. დარეკა შეწუხებულმა ქალმა, რომლის ოთხფეხა მეგობარსაც მანქანა დაეჯახა და მძიმედ დაშავდა. ეს შემთხვევა საგარეჯოში მოხდა. პატრონი შველას გვთხოვდა და, როგორც საუბრიდან გაირკვა, ეს ძაღლი გაჩუქებული იყო თამაზ ელიზბარაშვილის თავშესაფრიდან. დავუკავშირდი ჩემს ასისტენტს და მომზადებულები გავემგზავრეთ საგარეჯოში. რომ ჩავედით, პაციენტი მართლაც მძიმე მდგომარეობაში დაგვხვდა მრავლობითი მოტეხილობით და ექსკორაციებით. მოგვიხდა საველე პირობებში მუშაობა. გავუკეთეთ ოპერაცია – ინტრამედიალური ოსტეოსინთეზი. ოპერაცია დიდხანს გაგრძელდა. რომ დავასრულეთ, პაციენტი ნარკოზიდან გამოვიყვანეთ და გავუკეთეთ ინფუზიოგადასხმა.

ძაღლს ლორდი ერქვა, ძალიან მოსიყვარულე აღმოჩნდა. ქალბატონმა ნანამ საკმაოდ ინერვიულა და ასისტენტობა გაგვიწია. ბოლოს გაგვიშალა სუფრა, როგორც კახურ ტრადიციას შეეფერება. დავაგემოვნეთ „მანავის მწვანე“. მასპინძლები არაჩვეულებრივად მღეროდნენ!

წამოსვლისას ყურძენიც გამოგვატანეს და ღიღინ-ღიღინით გამოვემართეთ თბილისისკენ.

ძალიან დავიღალეთ, მაგრამ ეს სასიამოვნო დაღლა იყო – ლორდი ხომ გადავარჩინეთ!

ოკუპირებულ ცხინვალში სამხედრო აღლუმით აღნიშნეს „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის დღე“.

სტრასბურგში გაემგზავრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დელეგაცია, რომლის წევრებიც შეხვდებიან ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და ევროსაბჭოს სხვა სტრუქტურების ხელმძღვანელებს.

21 ორშაბათი

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ თათბირზე ირაკლი ღარიბაშვილმა, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებმა ნოდარ ხადურმა და დიმიტრი ქუმსიშვილმა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ იმსჯელეს ეროვნული ვალუტის მდგომარეობაზე.

„მაესტროს“ ერთ-ერთმა მეწილემ, გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ არხის დირექტორმა სასამართლოს მიმართა ტელეკომპანიის გადახდისუუნაროდ გამოცხადების თხოვნით, რაც, თავად გაჩეჩილაძის შეფასებით, „მაესტროს“ მიზანმიმართულად გაკოტრების დანყებას ნიშნავს.

ახალქალაქის მაჟორიტარმა დეპუტატმა სამველ პეტროსიანმა დატოვა ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო ფრაქცია, თუმცა საპარლამენტო უმცირესობის წევრად დარჩა.

დილის 10 საათზე კლინიკაში მივედი. ორშაბათი მართლაც საკმაოდ მძიმე დღეა, რადგან ყოველთვის ბევრი პაციენტი გვაკითხავს. ასევე დანიშნული გვქონდა სამი ოპერაცია, ორი ძაღლის სტერილიზაცია და ერთი კატის ჭიპლარის თიაქარი. საერთოდ, ქირურგიული ოპერაციები კმაყოფილებას მანიჭებს, რადგან შედეგს მალევე ვხედავთ. დაღლასაც კი ვერ ვგრძნობ ხოლმე. ჩემს პრაქტიკაში საკმაოდ ბევრი ოპერაცია მაქვს გაკეთებული – ონკოლოგიური თუ გინეკოლოგიური, ტრავმატოლოგიური თუ პლასტიკური. მთავარია პაციენტის გამოჯანმრთელება და მისი ფეხზე დაყენება, რაც დიდად მახარებს. სტერილიზაცია გავუკეთეთ ორ მეტის ძაღლს, რომლებსაც მიკედლებულის სტატუსი აქვთ. სტერილიზაციის არსი ჩვენს მოქალაქეებს არ ესმით, რაც ძალიან საწყენია. გასტერილებული ძაღლი აღარ მრავლდება და ამით პრობლემა მოგვარებულია. ცხოველებს სტერილიზაციას იმიტომ ვუკეთებთ, რომ მათი რაოდენობა ჰუმანური მეთოდებით შევამცეროთ: ქუჩაში დაბადებულ ლეკვს ხომ ბევრი უბედურება ელოდება, იქნება ეს შიმშილი თუ საგზაო შემთხვევები, ინფექციები თუ ადამიანის სისასტიკე, რაც ძალიან სამწუხაროა...

საღამოს ნაოპერაციები ძაღლები დავაბრუნეთ იმ ადგილებზე, საიდანაც წამოვიყვანეთ, სადაც მიკედლებული იყვნენ. შემდგომი მოვლისათვის ჩავაბარეთ მათ, ვინც ძაღლებზე მზრუნველობა იკისრა. ხშირად ჩვენ მიერ დასტერილებულ ცხოველებს ებრძვის მოქალაქეების გარკვეული ნაწილი. რადგან არ უყვართ ძაღლები და არ აინტერესებთ მათი ბედი. შეპყრობილი არიან ფობიით – ძაღლების შიშით. ეს შიში აუხსნელია და უმიზეზო. სამწუხაროდ, ხშირად ძაღლები ადამიანის კაპრიზებს ეწირებიან და შედეგი სავალალოა. სწორედ ამიტომ მე, როგორც ცხოველთა დამცველი, მთელი ენერგიით ვმუშაობ მოსახლეობასთან, რომ ჩვენ, ადამიანები, ვიყოთ ჰუმანურები და ტოლერანტულები ცხოველების მიმართ. ცხოველის სიყვარულით განისაზღვრება ადამიანის ბუნება, ეს მისი ჰუმანურობის ერთგვარი ინდიკატორია.

სამსახურის მერე მე და ირმა მარტყოფისკენ გავემგზავრეთ. გზად ბევრი დამშეული ცხოველი გვხვდებოდა. მანქანაში ყოველთვის მაქვს ძაღლის ერთი ტომარა მშრალი საკვები. ამჯერადაც მქონდა და შემხვედრ ცხოველებს ვუყრიდით გზადაგზა. მარტყოფში ირმას დედა ცხოვრობს და თბილისიდან იქამდე, მგონი, ყველა ძაღლი ცნობს ჩვენს მანქანას. გზაზე გამოეფინებიან ხოლმე და კუდებს აქიცინებენ. სხვათა შორის, ერთ რამეს დავაკვირდი: გზებზე ძაღლებს დიდი ტრაილერების თურქი მძღოლებიც კვებავენ. ახლაც შეგვხვდა ერთი დიდი საბარგო მანქანა და მისმა მძღოლმა, რომ დაინახა, როგორ გადმოვიღეთ ტომარა ძაღლების გამოსაკვებად, საღოლ, საღოლო, შემოგვძახა.

მარტყოფში გვიანობამდე დავრჩით.

სამშაბათი 22

ეს დღე ჩვეული რეჟიმით მიდის. პაციენტები და მათი მფლობელები – შეშინებული ცხოველები თუ შეწუხებული პატრონები.

ვეტერინარია ისეთი სპეციალობაა, რომელიც დიდ ნებისყოფას, ცოდნას, ენერგიას და ფოლადის ნერვებს მოითხოვს. გამახსენდა ცნობილი ქირურგის, ნიკოლაი პიროგოვის სიტყვები: „ექიმი კურნავს ადამიანს, ვეტერინარი კი – კაცობრიობას“.

ბევრჯერ ყოფილა, შუაღამისასაც კი გავქცეულვარ გამოძახებაზე ან ოპერაციაზე კლინიკაში. რას იზამ, ესეც ვეტერინარების ხვედრია.

სხვათა შორის, ჩემი ჯვრისწერის დღეს სუფრიდან მომიწია გაპარვა კლინიკაში, რადგან ბათუმიდან მომაკვდავი კოკერსპანიელი ჩამოიყვანეს. როდესაც კლინიკაში შევედი, პაციენტის პატრონს გაუკვირდა, კოსტიუმში რომ ვიყავი გამოწყობილი. ბუნებრივია, პაციენტი გადარჩა და, როცა პატრონებმა შეიტყვეს, რომ საკუთარი ჯვრისწერიდან წამომიყვანეს, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

საღამოს შვილიშვილის სანახავად წავედი. სანდრო, დამინახავს თუ არა, მემალება – ასეთი თამაში აქვს მოგონილი. ორი შვილიშვილი მყავს: ნიცა და სანდრო. შვილიშვილები მართლა ძალიან დიდი ბედნიერება და სიმდიდრე ყოფილა!

ავღანეთში პატრულირებისას მომხდარი თავდასხმის დროს დაიღუპა საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი კლასის რიგითი ვასილ ყულჯანიშვილი და დაიჭრა სერჟანტი პაატა როსტობაია:

ნაციონალურმა მოძრაობამ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს ეროვნული ბანკის კანონის ახალი ვარიანტი, რომლის თანახმადაც, შეიქმნა საფინანსო ზედამხედველობის ახალი სააგენტო.

სტუდია „მაესტროს“ 25%-იანი წილის მფლობელმა, მაკა ასათიანმა „საზოგადოების შეცდომაში შეყვანა“ უწოდა „მაესტროს“ ერთ-ერთი მეწილის, გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებას არხის მიზანმიმართული გაკოტრების შესახებ.

ოთხშაბათი 23

დილის 9 საათზე გავემგზავრე დასავლეთ საქართველოში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან შესახვედრად. ამ სტუმრობის მიზანი იყო ძაღლებისა და კატების მოვლა-პატრონობის, მათი პოპულაციური მართვის წესის პროექტის ჩატანა და მასპინძლებთან ერთად განხილვა.

14 საათზე შევხვდი საკრებულოს წევრებს, გავაცანი წესის პროექტი. მოიწონეს და იმედი მომცეს, რომ უმოკლეს ვადაში დაამტკიცებენ.

შევხვდი ჩოხატაურის რეგიონში გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებსაც. მომატარეს მთელი ტერიტორია, დამათვალიერებინეს ახლად აშენებული ცხოველთა თავშესაფარი. სამწუხაროდ, აღფრთოვანებული ვერ დავრჩი, რადგან საოპერაციო ოთახი არ იყო კეთილმოწყობილი. ბოლოს შემომთავაზეს ბახმაროში წასვლა და მდგომარეობის ადგილზე გაცნობა. სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან ბავშვობის მერე იქ არ ვყოფილვარ.

გავემგზავრეთ მანქანით. სასიამოვნო სანახავი იყო მდინარე გუბაზოული, ბავშვობაში იქ ხშირად მიბანავია კიდეც. მიყვარს გურია! ჩვენი ფესვებიც ნაბეღლავიდან მოდის. ნაბეღლავს რომ მივუახლოვდით, გუბაზოულზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დავინახე, რამაც ძალიან დამაღონა.

ეროვნული უშიშროების საბჭომ იმსჯელა 2016 წლისთვის საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის, სამხედრო აღმშენებლობისა და საფრთხეთა შეფასების დოკუმენტის პროექტზე.

საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი პარიზში შეხვდა თავის ფრანგ კოლეგას, ლორან ფაბიუსს.

ირაკლი ღარიბაშვილმა საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელად წარადგინა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ესტუმრა შიდა ქართლის საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებს.

ადგილობრივ გურულებს რომ ვკითხე, აზერბაიჯანული კომპანია აშენებსო, მითხრეს. საინტერესოა, ამ მდინარის ხასიათი თუ შეისწავლეს. გუბაზოულმა ისეთი ადიდება იცის, გზაც კი აღარ მოჩანს. ძალიან ვწუხვარ, რომ ენერგეტიკის სამინისტრომ ამ სადგურის აშენების ნებართვა გასცა. ადამიანები ბუნებას ძალიან დიდ ზიანს ვაყენებთ საკუთარი ინტერესების სანაცვლოდ. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, გადაშენების საფრთხე ემუქრება გუბაზოულის ცნობილ ენდემურ კალმახს. ცხადია, რომ ჰესის გამო კალმახი ვეღარ შეძლებს ქვირითის დასადებად სათავეებთან ასვლას. და სულ მალე გაქრება კიდეც.

გავაგრძელეთ გზა, მივუახლოვდით ცხრაწყაროს, გავჩერდით წყლის დასალევად. გარშემო აუწერელი სილამაზე იტაცებდა თვალს. ფოთლოვან ტყეს წიწვოვანი ცვლიდა, ჩვენ კი სულ უფრო მაღლა მივიწევდით. გავიარეთ 50 კილომეტრი და მალე ზღვის დონიდან 2050 მეტრ სიმაღლეზე აღმოვჩნდით. აქ სულ სხვა ჰაერი და სხვა შეგრძნებაა... კურორტზე კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. იყვნენ მხოლოდ მეტყევეები, პოლიციელები და ერთი-ორი დამსვენებელი, ცარიელი სახლები, დაკეტილი მაღაზიები და ჩვენ.

მეტყევეებმა გვიმასპინძლეს. მაინტერესებდა, კიდევ არის თუ არა ბრაკონიერობის შემთხვევები, მონადირეების თარეში წითელ ნუსხაში შესულ ცხოველებზე: დათვზე, გარეულ ღორზე, მგელზე... როგორც მითხრეს, მწყერზე ნადირობენ სატყუარათი, რაც კანონით აკრძალულია. კიდევ კარგი, დროულად აღმოაჩინეს და დაჯარიმეს.

ბახმარო მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია, მაგრამ – მიტოვებული. სახელმწიფომ მას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს ალპური ზონაა ზღვასთან ახლოს, ზღვისა და მთის ჰავის შეზავება კი კლიმატს ქმნის.

მოსაღამოვდა, ადგილობრივმა აჭარლებმა სახლებში შეგვიპატიჟეს. ძალიან მაინტერესებდა, როგორ ცხოვრობდნენ აჭარლები მთაში. მოვინახულე მარკოიძეების ოჯახი, რომელიც მაისიდან ოქტომბრამდე ბახმაროში რჩება და მესაქონლეობას ეწევა. მარკოიძეებს 15 ძროხა ჰყავთ და ამ ყველაფერს ერთი დიასახლისი უძღვება. დიასახლისმა გაგვიშალა სუფრა, გავსინჯეთ კაიმაღი, ბორანო და სხვა აჭარული კერძები. დაღლილებმა ტკბილად დავიძინეთ.

24 ხუთშაბათი

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე სანქტ-პეტერბურგში შეხვდა რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერს ვალენტინა მატვიენკოს.

თბილისში, პრეზიდენტის სასახლესთან, გაიმართა „ერეკლე მეორის საზოგადოების“ ორგანიზებული აქცია რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებისა და

დილას ადრე გამეღვიძა. მასპინძლებთან ერთად ავდექი. გარეთ გამოვედით, წყაროს წყლით ხელ-პირი დავიბანე, აჭარელმა მასპინძლებმა მახარეს, რომ ბაირამობა ჰქონდათ და მეჩეთში დამპატიჟეს. სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან მაინტერესებდა მათი რიტუალი, ეს ყველაფერი უცხო იყო ჩემთვის. გავემგზავრეთ ბეშუმის მიმართულებით და გავჩერდით ერთ სოფელში, სადაც მეჩეთის ეზოში მუსლიმები შეგროვი-

ლიყვნენ. აჭარლები ჯერ დაბანის რიტუალს ასრულებდნენ, შემდეგ ფეხშიშველები მეჩეთში შედიოდნენ სალოცავად. მე გარედან ვაკვირდებოდი მათს ლოცვას. მოგვიანებით შევიტყვე, რომ იწყებოდა მსხვერპლშეწირვის რიტუალი, რის შემდეგაც იქაურობას გავეცალე... ისე, მსხვერპლშეწირვის ტრადიცია მართლმადიდებლებსაც გვაქვს (მაგალითად, ლომისობის დღესასწაულზე), რაც ყოვლად მიუღებელია ცივილიზებული ადამიანისთვის. საღამოს დაღლილები დავბრუნდით თბილისში.

საქართველოს მიერ სამხედრო ნეიტრალიტეტის გამოცხადების მოთხოვნით.

საქართველოს მეჩეთებში შესრულდა საზეიმო ლოცვა ყურბან-ბაირამის მაჰმადიანური დღესასწაულის დაწყების აღსანიშნავად.

პარასკევი

25

დილის 8 საათზე დამირეკეს. ძაღლი ვერ მშობიარობდა და დახმარება მთხოვეს. ერთ საათში დავიწყეთ საკეისრო კვეთა, გამოვიყვანეთ 12 სენ-ბერნარის ლეკვი, ძალიან საყვარლები და დიდები იყვნენ. დედა და შვილები თავს ჯანმრთელად გრძნობენ.

ბავშვობიდანვე მიყვარდა ცხოველები. დედა მინერგავდა ამ სიყვარულს. მყავდა პატარა ლეკვი, დეზი, რომელსაც დიდი სიყვარულით ვუვლიდით და ვზრდიდით. ექიმების ოჯახში გავიზარდე და, როცა პროფესიის არჩევის დრო მოვიდა, არ ვიცოდი, ტრადიციას გავყოლოდი თუ ვეტერინარი გავმხდარიყავი. ცხოველების სიყვარულმა მძლია. ბოლო ხანს ვეტერინარია საკმაოდ განვითარდა საქართველოში. წინათ ძალიან ცუდი ვითარება იყო. ხშირად დავდივარ უცხოელების ტრენინგებზე, ვცდილობ, კვალიფიკაცია ავიმაღლო, რადგან მინდა, საქართველოში ეს დარგი ევროპულ დონეზე იყოს განვითარებული.

გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაში მონაწილეობის მისაღებად ნიუ-იორკში გაემგზავრა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით.

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ბრიუსელში შეხვდა რუსეთის სახელმწიფო კომპანია „გაზპრომის“ აღმასრულებელ დირექტორს, ალექსეი მილერს.

მსოფლიო ჩემპიონატის მეორე შეხვედრაში საქართველოს მორაგბეთა ეროვნული გუნდი დამარცხდა არგენტინის ნაკრებთან – 9:54.

შაბათი

26

შაბათს მეტი დრო მრჩება შვილიშვილებისთვის. თუ, რა თქმა უნდა, მოულოდნელმა ზარმა კლინიკაში არ ამომაყოფინა თავი.

დღეს ბავშვები ზოოპარკში წავიყვანე. ძალიან ცუდი შეგრძნება მქონდა. მას შემდეგ, რაც სტიქია მოხდა, სულ ამაზე ვფიქრობ. ცხოველების ნახევარი განადგურდა როგორც მოვარდნილი წყლის, ისე ადამიანების არასწორი მოქმედების გამო. შუმბა სულ თვალწინ მიდგას...

მოკლედ, მინდა დავისვენო ჩემს ოჯახთან ერთად. იმედია, ყველაფერი მშვიდად იქნება. ძალიან მიყვარს ჩემი ოჯახი, პროფესია, მეგობრები, ახლობლები, ბუნება და ცხოველები. შვილებსაც ამას ვასწავლი: სიკეთე სიკეთეს შობს, ბოროტება კი – ბოროტებას.

ნიუ-იორკში გაეროს მდგრადი განვითარების სამიტზე სიტყვით გამოვიდა ირაკლი ღარიბაშვილი.

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა აშშ-ში.



ნანა ბაგალიშვილი

ევროპისმცოდნე. დაიბადა 1991 წლის 5 ოქტომბერს სიღნაღში. დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი ევროპისმცოდნეობის მიმართულებით. 2015 წლიდან სწავლობს კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე. იყო „წნორის საინიციატივო ჯგუფის“ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. 2012 წელს წნორელ ახალგაზრდებთან ერთად დააფუძნა „სამოქალაქო ინიციატივა - Civic Initiative“; 2015 წლიდან სათავეში უდგას ამ ორგანიზაციას.

27 კვირა

ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვა წარმოთქვა ნიუ-იორკში, გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდის საკითხებისადმი მიძღვნილ მსოფლიო ლიდერთა შეხვედრაზე.

მთავრობის ადმინისტრაციასთან გაიმართა „აფხაზთა კრების“ ორგანიზებული აქცია „არა ოკუპაციას!“

სოხუმის დაცემის 22-ე წლისთავზე საქართველოში პატივი მიაგეს აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაღუპულთა ხსოვნას.

დღეს თბილისში გამეღვიძა. კვირას მაინც რომ არ წამცდენოდა ხელი საქმისკენ, დედაქალაქში თანამესულესთან ჩამოვედი. გამიმართლა, პირველად ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში თერთმეტი საათისკენ გავიღვიძე. თვალი გავახილე თუ არა, ჩემი რიტუალი შევასრულე – ავტომატურად ტელეფონისკენ წავიღე ხელი და ფეისბუკი შევამოწმე. ჩემი წნორელი მეგობარი ნაწყენი წერდა, რადგან თანასოფლელ მოძღვარს ჩვენი ორგანიზაციის მოხალისისთვის უთქვამს, რომ ის ჩემი მონაა. გამეცინა, გაბრაზებით როგორ გავბრაზდებოდი, მაგრამ წყენით ცოტა მეც ვიწყინე. მოქალაქეს, მით უმეტეს, სასულიერო პირს, რატომ უნდა გინდოდეს, სოფლების გამოცოცხლებისთვის მშრომელ მოხალისეს აგდებით დაელაპარაკო და ვინმეს მონა უწოდო?

გული მწყდება, ეკლესია ხომ მოხალისეობრივი კულტურის დანერგვის ინსტიტუტიც უნდა იყოს და ლამის პირიქითაა. ჰოდა, ამიტომ გადავწყვიტე, წნორელი სასულიერო პირები დავპატიჟოთ ჩვენს ოთახში (ასე ვეძახი ჩვენი ორგანიზაციის ოფისს), გავაცნოთ ჩვენი საქმიანობა, განვუმარტოთ მოხალისეობის ცნება და ვუამბოთ ჩვენს ქვეყანასა თუ უცხოეთში კულტურულ-საგანმანათლებლო სერვისების მქონე ეკლესიების გამოცდილებაზე. იქნებ ამის შემდეგ მაინც შეიცვალოს მათი პოზიცია და მოხალისესაც აღარ უწოდონ მონა.

ამ ამბით გუნებაწამხდარი ავდექი. საკუთარ თავთან სიჩუმის დიალოგები დავიწყე. მერე ფიქრით ჩემს საყვარელ ადამიანებს ჩამოვურბინე და მეხსიერების არქივებიდან გამოვალაგე გოზინაყა მოგონებები. მერე ჩემი თანამესულის ნახატებიც დავათვალიერე. მიხარია, ვგულშემატკივრობ, იმიტომ რომ ხატვა 23 წლისამ დაიწყო და ასე ახერხებს თვითგამოხატვას.

საღამოს ჩემს თანასოფლელ თათიასთან მივდივარ სამსახურში. ფული უნდა გამოვართვა, რომელიც მან და მისმა რამდენიმე მეგობარმა შეაგროვეს. უნდათ, ჩვენს თანასოფლელ სოციალურად გაჭირვებულ ბავშვებს სპექტაკლის ბილეთები შევუძინოთ. კონვერტით გადმომცა ფული და წამოვედი. კიდევ ერთი შეხვედრა მაქვს. სანამ დანიშნულების ადგილზე მივიდოდი, თათიაზე და ჩვენს სოფლებზე მეფიქრებოდა. არ უნდა უშვებდეს მუნიციპალიტეტი თათიას მსგავს კადრებს დედაქალაქში. გული მისკდება, სოფლებიდან გარბიან ახალგაზრდები. თვითონაც გარბიან და თითქოს ყრიან კიდეც.

კვირა გამოვიდა სანატრელად კარგი. დავისვენე. ადრე დავიძინებ. ვიცი, გადარბენა კვირა მელოდება. ფესტივალისთვის დიდი სამზადისი გვაქვს.

ორშაბათი

28

დილით ფაცხაფუცხით წამოვხტი, ვიცი, დღეს ბევრი უნდა მოვასწრო. თავს ძალა დავატანე და სამზარეულოში შევირბინე, ვაშლი ავიღე, თან დღის გრძელი გეგმის წერას შევუდექი. მერე სარკეში ჩავიხედე, საკუთარ თავს გავუღიმე, შევაქე კიდეც გასამხნევებლად. სახლიდან გავედი, „მარშრუტკიდან“ ვპასუხობდი ფეისბუკზე მიღებულ წერილებს. ერთი თანასოფლელი მთხოვდა ახმეტელის თეატრის სპექტაკლზე დასასწრები ბილეთების დაჯავშნას თავისთვის და მეგობრებისთვის. მიხარია, რომ ბილეთები თითქმის უკვე სულ დაჯავშნილია ოთხშაბათისთვის. ძალიან მიხარია, ზოგჯერ მგონია, რომ სიხარულისგან ყელში ბურთი მებჯინება. ხანდახან მინდა, რიგითი თანადედამიწელი გავაჩერო და ვუთხრა, რომ სამყაროს მადლიერი ვარ. მიხარია, რომ ახმეტელის თეატრმა ფესტივალ „ქიზიყურ შემოდგომას“ მხარდაჭერა გამოუცხადა. თანაც როგორი, ჩვენ ვერც კი შევბედავდით გვეთხოვა, რაც თვითონ შემოგვთავაზეს – ჩამოსულიყვნენ თავიანთი ხარჯებით სიღნაღის თეატრში, საბავშვო სპექტაკლი ჩამოეტანათ და გაყიდული ბილეთების თანხა ფესტივალის საორგანიზაციო ფონდში გადაერიცხათ.

ილიას უნივერსიტეტში მივედი. ორწლიანი აკადემიური შვებულების შემდეგ წელს კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი გავხდი. საგნების არჩევასთან დაკავშირებული საკითხები გავარკვიე. აქვე საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაშიც შევირბინე. მათთან განცხადება გვქონდა დატოვებული, რათა ფესტივალ „ქიზიყური შემოდგომისთვის“ მხარი დაეჭირათ და სკოლების

გიორგი მარგველაშვილი ნიუიორკში შეხვდა ლატვიის პრეზიდენტს რაიმონდს ვეიონისს, სლოვენიის პრემიერ-მინისტრს მირო ცერარს და ქართული დიასპორის წარმომადგენლებს.

ირაკლი ღარიბაშვილი ნიუიორკში შეხვდა თურქეთის პრემიერ-მინისტრს აჰმედ დავუთოღლუს, კარიბის ზღვისა და აფრიკის რამდენიმე ქვეყნის ლიდერებს, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ვიქტორია ნულანდს, და სიტყვით გამოვიდა გაეროს მდგრადი განვითარების სამიტის ფარგლებში გამართულ ფორუმზე „პლანეტის დაცვა და კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლა“.

ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაფასებლად საქართველოში ჩამოვიდა ევროკავშირის მისია.

სახელოვნებო წარდგენებში გამარჯვებულები დაეჯილდოებინათ. სიხარულით მიიღეს ჩვენი შეთავაზება და სასაჩუქრე პაკეტების ვერსიები განვიხილეთ.

უნივერსიტეტიდან გამოსულმა ვიკითხე, ელიავაზე რა ნომერ მიკროავტობუსს გავყოლოდი. თბილისში ოთხი წელი ვიცხოვრე და გზები ვერ ვისწავლე. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი ქალაქი არ არის. ტრანსპორტის მოლოდინში „ფინკა ბანკის“ წარმომადგენელმა დამირეკა და მითხრა, რომ წელს მათი ბანკიც იქნება „ქიზიყური შემოდგომის“ ფინანსური მხარდამჭერი. დავამთავრე თუ არა მასთან ლაპარაკი, ჩვენი გუნდის წევრებს დავურეკე და ახალი ამბავი ვახარე. ამასობაში ელიავაზეც მივედი. სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრის სასცენო განათების მოსაწყობად სანათების ყიდვა გვინდა. ბევრი ფული არ გვაქვს, სულ 860 ლარია, რაც თეატრში საქველმოქმედო წარმოდგენებითა და რიგითი მოქალაქეების შემოწირულობით შეგროვდა.

29 სამშაბათი

გიორგი მარგველაშვილმა მონაწილეობა მიიღო ნიუ-იორკში, ლიტვის პრეზიდენტის მიერ ორგანიზებულ დისკუსიაში „აღმოსავლეთ ევროპის მომავალი - ქალთა გაძლიერება“, სიტყვით გამოვიდა აშშ-ის საგარეო ურთიერთობათა საბჭოში და შეხვდა ხორვატიისა და პოლონეთის პრეზიდენტებს – კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩსა და ანჯეი დუდას.

ირაკლი ღარიბაშვილი სიტყვით გამოვიდა ნიუ-იორკში გამართულ გაეროს სამშვიდობო ოპერაციების სამიტზე და შეხვდა მოლდავეთის პრემიერ-მინისტრ ვალერი სტრელეცს.

რუსთავში სამხედრო პატივით დაკრძალეს ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცი ვასილ ყულჯანიშვილი.

კარალიოკის ხესავით ბედნიერს გამომეღვიძა. სულ მაინტერესებს, რა ხდება ძილის პროცესში ისეთი, რომ დილით ზოგჯერ თავისთავად მოღიმარ-მოკისკისეს მეღვიძება.

ჭამა ვერ მოვასწარი, ჩვეული ფართხაფურთხით გადავიცვი ტანსაცმელი და გავიქეცი ჩვენი „სამოქალაქო ინიციატივის“ ოთახში. ნახევარ საათში „ქიზიყური შემოდგომის“ სკოლებთან ურთიერთობის კომიტეტის წევრებიც მოვიდნენ. დღეს დედოფლისწყაროს სკოლებში წავიდნენ, რომ ფესტივალში მონაწილეობის შესაძლებლობებსა და პირობებს გასცნობოდნენ. რაღა თქმა უნდა, ავტოსტოპით წავიდნენ წნორიდან მეზობელ მუნიციპალიტეტში, რადგან ასე ფესტივალის ბიუჯეტსაც დავზოგავთ და ბევრ ჩვენებურსაც გაიცნობენ, ჩვენს გუნდზე მოუყვებიან და ფესტივალზეც დაპატიჟებენ.

მე ოფისში დავრჩი, ფორმალურ-ოფიციალური მიმოწერა იყო საჭირო ორგანიზაციისა და „ქიზიყური შემოდგომის“ პარტნიორებთან. რამდენიმე ორგანიზაციის მარკეტინგის სამსახურს აინტერესებდა ფესტივალის შესახებ დამატებითი ინფორმაცია და ელექტრონული ფოსტით გავუგზავნე. ბოლო ხანებში იმდენ ოფიციალურ წერილს ვწერ, მეშინია, ეს ცივი ტონი ყოველდღიურობასაც არ გადავდო.

ძირითადი მიმოწერა რომ მოვითავე, ოფისი დავალაგე და ამ დროს დედოფლისწყაროდან ჩვენი გუნდის წევრებმაც დამირეკეს, მოვდივართ, გვშია და იქნებ რამე დაგვახვედროო. აკაკის ვთხოვე, კიტრი და პამიდორი შემოეტანა ბაზრიდან სალათის მოსამზადებლად.

მთელი დღე ზარები არ წყდებოდა, რეკავდნენ ახმეტელის თეატრის სპექტაკლ „რაპუნცელზე“ ბილეთების დასაჯავ-

შნად. 100-ზე მეტი მსურველისთვის მოგვიხდა უარის თქმა, რადგან ბილეთები გუშინ სულ გაიყიდა. გვთხოვდნენ, კიდევ მოიწვიეთ ახმეტელის თეატრის დასიო.

საღამოს, სახლში მისულმა, მამასთან და ჩემს რძალთან ერთად კერძების მომზადება გავაგრძელე, ხვალის სპექტაკლის შემდეგ ახმეტელის თეატრის დასს რომ ვუმასპინძლოთ. „გემრიელობებს“ ვამზადებთ, თან ფეისბუკში დედას ვწერთ ჩვენს ამბებს. დედა ემიგრაციაშია და, როცა ოჯახში განსაკუთრებული სამზადისია, ისიც მუდმივად ონლაინაა და კითხულობს, რას და როგორ ვაკეთებთ.

ოთხშაბათი

ამ დილით ჩემი ბიჭის ზარმა გამაღვიძა. თვითონ უფრო ადრე იღვიძებს და მეხმარება ხოლმე, რომ მეც ადრიანად დავიწყო დღე. მთხოვს, სახლიდან სანამ გავალ, შევჭამო რამე. მეც პირობა არ გავუტეხე და მამაჩემის შედედებული მაწონი ამოვჭამე.

11 საათისთვის საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრიდან სტუმრები მივიღეთ. ჩვენ, „სამოქალაქო ინიციატივა“, მათი მხარდაჭერით ვცდილობთ, ინსტიტუციონალურად განვვითარდეთ. ხშირად ბევრ და კარგ საქმეს რომ ვაკეთებთ, ეს კარგია, მაგრამ, თუ არ ავაწყვეთ სტრუქტურა, სტრატეგიულად თუ არ დავგეგმეთ და ვიმოქმედეთ, შესაძლოა, ყველაფერი ჩაიშალოს. ეს კი ძალიან მაშინებს. ნერწყვი მიმლაშდება იმის წარმოდგენაზე, რომ შესაძლოა, ეს საქმე არავინ გააგრძელოს. მოკლედ, წელს ამაზე ვმუშაობთ და ყველას ვიწვევთ მრჩეველთა საბჭოში, ვისაც სურს, რომ ჩვენი დაწყებული საქმეები უფრო ფართო მასშტაბით და უფრო მყარად ვაკეთოთ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მაღაზიებში ჯაჭვის საყიდლად გავედი. წნორის მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა – „მარი მარკეტის“, მაღაზია „კოდაკისა“ და ერთ-ერთი წისქვილის წარმომადგენლებმა მიიღეს ჩვენი წინადადება, რომ წნორის სკვერში საბავშვო ატრაქციონების რეაბილიტირებისთვის თანხა გაეღოთ. მეც ამ თანხით ვიყიდე საქანელებისთვის საჭირო ჯაჭვი და თანამუნიციპალიტეტელ ოთარ ბიძინაშვილს მივუტანე, რომელიც, თავის მხრივ, დამთანხმდა, რომ, თუ მასალა ექნებათ, მისი კომპანია უფასოდ შეასრულებს სარემონტო სამუშაოებს. მოკლედ, წნორში ჩვენს ბავშვებს მალე განახლებული მცირე ატრაქციონები ექნებათ. საამაყოა წნორელი ბიზნესმენების დიდი სოციალური პასუხისმგებლობა და ჩვენი გუნდისთვისაც პასუხისმგებლობაა, რომ ადგილობრივი ბიზნესი ნდობას და მხარდაჭერას გვიცხადებს.

შუადღისას სიღნაღში ავედით. აქაურ თეატრში „რაპუნცელის“ სანახავად 100-ზე მეტი ბავშვი მოვიდა. სანამ სპექტაკლი დაიწყებოდა, პატარა უფლისწულისეული დიალოგები

30

შსს-მ დაადასტურა, რომ გენეტიკური ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებულია თბილისში 13 ივნისის სტიქიური უბედურების დროს დაკარგული ელიზბარ ბაღაშვილის გვამი.

ირაკლი ღარიბაშვილი ნიუიორკში შეხვდა წამყვანი საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების წარმომადგენლებს და უმასპინძლა საინვესტიციო ფორუმს.

საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელად დანიშვნის გამო პარლამენტმა სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყვიტა უმრავლესობის ლიდერს, დავით საგანელიძეს.

გაგვიმართეს ბავშვებმა. სპექტაკლის დასრულების შემდეგ იიმდენი, იიმდენი თვალებში ჭინკებმოხტუნავე ბავშვი ვნახე... ეს იყო ჩემი ჯილდო ამ დღეს.

დღეს კიდევ ერთი საჩუქარი მივიღე: თანასოფლელმა, თითქმის უცნობმა ადამიანმა, თექის ჩანთა მაჩუქა. რომ ვკითხე, რატომ-მეთქი, მიპასუხა, თქვენ რომ ამდენს გვახარებთ, ჩვენც ხომ უნდა გაგახაროთო. ასეთი შემთხვევები მამხნევებს და მიბიძგებს, რომ მეტი გავაკეთოთ.

საღამოს ახმეტელის თეატრის დასის სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად დავგეგმეთ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ცხრა მუზეუმში გასამართი შეხვედრებისა თუ ვორკშოფების თემები.

გვიან საღამოს თბილისში წამოვედი, ღამის 10 საათზე შეხვედრა მქონდა კლუბში მტკვარზე. კლუბის მფლობელებმა, არაჩვეულებრივმა ქეთამ და ნოდომ, გვითხრეს, რომ „ქიზიყურ შემოდგომაზე“ ჩამოვლენ საკუთარი ხარჯებით და ელექტრონული მუსიკის ღამეს გამართავენ.

1 ხუთშაბათი

ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვა წარმოთქვა ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე.

გიორგი მარგველაშვილი ვაშინგტონში შეხვდა ამერიკელ სენატორებს – ჯონ მაკკეინს, ბობ კორკერსა და ბენჯამინ კარდინს, კონგრესის წარმომადგენელთა პალატის უმცირესობის ლიდერს ნენსი პელოსის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელს, კრისტინ ლაგარდს.

„რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა, ნიკა გვარამიამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ „ტელეკომპანია საქართველოს“ წილების დაყადაღება შეაფასა ხელისუფლების გადანყვეტილებით არხის „მაუწყებლობის პრაქტიკულად შეწყვეტად“ და მოსახლეობას მიმართა თხოვნით, ფინანსური დახმარება გაუწიონ „რუსთავი 2“-ს.

გამთენიისას ბაკურიანისკენ წამოვედი. ქუთაისის მერიის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ ბანაკში ორ ნაკადს ვხვდები. მათთანაც ვისაუბრებ მოხალისეობაზე, მოხალისეების როლზე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაში და გავაცნობ ჩვენი ორგანიზაციის, „სამოქალაქო ინიციატივის“, გამოცდილებას.

თბილისიდან მიკროავტობუსი დილით არ გამოვიდა. ამიტომ ბორჯომში ჩავედი, სადაც 3 საათამდე ვუცადე ბაკურიანისკენ წამომსვლელ ტრანსპორტს. დიდად არ მიდარდია, მთელი სამი საათი მქონდა „ქიზიყური შემოდგომის“ საქმეების მოსაგვარებლად. ჯერ წნორში მცხოვრებ ინდოელ ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელს დავუკავშირდი და შევთავაზე ფესტივალში მონაწილეობა. შემდეგ ფესტივალის ფოტოგრაფთან, მამნესთანაც დავაზუსტე, როდის ჩამოვიდოდა ახალციხიდან წნორში.

ლეპტოპიც გავხსენი, ორგანიზაციის ინტერნეტბანკინგში შევედი. 87 ლარი კიდევ ჩაერიცხათ „ქიზიყური შემოდგომის“ საორგანიზაციო ფონდში ჩვენი გუნდისა და ფესტივალის მხარდამჭერებს. 1000 ლარამდე იქნება რიგითი მოქალაქეების მიერ გადმორიცხული თანხა. მიხარია, ეს თანხა ათასჯერ ძვირფასია, ვიდრე რომელიმე ფონდის ან სახელმწიფო ინსტიტუტებისგან მიღებული ათიათასობით ლარი.

როგორც იქნა, ბაკურიანამდე ავაღწიე. საღამოს ბანაკის პირველი ნაკადის ახალგაზრდებს და ქუთაისის მერს შევხვდი. ახალგაზრდებმა თავიანთი ქალაქის მერს შეკითხვები დაუსვეს. პასუხებიც მიიღეს, თან ისეთი, როგორსაც, ალბათ, ყველა ქალაქისა თუ სოფლის მცხოვრებლები ინატრებდნენ. თურმე ქუთაისს აქვს 40000 ლარი ახალგაზრდული ინიციატი-

ვების მხარდასაჭერად. ასეთი ფონდები ყველა მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს, თუ გვინდა, რომ ახალგაზრდებს გამოუმუშავდეთ საქმის პრაქტიკულად კეთების უნარი, სოფელი შეუყვარდეთ და იქიდან გაქცევა ნაკლებად მოუნდეთ.

პარასკევი

ცოტა ადრე გავიღვიძე. სანამ ახალგაზრდებთან შეხვედრას დავიწყებდი, ბაკურიანის ორღობეებში გავისეირნე. სუნთქვა შემეკრა ძველი სახლების არქიტექტურაზე. ამ სახლებს აკლიათ მთავარი – მობინადრეები. ტურისტული ინფრასტრუქტურა ბაკურიანშიც მხოლოდ ახალი სასტუმროების შენებად, სახლების გადალესვად და გზების დაგებად გაუგიათ. ამ სახლებს, ჩუქურთმებიან აივნებსა და სარკმლებს ცოტა მივეფერე, ფოტოები გადავუღე და წავედი ბანაკის ახალგაზრდებთან.

სასტუმროში მოსულმა აღმოვაჩინე, რომ სხდომის დაწყებამდე დრო კიდევ მქონდა. დაპირებული წერილები გავგზავნე ელფოსტით. ჩვენს პარტნიორს, CSRDG-ს მივწერე, იქნებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელს შეგვახვედროთ-მეთქი. საიტზე სამინისტროს არაფერი უწერია წლის პრიორიტეტებისა და რეგიონალური პროგრამების შესახებ. არადა, გვაინტერესებს ეს ინფორმაცია. წელს მუნიციპალური კულტურის სახლებისა და მუზეუმების თემებზე აქტიურად ვაპირებთ მუშაობას და გვინდა, სამინისტროს პოზიციაც ვიცოდეთ ამ საკითხებზე.

როცა რაიმე სხდომას ან ტრენინგს ვუძღვები, ცოტა ვღელავ ხოლმე. თავიდან ქუთაისელ ახალგაზრდებთანაც ვღელავდი, შემდეგ კი ლაღად შევასრულე ჩემი მისია.

შესვენების დროს ჩვენი გუნდის წევრს, უფრო სწორი იქნება, ვთქვა, ჩვენი გუნდის ოქროს თევზს, ქეთის ვესაუბრე. მითხრა, რომ წნორში ბიზნესსექტორთან შეხვედრებმა კარგად ჩაიარა. წელსაც ადგილობრივი ბიზნესების წარმომადგენლები დააწესებენ საპრიზო ფონდს „ქიზიყური შემოდგომის“ ფარგლებში სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული სკოლებისთვის.

ბანაკში შეხვედრის მეორე ნაწილში ძირითადად ვაჩვენე ვიდეოები, თუ როგორ აგვარებენ ჩვენს ქვეყანაში და უცხოეთში ადგილობრივ პრობლემებს კრეატიული და მშვიდობიანი მეთოდებით ახალგაზრდული ჯგუფები. მოეწონათ და მეც კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ გვჭირდება პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება, გვჭირდება რწმენა, რომ დიახ, კი, ნამდვილად მეც და ჩვენც შეგვიძლია ჩემს და ჩვენს გარემოზე პოზიტიური ზემოქმედება.

საღამოს FB წერილები შევამოწმე, ერთი უცნობი გოგონა მწერდა: „რამდენადაც ვიცი, ,,ქიზიყური შემოდგომის“ პროექტის ავტორი ბრძანდებით. 11 ოქტომბერს დანიშნულ გამოფენასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. მინდა მამაჩემის

2

„რუსთავი 2“-ის მხარდასაჭერად ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან „თავისუფალი ზონის“ მიერ ორგანიზებული აქციის მონაწილეები სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატს, დავით ლორთქიფანიძეს.

გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ მედიაში განვითარებული პროცესები სერიოზულ შეკითხვებს ბადებს და ყველა მხარეს მოუწოდა ახსოვდეთ, რომ თავისუფალი მედია სახელმწიფოს უზენაესი ღირებულებაა.

ირაკლი ღარიბაშვილი ნიუიორკში შეხვდა გაეროს გენერალურ მდივანს ბან კი მუნს.

გორის საკრებულომ მხარი არ დაუჭირა საინიციატივო ჯგუფის წინადადებას ქალაქში სტალინის ძეგლის აღდგენის შესახებ.

შესრულდა 20 წელი საქართველოში ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად ლარის გამოცხადებიდან.

ინგლისსა და უელსში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები დამარცხდა მსოფლიო ჩემპიონთან, ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდთან – 10:43.

ფერწერული ნამუშევრების, გრაფიკისა და კერამიკის გამოფენა. თქვენ ჩემი იმედი ხართ, რომ მამა ფართო ასპარეზზე გამოვიყვანო“. ეს გოგონა თურმე ბაკურციხელი ყოფილა, მამამისი კი – სასულიერო პირი. უზომოდ გამიხარდა, რომ გამოგვეხმაურა და შეთანხმებასაც მივაღწიეთ.

3 შაბათი

მრავალსაათიანი ცხარე კამათის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის დელეგატებმა პრეზიდენტად აირჩიეს ლევან კობიაშვილი.

ქუთაისში პოლიციამ დეპუტატ დავით ლორთქიფანიძის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ბრალდებით დააკავა ნაციონალური მოძრაობისა და „თავისუფალი ზონის“ სამი წევრი.

პროფკავშირების გაერთიანებამ თბილისში, რუსთაველის გამზირზე მოწყობილი აქციით აღნიშნა „ღირსეული შრომის დღე“ და მთავრობას მოუწოდა, გადასინჯოს მინიმალური ხელფასის ოდენობა.

კოკისპირულმა წვიმამ დააზარალა ქალაქი რუსთავი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლები.

ოქტომბერი

დღესაც ადრიანად გავიღვიძე, 8 საათზე უკვე ბაკურიანიდან ხაშურში წავედი, იქიდან კი – ბათუმში, ქორწილში. ორის ნახევრისთვის ბათუმში ვიყავი, სალონში მივედი გაჩეჩილი, თმა დავივარცხნე. მაკიაჟისთვის 30 ლარი მომთხოვეს. მეძვირა და გადავწყვიტე, თვითონ შევღებილიყავი. ასეც მოვიქეცი.

წავედი ბათუმის არტკაფეში. ორი საათი ვიმუშავე, თან იქაური გარემოთი და თურქული ყავით ტკბობაც მოვახერხე. საბოლოოდ გავარკვიე, რომელი ბანკები დაუჭერენ მხარს ფესტივალს. ბანკების მხარდაჭერა კარგია, მაგრამ სამწუხაროა, რომ ფესტივალის სლოგანი – „წნორს სჭირდება კულტურის სახლი“ – წელსაც უცვლელია.

დავუკავშირდი წლევანდელი ,,ქიზიყური შემოდგომის“ საორგანიზაციო გუნდის ხელმძღვანელსაც და ვთხოვე, ფესტივალის კომიტეტების მენეჯერებთან გაერკვია, როგორ მუშაობენ.

საქმეებს რომ მოვრჩი, კაფეს საპირფარეშოში შევედი, სპორტული ტანსაცმელი გავიხადე, ჩავიცვი დედაჩემის ნაჩუქარი სადღესასწაულო კაბა, გავიკეთე მაკიაჟი და გამოვეწყვე ქორწილში წასასვლელად.

გზად ეთო ნათლიამ დამირეკა და მითხრა, რომ წნორში ჩავლისთანავე შემიძლია შევხვდე ერთ-ერთი კერძო სკოლის მფლობელს და შევთავაზო სამოქალაქო განათლების მასწავლებლად ჩემი კანდიდატურა. ეს საქმე ჩემი ოცნებაა და ვნახოთ, საკმარისად ავუხსნი თუ არა სკოლის ხელმძღვანელობას, რომ შემიძლია ვიყო ამ საგნის კარგი მასწავლებელი.

ქორწილი კარგი იყო იმიტომაც, რომ ჩემი ნათესავები გავიცანი. თუმცა ადრე წამოვედი. ბათუმის მატარებლების ახალი სადგურის კაფეში დავჯექი და გავაგრძელე მუშაობა. მატარებელი დილის 1:40-ზე გადის. ამასობაში მოვასწარი და ჩემს დაბადების დღეზე მოსაწვევად შეტყობინებები დავუგზავნე მეგობრებს, თან ვთხოვე, ამჯერადაც საჩუქრის შერჩევაზე დაზოგონ დრო და ფული მაჩუქონ. 2016 წლისთვის მინდა, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტის უკანა მხარის სოფელში ძველი სახლი ვიყიდო, სადაც არტრეზიდენციის ტიპის საცხოვრებელს მოვაწყობ. ამისთვის ვაგროვებ ფულს; ამიტომაც ვუხსნი ჩემს მეგობრებს, რომ წელს ყველა ფასიან საჩუქარზე მეტად მჭირდება ფული ამ საქმისთვის. იმედია შევძლებ და ბევრ ხელოვანსა და ახალგაზრდას ვუმასპინძლებ არტრეზიდენციაში.

ამასობაში მატარებელიც ჩამოდგა ბაქანზე, წავალ, მოვკალათდები, ჩავალ თბილისში, თურქეთიდან საფესტივალოდ ჩამოსულ დედასაც ვნახავ და ერთად გავკურცხლავთ წნორისკენ.



ნოდარ სუმბაძე

არქიტექტორი. დაიბადა 1946 წლის 16 ივნისს თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი და ასპირანტურა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტში, ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, ჟურნალებში – „კალთა“, „სტუდია“, „ნაკადული“; „დრონის“, „შანსისა“ და სხვა გაზეთების რედაქციებში. იყო საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის არაერთი გადაცემის რეჟისორი და მხატვარი, საპატრიარქოს ტელევიზიის რეჟისორი. არის ავტორი წიგნებისა „თბილისური ჰერბარიუმი“, „თბილისური კოლექცია“ (2 ტომად). ამჟამად თბილისის სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის მიწვეული პროფესორია. საქართველოს მხატვართა, დიზაინერთა კავშირისა და ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი.

4 კვირა

ქუთაისის მერიასთან შიმშილობა დაიწყო ნაციონალური მოძრაობისა და „თავისუფალი ზონის“ ოთხმა წევრმა, რომლებმაც ამ გზით გამოხატეს პროტესტი სამი თანაგუნდელის დაკავების გამო.

შეიარაღებული ძალების მე-5 ბრიგადის სამხედრო ტერიტორიაზე გარდაიცვალა რიგითი თამაზ თამარაშვილი; თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ჯარისკაცის გარდაცვალების ფაქტზე სამხედრო პოლიციამ დაიწყო გამოძიება, რომლის შედეგებსაც საზოგადოებას უახლოეს მომავალში აცნობებენ.

თბილისსა და საქართველოს რამდენიმე დიდ ქალაქში აღინიშნა „ქართული ღვინის დღე“.

ოქტომბერი

დღეს კვირაა. მთელი ღამე არ მომასვენეს რესტორნებად ქცეული გეპეის (ბოდიში, ტექნიკური უნივერსიტეტის) ქუჩის მხარის რომელიღაც დუქნის შეგვიანებულმა კლიენტებმა. ხვევნა-კოცნა ნელ-ნელა გადაიზარდა „ზემო მაჩხაანი ჯობია თუ ქვემო მაჩხაანი“-ს ტიპის კამათში, რომელსაც მოჰყვა ჯერ საკუთარი დედების გინება, მერე – ერთმანეთის... მეზობლების გამოძახებულმა პატრულმაც მაქსიმალური აუდიოგაფორმება დაურთო ამ ინციდენტს და, ასე, სამი საათისთვის ძლივს მოვახერხე დაძინება პიპოპაპოს ხმის ქვეშ...

კვირადღეს ბავშვები ჩვენთან არიან და, შესაბამისად, მთელი დღე მათთან ერთად ვმონაწილეობ მიგრაციულ პროცესებში მარშრუტით ნიკელოდეონი-სკეიტბორდი-კარტუნ ნეტვორკი-ველოსიპედი-მაინკრაფტი-სკუტერი-სან ანდრეასი-ფეხბურთი-როლიკები (მიმდევრობა, ცხადია, იცვლება). როდესაც ფული მაქვს, ეს მენიუ ივსება ვიზიტებით დემოკრატიის ფორპოსტებში – „მაკდონალდსში“ ან „ვენდისში“, რომლებმაც თბილისში, როგორც ყველაფერმა, ტრანსფორმაცია განიცადეს და „ფასტ-ფუდის“ ობიექტებიდან ლამის პრესტიჟულ ადგილებად იქცნენ. მაინც ვიხელთე დრო და შუადღისას გადასაღებად გავვარდი. ძველ თბილისში ჩემი თვალები და გონება აშკარად ისვენებს. სულ იმის შეგრძნება მაქვს, რომ ძველი შენობების ფასადებიდან მომზირალი ლომები, ანგელოზები, სირინოზები და ალქაჯები ასევე შეჰყურებდნენ პა-

ემანზე გამოსულ ჩემს დიდედას ან ლახტის მოთამაშე პაპას. ვეხები გაცვეთილ კედლებსა და ხის მოაჯირებს, რომლებიც კიდევ ინარჩუნებენ ათასობით გოგონასა და ბიჭის პატარა ხელების სითბოს. კარგად რომ დავუგდო ყური, ალბათ გავიგონებ კიდეც დროის სიღრმეში ჩაკარგულ მათს ჟივილ-ხივილს... ეს უზომოდ დაბერებული და გვარიანად შეფერთხილი ლომები, გრიფონები და ურიცხვი მითოლოგიური არსება კი დღესაც ერთგულად სდარაჯობენ ჩვენს წარსულსა და მოგონებებს... რა საინტერესოა! ძველად დღიურებში ძირითადად ქმედების აქტები აისახებოდა... დღეს მოგონებებმა დაიკავა მთავარი ადგილი...

დედაჩემი ერთხანს პიონერთა სასახლეში მუშაობდა, ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში (წინათ სასახლეში წრეებს სოლიდურობისთვის „კაბინეტებად“ მოიხსენიებდნენ). ჰოდა, დავდიოდით ლაშქრობებში... მახსოვს, ჩემი პირველი დღიური, რომლის დაწერაც აუცილებელი მოთხოვნა იყო, საუზმის, სადილისა და ვახშმის მენიუების დაწვრილებითი აღწერით ავავსე. მასშივე იყო დაფიქსირებული ჩემი ნებისმიერი გადაადგილებისა და დაძინება-გაღვიძების ყველა ფაქტი.

სახლში ყველაფერი ჩვეულებრივად მიდის. ბავშვები დაიღალნენ, ამდენი სირბილით ალიც მოითენთა, მაგრამ სიამოვნებით მომყვება სასეირნოდ. ძილის წინ ცოტა წავიმუშავე. კატა, ტრადიციულად კისერზე შემომაჯდა, მოვუსმინე ბრაიან ენოს „მუსიკას აეროპორტებისთვის“ და კარგი სიზმრებისთვის – ბრაზილიურ სამბებს.

ორშაბათი

ორშაბათი... ჩემი ლაბრადორი ალი რახანია, თვალებში მიყურებს. ჩემს ყოველ განძრევაზე იმედი ესახება და კარებისკენ მირბის. ჯერ არა, ჯერ არა, ალი! ხუთი წუთი „ევრონიუსს“: ტერორისტები, ლტოლვილები, სირიის დაბომბვა, კვლავ ლტოლვილები, კვლავ ტერორისტები...

ახლა – ალი. უცნობი და ნაცნობი როტვაილერების, სეტერების, ტერიერების ხეზე დატოვებული ნიშნების დაყნოსვა, კვლავ მონიშვნა, ესტაფეტის გაგრძელება, ძაღლური სოციალიზაცია. მაგვიანდება. ჯერ ბავშვები – სკოლაში, მერე – აკადემიაში. ტაქსის მძღოლი ჩემი ძველი ნაცნობია, ყოველ ორმოზე, საცობზე და გასწრებაზე მძიმე ამოოხვრის შემდეგ სტალინს ნატრობს... „ეჰ, სოსო, სოსო, ვინ გაბედავდა მის დროს ამას, ციმბირი უკან დარჩებოდათ!“ მძღოლ ავთოს ვინ ჩივის, „ღონიერი ხელი“ ჩვენში პერიოდულად მთელ ერს ენატრება ხოლმე. ბავშვები მივიყვანე, ახლა – აკადემია. ათის ნახევარზე იქ ვარ გაჭიმული... მერე? მერე თერთმეტის ნახევრამდე ამირან გულში მღერის იუტუბის ბრაზილიური სამბის თანხლებით. აი, ჩნდებიან პირველი ცოდნას მოწყურებულებიც...

აკადემიის შემდეგ მივდივარ გადაღებაზე ასათიანის (ენგელსის) ქუჩაზე. აქ, 56 ნომერში დავიბადე; აქ, ამ თუთის ხეს-

5

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა დეპუტატ დავით ლორთქიფანიძის ფიზიკური შეურაცხყოფის ბრალდებით დაკავებულ სამ პირს.

თბილისში, ბიძინა ივანიშვილის სახლთან გამართულ საპროტესტო აქციაზე ნაციონალურმა მოძრაობამ ოპოზიციურ ძალებს მოუწოდა, გამართონ კონსულტაციები და დაიწყონ მასშტაბური აქციები ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით.

„რუსთავი 2“-თან ინტერვიუში გიორგი მარგველაშვილმა გააკრიტიკა ვაშინგტონში საქართველოს ელჩი არჩილ გეგეშიძე, რომელსაც, პრეზიდენტის თქმით, მონაწილეობა არ მიუღია აშშ-ში მის ვიზიტში და დასძინა, რომ დიპლომატიური ეტიკეტის დაცვა აუცილებელია უცხოეთში აკრედიტებული მისიების ყველა წარმომადგენლისთვის.

თან ტიროდა შინსახკომელი კოლიას შვილი ციური და მეც, ზა კამპანიუ, მასთან ერთად 1953 წლის 5 მარტს, სტალინის გარდაცვალების დღეს (ვაჰ, რა ამეკიდა დღეს ეს სტალინის თემა!); აქ ჩამოვიდა გადასახლებიდან ჩემი ნათლიის, ექიმ თინა გოთუას ძმა, მწერალი ლევანი; ამ ეზოში ცხოვრობდა, ცხადია, ჩემამდე, ერმიტაჟის დირექტორი, აკადემიკოსი ორბელი; აქედან დავძვრებოდით კლდეებზე მაშინ ჯერ კიდევ ადვილად მიღწევად კომკავშირის ხეივანში... არაჩვეულებრივი სახლები დგას ამ ქუჩაზე! სამწუხაროდ, შესანიშნავი თუჯის ალაყაფის ჭიშკრების რაოდენობა ძალიან შემცირდა. დაკეტილი ჭიშკრები, რომლებსაც უწინ მეეზოვე მხოლოდ სამგლოვიარო პროცესიისთვის აღებდა, დღეს ეზოში მანქანების დასაყენებლად ხშირად იღება და, შესაბამისად, დღის წესრიგში მალე დგება მძიმე, ორნამენტებით დახუნძლული ჭიშკრის უფრო მსუბუქით შეცვლის საკითხი. 90-იანებში ჯართის პუნქტები გაივსო მე-19 საუკუნის ორნამენტებით. ასათიანის გაგრძელებაზე პატარა კოჯრის ქუჩაა. აქაც დგას რამდენიმე მშვენიერი შენობა. ძალიან მომწონს კოჯრის 3 ნომერი, „არ ნუვოს“, იმავე „იუგენდსტილის“, იმავე „სეცესიის“, იმავე „მოდერნის“ სტილის არაჩვეულებრივი შენობა, რომელიც ახალმა პატრონმა საკმაო ტაქტით (რაც ძალზე იშვიათია!) „ჭკუაზე მოიყვანა“. საღამოს – კვლავ ალი: Home, sweet home! ქართული ტელეარხების მეშინია. საკმარისია გავიგო, როგორ ამბობს ლამაზი მოღიმარი გოგონა, დღეს რაგბიში (ვიღაცამ) ტრამვა მიიღოო, რომ მონუსხულივით ვრთავ ყუთს... ეტყობა, ვერბალური სნობიზმი მჭირს. ღამე მშვიდობისა, ბატონო ნოდარ!

6 სამშაბათი

ჯერ კიდევ თბილა. კარგია! ამ პირქუშ, ჯიგიტურ, ორსეზონიან, სიცივე-სიცხიან თბილისში, შემოდგომისა და გაზაფხულის ეს იშვიათი მშვიდი, თბილი ჩანართები ძალიან მახარებს. ჩემი ლაბრადორი ალი თვალებში მიყურებს, ცდილობს, გააგრძელოს, დღეში ორჯერ გამოწერილი სეირნობის ნეტარი წუთები. მაგრამ დღეს ლექციები მაქვს და მართალია, ვიცი, რომ პირველი გამოუძინებელი სტუდენტი აუდიტორიამდე თერთმეტის თხუთმეტ წუთზე მოაღწევს, მაინც ვჩქარობ... მაგვიანდება და ტაქსის ვაჩერებ... ეჰ, ისევ „შენ-მართლა-ტაქსისტი-ხომ-არ-გგონივარ“ კატეგორიის მძღოლი შემხვდა. გრიბოედოვამდე ასწრებს მთელი თავისი ბიოგრაფიის მოყოლას და არც „ამ მთავრობის დედა“-ს დამატება ავიწყდება. პრინციპში, რას ერჩი, მართალია, მაგრამ, ალბათ, უნდა იცოდეს, რომ მსოფლიოში ვერ მონახავ ქვეყანას, სადაც ტაქსი ყოველგვარი რეგისტრაციისა და გადასახადის გარეშე დადიოდეს. გაიკეთე ტრაფარეტი და იალაააა! მესმის, ტაქსისტობამ ბევრი გადაარჩინა შიმშილს, მაგრამ რისკის დონე რომ ძალიან მაღალია?

აკადემიაში, როგორც იქნა, იწყება ძველი კორპუსის კაპიტალური რემონტი. შენობამ დიდი პატივი დაგვდო, საუკუნე-

ვაშინგტონში გამართულ ბრიფინგზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა მარკ ტონერმა კორესპონდენტის შეკითხვას „რუსთავი 2“-ის გარშემო შექმნილი ვითარების შესახებ უპასუხა, რომ შემაშფოთებელია ნებისმიერი მოქმედება, რომელიც მედიის თავისუფლების შეზღუდვის შთაბეჭდილებას ტოვებს.

გიორგი მარგველაშვილის კრიტიკის საპასუხოდ აშშ-ში საქართველოს ელჩმა არჩილ გეგეშიძემ განმარტა, რომ მოქმედებდა ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო გაეროს გენერალური ასამბლეის პერიოდში აშშ-ში აკრედიტებული დიპლომატები, როგორც წესი, თავიანთი ქვეყნების ოფიციალური დელეგაციების ხელმძღვანელებთან ერთად იმყოფებიან ნიუ-იორკში.

ზე მეტხანს გვაცალა. მაგრამ ახლა სულ მთლად დაბზარულია და ლამისაა, თავზე დაგვემხოს. სტუდენტები კანტიკუნტად მოდიან. ამ ბოლონიის პროცესმა სამხატვრო აკადემია და ზოოვეტი აბსოლუტურად ერთნაირ პარამეტრებში ჩასვა. მთავარია დოკუმენტაციის სწორად შედგენა, ტერმინოლოგიის სწორად ხმარება და ამას გადაჰყვა ტრადიცია, მენტალიტეტი... კაროჩე, ყველამ ყველაფერი ვიცით და ტყუილად ვირჯები. ბავშვები კარგები არიან. უმეტესობა დარწმუნებულია, რომ მთავარი მიზანი საზღვარგარეთ მოხვედრაა. მივდივარ გადასაღებად. თაბუკაშვილის ქუჩა, ფურცელაძე, ათონელი. აქ ძალიან ბევრი კარგი სახლია, მაგრად დაზიანებული, მოუვლელი, მაგრამ ახლაც რომ ასხივებს პირვანდელ აურას. სადარბაზოებში მოაჯირის სახელურები დღესაც ინარჩუნებენ ჩვენი ბებიებისა და პაპების ხელის სითბოს. კიბეებზე მოსრიალე ბიჭების არაერთი თაობის შარვლებით გაპრიალებული მუხის, წიფლის, თელის, ნაძვის სათუთად ნათალი მოაჯირები კვლავ ამ სახლებში მცხოვრებთა სამსახურში არიან...

არქიტექტურული თვალსაზრისით თბილისი არაჩვეულებრივი ქალაქია! კი, მართალია, იშვიათი გამონაკლისით, აქ მე-19 საუკუნის არც ერთი ობიექტი არ მოიძებნება, პარიზის, რომის, ბუდაპეშტის შენობებს რომ გაუწიოს კონკურენცია, მაგრამ თბილისის ეშხი სულ სხვა რამეშია. ეს არის აღმოსავლურ-დასავლურის, ევროპულ-აზიურის ფანტასტიკური მიქსი, რომელიც დროსა და სივრცესთან ურთიერთქმედებაში საოცარ კომპოზიციებს ქმნის. აგია, ბაბა, რომ ხიბლავთ ევროპელებს და, მით უფრო, ამერიკელებს. სრულიად ფანტასტიკური ათონელის 31! უკვე რამდენი წელია, აქ რომ გამოვივლი, ყოველთვის შევდივარ სადარბაზოში – ისეთი ვესტიბიულია, თავი სპექტაკლში ან ფილმში გეგონება! ოღონდ უკიდურესად დაძველებულია და მოუვლელი. ადგილი ისეთია, არ ეპრესტიჟულებათ და ამიტომ, საბედნიეროდ, ჯერ ვერ მოიცალეს. ეს ყოფილი სასტუმრო „ლონდონია“, 1875 წელს გახსნილი. აქ უცხოვრიათ ლორდ კერზონს, პეტრე ჩაიკოვსკის, კნუტ ჰამსუნს... იშვიათია, იმ დროის ატმოსფერო ასე კარგად იყოს სადმე შემორჩენილი! ალი და შავი კატა კატანა (ბავშვებმა დაარქვეს იაპონური მახვილის სახელი) მეგებებიან. ზოგს სეირნობა უნდა, ზოგს – ჭამა...

ოთხშაბათი

7:00. ძლივს გამოვებდღვენი ბორხეს-ფროიდის დადგმულ სიზმარს, რომლისგანაც კოშმარის შეგრძნების გარდა არაფერი შემომრჩა. საწოლის წინ ჩემი ლაბრადორი ალი ზის და მიყურებს მეგობრული, მაგრამ იმპერატიული მზერით. გავუყარე თვალი თვალში და მივხვდი: ბაი-ბაი, თბილო ლოგინო, ბორხესო ფროიდთან ერთად! ხუთი წუთი დავუთმოთ „ევრონიუსს“. რა გვაქვს აქანე? მერკელისა და ოლანდის ერთობლივი გამოსვლა ევროპარლამენტში, ტერორისტები, ლტოლვილები,

ოქტომბერი

7

თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები თინა ხიდაშელი და გიორგი კვირიკაშვილი ბრიუსელში შეხვდნენ ნატოს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს.

ჟენევაში გაიმართა საერთაშორისო დისკუსიის 33-ე რაუნდი.

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, რომ 2 ოქტომბერს პარლამენტთან გამართული აქციის მონაწილეებისთვის

ისევ ტერორისტები... ვა! პუტინი სამოცდამესამე დაბადების დღეს ჰოკეის მატჩში მონაწილეობით აღნიშნავს. მალადეც, ვოვა! ფორმაშია, ყველაფრისთვის იცლის ეს ოხერი... კასპიის ზღვიდან დაურტყამთ რუსებს ისლამური რესპუბლიკისთვის. მიდიხარ შენთვის უდაბნოში აქლემით და უცებ თავში გეცემა წითელდროშოვანი რუსული კრეისერიდან, 1500 კილომეტრიდან გამოსროლილი რაკეტა... ალის მოთმინება გამოელია, სასეირნოდ უნდა ჩავიყვანო. გეპეის ბაღში ვასეირნებ. ეს ოდესღაც რესპექტაბელური, პრესტიჟული ინსტიტუტის ბაღი დღეს უსაქმური სტუდენტების ლუდის სმის ადგილად იქცა, ცხადია, ბოთლებისა და შაურმის ნარჩენების მინაზე დაყრის ჩათვლით (ძირძველი ქართული ტრადიციაა)... ჰოდა, სწორედ ამ ჯუნგლებში მივიკვლევთ გზას მე და ალი ყოველდღე. საერთოდ „ძაღლის გასეირნება“ სრულიად ანთროპოცენტრისტული გამოთქმაა. ჩვენ ვინ გვეკითხება?! დამათრევს ეს ჩემი ძაღლი მხოლოდ მისთვის ცნობილი ტრასებით, სუნებისა და სხვა ძაღლების ნაკვალევთა ნიშნების სამყაროში...

დღეს სახლში ვზივარ, აკადემიისგან თავისუფალი ვარ. გუშინ თაბუკაშვილისა და ათონელის ქუჩებზე გადაღებული არაჩვეულებრივი შენობები უნდა გადავიტანო ტაბულებზე. ძალიან მიხარია! კი ვირგებ ყველასთვის გამომეტყველებას, რომ 8-9 საათი კომპთან შრომა მძიმეზე მძიმე ხვედრია, მაგრამ სინამდვილეში ერთი სული მაქვს, როდის მოვიცლი ამ სიამოვნებისთვის. როგორც მომღერალს სჭირდება აუდიტორია, რომ გააცნობიეროს თავისი შემოქმედების ავკარგიანობა, მეც მჭირდება რეაქციის გაგება ამ ჩემს საქმიანობაზე. ამიტომაც ვდებ ყველაფერს ფეისბუკში. რეაქცია მართლაც სასარგებლოა. ამას წინათ ერთმა ქალბატონმა შემისწორა, ზუბალაშვილების ქუჩა სოლოლაკში არ არის, მთაწმინდაზეაო. მეც დავეთანხმე, თუმცა ქუჩის ნაწილი მაინც სოლოლაკში მგონია. ვქმნი ძველი შენობების ერთგვარ ვიზუალურ დოკუმენტაციას და გულით მჯერა, რომ ქალაქს კარგ საქმეს ვუკეთებ. ხმამაღალი ნათქვამია, ვიცი, მაგრამ, რომ ვუყურებ ამ გაუბედურებულ სილამაზეს, სულ მგონია, რომ ჩემი შრომა მომავალზე მუშაობს. ფულსაც რომ მიხდიდნენ, კარგი იქნებოდა, მაგრამ უფულოდაც დიდ სიამოვნებას ვიღებ.

მუშაობაში დღე შემომეფცქვნა. ჰო, წარსულის დაფიქსირების ამ პროცესს ხელს უწყობდა იუტუბი, მთელი თავისი მუსიკალური პოტენციალით...

8 ხუთშაბათი

შვიდ საათზე ვიღვიძებ, როგორც არდადეგების პირველ დღეს მონატრებული პიონერი, როცა არც არავინ გაღვიძებს, არც არავინ გერეკება სკოლაში და, წესით, უნდა იძინო და იძინო, მაგრამ ვაგლახ (რა კარგი სიტყვაა, სპონტანურად მომივიდა თავში)... წინათ შაშვების გალობის ხმაზე მეღვიძებოდა, მერე შაშვები გაქრნენ და მათი აუდიოსივრცე ყვავების ჩხა-

აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება დაუსაბუთებელია და შერჩევითი მართლმსაჯულების ეჭვს ბადებს.

ინგლისსა და უელსში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა ნამიბიის მორაგბეთა ეროვნული გუნდი (17:16) და თავის ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა.

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა, რომ მის პროკურორს სურს ნებართვის მიღება საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად.

ბრიუსელში გაიმართა ნატოს

ვილმა დაიკავა. მერე ყვავებიც გაქრნენ. ვეღარც მერცხლებს ვხედავ... სად გაქრნენ, სად წავიდნენ, რა სოციალურ-მიგრაციულ პროცესებს გაჰყვნენ? ალის გასეირნებაზე და მადაზე ეს პრობლემები მაინცდამაინც დიდ გავლენას არ ახდენს. ცრის. ალიში კანადურ-ლაბრადორული გენეტიკა იღვიძებს და თავქუდმოგლეჯილი დარბის.

კომპიუტერი, ფეისბუკი... წერილები, რეაქცია წუხელ დადებულ „იდუმალი სილამაზის“ ახალ ტაბულებზე. მოსწონთ. ყველაზე მეტად მახარებს, როდესაც მწერენ, რომ ამა თუ იმ ქუჩაზე მთელი ცხოვრებაა, დადიან და ეს სილამაზე არც კი შეუმჩნევიათ. ესე იგი ტყუილად არ ვმუშაობ.

პირველ საათზე უკვე სოლოლაკში ვარ, ვიღებ ფოტოებს. სადარბაზოებს მასობრივად კეტავენ, მაგრამ ბევრგან, სადაც შევაღწიე, იშვიათი სილამაზის ნიშნები მხვდება, ათწლეულების წინ გადამწვარი ნათურის გარემომცველ წყვდიადში უეცრად შემოღებული კარიდან სადარბაზოში შემოდგომის მზის მორიდებული სხივი იჭრება და იმავე წამს იატაკი ათასფრად აკიაფდება. უსასრულო ელინურ მეანდრს ბაროკოსა და როკოკოს ექსპრესიული ხვეულები ცვლიან, რომლებიც Art Nouveau-ს ნერვიულ მცენარეულ ორნამენტებში გადადის. იატაკიდან ანათებს მარმარილოს ფერადი ნაჭრებისგან აწყობილი მზე, რომელზედაც პატარა გოგონები დილით ფეხებს ითბობენ.

ავტობუსში ყური მოვკარი ანეკდოტს: კაცი სთავაზობს ავადმყოფს ვალიდოლს. ის პასუხობს, რას მაძლევ, სწორედ ვალმა და დოლმა დამღუპაო! ასეა, მთელი ცხოვრება ხმარობ სიტყვას და ვერ გრძნობ მის სტრუქტურას... ძალიან გავრცელებული სენია ჩვენში უცხოურ სიტყვებში ქართული შინაარსის ანალოგიური მარცვლების აღმოჩენით ეროვნული იდეის განდიდება. მეგონა, ეს მარტო სომხებს ახასიათებდათ, მაგრამ ნურას უკაცრავად! ისე, დღეს ჩემი გონების მოძრაობამ ორნიტოლოგიიდან სტრუქტურალიზმამდე ცოტა შემაშფოთა. კიროვის (პარდონ, ვერის) ბაღის პენსიონერების სკამისთვის ხომ არ მომწიფდით, ბატონო ნოდარ?

საღამო. „ევრონიუსი“ თან პუტინს აკრიტიკებს, თან ფრთხილობს, საზღვარს არ გასცდეს. ტერორისტები, გეი მღვდლები, წყალდიდობა, ამინდი... ყველგან აცივდა. უკვე მენატრება ზაფხული, მაქსიმალურად გავჭიმე დილით გეპეის ბაღში შორტებით გასვლის სეზონი, მაგრამ დღეს უკვე ცივა.

პარასკევი

ძილში ბევრი ვიბოდიალე ჰოლანდიელი მხატვრის, სივრცობრივი ილუზიების ოსტატის, მორის კორნელის ეშერის შეუძლებელი კიბეებით. დაღლილმა გავიღვიძე. ცივა. აივნის კარები უკვე უნდა დავხურო. მაისიდან ღიაა. აივნის კარების დაკეტვა ჩემთვის შემოდგომის ისეთივე ნიშანია, როგორც

ოქტომბერი

9

წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრთა სხდომა, რომელშიც მონანილეობა მიიღო ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ბრიუსელში შეხვდა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინატორს, ფედერიკა მოგერინის და ევროკომისარს ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში, იოჰანეს ჰანს.

ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ ბრიუსელში კომპანია „გაზპრომის“ ხელმძღვანელებთან სექტემბერში გამართული სამუშაო შეხვედრისას განიხილა საქართველოს გავლით გაზის ტრანზიტის გაზრდის შესაძლებლობისა და კომერციული ოპერატორებისათვის რუსეთისგან ბუნებრივი არის შეძენის საკითხები.

ძლიერი წვიმით გამოწვეულმა წყალდიდობამ და მეწყერმა დააზარალა ქობულეთისა და ქედის მუნიციპალიტეტები.

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩში საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა შინ დაამარცხა გიბრალტარის გუნდი – 4:0.

ოპოზიციური პარტიების ნაწილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ „გაზპრომთან“ საქართველოს მთავრობის მოლაპარაკება ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს უკავშირდება.

ირაკლი ღარიბაშვილმა და

ევროპის რამდენიმე წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი და სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელებმა თბილისში ხელი მოაწერეს განზრახულობათა ოქმს საქართველოში ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფუძნების შესახებ, რომელსაც 500 მილიონი დოლარით დააფინანსებს ფონდი „ქართუ“.

გიორგი მარგველაშვილმა შეინყალა 152 მსჯავრდებული.

ზოგან ჩიტების გაფრენა თბილ ქვეყნებში. ალი ხვრინავს და თან რაღაცას აქტიურობს სიზმარში.

შუადღისას დრო გამომიჩნდა და გადასაღებად გასვლა გადავწყვიტე. გზად რომელიღაც სახლის კედელზე ქართული რაგბისადმი მიძღვნილი აქტუალური დიდი პანო დავინახე, ბავშვების დახატული. საერთოდ, თბილისის კედლები ცალკე შესწავლისა და ანალიზის საგანია. ჩავფიქრდი იმ უამრავ გრაფიკულ სიმბოლოზე, რომლებითაც აჭრელებულია ქალაქის შენობებისა და გარაჟების კედლები. წრე, სამკუთხედი, გული, ჯვარი, მარტივი ფიგურები, რომლებიც ბევრ საიდუმლოს ინახავენ. თბილისის ასფალტზე ბავშვის მიერ დახატული ცარცის წრე თავისი არქეტიპული მნიშვნელობით სამყაროს მითოლოგიური საწყისის მატარებელია და, შესაბამისად, ოდითგან კოსმოსის, მარადისობის, სრულყოფილების, ჰარმონიის უნივერსალური სიმბოლოა. საერთოდ, იდუმალი ისტორიებისა და მნიშვნელობების გრძელი კუდი მოჰყვება ყველა ამ, ერთი შეხედვით, მარტივ ნიშანს. ბავშვი, რომელიც წრეს ან ჯვარს ხატავს კედელზე, აზრზეც არ არის, რა მისტიკურ აქტში მონაწილეობს!

ქუჩაში ბევრი ჩამოსულია, ჰიჯაბიანი ქალებიც კი ვნახე. როგორ გამოგვადგა ღარიბი ქვეყნის სტატუსი! ხომ წაგვლეკავდა ლტოლვილთა ნაკადი, აქ რომ შვეიცარია ან შვედეთი ეგულებოდეთ. აი, ხომ მოვუნახე სიდუხჭირეს პოზიტიური მხარე! ისე, ძალიან მეცოდებიან, ბავშვებაკიდებულები რომ ტკეპნიან ევროპას...

დღეს პაოლო იაშვილის ქუჩაზე ვიღებ შენობებს. ესეც ჩემი ბავშვობის ქუჩაა. ხუთ ნომერში ჩემი დიდედა ცხოვრობდა და ბავშვობის დიდი დრო მის აივანზე გავატარე ჭრელი კატის კომპანიაში. ერთხელაც ეს კატა დაიკარგა და დაბრუნდა ერთი წლის შემდეგ, ნაბრძოლი, ცალთვალა, დაჩეჩქვილი. აუღელვებლად დაწვა თავის ადგილზე, ტახტზე, და თათების ლოკვა დაიწყო. დიდედამ რძე დაუსხა, მე კი ვინატრე გამეგო, რა გადახდა მას ამ ერთ წელიწადში.

დრო ყველაფერს უმოწყალოდ ცვლის. რამდენჯერ მიფიქრია, რომ მე-19 საუკუნის შენობებისადმი გულგრილი დამოკიდებულება ქართული ხუროთმოძღვრული სიმდიდრითაა გამოწვეული. იმდენი უძველესი ძეგლია მოსავლელი, რომ ერთი-ორი საუკუნის წინანდელი ძეგლისთვის ყურადღებაც და სახსრებიც შეზღუდულია. მახსოვს, ბევრი წლის წინ ფინეთში ვნახე, როგორ იდგა პოლიციელი მე-19 საუკუნის ეკლესიასთან და სდარაჯობდა, რომ მოაჯირისთვის ხელი არავის მოეკიდა. საღამოს „ევრონიუსმა“ გადმოსცა, რომ რუსეთის რაკეტების ნაწილი სირიის მაგივრად ირანში დაეცა. ეს რუსები მთლად გაგიჟდნენ...

შაბათი

დილა. ალის დამანამუსებელი მზერა. მშიერი კატანას რიტუალური ცეკვა. სიცივე. ნებისმიერი სიცხე მირჩევნია გაზის მრიცხველის კაკუნის ხმას. ჯერ, სამწუხაროდ, ფინანსურად ვერ ავედი გულგრილი დამკვირვებლის სტატუსში, მაგრამ არა უშავს, ყველაფერი (კინაღამ არ ვთქვი, ყველაფერი წინაამეთქი)... მიყვარს ასეთი, ნესტით გაჯერებული, უმზეო ამინდი. მაგონებს ბალტიისპირეთს, რომელიც ძალიან მიყვარს და რომელსაც კარგად ვიცნობ(დი), ალბათ...

მერე – ფეისბუკი ჩემს საყვარელ ბერგამოტის ერლ გრეისთან ერთად. ამ ფეისბუკმა ხომ გადამრია! ცალკეული ადამიანების ასეთ თვითლუსტრაციასა და თვითგაშიშვლებაზე ვერც ზიგმუნდ ფროიდი, ვერც კაგებე და ცენტრალური საადაზვერვო სამმართველო ერთად აღებული ვერ იოცნებებდნენ. ყველა დაფარული ლტოლვა, ღრმად ჩამარხული ვნება რაღაც მანქანებით ზედაპირზე ამოვიდა. და ხანუმას როლი. გაუთავებელი სელფები სხვადასხვა სამოსიანი და უსამოსო გოგონებისა და არც მთლად გოგონებისა ერთ აზრს გაწვდიან: აი, რა მაგარი ვარ (შესაბამისად, მე შემარჩიე)! ან თუნდაც ამა თუ იმ სტატუსის მოწონება-დაწუნებით გემოვნების პარამეტრების გამომზეურება რად ღირს! ძალიან სევდიანი სურათია და არაჩვეულებრივი პოლიგონი სოციოლოგისთვის, ფსიქოლოგისთვის და ფსიქიატრისთვისაც კი! გუშინ სოლოლაკში ქიქოძის, ჩემი ბავშვობისას კი ცნობილი რევოლუციონერის ფილიპე მახარაძის ქუჩაზე, ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში, არაჩვეულებრივი კიბეები ვნახე. გამახსენდა ჩემი ბავშვობის კიბეები ბებიის სახლში მეჩნიკოვის (ახლანდელ დოდო აბაშიძის) ქუჩაზე. დროის განმავლობაში კიბეზე ამავალი ან ჩამავალი ადამიანის ფეხის ხმა იცვლება. ჩაძინებული ჩვილით ხელში მიმავალი ახალგაზრდა წყვილის ფრთხილ ნაბიჯებს ენაცვლება მოხუცის ფეხების რევმატიული ფრატუნი, ბავშვების მხიარული ხტუნვის ხმა ცვლის გარდაცვლილის გამსვენებლების მძიმე ნაბიჯების ხმას. ბევრი კიბეა და თან ბევრნაირი: ხის, ლითონის, ხვეული...

უკვე ღამეა. ალის ჩაყვანა დღეს გვიან მომიწია. რა ქნას, მორჩილად მელოდება კუდის ქნევით. მისთვის დღე სრულდება. მე კიდევ წავიმუშავებ ერთ-ორ საათს. ძალიან მიყვარს ეს დრო. აივნის კარი კვლავ გავაღე. მტკვრის სანაპიროს მხრიდან, რომელიღაც რესტორნიდან, ფეიერვერკის უსაშველო გრიალი ისმის. ყოველდღე ასეა: რაღაცას ზეიმობს ქვეყანა – სალუტებით, ხმამაღლა. ოღონდ რას, არ გვეუბნებიან. ჯობია, ისევ ჩემს ძველ სახლებს მივხედო...

ოქტომბერი

ბაქოში გაიმართა ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან.

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და მისმა მეუღლემ, მაკა ჩიჩუამ გამართეს საზეიმო მიღება საქართველოში ბავშვთა პირველი ჰოსპისის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით.

თელავში გაიხსნა კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი.

გია გოკიელი

მთარგმნელი, ფილოლოგი. დაიბადა 1959 წლის 5 მაისს თბილისში. დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად, ალმანახ „ლიტერატურა და ხელოვნების“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული იუნესკოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წამყვან სპეციალისტად. გამოქვეყნებული აქვს თარგმანები ინგლისური, შვედური და გერმანული ენებიდან. 2014 წელს მიენიჭა ლიტერატურული პრემია „საბა“ წლის საუკეთესო თარგმანისთვის (ლუის კეროლის „ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“).

ოქტომბერი

11 კვირა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში ჩამონოლილი მეწყრის შედეგად დაიღუპა ერთი ადამიანი.

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩში საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები სტუმრად დამარცხდა გერმანიის ეროვნულ გუნდთან – 1:2.

დღიურების წერა ჩვეულებად არ მაქვს, თუმცა საღი აზრი მკარნახობს, რომ უნდა ვწერდე, კარგი იქნებოდა. რამდენჯერმე წამოვიწყე კიდევაც, თუმცა მალევე მივაგდე, მოთმინება და ორგანიზებულობა არ მყოფნიდა, ანუ ჯობს ყველაფერს თავისი სახელი დავარქვა და ვთქვა, რომ, უბრალოდ, მეზარებოდა. ამჯერადაც, ამერიკაში გამომგზავრების წინ, ვიფიქრე, მომდევნო დღეების ჩანაწერებს მაინც გავაკეთებ, თორემ ყველაფერი თავში ამერევა და, ელემენტარულად, რომ ჩამოვალ, დალაგებულად ვერ მოვუყვები ჩემს ახლობლებს, სად ვიყავი, რა გავაკეთე და რა ვნახე-მეთქი. ამ ფიქრებში მყოფს, ფეისბუკზე ოქრო რუხაძემ მომწერა, ჩემმა მეგობარმა და თავისუფლების ჟურნალისტმა, აბა, შენ იცი, დღიურები გააკეთეო. რადიო თავისუფლებისთვის-მეთქი? რატომღაც მომეჩვენა, რომ ამას მეუბნებოდა. არა, შენთვის, რომ არ დაგავიწყდესო, და მერე, ეტყობა, ჭკუაში დაუჯდა და, რამე რომ იყოს, ჩვენთვისაც დაწერო?.. მკითხა. ჰოდა, იმ ტალღაზე, რომელზედაც ვიმყოფებოდი, რატომაც არა-მეთქი, და ასე გადაწყდა. აღმოჩნდა, რომ დიდ შარში გამიყვია თავი. დიდი ძალისხმევა მჭირდება, რომ დღის საქმეების, კონფერენციების, შეხვედრების, მიღებების, სადილების და, ბოლოს, თავისუფალ დროს ნიუ-იორკში ქანცის გაწყვეტამდე ხეტიალის მერე, შინ მატარებლით დაბრუნების შემდეგ, კიდევ დღიურისთვის ჩანაწერები ვაკეთო. მაგრამ უკან დასახევი გზა მოჭრილი მაქვს.

უკვე მეათე დღეა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვარ. ყოველ დილით ნიუ-ჯერსის შტატის პატარა კოპნია ქალაქში, საუთ ორანჯში ვიღვიძებ, ჩემი ბიძაშვილის, ნინო ბადრიძის ლურჯად შეღებილ კოხტა სახლში. დღეს კვირაა და ისეთივე ნათელი და თბილი დღე გათენდა, როგორიც თითქმის ყველა წინა დღე იყო, პირველის გამოკლებით, მაგრამ ამაზე – შემდგომ. ამოვდივარ „ბეიზმენტიდან“, რომელიც მთლიანად ჩემს განკარგულებაშია, სადაც ნებისმიერ სასტუმროზე უფრო გემრიელად ვარ მოწყობილი და სამზარეულოში ვხვდები ნინოსა და მის სამ შვილს: 15 წლის ეილის, 11 წლის ანას და 9 წლის იუანს. დღეს სკოლა არა აქვთ, არც ფეხბურთი და ბალახის ჰოკეი, ამიტომ ნინოსაც არ სჭირდება დილაადრიანად მანქანის გამოყვანა და მათი ჩამორიგება. შესაძლებელია ცოტა გვიან ადგომა და მშვიდად საუზმობა. მაიაც აქაა, აღარ ნერვიულობს ჩემს დანახვაზე და აღარ მიყეფს, როგორც თავიდან (არა, არა, სულ სხვა მაიაზე ვლაპარაკობ, - მაია ამ ოჯახის ბინადარ ძაღლს ჰქვია, რომელიც თავშესაფრიდან წამოიყვანეს და ქუდიანი კაცები არ უყვარს, ეტყობა, ცუდი მოგონებები აქვს მათთან დაკავშირებით. ჰოდა, მეც ვცდილობ, მისი თანდასწრებით ქუდი არ დავიხურო). ნინოსთვის ცხოველის სახლში ყოლა ბუნებრივი მდგომარეობაა. იყო დრო, როცა თბილისში, საბურთალოს მასივის „ხრუშჩოვკის“ ბინის სარდაფში, ათობით ობოლ მგლის ლეკვს კვებავდა საწოვარათი; მახსოვს, ერთხანს მათთან პატარა ვეფხვის ბოკვერი, ტახირიც ცხოვრობდა: ნინო ხომ ჩვენი ცნობილი ბიოლოგის, იასონ ბადრიძის შვილია. ახლა უკვე ოც წელზე მეტია, ამერიკაში ცხოვრობს, ჰყავს შოტლანდიელი ქმარი და ამერიკელი შვილები. მათი ოჯახის შემხედვარე, თვალნათლივ ხედავ და ხვდები, როგორ შეიქმნა და განაგრძობს შექმნას ამერიკული ერი.

ნინომ თავისთან დამპატიჟა, როცა გადაწყდა, რომ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი აფინანსებს ნიუ-იორკში ჩემს მგზავრობას ლუის კეროლის „ელისის თავგადასავლის“ 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა ვერ ფარავს სასტუმროს ხარჯებს. და კიდევ კარგი, რომ არ აღმოვჩნდი მარტოდმარტო ნიუ-იორკის რომელიმე (თუნდაც კარგ) სასტუმროში, ვინაიდან ყოველ საღამოს შინ მობრუნება და ოჯახური სითბო განსაკუთრებულ შეფერილობას აძლევს ჩემს აქ ყოფნას, მიუხედავად იმისა, რომ დილა-საღამოს მიწევს ნიუ-ჯერსიდან ნიუ-იორკში წინ და უკან დაახლოებით ერთსაათიანი მგზავრობა. თუმცა, მე რა მაქვს დასაჩივლი, - ამას აქ „კომიუტინგი“ ჰქვია და ჩვეულებრივი პრაქტიკაა ნიუ-იორკში მომუშავე ათასობით და ათასობით ადამიანისთვის (ასე შვრება დევიდიც, ნინოს ქმარიც), ჩემთვის კი ეს დამატებითი გამოცდილებაა და შესაძლებლობა, ვიცხოვრო ჩვეულებრივი ამერიკელების ყოფით. „ნიუ-ჯერსი ტრანზიტის“ მატარებლები სისწრაფით არ

გამოირჩევა, თუმცა კომფორტულია, და არცთუ ისე ცუდი გრძნობაა გიჟური დღის მერე უკანა გზაზე მოხერხებულ სავარძელში მოკალათება, დაღლილობისგან დაბუჟებული ფეხების მოდუნება და შთაბეჭდილებების გადახარშვა.

კონფერენცია და საიუბილეო შეხვედრები უფრო ადრე მოეწყო, ვიდრე ჩემი დღიურებისთვის გამოყოფილი ერთი კვირაა და, ალბათ, ამაზე უფრო დაწვრილებით საუბარი მაშინ აჯობებს, როცა ბოლო ორი დღის გატარება მგზავრობაში მომიწევს და სადღიუროც ბევრი არაფერი მექნება.

ნიუ-ჯერსის შტატს არა აქვს მიწიერი სამოთხის რეპუტაცია. „ლოუნლი პლანეტის“ მეგზური ისეთ აღწერილობას იძლევა, რომ აქეთ გამოხედვა არ მოგინდება კაცს, თუმცა სინამდვილეში საქმე მთლად ეგრე არაა და ძალიან საინტერესო ადგილია. მდინარე ჰადსონის (რომელიც ჩვენში ლიტერატურიდან გუძონის სახელითაა ცნობილი) ერთ ნაპირზე რომ ნიუ-იორკია, მის ქვეშ გაყვანილ გვირაბებს მეორე ნაპირზე, პირდაპირ ნიუ-ჯერსიში ამოჰყავხარ. აქაა ძალიან ლამაზი, ევროპული ტიპის, ერკერებიანსახლებიანი პატარა ქალაქი ჰობოკენი, რომელიც ფრენკ სინატრას სამშობლოობით ამაყობს და რომლის ერთ-ერთი მდინარისპირა პარკიდან შუა მანჰეტენის საუკეთესო ხედი იშლება. ჩემდა გასაკვირად, შევიტყვე, რომ თურმე ნიუ-ჯერსის ეკუთვნის ელისის კუნძულისა (ეს სხვა ელისია) და ნიუ-იორკის სიმბოლოს, თავისუფლების ქანდაკების პარკის უდიდესი ნაწილი. თუმცა „ლოუნლი პლანეტის“ მეგზური არ ცდება იმაში, რომ ნიუ-ჯერსის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ნიუ-იორკს ემეზობლება, სეკაუკუსისა და ნიუარკის ჩათვლით, არის ინდუსტრიული, უსწორმასწორო, უშნო ნაგებობებითა და ნაცრისფერი ბეტონის ესტაკადებით, რკინის ჯართითა და ჭაობებით დაფარული მიწა, რომელიც ისე არაჯანსაღად გამოიყურება, რომ კაცს ნამდვილად არ მოგინდება აქ ცხოვრება. თუმცა უინტერესო ადგილიაო, არც ამის სათქმელად მოგიბრუნდება ენა. ნიუარკი სამოცდაათიან წლებში სწრაფად ვითარდებოდა და ბიზნესისა და ფინანსების ცენტრად ყალიბდებოდა, მაგრამ მერე აქ მოხდა შავკანიანთა აჯანყება და დიდი არეულობა, რამაც გამოიწვია ის, რომ ბიზნესმენებმა კაპიტალი უკან გაიტანეს და შტატს გაჭირვების ხანა დაუდგა. თუმცა ნიუარკის შემდეგ იწყება ის რაიონები, სადაც განლაგებულია ჩვენი საუთ ორანჯი და სხვა მსგავსი დასახლებები, რომელთა შორის თვალსაჩინო საზღვრები არ არსებობს და რომლებიც სიმწვანით, ლამაზი სახლებითა და მოწესრიგებული გარემოთი გერმანიას მოგაგონებთ. აქ ყიდულობენ სახლებს მანჰეტენელი მდიდრები: ბანკირები, მსახიობები თუ სპორტსმენები.

დღეს „ელისისადმი“ მიძღვნილი კონფერენციის დასკვნითი, მეხუთე დღეა. მოვლენების ცენტრი ქვემო მანჰეტენში, დაუნტაუნში გადადის: „ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სულიერი ცხოვრების გლობალურ ცენტრში“ დღეს საუბარია იმა-

ზე, თუ როგორაა ასახული „ელისი“ ვიდეოთამაშებში, კომიქსებში, ფილმებში, ანიმეში, კოსპლეისა და მანგაში. ყოველივე ამას ჰქვია „ელის პალუზა“, რაც ნიშნავს დიდ წვეულებას, ერთ ადგილას უამრავი ადამიანის შეკრებასა და დროს ტარებას. „კოსპლეი“ აქამდე გაგონილი არ მქონდა და აღმოჩნდა კოსტიუმირებული თამაშები, რასაც მონაწილეები ძალიან სერიოზულად ეკიდებიან წვრილმანებისა და ნიუანსების დონეზე. აქ ნებისმიერი კონფერენციისა თუ სხვა საზეიმო ღონისძიების ფონს ეს ადამიანები ქმნიდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა ლურჯ კაბასა და თეთრ წინსაფარში გამოწყობილი დიდი ზომის გოგო, ვალინა ეკლი, რომელიც ალბათ, გიგანტური ელისის იპოსტასს განასახიერებდა. შემდეგ გაიმართა დისკუსია თემაზე, თუ რამ გამოიწვია ის ტენდენცია, რომ 21-ე საუკუნეში ფილმებში უმეტესად გამოყვანილია გაზრდილი ელისი და მოთხრობილია მისი არასაბავშვო თავგადასავლები, რისი კვინტესენციაც გახდა ტიმ ბერტონის ფილმი „ელისის თავგადასავალი“. ჩვენს წრეში ეს ფილმი არავის მოსწონებია, მათ შორის არც მე. ჩემი აზრით, „ელისი“, როგორც წიგნი, უმთავრესად სიტყვის შესახებაა, უფრო სიტყვების გარშემო ტრიალებს, ვიდრე ამბებისა და სახეების, და ამდენად არც ერთმა ეკრანიზაციამ არ დამაკმაყოფილა ბოლომდე, თუმცა, თუ არ-ჩევანია, ხმას მივცემდი 1988 წლის ჩეხურ ფილმს Něco z Alenky („ზოგიერთი რამ ელისის შესახებ“).

დღის სამ საათზე სესიებს შორის შესვენებაა. რაღაცის გაცდენაც მომიწევს, იმიტომ რომ ნინომ მომიძღვნა საჩუქარი: ბილეთი ფორტეპიანოს ლეგენდის, მაურიციო პოლინის, სოლო-კონცერტზე ასევე ლეგენდარულ „კარნეგი ჰოლში“, დარბაზ-ცათამბჯენში. ასეთი მაღალი დარბაზი ჯერ არ მინახავს. ბალკონზე ვზივარ და, ალბათ, მეათე სართულის სიმაღლიდან ვუყურებ პიანისტს. ასეთ გარემოში ძალიან ძნელი უნდა იყოს სოლო-შემსრულებლის ინტიმური საუბარი უზარმაზარ აუდიტორიასთან. შესაძლოა, ამან გამოიწვია პოლინის უზომო ღელვა, რის გამოც ძალიან ბევრი „ჭუჭყიანი“ ნოტი ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ მის განსაკუთრებულ მუსიკალობას ასაკმა ვერაფერი დააკლო, ტექნიკური წუნი თვალსაჩინო იყო. საბოლოოდ, კონცერტმა, რომლის პროგრამას შუმანისა და შოპენის ნაწარმოებები შეადგენდა, მთლად ისე ვერ მასიამოვნა, როგორც მოველოდი (როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იმ დღეს თელავში უკეთესი კონცერტი გამართულა ელისო ვირსალაძის მონაწილეობით). ნიუ-იორკში ნაცნობთან შეხვედრის იმედი არ მქონია, თუმცა შესვენებისას დარბაზში შევეჩეხე რუსო ჩიტაიას, ჩემი შვილის, ანანოს, მეგობარს; დარბაზიდან გარეთ გასვლის შემდეგ კი ერთ ძალიან ლამაზ შენობასთან შევჩერდი, შოკოლადისგან გაკეთებულს ჰგავდა. დავუწყე თვალიერება და ამ დროს გამომელაპარაკა ერთი ცოცხალი, ებრაული გარეგნობის მქონე შუახნის კაცი, ისიც კონცერტიდან გამოსულიყო. ქართველი პიანისტის, ცო-

ტა ხნის წინ გარდაცვლილი თემურ ახობაძის კერძო მოწაფე აღმოჩნდა. თემურს სიკვდილის ეშინოდაო, ამბობდა, უეცრად მოვკვდებიო, – მითხრა, – და ასეც მოხდა. მე არ ვფიქრობ სიკვდილზე, როცა მოსასვლელია, მოვა. აბა, კარგად იყავიო, – ხელი დამიქნია და ნიუიორკელთა ბრბოს შეერია. მე კი გზა გავაგრძელე, დაბნელებამდე ცენტრალურ პარკში ვიბორიალე და მერე სადგურისკენ გავწიე.

ორშაბათი

12

საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითი განხილვისთვის მიიღო საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა სარჩელი ეროვნული ბანკის კანონში ივლისში შეტანილი ცვლილებების შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა ახალშექმნილი საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მუშაობა.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ცნობები აზერბაიჯანის გაზის რუსეთის ბუნებრივი აირით ჩანაცვლების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება და ყველას მოუწოდა, „შეცდომაში ნუ შეიყვანენ“ მოსახლეობას.

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე დაინიშნა პრეზიდენტის მრჩევლად პოლიტიკურ საკითხებში.

კონფერენცია და შეხვედრები დამთავრდა. დღეს ბოლო შეხვედრა გვაქვს ლინკოლნის ცენტრში, ამ ცენტრთან არსებულ ნიუ-იორკის საშემსრულებლო ხელოვნების საჯარო ბიბლიოთეკაში. მიდის მისამართებისა და ბარათების გაცვლა-გამოცვლა, ჩახუტება და მხრებზე ხელის ტყაპუნი. ყველა კმაყოფილია და, ამასთანავე, სევდიანიც. ფეისბუკზე დიდი საძმო იქმნება, სადაც ყველა გააზიარებს, თუ რამე მოსაგონარი აქვს. იქნებ „სარკისმიღმეთის“ იუბილეც მოვაწყოთ ორი ათას ოცდაორშიო, გაისმის „ხალისიანი ხმები“. თუმცა, ყველას გვესმის, რომ „ეს ის მაინც ვერ იქნება“, ანუ ისეთი ზეიმი, დღეს რომ მორჩა. გამოფენასთან ერთად დამატებით მოეწყო დახლები და ყველას შეუძლია, იყიდოს სამახსოვრო წიგნი ან სუვენირი და, თავის მხრივ, გაყიდოს, თუ რამე გასაყიდი აქვს. აი, სად ვინანე, რომ ეს ადრე არ ვიცოდი და სულ რვა წიგნი მაქვს ჩამოტანილი, ძველი, 1997 წლის გამოცემა. ორმოცდაათი ცალი რომ მქონოდა, სულ გაიყიდებოდა...

საღამოს გაიმართა მიღება და აქ შევხვდი ჩემი მეგობრების შვილს, ხატია ესართიასაც, ნიუ-იორკში მცხოვრებ მხატვარს, რომელიც ერთ-ერთ დიდ გალერეაში მუშაობს და წარმატებული კარიერა აქვს.

ზუსტად ორ საათში ჩვენი დრო ამოიწურა და სასწრაფოდ გამოგვისტუმრეს გარეთ.

სამშაბათი

13

პროკურორმა ფატუ ბენსუდამ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კოლეგიისგან ითხოვა ნებართვა 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში შესაძლო დანაშაულების გამოძიების დასაწყებად.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მთავრობის ადმინისტრაციას გაუგზავნა წერილი იმასთან დაკავშირებით, რომ გიორგი მარგველაშვილი მთავრობის სხდომაზე ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების საკითხის განხილვას მოითხოვს.

„გაზპრომთან“ მოლაპარაკების საკითხის წინ წამოწევას ირაკლი ღარიბაშვილმა უწოდა „უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების სპეკულაცია“ და განაცხადა, რომ

დღეს თავისუფალი დღე მაქვს და ნიუ-იორკში გასეირნებას ვგეგმავ. დღემდე ისეთი შთაბეჭდილება მქონდა შექმნილი, რომ ნიუ-იორკი არ არის სასეირნო ქალაქი, აქ არ უნდა დადიოდე, აქ უნდა მიდიოდე სადმე, წინასწარ განსაზღვრული მიზნით. თუმცა, როგორც ბოლო დღეები მარწმუნებს, ნიუ-იორკი მალევე გინგრევს იმ შთაბეჭდილებებს, რომლებსაც თვითონვე გიშენებს.

ნინოს რჩევით, 34-ე ქუჩაზე ავდივარ „ჰაილაინზე“, რომელიც ხუთი-ექვსი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. უწინ აქ რკინიგზა გადიოდა და მატარებლები მოძრაობდნენ. ამჟამად ამ უზარმაზარ რკინის კონსტრუქციაზე გაშენებულია სასეირნო პარკი, სადაც ადგილ-ადგილ ძველი რკინიგზის ლიანდაგებიცაა დატოვებული. ქვემო მანჰეტენის მიმართულებით მიდის, ჩელსის ისტორიულ უბანს გაივლის.ზემოდან

შესანიშნავი ხედი იშლება ხელმარჯვნივ, მდინარე ჰადსონზე; აქ კონცენტრირებულია თანამედროვე არქიტექტურის ნიმუშები, მათ შორის გამოირჩევა ფრანკ გერის შენობა, რომელიღაც კორპორაციისთვის აშენებული. ბევრი რამ ჯერ კიდევ შენდება. აქ მართლაც შეიძლება მშვიდად სეირნობა, სკამზე ჩამოჯდომა და შინიდან წამოღებული ბუტერბროდით წახემსება, სასეირნო ბილიკის ორივე მხარეს უხვად მოფენილი ხელოვნების ნამუშევრების თვალიერება. თუმცა სრული სიმშვიდის განცდა ნიუ-იორკში არასოდეს გეუფლება: თავზემოთ გამუდმებით დაფრინავენ პოლიციის ვერტმფრენები, სადღაც აუცილებლად წივის სირენა. ჰაილაინის პარკი უიტნის თანამედროვე მუზეუმთან თავდება, მაგრამ, სამწუხაროდ, დრო არ მაქვს მის დასათვალიერებლად. დღის ბოლოს დავსეირნობ გრინვიჩ ვილიჯის ძალიან განსხვავებულ ისტორიულ უბანში და დღის პროგრამას ვასრულებ ვაშინგტონის სკვერში, სადაც დიდი საჭადრაკო არენაა მოწყობილი. მე ერთ სავარძლიან ინვალიდ ზანგს მივუჯექი მაგიდასთან. ხუთდოლარიანი პარტია შემომთავაზა. ვიფიქრე, რამე ხრიკი არ იყოს, რომ წავაგო, მერე არ თქვას, ორმოცდაათდოლარიანი ხელი იყო-მეთქი, ამიტომ მხოლოდ ამხანაგურ თამაშს დავთანხმდი. თავიდან უარესი პოზიცია მივიღე, მერე გამოვასწორე და ის-ის იყო, უნდა მომეგო, რომ მძიმე შეცდომა დავუშვი და წავაგე.

ოთხშაბათი

ნიუ-იორკში ჩემი ყოფნის ბოლოსთვის დავასკვენი, რომ ეს ქალაქი ყველაზე მეტად მაშინ მომწონს, როცა გაშლილი ადგილებიდან ვუყურებ და, განსაკუთრებით, როცა წყალთან ახლოს ვარ. ამიტომ დღეს გადავწყვიტე მანჰეტენიდან ბრუკლინში გადასვლა მეტროთი, რათა იქიდან შემეთვალიერებინა ბრუკლინის ხიდი და უკან გადმომესეირნა მასზე. რა სწორი გადაწყვეტილება აღმოჩნდა! ხიდიდან არაჩვეულებრივი სივრცე და ხედი იშლება: შენ ქვემოთ ისტ-რივერია, მარჯვნივ მანჰეტენის ხიდი, მიდტაუნი და ემპაირ სტეიტ ბილდინგი მოჩანს, ხელმარცხნივ, შორს – თავისუფლების ქანდაკება და ნიუ-იორკის ყურე, პირდაპირ – ქვემო მანჰეტენის ცათამბჯენების კომპლექსი და მათ შორის მართლა ცად ამართული მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ახალი შენობა.

უკანა გზაზე, მეტროში, ერთი სიმპათიური კაცი გამომელაპარაკა. აღმოჩნდა, რომ ბროდვეის ერთ-ერთი თეატრის მსახიობი ყოფილა. როდესაც ამერიკაში ჩემი ჩამოსვლის მიზეზები შეიტყო, თვალები გაუნათდა და ღიმილით შენიშნა, მაშასადამე, შენც კურდღლის სოროში ჩამოვარდი და ამ საოცრებათა ქვეყანაში აღმოჩნდიო. და თითქოს მართლაც, უცებ მენიშნა, რომ ამ კაცმა ძალიან ზუსტად დაახასიათა ის, რაც შეიძლება ჩემს მოგზაურობას დაერქვას.

მივიჩქარი ძალიან საინტერესო მუზეუმისკენ, რომელსაც ჰქვია „ფრიკის კოლექცია“. მალე დაიკეტება. არადა, ბოლო

კომპანიასთან ტექნიკური ხასიათის მოლაპარაკებები ყოველწლიურად მიმდინარეობს საქართველოს ინტერესების დაცვით, რათა ქვეყანას რაც შეიძლება მეტი გაზი დარჩეს.

14

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების პროცესში თბილისი მჭიდროდ ითანამშრომლებს ჰაგის სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორთან.

საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა დაადასტურა, რომ არასამთავრობო სექტორში საქმიანობის გამო დატოვა პარტია „თავისუფალი დემოკრატები“, ხოლო დეპუტატებმა ზურაბ აბაშიძემ და ვიქტორ დოლიძემ „სიცრუე“ უწოდეს პრესით გავრცელებულ ცნობას, თითქოს პარტიის დატოვებას აპირებენ.

საქართველოში აღინიშნა მცხეთობის საერო და სვეტიცხოვლობის საეკლესიო დღესასწაულები.

შანსი მაქვს, რომ იქ მივიდე. აქ სურათების არაჩვეულებრივი კოლექცია ინახება, მაგრამ ჩემთვის ახლა მთავარი იოჰანეს ვერმეერის სამი ნამუშევრის ნახვაა. ვერმეერი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მხატვარია და ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ვნახო იმ სულ ოცდათოთხმეტი ნამუშევრიდან, რომლებიც გადარჩა და ინახება მსოფლიოს მუზეუმებში. ცამეტი სურათი უკვე ნანახი მაქვს ჰააგაში, ამსტერდამში, პარიზში, ლონდონში, ედინბურგსა და ბერლინში; ოთხიც აქ დავამატე, „მეტროპოლიტენ მუზეუმში“ (მეხუთე, სამწუხაროდ, ადგილზე არ დამხვდა - სადღაც მოგზაურობს), ეს კოლექცია კი, რომელიც, თავისთავად, დიდი არ არის, შეიცავს მის სამ ტილოს. ამიტომ იქ აუცილებლად უნდა მოვხვდე. მადლობა, ღმერთს, მივასწარი! დახურვამდე ორმოცდახუთი წუთი რჩება, ბილეთი კი ოცდახუთი დოლარი ღირს (სამუზეუმო დროის 1.8 წუთში ერთი დოლარი ჯერ ცხოვრებაში არ გადამიხდია, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს). მაინც ძალიან ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ არ ვიცი, მოვხვდები კი აქ სხვა დროს ოდესმე? „ფრიკის კოლექცია“ დიდი არ არის, კიდევ არაერთ იშვიათ ნამუშევარს გადავაწყდი, მათ შორის ელ გრეკოს სამ სურათსა და რემბრანდტის გვიანდელ ავტოპორტრეტს.

15 ხუთშაბათი

თბილისს ესტუმრა ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა.

თბილისში გაიხსნა „აბრეშუმის გზის ფორუმი“, რომელშიც მონაწილეობს 30-ზე მეტი ქვეყნისა და რამდენიმე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის 800-მდე დელეგატი.

რვა რელიგიურმა ორგანიზაციამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა, არაკონსტიტუციურად და დისკრიმინაციულად გამოაცხადოს საკანონმდებლო ნორმები, რომელთა თანახმად სხვადასხვა სახის გადასახადებისგან მხოლოდ საპატრიარქოა გათავისუფლებული.

დღეს გამგზავრების დღეა. თვითმფრინავი 18:50-ზე მიფრინავს კენედის აეროპორტიდან. სახლიდან კი 14:30-ზე მაინც უნდა გავიდე. გადასაწყვეტი მაქვს, შინ დავრჩე, მშვიდად დავამთავრო ჩალაგება, აღარ გავიდე ქალაქში, თუ მაინც გავაკეთო გმირული ნაბიჯი და გავვარდე მატარებლით წინ და უკან, რათა ბოლოს კიდევ ერთხელ შევავლო თვალი ნიუ-იორკს. არა, არა, წავალ: ვინ იცის, კიდევ როდის დავბრუნდები აქ, თან რაღაც-რაღაცები დამრჩა მოსანახულებელი, მათ შორის „ფლეტაირონის“ ცნობილი შენობა, რომელიც, ისე მოხდა, რომ ამ ხნის მანძილზე ჩემს გზაზე არ აღმოჩნდა. მართალია, ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ აქოშინებული ლამის შევახტი უკან მომავალ მატარებელს, მაგრამ მაინც არ მინანია, იმიტომ რომ ბოლო გასეირნებას კიდევ სხვა გემო ჩავატანე, კიდევ ერთხელ შევიგრძენი შუა მანჰეტენის (რომელსაც ამასობაში საკმაოდ გავუშინაურდი) ატმოსფერო და იუნიონ სკვერზე მდებარე „ფლეტაირონის“ 1902 წელს აგებული შენობაც ნიუ-იორკში ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური და ლამაზი ცათამბჯენი აღმოჩნდა.

16 პარასკევი

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა თბილისში შეხვდა 2008 წლის აგვისტოს ომით დაზარალებულებს, სახალხო დამ-

ყვები იმის შესახებ, თუ რისთვის ჩავედი ამერიკის შეერთებულ შტატებში და რა ხდებოდა საზეიმო ღონისძიებებსა და მთარგმნელობით კონფერენციაზე, რომელიც 5 ოქტომბერს დაიწყო.

2015 წელს შესრულდა ლუის კეროლის უკვდავი შედევრის „ელისის თავგადასავლის“ გამოქვეყნების 150-ე წლისთავი, რაც ძალიან დიდი მასშტაბით აღინიშნება მთელ მსოფლიოში და, როგორც ცუდი ჟურნალისტები იტყვიან, მოვლენათა ეპიცენტრი იყო ნიუ-იორკში, სადაც ლუის კეროლის ჩრდილოეთ ამერიკის საზოგადოების ინიციატივით მოეწყო ფართომასშტაბიანი საზეიმო ღონისძიება. მთავარი მოვლენა გახლდათ ხუთდღიანი მთარგმნელობითი კონფერენცია. შემდგომ ეს კონფერენცია გავრცელდა ნიუ-იორკის სხვადასხვა დაწესებულებაში, როგორიცაა ნიუ-იორკის უნივერსიტეტი, ტექნოლოგიური ინსტიტუტი, საშემსრულებლო ხელოვნების საჯარო ბიბლიოთეკა, ლინკოლნის ცენტრი, მორგანის ბიბლიოთეკა და სხვა. კონფერენციის გარდა, მოეწყო გამოფენები, კინოჩვენებები, თეატრალური წარმოდგენები, შეხვედრები მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, გაიმართა საზეიმო მიღებები და სადილები Cornell Club-სა და Cosmopolitan Club-ში, ასევე გამოფენა-გაყიდვები კოლექციონერებისთვის.

სამეცნიერო კონფერენცია პირველ ორ დღეს ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკასა და გრაფიკული ხელოვნების მოყვარულთა უძველეს და უდიდეს, 1984 წელს დაარსებულ Grolier Club-ში იმართებოდა და მთლიანად ეძღვნებოდა ლუის კეროლის ნაწარმოებების თარგმანთან დაკავშირებულ საკითხებს. აქ მოეწყო გამოფენაც, რომელზედაც წარმოდგენილი იყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოცემული თარგმანების ნიმუშები და ამასთან დაკავშირებული სხვა ექსპონატები. გამოფენა დაყოფილი იყო ათ სექციად. აქ იყო ლუის კეროლის ცხოვრებასთან და სიკვდილთან დაკავშირებული ექსპონატები, მათ შორის პირველი გამოცემები; ლუის კეროლის სიცოცხლეში გამოქვეყნებული პირველი თარგმანები; დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ენებზე შესრულებული თარგმანები, მათ შორის ექვს კელტურ ენაზე, შოტლანდიური ენის ათივე დიალექტზე, ჯერსის ენაზე და ასე შემდეგ: ესპანურ, ბალტიისა და ჩრდილოეთის ენებზე, ბალკანურ და სხვა ევროპულ ენებზე, ინდოეთის სუბკონტინენტის, წყნარი ოკეანის რეგიონისა და აფრიკულ ენებზე, და სხვა ენებზე, მათ შორის, ქართულსა და ებრაულზე.

ქართულ გამოცემათაგან აქ წარმოდგენილი იყო ალექსანდრე გამყრელიძის 1979 წლის თარგმანი ზურაბ ნიჟარაძის ილუსტრაციებით და 2013 წლის ჩემი თარგმანი. დამთვალიერებლები ძალიან დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართული კუთხის მიმართ. ალბათ იმიტომ, რომ გამოფენილ ექსპონატთა შორის არც ისე ბევრი იყო განსხვავებული დამწერლობით შესრულებული და ბევრს მეკითხებოდნენ ჩემი ქვეყნის, მისი ენის შესა-

ცველს, ხელისუფლების, პროკურატურისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

პოლიციამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალდებით დააკავა, მოგვიანებით კი ხელწერილით გაათავისუფლა ტელეკომპანია „ტაბულის“ დირექტორი თამარ ჩერგოლეიშვილი და კიდევ ორი პირი, რომლებიც „გაზპრომთან“ მოლაპარაკების გამო პროტესტის ნიშნად თბილისის ცენტრში პლაკატებს აკრავდნენ.

გაიხსნა სახალხო დღესასწაული „თბილისობა – 2015“, რომლის ფარგლებშიც მოეწყო „საპატიო თბილისელების“ დაჯილდოების ცერემონია.

ხებ – აინტერესებდათ, რა ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნება და ასე შემდეგ. ყველა გაკვირვებული იყო იმითაც, თუ როგორ მოხერხდა ისეთ არცთუ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ასეთი კარგი და პოლიგრაფიულად მაღალი დონის წიგნის გამოცემა. ამ მხრივ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ შესრულებული 2013 წლის ჩვენი გამოცემა მართლაც გამოირჩეოდა სხვა, შედარებით უბრალო გამოცემების ფონზე.

17 შაბათი

უკრაინულმა ვებსაიტმა Tube.ua-მ გამოაქვეყნა ვიდეომასალა, რომელიც, სავარაუდოდ, ასახავს ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში სამეგრელოს რეგიონის სამართალდამცველთა მიერ ცრუ ჩვენების იძულებით მისაღებად ადამიანის წამებასა და სექსუალურ ძალადობას.

NDI-მ გამოაქვეყნა მისი დაკვეთით კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომელთა თანახმად, საპარლამენტო არჩევნები ხვალ რომ ტარდებოდეს, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მხარს დაუჭერდა ელექტორატის 11%, ხოლო ნაციონალურ მოძრაობას – 13%.

ხულიგნობისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით თბილისში, ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ ოფისთან, დააკავეს ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ სამი წევრი.

თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციასთან, გაიმართა საპროტესტო აქცია „არა გაზპრომს!“

გრძელდება საქართველოსკენ მგზავრობა... ნიუ-იორკის თვითმფრინავმა დააგვიანა და ღამის გათენება სტამბოლის სასტუმროში მომიხდა. აქ ვაგრძელებ წერას. რა თქმა უნდა, ეს დღეები სრულიად განსაკუთრებული იყო ჩემს ცხოვრებაში და, ალბათ, არასოდეს დამავიწყდება ნიუიორკული შეხვედრები, ის დიდი ენთუზიაზმი, რომელიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულ კეროლის მთარგმნელებს, მეცნიერებსა და, უბრალოდ, მოყვარულებს გვქონდა; ის სიხარული, რომელიც ამ ურთიერთობებმა მოგვანიჭა, ახალი მეგობრები. რა თქმა უნდა, დაუვიწყარია თვითონ ნიუ-იორკი, ეს სიცოცხლით აღსავსე ქალაქი. ეს იყო მართლაც ძალიან დიდი ზეიმი ჩემთვის და ამას მე, ცხადია, კეროლსა და მის „ელისს“ ვუმადლი, ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე დიდ სიყვარულს. თუმცა ამასობაში თბილისიც მომენატრა და მიხარია შინ დაბრუნება, განსაკუთრებით ამ გაგრძელებული მგზავრობის შემდეგ. გარდა ამისა, ვიცი, რომ გამოგზავნილია და თბილისში უნდა დამხვდეს Oak Knoll Press-ის მიერ სამ ტომად გამოცემული წიგნი, რომლის შექმნაზეც რვა წლის მანძილზე ვმუშაობდით ავტორები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან და რომელიც გახდა გვირგვინი მთელი ამ საზეიმო ღონისძიებებისა. წიგნს ჰქვია „ელისი საოცრებათა ქვეყნების სამყაროში“, და ის მოიცავს ყველაზე სრულ და ყოვლისმომცველ ინფორმაციასა და ანალიზს მსოფლიოს ას სამოცდათოთხმეტ ენაზე შესრულებული თარგმანების, ორი ათასზე მეტი გამოცემისა და ათას ორასი ილუსტრატორის შესახებ.

თავის დროზე ლუის კეროლმა თავის გამომცემელს, მაკმილანს მისწერა, ეს ჩემი წიგნი, მგონი, უთარგმნელიაო, თუმცა, საბედნიეროდ, იგი შეცდა, რისი დადასტურებაც იყო ოქტომბრის ნიუიორკული შეხვედრები. მე კი გული ოდესმე ისევ აქეთ გამომიწევს: მე ხომ ჰადსონის წყალი დამილევია!

თამთა რეხვიაშვილი

მაგისტრანტი. დაიბადა 1992 წლის 18 აპრილს ადიგენის რაიონის სოფელ ჩორჩანში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. 2014 წელს მოიპოვა ბაკალავრის ხარისხი. სწავლობს შსს პოლიციის აკადემიის სამაგისტრო პროგრამაზე საპოლიციო რეგულირების სამართლის განხრით.

ოქტომბერი 18

უკრაინული ინტერნეტსაიტის მიერ 17 ოქტომბერს გავრცელებული ვიდეომასალის გამო საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, რომ სამეგრელოს რეგიონში 2013 ნლის ზაფხულში აღმოჩენილი ჩანაწერების საქმეზე, რომელიც არარსებული დანაშაულის აღიარების მიზნით ადამიანთა წამებას და სექსუალურ ძალადობას შეეხებოდა, სასამართლომ დამნაშავედ ცნო 11 პირი.

გიორგი მარგველაშვილი სახელმწიფო ვიზიტით ეწვია ისრაელს.

ილია მეორემ საკვირაო ქადაგებაში „მანკიერი წესი“ უნოდა ქალების მიერ ოჯახების დატოვებას და უცხოეთში სამუშაოდ წასვლას და საქართველოს მოქალაქეებს შინ დაბრუნებისკენ მოუნოდა.

კვირა

ადრე გავიღვიძე. როცა საქმე არ მაქვს, სულ ასე მეღვიძება. სხვა დროს – პირიქით. ჩავიფუთნე, მიყვარს, როცა ძალიან, ძალიან თბილად მაცვია.

გამოვიყვანე ძაღლი და ავედით მთაწმინდისკენ. ასე ადრიანად სხვა ძაღლები არ გვხვდებიან და როკიც წყნარად მომყვება გვერდით. გინდა თუ არ გინდა, ასეთ დროს ფიქრს იწყებ. თამთა ბერძნული სახელია და გმირს, მამაცს, რაინდს ნიშნავს. ვცდილობ, გავამართლო. ხანდახან არც ვცდილობ, დავჯდები ხოლმე სადმე, ჩემთვის მოვიკალათებ და ვტირი. ტირილი შემიძლია ყველაფერზე: შოკოლადის ფილაზე, მოთხუპნილ ბოშა ბავშვებზე, მაწანწალა ძაღლებზე და, რა ვიცი, კიდევ რაზე... თუ ტირილი მომინდა, მიზეზს რა დამილევს! ვცხოვრობ მთაწმინდისა და სოლოლაკის გზაგასაყარზე და სულაც არ მაინტერესებს, რომელი უბნის ნაგლეჯია ჩემი ნესტიანკედლებიანი ერთი ოთახი. ასე ჯობია: თუ მთაწმინდელი გკითხავს, რა უბნელი ხარო, მთაწმინდელიო, უპასუხებ და გაუხარდება; თუ სოლოლაკელი ჩაგეძიება, სოლოლაკელიო, ეტყვი, და იმასაც გაუხარდება. ვიქნებით სამივე გახარებულები. ჰო, ასე ჯობია.

მე და როკი ჩამოვედით. ჭიშკართან მისვლას, რაც შეუძლია, წელავს. იცის, რომ საღამომდე ვეღარ გამოვიყვან. აი, ამ „იტალიურ“ ეზოში ვცხოვრობ ორ ძმასთან, დედასთან და როკისთან ერთად. ამ ოთხიდან რომელს უფრო ვუყვარვარ,

ვერ ვიტყვი, მაგრამ კუდს მარტო ძაღლი მიქიცინებს. მე ძმებიდან თოკო უფრო მიყვარს. თოკო 27 წლისაა, ცერებრალური დამბლა აქვს და სულ სხვანაირად უყურებს სამყაროს. თოკოს უყვარს ყველა და ყველაფერი, განსაკუთრებით – დედა. ეუბნება ხოლმე, ჩემი კატა ხარო და ეხუტება ძალიან მაგრად. კიდევ უყვარს Il Divo-ს „ავე მარია“ და ტირის ხოლმე, როცა უსმენს. კიდევ დიდი, წითელი ტრაქტორები (მარტო წითლები!) და ხშირად დაგვყავს მშენებლობებზე. ტრაქტორისტი შალო ბიძია ვარო, გაიძახის და უხარია. ეს შალო ბიძია ჩვენი სოფლელი ტრაქტორისტია, რომელმაც სულ არ იცის, რომ თოკო პროფესიასაც ართმევს და სახელსაც. ისე, არა მგონია, ეწყინოს, სიამოვნებითაც გადაულოცავდა ხვნა-თესვის პერიოდში.

ჩემი მეორე ძმაა თევდორე, იგივე თედო. მხატვარია. ჩართავს მუსიკას, რომლის მოსმენაც ოჯახში მარტო მას სიამოვნებს, და ხატავს. ჩვენ ვდუმვართ. გიტარის დაკვრას ყოველთვის ღამის ორ საათზე იწყებს. აქაც ვდუმვართ. ხდება ხოლმე, რომ სახლში ყირაზეც გადადის და აქაც დავდუმდებოდით, მაგრამ თვითონ იმსიგრძეა და სახლი – ისე მოკლე, ან ფეხს მოგარტყამს ან თავზე დაგეცემა და ჩვენც ადამიანები ვართ - აქ შეიძლება აღმოგვხდეს ერთი „ვაი“.

„ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს“, – ამბობს დედაჩემი.

თედო თავს უქნევს.

„და არა მსხვერპლებს“, – ვამატებ მე, მაგრამ ისე მიყურებენ, ვხვდები, რომ დედა-შვილის ამ ტანდემის წინაშე უძლური ვარ და ისევ ვდუმდები.

არა, მართლა კარგი მხატვარია თედო. უდავოდ იმსახურებს ყირამალების უფლებას.

აი, ასეთი ოჯახი მყავს: ერთი ძმა ტრაქტორებზე გიჟდება, მეორე – ყირამალებზე, დედაჩემი კი რეპეტიტორია და სხვის შვილებს ასწავლის, როგორ იყვნენ დალაგებულები და ადეკვატურები (გამოცდებზე მაინც).

ზუსტად ხუთი წლის წინ, თვალი გადავავლე რა ჩემს სკოლისდროინდელ თორმეტწლიან „ნამოღვაწარს“, ჩავუფიქრდი რა ჩემი ზემოთ აღწერილი ოჯახის პოტენციალს დროსა და სივრცეში, და გავაანალიზე რა, რომ გამოცდები კარს მომადგა, მივხვდი: ჩიხში მოვექეცი. უნდა ამერჩია პროფესია, რომელიც იქნებოდა იმდენად შემოსავლიანი მაინც, რომ დედას შევშველებოდი, ვიდრე თევდორე ცნობილი მხატვარი გახდებოდა, ნახატებს გაყიდდა და სხვა რამეს იყიდდა, რაც, სულ მცირე, იჭმებოდა მაინც; იმდენად „მოთხოვნადი“, რომ, სულ მცირე, გაუთავებელი სტაჟირების მერე დავსაქმებულიყავი, და იმდენად ფართო, რომ მასში აუცილებლად მეპოვა საჩემო კუნჭული, რომელიც, თუ არ მომერგებოდა, სულ მცირე, მოვერგებოდი მაინც. ზუსტად ამას ვფიქრობდი, როცა ჩემს ბავშვობის ოცნებას ხევსურეთის პატარა ხის სკოლაში ქართულის მასწავლებლობაზე ფრთები შეეკვეცა და იურიდი-

ულზე ჩავაბარე თსუ-ში. შესაბამისად, ვეღარც კუშტმზერიან ნამდვილ ხევსურ ბიჭს გავყვებოდი ცოლად მორცხვად თავ-ჩახრილი და ვეღარც ტალავარს მოვუქარგავდი ხატობისთ-ვის. იურისტები არ მორცხვობენ და იურისტებს ქარგვისთვის დრო არ რჩებათ, ვუთხარი ჩემს თავს. თავიდან მეურჩა, მერე გაჭრა. მეორე კურსზე შევეჩვიე კოდექსების და იურიდიული დოქტრინის კითხვას. მესამეზე მომეწონა, მეოთხეზე შემიყ-ვარდა და ახლა უკვე მაგისტრატურას ვამთავრებ, თანაც პო-ლიციის აკადემიაში!

ორშაბათი

19

თბილისის საქალაქო სასამარ-თლოს მოსამართლე თამაზ ურთ-მელიძემ არ დააკმაყოფილა მისი აცილების შესახებ „რუსთავი 2“-ისა და ამ ტელეკომპანიის მფლო-ბელების ადვოკატთა შუამდგომ-ლობა.

ოზურგეთში, გურჯაანში, გორ-ში, ქუთაისსა და ბათუმში გაიმარ-თა საპროტესტო აქციები ნაციო-ნალური მოძრაობის აკრძალვის მოთხოვნით.

ტელ-ავივში გაიმართა ისრაე-ლისა და საქართველოს პრეზი-დენტების, რეუვენ რივლინისა და გიორგი მარგველაშვილის შეხ-ვედრა.

საგარეო საქმეთა მინისტრი გი-ორგი კვირიკაშვილი ბაქოში შეხვ-და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილ-ჰამ ალიევსა და პრემიერ-მინისტრ არტურ რასიზადეს.

დღეს დილაუთენია ავდექი. ტანსაცმელს არასდროს ვიმზა-დებ წინასწარ, იმიტომ რომ დილით რა გუნებაზე გავიღვიძებ, არ ვიცი. ჰოდა, ამ საქმეს ყველაზე მეტი დრო მიაქვს, მაგრამ ორშაბათი და სამშაბათი პრაქტიკის დღეებია და ფორმა მაც-ვია, რომელიც სულ არ დაგიდევს ჩემს ხასიათს. ასე უფრო ნაკლები დრო მჭირდება, მაგრამ მაინც ადრე ავდექი – ძაღლი უნდა გამესეირნებინა. ყოველ დილით ასეა, სულ მე ვასეირ-ნებ. საერთოდ, ოჯახში ძაღლს თუ შენი ჰქვია, დანარჩენები მხოლოდ მოფერებით შემოიფარგლებიან, ისიც საკუთარი და არა როკის სურვილისამებრ.

როკი გავასეირნე და ფორმა ჩავიცვი. რვის თხუთმეტ წუთ-ზე პარლამენტთან შევხვდი ირაკლის და გავუდექით გზას. ირაკლი ჩემი ჯგუფელია, მთაწმინდაზე ცხოვრობს და ერთად დავდივართ ხოლმე პრაქტიკაზე. ირაკლის აქვს მუქი ცისფე-რი თვალები და უხდება ფორმის ლურჯი პერანგი. ის არასდ-როს აგვიანებს. არც მე. ის ადრე მოდის, მე – არა. რვა საათზე უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში ვართ მოწყობაზე. დილით, როცა ქალაქს ჯერ არ გაუღვიძია და, ვინც გაიღვი-ძა, ჯერ არ გამოფხიზლებულა, მოწყობაზე იკრიბება საპატ-რულო პოლიციის ახალი ასეული, რომ მეორე, ღამენათევი შეცვალოს; ხალხმა კი მშვიდად გააგრძელოს ძილი, ან გზა სამსახურებისკენ, სკოლებისკენ, უნივერსიტეტებისკენ. მე-რე მთელი დღე ვპატრულირებთ. ჩემი ეკიპაჟის წევრები არი-ან კობა და სოსო. სოსო ახალია, კობა – საამაყოდ სტაჟიანი. სოსო საჭესთან ზის, კობა მარჯვნივ, მე – უკან, და ათასი კითხვით ვუბრუებ თავებს. მთელი დღე დავდივართ ქუჩაში, ვმოძღვრავთ, ვარიგებთ, შენიშვნას ვაძლევთ ან ვაჯარიმებთ მოქალაქეებს. მათივე სიკეთისთვისო, – ამბობს კობა. მათივე სიცოცხლისთვისო, – ამბობს სოსო. მე თავს ვუქნევ და ვიმახ-სოვრებ. საღამოს კობა მიცვალებულებზე იწყებს ლაპარაკს, ოღონდ კეთილებზე. ჯერ არ მეშინია, მერე ბნელდება და სო-სოც შედის ამ თემის ეშხში. იხსენებენ გაგონილს თუ ნანახს, როგორ გამოსცხადებიათ გარდაცვლილი ადამიანები, უთხო-ვიათ რამე ან, უბრალოდ, თავიანთ გასაჭირზე მოუყოლიათ და მერე დილით საფლავი უნახავთ ჩავარდნილი. გინდ დაი-ჯერე, გინდ არაო, – აყოლებენ ბოლოს სასხვათაშორისოდ. მე

უკვე მეშინია, მაგრამ არ უნდა შემემჩნეს. თან ვიცი: სახლში მისულს, ბნელი და გრძელი თაღი მაქვს გასავლელი. სარკეში სოსოს მზერას ვაწყდები. მიღიმის და პირობას მაძლევს, რომ შემაცილებს და ისევ აგრძელებს საფლავის ამბავს. მე ვდუმვარ და ბოლოს კიდევ ერთხელ ვავლებ თვალს ჩვენს საპატრულო კვადრატს. ასე მთავრდება ჩემი ორშაბათი. სანამ დავიძინებდე, დედა მეკითხება, როგორი დღე იყოო. ვპირდები, რომ ხვალ მოვუყვები, მაგრამ ვატყუებ. ოღონდ ჩემდა უნებურად.

20 სამშაბათი

ისრაელში ვიზიტად მყოფი გიორგი მარგველაშვილი შეხვდა მასპინძელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეტანიაჰუს, კნესეტის თავმჯდომარეს იული ედელშტეინს და საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერს იცხაკ ჰერცოგს.

ბათუმში, ნაციონალური მოძრაობის ოფისთან, „თავისუფალი თაობის“ მიერ მოწყობილი აქციის მონაწილეებმა ოფისში შეჭრა სცადეს, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა შენობას ბოთლი ესროლა, რის შემდეგაც ის პოლიციამ დააკავა.

ბათუმის პორტში შემოვიდა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ნაღმოსანი „პორტერი“.

საპატრიარქოსთან გაიმართა აქცია, რომლის მონაწილეებმაც უკმაყოფილება გამოთქვეს ილია მეორის იმ განცხადების გამო, რომ საზღვარგარეთ ქალების სამუშაოდ წასვლა „მანკიერი წესია“.

თბილისში გამართულ პროკურორთა კონფერენციაზე აირჩიეს. საპროკურორო საბჭოს რვიდან ექვსი წევრი.

ღამის ცვლა უფრო მიყვარს. ასეთ დროს საინტერესო ამბები ხდება ხოლმე, როგორც ყველა ქალაქში. ზოგი სვამს და ვერ ირგებს; ზოგი შეყვარებულს ეჩხუბა და ჯდა მტირალი მტკვრისა პირსა; ზოგმა გადაწყვიტა, რომ ფული თვითონ უფრო სჭირდება და ვინმე ტაქსისტის მთელი დღის ნამუშევარი მიისაკუთრა; ზოგჯერ ბიჭები გოგოს ვერ იყოფენ, ზოგჯერ ბიჭები ბიჭს და რა ვიცი, ათასი რამე... ჩვენც დავდივართ, ვაშოშმინებთ, ვაწყნარებთ, ვაიმედებთ, ვკიცხავთ, ვაკავებთ და ასე.

სახლში გამთენიისას ვბრუნდები და ვცდილობ, დანარჩენები არ გავაღვიძო, მაგრამ როკის უხარია და ყეფს. საერთოდ, როკისთვის არა აქვს მნიშვნელობა, დაღლილი ხარ, მოწყენილი, მხიარული თუ გაბრაზებული, მაინც უყვარხარ. შემოგყურებს ცისფერი, ღილებივით თვალებით და უხარია, რომ, უბრალოდ, ჰყავხარ. აი, ეს არის როკის ყოლის მთელი არსი და სიამოვნება.

21 ოთხშაბათი

„რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ მისმა მეგობარმა და ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირმა მთავრობისგან გადასცა მუქარის შემცველი მესიჯები, რის შემდეგაც მთავარმა

დღეს დიდხანს მძინავს, იმიტომ რომ ღამე მაქვს გასათევი, ისევ პრაქტიკაზე. კარგ გუნებაზე ვიღვიძებ. როცა ძილი მყოფნის, სულ ასეა. მერე ვემზადები. მიყვარს, როცა არავინ მაჩქარებს და ნება-ნება ვემზადები. ვიკეთებ მაკიაჟს, დღეს „ქალურ“ განწყობილებაზე ვარ. ვისვამ ბორდოსფერ პომადას. ვიცი, რომ ტუჩსაცხია სწორი, მაგრამ მე პომადას ვისვამ. და ვიხედები სარკეში. ვფიქრობ: „რა ლამაზი ვარ!“ ბარბივით არა, სხვანაირად. ეს ბორდოსფერიც უხდება ფორმის პერანგს. მიყურებს დედაჩემი და ამბობს: „რა ლამაზი ხარ!“ ვხვდები ირაკლის და მეუბნება: „რა ლამაზი ხარ!“ მე მიხარია. სანამ მოწყობამდე მივალ, ხელისგულით ვიშორებ ბორდოსფერს – მოვისიყვარულე უკვე. თან, ამდენ მამრთან უხერხულია.

მეგობრები ვნახე და დიდხანს მოვუნდი მოსიყვარულებას. ხანდახან მინდა, უფრო დიდი, ორჯერ დიდი იყოს დღე, ყველაფერს მოვასწრებდი. ზამთარში ისედაც მოკლდება და ერთ წუთში დილაა, მეორეში – საღამო, ხეირიანად ვერაფერს მოასწრებ კაცი. წადი და იჩივლე, რამდენიც გინდა. იურისტობა აქ არ ჭრის. მოკლედ, ბატონო პაატა, ხვალ დავალებას რომ ვერ მოვიტან, მთლად ჩემი ბრალი არ იქნება. წარმოიდგინეთ, ისიც კი ვიფიქრე თქვენზე, იქნებ ხვალ ვერ მოვიდეს-მეთქი, და ახლა ის საკითხი განვავრცე, რის გამო ვერ შეძლებდით მოსვლას. ამ ვირუსიანობა-სიცხიანობის ჟამს კარგი ვერაფერი მოვიფიქრე, ცუდისთვის ვერ გაგიმეტეთ და გადავწყვიტე, კარგად ყოფილიყავით, მოსულიყავით და თუნდაც მთელი ჯგუფის თვალწინ გეთქვათ, რომ უპასუხისმგებლო ვარ.

ხუთშაბათი

22

დღეს ისევ ადრე გავიღვიძე, ხუთშაბათობით პოლიციის აკადემიაში მოწყობა გვაქვს. მთაწმინდიდან გლდანამდე შორია. უშორესი! მაგრამ ჩემი ჯგუფელები ლევანი და გაგუ ვარკეთილიდან დადიან. ასე ვიმშვიდებ ხოლმე თავს. მოკლედ, ბატონო პაატა, გამიხარდა, რომ დღეს კარგად და ჯანმრთელად იყავით. ჩემს დავალების არქონაზე ყურადღება რომ არ გაამახვილეთ, ეგეც გამიხარდა. კარგი არ არის? თქვენ ჯანმრთელი ხართ, მე – გახარებული!

სახლებში ერთად მივდივართ ბავშვები. მეტრომდე ერთი გზა გვაქვს, მერე ნელ-ნელა ვიფანტებით გვირაბებიდან. მე, დათო, ლევანი, გაგუ, გვასო, იკა, მარი და ნათია ერთად მივდივართ ვაგზლამდე. სულ რომ არაფერზე ილაპარაკო, კარგია ერთად ყოფნა. ახმეტელის მეტროსთან ვჩერდებით, დათოს აქაური „პონჩიკი“ უყვარს. ამ ბოლო დროს კრემი გაუფუჭესო, ამბობს, მაგრამ მაინც ყიდულობს. ვჭამთ ყველა, მაგრამ უყვარს დათოს. ყოველთვის, როცა „პონჩიკს“ ვხედავ, მახსენდება ერთი პატარა ბავშვის ნაწერი, რომელიც ასე იწყებოდა: „ერთი ფუნჩულა. დღეს ვიყიდე ოცი ფუნჩულა. მივუტანე მეგობრებს. შეჭამეს, დანაყრდნენ. მე მეგონა, მეგობრები იყვნენ, თურმე შიოდათ.“ ამის მეტი აღარ მახსოვს და არც სჭირდება ამას გაგრძელება. კმარა იმისთვის, რომ დავასკვნათ: ჩვენ მაძღრებიც ვმეგობრობთ.

პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

„მაესტრომ“ ტელეკომპანიის ერთ-ერთი მენილე გია გაჩეჩილაძე დაადანაშაულა მისი საქმიანობის „მიზანმიმართულად შეფერხების“ მცდელობაში.

თსუ რექტორის, ვლადიმერ პაპავას გადადგომის მოთხოვნით დაიწყო სტუდენტთა საპროტესტო აქცია, რომლის 20-ზე მეტმა მონაწილემ შიმშილობა გამოაცხადა.

პროკურორთა კონფერენციამ დაასრულა საპროკურორო საბჭოს რვა წევრის არჩევის პროცედურა.

ადამიანთა წამების ამსახველი ვიდეომასალების უკრაინული ინტერნეტსაიტებით გავრცელებაზე საუბრისას ირაკლი ღარიბაშვილმა ნაციონალურ მოძრაობას უწოდა დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომლის წევრებსაც პოლიტიკაში დარჩენის უფლება არ აქვთ.

„რუსთავი 2“-ის შენობასთან გაიმართა ტელეკომპანიის მხარდასაჭერი აქცია.

მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენელმა, დუნია მიატოვიჩმა შეშფოთება გამოთქვა „რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებული მოვლენების გამო.

23 პარასკევი

თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა 2013 წლის 17 მაისს ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაციისთვის ხელის შეშლაში ბრალდებულებს: სასულიერო პირს იოთამ ბასილაიას და ბექა სალუქვაძეს, ტიტალ დავრიშიანსა და გიორგი ბასიაშვილს.

გიორგი მარგველაშვილმა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე სასაუბროდ მიიწვია ირაკლი ღარიბაშვილი და დავით უსუფაშვილი.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გამართულ სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერად აირჩიეს ზვიად კვაჭანტირაძე.

პარასკევი მეგობრების დღეა. ვისვენებ, ოღონდ შაბათს ვსწავლობ და დრო ისე უნდა გავანაწილო, რომ მეცადინეობაც მოვასწრო.

ვნახე ბავშვები. ვიკრიბებით ხოლმე ჩემს ქუჩაზე, „1904“-ში, პატარა მყუდრო კაფეში; ვსვამთ ყავას, ზოგჯერ ლუდს, ვჭამთ მექსიკურ კარტოფილს, რომელსაც აქ ყველაზე გემრიელად ამზადებენ, და ვიცინით. ზოგჯერ არც... დღეს რატომღაც პოლიტიკით დავიწყეთ. ჩემი მეგობარი მარიამი კარგი ფინანსისტია, ელენე – კარგი ფილოლოგი. მიმოვიხილეთ ქვეყნის ამბები ფინანსურ-ფილოლოგიურ-სამართლებრივ ჭრილში და არ გვიკამათია, ისე დავასკვენით, რომ მთლად კარგად ვერ არის საქმე.

„საქმე ვერ არის კარგად“, – ოხრავს მარი.

„საქმე კარგად ვერ არის“, – ამატებს ელენე და ეცინება.

„რა გაცინებს, შენი ქვეყანაა!“ – უტევს მარი და თვითონაც უთამაშებს ღიმილის კუთხეები.

„ვერ არის საქმე კარგად“, – ვამბობ მე და ვხარხარებთ.

სამივემ ვიცით, რომ ამაში სასაცილო არაფერია. და მაინც ისტერიკულად გვეცინება ამ ყველაფერზე. აქ მახსენდება ყველაზე კარგი ბიჭის ყველაზე კარგი ლექსის ნაწყვეტი: „არაფერია პირადული, ჩემო სამშობლო, უბრალოდ, სადღაც, ვიღაცაზე უნდა მეყარა ჯავრი და როგორც ყველას, შენ შემრჩი ხელში...“

სახლში გვიან მოვდივარ და მერე კრიმინოლოგიის სწავლას ვიწყებ, თანაც კარგად. ხვალ კვიზი მაქვს...

24 შაბათი

შსს-მ განაცხადა, რომ მოქალაქეების, მათ შორის „რუსთავი 2“-ის თანამშრომლების უსაფრთხოების დასაცავად და შესაძლო პროვოკაციების აღსაკვეთად ტელეკომპანიის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდება ვიდეომეთვალყურეობის კამერები და დაწესდება საპატრულო პოლიციის მუდმივი მორიგეობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოქალაქე ბექა წიქარიშვილის სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო პირადი მოხმარებისთვის მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის სასჯელად თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.

შაბათობით ვსწავლობ. ამ დროს მთელი აკადემია ისვენებს. მივდივართ მხოლოდ მაგისტრანტები, ჩვენი კურატორი ნინო, ორიოდ ლექტორი და ჯარისკაცები, რომლებისთვისაც შაბათ-კვირა არ არსებობს. დგანან და ღირსეულად იხდიან თავიანთ ჯარისკაცურ ვალს, ანუ უცხო პირთაგან იცავენ აკადემიას. მე მიყვარს ჯარისკაცები. ბავშვობას მაგონებენ, როცა დღესასწაულებიდან ყველაზე მეტად 26 მაისი მიყვარდა – აღლუმის გამო. დედა სამივეს მოგვკიდებდა ხოლმე ხელს და ჩაგვატარებდა ჯარისკაცების რიგებში, თან გვიყვებოდა, როგორი მამაცები, ძლიერები და სამშობლოს ერთგულები იყვნენ ისინი, ვისაც ფორმა ეცვა. ჰოდა, ფორმა აკადემიის ჯარისკაცებსაც აცვიათ. მეც ჩავიცვამ, ჩემი ჯგუფელებიც, ოღონდ პოლიციისას. მამაცები, ძლიერები და სამშობლოს ერთგულები ვიქნებით ჩვენც. თუ არა და, ფორმას გავიხდით. სხვანაირად არ შეიძლება! „პატივი ეცით ფორმას!“ – შემოგვიყვირებს ხოლმე ბატონი ვილი, რომელიც დისციპლინაზე აგებს პასუხს.

კრიმინოლოგიის კვიზი დავწერეთ. ნორმალურად. ასე რომ ამბობ, ჯობია: თუ მაღალ ქულას მიიღებ, უფრო გაგიხარდე-

ბა. მე თითქმის ყოველთვის მაღალ ქულებს ვიღებ. და მაინც ვამბობ წინასწარ, რომ ნორმალურად დავწერე. თითქოს თილისმაა. ჩემი ჯგუფელები ხუმრობენ, ნახევარს კალიგრაფიაში გიმატებენო. თუნდაც! აი, ეს ნაწერი, მაგალითად, კომპიუტერში ავკრიფე. ხელით რომ დამეწერა, გაცილებით ლამაზი გამოვიდოდა. მაგრამ მაინც ნორმალურია. ჰო, ნორმალური. ჩვეულებრივი თილისმაა ეს სიტყვა.

ლელა კოტორაშვილი

მასწავლებელი. დაიბადა 1986 წლის 23 აპრილს თბილისში. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. სტუდენტობისას დაწერა საკონფერენციო თემა „გრიგოლ რობაქიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას სახისმეტყველებითი ურთიერთობანი“, რომელიც დაიბეჭდა სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომების კრებულში. ორ წელიწადს მუშაობდა აღმზრდელ-პედაგოგად წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლაში. 2014 წლიდან მონაწილეობს განათლების სამინისტროს პროგრამაში „ასწავლე საქართველოსთვის“ და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს მაღალმთიანი რაჭის სოფელ უწერაში. ადგილობრივ სკოლაში ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას. ერთი წლის წინ შექმნა პირადი ბლოგი, სადაც წერს მასწავლებლის თვალით დანახულ პრობლემებსა და საგანმანათლებლო საკითხებზე.

25 კვირა

ილია მეორემ პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას მოუწოდა, სადავო საკითხები განიხილონ არა ქუჩებში, არამედ დარბაზებში.

საქართველოში გაიხსნა ნატოს კვირეული.

თბილისში მოეწყო მასობრივი მარათონული გარბენი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2 ათასზე მეტმა ადამიანმა.

მთელი ღამე არ გაჩერებულა წვიმა სოფლის სახლის სახურავზე. ეს დილა განსაკუთრებულია – ოჯახმა ერთად ვისაუზმეთ, რაც მეორე წელია, იშვიათ ბედნიერებად გვექცა. ორი დღეა, გავხალისდით – ზვიადი ჩამოგვივიდა. ერთი კვირა ჩვენთან რჩება. დავიმუხტებით ერთად ყოფნის ბედნიერებით და ამ შეგრძნებებს მთელი ორი კვირა გამოვიზოგავთ. მაღალმთიანი რაჭის სოფლის, უწერის სკოლაში ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას. განათლების სამინისტროს პროგრამის – „ასწავლე საქართველოსთვის“ – მონაწილე ვარ. სოფლად ჩემი ყოფნის მეორე წელი დაიწყო. ვერ მოვისურვილე აქაურობა. რთულია ასე ცხოვრება. რთულია, მაგრამ გადავწყვიტეთ, არ ვიწუწუნოთ. როგორც კი სიტყვა დაგვცდება, მაშინვე ორივეს გვახსენდება ჩვენი შვილები, რომლებიც სუფთა ჰაერზე, ჯანსაღი საკვებით იზრდებიან და, რაც აქ ვართ, დაივიწყეს ქრონიკული ბრონქიტისა თუ ვირუსების არსებობა.

დღეს დედაჩემის დაბადების დღეა. ვურეკავთ და ვუმღერით. ბავშვივით უხარია! ყოველთვის მაოცებს მისი ეს თვისება: უამრავი პრობლემის მიუხედავად, შეუძლია გულიანად გაიცინოს, აღფრთოვანდეს და მერე შენც გადმოგდოს ეს განწყობილება. საჩუქრისთვის თადარიგი რამდენიმე კვირით ადრე დავიჭირე. სოფელში გადავაწყდი გასაყიდ სუნამოს და თბილისში გავუგზავნე. მანამდე ჩემს შარფსა და ქურთუკს ვაპკურე, რომ მერე ერთად დავტკბეთ: მე, როცა სკოლის-

კენ სოფლის თავდაღმართზე დავეშვები, ის კი – როცა ქალაქის ერთ-ერთი სკოლისკენ გაეშურება, სადაც, ოცდათერთმეტ წელიწადზე მეტია, ინგლისურ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მასწავლებლობა რომ გადავწყვიტე, თავზარი დაეცა. ფიქრობს, რომ ყველაზე დაუფასებელი პროფესიაა. ჩემი მასწავლებლობის ერთი წლის შემდეგ, მგონი, მოვახერხე და აზრი შევაცვლევინე.

კვირადღე ბავშვებთან თამაშში გადის. სახურავზე ახმაურებული წვიმა და აგიზგიზებული ღუმელი შემოდგომის სევდისთვის დროს არ მიტოვებს. წვიმა სოფელში დაბრკოლებას არ ქმნის. ქართან ერთად უკანასკნელ კაკალს ძირს ყრის და ჩვენც საწვიმარმოცმულები ვაგროვებთ, გაყვითლებულ ფოთლებში მიმალულებს ვპოულობთ. პირველად გაწვიმდა ისე, რომ თეკლას და გაბრიელს ახალი რეზინის ჩექმებით გუბეებში ერბინათ და ამ სიამოვნებას არ იკლებენ. ვამტვრევთ კაკალს, გამორჩეულ ლებნებს ვაკნატუნებთ და ახალ თამაშს ვიგონებ – კაკლის ნაჭუჭებით, ფოთლებით, წვრილი ჩხირებითა და პლასტილინით პატარა ნავებს ვაკეთებთ, სახელებს ვარქმევთ და თაროზე ვამწკრივებთ. ჩემი გოგოს ბაცი იასამნისფერი შარფის ქსოვა მოვათავე, მოყინულ ცხვირს გაითბობს ხოლმე. ღუმელში ვწვავ ვანილმოყრილ ვაშლს. ცაცხვის ჩაის ვიდუღებ და საღამოს ბლოგზე ვმარტოვდები იმის დასაწერად, როგორ გამოგვიგზავნა ბათუმიდან სრულიად უცნობმა ადამიანმა წიგნებით სავსე ოთხი ყუთი და როგორ ვიპოვეთ წიგნებში წარწერიანი ბარათი.

ასეთი ამბების მერე სიცოცხლე ასმაგად მიხარია. რამდენი რამ მოხდა ამ ერთი წლის განმავლობაში ჩემს ცხოვრებაში! ლოკოკინასავით მოვიგდე ზურგზე ჩემი ნივთები, წიგნები და აქ გადმოვსახლდი. მიტოვებული სახლების მდუმარება სასაფლაოს მაგონებდა და მთრგუნავდა. არათუ ოჯახის წევრები, არამედ კარის მეზობლებიც კი ტკივილამდე მენატრებოდნენ. მერე მივხვდი, რომ ასე არ შეიძლება. უფლება არ გაქვს, იცხოვრო და მუშაობდე ადამიანებთან და მათთან ურთიერთობა არ გიხაროდეს. როცა საკუთარ თავს მოვურიგდი, ჩემი ყოველდღიურობა შემსუბუქდა. წელს შედარებით ადვილია ყველაფერი, ახალ გარემოსთან შეგუების რთული ეტაპი გადალახულია.

ორშაბათი

ისევ წვიმს. დღეს ხუთი გაკვეთილი მაქვს. სკოლა მეორე ოჯახივით არის – როგორც კი მას ამ სტატუსს მიანიჭებ, აქ ყველაზე უკეთ იგრძნობ თავს. ოჯახის მსგავსად, სკოლას აქვს თავისი ღირებულებები, ტრადიციები, აქაც სხვადასხვა ხასიათის ადამიანები ცხოვრობენ ერთად. დილას რომ მივდივარ სკოლაში, მასწავლებლები მოწესრიგებულები მხვდებიან, თითქოს მთელი დილა საკუთარ თავზე ზრუნვას მოანდომესო. არადა, უთენია დგებიან, რომ საქონელს მიხედონ, საძოვარზე გაუშვან, სადილი დატოვონ, მოწესრიგდნენ და სკოლაში წა-

თბილისში გაიხსნა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების მესამე ფორუმი და საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია.

ნატოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი თბილისში შეხვდა ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს, ხოლო გორში გახსნა ნატოს საინფორმაციო ცენტრის რეგიონული ოფისი.

საქართველოში შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობის შესახებ საგანგებო განცხადება გაავრცელეს ევროკავშირის წარმომადგენლობამ და კავშირის წევრი სახელმწიფოების ელჩებმა.

მილანში გაიმართა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის შეხვედრა კომპანია „გაზპრომის“ აღმასრულებელ დირექტორთან, ალექსეი მილერთან.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გოგი თოფაძემ „მაესტროსთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ იოსებ სტალინი „საამაყო პიროვნებაა“ და „მისი ფოტო მალე ყველა კაბინეტში დაიკიდება“.

მოვიდნენ. უხერხულობის განცდა არ მტოვებს, რომ მეც მათი ცხოვრებით არ ვცხოვრობ. ჩემთვის ისინი გმირები არიან.

მეთორმეტე კლასში ნანუკა და ვანო მხვდებიან. ეროვნული გამოცდებისთვის ემზადებიან და ერთი თვეა, აბიტურიენტის ცხოვრება მოირგეს. მეც მათთან ერთად გადავსახლდი ტექსტების სამყაროში, ვმოგზაურობთ დროსა და სივრცეში. მახსენდება ჩემი აბიტურიენტობის ვნებათაღელვანი, გათენებული ღამეები, გამოცდები, ის ხალხი, ვინც მასწავლიდა და მეგობრები, ვისთან ერთადაც ვსწავლობდი. ეს სულ სხვა ასაკია, სხვა ცხოვრებისეული ეტაპი, დაუვიწყარი. დღეს პროზისა და პოეზიის სახეებზე ვსაუბრობთ. მე და ნანუკას გვაოცებს ვანოს შემწყნარებლობა: თავგამოდებით იცავს თეიმურაზს, ვარსქენს, პლატონს. კვირას დაგეგმილ დამატებით გაკვეთილს სამომავლოდ ვდებთ. ვანო მებოდიშება, ჭიორიდან ხარები მყავს ჩამოსაყვანი და არ მეცლებაო. სოფლად ბავშვები დაუზარებლად ეხმარებიან მშობლებს საოჯახო საქმეში, რაც მათს გამორჩეულ კეთილშობილებას განაპირობებს.

მეშვიდე კლასის ფანჯრებიდან ტყე მოჩანს. რა საოცარ გარემოში ვცხოვრობთ – ჩვენ გვერდით ტყეა, რომელიც ათას ცოცხალ არსებას იფარავს. წვიმიან ამინდში ნისლები დაცურავენ. ნაცრისფერი ცის ერთფეროვნებას აჭრელებული ხეები ალამაზებენ. ვიხსენებ ქალაქის დანისლულ კორპუსებს, გულის გამაწვრილებელი მოწყენილობა რომ შემოაქვთ ხოლმე ჩემში. სამი მეშვიდეკლასელი გოგო წერს ჩანახატებს, რომლებსაც პატარა ხელნაკეთ წიგნად გამოვცემთ და ლიტერატურულ კაფეში შეკრებილ სტუმრებს გავაცნობთ.

დრო შეუმჩნევლად გარბის. ყავა მინდება. დაღლილობისას განსაკუთრებით მენატრება ამერიკანოს მაცოცხლებელი სურნელი. ამ ბოლო დროს გამოვაღებ ხოლმე ღუმლის კარს და ნაკვერჩხალზე ვდგამ ჯეზვეს. კვამლი ყავას ერევა და განუმეორებელ გემოს აძლევს.

სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნაილიმ, გამოგვიყო ოთახი, სადაც წინა წლის განმავლობაში წიგნის ფესტივალზე მოგროვებული და გულისხმიერი ადამიანების გამოგზავნილი წიგნები მოვათავსეთ. ამ ოთახისთვის, რომელსაც მეოთხეკლასელებმა ჯადოსნური სამყარო დაარქვეს, გოგოებმა ზაფხულში ყვავილები შეაგროვეს და გაახმეს. მინდა თანამედროვე მედიათეკის მსგავსი გარემო შევქმნა. მოვაწყობთ ლიტერატურულ საღამოებს, თავისუფალ დროს შემოვლენ ბავშვები, წაიკითხავენ, ისაუბრებენ. ოთახისთვის ხის თაროების, სკამებისა და მაგიდის დამზადებას ზვიადი დამპირდა.

სახლში მოსულს, ათი წლის ანიმ მომაკითხა, ანა ფრანკის ამბავი უკვე წავიკითხე და რამე წიგნი მათხოვეთო. წიგნების თაროდან თეა თოფურიას „ერთი გრძელი დღე სხვა პლანეტაზე“ გადმოვაბრძანე და სახლში გავატანე.

საღამოს ერთ უკარგეს გოგოს ვეხმიანები – ლელი შევჩენკოს. მხატვარია და მრავალი განხრით მუშაობს. ჩვენთან აპი-

რებს ჩამოსვლას. მოსწავლეებთან ერთად მედიათეკის ოთახის ფანჯრების მოხატვას და წიგნის მიხედვით დიორამის გაკეთებას ვგეგმავთ.

თეკლა მახარებს, კიდევ ერთი ასო ვისწავლეო.

პირველკლასელი შვილის დედობა ცალკე თავგადასავალია. ზრუნავ ჩანთაზე, სასკოლო ნივთებზე, ფიქრობ სკოლის პირველ დღესა და მის თანმხლებ განცდებზე. მერე იწყება ყოველდღიური რუტინა: გაღვიძება, საუზმე, მოწესრიგება, ჩანთის ჩალაგება, მეცადინეობა. ვცდილობ, ყველაფერ ამას ისე მოვაბა თავი, რომ მის ასაკობრივ შესაძლებლობებს მოვარგო. ალბათ, ყველა დედას გვღალატობს ნერვები, როცა ჩვენი პირველკლასელი შვილი სწორი ხაზის ნაცვლად კლაკნილს უსვამს და ეს ერთხელ კი არა, ბევრჯერ მეორდება. წერით დავალებებს რომ შეეჭიდა, შევამჩნიე: როცა რამე არ გამოსდიოდა, კალამს ხელიდან უშვებდა და ხმამაღლა ამბობდა, არ გამომდის, არ გამომივაო. ამ პატარა არსების განცდები რომ გავითავისე, შემებრალა. ავუხსენი, რომ საკუთარი შეცდომებიც უნდა გვიყვარდეს, არ უნდა შეგვეშინდეს მაშინ, როცა რაღაც არ გამოგვდის. გაჭრა. შეეშლება – თავიდან იწყებს. მე მიყვარს ჩემი შვილის კლაკნილი ხაზები, მისი შეცდომები, ხაზს გადაცდენილი ასოები, კალამს შემოჭდობილი თითები.

საღამოს ერთად ყოფნით ვტკბებით: ვუყურებთ ამოჩემებულ იაპონურ მულტფილმს, ვცეკვავთ, ვკითხულობთ ზღაპრებს და მეორე დღისთვის ვემზადებით.

სამშაბათი

შვიდი იყო დაწყებული, რომ ავდექი. ეს ჩემი საყვარელი დროა. ღრმად ვისუნთქავ დილის ჰაერს, ვტკბები ჩიტების გალობით, ვკითხულობ, ვვარჯიშობ და თეკლას გაღვიძების დროც დგება. გარდერობს ვაღებ, თვალში მხვდება ჩემი სქელი ჟაკეტი და თეკლას თხოვნა მახსენდება: „ხვალ ჩაიცვი, რაა!..“ მიყვარს, როცა ეგ ჟაკეტი გაცვია ხოლმეო.

სკოლის ჭიშკართან მე და ჩემი პროგრამის მონაწილე ელენე, ლილი მასწავლებელს გზას ვუთმობთ. დაგაცალოთ ცხოვრებამ, შვილებოო, გვლოცავს ლილი მასწავლებელი. აქ უმცროსი უფროსს გზას ყოველთვის უთმობს. ჩემმა გოგომაც აითვისა ეს წესი. დილაობით სხვა ბავშვებთან ერთად ჩამოდგება ჭიშკართან და უფროსებს აცდის სკოლაში შესვლას.

ნანუკა მიყვება, ტიციან ტაბიძის „ლექსი მეწყერი“ ვერ გავიხსენე და ვანომ ამიხსნა, ზავალზე რომ წერს, ის გვაქვსო. „ზავალი“ ზვავს ნიშნავს. გვეცინება. რაც აქ ვართ, ჩემი შვილების სიტყვათა მარაგიც შეივსო დიალექტური ფორმებით: აქანა, კოტინა, ჯდია, გირჩოლებს, გლახა... მეც აღარ ვკითხულობ, რას ნიშნავს ნაკოჩილა, კოხი, გადაიკარა, ბუჭუნჭველა, კეკია, გამოფალვა, ჩოინა... აქ ყოფნისას სულ ვფიქრობ ადგილისა და სიტყვის ძალაზე, აქეთ რომ გცვლის და გიმსგავსებს.

მეექვსე კლასში ორნი არიან. მახსოვს, რა მტკივნეულად

გიორგი მარგველაშვილი შეხვდა „რუსთავი 2“-ის ყოფილ მფლობელს, ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს და მის ადვოკატს, პაატა სალიას.

პარლამენტმა საპროკურორო საბჭოს წევრებად დაამტკიცა პოლიკარპე მონიავა და ირმა ჭკადუა.

გიორგი მარგველაშვილმა და ირაკლი ღარიბაშვილმა აფხაზ თანამოქალაქეებს მიულოცეს „აფხაზური ენის დღე“.

განვიცდიდი ამ ამბავს, როგორი უჩვეულო იყო ჩემთვის კლასში მხოლოდ ორი მერხი, ორი მოსწავლე და ერთი მასწავლებელი. თავი გამოვიჭირე, რომ ამასაც შევეჩვიე. ის მიხარია, რომ არიან. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, მალე საერთოდ აღარ ეყოლება სკოლას მოსწავლეები. გავურბივარ ამაზე ფიქრს. წარმოდგენაც კი მზარავს. არადა, რამდენი სოფელია მთაში, სკოლას ვინღა ჩივის, თითო-ოროლა მოხუცის იმედად რომ არის დარჩენილი.

ნიკოლოზს და მარიამს ერთმანეთის შეფასება ვთხოვე. ერთ-ერთ მოთხრობას მონდომებით ჰყვებიან, ღელავენ. რომელიც ჰყვება, თავს აწონებს მეორეს. უსაყვარლესები არიან, ისე სერიოზულად ეკიდებიან საქმეს. მე და მარიამს ნიკოლოზის მოსმენა გვიყვარს. გვიყვება ჩიტებზე: წითელ და შავ კულუმბარებზე, მთის ლომიებზე, თოხიტარებზე, ღობემძვრალებზე და ამ დროს თვალები უთბება ხოლმე. მისგან ვიცით, რომ სოფლის ყველა ჯიქანგამოგლეჯილი ძროხა და დაკბილული კვიცი ერთი სამფეხა მგლის მსხვერპლია.

სამასწავლებლოში შესულს, ღუმელი მხვდება დადგმული. შეშა წინა კვირას დავალაგეთ. ეს ერთგვარი წინასაზამთრო რიტუალია. ყველა ჩაბმული იყო საერთო საქმეში: დირექტორი, მასწავლებლები, დამლაგებლები, მოსწავლეები. იდგა ერთი ჟრიამული, გადაძახილ-გადმოძახილი, სიცილი, ხუმრობა. თეკლაც ჩვენთან ერთად ეზიდებოდა შეშის ნაჭრებს. მასწავლებლები მზიან შაბათ-კვირას ნატრობენ. საშემოდგომო საქმეები აქვთ მოსათავებელი: ზოგს შეშა დარჩა მოსატანი, ზოგი დაჩეხილი შეშის დალაგებას გეგმავს, ზოგი ვაშლისა და მსხლის ჩამოკრეფას, ზოგს ჩალა აქვს ასაღები, კარტოფილი ამოსაღები, ყანა მოსასუფთავებელი... ვინ მოთვლის ყველა იმ საქმეს, რასაც შემოდგომა უპირობოდ აიძულებს სოფლად მცხოვრებს.

მეშვიდეკლასელმა თამუნამ გაკვეთილის ბოლოს სახეზე იდუმალი ღიმილი გადაიფინა და ჩანთიდან ფრთხილად ამოიღო საჩუქარი ჩემთვის: პლასტილინით, წვრილი თვლებითა და ბრჭყვიალებით თაღი გაეკეთებინა და ზედ დაემაგრებინა ფურცელი, რომელზედაც ეწერა: „ყველა წიგნს თავისი ჯადოსნურობა გააჩნია“. დამილაგა „ოლივერ ტვისტიდან“ ამოღებული, დანაწევრებული ფრაზა, რომლის გამოცნობის მერე ახალი მინიშნება ამომახსნევინა. ამოწერილი ჰქონდა ერთ-ერთი წინადადება ჩვენი მიმოწერიდან და უნდა გამომეცნო დაწერის დრო და ადგილი. გამიჭირდა და კონვერტი მომაშველა წარწერით: „გამოუვალი მდგომარეობა“. სულ ბოლოს გადმომცა ხელნაკეთი დღიური და წერილი, რომელიც გემრიელ ლუკმად შემოვინახე. ხმამაღლა ვამბობ, რომ ყველაზე სასიამოვნო სამსახური მაქვს. მართლაც ასეა. სიყვარულს გასცემ და უკან გიბრუნდება.

ზვიადს შიმშილზე ვეწუწუნები და ხინკალზე გვეპატიჟება, ონში. თეკლას ცეკვის გაკვეთილის გაცდენა უწევს. განვიც-

დი, ცეკვას რომ ვაცდენ: იცი, უკვე რამდენი რამე ვისწავლეთო, მეუბნება. სკოლაში სასიხარულო ამბავი მოხდა: გაიხსნა ცეკვის წრე. კვირაში ორჯერ მოდის მასწავლებელი და ჩვენი ბავშვებიც გაკვეთილების შემდეგ სიხარულით რჩებიან. გზაში გაბრიელი ყველას სიყვარულს გვიხსნის. მერე სასრიალოზე წაყვანას გვთხოვს. სასრიალო, ცეკვის ჩუსტები, ტკბილეული – ქალაქში ხელმისაწვდომი საგნები და მოვლენები აქ ასმაგად სასიხარულოა ჩემი შვილებისთვის.

ონი ჩვენი სოფლიდან თოთხმეტ კილომეტრშია. შუადღეა და ხალხი მოძრაობს. საღამოს კანტიკუნტად თუ შემოგხვდებიან ქუჩაში მოსიარულეები. ამ პატარა, მაგრამ კოლორიტულ ქალაქში უკვე მყავს ნაცნობ-მეგობრები. მიხარია, ასეთი ახლობელი რომ გახდა ჩვენთვის.

საღამოს სათამაშოების ჩასალაგებელს ვკერავ, ვიმარაგებ ათას წვრილმანს: ფოთლებს, გაჭრილ ვაშლსა და მსხალს, ნიჟარებს, მოჩუქურთმებულ ჩანგალსა და კოვზს, მაკრატელს – ყველაფერს ამას თეკლა და გაბრიელი რიგრიგობით უსვამენ საღებავს და ნაჭერზე გადაგვაქვს. ასე, ერთად გატარებული დრო ყველაზე დიდი სიამოვნებაა ჩემთვისაც და ბავშვებისთვისაც.

ძილის წინ ვკითხულობთ თორმეტი მოცეკვავე პრინცესის ზღაპარს. გაბრიელს ვეკითხებით, ყველაზე მეტად რომელი გოგო მოეწონა. მწვანეკაბიან უმცროს პრინცესას ირჩევს. მთელი ოჯახი ვუწონებთ არჩევანს და არის გაბადრული და ბედნიერი.

შუქს ვაქრობ. უმთვარო, მაგრამ ნათელი ღამეა. ჩემი ოთახის ფანჯრიდან ნაძვნარიანი ქედი მოჩანს. ხეების კონტურებს ნისლი სანახევროდ აჩენს. ღუმელი გიზგიზებს. ცეცხლის ალი კედელზე ციმციმებს. ვყუჩდები. მთელი არსებით ვიმახსოვრებ ამ შეგრძნებებს.

ოთხშაბათი

28

რაც სწავლა დაიწყო, მე და თეკლა ერთად ვსაუზმობთ. რიტმს იმ ავტობუსის გრუხუნი არღვევს, ჩვენს ჭიშკართან რომ ჩამოდგება ხოლმე. უბნიდან სკოლაში წამსვლელები ვგროვდებით. ავტობუსში ასულს, მე ჩემი ცხოვრება მეწყება, თეკლას – თავისი. უკანა სკამზე იკავებს ადგილს, ბავშვებს შორის. ვცდილობ, თავისუფლება მივანიჭო, არ მინდა, მომეჯაჭვოს.

სანამ ჩვენი მძღოლი, იაშა, მეზობელი სოფლიდან სკოლის სხვა წევრებს მოაქროლებს, მე ვაღებ ჯადოსნური ოთახის კარს და ველოდები მოსწავლეებს. სწავლის დაწყებამდე დარჩენილ 15 წუთს „პეპი გრძელწინდას“ ვკითხულობთ. დღე რომ მოიკლებს, სწავლას ათის ნახევარზე დავიწყებთ და მერე უფრო მეტი დრო გვექნება ხმამაღალი კითხვისათვის. ყველაზე ეფექტიანი მეთოდია კითხვა ვალდებულებების გარეშე, მხოლოდ სიამოვნებისათვის. აგერ უკვე მეორე წელია, ვკითხუ-

შსს-მ „საზოგადოების შეცდომაში შეყვანისკენ მიმართული დეზინფორმაცია“ უწოდა „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის განცხადებას, რომ ტელეკომპანიაში შესაჭრელად ყაზარმულ მდგომარეობაზე გადაიყვანეს სპეცდანიშნულების რაზმები.

ბერლინში გაიმართა გერმანიისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების – ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერისა და გიორგი კვირიკაშვილის შეხვედრა.

ირაკლი ღარიბაშვილმა გაავრცელა საგანგებო განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მმართველი კოალიცია კატეგორიულად ემიჯნება დეპუტატ გოგი თოფაძის პირად მოსაზრებებს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და სტალინის შესახებ.

ნიუ-იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველო აირჩიეს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრად.

ლობთ და ინტერესი არ იკლებს. ისევ ისეთი გატაცებით მისმენენ და ერთი სიტყვა არ ეპარებათ. ამ სამკითხველო კლუბს პირველი წიგნის, ანე-კატერინე ვესტლის „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანის“ გავლენით „სამოვრის მილი“ დაარქვეს.

დღეს იმ თავზე ვართ, პეპი გამოსამშვიდობებელ საღამოს რომ აწყობს.

„არასოდეს, არასოდეს აღარ მოვალთ“, – გაიმეორა ძმის ნათქვამი ანიკამ... წარმოუდგენელი იყო ვილა ‘ყიყლიყო’ პეპის გარეშე და ანიკამ ისევ იგრძნო, ვიღაცის ყინულივით ცივმა ხელმა როგორ მოწურა მისი პატარა გული.“ ყველას გვეცრემლება თვალები. ხმა მიწყდება. ძლივს ვამთავრებ.

ქვეცნობიერად, ალბათ, მეც იმასვე განვიცდი, რასაც ანიკა. წარმოუდგენელია ამ მზეწვიების გარეშე ჩემი ყოველდღიურობა.

დღეს თეკლას და გაბრიელს თბილისიდან ბიძაშვილები ჩამოუვიდნენ. მთელი დღე გული გადაელიათ ლოდინისაგან. სანდრო და თათული პირველ კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობენ და დედას ეხვეწებიან, უწერის სკოლაში გადაგვიყვანეო. ხვალინდელ დღეს ვგეგმავთ: სკოლაში მოგვყვებიან, თეკლა აფრთხილებს, ადრე უნდა ავდგეთო.

ვწერ ამ ამბებს და მსიამოვნებს მათი ხმები. გაბრიელი დროდადრო მოდის და მკლავზე მკოცნის.

29 ხუთშაბათი

უკრაინულმა ინტერნეტსაიტმა Uareview.in.ua-მ გამოაქვეყნა ნიკა გვარამიასა და გიგა ბოკერიასთან მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, რომელთა თანახმად სააკაშვილი მათ სთავაზობს მოვლენების ძალადობრივი და რევოლუციური სცენარით განვითარებას, თუ „რუსთავი 2“-ის გამო სასამართლო დავა ქიბარ ხალვაშის სასარგებლოდ გადაწყდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა EBRD-ის დახმარებით შექმნილი ინვესტორთა საბჭოს პირველი სხდომა.

როგორც იქნა, გადაიკარა, ანუ გამოიდარა.

თეკლა სანდრომ გააღვიძა. ბედნიერები, ავტობუსს მიჰყვებიან. მე ფეხით მივდივარ.

ჰაერია ისეთი, ისეთი, სუნთქვით ვერ ვძღები.

მადლიერების განცდა არ მტოვებს. მადლობელი ვარ, რომ აქ ვარ, რომ ამ ზღაპრული სოფლის ჰაერით გვებერება ფილტვები, რომ ამ კოხტა სკოლაში ვმუშაობ, რომ ასეთი ბედნიერია ჩემი გოგო.

სოფელი იმჩნევს შემოდგომას. ტყე ათასფრად აჭრელდა, ორღობეები ფოთოლცვენით ერთობიან. ჰაერს კვამლის სუნი შერევია. თუნუქის სახურავზე ჩამოცვენილი კაკალი ხმაურობს. ფოტოაპარატი მიმაქვს და ვიღებ სურათებს. მინდა, შემოდგომა კადრებად დავანაწევრო და მერე ბლოგზე დავწერო. რამდენიმე თვეა, რაც ბლოგი მაქვს და, როგორც ცოცხალ არსებას, ისე აღვიქვამ. თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა საკუთარი თავის გამოსახატავად. წერ, კითხულობენ, უზიარებ და იზიარებენ შენს ამბებს. სოფელში ცხოვრებამ თავისთავად დამიგროვა სათქმელი და ასე დაიბადა ჩემი ბლოგი.

სოფლის წისქვილი, ერთად თავმოყრილი „სახვიელი“, აჭრელებული ტყე, საზამთროდ გამზადებული თივის ზვინები, ღობის შვერილებში გაბმული აბლაბუდის ქსელი და მასში

არეკლილი დილის მზე, ხევში ჩაჭედილი უზარმაზარი ლოდები, ყვითლად ალივლივებული კომში, ჩამწკრივებული სკები, კლდეზე ფესვებგადმოკიდებული ნაძვები... შემოდგომის დილა ჩემს ფოტოაპარატში იდებს ბინას.

ხუთშაბათი ონის დღეა. ონის იმიტომ, რომ იქ ყოველ ხუთშაბათს ბაზრობა იმართება. ხალხი ახლომახლო სოფლებიდან ჩამოდის და მთელი კვირის სამყოფ პროდუქტს იმარაგებს.

დღეს, როგორც იქნა, სუნამომ ჩააღწია დედაჩემამდე. აღფრთოვანებულია ახალი სურნელით და მიხარია.

სახლში ბავშვებთან ერთად ფეხით ვბრუნდები.

„ლელა, კარგია, ბავშვებს რომ ასწავლი?“ – მეკითხება თათული. – „მეც ძალიან მინდა მასწავლებლობა“, – აგრძელებს.

„ისე, შეიძლება მეც სპორტის მასწავლებელი გამოვიდე. აბა, მე სხვა არაფერი გამომივა“, – საუბარში გვეჭრება სანდრო.

„მე დირექტორობა მინდა“, – გვაკვირვებს თეკლას სურვილი.

ორივე მოხიბლულია ჩვენი სკოლით, აქ სწავლაზე ოცნებობენ. ბავშვური სურვილები, ლოგიკა, ფიქრები, წარმოდგენები – ეს ის სამყაროა, რომელიც სიცოცხლეს მილამაზებს. ოთახში კვამლის სუნია, მთელი ზამთარი არ მომშორდება, მაგრამ ვეღარ ვგრძნობ.

ხვალ კარგი ამინდი იქნება: მთვარე კატიწვერას მწვერვალს ანათებს, ცა მოკრიალებულა და, როგორც გაბრიელი ამბობს, ზღაპრებით, ანუ ვარსკვლავებით მოჭედილა.

პარასკევი

გაკვეთილების მერე ზვიოსთან ერთად თბილისში მოვდივარ. მეშვიდეკლასელმა გოგოებმა: მარიამმა, თამუნამ და კესომ წერილებით, ტკბილეულითა და ნახატებით გამომაცილეს.

უკვირთ ხოლმე, საიდან მაქვს ამდენი ენერგია, რაჭასა და თბილისს შორის რომ ვარ გადებული. არადა, ეს ჩემი ზღაპრული ოდისეაა, რომელმაც შემაჭიდა უამრავ სირთულეს, პიროვნულად გამზარდა და ჩაკეტილი სივრცის საზღვრები დამარღვევინა. ამ პროგრამაში მონაწილეობამ ჩემი ცხოვრება საინტერესო გახადა, ჩემამდე მოიყვანა უამრავი კარგი ადამიანი, ან მე მიმიყვანა მათთან. რაჭაში ცხოვრებამ აღმომაჩენინა, რომ, თუ ხშირად დადიხარ ერთსა და იმავე გზაზე, ის მოკლდება. ვტკბები აჭრელებული შაორით და მახსენდება „ელისი საოცრებათა ქვეყნაში“. ელისივით მეც ისე დავეჩვიე არაჩვეულებრივ თავგადასავლებს, რომ ცხოვრება უკვე მოსაწყენი მეჩვენება მათ გარეშე.

საღამოს ვტკბები ჩემი ბავშვობის ქუჩით. ნანატრ მართაგოგოს პირველად ვსტუმრობ, ჩემს უსაყვარლეს ოჯახთან ერთად ვვახშმობ. უახლოეს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან თავს მყუდროდ ვგრძნობ, სითბოთი ვივსები და გულში

30

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა უკრაინის შესაბამის უწყებებს მიმართა სამართლებრივი დახმარებისთვის ადგილობრივი ინტერნეტგამოცემების მიერ გავრცელებული სატელეფონო საუბრების ჩანაწერებთან დაკავშირებით.

„რუსთავი 2“-მა და ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადეს, რომ არავითარ ძალადობას და რევოლუციას არ გეგმავენ და ქვეყანაში არსებული რთული სიტუაციისთვის პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დააკისრეს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ „კორტების სპეცოპერაციის“ დროს ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნები ირაკლი ფირცხალავა და გიორგი ცააძე და მათ 12-12

ვეხუტები ყველას, რომ ასე თან გამოვიყოლო ისინი.

გვიან ღამით სახლში ვბრუნდები. სახლში, რომელიც ბავშვების გარეშე ცივი და აუტანელია.

31 შაბათი

შაბათი დილა თბილისში გამითენდა.

დღეს ბევრი რამ მაქვს მოსასწრები. მოვიმარაგებ ძაფებს, ნაჭრებს, საღებავებს და სოფლის სიმყუდროვეში დაგროვილ იდეებს რეალობად ვაქცევ.

ჩემ არყოფნაში აქ ორი გოგოს წიგნები გამოიცა. კვირას რაჭაში დავიმგზავრებ ნინო თარხნიშვილისა და სალომე ბენიძის ცხელ-ცხელ წიგნებს, როგორც თვითონ ამბობენ, ნამდვილი გოგოებისთვის დაწერილებს.

საღამოს რადიო თავისუფლებაში ჩემი რაჭული დღეების ამბები უნდა ჩავწერო. ერთ-ერთი საყვარელი რადიოპროექტია და წლებია, თვალს ვადევნებ. საინტერესო იყო საკუთარ თავში ჩაღრმავება.

მოგვიანებით მე და ზვიო რომელიმე კაფეში ჩვენი ოჯახის მეშვიდე დაბადების დღეს აღვნიშნავთ და აუცილებლად გავიხსენებთ გასულ შაბათს – მაღალმთიანი რაჭის სოფლებში, ღებსა და ჭიორაში მოგზაურობას, დათოვლილ მწვერვალებს: შოდაკედელასა და ლოღორას, კლდეზე დაკიდებულ ხეებს, ხარების ზანზალაკების მისტიკურ ჟღარუნს, თეკლას ასკილით გავსებულ ხელჩანთას, ზღაპრულ გზას და, ქალაქში ჩამოსულებს, უკან დაბრუნება მოგვინდება.

წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

თბილისს ეწვია სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი, რომელიც შეხვდა გიორგი მარგველაშვილს, ირაკლი ღარიბაშვილსა და დავით უსუფაშვილს.

საგარეჯოსა და მარტვილის ოლქებში ჩატარდა საქართველოს პარლამენტის, ხოლო დმანისის, ვანის, ხობისა და საგარეჯოს ოლქებში – საკრებულოს საშუალედო არჩევნები.

აშშ-ის საელჩომ განაცხადა, რომ არ მოეპოვება უკრაინული ვებსაიტებით გავრცელებული სატელეფონო საუბრების გადამოწმების საშუალება, თუმცა მიუღებლად მიაჩნია ნებისმიერი მხარის მიერ პოლიტიკაში ძალადობის მხარდაჭერა, რადგან დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთი განცხადებების ადგილი არ არის.

ლევან ალაფიშვილი

იურისტი, ადვოკატი. დაიბადა 1971 წლის 11 თებერვალს თბილისში. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა და თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა. ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების კვლევათა ევროპული ცენტრის, მოსკოვის (რუსეთი) პოლიტიკური სწავლების სკოლისა და ლიცენზირების აღმასრულებელთა საზოგადოების (აშშ და კანადა) კურსდამთავრებული. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და ცენტრ „მომავლის ინიციატივების“ თანადამფუძნებელი. მისი თანაავტორობით გამოცემულია სამი წიგნი; გამოქვეყნებული აქვს 40-მდე ნაშრომი ქართულსა და უცხოურ პერიოდიკაში. კითხულობს ლექციებს თსუ-ში. ამჟამად არის შვედეთის ადგილობრივი დემოკრატიის საერთაშორისო ცენტრის მენტორი და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პროგრამის ხელმძღვანელი.

ნიგბერი

1

კვირა

რით დავიმსახურე, არ ვიცი, რადიო თავისუფლების მესვეურებმა გამომარჩიეს და „თავისუფლების დღიურებისთვის“ ჩემი კვირის გაზიარება შემომთავაზეს. მიუხედავად იმისა, რომ წერის და, მით უმეტეს, დღიურების წერის დიდი გამოცდილებით ვერ დავიკვეხნი, დავთანხმდი. ჰოდა, დავიწყოთ.

მოდი, ჯერ ყვავილებს მივხედოთ, წყალი დავუსხათ და თან ამბებსაც მოვყვეთ. ვცდილობ, კვირაში ორჯერ მაინც მოვიცალო მათთვის. აი, ამ პატარა ბროწეულს უკვე ქოთანი აქვს შესაცვლელი, დიდია საჭირო. მიწაც დაგვჭირდება. ეგებ კვირის განმავლობაში მოვახერხო და შევცვალოთ.

დღეს კვირაა. გუშინ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 1994 წლის კურსდამთავრებულნი შევიკრიბეთ. მეორე წელია, ოქტომბრის ბოლო შაბათს ვხვდებით ერთმანეთს, ვიხსენებთ ერთად გატარებულ წლებს, ქვეყნის რთულ ყოფაში მაინც ლამაზად გატარებულ სტუდენტობას. წუხილით ვიხსენებთ იმ კურსელებსა და მეგობრებს, რომლებიც მხოლოდ მოგონებებსღა შემორჩნენ. მოკლედ, ეს დღე ჩვენია: ერთნი ვართ და ვცდილობთ, უწინდელივით ლაღები ვიყოთ. გვიანობამდე გასტანა ლხინმა, გზად სახლში კი შემოდგომის წვიმამ გამოგვაცილა.

დღევანდელი დღე ჩემს მოგონებებს იმით დარჩება, რომ ირაკლიმ, ჩემმა რიგით მეთერთმეტე ნათლულმა, ნათლულთაგან პირველმა შექმნა ოჯახი. საამაყო და საყვარელი კაცია,

ცესკომ გამოაქვეყნა 31 ოქტომბერს ჩატარებული საშუალედო არჩევნების წინასწარი შედეგები, რომელთა თანახმად პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში საგარეჯოსა და მარტვილის ოლქებში გაიმარჯვეს „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა თამარ ხიდაშელმა და სოსო დანელიამ.

პარლამენტის საშუალედო არჩევნების შედეგებს უნდობლობა გამოუცხადა საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა.

„რუსთავი 2“-ის 91%-იანი წილის მფლობელებმა, ლევან და გია ყარამანიშვილებმა, საქართველოს ხელისუფლება ტელეკომპანიის „ხელში ჩაგდების მცდელობაში“ დაადანაშაულეს.

ჩემი კოლეგაა და აჭარის აუდიტის სამსახურში მსახურობს.

მოკლედ, კვირის დასასრული კარგი და ემოციურია. იმედია, უკეთესი კვირა გველის. ყოველ დილით ბავშვების - ვიკას და სანდროს სკოლაში გამწესების გარდა, პრესის, ხოლო ორშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს პრესასთან ერთად წიგნების შეძენაც ჩვეული ამბავია. წიგნის კითხვისთვის დროის გამონახვა და ნაბოლარა ქეთოსგან თავის გათავისუფლება უკვე დიდი ხანია, პრობლემად გვექცა მეც და მაკასაც. მე და ჩემს მეუღლეს სამი შვილი გვყავს: 16 წლის ვიკა, 14 წლის სანდრო და 5 წლის ქეთევანი, იგივე მამას ქეთო. მე და მაკა იურისტები ვართ, სწორედ პროფესიამ დაგვაკავშირა 18 წლის წინ. ვატყობ, ვიკასაც აინტერესებს მშობლების პროფესია, მაგრამ ვცდილობთ, ვძლიოთ პროფესიულ ეგოიზმს და შვილებს არაფერი ვუკარნახოთ.

დავიწყე ჰენრი კისინჯერის „მსოფლიო წესრიგის“ კითხვა. საინტერესოა. შვედეთში შევიძინე, იქვე დავაპირე კითხვის დაწყება, მაგრამ უშედეგოდ – გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვერ შევძელი. სექტემბრის ბოლოს შვედეთის ადგილობრივი დემოკრატიის ინსტიტუტმა მიმიწვია მენტორად, ჩვენებურად – დამრიგებლად, საქართველოსა და უკრაინის მუნიციპალიტეტების გუნდებისთვის პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში დასახმარებლად. მეოთხედ ვსტუმრობდი შვედეთს, მაგრამ პატარა, ლამაზ და წყნარ ქალაქ ვისბიში, გოტლანდის მუნიციპალიტეტში, პირველად ვიყავი.

2 ორშაბათი

ორშაბათიც გათენდა, ჩვენი სასწავლო-სამუშაო კვირა დაიწყო.

დღეს ორი ეთერი მელის: შუადღისას „მაესტროს“ „ბიზნეს-კონტაქტში“ ვისაუბრებთ საპოლიციო გამოსახლების გაუქმების შესახებ პირველი მოსმენით მიღებულ კანონპროექტზე და თანამდევ საფრთხეებზე, საღამოს კი ია ანთაძე მიმასპინძლებს ინტერაქტიული დიალოგით რადიო თავისუფლების ეთერში. გადაცემის თემა საინტერესო და აქტუალურია: საჯარო სამსახური და საჯარო სექტორში დასაქმების ზრდადი ტენდენცია.

მანამდე - ფინჯანი ყავა. მერე – სკოლა და პრესა. მედია ისევ გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებსა და სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით წარმოებულ გამოძიებაზე მსჯელობს. საკმაოდ მძიმე მუხლია - შეთქმულება სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად.

ამ ჩანაწერებისა და ერთ-ერთი ფიგურანტის, დღეს უკვე ოდესის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოწოდებებითა თუ ქმედებებით დაინტერესება სთხოვა ჩვენმა პრემიერმა უკრაინის პრეზიდენტს. ეს საქმე გამოსაძიებელია, პირველი სერიოზული გამოწვევაა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან რამდენიმე თვის წინ გამოყოფილი უსაფრთხოების სამსახუ-

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო პარლამენტის წინააღმდეგ „რუსთავი 2“-ისა და მისი მფლობელი „ტელეკომპანია საქართველოს“ სარჩელი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის ის ნაწილი, რომელიც დაუყოვნებლივ აღსრულებას შეეხება.

ირაკლი ღარიბაშვილმა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს გაუგზავნა წერილი და სთხოვა მას, დაინტერესდეს ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის ქმედებებით.

ირაკლი ღარიბაშვილი ტალინში შეხვდა ესტონეთის პრემიერ-მინისტრს ტაავი რიივასს.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „თავისუფლების ქარტიის“ მუხლი, რომელიც სახელმწიფო თანამდებობის დაკავებას უკრძალავდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წევრებს, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნებსა და კომკავშირის

რისთვის. როგორც ჩანს, გამოსაძიებელ-შესასწავლი საქართველოშიც და უკრაინაშიც არის: უსაფრთხოების სამსახურმა უკრაინელ კოლეგებს სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართა.

დღის ბოლოს დრო ქეთოსთვისაც მოვიტოვე და ცოტა ვითამაშეთ. ძილის წინ ქეთო ჩემი ბავშვობის ისტორიების მოყოლას მთხოვს და ასე მაბრუნებს ლამაზ მოგონებებში.

სამშაბათი

3

დღეს საინტერესო ღონისძიებაა პარლამენტში: თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში, ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა მონაწილეობით იმართება სამუშაო შეხვედრა უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების საკითხზე. საინტერესოცაა და ჩემთვის სასიამოვნოც. 1994 წლიდან პარლამენტში, სწორედ ამ კომიტეტში დავიწყე მუშაობა. 1995-99 წლებში შევქმენით კანონმდებლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. 1997 წლიდან მაკამაც პარლამენტში დაიწყო მუშაობა და ჯერ იქ, მერე კი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში სულ ერთად ვიყავით.

საინტერესო შეხვედრა გამოვიდა. კარგი დასაწყისია. ფართო ჩართულობით დაწყებული საქმე შეცდომების ალბათობას ამცირებს. გასახარი ის იყო, რომ აქ დიდი ხნის უნახავი, გერმანიაში მოღვაწე ჩვენი მეგობარი მინდია ვაშაყმაძე ვნახე – წლების წინ ისიც პარლამენტში, საგარეო ურთიერთობების კომიტეტში მუშაობდა.

შესვენებისას ჩაიც დავლიეთ და ჩემი სამუშაო ოთახი, იმჟამად ყველასთვის ცნობილი 531-ე ოთახიც მოვინახულე. პარლამენტის შენობასთან ერთად ისიც უკეთ არის მოწყობილი, მაგრამ კვლავ უწინდებურად თბილი და პატარაა. აქ საინტერესო წლები გავატარე, საინტერესო ადამიანებთან. ამ ყველაფერმა რეზო ადამია გამახსენა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, შემდეგ საქართველოს ელჩი გაეროში, ჩემი მასწავლებელი და მეგობარი. ორი წელი გახდება, რაც გარდაიცვალა.

შეხვედრას დავუბრუნდით, უცხოურ გამოცდილებასა და სამომავლო გეგმებზეც ვისაუბრეთ. იმედია, საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ ერთ წელიწადში მოესწრება საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება. მოკლედ, 20 წლის წინანდელ დროში ვიმოგზაურე.

სტალინის თემა იყო მედიაში მსჯელობის საგანი. არადა, ჩვენში 2006 წლიდან არსებობს მთავრობის მიერ დაფუძნებული სსიპ - ი.ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი.

დღეს გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა სტატია საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე. ეს არის გაუმჭვირვალე, მახინჯი სისტემა, რომელსაც ყველა ხელისუფლება კომფორტულად მოერგო. აქ თითქმის იმდენივე ადამიანია დასაქმებული და სახელფასო ანაზღაურებისთვის იმდენივე თანხა

ცენტრალური კომიტეტების ბიუროების წევრებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წილის 60%-ზე საკუთრების უფლება აღუდგინა ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს, ხოლო 40%-ზე – შპს „პანორამას“.

ირაკლი ღარიბაშვილი ტალინში შეხვდა ესტონეთის პრეზიდენტ, ტომას ჰენდრიკ ილვესსა და პარლამენტის თავმჯდომარე ეიკი ნესტორს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ გამართა პრეზენტაცია 20, 50 და 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტებისა, რომლებიც 2016 წლიდან შევა მიმოქცევაში.

გაიცემა, რამდენიც საჯარო სამსახურში. მოკლედ, სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, არასამეწარმეო იურიდიული პირები და სახელმწიფო საწარმოები დასაქმების ბიუროებად იქცა.

დღეს თბილისის საქალაქო სასამართლომ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის წილებთან და საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ დავაზე გადაწყვეტილება გამოაცხადა: კომპანიის ყოფილ მესაკუთრეს, ქიბარ ხალვაშს, უარი უთხრა საავტორო უფლებებთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, მაგრამ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა წილების საკუთრებაში გადაცემის, დაბრუნების თაობაზე. არადა, ქიბარ ხალვაშს, 2012 წლის ცნობილი ამნისტიის დადგენილებით, პოლიტდევნილის სტატუსი აქვს მინიჭებული, მაგრამ უფლებებში რეალური აღდგენა ვერ შეძლო. ეს აღიარა კიდეც რამდენიმე დღის წინ პრემიერმა: სამი წელია, ამ ადამიანმა მთავრობასთან კომუნიკაციით სამართლიანობა ვერ იპოვაო. ეს პროცესი მნიშვნელობით არა მხოლოდ მხარეებზე მოახდენს გავლენას, არამედ საზოგადოებისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება საკუთრების უფლების კუთხით, სამართლიანობის აღდგენის კუთხით, სასამართლო პრაქტიკისა და პრეცედენტული სამართლის დამკვიდრების კუთხით.

საღამოს მე და ქეთომ მაკას გავუარეთ უნივერსიტეტში. მოცდა მოგვიწია და ახალი ნაყიდი „საბავშვო კარუსელის" კროსვორდ-რებუსები ამოვხსენით, ცოტაც წავიკითხეთ და კიდევ რამდენიმე ასო-ბგერით გავიმდიდრეთ ცოდნა.

4 ოთხშაბათი

დღესაც „რუსთავი 2"-თან დაკავშირებული დავაა აქტუალური. ბავშვები სკოლაში დავტოვე და შინ მოვბრუნდი, ინტერვიუს შევპირდი კობა ბენდელიანს, „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტს.

ამ პროცესის მიმდინარეობამ და მისმა შედეგმა ყველაზე მეტი ზიანი, შესაძლოა, ხელისუფლებას მიაყენოს, არადა, შეიძლება არსებობდეს სიმართლე, რომელიც მხარეებმა იციან და რომელიც არის სხვაგან, და არა სასამართლო დარბაზსა თუ საზოგადოებისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში. არ არის კარგი სასამართლოში წარმოებული დავის პოლიტიკის კალაპოტში გადაყვანა და სასამართლოს გადაქცევა პოლიტიკური ბრძოლის ველად. სახელმწიფოებრივად, ინსტიტუციურად არ ივარგებს ასე გაგრძელება. სასამართლო ხომ ერთადერთი სახელისუფლებო შტოა, რომელიც პოლიტიკის მიღმაა და დანარჩენი ორი პოლიტიკური ინსტიტუტის შემაკავებელ-მაკონტროლებელია. ასე უნდა იყოს და ასე უნდა ავაშენოთ.

სახლიდან გასვლამდე, შუადღისას, რომელიღაც ტელევიზიაში პოლიტიკოსები მთელი შემართებით იღვწოდნენ მოსამართლეების, სასამართლოსა თუ საკონსტიტუციო სასამართლოს „შესაქებად". სამზადისში მყოფმა მაკამ ყური მოჰკრა

უკრაინულმა ინტერნეტსაიტმა გამოაქვეყნა აუდიოჩანაწერი, რომელიც, სავარაუდოდ, ასახავს საქართველოს შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნის, დათა ახალაიასა და ადვოკატ რომეო საჯაიას სატელეფონო საუბარს „რუსთავი 2"-ის გარშემო ხალხის, მათ შორის სპეცრაზმელებისა და „კუნთიანების" მობილიზებაზე.

უკრაინული ინტერნეტსაიტებით გავრცელებული აუდიოჩანაწერების გამო საქართველოს უსაფრთხოების სამსახურში მოწმის სტატუსით დაკითხეს „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია და ნაციონალური მოძრაობის წევრები – ნუგზარ წიკლაური, გივი თარგამაძე და კობა ხაბაზი.

ირაკლი ღარიბაშვილი ვილნიუსში შეხვდა ლიტვის პრემიერ-მინისტრ ალგირდას ბუტკევიჩიუსსა და სეიმის თავმჯდომარე ლორეტა გრაუჟინიენეს.

თანამდებობა დატოვეს თბილისის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა და ეკოლოგი-

ამ გამოსვლებს და რიტორიკულად იკითხა: არ ჩერდებიან და ისევ არ ეშვებიან ამ თავდასხმებსო? იურისტია, იცის ძლიერი და ზეგავლენისგან თავისუფალი სასამართლო რა არის დემოკრატიისთვის, თითოეული მოქალაქისთვის. მიყვარს მაკა.

მაკა სამსახურში დავტოვე, ქეთო – ბებოსთან, მაკას დედასთან, მე კი სამსახურს, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს მივაშურე, მნიშვნელოვან პროექტზე გვაქვს სამუშაო, დეცენტრალიზაციასა და მუნიციპალური ფინანსების მართვას შეეხება. სამუშაო დღის ბოლოს ისევ მედიას და საკონსტიტუციო სასამართლოს დავუბრუნდი: საკონსტიტუციო სასამართლომ „რუსთავი 2“-ის მოთხოვნით შეაჩერა სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მუხლის ერთი ნორმა და ამაზე ვისაუბრეთ გადაცემა „20/30“-ის ჟურნალისტთან.

სასიამოვნო სიახლეც გავიგეთ: 2016 წლიდან ბრუნვაში ლარის განახლებული ბანკნოტები შემოვაო. ახალი ბანკნოტების ცნობადობის ასამაღლებლად ეროვნულ ბანკს ახალი საიტი, ინტერაქტიული აპლიკაციაც გაუშვია: ganakhlebulilari.ge. ვსინჯე, ყველა გამოვიცანი და ექსპერტი ხარო, ასე მამცნო აპლიკაციამ. მოკლედ, რამდენი წელია, ექსპერტობაა მოდამიმდინარეობა. იძახე, რამდენიც გინდა, საყვარელი პროფესია მირჩევნია ყველაფერს, იქნებ მისი მითითება საკმარისი იყოსო. სულ ტყუილად. თუმცა ექსპერტი საუკეთესოა იმასთან შედარებით, ზოგჯერ ეკონომიკის ექსპერტს რომ მიაწერენ. ამაზე მხოლოდ ვხალისობ. არადა, მაყურებელსა თუ მკითხველში ყალიბდება აზრი, რომ, როცა ვინმეს ტიტრებში ან ტექსტში ექსპერტს მიაწერენ, ეს მისი პროფესიაა.

„თქვენ ექსპერტი არ ხართ?“ – მკითხა უცნობმა.

„არა ბატონო, იურისტი გახლავართ“, – ეს რომ მივუგე, დამწუხრებული, თანაგრძნობით აღსავსე გამომეტყველებით მითხრა:

„ააა, მე ექსპერტი მეგონეთ“, – თითქოს მეუბნებოდა, ეგ არაფერიო.

შინ დაბრუნებულმა, ქეთოს დანაპირები შევუსრულე: სათამაშოების მაღაზიაში „ლეგოს“ სათამაშო, თოჯინას ჩასაცმელი და სათამაშო ფაფა, ჰო, სათამაშო ფაფა ვუყიდეთ ქეთოს „შვილს“. როგორც წესი, სათამაშოების ყიდვის შემდეგ მათ ერთად ვეცნობით და ვთამაშობთ. მოკლედ, გული ვიჯერეთ, დავიღალეთ და დასაძინებლად გავემართეთ. დილით ადრე, 7 საათზე გამაღვიძე, ბავშვს უნდა ვაჭამოო, დამიბარა.

ხუთშაბათი

5

დღესაც საინტერესო ღონისძიებაში მიწევს მონაწილეობა: ევროკომისიისა და ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ახორციელებს რეგიონული განვითარების პროგრამას, რომლის მიზანია

ისა და გამწვანების სამსახურების ხელმძღვანელებმა, გიორგი არეშიძემ და ბიძინა გიორგობიანმა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსის ყოფილ მოადგილეს, დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში ბრალდებულ ჯოკია ბოდოკიას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ადვოკატების მიმართვის საფუძველზე მიიღო განჩინება და 3 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად „რუსთავი 2“-ის დროებით მმარ-

თველებად დანიშნა დავით დვალი და რევაზ საყევარიშვილი და უფლებამოსილება შეუწერა კომპანიის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიასა და ფინანსურ დირექტორს კახა დამენიას.

თბილისში გაიმართა საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების გიორგი მარგველაშვილისა და ილჰამ ალიევის შეხვედრა.

ირაკლი ღარიბაშვილი ვილნიუსში შეხვდა ლიტვის პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაიტეს.

ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრების – ზურაბ ჯაფარიძის, პავლე კუბლაშვილის, გიორგი მელაძისა და გოგა ხაჩიძის მიერ შექმნილმა „ახალმა პოლიტიკურმა ცენტრმა“ ქუთაისში გახსნა პირველი რეგიონული ოფისი და გამოაცხადა, რომ პარტიას „გირჩი“ ეწოდა.

რეგიონული განვითარების სხვადასხვა სფეროს საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების მომზადება. ჩვენი გუნდი დაკავებულია „რეგიონული განვითარების პოლიტიკების ფინანსური უზრუნველყოფის“ თემით. დღეს პოლიტიკის დოკუმენტების პირველადი ვერსიები წარედგინება ექსპერტთა კომისიას. რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული საინტერესო მოხსენებები მოვისმინეთ. კარგი საქმე კეთდება ევროკომისიის დახმარებით, მაგრამ ეგაა, რომ მთავრობის უწყებებს არა აქვთ ერთიანი ხედვა და პოზიცია რეგიონული განვითარების, დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის რეფორმის საკითხებზე. ეს პროცესს აფერხებს.

მაკას უნივერსიტეტში ლექციაზე ვტოვებთ და მივდივართ ჩემს მშობლებთან, სადაც მათთან ერთად ჩემი და მისი შვილი, ლელა და თედო გველოდებიან. ჩვენთან ერთად მშობლებსაც უხარიათ!

ფაშიზმთან ომში ჩემი ორივე პაპა იბრძოდა. მათგან ერთი, იოსებ ალაფიშვილი, ნაღმმა იმსხვერპლა 1943 წლის 25 სექტემბერს. მამაჩემი რომ მოევლინა ამ ქვეყანას, 1942 წელს, ის უკვე იბრძოდა. შემოუთვლია, ომარი დაარქვითო. ერთმანეთი არ უნახავთ, მამას ფოტოებზე შემორჩა მისი სახე, პაპამ კი საერთოდ არ იცოდა, როგორი იყო მისი ნაბოლარა. მამაჩემი უმამოდ გაიზარდა, მე და მამამ მამაშვილობა ერთად ვისწავლეთ.

ლია ბებომ და ომარ პაპამ გული იჯერეს შვილიშვილების ხილვა-მოფერებით, ონავარმა ოთხეულმა კი – ცუღლუტობითა და ხტუნვა-თამაშით.

შინ დაბრუნებულთ, დაგვხვდა ინფორმაცია, რომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე სასამართლომ კიდევ ერთი გადაწყვეტილება მიიღო. მოკლედ, ამ საქმეს ბოლო არ უჩანს. სასამართლოს პრაქტიკა და განმარტებები მოვიძიე. გვიანობამდე შემოვრჩი ვირტუალურ სამყაროს და სოციალურ ქსელს. არადა, ხვალ, უფრო სწორად, დღეს, ლექციაზე უნდა შევიდე სტუდენტებთან. იმედია, დამინდობენ და, საზოგადოების განსჯის საგნად ქცეული სასამართლო პროცესების ირგვლივ კითხვების გარდა, დრო სალექციო თემებისთვისაც დაგვრჩება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურისტებს ვუკითხავ ეროვნული უსაფრთხოების სამართალს. ხვალ შუალედური გამოცდის შედეგები და ახალი თემა უნდა წავუკითხო: ინსტიტუციური დემოკრატია და დემოკრატიული კონტროლი უსაფრთხოების სექტორზე.

6 პარასკევი

„რუსთავი 2-ის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ თბილისის საქალაქო სასამართლოს 5 ნოემბრის განჩინებას „უკანონო“ უწოდა და დასძინა, რომ ტელეკომპანიის შენობიდან მხოლოდ ძალით თუ გაიყვანენ.

დღევანდელი დღე ნაკლებად დატვირთული იყო. დილით მე მქონდა ლექცია, საღამოს – მაკას. ლექციის მერე, შინ დაბრუნებული, ქეთოს ვეთამაშე, მერე კი ბებო-დეიდისკენ გავემართეთ სამივე: ჯენი ბებოს და ხათუნა დეიდას ჩემი შვილის ახალი ჩასაცმელი უნდა ვაჩვენოო, ქეთომ გამოგვიცხადა. სა-

ღამოს კვლავ ჩემს მშობლებს ვესტუმრეთ და მოვილხინეთ.

არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიახლეებიც. გოგი თოფაძემ პარლამენტის წევრის მანდატი დატოვა, ამბობენ, დისშვილი ჩაენაცვლებაო. ალბათ, „რუსთავი 2“-ის დახურვასთან და სტალინის მიმართ საჯაროდ გამოხატულ სიმპათიასთან დაკავშირებულმა მისმა გამონათქვამებმა დააჩქარა ამ გადაწყვეტილების მიღება.

იუსტიციის მინისტრმა და პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ამერიკის ელჩის საჯაროდ დატუქსვა დააპირეს, პასუხი და ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს „რუსთავი 2“-ის საქმეზე გუშინ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე გაკეთებული განცხადების გამო. არადა, ამ საკითხზე ერთობლივი განცხადება ევროკავშირის ქვეყნების ელჩებმაც გააკეთეს, პარლამენტის თავმჯდომარემაც, მმართველი კოალიციის წევრი რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმაც, და რაღა ეს ამერიკის ახალჩამოსული ელჩი ამოიღეს მიზანში?!

„რუსთავი 2-ის“ ყოფილმა მფლობელებმა – ქიბარ ხალვაშმა, დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ და ტელეკომპანიის დროებით მმართველად დანიშნულმა რევაზ საყევარიშვილმა თბილისში მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ ტელეკომპანიაში ძალით შესვლას არ აპირებენ.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი თბილისში შეხვდა ირაკლი ღარიბაშვილსა და დავით უსუფაშვილს, ხოლო შემდეგ გიორგი მარგველაშვილთან ერთად ესტუმრა მარნეულს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელი გია სოსანაშვილი და მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

შაბათი

7

დღეს ალბათ შევძლებ, ყვავილებისთვის მოვიცალო. დილით სანდრო და ვიკა ექსკურსიაზე მიდიან კახეთში.

სარკმლიდან შევცქერი გათენებას, სინათლით სიბნელის ჩანაცვლებას, მასზე გამარჯვებას. მოჩანს საბურთალოს ამაღლების ეკლესია. გასული კვირის გახსენებისას და მომავალზე ფიქრისას უნებურად მახგონდება ხოლმე ფრაზა დილის ლოცვებიდან, რომელსაც ყოველდღიურად ათასობით მართლმადიდებელი წარმოთქვამს: „აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ ღვთივ-დაცული ერი ჩვენი, მთავრობა და მხედრობა მისი.“ ნეტავ, თუ იციან, ან თუ დაფიქრებულან ამაზე ჩვენი მოხელეები? მრავალი სრულიად უცხო ადამიანი დღის დაწყებისას ლოცვებში შენს სიკეთეს შესთხოვს ღმერთს. ვფიქრობ, ამის მნიშვნელობა გაცნობიერებული რომ ჰქონდეთ, პასუხისმგებლობა თუ საქმისადმი დამოკიდებულებაც მეტი და უკეთესი ექნებოდათ და ეგებ მყარ საძირკველზე მდგარი სახელმწიფოც აგვეშენებინა.

90-იანი წლების შემდგომ უნდა ვიყოთ სამოქალაქო საზოგადოების – გაცნობიერებული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების – ხელახლა დაბადების მოწმენი და შემოქმედნი და ასეთი სამშობლო უნდა გადავცეთ შვილებს. ჩვენ ეს უნდა შევძლოთ. მჯერა, რომ ჩემს შვილს ხუთიოდ პოლიტიკოსის მეტი არ ეცოდინება. სამაგიეროდ ეცოდინება, რომ:

თუკი ის არ იქნება თავის სამშობლოზე, სახელმწიფოზე პასუხისმგებელი; თუკი არ იქნება სამართლიანი და არ მოსთხოვს ბიუროკრატიას კანონის დაცვასა და სამართლიანობას; თუკი არ იქნება სოლიდარული სხვათა მიმართ და რაიმე ცუდი მოხდება, ეს, პირველ ყოვლისა, მისი ბრალი იქნება და მერე – სხვისი.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 91%-იანი წილის მფლობელებმა, ძმებმა ყარამანიშვილებმა, არაკონსტიტუციურ გადაწყვეტილებად შეაფასეს არხის დროებით მმართველებად დავით დვალისა და რევაზ საყევარიშვილის დანიშვნა.

2007 წლის 7 ნოემბერს თბილისში მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევისა და ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის მერვე წლისთავის გამო საგანგებო განცხადებები გაავრცელეს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„მემარცხენე ალიანსმა“ რუსთაველის გამზირზე გამართა აქცია-ბრიფინგი ნაციონალური მოძრაობის გასამართლებისა და აკრძალვის მოთხოვნით.

ჩემს შვილს ვასწავლი, რომ სხვა, არც უმაღლესი იერარქი და არც მეზობელი, არ გააკეთებს მის გასაკეთებელ საქმეს: არც დაელოდოს, გააკეთოს დღესვე, რადგან „ხვალ“ ღმერთის განგებით შეიძლება აღარც იყოს.

ჩემს შვილს ძალიან უნდა უყვარდეს სამშობლო. თანამედროვე სამყარო მისცემს შესაძლებლობას, ნახოს ბევრი ლამაზი ქვეყანა, რომლებიც ვერასოდეს იქცევა მის სამშობლოდ, რადგან ღმერთის განგებამ და სამშობლომ გამოარჩიეს თავის შვილად, ღირსად, შობილიყო ამ მადლიან მიწაზე – საქართველოში.

მხოლოდ ასე იქნება ჩემი შვილი სხვებთან ერთად თავისუფალი, მხოლოდ ასე იქნება მისი და ჩვენი სამშობლო თავისუფალი...

სანამ მაკას და ქეთოს ეძინათ, ცოტა ხანს ვიკითხე, მერე ყვავილებს მივაკითხე. ამასობაში, ქეთომ სათამაშოდ მიხმო, ხოლო მაკამ ყავაზე მიმიწვია.

შუადღისთვის რადიო თავისუფლებაში შევივლი, მერე კი ეკლესიაში წავალთ.

ავჭალის წმინდა დიდმოწამე დედოფლის, ქეთევან წამებულის ტაძარში მსახურებას დავესწარით და საღამოს ჩემს მშობლებს ვეწვიეთ.

ალექსანდრე ადამია

ჯარისკაცი. დაიბადა 1984 წლის 28 მაისს სოხუმში. დაამთავრა თბილისის ბუნებათსარგებლობის ტექნიკური კოლეჯი. 2010 წელს ქუთაისში გაიარა საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) ცენტრის კურსი და ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების მეოთხე მექანიზებული ბრიგადის 43-ე მექანიზებულ ბატალიონში. მომდევნო წლებში გაიარა სერჟანტთა მომზადების საწყისი კურსი, რეინჯერთა მომზადების კურსი და ოცეულის სერჟანტის კურსი. 2014 წელს მონაწილეობდა ავღანეთში მოქმედ საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში. ამჟამად მუშაობს თავდაცვის აკადემიაში სერჟანტ-ინსტრუქტორად.

კვირა

კვირადღე ძალიან მოღუშული, რაღაცნაირად სევდის მომგვრელი და ნაცრისფერი გათენდა. თითქოს იცის, რომ მძიმე დღე მელის. წინასწარ ფეხები მეკვეთება, გული სევდით და დარდით მევსება და იქ ასვლა მიმძიმს. ავღანეთში ყოფნისას, თითქოს შეგუებული ვიყავით ყველანი, რომ შეიძლებოდა რომელიღაც ჩვენგანი ვერც კი დაბრუნებულიყო ცოცხალი, მაგრამ ამას რაღაც ძალის დახმარებით ისე ვეგუებოდით, თითქოს არც არაფერი იყო განსაკუთრებული. მაგრამ, რასაც ყველაზე მეტად არ ველოდი, ჩემი ბავშვობის მეგობრის სიკვდილი იყო – ადამიანის, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი ეკავა ჩემს გულსა და ცხოვრებაში. დავკარგე მეგობარი, რომელიც ყველაფრით განსხვავებული და განსაკუთრებული იყო. ყველაზე მძიმე ის არის, რომ მისი სიკვდილისთვის ცხოვრება არაფრით გვამზადებდა, მას არაფერი აწუხებდა. სრულიად ჯანმრთელი ადამიანი უეცრად რომ გეცლება ხელიდან, ეს კიდევ უფრო მწარე და მძიმეა. დღეს კი მიწევს ავიდე იქ, საიდანაც ლამის ნახევარი ჩვენი უბანი მდუმარედ გადმოჰყურებს თბილისს, თითქოს იქიდანაც ცდილობენ ჩვენთვის სწორი გზის ჩვენებას. გულსევდიანი გადავყურებ თბილისის ზღვის სასაფლაოს და ღრმა მოგონებებში ვიხლართები. ნეტა წუთით შემეძლოს ყველაფრის უკან დაბრუნება...

მდუმარე და სევდის მომგვრელი სასაფლაოდან დაბრუ-

თბილისის პროკურატურამ დაიწყო გამოძიება პოლიციელთა მიერ ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის გამო.

„პატრიოტთა ალიანსმა“ თბილისში გამართა საპროტესტო აქცია საარჩევნო გარემოს შეცვლისა და 31 ოქტომბრის საშუალედო არჩევნების „გამყალბებლების“, თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრების, თინა ხიდაშელისა და გიგლა აგულაშვილის გადადგომის მოთხოვნით, ამასთან მთავრობის ადმინისტრაციასთან დაიწყო შიმშილობის აქცია.

„რუსთავი 2“-ის შენობასთან გაიმართა ტელეკომპანიის მხარდამჭერთა აქცია-კონცერტი.

საგურამოში გაიმართა ილიაობის დღესასწაული.

ნებულს, ეზოში ბავშვების ჟრიამული შემომესმა, რაც მაიმედებს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრება გრძელდება.

9 ორშაბათი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაში მონაწილეობაზე უარი თქვა „რუსთავი 2“-ის მფლობელობასთან დაკავშირებული საქმის მოსამართლემ თამაზ ურთმელიძემ, რომელმაც საბჭოს წევრებს წერილობით განუმარტა, რომ სხდომაზე მისი დასწრება დატოვებს მოსამართლის მიერ ანგარიშის ჩაბარების შთაბეჭდილებას და დააზარალებს სასამართლოს ავტორიტეტს.

უფლებადამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა პროკურატურას მოუწოდეს, სწრაფად და გამჭვირვალედ გამოიძიოს პოლიციელთა მიერ ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტი.

საქართველოს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ნილს მუიჟნიეკსი.

დილა, 7:45. მე და ჩემი შვილი, ცოტნე, ჩვეული და მონატრებული რეჟიმით სკოლისკენ მივდივართ. ავღანეთიდან ჩამოსულს, სახლში არ მაჩერებს, უნდა, ყველამ მნახოს, ეამაყება, რომ მამამისი შინ დაბრუნდა და დღეს მის გვერდით დგას. სიამაყით გადმომხედავს ხოლმე, მისი ვეებერთელა ცისფერი თვალები სითბოსა და იმედს აშუქებენ.

გზად ავღანეთის ამბებს მეკითხება, ზედიზედ მაყრის კითხვებს, ცდილობს, ყველაფერი გაიგოს, სანამ სკოლაში მივა. მეკითხება იქაურ ყოფაზე: როგორ ცხოვრობენ მისი თანატოლები, როგორ ცხოვრობენ სამშობლოს ათასობით კილომეტრით მოშორებული ჯარისკაცები, როგორ ასრულებენ სამშვიდობო მისიას, როგორია ავღანეთის ბუნება, სახლები და მოსახლეობა. ცოტნეს კითხვებმა ჩამაფიქრა, რამდენიმე კვირით უკან დამაბრუნა, ბაგრამზე, და ავღანელი შილ აღას ნატვრა გამახსენა...

ლაპარაკსა და ფიქრებში გართულები ისე მივედით საკლასო ოთახთან, ვერც კი გავიგეთ. კართან მასწავლებელი შემოგვეგება. ცოტნემ მასწავლებელს ჩემკენ მიანიშნა და სიამაყით უთხრა, რომ მე დავბრუნდი. ო, როგორ მაკლდა ეს ყველაფერი! მადლობა ღმერთს, რომ ისევ ჩემს ქვეყანაში ვარ, ჩემს ოჯახთან ერთად.

სკოლიდან გამოვედი ჩაფიქრებული იმაზე, თუ როგორი წამიერია ეს ცხოვრება, რამოდენა მადლია ღვთის, რომ ცოცხალი ვარ, ჯანმრთელი, და არ ამომდის ის აზრი თავიდან, რომ ყველაფერი სხვანაირად შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ ფიქრებში მეტროს მივუახლოვდი. აქაური ქაოსი, ხმაური, ხალხის მოძრაობა ძალიან დამღლელი აღმოჩნდა. იმდენად ვარ გადაჩვეული ამ ყველაფერს, თითქოს სრულიად სხვა სამყაროდან ვიყო, თითქოს ეს ყველაფერი არც მენახოს და არც განმეცადოს. გადავეჩვიე ცხოვრების ასეთ რიტმს, მაგრამ აუცილებლად შევეჩვევი. ვცდილობ, კუთვნილი შვებულება შეძლებისდაგვარად კარგად გავატარო, მოვასწრო ყველაფერი, რისი გაკეთებაც დიდი ხანია მინდოდა; მოვინახულო და მოვეფერო ყველას, ვინც ძალიან მენატრებოდა და ვისაც დიდი ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში.

10 სამშაბათი

თბილისს ესტუმრა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორი ფედერიკა მოგერინი, რომელიც შეხვდა გიორგი მარგველაშვილს, ირაკლი ღარიბაშვილს, დავით უსუფაშვილს, საპარლამენტო ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

ნოემბერი

ვი გაწირეს. საუბარ-საუბარში სკოლამდე მივედით. ცოტნეს გამოვემშვიდობე და საკლასო ოთახში შევუშვი, მე კი ნაბიჯს ავუჩქარე, რადგან სახლში უმცროსი ბიჭი, დემეტრე მელოდა და ბაღში უნდა წამეყვანა.

დემეტრეს ბაღში წაყვანის შემდეგ მე და ჩემმა მეუღლემ საყიდლებზე გადავწყვიტეთ წასვლა. სავაჭრო ცენტრში საშინელი ქაოსი, ფუსფუსი და ხმაური იყო, რასაც ვერა და ვერ შევეჩვიე, მაღაზიებში ნანახმა ფერების გამამ ბაგრამის ბაზის ათასფერი აბრეშუმით მორთული ბაზრობა გამახსენა. ისევ ფიქრებში წავედი და წუთით ისევ ავღანეთში დავბრუნდი. ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ მომაგონდება იქაურობა, რამდენჯერ გავავლებ პარალელს აქაურსა და იქაურ ყოფას შორის და რამდენჯერ ვიგრძნობ ბედნიერებას იმის გამო, რომ ამ დალოცვილი მინა-წყლის შვილი ვარ.

დღე ისევ მონატრებული ქართული ღვინის დაგემოვნებაში, ბავშვების ჟრიამულსა და ოჯახის წევრების გარემოცვაში დავასრულე.

ოთხშაბათი

11

შვებულების დღეები ძალიან სწრაფად გარბის. ან შეიძლება მე მგონია ასე. ყველაფერს მონატრებული, ვცდილობ, ყოველი დღე რაც შეიძლება ნაყოფიერად გავატარო. ვნახო, მოვიკითხო, ვესტუმრო და მესტუმროს ყველა, ვინც მაკლდა და მენატრებოდა ასე ძალიან.

დღევანდელი დღეც ძალიან მაგარი ემოციებით დატვირთული გამოდგა. სოციალურ ქსელში ვესაუბრე ჩემს მეგობარ ესპანელების ოჯახს, რომელთანაც დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს. დიდი ხანია, მათთან არ მისაუბრია. გავიხსენეთ ესპანეთში ერთად ყოფნა, განსაკუთრებით ბარსელონაში ახალწლებზე გატარებული დღეები. ბარსელონა ხომ ჩემი ბავშვობის სიყვარულია და ეს მათაც ძალიან კარგად ახსოვთ. გამახსენეს ჩემი რეაქცია, როდესაც შობის საჩუქარი მათი წესით წინდაში ჩადებული ნაძვის ხის ქვეშ აღმოვაჩინე. კონვერტში იდო ბარსელონაში დაჯავშნილი სასტუმროს ბილეთი. ნოუ კამპზე მოხვედრა ხომ ბარსას ყველა გულშემატკივრის ოცნებაა! მაშინ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

რა თქმა უნდა, ავღანეთზეც ვილაპარაკეთ. აინტერესებდათ, ხომ არ შევხვედრივარ ესპანელ სამხედროებს, რომლებიც იქ ნატოს სამშვიდობო მისიით იმყოფებოდნენ. სამწუხაროდ, ისინი მხოლოდ ქაბულში ვნახე და ისიც შორიდან, გასაუბრება ვერ მოვახერხე.

გამოვთქვით იმედი და სურვილი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისევ შევხვდებით ერთმანეთს. ეს ძალიან გვინდა, მაგრამ მთავარი მაინც ის ადამიანური და თბილი დამოკიდებულებაა, რაც ამდენი ხნის მანძილზე შეინარჩუნეს ჩვენმა ოჯახებმა. დრო, მანძილი და განშორება ვერაფერს აკლებს იმ ურთიერთობასა და სიახლოვეს, რომელიც გულით გინდა.

„რუსთავი 2“-ის მფლობელობის შესახებ მიმდინარე სასამართლო დავის გამო საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო სექტორსა და მედიას, თავი შეიკავონ სასამართლოსა და კონკრეტულ მოსამართლეთა ავტორიტეტის შემლახველი განცხადებებისგან.

თბილისში გაიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაეროსა და ევროკავშირის მონაწილეობით ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

კოკისპირულმა წვიმამ, ქარიშხალმა და მეწყერმა დააზარალა აჭარის, გურიისა და იმერეთის რეგიონები.

„რუსთავი 2“-ის დროებითმა მმართველებმა, დავით დვალმა და რევაზ საყევარიშვილმა გადაწყვიტეს, უფლებამოსილება გადასცენ კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეს ზაალ უდუმაშვილს, რომელმაც ამ წინადადებას უარით უპასუხა.

ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის უფროსმა ანდრო ბარნოვმა დატოვა ნაციონალური მოძრაობა და გადაწყვიტა არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა.

პრეზიდენტის მრჩეველი ფიქრია ჩიხრაძე შეხვდა „პატრიორტთა ალიანსის“ გენერალურ მდივანს ირმა ინაშვილს და მთავრობის ადმინისტრაციასთან მასთან ერთად მოშიმშილეებს.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ნილს მუიჟნიეკსი გაეცნო შიდა ქართლის საოკუპაციო ხაზთან არსებულ ვითარებას და შეხვდა საქართველოს მთავრობის წევრებს.

12 ხუთშაბათი

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა „რუსთავი 2“-ის მფლობელთა სარჩელი და უფლებამოსილება აღუდგინა ტელეკომპანიის გენერალურსა და ფინანსურ დირექტორებს ნიკა გვარამიასა და კახა დამენიას.

ძლიერმა წვიმამ, ქარიშხალმა, დიდთოვლობამ და ქარბუქმა დააზარალა აჭარის, გურიის, იმერეთის, შიდა ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები.

ირაკლი ღარიბაშვილმა „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებს მოუწოდა, შეწყვიტონ შიმშილობის აქცია და საარჩევნო კანონმდებლობისა თუ არჩევნების შედეგების შესახებ ოპონირება პოლიტიკური დისკუსიის ფარგლებში განაგრძონ.

დღე ხალისიანად დაიწყო, სავსეა სიურპრიზებით და თბილი ემოციებით. მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ, ბავშვები კინოში წაგვეყვანა – დემეტრეს ძალიან უნდოდა „პინოქიოს“ ნახვა კინოში. ამიტომ ბილეთები დავჯავშნეთ და წავედით. როდესაც დარბაზში მსხდომ ჩემს გახარებულ შვილებს გადავხედავდი, უნებურად ვფიქრობდი, რა ცოტაა საჭირო მათი გახარებისათვის. თუმცა ახლა მათ სხვა სიხარულიც ელოდათ: ახლოვდება ცოტნეს დაბადების დღე და გადავწყვიტეთ, მისთვის სიურპრიზი დროზე ადრე მოგვეწყო. დიდი ხანია, ფულს აგროვებდა, რომ NERF-ის თოფი ეყიდა. ოცნებობდა ამ თოფზე და გადავწყვიტეთ, ჩვენ გვეყიდა. მისი ცისფერი თვალები უდიდეს სითბოსა და სიხარულს აშუქებდა, გახარებული ცქმუტავდა და თოფს ხელში ატრიალებდა, ერთი სული ჰქონდა, სახლში მივსულიყავით და თავისი მეგობრებისთვის ეჩვენებინა.

შვილების გახარებული თვალების შემყურენი და ტკბილი ემოციებით დატვირთულნი, ძალიან ნასიამოვნები დავბრუნდით შინ. რა ცოტაა საჭირო ბავშვის გასაბედნიერებლად!

13 პარასკევი

ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ბრალდებით დააკავეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის მე-5 განყოფილების უფროსი, ლაშა კვირკვაია.

ირაკლი ღარიბაშვილი ეწვია ბრატისლავას, სადაც შეხვდა სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოსა და პარლამენტის სპიკერ პეტერ პელეგრინის.

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მიღება გამართა.

დღეს ჩემთვის განსაკუთრებული დღეა. თავისებურად ყველა დღე განსაკუთრებულია, მაგრამ ამჯერად ისევ ავღანეთში მომიწევს „მოგზაურობა“, რადგან ერთად ვიკრიბებით ჯარის მეგობრები ოჯახებით – ის ხალხი, ვისთან ერთადაც მძინავს, ვჭამ, მიხარია, მწყინს, განვიცდი და, რაც ყველაზე მთავარია, ვგეგმავ ჩვენს მომავალს აგერ უკვე ექვსი წელია.

ძალიან მიხარია მათი ნახვა, სულ რამდენიმე კვირაა, რაც ერთად აღარ ვართ და უკვე გვენატრება ერთმანეთი. ავღანეთში ხუმრობით დავთქვით, სახლში რომ ჩამოვიდოდით, მთელი თვე არ გვენახა ერთმანეთი და არც დაგვერეკა. მაგრამ აეროპორტიდან გაგვიშვეს თუ არა, მხოლოდ რამდენიმე საათს გავძელით ასე, ცალ-ცალკე. ჩვენს მეუღლეებს სახუმაროდაც აქვთ ეს თემა: ამათ ერთმანეთი ჩვენზე მეტად უყვართ და ენატრებათო.

გავიხსენეთ მთელი ჩვენი თითქმის შვიდთვიანი მისია, ჩვენი პირველი გასვლა პატრულში. ეს დაუვიწყარი იყო! შეუძლებელია იმის დავიწყება, როგორ ირეოდა ჩვენში გრძნობები. ერთი სული გვქონდა, გარეპატრულში გავსულიყავით. საკუთარი თავის გამოცდის ინტერესი, სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილის განცდა და ადრენალინი ერთ ადგილზე გაჩერების საშუალებას არ გაძლევს. და, როგორც იქნა, გავდივართ! მახსოვს, ბაზიდან გასვლისთანავე როგორ გაიყინა ჩემში ყველაფერი და გადავიქეცი სულ სხვა ადამიანად, ისეთად, როგორიც არსად არასდროს ვყოფილვარ. თითქოს რადარივით ვაფიქსირებდი ყველა მოძრაობას თუ გაფაჩუნებას. ყველაფერი, რაც კი მანამდე მესწავლა, რაც კი მანამდე ინსტრუქტორებსა თუ ავღანეთმოვ-

ლილ ბიჭებს მოეყოლათ და ეთქვათ, თვალწინ ამომიტივტივდა. ბაზარში გავლა გვიწევს. რაციაში გაისმა: „ყურადღებით იყავით!“ ამის გაგონება იყო და გულისცემა გამიათასმაგდა რაღაც ცუდის მოლოდინში. არ შეიძლება იმ სახეების დავიწყება... სახეებზე მეტი მათი თვალები იყო: რაღაც უაზროდ მოშტერებული, თითქოს დამფრთხალი და ზიზღით სავსე.

პატრულის დასრულებამდე ბაზიდან რამდენიმე კილომეტრში, რაციით მოდის შეჩერების ბრძანება და მას მოჰყვება ხელით მინიშნება, რომ მიწაზე დავწვეთ. ვითხოვთ ინფორმაციას, თუ რა მოხდა. ვიგებთ, რომ ბოლო პატრულის ჯარისკაცს ესროლეს. პირველი, რასაც ფიქრობ: ხომ ყველა ცოცხალია? მხოლოდ პატრულირების დასრულების მერე იწყებ გაანალიზებას, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა იმ ერთი ტყვიის მიზანში მოხვედრას: სიკვდილი ან, ყველაზე უკეთესი, დაჭრა, და გიპყრობს განცდა, რა წამიერია ჯარისკაცის ცხოვრება. სიკვდილის შიშზე მეტად, რაც ალბათ მარტო ჯარისკაცებს გვჭირს, სიცოცხლეზე ფიქრობ და ხვდები, რომ არ გაქვს უფლება, მოკვდე და შენს სიკვდილზე მეტად შენ გვერდით მყოფი თანამებრძოლის სიცოცხლეზე ფიქრობ. ესაა სწორედ ჩვენი ძალა და მეთოდი, დაამარცხო ჯარისკაცის პირველი მტერი – სიკვდილის შიში.

ჩვენი პატრულირების განმავლობაში ამერიკელ მეგობრებთან ერთად პირისპირ ვხვდებოდით ბევრ საფრთხეს. საოცარი იყო: მიუხედავად იმისა, რომ ენა არც ისე კარგად ვიცოდით, უთქმელად გვესმოდა ერთმანეთის. ამაში გვეხმარებოდა ნატოს სტანდარტების მიხედვით მომზადების მაღალი დონე, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჩვენი ჯარისკაცების მომავალი წინსვლისთვის. ჩემთვის, როგორც ჯარისკაცისთვის, ამ მისიის კიდევ ერთი განსაკუთრებული ნიშანი ის იყო, რომ შეხება მოგვიხდა მაღალ სამხედრო ტექნოლოგიებთან. ასეთი სისტემები სამხედრო სფეროს უახლესი მიღწევებია, რომლებიც ხვალ, ნატოელი და ამერიკელი მეგობრების დახმარებით, ჩვენთანაც დაინერგება. ავღანეთის მისიამ შეგვძინა უდიდესი გამოცდილება რეალობაში მოქმედების, რეალურ პირობებში გადაწყვეტილების მიღების, უცხოელ სამხედროებთან და თანამედროვე ტექნოლოგიებთან ურთიერთობისა, რასაც ჩვენი შეიარაღებული ძალების ხვალინდელი დღისთვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი მთავარი მისია ქვედანაყოფის უდანაკლისოდ დაბრუნება იყო, რაც, სამწუხაროდ, ვერ შესრულდა. ყველა მცდელობისა და უსაფრთხოების ზომების დაცვის მიუხედავად, გამოგვაკლდა ერთი თანამებრძოლი: მეგობარი და, უბრალოდ, კარგი ქართველი. დაგვაკლდა მებრძოლი, მაგრამ შეგვემატა კიდევ ერთი ქართველი გმირი და, თუ რომელიმე ჩვენგანს უდროოდ სიკვდილი გვიწერია, ვინატრებდი მასავით გმირულად სიკვდილს...

14 შაბათი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა, რომ პარიზში 13 ნოემბერს მოწყობილი ტერაქტების შემდეგ საქართველოში გამკაცრდა უსაფრთხოების ზომები საზღვრებზე და აეროპორტებში და გაძლიერებულია ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის კონტროლი.

საფრანგეთისადმი სოლიდარობის ნიშნად თბილისში, პარლამენტის შენობასთან, გაიმართა აქცია; საფრანგეთის ეროვნული დროშის ფერებით განათდა პრეზიდენტის სასახლე და თბილისის საკრებულოს შენობა.

დღეს შაბათია. შემოდგომისთვის შეუფერებლად თბილი დღე გათენდა და მზის სხივები შეძლებისდაგვარად ათბობს ჩემს ქალაქს. თითქოს ამინდიც გრძნობს ჩემი იტალიური სკოლის მეგობრების ჩანაფიქრს და ხელს უწყობს მათ.

მე და ჩემმა მეგობრებმა, რომლებთანაც დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს, გეზი ასურეთისაკენ ავიღეთ. დიდი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს და მწვადზე შეკრება გადავწყვიტეთ. ეზო შემოდგომის ფოთლებით აჭრელებული დაგვხვდა, რაც ძალიან ლამაზი სანახავი იყო. ჩასვლისთანავე ფუნქციები გავინაწილეთ და საქმეს შევუდექით. მაყალი გარეთ გამოვიტანეთ, ცეცხლი ავაგიზგიზეთ და შამფურზე ხორცი წამოვაგეთ. ბოლოს, როგორც იქნა, ყველამ შევასრულეთ დაკისრებული მოვალეობა, თავი სუფრასთან მოვიყარეთ და მონატრებული ქართული, დალოცვილი ღვინის დაგემოვნებას შევუდექით. შიგადაშიგ ყველა ავღანეთის ამბებს მეკითხებოდა, აინტერესებდათ, როგორი იყო იქ გატარებული დღეები, რა მიჭირდა იქ ყოფნის დროს და ასე შემდეგ. თან ბავშვობისას გადახდენილ ამბებს ვიხსენებდით და ბევრს ვიცინოდით.

კარგია, როცა თითოეული დღე სასიამოვნო ემოციებითაა დატვირთული და ასე ამთავრებ კვირას. ვიმედოვნებ, ჩემი შვებულების დარჩენილი დღეებიც ასეთივე სასიამოვნო, მონატრებული ემოციებით იქნება დატვირთული.

ეკატერინე სხილაძე

იურისტი. დაიბადა 1988 წლის 22 აგვისტოს ბორჯომში. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრში“, კოორდინაციას უწევდა გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ პროგრამას. 2012-2013 წლებში პოლონეთის „აქტიურ ქალთა ასოციაციაში“ გაიარა პრაქტიკა, რომლის ფარგლებში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში ატარებდა ტრენინგებს ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე. 2013 წლის ნოემბრიდან მუშაობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელად.

კვირა

12 საათზე გავიღვიძე. მანამდეც ბევრჯერ გავახილე თვალი, მობილური შევამოწმე და რამდენიმე წამს ვიხსენებდი, რა დღეა. ალბათ, ვერასდროს მოვიშლი დასვენების დღეებში უცნობი დანაშაულის გრძნობით გაღვიძებას. პირველად მზეს ვამოწმებ და მერე – ფოსტას. ესეც ჩვეული რიტუალია: მზის შემოწმება გუშინ გაფენილი სარეცხის გამო და ფოსტის – ყოველი შემთხვევისთვის. მზე დამხვდა, წერილები – არა.

დაძინებამდე ნინო გამისონიას პოსტი წავიკითხე: ინტერნეტსივრცეში ახალი ვირუსი გამოჩენილა - თითქოს კომენტარზე მოგნიშნეს, ხსნი და ვირუსდები. ნინო ჩემი მეგობარია, ტექნიკის მბრძანებელი, ჩემსავით ტექნიკაში „დაბნელებული“ ადამიანისთვის – ხსნა და შვება (სხვა ღირსებებთან ერთად). შეტყობინება მომივიდა, იდამ კომენტარში მოგნიშნაო. დაახლოებით ხუთ წუთს ვიფიქრე, გამეხსნა თუ არა. იმასაც ვფიქრობდი, ვირუსები რომ დავგზავნო, გამისონიას თვალებში როგორღა შევხედო-მეთქი, და მაინც გავხსენი. ოჯახში ძალადობის შემთხვევაა. ეს პრობლემა მწვავე ვირუსულ ინფექციას ჰგავს, ყველაზე მეტად პრევენცია რომ შველის.

საუზმემდე ალექსისი და ამალია (ქრიზანთემა და ბარაქის ხე) მზეზე გავიყვანე. რამდენიმე კვირაა, სახლში შემობრძანდნენ და მზე არ უნახავთ. სამზარეულოს კარადაც დავალაგე. ისევ იდა გამახსენდა. ჩემთან როცა მოდის, აუცილებლად მეკითხება, როდის ასწრებ დალაგებასო... გუშინ გენდერული

საფრანგეთში საქართველოს ელჩმა ეკა სირაძე-დელონემ განაცხადა, რომ პარიზის ტერაქტების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა შორის საქართველოს მოქალაქეები არ არიან.

საკვირაო ქადაგებისას ილია მეორემ თანაგრძნობა გამოუცხადა ფრანგ ხალხს და აღნიშნა, რომ მომხდარ ტრაგედიაში „ისლამი არაფერ შუაშია“ და „ადამიანი თავის ბოროტ ნებას ავლენს“.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღმკვეთ ზომად წინასწარი პატიმრობა შეუფარდა ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტზე დაკავებულ პოლიციის მაღალჩინოსანს, ლაშა კვირკვაიას, რომელიც შიმშილობის შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ბიუჯეტირების სემინარზეც კარადაზე ვფიქრობდი. დიდი ხნის დაულაგებელი იყო, და დაეტყო. გუშინდელი დავალებების „ექსელის“ ცხრილში უკეთ გავერკვიე, ვიდრე ამდენ ქილაში (დედაჩემივით ყველაფერს ვინახავ, სანამ ერთ დღეს ჩემი და არ გადაყრის). ჩემი გაკეთებული შინდის კომპოტი და კერკი წინ გამოვწიე, ზამთარიც შემოგვეპარა.

მთელი დღე გარეთ არ გავსულვარ. სახლში ამდენ ხანს როდის ვიყავი, აღარც მახსოვს. ძილის წინ ელენეს პლანშეტის ცარიელი ყუთი დავიდე მუხლებზე და „ნინოს ნოუტების“ სტიკერიანი ლაქი გადავისვი. ისეთი წითელი ფერია, მე რომ მიყვარს და მხოლოდ ძალიან კარგ წიგნებს რომ მოჰყვება. ნათიასაც დავურეკე, მგონი, მესამედ. ელენე მღერის და ჩემთან ლაპარაკი არ უნდა. ამ ბოლო დროს აღარ მელაპარაკება. დიდი ხანია, არ მინახავს და, მგონი, პროტესტია. ზამთარი მოვიდა.

16 ორშაბათი

ბრიუსელში მოეწყო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მეორე შეხვედრა, რის შემდეგაც ერთობლივი ბრიფინგი გამართეს ირაკლი ღარიბაშვილმა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორმა, ფედერიკა მოგერინიმ და ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ბრიუსელში შეხვდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო უწყებათა ხელმძღვანელებს.

პროკურატურამ უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, კერძოდ, 2004 წელს კანონიერი მფლობელებისთვის აკურის ღვინის ქარხნის იძულებით ჩამორთმევისთვის, სისხლის სამართლის საქმე აღძრა ყოფილი გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილისა და სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ.

დავით უსუფაშვილი ვენაში შეხვდა ეუთოს გენერალურ მდივანს ლამბერტო ძანიერს და მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენელს, დუნია მიატოვიჩს.

ნოემბერი

სამსახურში „მარშრუტკით“ წავედი. რა თქმა უნდა, არ მისაუზმია. გზაში ხალხს ვაკვირდებოდი. ყოველთვის მართობდა კაფეს ფანჯრიდან, „მარშრუტკიდან“ სკვერებსა და ქუჩებში ხალხის ყურება.

ოფისში მისულს, გასაღები წაღებული დამხვდა. ვცადე, გამომეცნო, ვინ მოვიდა. დეპარტამენტი გაიზარდა და გაძლიერდა. ადრე მხოლოდ ერთი ალტერნატივა მქონდა. ამჯერად სოფო და ნინო დამხვდნენ, მერომაც მოიქროლა. შიდა თათბირი გვქონდა და დავლაგდით. დღეს მთელი დღე ოფისში ვარ. ანა გვაკლია, სამხრეთ აფრიკაშია. შარშან მეც ვიყავი.

ყველა განცხადებას გადავხედეთ მე და ნინომ, ბევრი ვიმსჯელეთ და ვიკამათეთ. უკვე ორი წელია, აპარატში ვმუშაობ. თუმცა ყველა მიღებული განცხადება განსხვავებულია. შევადგინეთ ახალ განცხადებებზე რეაგირების გეგმა, მოსამზადებელი წერილების ნუსხა. ხუთი ახალი საქმე გვექნება შესასწავლი. ნინოს ბლოკნოტში 15 დეკემბერია, ჩემთან – 5.

გვიანობამდე შემოვრჩი, ანგარიში მქონდა დასასრულებელი. გოგოების ანგარიშებსაც გადავხედე. შესვენებაზე კაფედან მოტანილი ნამცხვრებიც გვერდით მეწყო, ნინოსთვის წამოსაღებად.

საღამოს, მობილურმა რომ დარეკა, კარტოფილს ვწვავდი. უცხო ნომერი და ბედნიერი ხმა იყო: „ქალბატონო ეკაა, მე ვარ, კარგად მოვეწყვე, მადლობა. კულინარიის კურსებზე დავდივარ და ამ დღეებში გინახულებთ. აქ ერთი ქალი გავიცანი, ქმართან აქვს კონფლიქტი და უნდა დავარეკინო“, – რაღაცნაირი, უკვე ძლიერი ქალი მირეკავდა, რომელმაც ჩემი სევდა ერთი ხელის დაკვრით გააქარწყლა.

მობილურმა მეორედაც დარეკა, მზია მეგონა და დედაჩემი იყო. ქათმის სალათის რეცეპტი მკითხა, იმისი, თავად რომ მასწავლა.

სამშაბათი

დღესაც ვერ ავდექი დათქმულ დროს. მაღვიძარამ ათი წუთის ინტერვალით ორჯერ დარეკა. სწრაფად ჩავიცვი, სამზარეულოს მაგიდაზე დადებული შოკოლადი და ნუშის ნამცხვარი ჩავიწყვე ჩანთაში და ტაქსით გავვარდი ჩემს სამყაროში. სუფთა, გაცრეცილშარვლიანი და სვიტერიანი ტაქსის მძღოლი ბაბუ ნერვიულობდა, სახელფასო დანამატებსა და პრემიებზე მელაპარაკებოდა და თან წუხდა, ნეტავ უმადური ხომ არ ვარო. მეც ველაპარაკე. მანქანა ძალიან ნელა მიჰყავდა.

ხუთი წუთით დავაგვიანე, გოგოები ისევ ოთახში დამხვდნენ. ნინომ გამოცდა ჩააბარა. მე და მერო ისევ სტატისტიკას შევუდექით. ციფრები გვერევა.

რამდენიმე შეხვედრა მქონდა, ძირითადად კვლევების ფარგლებში. ახალ განცხადებებსაც გადავხედე და წერილებიც გავგზავნეთ. დამირეკა ლიზამ. ძალადობის მსხვერპლია და ყოფილ ქმართან ქონებრივი დავისთვის ბაჟის გადასახდელად თანხას ვერ აგროვებს. ვეძებ გზებს, იქნებ სადმე პოსტი დავდო და მოვაგროვო?..

ჩემი პედანტური სიზუსტით დალაგებული მაგიდა ამ პერიოდში ქაოსურად არეულ ქაღალდებსა და დაჭმუჭნილ ფურცლებშია. ნახატებიც მაქვს, უაზროდ მიხატული ყვავილები და კუბები, ჩახლართული ფიფქები და ხაზები. გვერდზე მიწერილი ნომრებით და არდასავიწყებელი საქმეებით. ნათიას ისევ ვერ დავურეკე.

შევხვდი ბატონ პაატას, სახალხო დამცველის მოადგილეს. მნიშვნელოვან საქმეებზე ვილაპარაკეთ. ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა გვქონდა. ახლა უფრო იმედიანად ვარ, ვიცი, საითაც მივდივართ. ოთახშიც გახარებული დავბრუნდი. დათო მელოდებოდა და ბოლო შეხვედრაზე წამიყვანა. დათო ჩვენთან მუშაობს და ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს: გვეხმარება, რომ არასდროს დავიგვიანოთ და დათქმულ ადგილას დროულად მიგვიყვანოს. ისევ ხერგილები იყო და გზაში ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ: საქალაქო ტრანსპორტის ჩვენეულ გეგმაზე, ფინანსებზე, შრომაზე. დათოს ორი გოგო ჰყავს და ძალიან ბევრს აკეთებს მათი სრულფასოვანი განათლებისთვის.

საღამოს ზაურის მაღაზიაში გამოვიარე. როგორც ყოველთვის, ვილაპარაკეთ ბოსტნეულის საბაზრო ფასის მატებაზე. უკვე ორი წელია, ვეგეტარიანელი ვარ და თითქმის ყოველდღე მოვდივარ აქ ბოსტნეულისა და ხილის საყიდლად. ზუსტად იმას და იმდენს ვყიდულობ, რაც მჭირდება, და იმანაც ზუსტად იცის, რა ფასში მომყიდის. ამიტომ ფასს არ ვეკითხები. ხელფასის ბოლოს სხვა სიტუაციაა - ყველაფრის ფასს ვკითხულობ და ზაურმაც იცის, რომ ფული მითავდება. შინ მოსული აღმოვაჩენ ხოლმე ჩუმად ჩადებულ ორის ნაცვლად ოთხ „ბულგარულს“, სტაფილოს, და მეღიმება. კარგი ადამიანები არსებობენ.

თბილისის საკრებულოს შენობაში გაიხსნა სამძიმრის წიგნი ფრანგი ხალხისთვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად.

„რუსთავი 2“-თან ინტერვიუში გენერალურმა აუდიტორმა ლაშა თორდიამ განაცხადა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში პრემიის სახით გაცემული თანხა 31 მილიონი ლარით შემცირდა, მაგრამ 45 მილიონით გაიზარდა სახელფასო დანამატის თანხა.

დღეს ისევ გვიან დავბრუნდი. ნინო ჯერ კიდევ ავადაა და ახველებს; კომშის ნახარშის ნარჩენები გადავაქციე – არ დაულევია. ისევ რამე ალქიმია უნდა მოვიფიქრო.

18 ოთხშაბათი

ადრე ავდექი და პირდაპირ კანცელარიაში წავედი. ოჯახში სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის სხდომა იყო. სახალხო დამცველის აპარატი სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს და ყველა შეხვედრას ვესწრებით. სტატუსის მიღების შემდეგ მსხვერპლს უფლება ეძლევა, სახელმწიფო თავშესაფრით ისარგებლოს. იმედი მაქვს, მალე სტატუსის პროცედურები საჭირო აღარ იქნება.

შუადღისას პარლამენტში წავედი. ადრეული ქორწინების პრევენციის ხელშესაწყობად პარლამენტს მივმართეთ საკანონმდებლო წინადადებით, რომლის მიხედვითაც მკაცრდება არასრულწლოვანთა ქორწინების წესი. პარლამენტმა წინადადება მოიწონა და უკვე კანონპროექტადაც აქცია. ჰოდა, ამ კანონპროექტის ძირითადი საკითხები განვიხილეთ.

სამსახურში დაბრუნებული, ისევ წერილებს მივუჯექი, ფრანგული სიმღერები ამეკვიატა. მარიმაც მომწერა, ჩემმა ფრანგმა მეგობარმა. ტერაქტებზე ვისაუბრეთ, ძალადობრივ ექსტრემიზმზე, ძალიან შეწუხებულია. ამბობს, რომ საფრანგეთთან ერთად სხვა ქვეყნებიც არ უნდა დაგვავიწყდეს. ფინანსებზეც ვისაუბრეთ, უმუთზეც, ჩვენს მეგობარზე. პოლონეთიც გავიხსენეთ – საუკეთესო წელი ჩვენი ცხოვრებიდან. მარი სევდიანია, ჩემი ძალიან საყვარელი ადამიანი.

საღამოს მე და სოფო რუსოსთან ვიყავით. უკვე ორმოცი დღე გასულა. ეს ის შემთხვევაა, როცა არ მჯერა, რომ ის აღარ არის. მივედი და უბრალოდ ვიფიქრე, რომ შინ არ დამხვდა. რუსო ჩემი კოლეგაა ადრინდელი სამსახურიდან. ენერგიული, ძალიან მაგარი ქალი, რომელმაც მარტომ გაზარდა ასევე ძალიან მაგარი გოგო და უცებ... უცებ დაგვეკარგა.

სახლში ჩემები დამხვდნენ, ბორჯომიდან ჩამოვიდნენ. ხვალ მძიმე დღე გვაქვს. ძალიან მეშინია!

ესემესი მოვიდა. ნანა მწერს: ქალბატონო ეკა, გვიანაა და არ გირეკავთ, ჩემმა ქმარმა ბავშვი ჩამომიყვანა, აღარ ინერვიულოთო. ნანა ჩემი განმცხადებელია. უკვე მეორედ, მის ყოფილ ქმარს ბავშვი მიჰყავს და მერე უკან აღარ აბრუნებს. მერე ჩვენ ვერთვებით, სოციალური მუშაკი გვეხმარება და ბიჭი ჩამოჰყავთ. ბიჭი ჯერ სკოლაში არ დადის და არ ვიცი, მომავალში რა იქნება. ჩემი და ჩემი განმცხადებლების ურთიერთობა ჯაჭვური რეაქციასავითაა: ერთმანეთს ვეხმარებით და ვაძლიერებთ.

19 ხუთშაბათი

სამსახურიდან ნახევარი დღით დავეთხოვე და დეიდაჩემი ექიმთან წავიყვანე. უკვე სამი წელია, სიმსივნეს ვებრძვით:

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა საპროკურორო საბჭოს წარუდგინა მთავარი პროკურორობის სამი კანდიდატი: ირაკლი შოთაძე, ნანა რევაზიშვილი და ვლადიმერ გაბრიჩიძე.

საბერძნეთის პარლამენტმა რატიფიკაცია უყო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას.

თბილისს რამდენიმე საათით ესტუმრა დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილმა უმასპინძლა.

ჭიათურის ერთ-ერთ მაღაროში მომხდარი აფეთქების შედეგად

გამალებული, ხმალამოღებული და სულ – წინა ხაზზე. ახალი წელი და აღდგომა საავადმყოფოში გავატარეთ. დღეს მორიგი საკონტროლო ვიზიტი გვქონდა – ყველაზე საშინელი საათები და წუთები, როცა გული გეყინება და ელოდები, რას იტყვის კომპიუტერი „მახინა“.

ლოცვასაც მაშინ ვიწყებ და თხოვნასაც. ექვსი თვის წინ ვთქვი, სიმსივნე კი დავამარცხეთ, მაგრამ, დემოკრატიასავით, ამასაც შენარჩუნება უნდა-მეთქი. ექიმი რომ გამოვიდა, ძალიან მომინდა, დავმალულიყავი. მობილური და ქურთუკი დამრჩა, კიბეებიდან მივბრუნდი. ძალიან დავიბენი.

დეიდაჩემი ის ქალია, რომელმაც ექვსივე ჩვენგანზე – ჩემზე და ჩემს და-ძმებზე – იზრუნა. დედაჩემთან ერთად მეორე დედად დაიბადა და გაგვზარდა. ჰოდა, სამი წლის წინ ონკოლოგიურის აღმართს ერთად შევუდექით, ბევრი ქალი დაგვხვდა და კიდევ ბევრი შემოგვიერთდა. ბევრი იბრძოდა და იბრძვის. რთულია საქართველოში სიმსივნესთან ბრძოლა. ებრძვი სისტემას, უპასუხისმგებლობას. დღეს ამ ბრძოლის კიდევ ერთი რაუნდი მოვიგეთ.

ნაშუადღევს სამსახურში გავიქეცი. თათბირი გვქონდა, როგორც ყოველთვის – საინტერესო. დღესაც გვიანობამდე დავრჩი, ბევრი წერილი იყო მოსამზადებელი. გოგოებიც მელოდებოდნენ. ნოემბრისა და დეკემბრის გეგმები განვიხილეთ და საქმეები გავინაწილეთ. მერო მონიტორინგის ვიზიტებს მიხედავს, ნინო - შემოსულ განცხადებებს, სოფო – რამდენიმე შეხვედრას. მეც ვიკეთებ to do list-ს, უკვე 20-მდე ავედი.

პარასკევი

20

დილით ჩემები ექიმთან გავაცილე და შეხვედრაზე წავედი. გაეროს ქალთა ორგანიზაციის ანგარიშის, ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის შესახებ პრეზენტაციის შემდეგ სექსუალური შევიწროების საკითხებზე გვქონდა სესია. მოხსენებაში ვილაპარაკე სახალხო დამცველის აპარატში გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის შექმნის ისტორიაზე, სექსუალური შევიწროების, როგორც პრობლემის, აქტუალურობასა და მისი მოგვარების გზებზე. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სახალხო დამცველის პოლიტიკის განმსაზღვრელმა დოკუმენტმა, რომელიც სექსუალური შევიწროების პრევენციას ემსახურება. ყველას ვუზიარებთ და იმედი მაქვს, დღევანდელი შეხვედრაც ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი იყო.

ოფისში ნაშუადღევს დავბრუნდი და ისევ რეკომენდაციების პროექტს მივუბრუნდით. მოჩქარეთა სიაში პრიორიტეტულებს წინ ვწევ. კიდევ ერთი შეხვედრა მქონდა - ოჯახში ძალადობის საკითხებზე რეგიონებში ფილმის ჩვენების დასაგეგმად.

ნინომ, ჩემმა თანამშრომელმა, ბევრი გვაცინა. დამპირდა, დაშავდა ორი მაღაროელი.

საპროკურორო საბჭომ მთავარი პროკურორის თანამდებობაზე მთავრობისთვის წარსადგენად შეარჩია ირაკლი შოთაძის კანდიდატურა.

მთავრობის სხდომაზე გამოსვლისას ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ, მაღალი ალბათობით, წლის ბოლოსთვის დადებითად გადაწყდება ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის საკითხი.

პრაღაში გაიმართა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერის საგანგებო წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძის შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან.

სახელმწიფო სტრუქტურებში სახელფასო დანამატის გაზრდის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის პასუხად, მინისტრთა კაბინეტის წევრებმა განაცხადეს, რომ შრომის ანაზღაურება გაეზარდათ არა თანამდებობის პირებს, არამედ რიგით თანამშრომლებს.

თბილისს ეწვია საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს საერთაშორისო კონსულტანტთა „გლობალური ალიანსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ბერნარ კუშნერი.

საქართველოს ესტუმრა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ბრიჯიტ ბრინკი, რომელიც შეხვდა საქართველოს ხელისუფლების, საპარლამენტო ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს.

თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა უარყვეს გავრცელებული ინფორმაცია, რომ კულუარულად განიხილავენ დედაქალაქის მერ დავით ნარმანიასთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხს.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ გამართა უწყების სამწლიანი მუშაობის შედეგების პრეზენტაცია და 20 ნოემბერი „ფერმერის დღედ“ გამოაცხადა.

ხვალ ბორჯომში წაგიყვანო, მაგრამ მე უარზე ვარ. არ მჯერა, რომ საქმეებს არ წამოიღებს, მთელი გზა არ მაკითხებს და სხვა მიზნები აქვს.

ელომ დამირეკა. მოყვარულთა ტურნირზე ორი მედალი აუღია მაგიდის ჩოგბურთსა და ფეხბურთში. ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობს და სპორტი ძალიან უყვარს. მისი დამსახურებაა, მეც რომ დავდივარ სტადიონზე. მართალია, ახლაც ვერ ვიხსენებ, მეკარე ლომიაა თუ ლორია, და მეორე მეკარე, ნუკრი, რა გვარია, მაგრამ გულმხურვალედ კი ვგულშემატკივრობ. მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ „ბარსას“ თამაშზეც ვიყავი და მესი ვიცანი. რონალდუს და ვიღაც იეროს ავტოგრაფებიც მაქვს მათსავე ფოტოებზე!

ანამ მომწერა და ვერ ვუპასუხე. ნეტა როგორი ამინდია აფრიკაში?

21 შაბათი

კანადაში ვიზიტად მყოფმა თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ქალაქ ჰალიფაქსში მონაწილება მიიღო საერთაშორისო ფორუმში და სიტყვით გამოვიდა პლენარულ სესიაზე: „ითანამშრომლე, შეაკავე ან დაიპყარი – პრიორიტეტების განსაზღვრის სტრატეგია 70 წლის შემდეგ“.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა განაცხადა, რომ ექიმების რჩევით დროებით შეწყვიტა ორი კვირის წინ გამოცხადებული შიმშილობა.

თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ჯანდაცვის გამოწვევები 21-ე საუკუნეში: საქართველო და მსოფლიო“.

დღეს ბორჯომში წავალ. ეზოში ვიბორიალებ და ფოთლების ქვეშ შემორჩენილ კაკლებს მოვძებნი. წელსაც გამოვტოვე შემოდგომა. შემოდგომის გამოტოვება ჩემთვის ბორჯომში ჩაუსვლელობას ნიშნავს. ბოლოს რომ ვიყავი, კაკალი არ იყო. ეზო, ალბათ, დასალაგებელი იქნება. ადრე დედაჩემს მეტი შეეძლო. სახლში ყურძნისა და ვაშლის სუნი იდგება, ეზოში – ზამთრის.

მახსოვს, პატარა კაკლის ხეზე თოჯინებს ავიყვანდი ხოლმე და ტოტები ოთახები იყო. ელენემ ხეზე ასვლა არ იცის. ჩვენ ვიცოდით და დედაჩემსაც არ ეშინოდა, ახლა ეშინია. ჩვენც.

ელენე უკვე სკოლაში დადის. ჩემს ნაყიდ მაგიდაზე უწყვია წიგნები და რვეულები. მათვალიერებინებს და თან დეიდაჩემის ნათქვამი მახსენდება: „რას ერჩოდნენ გოგებაშვილს, ეს რა წიგნია?! ბავშვს ცხრილში „ისტორია“ რომ ჩაუწერე, ეგ „ისტია“ – ინფორმაციული სისტემების ტექნოლოგია. ნეტა, რას ასწავლიან პირველ კლასში? ალბათ, ისტორია აჯობებდა“.

ორშაბათს ელენეს დედის გარდაცვალების დღეა. მე და ნათია ვმსჯელობთ, წითელი ვარდები წავიღოთ თუ თეთრი. ალბათ, ისევ წითელს წავიღებთ.

გვანცა ჯობავა

გამომცემელი, მწერალი. დაიბადა 1986 წლის 20 ივნისს თბილისში. დაამთავრა თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი საგამომცემლო-სარედაქციო საქმის სპეციალობით; მოიპოვა მაგისტრის ხარისხი სპეციალობით: „განათლების სისტემის მართვა და ადმინისტრირება“. 2012 წელს გამოვიდა მისი სადებიუტო პოეტური კრებული „კარდიოგრამა“, ხოლო 2013 წელს - პირველი რომანი „Check-In“. არის ორი საბავშვო წიგნის ავტორი. ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. ნათარგმნი აქვს სოლ ბელოუს, ჯონ ლენონის, ანა პოლიტკოვსკაიას, ჯონ სტაინბეკისა და სხვათა ნაწარმოებები. ამჟამად გამომცემლობების „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერია და სათავეში უდგას საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციას.

კვირა

ბოლო რამდენიმე შაბათ-კვირა გადაბმულად ვიმუშავე, აქედან ერთი თვე გადავდიოდი თვითმფრინავიდან მატარებელში, მატარებლიდან ავტობუსში, მერე ისევ თვითმფრინავში და ისევ მატარებელში. ვინ დაეძებდა კვირას ან ორშაბათს, ყველა დღე ერთნაირად განსაკუთრებული იყო – ევროპული საგამომცემლო დუღილის ეპიცენტრიდან არაბთა ეგზოტიკურ სამყაროში ამოვყავი თავი! დღეს გვიან გამეღვიძა, დასვენების დღე დადგა. საწოლის თავთან ფრანკფურტის წიგნის ბაზრობიდან ჩამოტანილი ამერიკული მსოფლიო ბესტსელერი მიდევს, ჩანიშნული ადგილიდან კითხვას ვაგრძელებ. საეჭვოდ ვუკირკიტებ, იქნებ ქართულად გამოცემაც მოხერხდეს?..

მოგვიანებით ჩემი და, დედაჩემი და მე მამას საფლავზე მივდივართ. აგერ უკვე ორწელიწად-ნახევარია, ვერაფრით ვეჩვევი უმამობას. ცხადია, ვერც ყოველ კვირადღეს საფლავზე სიარული შველის რამეს. უბრალოდ, ეს მისი დღეა ჩვენს ოჯახში. მზად ვარ, ყველა დაბრკოლებას მარტო, შიშველი ხელებით გავუმკლავდე (მივეჩვიე კიდეც ასეთ ყოფას, დღეს ხომ სულ უფრო მეტი გოგო სწორედ ასე ცხოვრობს საქართველოში), ოღონდ ვინმეს ისეთივე ვარსკვლავები აუციმციმდებოდეს თვალებში ჩემი სიხარულის გაზიარებისას, როგორც ეს მამას შეეძლო. თუმცა დიდი იმედი არ მაქვს. სიხარულში თანამოზიარე ჩვენი საუკუნის ყველაზე არასასურველ „პრო-

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა, რომ სამშობლოში დაბრუნებული, პანკისის მკვიდრი დავით ბორჩაშვილი დაკავებულია უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების ან ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ბრალდებით.

ბელგიაში საქართველოს საელჩომ ამ ქვეყანაში ტერორისტული საფრთხის უმაღლესი, მეოთხე საფეხურის გამოცხადების გამო საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდა, ზედმიწევნით დაიცვან ადგილობრივ სამართალდამცველთა რეკომენდაციები.

ფესიებში“ ირიცხება ჩემი პირადი სტატისტიკით.

საღამოს ნინიასთან და შოთისთან ვიკრიბებით მეგობრები. მათი შვიდი თვის ლაზარე ჩემი ნათლულია, ნინია – ჩემი უახლოესი, სტუდენტობის მეგობარი. ბავშვი ხელიდან ხელში გადადის, ვართობთ და ვერთობით, ნინია ისვენებს. მერე ერთბაშად ყველა იღლება; იღლება ლაზარეც, რომელიც ნამდვილ ქარბორბალას გვიწყობს: ტირის, წუწუნებს, იძინებს, ყოველ წუთს იღვიძებს... მშობლები რიგრიგობით ცდილობენ, ძილი შეიბრუნოს, აჭმევენ, არწევენ, უმღერიან – არაფერი გამოსდით. მე და ანი, რომელიც თავისუფალ უნივერსიტეტში მუშაობს, ახალი წიგნის იდეაზე ვიწყებთ საუბარს. ყველა აპროტესტებს, რა დროს საქმეზე ლაპარაკიაო. ვჩუმდებით. ლაზარე ტირის. იმწუთას ყველას ნინიას ადგილას წარმოგვიდგენია თავი.

ჩემს დას სახლში ვტოვებ, მანქანას ისევ ვქოქავ და მივდივარ. სტრომაის ვრთავ, დილასაც ორასჯერ ვუყურე მის ბოლო კლიპს, კიბოს დაავადებას რომ მიუძღვნა. გენიალური ხელოვანია. ჩემმა მეგობარმა, მარიკა ბაკურაძემ შემაყვარა, იმას – მერაბ ნინიძემ. ვუსმენ და ღამის თბილისში მივდივარ. დღეს უნდა ვნახო. ერთი თვე მე არ ვიყავი, მერე ის არ იყო. როგორც იქნა, გადავიკვეთეთ. მომავალი კვირა საგიჟეთი მექნება: წიგნის დღეები იხსნება, უცხოელი სტუმრები მეყოლება, ისიც უცხოელ სტუმრებს ელოდება. მომდევნო ერთი კვირის მანძილზე ეს ერთადერთი შანსია.

23 ორშაბათი

ინტერნეტსივრცეში „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ქართულად მოლაპარაკე ოთხი მამაკაცი საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს „ხალიფატთან“ შეერთებისკენ მოუწოდებს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გავრცელებული და სხვა მსგავსი შინაარსის ვიდეომასალების საქმის გამოძიება.

თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, უცნობმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს „იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის“ შენობა.

საქართველოში აღინიშნა გიორგობის დღესასწაული.

გიორგობაა, დასვენების დღე. თუმცა სამსახურში მაინც მივდივარ. დედა, ტრადიციულად, სამსახურში წასაღებ საჭმელს მიმზადებს და შეფუთულს გასასვლელში მიდებს, სახლიდან გასვლისას რომ არ დამავიწყდეს. იცის, რომ მაინც დამავიწყდება და კარისკენ დაძრულს, უკან მომდევს, გვანცა, საჭმელი არ დაგავიწყდესო! სახლში ასეთი უსუსური ვარ.

დღეს განგებ წამოვედი სამუშაოდ, ვიცი, გიორგობის მოსალოცად თუ დამირეკავს ვინმე. გამომცემელთა ასოციაციის გოგოებიც ისვენებენ, დღეს არც ისინი გამოჩნდებიან. ასოციაციის თავმჯდომარე ივნისში გავხდი. ამბობენ, უმადური საქმეაო.

ორმოცდახუთი წევრი გამომცემელი და გამავრცელებელი გვყავს. უდიდესი პასუხისმგებლობაა: ყოველდღე და ყოველ წუთს მათი ინტერესების დასაცავად, მათი პოზიციების გასამყარებლად უნდა იბრძოლო. როგორც კი თავმჯდომარის პოზიცია დავიკავე, რომელ მხარესაც არ მივბრუნდი, ყველგან ფრონტის ხაზი დამხვდა. მით უფრო, რომ ახლა ურთულესი ეტაპია ჩვენი გამომცემლების ცხოვრებაში. 2013 წელს უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების პროექტმა, ფაქტობრივად, მთელი სექტორი კრიზისამდე მიიყვანა, დღეს კი ამის შედეგებს ვიმკით. იმ წელს ბევრი უსამართლო ლანძღვა მივი-

ღეთ, მათ შორის – თავგზააბნეული მკითხველისგანაც. მოგვიანებით ბევრ რამეს ნათელი მოეფინა, თუმცა ეს ძალიან გვიან მოხდა. საქმე ახლა უზენაეს სასამართლოშია, ჩვენ კი უკვე სტრასბურგისკენ ვიყურებით.

„ინტელექტში“ დღეს სულ ოთხი კაცი ვართ. ყველა ჩვენ-ჩვენ ოთახებში ჩაკეტილები ვმუშაობთ. არც ხმაურია, არც მისვლა-მოსვლა, არც წიგნის პრეზენტაცია. ოცამდე საჭირო მეილი გავგზავნე. თარგმანის გრანტის მოსაპოვებლად ერთი წიგნის პროექტიც მივამთავრე, რამდენიმე საჭირო ხელშეკრულებაც მოვამზადე. ასე მშვიდად დიდი ხანია არ მიმუშავია.

საღამოს ჩემი მოძღვრისგან მესიჯი მივიღე, გიორგობა მომილოცა. ისე შემრცხვა, მობილური მაშინვე გვერდზე გადავდე. სანამ ისევ დავიწყებას მიეცემოდა, ცოტა ხნით გამახსენდა, რომ საუკუნეა, ვეღარ დავდივარ ეკლესიაში.

სამშაბათი

24

დღეს ჩვენს გამომცემლობაში დიდი რეალითი-შოუა: „სხვა შუადღის“ რუბრიკა „მამები“ გვყავს სტუმრად. მთავარი გმირი ზვიად კვარაცხელიაა, ჩვენი მთავარი რედაქტორი და სამი ბიჭის მამა. მოკლედ, დღეს სამმაგი რეალითი-შოუ მაქვს: ჩემი ტრადიციული, ყოველდღიური ფეისბუკ-რეალითი და „თავისუფლების დღიურების“ რეალითი, რომლებსაც ახლა „მამებიც“ დაემატა. ზვიადმა ორი ბიჭი ბაღში დატოვა, გამომცემლობაში სანდრო, ანუ სანდორო მოჰყავს, გმირულად უნდა გაუძლოს მაიკოს გარეშე მთელი დღე ბავშვების მოვლას. ჩვენ ვერ ვეხმარებით, სანდორო არ გვკადრულობს. კარგი საქმეა, მომწონს, რომ მამებს შვილების აღზრდაში ჩართულობისკენ მოუწოდებენ. ჩვენს ოჯახში ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და მიკვირს კიდეც, რომ ვიღაცას ამის შეხსენება სჭირდება.

დილას თეა გვასალია მოვიდა, მის მიერ თარგმნილ მარკესის ახალ წიგნებს ვამზადებთ. მოგვიანებით დიზაინერების, დამკაბადონებლების, რედაქტორების საქმიანობაც დაფიქსირდა ობიექტივში. საზოგადოების დიდი ნაწილი ნახავს, როგორ მზადდება წიგნი, რა პროცესს გადის, სანამ სტამბამდე მივა. შემდეგ იყო სანდოროს ჭამა და დაძინების მცდელობა. აქ გართულდა საქმე, ზვიადი შიგადაშიგ ოხრავს, ჩვენ გვეღიმება. ბავშვი ისევ ჯიუტად არ გვკადრულობს. შემდეგ მე და ზვიადი ჩვენს დირექტორს ვხვდებით უახლესი გეგმების განსახილველად, სანდორო იქაც გვესწრება, თავისთვის წუწუნებს და უკვე ის გვიძლებს, ვერ გაუგია, რატომ ტანჯავენ ასე. სერგეი ჟადანზე ვლაპარაკობთ, ცნობილ უკრაინელ მწერალზე, რომელმაც უკრაინის ბოლო მოვლენებზე ძალიან კარგი წიგნი დაწერა – „მესოპოტამია“. სწორედ ამ წიგნის თარგმნა გადავწყვიტეთ. სერგეი ქართველების კარგი მეგობარია და უხარია პირველი ქართველი გამომცემლის გამოჩენა თავის შემოქმედებით ცხოვრებაში. სანდორო თვალებს აცეცებს გაკვირვებული. ახლა თამაზ ჭილაძეზე ვსაუბრობთ. უახლოეს

ოდისეა

თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით დაკავებულ დავით ბორჩაშვილს.

შსს-მ განაცხადა, რომ პარიზის ტერაქტების შემდეგ უსაფრთხოების ზომების გაძლიერების შედეგად ბოლო ათი დღის განმავლობაში საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვა უცხო ქვეყნების 479 მოქალაქეს, ხოლო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დაკავებულია 32 პირი.

პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ მთავარი პროკურორის თანამდებობაზე მთავრობამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ოფიციალურად წარუდგინა ირაკლი შოთაძის კანდიდატურა.

თბილისს ესტუმრა ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ედგარს რინკევიჩსი, რომელიც შეხვდა გიორგი მარგველაშვილს, ირაკლი ღარიბაშვილს, დავით უსუფაშვილსა და გიორგი კვირიკაშვილს, და მოინახულა საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელი დიცი.

შიმშილობის აქცია შეწყვიტა „პატრიოტთა ალიანსმა“, რომლის გენერალურმა მდივანმა ირმა ინაშვილმა პარლამენტის ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ, თუ ხელისუფლება არ გაითვალისწინებს საარჩევნო გარემოს შესაცვლელად პარტიის წინადადებებს, გაზაფხულიდან ის საპროტესტო აქციებს განაახლებს.

მომავალში მის რომანს - „ბრეიგელის მთვარეს“ არაბულ და ალბანურ ენებზე თარგმნიან და გამოსცემენ, ზვიადისა და ნინო სადღობელაშვილის რომანებს კი – თურქულად. ჩვენს ავტორებს უცხოელი გამომცემლები რომ გამოუჩნდებათ ხოლმე, ამაზე მეტად არაფერი მაბედნიერებს!

ზვიადი და სანდორო მიდიან, ბიჭებთან ერთად ფეხბურთი უნდა ითამაშოს საჯაროდ. შედეგებს მომავალ კვირას ვნახავთ. სამსახურიდან გვიან გავდივარ. გზაში ისევ სტრომაის ვუსმენ.

25 ოთხშაბათი

თურქეთის მიერ რუსეთის ავიაგამანადგურებლის ჩამოგდების საპასუხოდ მოსკოვის მხრიდან მიღებული ზომების გამო საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავმა თურქეთის საბარგო მანქანებმა ვერ შეძლეს ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით რუსეთში გადასვლა.

პარლამენტმა ცნო ოქტომბრის საშუალედო არჩევნების შედეგად საგარეჯოსა და მარტვილის მაჟორიტარ დეპუტატებად არჩეული თამარ ხიდაშელისა და სოსო დანელიას უფლებამოსილება.

ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა საქართველოში კერძო ვიზიტით მყოფ რუმინეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ვიქტორ პონტას.

საქართველო ორკვირიანი კამპანიით შეუერთდა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს.

დილას, თვალს გავახელ თუ არა, პირველ ყოვლისა, ფეისბუკს ვამოწმებ ხოლმე. ცხრის ნახევარზე გიორგი კეკელიძის წერილი მოსულა: „ახლა მოვრჩი სტაინბეკს. ძველიც წაკითხული მქონდა. ყოჩაღ.“ „თაგვებსა და ადამიანებზე“ – ამ წიგნს გულისხმობს, ბოლოს რომ ვთარგმნე. ვფიქრობ, საუკეთესოა ჯონ სტაინბეკის შემოქმედებაში და ერთ-ერთი უძლიერესი წიგნი, რომელიც კი ოდესმე წამიკითხავს. შექება გამიკვირდა, გამიხარდა, თუმცა მანამდე პირველი ის ვიფიქრე, რა გიჟია, რომ დილის ცხრის ნახევარზე წიგნის კითხვა კი არ დაიწყო, დაამთავრა-მეთქი. შემიძლია, მთელი ღამე არ დავიძინო, ოღონდ დილას ადრე ნუ ამაყენებ – „ღამურა“ ვარ.

უახლოეს წარსულში მთელი ჩემი არსებით ვიყავი გადაშვებული შემოქმედებით საქმიანობაში, სტაბილურად ვწერდი ლექსებს, წერილებს, ვთარგმნიდი. ახლა თანდათანობით ისე მომიცვა და შემიპყრო საქმემ და მოვალეობებმა, მუდმივი ბრძოლა მაქვს საკუთარ თავთან, რომ არ მომიწიოს, შეველიო იმას, რაშიც ამხელა ენერგია და ძალისხმევა მაქვს დახარჯული. ვცდილობ, წელიწადში ორი ან ერთი წიგნი მაინც ვთარგმნო, თუმცა ეს ორსულობის წინასწარ დაგეგმვასავითაა: ვიღებ შვებულებას და ათას რამეს ვხლაფორთობ. როცა ტელეფონი არასდროს ჩერდება და უფლებაც არ გაქვს, გამორთო, იქ შემოქმედებით განწყობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ხვალ თბილისის წიგნის დღეები იხსნება. მილიონი საქმეა. მკითხველი ფასდაკლების კატალოგებს ითხოვს. ზეგ ასოციაციის მოწვევით ნორვეგიელი გამომცემელი, ბერნარდ მორი ჩამოდის სემინარის ჩასატარებლად. მუდმივ კონტაქტში ვართ, მისი გრაფიკის ყველა დეტალს ვათანხმებთ. სტამბაში ბოლო წუთს ახალი წიგნების დაბეჭდვა გართულდა. არადა, მოლი ბლუმს წინასაფესტივალო ბლოგისთვის უკვე გავუგზავნე ჩამონათვალი. სასწრაფოდ ვწერ, რომ ცუდი ამბავია, ვნერვიულობთ, მაგრამ საბოლოოდ ბლოგში განმარტების გაკეთებაზე ვთანხმდებით. მე და ზვიადი „ექსპო-ჯორჯიის“ საფესტივალო პავილიონში მივდივართ, ჩვენი გაყიდვების გუნდი უკვე მობილიზებულია – სტენდებს აწყობენ. ქეთი ჩარკვიანი ირაკლი სამსონაძისა და გელა ჩარკვიანის იტალიური გამოცემების გარეკანებს მიგზავნის. წიგნები ქეთის თარგმა-

ნებით რომში უკვე სტამბაშია, დღე-დღეზე გამოიცემა, გარეკანებს მაშინვე ფეისბუკზე ვდებ, მიხარია! ამ დროს ბერნარდი მწერს, რომ უკვე წაიკითხა ირაკლი სამსონაძის „ყურთბალიშის“ ინგლისური თარგმანი; ამბობს, რომ ირაკლი კარგი მწერალია, მისი რომანი კი – ნამდვილი ლიტერატურა. ფეისბუკზე ვასტატუსებ, ვიცი, რომ ქართველები უცხოელის ნათქვამს უფრო დაიჯერებენ. მერე ირაკლის ვურეკავ და ვუყვები. ეღიმება და, ჩვეულებისამებრ, სევდანარევი ხმით მეუბნება, შენ მე უფრო ხშირად უნდა დამირეკოო.

ხუთშაბათი

„პიკის საათის“ გუნდი: ეკა, ველიჯანა და ლანა ჩემი მორალური და საინფორმაციო მხარდამჭერები არიან. დღეს წიგნის დღეები იხსნება. სატელეფონო ჩართვით ვსაუბრობ ფესტივალის ფარგლებში ასოციაციის გეგმებზე. „ინტელექტის“ სტენდზე დიდი ფასდაკლება და კარგი აქციები გვაქვს. ვიმედოვნებთ, მკითხველი მოვა და ჩვენც საუკეთესოდ დავხვდებით. „ექსპო-ჯორჯიაში“ თერთმეტი საათისთვის მივდივარ. ჩვენი საგამომცემლო ჯგუფის – „ინტელექტის“, „არტანუჯის“ და „ირიათონის“ – სტენდები მზადაა. ფესტივალის ორგანიზატორებთან და მხარდამჭერებთან ერთად ვმონაწილეობ ოფიციალურ გახსნაში, ჩვენი ასოციაციაც წიგნის დღეების მხარდამჭერია. მოკლედ ვლაპარაკობ, ვიცი, დიდხანს არავინ მომისმენს, მთავარი ცენტრალური მესიჯების გამოტანაა. ცხადია, გამომცემლებზე უნდა ვისაუბრო, მათს როლზე, უნდა გავახსენო მკითხველს, რომ წიგნებისა და ავტორების უკან სწორედ ეს მნიშვნელოვანი ადამიანები დგანან, მერე კი წიგნის კითხვის მნიშვნელობას შევეხო. გახსნის შემდეგ პავილიონს ვათვალიერებ, ყველა სტენდთან მივდივარ, კოლეგებს ვესალმები, სიახლეებს ვნახულობ. გამოდის, რომ უფრო მეტად პრობლემებზე ვსაუბრობთ. პრობლემა ძალიან ბევრია, გამომცემლებს ნამდვილად არ ულხინთ. ქართული წიგნი და საგამომცემლო სექტორი, ფაქტობრივად, მსხვერპლად შესწირეს უფასო სახელმძღვანელოების პროგრამას, მაგრამ კვლავაც ისეთივე შემართებით იბრძვიან, როგორც პირველ წუთებში – დასაკარგი მაინც აღარაფერია. მალევე ვტოვებ პავილიონს. მოძრაობის თეატრში სოსო ბაკურაძე მელოდება, თეატრის ახალგაზრდა რეჟისორი. ნამდვილი ევროპელებივით ნახევარი წლით ადრე ვხვდებით ერთმანეთს საერთო პროექტის დასაგეგმად. ფოიეში მსახიობები იკრიბებიან, რეპეტიცია იწყება, სცენაზე ერთ-ერთი მსახიობი თავისთვის „გიჟდება“, ჩუმად ვუთვალთვალებ, ყოველთვის მიზიდავდა თეატრის შიდა სამყარო. სოსო ჩემი კარგი მეგობარია. საქმიდან ზოგად თემებზე გადავდივართ, თემა ჩემი იმდღევანდელი ფეისბუკსტატუსის გაგრძელებაა: „ვინმემ რომ მკითხოს, ქართველები რაში ხართ ყველაზე მაგრებიო, ალბათ, დაუფიქრებლად ვუპასუხებ, რომ ჩვენ ერთმანეთის ნაშრომის

26

თბილისში გაიმართა ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეექვსე შეხვედრა.

დავით უსუფაშვილი თბილისში შეხვდა ევროკომისარს ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში იოჰანეს ჰანს.

ნაციონალური მოძრაობისა და მოძრაობა „თავისუფალი ზონის“ წევრებმა ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან, გააპროტესტეს მთავარი პროკურორის პოსტზე ირაკლი შოთაძის კანდიდატურის წარდგენა.

მთავარ პროკურატურაში მოწმის სტატუსით დაკითხეს თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილი, რომელმაც სოციალური ქსელით გაავრცელა ინფორმაცია მისი იფარული თვალთვალისა და მოსმენის შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ბაქოში შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევსა და საშინაო უწყების ხელმძღვანელ რამილ უსუბოვს.

წარბშეუხრელად მითვისებაზე უკეთ არაფერი გამოგვდის“. სოსო ღიმილით მახსენებს ცნობილ სიმღერას: Some of them wants to use you, some of them wants to get used by you... როგორ არ მახსოვს, უბრალოდ, ზოგჯერ საშინლად დამღლელია.

სამსახურის შემდეგ თიბისი ბანკში მივდივარ, „საბას“ პრემიამ მოგვიწყო საინფორმაციო შეხვედრა ახალი, ელექტრონული წიგნის ნომინაციის შესახებ. ხალხი ცოტაა. რატი ამაღლობელი ამბობს, რომ ხალხს კონკურსის შედეგები უფრო აინტერესებს, ვიდრე მისი განვითარების პროცესში მონაწილეობა. ასეცაა, მსგავსი რამეებით თავის დატვირთვა ხშირად გვეზარება ხოლმე. პრეზენტაციის მერე გოგა ჩანადირი მე და მარიკა ბაკურაძეს ჩაიზე გვეპატიჟება. მარიკას პატარა ნუცისთან და კიკისთან ერთად მივდივართ. ჩვენი მაგიდა თავისთავად ძალიან მხიარულია, ბავშვები დაუსრულებლად „ვაიბერის“ ფუნქციონირების დეტალებს განიხილავენ. გოგა ცდილობს, ეს ხმაური თავისი ახალი მკითხველთა კლუბის თემით გადაფაროს. ციმბირიდან ახალი ჩამოსულია, გადაღება ჰქონდა. ციმბირული თბილი წინდები ჩამომიტანა. გული მიგრძნობს, კარს მომდგარ ზამთარს ამ წინდებში გავატარებ.

27 პარასკევი

ეს დღე ძალიან ადრე, გამთენიისას, ორ საათზე დაიწყო. ბერნარდისა და მისი ფოტოგრაფი მეგობრის, ფრედერიკის დასახვედრად აეროპორტში წავედი. ბერნარდმა გამარჯობის შემდეგ პირდაპირ დამაყარა შეკითხვები: რომელ წელს აშენდა ეს აეროპორტი? ვისი სახელობისაა? რატომ? რისთვის? ღამის ორ საათზეც ფორმაშია! შეგნებულად შემოვატარე მანქანით ძველი თბილისი, მინდა, ღამით განათებული ქალაქი ნახონ, პირველივე დღეს შთაბეჭდილების ქვეშ აღმოჩნდნენ. ბერნარდი ჩვენს ქალაქს ხან საფრანგეთს ადარებს, ხან კალიფორნიას, ხანაც – ვილნიუსს, ბოლოს კი თავის თავს აჯერებს, რომ ამდენ მკითხაობას სჯობს, აღიაროს, რომ ეს სრულიად უნიკალური გარემოა. მისი სემინარი „წარმატებული რედაქტორი კონკურენტუნარიან ბაზარზე“ დილის 11 საათზე იწყება. ათზე უკვე სასტუმროსთან ველოდები, პირველ „სელფის“ ვიღებთ. გზაში ხალხის მოსვლაზე ვნერვიულობ. იმაზე მეტი მოვიდა, ვიდრე მე და ბერნარდი ველოდით: დიდი თუ პატარა გამომცემლობები, ყველა ადგილზეა, უსმენენ, აქტიურობენ, კითხვებს სვამენ. გახარებული ვარ: ესე იგი ტყუილად არ გვიწვალია! ნათია, ასოციაციის პიარი, დიდი მუცლით, ფაქტობრივად, დაგორავს და ფოტოაპარატს აჩხაკუნებს. დეკემბერში ბავშვს ელოდება. ვუყურებ და გულში ვამაყობ, ფეხმძიმე იყო, სამსახურში რომ ავიყვანეთ, ყველანაირ სტერეოტიპს გადავაბიჯეთ. გასაუბრებაზე საუკეთესო იყო კანდიდატებს შორის. ჩვენი საბჭო დაუფიქრებლად შეთანხმდა, რომ გადამწყვეტი პროფესიონალიზმია. ბევრ დემოკრატიულ ქვეყანას შეშურდებოდა იმწუთას ჩვენი.

82 ხმით 15-ის წინააღმდეგ პარლამენტმა მთავარ პროკურორად აირჩია ირაკლი შოთაძე.

ევროკომისარი ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში იოჰანეს ჰანი თბილისში შეხვდა გიორგი მარგველაშვილს, ირაკლი ღარიბაშვილს, არასამთავრობო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს.

ბერლინში გაიმართა გერმანიისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრების ურსულა ფონ დერ ლაიენისა და თინა ხიდაშელის შეხვედრა.

მთავრობამ გამოაცხადა, რომ 2016 წლის ივლისიდან მინიმალური პენსია 180 ლარამდე გაიზრდება.

პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომლის თანახმად 16-დან 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინების რეგისტრაციისთვის გაუქმდება მშობლის თანხმობის წესი და ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეეძლება.

მივიჩქარით კულტურის მინისტრთან შეხვედრაზე. ნორვეგიულ ლიტერატურულ ჟურნალ „ვინდუეტის“ 2016 წლის პირველი ნომრისთვის ბერნარდი წერს სტატიას საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაზე. ამიტომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს უნდა შევხვდეთ. ნინო კიკნაძე მოგვყვება, სამინისტროს თანამშრომელი. შეხვედრის დაწყება ცოტა გვიანდება (ვუხსნი, რომ საქართველოში ეს აუცილებელიც კია. ადვილად ეგუება ამ ფაქტს), სამაგიეროდ ნინო სამინისტროს კაფეტერიაში ლობიოზე და მწნილზე ეპატიჟება რამე ძალიან ქართულის დაგემოვნების სურვილით შეპყრობილ სტუმრებს. შედეგი მოლოდინს აჭარბებს. მინისტრთან ინტერვიუს მეც ვესწრები, მინისტრი საინტერესოდ საუბრობს, თავისი გულახდილობით სტუმრებზე შთაბეჭდილებას ახდენს, ეს აშკარაა. ზოგადად საქართველოში კულტურის პოლიტიკაზე მსჯელობენ; იმაზეც, რომ სასურველია, ხალხმა უფრო მეტად შეხედოს კულტურას, როგორც ბიზნესის კეთების საშუალებას. ასეცაა, ვეთანხმები, თუმცა მაშინვე მახსენდება ჩვენი სახელმძღვანელოები, განათლების სამინისტრო და ერის წინაშე დანაშაულად შერაცხული ბიზნესი, ნარკოდილერებს რომ გვადარებდნენ, და გუნება მიფუჭდება. ჩემი სტუმრები კმაყოფილები ჩანან, ყველა შეკითხვაზე მიიღეს პასუხი. შევიარეთ იქვე, ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრში. სტუმრები გაეცნენ ცენტრის საქმიანობის მთავარ პრიორიტეტებს. სამაგიეროდ, უსაშველოდ დაგვაგვიანდა თსუ-ში, სკანდინავისტიკის ცენტრის თანამშრომელ თამუნა კვიჟინაძესთან მისვლა. თუმცა ჩემი სტუმრები უცებ მოერგნენ ქართულ წესს და ამაზე საერთოდ აღარ ღელავენ, ახლა მე უფრო ვნერვიულობ. თამუნა ნორვეგიულიდან თარგმნის და ბრწყინვალედ საუბრობს ამ ენაზე. ასე რომ, მათი საუბრიდან, ფაქტობრივად, არაფერი გამიგია, მხოლოდ ნაცნობი მწერლების სახელ-გვარებს თუ ამოვიცნობდი.

რადიო თავისუფლებაში შოთა იათაშვილი გველოდება. საუბრობენ ქართველი, რუსი, უკრაინელი და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მწერლებთან ურთიერთობებზე, ქართველ მწერლებსა და პოეტებზე. ბერნარდი ტრადიციულ ნორვეგიულ არაყ „აკვავიტს“ გადასცემს საჩუქრად, დილიდან ჩანთით დაატარებდა და საბოლოოდ შეხვდა ადამიანს, რომლისთვისაც გადაწყვიტა, რომ ზედგამოჭრილი იქნებოდა ეს საჩუქარი. მართალიც აღმოჩნდა! დღის ბოლოს შოთამ ფეისბუკსტატუსში მომნიშნა და საჩუქრის დაგემოვნებით მიღებული სიამოვნება გაასაჯაროვა.

სახლში გვიან ვბრუნდები. ჩემი მანქანის მუსიკალური მენიუ შეიცვალა. ამჯერად ნორვეგიული მუსიკა ტრიალებს, სიტყვებს ვერ ვარჩევ. ბერნარდი მუსიკასაც წერს და ნორვეგიულ ბენდში უკრავს და მღერის კიდეც. დღის ბოლოს თავისი სი-დი მაჩუქა.

28 შაბათი

ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ საქართველო ითხოვს არა MAP-ს, არამედ ნატოში გაწევრიანებას.

თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაშავდა ორი ადამიანი.

თბილისის მერიასთან გაიმართა გარემოს დამცველთა აქცია, რომლის მონაწილეებმა პროტესტი გამოთქვეს შინდისის გზაზე ხეების გაჩეხის გამო.

გამომცემლობა „ინტელექტში“ დილა ირაკლი სამსონაძესთან შეხვედრით დავიწყეთ. ჩემი უცხოელი მეგობრები დღეს უფრო დასვენებულები ჩანან, მე კი წუხელ სულ სამი საათი მეძინა. ირაკლი ღრმა და უფრო მეტად ფილოსოფიურ საუბარში ითრევს ბერნარდს. მსჯელობენ ადამიანის პიროვნულ თავისუფლებაზე, საზოგადოებაში სულიერების ნაკლებობაზე. ირაკლი ამბობს, რომ დღეს საქართველოში ზედაპირული თავისუფლებაა, ხელოვნური. ამ თავისუფლებას თავისუფლების მონობაც კი შეიძლება ვუწოდოთო.

შუადღისას „ექსპო-ჯორჯიაში“ დათო ტურაშვილს ვპოულობთ, სხვა შეხვედრაზე აგვიანდება, მაგრამ ინტერვიუს ჩემს მანქანაში ვწერთ – გზად წერეთლიდან ანჩისხატამდე. დათო, ჩვეულებისამებრ, ენერგიულად და საინტერესოდ საუბრობს. ძირითადად, „ჯინსების თაობის“ ირგვლივ ტრიალებენ: შევარდნაძე, საბჭოთა კავშირი... ფრედერიკი დათოს გაბრიაძის კაფესთან ფოტოებს უღებს, შემდეგ ვემშვიდობებით და დღეს ბოლოჯერ ვბრუნდებით „ექსპო-ჯორჯიაში“. ჩვენს სტენდთან დიდი რიგია, მერაბ ნინიძე და მარიკა ბაკურაძე თავიანთ ახალ წიგნზე ავტოგრაფებს არიგებენ. ბერნარდს და ფრედერიკს თავიანთი გეგმა აქვთ: მთხოვენ პავილიონში შევკრიბო საგამომცემლო სფეროში ჩართული გოგოები, საერთო ფოტოს გადასაღებად. ამ ორი დღის შთაბეჭდილებით, ფიქრობენ, რომ საგამომცემლო მრეწველობაში 30 წლამდე ასაკის გოგოებს საპასუხისმგებლო პოზიციები უკავიათ. უკვირთ ქალების ასეთი სიძლიერე ქართულ საგამომცემლო სივრცეში და თავიანთ სტატიაში ამის წარმოჩენა უნდათ. ფერადი ფოტოები გამოდის.

ხვალ ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა: ჯერ წეროვნის დევნილთა დასახლებაში მივდივართ, შემდეგ – ერგნეთში, ცხინვალის საზღვართან. ჩვენს მუდმივ შემადგენლობას ამჯერად მარიკა ბაკურაძე შემოუერთდება. საინტერესო რესპონდენტს იცნობს ერგნეთში – ლია ჩლაჩიძეს, რომელიც იქაურ ვითარებაზე კომპეტენტურ პასუხებს გასცემს ჩემს ნორვეგიელ სტუმრებს. მრცხვენია, რომ წეროვნის დევნილთა დასახლებაში აქამდე არ ვყოფილვარ. ამჯერად სტუმრების წყალობით გამოვასწორებ ამ „შეცდომას“. ვიცი, ეს ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მოგზაურობა იქნება. მაგრამ ადამიანმა ზოგჯერ თავის ტკივილებთან ძალიან ახლოს მისვლა უნდა შეძლოს. მხოლოდ ასე თუ ვიპოვით გადარჩენის გზას...

გია ჯვარშეიშვილი

უფლებადამცველი. დაიბადა 1979 წლის 29 დეკემბერს თბილისში. დაამთავრა თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტი, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ინსტიტუტის ტელეჟურნალისტიკის ფაკულტეტი. არის უსინათლოთა და მცირემხედველთა ორიენტაციისა და მობილობის ინსტრუქტორი. მუშაობდა საზოგადოებრივ მაუწყებელსა და კერძო სტუდიებში მკვლევარ-ჟურნალისტად და პროდიუსერად ისტორიული ჟანრის მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმებზე. 2011 წელს დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „ვიმეგობროთ“, რომელიც მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის თემატიკაზე და ახორციელებს პროექტებს ინკლუზიური საზოგადოების შექმნის ხელშესაწყობად. არის შეზღუდული შესაძლებლობის საკითხთა ექსპერტ-კონსულტანტი.

29

კვირა

„თავისუფლების დღიურების“ დაწერა რომ შემომთავაზეს, შემხვდა კვირა, რომლის ერთ-ერთი დღეც 3 დეკემბერია – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე. სხვა კვირა რომ შემხვედროდა, ჩემი დღიური დიდწილად ისევ და ისევ შეზღუდულ შესაძლებლობას დაეთმობოდა. რადგან ეს არის საქმე, რომელსაც ექვსი წელია ვაკეთებ, და ეს არის საქმე, რომლის ყოველდღე არკეთება, პრაქტიკულად, ღალატის ტოლფასია.

რეალურად მთელი ეს შვიდი დღე პირდაპირ თუ ირიბად 3 დეკემბერს უკავშირდება: 29 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე – მზადება და 3-დან 5 დეკემბრამდე – მომხდარის გაანალიზება.

უქმე დღის მადლი თითქმის ვერ ვიგრძენი, რადგან დილაუთენია მომიწია გაღვიძება. უნდა დამეგეგმა მომავალი კვირა, მომემზადებინა სხვადასხვა მასალა, დამესრულებინა მოლაპარაკება 3 დეკემბერს დაგეგმილი საჯარო ლექცია-სემინარის ორგანიზებასთან დაკავშირებით.

თუმცა პირველი, რაც გაღვიძებისას გამახსენდა, იყო თარიღი – 29, ჩემი დაბადების რიცხვი... ერთი თვეც და, 29 დეკემბერს იწყება ჩემი ახალი წელი, ჩემი ახალი ეტაპი – ცხოვრება 35-ის შემდეგ. ისევე როგორც უმრავლესობას, ჩემი დაბადების დღე მეც მიმძაფრებს დროის სვლის შეგრძნებას; მიბიძგებს გასული წლების, ურთიერთობების, საქმიანობის შეჯამებისკენ, რასაც, როგორც წესი, განვლილი გზის გადაფასებაც მოჰყვება ხოლმე.

საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ცნობა, რომ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ შესაძლო კავშირის გამო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასაკირალში დააკავეს ოთხი პირი.

88 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართველი კინორეჟისორი და სცენარისტი გუგული მგელაძე.

რას შევცვლიდი, რას ვურჩევდი თავს? ადამიანში მუდმივად კარგის ძიება ჩემს ერთ-ერთ მთავარ ფასეულობად დარჩება, თუმცა ზედმეტი ნდობა და სხვისთვის კარტ-ბლანშის მიცემა ხშირად იმედგაცრუებით დამთავრებულა. მეტი სიფრთხილე, მეტი ზომიერება – ალბათ ესაა, რასაც ადამიანებთან პირად თუ საქმიან ურთიერთობაში გავითვალისწინებ.

შეუცდომელი არავინაა, მაგრამ ზედაპირულობა, გულგრილობა ან მდგომარეობის ბოროტად გამოყენება უპატიებელია, რაც უნდა მოწყვლადი იყოს ადამიანი...

30 ორშაბათი

პარიზში კლიმატის შეცვლის პრობლემისადმი მიძღვნილ გაეროს კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ირაკლი ღარიბაშვილი.

საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ლონდონში შეხვდა დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის წევრებს, ბიზნესის წარმომადგენლებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საქალაქო სასამართლოს 5 ნოემბრის განჩინება, რომლის თანახმად ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს დროებითი მმართველები დაენიშნა.

კინოთეატრ „ამირანში“ საზეიმოდ გაიხსნა თბილისის მე-16 საერთაშორისო კინოფესტივალი.

დღეს კიდევ ერთხელ გადავიკითხე დენი დიდროს „წერილი უსინათლოთა შესახებ“. რამდენიმე მონაკვეთი ქართულად ვთარგმნე და გადავუგზავნე უსინათლო მეგობარს, რათა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის უმნიშვნელოვანეს ნააზრევს ხმოვანი პროგრამით გასცნობოდა. გული მწყდება, რომ ეს ტექსტი, ისევე როგორც ბევრი სხვა მასალა, არ არსებობს ქართულად, არც ქართული ბრაილის შრიფტით.

ექვსი წლის წინ უსინათლოებთან სწორედ ლიტერატურამ დამაკავშირა: წიგნებმა, რომლებშიც შავით თეთრზე არ ეწერა ასოები, რომლებიც გაუთვითცნობიერებელი ადამიანისთვის ცარიელი ფურცლებით იყო სავსე, რომლებიც ხელის შეხებით შეგიძლია აღიქვა და რომლებსაც მე ვერ ვკითხულობდი.

იმ დროს არ ვფლობდი ბრაილის შრიფტს, თუმცა ვფიქრობდი, რომ ლიტერატურა იყო ერთ-ერთი უპირველესი, რაც ამ ხალხს სჭირდებოდა. უსინათლოთა საჭიროებების საფუძვლიანად გაგებას, საკითხის არსის წვდომას დიდი დრო დავუთმე. ამ ცოდნისა და გამოცდილების მიღება მხოლოდ საქართველოში შეუძლებელი აღმოჩნდა.

უსინათლოებს უამრავი რამ სჭირდებათ. სრულფასოვანი, დამოუკიდებელი ცხოვრების აუცილებელი პირობაა სივრცეში ორიენტაციისა და მობილობის უნარი, რასაც სპეციალიზებულ სოციალურ სარეაბილიტაციო ცენტრებში იძენენ. იქვე სწავლობენ კომპიუტერული ხმოვანი პროგრამებისა თუ ბრაილის შრიფტის გამოყენებას, უვითარდებათ საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევები და სხვა. მსგავსი ცენტრი საქართველოში, სამწუხაროდ, არ არსებობს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა. ამ პრობლემის მოგვარების ხელშეწყობა ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

2010 წელს თანამედროვე ქართული პროზისა და პოეზიის მცირე ანთოლოგიების ბრაილის შრიფტით გამოცემამ გარკვეულწილად კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა. ექვსი წლის წინ გუგლის ქართულ საძიებო სისტემაში სიტყვა „უსინათლოს“ ჩაწერისას ორ ინფორმაციას იპოვიდი. პირველი: უსინათლოთა დაპირისპირება სათემო ორგანიზაციაში არჩევნების დროს; მეორე: როგორ ითხოვდნენ პენსიის მომატებას. დღეს ქართული გუგლი ამ თემაზე ათობით გვერდს გვთავაზობს.

თუმცა თემა ინფორმაციის გავრცელებით არ ამოიწურება და ამ პრობლემების სრული აღრიცხვა შორს წაგვიყვანს. ეს უკვე სხვა ამბავია...

დამიბრუნდა დენი დიდროს წერილზე ჩემი უსინათლო მეგობრის პასუხი. ტყუილი აღმოვაჩინეო, იცინოდა. წერილში დიდროს მოჰყავს უსინათლო ქალის სიტყვები: „უსინათლოობას თავისი პლუსები აქვს, სიმპათიური მამაკაცი მე ვერასდროს დამახვევს თავბრუს“. ჩემი მეგობრის შეყვარებული კი, ობიექტურად, სიმპათიურია.

მხიარული გადახვევის შემდეგ გავაგრძელე დღის გეგმის შესრულება, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო პოტენციური დონორისთვის წარსადგენი პროექტი: „საბავშვო ლიტერატურა უსინათლო და მცირემხედველი ბავშვებისთვის“ (წიგნები ბრაილისა და მსხვილი შრიფტით და აუდიოწიგნები). რუტინასაც აქვს ხიბლი, როდესაც საქმის მნიშვნელობას გაიაზრებ. ფასების მოკვლევა, სტაფის მოძიება, პიარკამპანიის დაგეგმვა და ა.შ. პარტნიორი მძიმეა, ერთ-ერთი ბანკი სრულ სკრუპულოზურობას ითხოვს. იმედია, ვითანამშრომლებთ. ეს პროექტი უნდა შედგეს.

სამშაბათი

ყოველთვის ვცდილობ, დღის განმავლობაში გამოვნახო დრო, რომ პასუხი გავცე წერილებსა და კომენტარებს ფეისბუკის გვერდზე – „ვიმეგობროთ უსინათლოებთან“. ეს გვერდი 2010 წელს შევქმენი საკითხის აქტუალიზებისა და პოპულარიზების მიზნით და დღეს მას 81 ათასზე მეტი „მოწონება“ აქვს. მომხმარებლები თითქმის ყოველდღიურად იღებენ ინფორმაციას უსინათლოთა და, ზოგადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემაზე, უსინათლო და მცირემხედველ ადამიანებთან ურთიერთობის ეტიკეტსა და დამხმარე საშუალებებზე. გვერდი ცნობიერების ამაღლების ერთ-ერთი ინსტრუმენტია, გვერდის სტატისტიკა კი საზოგადოებრივი ინტერესის გარკვეულ საზომადაც შეიძლება გამოდგეს.

ექვსი წლის წინ გვერდის სათაური დაუკავშირდა ჩემი და ჩემი მეგობრების, მათ შორის შშმ მეგობრების მიერ დაარსებულ არასამთავრობო ორგანიზაციას სიმბოლური სახელწოდებით – „ვიმეგობროთ“. ეს მოძრაობა მართლაც მეგობრობით დაიწყო.

დღეს გვერდის სახელწოდება – „ვიმეგობროთ უსინათლოებთან“ – ერთ-ერთმა მომხმარებელმა პოზიტიურ დისკრიმინაციად აღიქვა. გაიმართა დისკუსია. მესმის, რამ გამოიწვია ასეთი შეფასება. თუმცა შშმ ადამიანებისა და, ზოგადად, ადამიანების პრობლემებსა თუ უფლებებზე მსჯელობა, პირველ ყოვლისა, მათთან მჭიდრო კონტაქტით, მათ წინაშე მდგარი გამოწვევების გააზრებითა და გათავისებით არის შესაძლებელი. მეგობრობა ურთიერთობის ყველაზე უშუალო ფორმაა და გულისხმობს კეთილგანწყობას, მხარდაჭერისთვის მზაობას,

1

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ დააკავა ექსტრემისტულ დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგიის მხარდამჭერი ოთხი პირი, რომელთაც თბილისის საქალაქო სასამართლომ აღმკვეთ ზომად პატიმრობა შეუფარდა.

პარიზში ვიზიტად მყოფმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ბატაკლანის“ საკონცერტო დარბაზთან პატივი მიაგო 13 ნოემბრის ტერაქტების შედეგად დაღუპული 130 ადამიანის ხსოვნას.

გიორგი კვირიკაშვილი ბრიუსელში სიტყვით გამოვიდა ავღანეთის „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე და შეხვდა თავის თურქ კოლეგას, მევლუთ ჩავუშოღლუს.

თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ბრიუსელში შეხვდა ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს, გენერალ მიქაილ კოსტარაკოსს, ბელგიის თავდაცვის მინისტრს სტივენ ვანდეპუტს და ევროპარლამენტის წევრებს.

საქართველოში აღინიშნა შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.

რაც ყველაზე მეტად აადვილებს საერთო მიზნებისკენ სვლას.

ამჟამად კვლავ მეგობრები ვაყალიბებთ ახალ მოძრაობას სახელწოდებით „ინკლუზიური საზოგადოება – საქართველო“, რაც ზუსტად უპასუხებს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს. ინკლუზიური საზოგადოება სოციუმის ყველა ჯგუფის თანაბარ ჩართულობას, თანაბარ უფლებებსა და საზოგადოებრივ პროცესებში თანაბარ მონაწილეობას გულისხმობს, რაც განვითარების უალტერნატივო გზაა.

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში (GAU) 3 დეკემბრისთვის დაგეგმილი საჯარო ლექცია-სემინარისთვის მზადება წარმატებით მიმდინარეობს. სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან შეხვედრა ყოველთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მათი მოხალისეობრივი ჩართულობა და აქტიურობა სტიმულის მომცემია.

2 ოთხშაბათი

ნატოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბრიუსელში გამოქვეყნებულ განცხადებაში დაადასტურეს ბუქარესტის სამიტზე 2008 წელს მიღწეული შეთანხმება, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება და ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია MAP-ის მიღება.

თინა ხიდაშელი ბაქოში შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს, პრემიერ-მინისტრ არტურ რასი-ზადესა და თავდაცვის მინისტრ ზაქირ ჰასანოვს.

ყოფილი მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი დაინიშნა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსად.

ეს დღეები სულ მახსენდება ერთი ძალიან მაგარი გოგო, ჰაბენ გირმა, უსინათლო და სმენის არმქონე, იურისტი, რომელმაც ჰარვარდი დაამთავრა და დღეს შეერთებულ შტატებში შშმ პირების უფლებადამცველია. მისი მოხსენებები იმდენად უშუალოა, იმდენად ადამიანურ მომენტებზეა აგებული, რომ გადავწყვიტეთ, ერთ-ერთი მიმართვა ქართულ ენაზე გვეთარგმნა და საჯარო ლექცია-სემინარზე სტუდენტებისთვის გვეჩვენებინა. ამ გამოსვლაში ჰაბენ გირმა ჰყვება სტუდენტობის პერიოდის გამოცდილებასა და იმ ბარიერებზე, რომლებსაც მაშინ აწყდებოდა. შოკოლადის ნამცხვარი იქცა მისთვის უფლების გააზრების წინაპირობად. სხვა სტუდენტებივით, მისთვისაც უნდა ყოფილიყო მისაწვდომი კაფეტერიის მენიუ მოსახერხებელი ფორმატით (ვიდეო ქართული ტიტრებით გამოქვეყნებულია ფეისბუკგვერდზე „ვიმეგობროთ უსინათლოებთან“). წელს ჰაბენ გირმამ ბარაკ ობამასთან ერთად მიულოცა შეერთებული შტატების შშმ მოქალაქეებს ADA-ს 25 წლისთავი. ბატონმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სწორედ ინკლუზიური საზოგადოებაა ამერიკის უპირატესობა.

გეგმის მიხედვით, GAU-ში დაგეგმილ საჯარო ლექცია-სემინარზე პირველი კითხვა იქნება: როგორ იღებს განათლებას უსინათლო და სმენის არმქონე ადამიანი? მართლა მაინტერესებს, სტუდენტებს აქვთ თუ არა წარმოდგენა ამ თემაზე.

3 ხუთშაბათი

იუსტიციის სამინისტრომ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს გაუგზავნა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე მომზადებული დასკვნა.

ბელგრადში, ეუთოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე გიორგი კვირიკაშვილმა

ეს დღეც დადგა – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე. ამ თარიღს, გაეროს ინიციატივით, 1992 წლიდან აღნიშნავს მსოფლიო.

რატომღაც გვიჭირს გავაგებინოთ ზოგიერთს, რომ ეს არ არის საზეიმო დღე, ეს არის დღე, რომელიც კიდევ ერთხელ გვახსენებს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა 10%-ზე მეტის პრობ-

ლემებსა და გამოწვევებს. საუბარია 300 ათას ადამიანზე. სწორედ ამ სტატისტიკის გათვალისწინებით, მე და ჩემმა მეგობარმა ეკა ტოგონიძემ GAU-ში დაგეგმილ ლექცია-სემინარს შევურჩიეთ სიმბოლური სახელწოდება: „ყოველი მეათე ჩვენგანი“ – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში 600 მილიონზე მეტი შშმ პირია (დედამიწის მოსახლეობის 10%-ზე მეტი).

ციტატა ტექსტიდან, რომელიც დღეს გავავრცელეთ: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები ჩვენს ქვეყანაში ყოველდღიურად უამრავ პრობლემას აწყდებიან, იქნება ეს არაადაპტირებული გარემო და არასწორი საკანონმდებლო ბაზა, არარსებული სერვისები, არასაკმარისი სოციალური პაკეტი, უხარისხო განათლება, დისკრიმინაციული მიდგომები და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია, უპასუხისმგებლო ჩინოვნიკები, კონფორმისტი უფლებადამცველები, დასაქმების უსუსტესი პოლიტიკა თუ შეუსრულებელი სამთავრობო სამოქმედო გეგმები... საზოგადოების სიმწიფე და სიძლიერე განისაზღვრება იმით, თუ როგორ ზრუნავს ის თავის მოწყვლად ნაწილზე“.

რამდენიმე სატელევიზიო ეთერისა და ინტერვიუს შემდეგ, 19 საათზე მივედი GAU-ში. სტუდენტები თავიანთი ხელით დამზადებული სოლიდარობის გულსაბნევებით დაგვხვდნენ. შეხვედრა შემზარავი ინფორმაციით დაიწყო: კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ბერნარდინოში შშმ პირთა მომსახურების ცენტრზე შეიარაღებულ პირთა თავდასხმისას 14 ადამიანი დაიღუპა, 21 კი დაშავდა. სრული სისასტიკეა!

ინტერაქტიული შეხვედრა დაეთმო შშმ ადამიანთა უფლებების, პრობლემებისა და გამოწვევების უკეთ გააზრებას, ინკლუზიური საზოგადოების მნიშვნელობის გაცნობიერებას და შშმ პირებთან ურთიერთობის ეტიკეტის ინსტრუქტაჟს. სტუდენტებმა დიდი ინტერესით გამოსცადეს დამხმარე საშუალებები, გადაადგილდნენ ეტლით, იმოძრავეს უსინათლოობის სიმულატორით.

ისევ მე ვუპასუხე პირველ დასმულ კითხვას: როგორ იღებს განათლებას უსინათლო და სმენის არმქონე ადამიანი.

პარასკევი

4

რამდენიმე ღამის გამოუძინებლობას ოთხი საათი ძილი ვერ შველის...

დილის 10 საათზე უკვე შეხვედრაზე ვიყავი. მიხარია, რომ მოვასწარი საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა პროექტისთვის „საბავშვო ლიტერატურა უსინათლო და მცირემხედველი ბავშვებისთვის“. პასუხს ორშაბათს, 7 დეკემბერს ველოდები.

შეხვედრიდან გამოსულს, დამირეკა ჩემი და ლექსო ქურხულის საერთო მეგობარმა და მითხრა, რომ ლექსოს ფეხი მოუტეხია. ორშაბათს ჩემს დროებით შშმ მეგობარს მივუტან ყავარჯნებს, რომლითაც შარშან მე თვითონ მომიწია სარგებ-

დეკემბერი

ისაუბრა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის ქმედებებზე.

„საქსტატმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ნოემბერში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 6,3%-მდე გაიზარდა.

საქართველოში აღინიშნა შშმ პირთა საერთაშორისო დღე.

ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ბრძანებულებით შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა.

ადვოკატმა ოთარ კახიძემ ჟურნალისტებს აცნობა, რომ „ინტერპოლმა“ შეწყვიტა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, ერეკლე კოდუას საერთაშორისო ძებნა.

გიორგი მარგველაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებულებებს, რომელთა თანახმად პრეზიდენტის

ადმინისტრაციის უფროსად დავით პატარაიას ნაცვლად დანიშნა გიორგი აბაშიშვილი, ხოლო დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩად – თამარ ბერუჩაშვილი.

ლობა, როდესაც თავად ვიყავი დროებით შშმ პირი.

სახლში გვიან დაბრუნებული, „თავისუფლების დღიურების“ საწერად დავჯექი და გონებაში ამოტივტივდა ფაქტები, რომლებიც ამ დღეებში ხდებოდა:

ფეისბუკზე გამოქვეყნებული წერილი მშობლისა, რომლის შშმ შვილიც, რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, არსად მიიღეს ხატვაზე; ზარი მეგობრისა, რომელმაც მითხრა, რომ უარი მიიღო თავისი სმენის პრობლემის მქონე შვილის სამედიცინო მომსახურებაზე; საჯარო წერილი უსინათლო სტუდენტი გოგონასი, რომელსაც უარი უთხრეს დასაქმებაზე მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო (თავისი უფლების დაცვას ის სასამართლოს მეშვეობით ცდილობს); შეხვედრა შშმ მოძრაობის აქტივისტთან, რომელმაც გულისტკივილი გამოთქვა მოძრაობის ზოგიერთი წევრის – მდგომარეობით მოსარგებლე ნაძირალების საქციელის გამო; 3 დეკემბერს მომხდარი უსიამოვნო ფაქტები: რეგიონებში პომპეზურად, ზარ-ზეიმით გახსნილი პანდუსები და საჩუქრად გადაცემული ეტლები, მოწყალებად გაღებული უფლებები... ამ რეალობის შეცვლას ჰაბენ გირმას შემართების გოგო-ბიჭები სჭირდება, მათ ჩამოყალიბებას კი – ინკლუზიური საზოგადოება. პრაქტიკულად, მოჯადოებული წრეა...

5 შაბათი

მთავრობის ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნდა ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება, რომ იგი პატრიარქის თხოვნის საფუძველზე პრეზიდენტსა და პარლამენტს მოუწოდებს, დაიწყონ მსჯელობა პატრიარქისთვის მსჯავრდებულთა შეწყალების უფლების მინიჭების საკითხზე.

პოლიტსაბჭოს სხდომის შემდეგ ნაციონალურმა მოძრაობამ გამოაცხადა, რომ საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის გამო მიხეილ სააკაშვილი აღარ არის პარტიის თავმჯდომარე, ახლის არჩევა კი მიზანშეუწონელია პარტიის მართვის გუნდური პრინციპის გათვალისწინებით.

თბილისის მერიაში გაიმართა მდინარე ვერის ხეობის ტერიტორიული განვითარების კონცეფციის პრეზენტაცია.

„თავისუფლების დღიურის“ წერას ბავშვები არ მაცლიან და ეს ყველაზე სასიამოვნო ხელის შეშლაა... შაბათ-კვირა მათია! ჩემი 12 წლის შვილი, მარიამი, დისშვილები: ოთხი წლის თიკა და წლინახევრის ელენე საერთო ენის გამონახვას ახერხებენ. სახლში ჟრიამულია.

„თავისუფლების დღიურების“ ჩაწერაზე ვაგვიანებ.

მერაბ ნინიძე

მსახიობი. დაიბადა 1965 წლის 3 ნოემბერს თბილისში. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტი. 1990-იანი წლებიდან ცხოვრობს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. სკოლის ასაკიდან თამაშობდა რუსთაველის თეატრის დიდსა და მცირე სცენებზე. აღიარება მოუტანა პირველმა კინოროლმა თენგიზ აბულაძის ფილმ „მონანიებაში“ (1984 წ.). შესრულებული აქვს რამდენიმე ათეული როლი ქართულ, რუსულ, გერმანულ, ავსტრიულ კინოფილმებსა და სატელევიზიო სერიალებში. ითამაშა მამაკაცის მთავარი როლი გერმანელი რეჟისორის, კაროლინე ლინკის ფილმში „არსად, აფრიკაში“, რომელმაც 2002 წელს მოიპოვა აშშ-ის კინოაკადემიის ჯილდო – „ოსკარი“ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში. საქართველოში ყოფნისას ხშირად მონაწილეობს ლიტერატურულ პერფორმანსებში, რომლებიც XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიასა და ავტორებს უკავშირდება. გამართული აქვს არაერთი ლიტერატურული საღამო.

დეკემბერი

6

კვირა

6 დეკემბერს ალექსანდრე დაიბადა, მარიამი დედა გახდა, მე – ბაბუა. დღიურის წერა რატომ ავიღე ჩემს თავზე, ჯერ არ ვიცი. დიდი ხნის წინ მართლაც ვაკეთებდი რაღაც ჩანაწერებს და სადღაც მოგროვილიც მქონდა. 1996 წლის ერთ დღეს, სავსემთვარეობაზე დავწვი. ესეც სადღაც წავიკითხე, რომ ასეთი ტიპის ბოდვისებურ ჩანაწერებს თუ სავსე მთვარეზე დაწვავ, შენი ჭირიც წაუღია: თავისუფლდები ზედმეტი ტვირთისგან და წარსული უფრო მსუბუქი და ასატანი ხდებაო. მე დავწვი სამი დიდი ჩანთა ბოდვებისა და ეს ძალიან კარგი შეგრძნებაა. დღიურებს უკვე იმდენი ხანია არ ვწერ, რომ არც მახსოვს, ბოლოს როდის დავწერე, მაგრამ რომ დავწვი, მახსოვს. რვეულები, ბლოკნოტები, თაბახები, ზოგჯერ ილუსტრაციებითურთ...

დღეს ბაბუა გავხდი. ამას წინათ 50 წელი შემისრულდა. დღიურს რატომ წერენ, მე არ ვიცი... „სამყარო ნელ-ნელა ემსგავსება უკაცოდ დარჩენილ ოჯახს“ – ტარიელ ჭანტურიას ლექსიდანაა. ჰო, აი დღეს ეს შეგრძნებაა.

სიხარულს ყოველთვის ახლავს სევდა იმისა, რომ ეს სიხარული გავა და გაივლის და მას შეცვლის სხვა რამ, უფრო მოულოდნელი. მაგრამ შვილიშვილის დაბადება დიდებული ამბავია! ეს ის სიხარულია, სულ რომ იქნება, უკვე თავისთავად, ყოველთვის...

ალექსანდრეს დაბადების დღეა და დღეს პირველად ვუბრუნდები დღიურის ფორმატს. რატომ დავთანხმდი, რომ დავ-

საპატრიარქომ განმარტა, რომ პატიმრების შეწყალების უფლების შესახებ ილია მეორის განცხადება იყო პატიმრების დახმარებისა და თანადგომის სურვილით გამოხატული აზრი და არა საკანონმდებლო დონეზე წინადადების განხილვის მოთხოვნა.

თბილისში, პარლამენტის შენობასთან, გაიმართა აქცია მოწოდებით: „ტროტუარი ქვეითს!“

მიუხედავად მთავრობის განმარტებისა, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაციის აკრძალვის გეგმა არ შეეხება უკვე რეგისტრირებულ ან მესამე ქვეყანაში გასაყიდად განკუთვნილ ავტომანქანებს, თბილისსა და საქართველოს რამდენიმე სხვა ქალაქში გაიმართა ამ ტიპის მანქანების მფლობელთა და დილერთა საპროტესტო აქციები.

თბილისში გამართული რესპუბლიკური პარტიის ყრილობის დელეგატებმა თავმჯდომარედ ისევ ხათუნა სამნიძე აირჩიეს.

საქართველოს სინაგოგებში გაიმართა ხანუკის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღვთისმსახურება.

წერდი და, რადიო თავისუფლების ოფისში რომ ვიყავი, რატომ მომეჩვენა, რომ დღიურების დაწერას შევძლებდი, ვერ ვხვდები. ამიტომაც ვაიძულებ ჩემს თავს, დავწერო ეს დღიური... დაწერე, მიდი!

ესე იგი, ვიწყებ!

ვენაში ვარ და ნისლიანი დღეა. ორი დღეა, ცრის. 11 საათისთვის გავდივარ სახლიდან, ვუხვევ მარცხნივ, ავდივარ მაღლა, გეორგენბერგზე, და ტყისკენ ვეშვები. ერთი სამი საათი დავდივარ. მავიწყდება, საათს დავხედო, მაგრამ ადრე ღამდება. ასე რომ, 3 საათისთვის უკვე ბინდი დადგება და ისევ უკან ჩავალ.

ნისლიან ტყეში დალაგდება დღე... და ამ დღეში დალაგდა მთელი თვე და ჩაისუნთქე – ამოისუნთქე უკვე ნაცხოვრები ნახევარი ცხოვრება, ежик в тумане...

7 ორშაბათი

ერთი დღის ალექსანდრეს ფოტოები და დილამდე ვაიბერით იმის განხილვა, ვის ჰგავს ან რატომ გამოვაკლდი მე ამ ყველაფერს და არ ვიყავი თბილისში.

12 საათისთვის გახმოვანებაზე მივდივარ. ერთი საათი მჭირდება სტუდიამდე მისასვლელად. ასე იცის ტყეში ცხოვრებამ! გახმოვანება კარგად მიდის. აქ შეყვარებულ კბილის ექიმს ვთამაშობ. ჰოდა, ერთ-ორ სცენას მოვკარი თვალი, შეიძლება ცუდი არ იყოს. ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა შორიდან. გასახმოვანებელი ბევრი არ იყო – სულ ნახევარი გვერდი. ასე რომ, სხაპასხუპით „ჩავარიხინე“ სულ რაღაც ოც წუთში. მივდივარ Barmherzige Brüder-ის საავადმყოფოში, სადაც დეიდაჩემი მიღიმის პალატაში შესულს, და მერე ერთად დავყურებთ მანანას, დედაჩემს, რომელმაც ბოლო სამი თვე რეანიმაციაში გაატარა. რამდენიმე დღეა, რაც თვალი გაახილა და ახალდაბადებული ბავშვივით დიდხანს აკვირდება ყველას და ყველაფერს და ხანდახან გვიღიმის ონავრულად. შემდეგ ეტაპზე უნდა, რომ დაილაპარაკოს. ნელ-ნელა უკვე ამასაც ახერხებს.

საავადმყოფოდან გამოვდივარ. ისევ ჟინჟლავს, ვსველდები. სამაგიეროდ აიპოდს ვრთავ, ხიდზე გადავდივარ და „212“ ყურებში! ყველა ან მობილურით ლაპარაკობს, ან მობილურს ჩასცქერის და ჩასიციცინებს. არავინ უყურებს ერთმანეთს, ყველა ნაწილობრივ გადასულია სხვა განზომილებაში. მე აიპოდი უოკმენისა და ფოტოაპარატის ფუნქციამდე დავიყვანე და ხუთი სხვადასხვა აპარატი მაქვს: ორი ტელეფონი – ერთი ძველი ჩამტყდარი „ნოკია“, ერთი ლითონის „ნოკია“ ქართულენოვანი მენიუთი. ერთი აიპოდი ფოტოაპარატია და მეორე აიპოდი – უოკმენი. ოთხი გამოვიდა, მეხუთე ექსპირიაა და არ ვთვლი. იმას იშვიათად ვრთავ, მაქსიმუმ წელიწადში ორჯერ. ასე გამოვიდა. მე არ ვიყურები სმარტფონში და სხვებს არ ვადევნებ თვალყურს სოცქსელებში. ტელევიზორს არ ვუ-

ბათუმ-ქობულეთის შემოვლით გზაზე მშენებარე ხიდიდან გადავარდნის შედეგად დაილუპა ერთ-ერთი მშენებელი.

ირაკლი ღარიბაშვილი სოფიაში შეხვდა ბულგარეთის პრემიერ-მინისტრ ბოიკო ბორისოვს და პრეზიდენტ როსენ პლევენლიევს.

შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ, თბილისის საკრებულოს წევრმა ალექსანდრე ელისაშვილმა განაცხადა, რომ პროკურატურის ხელმძღვანელებს დაახლოებით ერთი წლის წინ დაუსახელა რამდენიმე პოლიტიკოსი, რომლებიც პატიმრების შესაძლო შეწყალების ლობირებით „დიდი ფულის შოვნას“ აპირებდნენ.

ყურებ... რას მოვაყოლე? ჰო, იმას, რომ მეტროში ვარ და ვაგონი მიქრის... სამაგიეროდ, იუტუბზე პლეილისტების კეთება რომ შეგიძლია, კარგია. ინტეგრირებული ხარ და შენ მართავ, შენ ალაგებ პროგრამას, შენი ტელევიზიაა. გუშინდლისგან განსხვავებით, დღეს სამყარო ნელ-ნელა ემსგავსება უქალოდ დარჩენილ ოჯახს...

დღიური არის მარტოობის მანიფესტი: მე ის ვქენი, იმან ის ქნა, მე ეს მეგონა, მერე ეს ვიგრძენი, მერე მეწყინა, მერე გავბრაზდი, ღმერთებს ვეკამათებოდი... და მაინც, რატომ ვუთხარი, დავწერ-მეთქი? ალბათ იმიტომ, რომ ჩემს თავს ვიცნობდე უკეთ, ვიცოდე, ვინ ვარ, ანუ ვცადო, გავიგო. ალბათ, ეს აწერინებს ადამიანს დღიურებს, ან იქნებ ყელყელაობის და ნარცისიზმის „დრაივი“, რომ ამ ყველაფერს ვიღაც იპოვის, წაიკითხავს და იფიქრებს: ვაა, რა cool არისო! ლაშამ მაჩუქა მათი გამოცემული იოსებ მჭედლიშვილის დღიურები. ამის კითხვას ვიწყებ. აიპოდში ფოტოკამერის რგოლს თუ ჩახედავ, უსიტყვებო დღიურია – ყველაფერს „ფოტკავ“ და სულ „გფოტკავენ“. ვინ სად „დაგფოტკავს“, არ იცი...

ამასობაში მოვედი სახლში. 5 საათია და უკვე ღამეა. მანანა სულ უყურებდა ონლაინ ქართულ ტელევიზიას. სამზარეულოში თავისი ლეპტოპი ედგა და ხანდახან თვალს მოვკრავდი რაღაც უცნაურ გადაცემას, ტელეწამყვანები ქურუმებივით რომ ღაღადებდნენ. ასე ჩამითრია თავის დროზე „ჩემი ცოლის დაქალებმა“. მანანა უყურებდა და თემიკოს ლოცავდა. ისე ამაყობდა, რომ თემო ამ სერიალშია და ასეთ როლს თამაშობს, ასეთ რომანტიკულ პერსონაჟს...

ალბათ, წერაში გავარჯიშებაცაა დღიური, და ასე რომ მიუდგე, შეიძლება სიტყვის ოსტატიც გახდე ადამიანი. „ანე ფრანკის დღიური“ ერთ-ერთი დღიურია, რაც წამიკითხავს.

სამშაბათი

8

სხვანაირად იყო დაგეგმილი. პირველ საათზე ნანას უნდა შევხვედროდით მე და მახარე, მაგრამ თბილისიდან მეილი მომივიდა პროდიუსერისგან, რომელიც მიხსნის, რატომ აგვიანებს ამდენ ხანს ჰონორარის ჩარიცხვას. წერილი გრძელია, რადგან მე მწერს და არა ჩემს აგენტს; ესე იგი, ცდილობს, სამზარეულოში ჩამახედოს. წერილის მიზანია, გავუგო მათ, თუ რატომ გვიანდება ამ ფულის გადმორიცხვა ასე უსაშველოდ. ამ მეილს პასუხი უნდა გავცე, ისე ვერსად წავალ. ნანას ვურეკავ და ვეუბნები, რომ არ დაგველოდოს. ვწერ პასუხს. ვცდილობ, მოკლე იყოს, მაგრამ გასაგები. ამიტომ ბოდიალის გარეშე ვუხსნი ჩემს მდგომარეობას, ვცდილობ, ლოიალური ვიყო, მაგრამ ზომიერად. ფულს უნდა სდიო თურმე. ასე უყვარს ფულს – აი, რომ დასდევენ...

ამ ფილმის ამბავიც ცალკე თემაა. როგორ ჩამიყვანეს თბილისში რამდენჯერმე, ჯერ კიდევ მოსამზადებელ პერიოდში. „საკაიფოდ“ მამუშავეს, მერე გადაღება დაიწყო და მეორე

საქართველოში ევროკავშირის ელჩს იანოშ ჰერმანს გადასცეს საიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მხარდამჭერი, „ახალი მემარჯვენეების“ მიერ ინიციირებული და 17 პოლიტიკური პარტიის მიერ ხელმოწერილი მიმართვა.

ლუქსემბურგში გაიმართა ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის შეხვედრა „გაზპრომის“ ხელმძღვანელ ალექსეი მილერთან.

დღეს რეჟისორმა როლიდან დამითხოვა და სხვა აიყვანა. მიხვდა, რომ მის ფილმს ის სხვა უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მე. ასეთი რამეები ხდება, ეს არაა მთავარი პრობლემა. ეს შეიძლება დაგავიწყდეს და გაატარო, მაგრამ აი, ფულს და გაფორმებულ ხელშეკრულებას ვერ დაივიწყებ...

ველით ფულს, ფულს ველით. ველით ფულს, ფულს ველით, ველით ფულს... როგორ უყვარს, რომ გალოდინებს! და ისიც უყვარს, რომ დასდევ. ავდივარ ბანკში და ვიწყებ თვლას. ვცდილობ, არსებულ ბიუჯეტს და რეალობას თვალებში ჩავხედო ისე, რომ არ დავახამხამო. ველოდებით ფულს...

ერთი ამბავი გამახსენდა. ვენეციის ბიენალეზე, თუ არ ვცდები, 70-იანებში, ერთი ხელოვანი დაპატიჟეს. მისი პროექტი ასეთი იყო: ის რუმინეთის მიყრუებული სოფლიდან ვენეციაში მიდიოდა ფეხით და ჩასვლამდე, გზადაგზა, საფოსტო ბარათებს, ანუ პრეინტერნეტული ეპოქის მესიჯებს გზავნიდა. საბოლოოდ ეს ღია ბარათები პავილიონში იფინებოდა და ფასდებოდა ხელოვანის მიერ ფეხით გავლილი გზა – რამდენიმე ათასი კილომეტრი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამ კაცმა პრიზი აიღო და მაშინვე ამხილეს იმაში, რომ ვენეციაში ფეხით კი არ ჩასულა, არამედ მის მიერ დაწერილ ღია ბარათებს დაქირავებული პირები გზავნიდნენ, ის კი ამასობაში ჰონორარს მიუნხენის ბარებსა და რესტორნებში „აბანდებდა“... როგორც კი ამხილეს, ჯილდოც ჩამოართვეს და რუმინეთში გაუშვეს – ამჯერად ავტობუსით.

9 ოთხშაბათი

ისეთი დღეა, სახლიდან რომ არ გახვალ. ზიხარ, წევხარ, დაბოდიალებ სახლში ნახევრად ჩაცმული. დღის უმეტეს ნაწილს დუმილში, ანუ აქტიურ ფიქრში ვატარებ. ვფიქრობ ყველაფერზე ერთდროულად. მინდა, რომ არაფერზე ვიფიქრო. უბრალოდ, ვუყურო რაღაც კონკრეტულს და ვიფიქრო მხოლოდ ამ კონკრეტულ რამეზე. მუშაობის დროს ეს გამომდის, ყოველდღიურობაში – არა. ჩვევები მასწრებენ და იმ ჩემს მეორე ხმას, კონცენტრაციისა და მედიტაციისკენ რომ მომიწოდებს, არაფრად ვაგდებ, ხელიდან ვუსხლტები, როგორც უზნეო ბავშვი. „რასაც მინდა, იმას ვიზამ“ – თითქოს ასე ვეუბნები.

მახარე სკოლაშია და შემიძლია, ისევ ძილს მივეცე. ასეც ვიქცევი: ბალიშთან მივდივარ და ვეხუტები. არ მეძინება, ახლა უფრო მეტ რამეზე ვფიქრობ. დაწოლილ ფიქრს ისევ მოარული სჯობია. ვდგები და ვაგრძელებ ბოდიალს. დღეს ტელეფონს არ ვიღებთ, ასე გადაწყდა. ამიტომ ყველა ტელეფონი სხვა ოთახში გამაქვს და კარს საფუძვლიანად ვკეტავ. ვერ ვისვენებ. ჯერ კიდევ არ ვიცი, როდის მომიწევს თბილისში წასვლა. ამასობაში 10 რიცხვი მოახლოვდა, ისე, რომ ჯერ კიდევ არ გარკვეულა ჩემი წასვლის ამბავი. არადა, ბევრი დაუმთავრებელი საქმე, რაც თბილისში დავტოვე, მინდა წინ წავწიო. ამიტომ იქ უნდა ვიყო და აქ რატომ ვარ, ვერ ვხვდები.

მთავარ პროკურატურაში მოწმის სტატუსით დაკითხეს შეწყალების კომისიის ყოფილი და მოქმედი თავმჯდომარეები ალექსანდრე ელისაშვილი და ზვიად ქორიძე.

ჟენევაში გაიმართა უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო დისკუსიის 34-ე რაუნდი.

გარდაბნის პირდაპირი წესით არჩეული გამგებლის, გელა ნიორაძის გარდაცვალების გამო პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გამოსცა განკარგულება 28 იანვარს გარდაბანში რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შესახებ.

ქუჩიდან ხმამაღალი გერმანული ლაპარაკი მესმის, ფანჯრიდან ვიყურები. აღარ წვიმს.

ახალგაღვიძებულზე სიგარეტის მოწევა დეკადენტური საქციელია. სხვას რომ ექნა, შენიშვნას მივცემდი, მაგრამ მე ჩემს თავს შენიშვნებს არ ვაძლევ და არც რაიმე კანონებს ვუწესებ ჯანსაღი ცხოვრების სტილის სფეროში. დღიურის წერა უნდა გავაგრძელო... ჯერ მოვწევ, ფლიზ, რა! ხომ არ შევიდე ფეისბუკში და ვიბირჟაო იქ ნაცნობებთან ერთად, ვალაიკო მათი პოსტები ან უცნობებს შეველაზღანდარო? ამასობაში რამდენიმე საათი გავა.

ფეისბუკი უნდა გავაუქმო! სულ ვამბობ და არ ვასრულებ. არა – ფეისბუკს! მუსიკას ვრთავ და ჩარლი ჰეიდენის ორი ალბომი ერთმანეთზე მიბმული გამეორების რეჟიმში იწყება. ჩარლი ჰეიდენი და გონსალო რუბალკაბა და მერე ჩარლი ჰეიდენი და ჯიმი ჰოლი – ერთგან ბასი და ფორტეპიანო და მეორეგან ბასი და გიტარა. ცხონებაა ეს ბასი, თითქოს გულისცემაა. როგორ შეუძლია ასე დაუკრას, ინსტრუმენტს მისცეს თავისი სულის ნაწილი და გააცოცხლოს კონტრაბასი? ეს გონსალო რუბალკაბა კიდევ ლირიკოსია, ამბებს ჰყვება ბგერებით და პირდაპირ გულში „გარტყამს“. გგონია, რომ ცოტაც და, აქვითინდები. სპაზმი გაწვება ყელში და იქვე მოდის შვება, გეგონება, უცებ, უნებლიეთ გული გადაგეხსნა, შემდეგი ბგერა და, აკორდი უკვე განუგეშებს და სევდა, სითბო, სიახლოვე... ყველაფერი ერთადაა შენში და შენ გარშემო. მერე ისევ ჰეიდენის სოლო. ეს უკვე ექსტაზია, ცეკვა მოგინდება! ხომ არ ავყვე?

ორი კვირის წინ, ვენაში რომ დავბრუნდით ხუთი კვირის არყოფნის შემდეგ, სახლი ისეთ მდგომარეობაში დამხვდა, მაშინაც ტირილი მომინდა და თან ხმამაღალი გინება. ჩემს ერთ მეგობარს დავუტოვე გასაღები, რომ მცენარეებისთვის წყალი დაესხა. მცენარეები უკვე სიკვდილის პირას დამხვდა და მაცივარი – მკვდარი. სარეცხის მანქანაც კაპუტ... იმ მეგობარს ერთი გოგო შეუყვარდა და მას გაჰყვა თან. ჩემი ბინის გასაღები კი საფოსტო ყუთში ჩააგდო წერილობითი ბოდიშით: „შეყვარებული ვარ, ესპანეთში მივყვები ნაშას...“ რა მაგარია, გილოცავ! მეორე დღესვე დამლაგებელმა საუკუნის ხეხვა მოაწყო ჩვენს სახლში და ერთადერთი, რაც ვერ გააკეთა, სარეცხი მანქანაა. მაგას ეშველება...

ხუთშაბათი

დილით მირეკავს ჩემი აგენტი დანიელა. ეს კარგი ნიშანია. დღის ბოლოს თუ მირეკავს ხოლმე, ეს „ისე რას“ ნიშნავს. ახალი ცხელი ინფორმაცია ყოველთვის დილით ზიარდება. დიდხანს ვლაპარაკობთ საქმეებზე, მომავლის გეგმებზე, ყველაფერზე. ის არის ჩემი, ასე ვთქვათ, „პატრონი“ და მალე ოცი წელი გახდება, რაც მისი კლიენტი ვარ. ის არის ჩემი ოფიციალური წარმომადგენელი და მართავს დაგეგმვას, ფინან-

თბილისმა მოსკოვი დაადანაშაულა შიდა ქართლში 9 და 10 დეკემბერს მომხდარ ფაქტში, როდესაც რუსეთის ვერტმფრენებმა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებული საჰაერო სივრცე დაარღვიეს.

პარლამენტმა მიიღო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ მი-

ერ მომზადებული მიმართვა, რომლითაც ევროკავშირის სტრუქტურებს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ შენგენის ზონაში საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მინიჭებას.

შსს-მ დაიწყო გამოძიება დედოფლისწყაროში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ნაციონალური მოძრაობის ოფისის დაცხრილვის ფაქტზე.

საქართველოში აღინიშნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე.

სურ მხარეს, კოორდინაციას, პრესასთან ურთიერთობას და ყველაფერს, რაც მე მეხება. მე ვარ შემსრულებელი, ის არის ორგანიზატორი. ერთად მუშაობის სტაჟი უკვე იმოდენაა, ბუნებრივია, ერთმანეთს ოჯახის წევრებივით ველაპარაკებით. მომდის ახალი პროექტის სცენარი, იანვარში რომ უნდა გავაგრძელო. პილოტი ახლახან გადავიღეთ, ამ ჩემი პერსონაჟის ამბავი როგორ ვითარდება შემდეგ სერიებში, ამას რეჟისორის ასისტენტი ბერლინიდან სკაიპით მიყვება და მიგზავნის დიალოგების სულ ბოლო ვარიანტს. ვკითხულობ და მომწონს. მართლა კარგადაა დაწერილი, მსახიობისთვის კი კარგად დაწერილი სცენა და დიალოგი არის... რას შევადარო? აი, თითქოს ზურგზე წევხარ და ისე მიცურავ.

ვურეკავ რეზოს, რომ გავიგო, გაირკვა თუ არა, როდის დანიშნეს გადაღების დღე თბილისში. ერთმანეთის ხმა რომ გვესმის, ორივე კარგ გუნებაზე ვდგებით. ახლა ყველაფერს დავაზუსტებ და არაუგვიანეს ხვალისა მოგწერო. ესე იგი, ხვალ მეცოდინება. უკვე კარგია.

შობა ახლოვდება, აქ კი 12 გრადუსი სითბოა და უღრუბლო ცა. ოთახში დიდი, ჯიშიანი ბუზი გაჩნდა. ხმაურობს და ყველაფერს ეხეთქება. დევნა მეზარება და მინდა, რომ ჩაეძინოს სადმე, ან, უბრალოდ, თავისით მოკვდეს. პარალელურად მომდის კითხვარი ერთი ქართული ჟურნალიდან. ასეთი შეკითხვებია: „რა გჭირდებათ ბედნიერებისთვის?“ ან „ვინაა თქვენი საყვარელი მწერალი?“ ამას არა უშავს. „რა არის სიყვარული?“ კარგი, რა! „რას ნიშნავს, იყო თავისუფალი?“ ამ ბოლო კითხვაზე პასუხი მომენტალურად იბადება და ვწერ: „თავისუფალი იყო, ნიშნავს, რომ მართლა გეკიდოს, ვინ რას ფიქრობს შენზე. ჰო, მგონი, მართლა ეგრეა, მგონი, მოვარტყი. „მეოცნებე ხართ?“ „უთხარით მათ, რომ მეოცნებე ვარ“ – ჯონ ლენონმა ჩემ მაგივრად თქვა...

მეგობრობის დღიურს რომ ავსებ და რომ არ გინდა, ის გამახსენდა. ეს დღიურები სკოლაში ყოველთვის მეგოიმებოდა. ისე, ახლა ხელში რომ ჩამივარდეს მე-7 ან მე-8 კლასში შევსებული მეგობრობის დღიურები, დღევანდელი პერსპექტივიდან ხელოვნების ნიმუშად მომეჩვენებოდა. კადრივით გაიელვა პირველი სკოლის ფიზიკის აუდიტორიაში კლასელი გოგოების აღტაცებულმა სახეებმა, როგორ აკითხებდნენ ერთმანეთს, რა ჩაუწერეს ბიჭებმა.

ჩემი „ბიზნესსაათები“ დღევანდელი დღისთვის მორჩა. ახლა 1-დან 2-მდე შესვენება და არჩევანი: ან ორამდე სახლში დავრჩე და ლექსებზე და „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგზე ვიმუშაო, ანუ ხმამაღლა ვიკითხო და დავხვეწო (შორეულ გეგმაში მაქვს „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანად წაკითხვა, როგორც მარათონის, და ამ საჯარო კითხვისთვის ნელ-ნელა ვემზადები; თან ეს ხმამაღლა კითხვა შემოქმედებით ტრანსში მაგდებს. ძალიან კარგი მდგომარეობაა!), ან, მეორე ვარიანტია: ვისარგებლო ამინდით, შევახტე ველოსიპედს, რომელსაც ნი-

ნუკა ჩემს ცხენს ეძახის, და ერთი საათი, როგორც ის იტყოდა, „ვაჭენო“. ამასობაში მახარე სკოლიდან დაბრუნდება და 5 საათზე საპარიკმახეროში მივდივართ. ვდგები. ნახევარი საათი „ვეფხისტყაოსანს“ ეთმობა, მეორე ნახევარი საათი – ველოსიპედს. საღამოს ჩემს ორ მეგობარს ვხვდები ბარში, სახელად „დონაუ“. ეს ბარი მარიაჰილფერშტრასეს კუთხეში, ალბათ, ერთადერთი ადგილია ვენაში, სადაც ერთგულად დავდივარ ოცი წლის მანძილზე. შეიძლება, ცოტა დავლიო. ვნახოთ...

პარასკევი

11

დღიურის წერა გახდა ჩემი მთავარი საქმიანობა ამ ერთი კვირის განმავლობაში. ვინ იფიქრებდა? ლელის მესიჯი მომდის თბილისიდან: „20 დეკემბერს ვიღებთ სასამართლოს სცენას, ბილეთი რომელი რიცხვისთვის აგიღოთ?“ „18-ში მაშინ“. ვპასუხობ მე. ერთ კვირაში იქ ვიქნები, მაგარია!

ყველაფერი ნელ-ნელა ლაგდება. დღეს საავადმყოფოშიც უნდა მოვასწროთ წასვლა. მანანა ორი დღეა, აღარ გვინახავს მე და მახარეს. მახარე სკოლიდან ადრე ბრუნდება და, საავადმყოფოს რომ ვუხსენებ, ჯერ არ მომყვება, საქმეები მაქვსო, და მერე თვითონვე ამბობს, წამოვალო. მომყვება. გზაში მელაპარაკება მესამე მსოფლიო ომზე, დღევანდელ სიტუაციაზე, მთელ ჩვენს პლანეტაზე, „ისლამურ სახელმწიფოზე“, რუსეთზე, ამერიკაზე, ტერორზე, ომზე, ეკოლოგიაზე... რამდენი რამ იცის და როგორ მსჯელობს... ვხვდები, რომ მასთან შედარებით არაკომპეტენტური ვარ და ცოტა დარცხვენით ვუსმენ. ამ 12 წლის კაცმა შესაშური სიზუსტით იცის, რას ამბობს.

საავადმყოფოში ნანა გახარებული გვხვდება. მის გარშემო რამდენიმე ქალი დგას (პალატაში მეზობელი პაციენტის შვილები და შვილიშვილები), დღეს და ღამეს ათენებენ საავადმყოფოში ეს ქალები და თავიანთი დედისა და ბებიის ხელი უჭირავთ. მეტით ვერაფრით შველიან ამ კრიტიკულ სიტუაციაში. ნანა გაკვირვებულია – რა უცნაურია, რატომ ამბობენ, დასავლეთში ოჯახს არ აფასებენო? მე ამაყი ვარ და მიხარია, რომ ევროპას ქულა დაეწერა და შეაქეს. მანანა დღეს უფრო დაღლილი მეჩვენება. მომვლელი მეუბნება, რომ პროგრესი ნელა მიდის, მაგრამ მიდის. ამასობაში უნდა წავიდეთ. ნინუკას გავუარეთ, იქვე ცხოვრობს. ნამცხვარი დაგვახვედრა და ყველანი თან ვილუკმებით, თან ჩქარ-ჩქარა და ბევრს ვლაპარაკობთ, იმიტომ რომ ერთ საათში ისიც საქმეზე უნდა წავიდეს და ჩვენც. ნინუკაც ჩემსავით პოსტკომუნისტური ხანის ეგზისტენციალისტია და გარკვეულად უფრო უარესი ნონკონფორმისტიც, იმიტომ რომ ჩემი შემდეგი თაობაა, ანუ 90-იანებში ბავშვი იყო. ჩვენი დიალოგები სახელმძღვანელოებსაც დაამშვენებდა და პირდაპირ ეთერსაც... ჯერ სადა ხარ?! ნინუკა კარლსპლაცამდე გვაცილებს და იქ ვემშვიდობებით ერთმანეთს. საშობაო დეკორაცია და განათება ისეთი განზომილებისაა, რომ თვალს გვჭრის და, თუმცა ღამეა, ვნა-

არარსებული ტერაქტის მომზადების აღიარების მიზნით ადამიანის წამების საქმეზე პროკურატურამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა თავდაცვისა და შს სამინისტროების ყოფილი მაღალჩინოსნები: დავით ახალაია, გიორგი კალანდაძე, მეგის ქარდავა, რომან შამათავა და ბრალდებულის სტატუსით დააკავა პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გიორგი სამუშია.

გიორგი მარგველაშვილი აშხაბადში შეხვდა თურქმენეთის, ყირგიზეთისა და მოლდავეთის პრეზიდენტებს გურბანგული ბერდიმუხამედოვს, ალმაზბეკ ატამბაევსა და ნიკოლაე ტიმოფტის.

პარლამენტმა დაამტკიცა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

ნობთ, რომ არც ერთს მზის სათვალე თან არ გვაქვს. გზაში მახარე ალექსანდრეს ახალმიღებულ ფოტოებს აკვირდება. იანვარში არდადეგებზე თბილისში უნდა წავიდე, რომ ვნახოო, მეუბნება. წავალთ-მეთქი, მეც ვპასუხობ...

შინ ვბრუნდებით. მაიას გამოგზავნილ ვიდეოს ვხსნი, სადაც ალექსანდრეს სძინავს. მის სუნთქვას ვუსმენ დიდხანს. მაია იქვე ლინკს აგდებს: გურული იავნანა. ვაჭერ თითს, იწყება. პირველად მესმის ეს შესრულება, ქალები მღერიან ძალიან შინაურულად...

12 შაბათი

გიორგი მარგველაშვილი აშხაბადში სიტყვით გამოვიდა თურქმენეთის ნეიტრალიტეტის მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე და შეხვდა თურქეთისა და ავღანეთის პრეზიდენტებს რეჯეპ ტაიპ ერდოანსა და აშრაფ ღანის.

თბილისის მერიასთან გაიმართა საპროტესტო აქცია ყოფილ „აკადემქალაქში“ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის წინააღმდეგ.

რაგბის კავშირის პრეზიდენტობის მსურველთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ 20 დეკემბრისთვის დაგეგმილ არჩევნებში კენჭს იყრიან მოქმედი პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე და ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე.

დღიურები

დღეს ყოფილა ბოლო დღე დღიურების ჩასაწერად. გაუგებრობა მოხდა და რადიო თავისუფლების რედაქცია თურმე დღეს მელოდება, რომ ეს ყველაფერი ჩავწეროთ. მე ვენაში ვარ, როგორ უნდა ჩავწერო?! სანამ მიკავშირდებიან, რამდენიმე საათი გადის: ტელეფონი პალტოს ჯიბეში ჩამრჩა, ისიც – ხმაგამორთული! რაღაც დროის შემდეგ ტელეფონს რომ ვიღებ ჯიბიდან, 12 გამოტოვებული ზარი მხვდება თბილისიდან. აუ, რა სირცხვილია! ეგრევე ვგზავნი მესიჯს, რომ ცოცხალი ვარ და რამეს მოვიფიქრებთ. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მარინა მირეკავს და ვთანხმდებით, რომ მე ჩავწერ ჩემს აიპოდზე მხოლოდ აუდიოს და, თბილისში რომ ვიქნები მომავალ კვირას, უკვე ჩავწერთ, როგორც წესი და რიგია, რადიო თავისუფლების სტუდიაში.

დღეს მუზა გამექცა, დამტოვა... არა უშავს, იმისთვისაც მადლობა, რომ ეს დღეები არ მტოვებდა და ღამეებს ჩემთან და ჩემი ლეპტოპის კლავიატურასთან ატარებდა.

ნანა მოვიდა დღეს ჩვენთან და მანანას ამბებს გვიყვება. საავადმყოფოში ყველა პალატის კარები გაუღიათ და მთელი სამედიცინო პერსონალი პაციენტებს თურმე საშობაო სიმღერებს უმღეროდა. ისე კარგად მღეროდნენ, მეგონა, მომღერლების გუნდი მოიყვანეს, არადა, საავადმყოფოს თანამშრომლები ყოფილანო, ამბობს და თვალები უბრწყინდება. ექიმები პაციენტებს უმღერიან! რა მაგარია ნანა! აი, ხომ ხედავ, არაა ისეთი საშინელი ეს ევროპა, როგორც საქართველოში ჰგონია ზოგს. მიხარია, რომ ნანა აქ არის და დღეს ჩემს თავზე ვიღებ ვახშმის მომზადებას. ნანა მჭადს აცხობს. თან ვფიქრობ, როგორ ჩამთავრდა დღიური და ეს ერთი კვირა, და რა კარგია, რომ იმ დღეს რადიო თავისუფლების ოფისში მომეჩვენა, რომ შევძლებდი დღიურის დაწერას, და რა კარგია, რომ არ ვუთხარი უარი. ახლა ტექნიკურ საკითხს უნდა მივხედო და მალე ამ ყველაფრის ჩაწერა დავიწყო. ეს ღამეც უძილო იქნება, მე მგონი. ნახვამდის, დღიურო, მუზავ და ჩემი ლეპტოპის კლავიატურავ!..

ლია უკლება

მხატვარი. დაიბადა 1974 წელს 25 ივლისს თერჯოლაში. დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი. მუშაობდა თერჯოლის რაიონის სოფელ ეწერის საჯარო სკოლაში, ქუთაისის რადიო „ძველი ქალაქის“ სარეკლამო სამსახურში. არის თვითნასწავლი მხატვარი, მიღებული აქვს მონაწილეობა ჯგუფურ გამოფენებში საქართველოსა და უცხოეთში. მოწყობილი აქვს რამდენიმე პერსონალური გამოფენა ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში. მუშაობს ქალთა უფლებების თემაზე, არის ფემინისტი. საქართველოს რამდენიმე ქალაქში მოაწყო „სტრიტარტი“ ქალთა უფლებების დაცვის თემაზე. სახელოსნო „პრაქსის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. კატო მიქელაძის სახელობის პრემიის 2015 წლის ლაურეატი.

კვირა

ბათუმში ვარ, სასტუმრო „ჰილტონში“. ულამაზესი ხედია უზარმაზარი ფანჯრის მიღმა! უცნაურად გათენდა, ნაცრისფრად, და უცებ მოულოდნელად წამოგვადგა მზე – გამოხტა და მთელი ოთახი გააბრწყინა.

წუხანდელ ამბებს ვალაგებ. კატო მიქელაძის პრემია მომანიჭეს. „მომანიჭეს“ – რა ხმამაღალი სიტყვაა!.. მარინა თაბუკაშვილმა დაიჭირა ხელში კონვერტი და უცებ ყველა კამერა ჩემკენ მობრუნდა. მივხვდი გამოცხადებამდე, კამერებმა „ჩაუშვეს“! გამიხარდა და მეუხერხულა. ნეტა რა ვილაპარაკე? ნახევარი არ მახსოვს და აღთქმა დავდე, რომ ჩანაწერსაც არასდროს მოვუსმენ. გოგოებმა აიღეს იქაურობა: ტაშს უკრავდნენ, მილოცავდნენ, მგონი, სცენიდან ხელიც დავუქნიე.

მიუხედავად იმისა, რომ ამბიციური ბავშვი ვიყავი, აზრადაც არასდროს მომსვლია, რომ რაიმეს ლაურეატი გავხდებოდი.

საუზმის შემდეგ ზღვაზე გავედით მე და ლელა. როგორც ყოველთვის, დიდებული იყო ზღვა: მომწვანო-მოლურჯო და მშვიდი-მშვიდი. ზაფხულობით, ასე მგონია, ვერ იტანს ამდენ ხალხს, შფოთავს ხოლმე, ახლა გატრუნული იყო. გატრუნული იქნებოდაო, ზვიად რატიანმა მითხრა დღეს.

დაქანცული ჩამოვედი ქუთაისში. ანი კალმახელიძე გიჟივით მოვარდა, ჩამეხუტა და, ჩქარა, წავიდეთ, სადმე ყავა დავლიოთო. არ შემიძლია, ანი, მალე წყალი მოვა, ბევრი საქმე მაქვსმეთქი, ვეუბნები ნაღვლიანად. ერეკლემ, წადი, დედი, მე მივ-

„აბრეშუმის გზის“ გავლით ჩინეთიდან თბილისის რკინიგზის სადგურში შემოვიდა თურქეთისთვის განკუთვნილი პირველი ტრანზიტული სატვირთო მატარებელი.

საყდრისის საბადოს აფეთქებიდან ერთი წლის თავზე „საყდრისის გადარჩენის კომიტეტმა“ განაცხადა, რომ „თავდაუზოგავი ბრძოლის მიუხედავად“, ძეგლის გადარჩენა ვერ შეძლო.

საქართველოს რაგბის კავშირმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ პრეზიდენტის არჩევნების წინ ზოგიერთი „თანამდებობრივად გავლენიანი გულშემატკივრისა“ და სხვა გარეშე პირების მხრიდან შეიმჩნევა სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ გავლენის გამოყენების მცდელობა.

ხედავ ყველაფერსო და ძალით გამაგდო. ანი ატირდა, გული აუჩუყდა: ერეკლე რა კარგი ბიჭიაო. მეც ვთვლი, რომ კარგი ბიჭია ერეკლე – კეთილი, გონიერი.

14 ორშაბათი

ვტირი გამუდმებით. გეგონება, ცრემლები ღილაკზე მაქვს: დავაჭერ და იღვრება. დღეს კი არა, ბოლო რამდენიმე კვირაა, სულ ასე ვარ. დაძაბულობის ბრალია. იმდენი სიგიჟე მოხდა ბოლო ორი თვის მანძილზე, მიკვირს, ადეკვატური რომ ვარ. ვარ კი?

ნებისმიერი ემოცია ერთნაირად მანგრევს: კარგი, ცუდი – მნიშვნელობა არა აქვს...

მერიიდან თანხმობა მომივიდა და, როგორც იქნა, უფლება მაქვს, ვხატო. ქალთა ფონდმა დამიფინანსა პროექტი, „სტრიტ არტს“ ვაკეთებ ქუთაისსა და წყალტუბოში ქალთა უფლებების თემაზე. მიხარია, რადიო „ძველ ქალაქთან“ ახლოსაა, საღებავებსაც იქვე შევინახავ და ყავა და ჩაიც მექნება. ცივა, მაგრამ კარგად ვარ. ვინც იცის, რას ნიშნავს საყვარელი საქმის კეთება, დამიჯერებს. დიდი სიამოვნებაა, თუნდაც სიცივეში, თუნდაც არაკომფორტულ გარემოში აკეთო ის, რაც გიყვარს და აკეთო, როგორც შეგიძლია კი არა, ისე, როგორც არ შეგიძლია. ხვალ წვიმაა გამოცხადებული. იმედია, დღეს რაც ვაკეთე, ხვალ ჩამორეცხილი არ დამხვდება. გიჟი ხარო, მეგობრებმა, რაღა ამ შუა ზამთარში გამოიგონე ქუჩაში ხატვაო?! ცოტათი მართლები არიან...

15 სამშაბათი

წვიმის ხმა მაღვიძებს და პირველი, რაც მახსენდება: ვაიმე, ნახატი! არ გაფუჭდებოდა, მოასწრებდა გაშრობას? „კაი, რას დარდობ? თუ გაფუჭდა, თავიდან გააკეთებ!“ – ავტოტრენინგს ვუტარებ თავს. პირველ საათზე რეგიონალურ ტელევიზიაში, „მეგა ტივიში“ ვარ სტუმრად. ოღონდ ტელევიზიაში ნუ მიმიყვან, ოღონდ ჩაწერა ნუ იქნება!.. მაგრამ „აუტანელმა“ გოგოებმა ნამუსზე შემაგდეს.

საშინელი ამინდია. მეუღლე დავითანხმე, რომ ტელევიზიაში გამიყვანს და მერე წყალტუბოს მერს უნდა შევხვდე. იქაც „სტრიტ არტის“ ამბები მაქვს შესათანხმებელი.

მანქანის ტარებას არ ვსწავლობ, მეზიზღება მანქანა. ბავშვობაში სულ ვოცნებობდი, მამას მანქანა გაჰფუჭებოდა და ფეხით წავსულიყავით სტუმრად. მანქანაში იზოლირებულად ვგრძნობ თავს, არადა, მრავალფეროვნება მიყვარს, ხალხმრავლობა. როცა თბილისში ვარ, სულ მეტროთი დავდივარ. ვჯდები და ვუყურებ მგზავრებს და ხანდახან მათ მაგივრად ვფიქრობ. როცა აუცილებლად მჭირდება, ან ქმარს, ან მეგობრებს, ან ტაქსის მოვიშველიებ ხოლმე, უმეტესად კი მაინც ფეხით დავდივარ.

მოკლედ, მოვიარე ტელევიზია და წყალტუბოში გავქანდით. გამგებლის მოადგილე ძალიან თბილად შეგვხვდა და დამპირდა,

ევროკომისიამ განაცხადა, რომ გადადო საავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისთვის საქართველოსა და უკრაინის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ამსახველი ანგარიშების გამოქვეყნება, რაც 15 დეკემბრისთვის იყო დაგეგმილი.

შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ალექსანდრე ელისაშვილმა განაცხადა, რომ პროკურატურის გამომძიებლებს წარუდგინა თავისი მობილური ტელეფონი, რომელშიც შენახულია კონკრეტული მაღალჩინოსნების მიერ კონკრეტული პატიმრების შეწყალების მოთხოვნის ამსახველი მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

მთის განვითარების ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა ნუსხა იმ 1600 დასახლებული პუნქტისა, რომლებზედაც გავრცელდება მთის ახალი კანონით დადგენილი შეღავათები.

მთავრობამ განმარტა, რომ ევროკავშირთან საავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ ევროკომისიის ანგარიშის გამოქვეყნების გადადების ტექნიკური მიზეზი არ უკავშირდება საქართველოს.

პროკურორმა კოკა კაციტაძემ განაცხადა, რომ შეწყალების კომისიის ყოფილი ხელმძღვანელის ალექსანდრე ელისაშვილის მიერ გამომძიებლისთვის გადაცემულ მობილურ ტელეფონში არ აღმოჩნდა მის მიერვე დასახელებული მაღალჩინოსნების მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს შესახებ.

რაგბის კავშირის პრეზიდენტად კენჭისყრაზე უარი თქვა ორივე კანდიდატმა – ირაკლი აბუსერიძემ და გიორგი ნიჟარაძემ.

რომ მომავალ კვირაში გამომიძებნიან კარგ კედელს – ადგილს, სადაც მუშაობას შევძლებ. მოვდივარ ქუთაისში ერთადერთი სადარდებლით: ჩამორეცხა თუ არა ნახატი წვიმამ. გადავრჩი – სულ ცოტათი დაზიანებული დამხვდა. ხვალ კარგი ამინდია გამოცხადებული. იქნებ ახალ წლამდე დავასრულო და მერე დავისვენებ ცოტას.

ოთხშაბათი

16

დღეს სკოლის დღეა – კინოსკოლის პროექტში ვარ ჩართული. კვირაში ერთ დღეს კინოჩვენებას და დისკუსიებს ვაწყობთ. ორი სკოლა მაქვს: ერთი ქუთაისში, ერთიც – თერჯოლაში. უყვართ ბავშვებს ფილმის ყურება და დისკუსია. სასიამოვნოდ მაოცებენ, ისეთ დეტალებს აქცევენ ყურადღებას და ისე თავისუფლად გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს. ჩემი შვილიც ესწრება. სახლშიც ხშირად ვუყურებთ ერთად ფილმებს.

საპატრიარქოს განცხადების შემდეგ, როცა ქვეყნის შეურაცხმყოფლად გამომაცხადეს, ერეკლეს სკოლაში წასვლის ეშინოდა. არ იცოდა, როგორ მიიღებდნენ ამას მისი თანაკლასელები, მასწავლებლები. საღამოს გახარებული დაბრუნდა შინ: სოფო მასწავლებელმა მთელი გაკვეთილი ამ თემას დაუთმო და დაგვაწერინა ჩვენი შეხედულება ამ ფაქტთან დაკავშირებითო. გული ამიჩუყდა. სოფო ხვადაგიანი ქართულს ასწავლის ერეკლეს. მან არათუ აარიდა ბავშვი ნერვიულობას, არამედ ტაბუ ახსნა თემას და მოსწავლეებსაც დაუტოვა უფლება, საკუთარი აზრი გამოეთქვათ.

სკოლის მერე ისევ ნახატთან გავიქეცი. ძალიან ციოდა და ერთ საათზე მეტხანს ვერ ვიმუშავე, თუმცა რაღაც სახე უკვე მიიღო. ზუსტად ისეთი გამოდის, როგორიც მინდოდა. ლელა ვახშამზე მეპატიჟება სახლში. უყოყმანოდ ვთანხმდები.

ხუთშაბათი

17

დღესაც სკოლაში მივდივარ, ახლა უკვე თერჯოლაში. ხვალ უნდა წავსულიყავი, მაგრამ ბიოლის ფონდის დაბადების დღეზე ვარ თბილისში დაპატიჟებული, თან იტალიიდან კატალოგი ჩამოვიდა და ის უნდა წამოვიღო. პირველი კატალოგია ჩემთვის და მიხარია.

უამრავი საქმე მაქვს. მეილებზე მზა სარეკლამო რგოლებს ვუგზავნი რადიოს დამკვეთ კომპანიებს, პარალელურად სადილს ვამზადებ, ტილოზე დაწყებულ ნახატს ფონს ვუკეთებ. შინაგანად ვშფოთავ. გარეგნულად მშვიდი ვარ თითქოს, მაგრამ შიგნით ყველაფერი ტრიალებს, დაქრის, გეგონება, სადღაც ელვის სისწრაფით მივქრი.

დავიღალე... კატო მიქელაძის პრემიასთან ერთად ფონდ-

დეკემბერი

ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფების შეხვედრის შემდეგ ოსური მხარის წარმომადგენელმა დავით სანაკოევმა განაცხადა, რომ პანკისის ხეობაში იმყოფებიან „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერები, რომლებიც ახალი წლის დღეებში თავდასხმებს გეგმავენ სამხრეთ ოსეთში დისლოცირებულ რუს მესაზღვრებზე, ქართველ პოლიციელებსა და ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის წარმომადგენლებზე.

შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ალექსანდრე ელისაშვილმა განმარტა, რომ მაღალჩინოსნების მიერ მისთვის გაგზავნილი შეტყობინებები დაცულია მისი მობილური ტელეფონის მყარ დისკზე, რომელსაც ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს.

პარლამენტმა მხარი დაუჭირა მთავრობის საკანონმდებლო წინადადებას, რომ მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი, ნაცვლად 2015 წლის 31 დეკემბრისა, ამოქმედდეს 2016 წლის 20 თებერვლიდან.

პარლამენტმა საბოლოო, მესამე მოსმენით დაამტკიცა ქორწინების რეგისტრაციის შეცვლილი წესი, რომლის თანახმად არასრულწლოვანთა ქორწინების ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეეძლება.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ განაცხადა, რომ 18 დეკემბერს ევროკომისია გამოაქვეყნებს ანგარიშს საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

ირაკლი ღარიბაშვილმა „სწორი მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად“ შეაფასა პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის განცხადება, რომ რუსეთი მზად არის, საქართველოს მოქალაქეებისთვის გააუქმოს სავიზო რეჟიმი.

სტამბოლში გაიმართა თურქეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრების –

ისმეთ ილმაზის, თინა ხიდაშელისა და ზაქირ ჰასანოვის შეხვედრა.

შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ალექსანდრე ელისაშვილმა პროკურატურას გადასცა კომპანია „მაგთიდან“ მიღებული ამონაწერი, რომელიც, მისივე ინფორმაციით, ადასტურებს პოლიტიკოსებისგან მოკლე ტექსტური შეტყობინებების მიღებას.

ევროკომისიამ საქართველოს მიერ შესრულებულად გამოაცხადა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება და განაცხადა, რომ 2016 წლის დასაწყისში წარმოადგენს საკანონმდებლო წინადადებას ევროკავშირის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 50 ათასი აშშ დოლარის ქრთამის აღების ბრალდებით დააკავა თბილისის კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილე ნანა მაისურაძე.

პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო საარჩევნო კოდექსის ცვლილება, რომელიც პირველი მოსმენის ვარიანტზე მეტად უზრუნველყოფს ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებს შორის ამომრჩეველთა თანაბრობას.

პარლამენტმა საბოლოო, მესამე მოსმენით დაამტკიცა მოწმის დაკითხვის ახალი წესი, რომელიც გამოძიების ეტაპზე სავალდებულო დაკითხვას მხოლოდ სასამართლო კონტროლით ითვალისწინებს.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხში საქართველოს მხარდაჭერისთვის ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა ევროკომისიისა და ევროკავშირის საბჭოს ხელმძღვანელებს: ჟან-კლოდ იუნკერს, დონალდ ტუსკს, ფედერიკა მოგერინისა და იოჰანეს ჰანს.

„ახალი მემარჯვენეების“ რიგგარეშე ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს მამუკა კაციტაძე.

მა ერთკვირიანი საგზურით დამასაჩუქრა – რომელ ქვეყანაშიც მინდა, წავალ. მოულოდნელი იყო და ძალიან სასიხარულო! იტალიაში მინდა, მთელი ცხოვრების ოცნებას ავისრულებ: ჩემი თვალით ვნახავ სიქსტის კაპელას! უკვე ვიცი, რა სასწაული იქნება, თუმცა, ისიც ვიცი: როგორც წარმომიდგენია, იმაზე ასჯერ უფრო დიდ ემოციებს გამოიწვევს.

18 პარასკევი

მე და ანი კალმახელიძე „მარშრუტკაში“ ვართ და სიცილით ვიხოცებით: ვიდეოკლიპებს ვუყურებთ, ქართველი ფანოღის დივა მღერის და ვიღაცები სერიოზული სახეებით ცეკვავენ. მთელი გზა ენა არ გაგვიჩერებია. ჩვენს სატელევიზიო სივრცეში რაც ხდება, ყველაფერი განვიხილეთ და ზოგიერთი შოუს წამყვანი სამშობლოს მოღალატედ შევრაცხეთ. მართლა მგონია, როცა რამეს მხოლოდ იმისთვის აკეთებ, რომ რეიტინგი გქონდეს, ღალატია. ის, რაც ჰომოფობიის, სექსიზმის, სიძულვილის ენის ტირაჟირებას უწყობს ხელს, ღალატია.

კატალოგს ვიღებ და თამთა მელაშვილთან ერთად კაფეში ვჯდები. თამთა პირველად წყალტუბოში ვნახე, გამოფენაზე. ნახატებს ათვალიერებდა და უცებ ატირდა. მივხვდი, რომ რაღაც ძალიან შეეხო. მივხვდი, რომ ეს გოგო მგავს. დიდხანს და სასიამოვნოდ ვილაპარაკეთ. როცა სადმე უცხო ადამიანების გარემოში ვხვდები, აღმოვაჩენ ხოლმე, რომ მათგან ვიღაც ჩემიანია. არ ვიცი, ამას რით ვგრძნობ: ბიოენერგეტიკა ემთხვევა თუ ინტუიციაა. ასეა თუ ისე, როცა ეს გოგო გავიცანი, მივხვდი, რომ ჩემიანია.

მწერალთა სახლში მივდივართ. ბევრი ხალხია, უმეტესობა – ნაცნობი. ყველა მილოცავს პრემიას. ისე ძალიან აღარ ვნერვიულობ, მივეჩვიე. მიყვარს ეს ფონდი, მჯერა, რომ კეთილ საქმეებს აკეთებენ. ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს 2015 წლის რჩეული – „ჩარევა სასურველია“, ნანა ბაგალიშვილი გახდა. როგორ შერცხვა, თავდახრილი ლაპარაკობდა, უხერხულად, ვითომ რაღაც დააშავა. მიყვარს ასეთი ხალხი, ჩუმად რომ აკეთებს კეთილ საქმეებს.

19 შაბათი

თვალები ძლივს გავახილე: წუხელ დასალევად წავედით რომელიღაც ულამაზეს კაფეში. ფემინისტები, ყოველგვარი საწინააღმდეგო სქესის გარეშე. დავლიეთ, ვიცინეთ, ვიცეკვეთ. მოკლედ, სასწაულად კარგი დღე იყო!

სამი დღით თბილისში ვარ. აქ მამა მყავს, რომელიც ატირებული ჩამეხუტა და ყველა წარმატება მომილოცა. მა, ზუსტად იქ ხარ, სადაც ყოველთვის გინდოდა ყოფნაო. მართალია, ზუსტად იქ ვარ, სადაც მინდა: მოვლენების ეპიცენტრში, ბრძოლის წინა ხაზზე და აქ დარჩენას დიდხანს ვაპირებ.

მერაბ კილაძე

ექიმი-ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. დაიბადა 1959 წლის 2 ივნისს ჭიათურაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, კლინიკური ორდინატურა ზოგად ქირურგიაში. 2006 წლიდან თსსუ პროფესორია. სხვადასხვა დროს მუშაობდა ჭიათურის ქალაქის საავადმყოფოს ქირურგად, თბილისის I საავადმყოფოს თორაკო-აბდომინური კლინიკის ქირურგად და ამავე კლინიკის ხელმძღვანელად. ამჟამად ხელმძღვანელობს კლინიკა „კარაპს მედლაინის“ ზოგადი და მინიინვაზიური ქირურგიის დეპარტამენტს. არის საქართველოს მცირე ინვაზიურ ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი ქირურგი, მსოფლიოს სხვადასხვა ქირურგიული საზოგადოებისა და ასოციაციის ნამდვილი წევრი. ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და ერთი მონოგრაფია-სახელმძღვანელოს ავტორი. ღირსების ორდენის კავალერი.

კვირა

არასდროს მქონია დღიურების წარმოების პრაქტიკა. ამიტომაც თავიდან ეჭვით შევხედე ამ თემას, მაგრამ შემდეგ ვიფიქრე, რომ, თუ მე ვიქნებოდი გულწრფელი, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემი დღიურები საინტერესო სხვებისთვისაც.

პირველ ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ ერთადერთი კვირადღეა ჩემთვის, როცა ძირითადად ვახერხებ დასვენებას დატვირთული და დაძაბული ექვსდღიანი სამუშაო მარათონის შემდეგ. მიუხედავად ამისა, კვირა დილით მაინც ყოველთვის მივდივარ კლინიკაში დარჩენილი ავადმყოფების სანახავად. დღესაც საუზმის შემდეგ წავედი და ათის ნახევარზე მორიგე ექიმთან ერთად მოვინახულე პაციენტები. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებო პაციენტი გვყავს – 9 წლის ნიკა, რომელსაც ორი დღის წინ გავუკეთეთ ოპერაცია – დაავადებული ელენთის ამოკვეთა ლაპაროსკოპიული მეთოდით. ჩვენი კლინიკა მოზრდილთა ქირურგიული განყოფილებაა, მაგრამ ზოგჯერ, როგორც გამონაკლისი, გვყავს ბავშვთა ასაკის პაციენტებიც. ნიკა გამორჩეულად ზრდილობიანი და ლამაზი ბავშვია. დიდი კაცივით იქცევა და მშობლებსაც იქით ამხნევებს. ძალიან ვინერვიულე მისი ოპერაციის დროს. საკმაოდ რთულ შემთხვევასთან გვქონდა საქმე – ოთხჯერ გადიდებული ელენთა ირგვლივ მდებარე ორგანოებთან შეხორცებული და სისხლძარღვებით დატვირთული იყო, რაც ტექნიკურად

მოსამართლეთა კონფერენციამ მხარდაჭერა გამოუცხადა მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლესა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ლევან მურუსიძეს.

ავღანეთში ვიზიტის წინ თბილისს მცირე ხნით ესტუმრა პოლონეთის თავდაცვის ახალი მინისტრი ანტონი მაჩერევიჩი, რომელიც შეხვდა თავის ქართველ კოლეგას თინა ხიდაშელს.

სიძნელეებს ქმნიდა. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით და შედარებით ნელი ტემპით ვაკეთებდით ოპერაციას, რომელსაც დაგეგმილი საათ-ნახევრის ნაცვლად სამი საათი მოვანდომეთ. დიდი ხანია, არ ვყოფილვარ ასე დაძაბული. ბავშვი უკვე კარგად არის. დღეს ამოვუღეთ მუცლის დრენაჟი და ხვალისათვის ვგეგმავთ მის გაწერას. ნიკას მშობლები ახლა ძალიან ბედნიერები არიან. მახსოვს მათი განცდები ოპერაციის წინ, როგორი დაბნეულები და უძლურები ჩანდნენ.

კლინიკიდან სახლში დღის თორმეტ საათზე დავბრუნდი კმაყოფილი. მცირე ხნით დასვენების შემდეგ, როგორც ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტმა-ქირურგმა, დავიწყე მუშაობა ერთ-ერთ კლინიკაში გარდაცვლილი პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაზე, საექსპერტო ქირურგიული დასკვნის მოსამზადებლად. წინა კვირის სამუშაო დღეებში ამისთვის პრაქტიკულად არ მქონდა დრო. ამიტომ ამ კვირადღეს დასვენება არ გამომდის, აუცილებელია დასკვნა ხვალისთვის მქონდეს მზად სამინისტროში გასაგზავნად. ღამის პირველ საათამდე ვიმუშავე, ძალზე საპასუხისმგებლო საქმეა. ათი წელია, როგორც ექსპერტი-ქირურგი, ამ საქმეს ვაკეთებ მხოლოდ და მხოლოდ ვალდებულება-მოვალეობის გამო. ისე, ნამდვილად არასასიამოვნო პროცედურაა და ზედმეტი დატვირთვაა ჩემთვის. ვატყობ, ძილი გამიტყდა, მაგრამ მაინც ვწვები და ვცდილობ, დროზე დავიძინო, ორშაბათიდან ხომ კვლავ მძიმე სამუშაო კვირა იწყება.

21 ორშაბათი

ცხრა საათზე კლინიკაში ვარ. სწრაფად ვამთავრებ შემოვლას პალატებში ექიმებთან ერთად. პატარა ნიკა დღეს ეწერება. თავს კარგად გრძნობს. ვარიგებთ მის მშობლებს და ვგზავნით თავის მკურნალ ბავშვთა ჰემატოლოგთან ამბულატორიული მეთვალყურეობისთვის. თითქმის სამი წლის გაურკვეველი მდგომარეობის შემდეგ ჩვენმა ჰემატოლოგებმა ნიკას დაუსვეს იშვიათი დიაგნოზი – მიკროსფეროციტოზი, რაც ვლინდება ელენთის პათოლოგიით. ამ დროს ელენთის ამოკვეთა მკურნალობის ერთადერთი ეფექტიანი მეთოდია.

ორშაბათ დილით ბევრი პაციენტი გროვდება ხოლმე კონსულტაციაზე, მაგრამ დღეს შედარებით ნაკლებია. მიღებას მოვრჩი და თერთმეტის ნახევარზე დავიწყე ოპერაციები. სულ ორი ოპერაცია მქონდა დანიშნული. სწრაფად დავამთავრე და შემდეგ გავეშურე თბილისის საკრებულოში, სადაც ორი საათისთვის მიწვეული ვიყავი პრემიერის სამწლიანი ანგარიშის პრეზენტაციაზე. პრემიერის მოხსენება საათ-ნახევარს გაგრძელდა. ძირითადად აქცენტები გაკეთდა მიღწეულ წარმატებებზე, მათ შორის ევროპული ინტეგრაციის კუთხით, რაც უდავოდ იყო. ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ეკონომიკური რეფორმების ან ეკონომიკური პროგრამების თაობაზე, განსაკუთრებულად ახალი არაფერი

ირაკლი ღარიბაშვილმა საზოგადოებას წარუდგინა საქართველოს მთავრობის სამწლიანი საქმიანობის ანგარიში.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში რამდენიმე პირმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პარლამენტის წევრს ნაციონალური მოძრაობიდან ლევან ბეჟაშვილს.

„ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში რეგისტრაციაში გაატარა ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის თანახმად 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტატად ასარჩევად კანდიდატებმა 30%-იანის ნაცვლად 50%-იანი ბარიერი უნდა გადალახონ.

ახალციხის სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა პოლიციელების მკვლელობაში ბრალდებულ შალვა აბულაძეს.

თქმულა. ვფიქრობ, მიზანშეუწონელია 2016 წლისთვის დაგეგმილი სოციალური ხარჯების გაზრდა 3 მილიარდზე მეტ თანხამდე, როცა 2015-ში დაიხარჯა 1 მილიარდ 800 მილიონი ლარი, როცა ქვეყნის ეკონომიკის მხოლოდ 2%-იანი ზრდაა. არადა, ეკონომიკის სტიმულირებასა და გაჯანსაღებას ძალიან დიდი და გადაუდებელი ძალისხმევა სჭირდება. ჩემი აზრით, მინიმუმ 7%-იანი ეკონომიკური ზრდა მაინც აუცილებელია ჩვენნაირი ქვეყნისათვის, რათა მივაღწიოთ გარკვეულ ეკონომიკურ პროგრესს და კიდევ უფრო არ ჩამოვრჩეთ, უფრო მეტად არ დავშორდეთ განვითარებულ ქვეყნებს. ამისთვის ხელისუფლების ყველა შტომ უნდა იფიქროს და იმოქმედოს აქტიურად, გაატაროს სასწრაფო რეფორმები ყველა მიმართულებით. ამ შეხვედრაზე ჩემთვის ყველაზე კარგი და სასიამოვნო იყო ის, რომ ვნახე კოლეგები და მეგობრები: ცნობილი მეან-გინეკოლოგი დავით გაგუა და სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ვადაჭკორია. ზურაბი ნამდვილად წარმატებული რექტორია. ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა სამედიცინო უნივერსიტეტში როგორც სასწავლო ცენტრების თანამედროვე აღჭურვილობით უზრუნველყოფის, ისე სწავლების ორგანიზაციის მხრივ. დავით გაგუასთან წლებია, ვმეგობრობ, მაგრამ იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე მოუცლელობის გამო. ცოტა ვისაუბრე მასთან, რადგან კვლავ არ მაქვს დრო – უნდა წავიდე „ჩაჩავას კლინიკაში“, სადაც მიწვეული ვარ ერთ ოპერაციაზე. ისე, ბოლო ორი თვის განმავლობაში ორჯერ მოვხვდით ერთად სუფრაზე მე და დათო, მაგრამ ორივეჯერ მცირე ხნით მოგვიწია ერთად ყოფნა, რადგან ერთხელ მას დაუძახეს სასწრაფოდ თავის კლინიკაში მშობიარესთან და მეორედ – მე ჩემს კლინიკაში სასწრაფო ოპერაციაზე. ჩვენი არ იყოს, მეან-გინეკოლოგებსაც ცხოვრების უმძიმესი რეჟიმი აქვთ, თავის თავს არ ეკუთვნიან და მუდმივად მზად უნდა იყვნენ პაციენტის დასახმარებლად. საკრებულოდან წავედი „ჩაჩავაში“, ოპერაცია ჩატარდა სწრაფად და წარმატებით. საღამოს შედარებით ადრე მოვედი სახლში, ვივახშმე, ტელევიზორთან გავატარე დაახლოებით ორი საათი და ეს დღეც დამთავრდა.

სამშაბათი

კლინიკაში წავედი ცხრაზე. დღეს დანიშნულია ექვსი ოპერაცია. ერთი პაციენტი განსაკუთრებით უნდა გამოვყო – ახალგაზრდა ქალს აქვს თანმხლები პათოლოგია, თანდაყოლილი ცერებრალური დამბლა. ყველა ოპერაცია წარმატებით გაკეთდა. ასევე წარმატებით ჩატარდა ცერებრალურ-დამბლიანი პაციენტის ოპერაციაც და ზოგადი ნარკოზიც ყოველგვარი გართულების გარეშე წარიმართა, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენს ანესთეზიოლოგსაც. მანამდე კი, როგორც ჩვენ, ექიმები, ისე პაციენტის დედა, დაძაბულები ვიყავით და ვნერვიულობდით. ხშირად ოპერაციებს ვაკე-

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ 23 დეკემბრიდან გამარტივდება საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზის აღების პროცედურა.

შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ალექსანდრე ელისაშვილმა ტელეკომპანია „მაესტროსთან“ ინტერვიუში დაადასტურა, რომ „კოკაინის საქმეზე“ მსჯავრდებულთა შეწყალებით დაინტერესებული იყვნენ მანანა კობახიძე და ეკა ბესელია და მო-

ითხოვა მათთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერება.

გიორგი მარგველაშვილმა თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა (სიკვდილის შემდეგ) სანდრო გირგვლიანის დედა, ირინა ენუქიძე – „ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის, გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და სამოქალაქო თავდადებისათვის“.

თებთ რუტინულად, დიდი დაძაბვის გარეშე, მაგრამ თითქმის ყოველდღე გვყავს ერთი პაციენტი მაინც, რომელიც სომატურად მძიმეა და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ქირურგიაში ზოგჯერ იქაც რთულდება მდგომარეობა, სადაც არ ელოდები, რადგან ყოველთვის არსებობს სხვადასხვა ხარისხის რისკი და დასაშვები გართულებები ნებისმიერი ოპერაციის დროს. მახსენდება, ორი წლის წინ გვყავდა პაციენტი, შუახნის მამაკაცი, რომელსაც რთული ქირურგიული ოპერაცია გავუკეთეთ. ტექნიკურად ყველაფერი ბრწყინვალედ გამოვიდა და დიდი კმაყოფილების შეგრძნება მქონდა, მაგრამ მეოთხე დღიდან ერთიმეორის მიყოლებით განვითარდა ქირურგიული გართულებები – თითქმის ყველა სახის, რაც კი დასაშვები იყო. ავადმყოფის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. განმეორებით დაგვჭირდა კიდევ ორი სასწრაფო ოპერაცია ერთი კვირის განმავლობაში. გადარჩენის შანსი მიზერული იყო, მაგრამ ბოლოს ყველაფერი მოწესრიგდა და თვე-ნახევრის შემდეგ პაციენტი კლინიკიდან გავწერეთ კარგ მდგომარეობაში. ამ ხნის მანძილზე უმეტეს დროს მასთან ვატარებდი. სახლშიც, გვიან მისულს, მეუღლე და დედაც, პირველ ყოვლისა, მის მდგომარეობას მეკითხებოდნენ. დედაჩემი (ახლა ცოცხალი აღარ არის) ყოველდღე აღავლენდა ლოცვებს და ღმერთს ამ პაციენტის გადარჩენას ევედრებოდა. აი, ასეა, ექიმთან ერთად მისი ოჯახიც ხშირად განიცდის უცნობი პაციენტის ბედს. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ექიმის მიმართ ისმის დაუმსახურებელი ლანძღვა-გინება, რაც ჩვენს ქვეყანაში იშვიათი არ არის. თუმცა მაინც მადლიერი პაციენტები ჭარბობენ, რაც უდიდეს სტიმულს აძლევს ექიმს, რათა არ დანებდეს და მეტი შემართებით გააგრძელოს საქმიანობა. პაციენტი, როცა თავის სიცოცხლეს განდობს, ხშირად ყოვლისშემძლედ მიგიჩნევს, ეს კი უკვე ძლიერი ფსიქოლოგიური დატვირთვა და პასუხისმგებლობაა. ამიტომ, თუ ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული და სულიერად ძლიერი პიროვნება არ ხარ, ძნელია გაუძლო იმ დატვირთვას, რომელიც ახლავს ჩვენს პროფესიას. ამისათვის საჭიროა, შეგეძლოს უდიდესი პასუხისმგებლობის შენს თავზე აღება და გქონდეს სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი. მთავარია, შენს თავთან და ღმერთთან იყო მართალი.

დღეს ოპერაციებს 8 საათზე მოვრჩით და ცხრისთვის უკვე სახლისაკენ გავეშურე.

23 ოთხშაბათი

ირაკლი ღარიბაშვილი გადადგა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან, ხოლო პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ახალი მთავრობის ჩამოყალიბებამდე მისი მოვალეობის შესრულება მოქმედ მინისტრთა კაბინეტს დააკისრა.

„დემოკრატიული მოძრაო-

ოთხშაბათი

როგორც გუშინ, დღესაც ექვსი გეგმური ოპერაცია მაქვს დანიშნული, მაგრამ ამ დილით კლინიკაში მოსვლისთანავე მომიყვანეს ოთხი თვის ორსული გოგონა მწვავე აპენდიციტის დიაგნოზით, ანუ დაგვემატა მეშვიდე მწვავე ავადმყოფი. მას ურჩიეს, ორსულობის გამო ჩვენთან გაეკეთებინა ოპერაცია ლაპაროსკოპიული მეთოდით, რადგან ამ დროს გაცილებით

ნაკლებია ოპერაციული ტრავმა და სწრაფად ხდება პაციენტის ფიზიკური და შრომითი რეაბილიტაცია. აქვე უნდა ვთქვა, საერთოდ, ჩვენს კლინიკაში ოპერაციების 80%-ზე მეტს ვაკეთებთ ლაპაროსკოპიულად, დანარჩენს – ღია წესით. დღეს პირველ გეგმურ ოპერაციას ვუკეთებთ ჩვენივე კლინიკის თანამშრომელს – საყლაპავის თიაქრის გამო. ასეთ დროსაც, როცა საქმე შენს თანამშრომელს ეხება, ცოტა მეტად ნერვიულობ. ქირურგიაში დაუწერელი კანონივითაა, რომ მედიცინის მუშაკებს უფრო მეტად ურთულდებათ ოპერაციები, ვიდრე სხვა კატეგორიის ხალხს. ეს მართლაც ასეა სტატისტიკურად და, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ასეთ პაციენტს მეტი ცოდნა და ინფორმაცია აქვს ოპერაციის შესაძლო და დასაშვები გართულებების თაობაზე, ვიდრე სხვებს. ჩემი აზრით, ეს პაციენტები ამგვარ გართულებებზე ფიქრის გამო ცენტრალური ნერვული სისტემის ჩართვით ახდენენ ორგანიზმში სწორედ იმ პათოფიზიოლოგიური ძვრების პროვოცირებას, რაც გართულებების ზრდას უნდა იწვევდეს. დღევანდელი გეგმური ოპერაციები, მათ შორის ჩვენი თანამშრომლისაც, წარმატებით დავასრულეთ და ამასობაში ორსული პაციენტის წინასწარი სათანადო მომზადების შემდეგ დადგა მისი ჯერიც. ამ შემთხვევაშიც არის გარკვეული დაძაბულობა და საჭიროა გაძლიერებული ყურადღება პაციენტის ორსულობის გამო. თან უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მისი უამრავი ახლობელი და მომყოლი გამოირჩევა მოჭარბებული განცდებით და ემოციებით, რაც ცოტა ხელსაც კი გვიშლის მკურნალობის პროცესში. ოპერაცია დამთავრდა სწრაფად და მშვიდობიანად. ოპერაციის შემდეგ ინტენსიურ პალატაში დედისა და ნაყოფის სასიცოცხლო პარამეტრების მაჩვენებლები საუკეთესოა და ორ საათში პაციენტი გადაგვყავს პალატაში.

დღეისათვის ოპერაციებს მოვრჩი ცხრა საათზე და თერთმეტისთვის დავტოვე კლინიკა. სახლში მსუბუქად ვივახშმე, ცოტა ხანს ვუყურე ტელევიზორს და საკმაოდ დაღლილი ვწვები დასაძინებლად. დილით, რვა საათზე, მაღვიძარას იმედი მაქვს.

ხუთშაბათი

ათის ნახევარზე კლინიკაში ვარ. დანიშნული გვაქვს ხუთი გეგმური ოპერაცია. პალატების შემოვლის შემდეგ ზოგიერთი პაციენტი კლინიკიდან გავწერეთ და თერთმეტისთვის ოპერაციებს შევუდექით. ოპერაციებს შორის, ორი საათისთვის, მომიყვანეს და გამასინჯეს უმძიმესი, 85 წლის პაციენტი, რომელსაც გადაუდებლად ესაჭიროება ქირურგიული ჩარევა. აქვს სეპტიკურ-ჩირქოვანი პროცესით გართულებული ღვიძლისა და სანაღვლე გზების პათოლოგია, 40 გრადუსამდე ცხელება და გამოხატული სიყვითლე. როგორც გაირკვა, პაციენტი ორი დღის წინ მიუყვანიათ სხვა კლინიკაში, სადაც ასევე სასწრაფო ოპერაციას უპირებდნენ, მაგრამ თავად არ

ბის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივება არ უკავშირდება ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას, რადგან მოსკოვმა ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ივნისში, რუსეთში მისი ვიზიტის დროს მიიღო.

პარლამენტმა რატიფიკაცია უყო ზაფხულში პარიზში ხელმოწერილ ორ სასესხო ხელშეკრულებას, რომლებიც ითვალისწინებს 77 მილიონი ევროს ღირებულების საჰაერო თავდაცვის სისტემის შეძენას.

საქართველოს, სომხეთისა და ირანის ენერგეტიკის მინისტრებმა კახა კალაძემ, ერვანდ ზახარიანმა და ჰამიდ ჩიტჩიანმა და რუსეთის ენერგეტიკული ქსელების ოპერატორი კომპანიის, „როსსეტის“ ხელმძღვანელმა ოლეგ ბუდარგინმა ერევანში ხელი მოაწერეს ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმს.

ბათუმის უნივერსიტეტში ძველი ბულვარის განვითარების კონცეფციის საჯარო განხილვის ერთ-ერთმა მონაწილემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს დავით ბაციკაძეს.

ბელგიის პარლამენტმა რატიფიკაცია უყო ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმებას, რის შემდეგაც დასრულდა ევროკავშირის წევრ ყველა სახელმწიფოში ამ დოკუმენტის რატიფიცირების პროცესი.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკიმ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხთან ინტერვიუში თქვა, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე უმრავლესობა წარადგენს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის

შემსრულებლის გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურას.

თბილისში გაიმართა პაატა ბურჭულაძის მიერ დაფუძნებული „საქართველოს განვითარების ფონდის“ პრეზენტაცია.

პარლამენტმა საბოლოო, მესამე მოსმენით დაამტკიცა საარჩევნო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტატად ასარჩევად კანდიდატებმა 30%-იანის ნაცვლად 50%-იანი ბარიერი უნდა გადალახონ.

დათანხმდა და კვლავ სახლში წაიყვანეს. აქ სურათი კიდევ უფრო გაუარესდა და ახლა მოგვიყვანეს ჩვენ უმძიმეს მდგომარეობაში, გამოხატული ენდოტოქსიკური შოკით. დღეს უკვე ითხოვდნენ შველას და ოპერაციაზე თანახმა იყვნენ. ასეთ სიტუაციაში პაციენტის წინასაოპერაციო მომზადების დროც არ არის და საჭიროა გადაუდებელი ოპერაცია. გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით იმ მხრივ, რომ უარის თქმაც არ შეგვეძლო. პატრონებს პაციენტის უმძიმესი მდგომარეობა ავუხსენით და წავედით ოპერაციაზე უდიდესი რისკის ფასად. დარჩენილი გეგმური სამი ოპერაცია გადავდეთ დღის ბოლოსთვის და 85 წლის მწვავე პაციენტი საოპერაციოში შევიყვანეთ. ოპერაცია გავაკეთეთ ლაპაროსკოპიულად, მართალია, ტექნიკურად გაძნელებულად, მაგრამ რადიკალურად და სრულყოფილად. ასეთი რთული ოპერაციების ლაპაროსკოპიულად ჩატარების გამოცდილება გვაქვს და ამიტომაც მივმართეთ ამ მეთოდს. ღია ოპერაცია ამ დროს გაცილებით დიდი რისკის შემცველია დიდი ოპერაციული ტრავმის გამო, ლაპაროსკოპიულად კი მეტი შანსია, პაციენტმა ეს ჩარევა გადაიტანოს. ოპერაცია წარმატებით დამთავრდა. ანესთეზიოლოგის დიდი დახმარებითა და ძალისხმევით, პაციენტმა გაიღვიძა ორ საათში ინტენსიურ პალატაში, სადაც ვტოვებთ მინიმუმ დილამდე ინტენსიური მკურნალობის გასაგრძელებლად. დარჩენილი გეგმური ოპერაციებიც წარმატებით ჩავამთავრეთ. ბოლოს კვლავ მოვინახულე მოხუცი პაციენტი, რომლის მდგომარეობა რამდენიმე საათში საგრძნობლად გაუმჯობესებულია. მონიტორზე ნორმასთან ახლოა ძირითადი სასიცოცხლო პარამეტრების მაჩვენებლები. ინტენსიურის ექიმის თქმით, გამოსწორებულია გულ-სისხლძარღვთა, ფილტვებისა და თირკმლების ფუნქციური მდგომარეობა. ამრიგად, პაციენტის გადარჩენის შანსი გაიზარდა. იმედი მაქვს, ხვალ დილით დადებითი დინამიკა უფრო მკვეთრი იქნება.

გვიან ღამით ვბრუნდები შინ და ვიძინებ.

25 პარასკევი

საპარლამენტო უმრავლესობამ მთავრობის მეთაურის თანამდებობაზე გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურა წარუდგინა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, მან კი, თავის მხრივ, პრემიერობის კანდიდატი ოფიციალურად წარუდგინა პარლამენტს.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ აირჩია საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე, რასაც მოჰყვა საპროტესტო აქცია და მწვავე შეფასებები გიორგი მარგველაშვილის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკოსების მხრიდან.

ქუთაისის საქალაქო სასამარ-

9 საათია. კლინიკაში მოსვლისთანავე ინტენსიურში მოვინახულე გუშინდელი მძიმე პაციენტი, 85 წლის მოხუცი. გამიკვირდა კიდეც, იმდენად უკეთ გამოიყურება. ადეკვატურია, კონტაქტურია, ამბობს, კარგად ვარო, და მადლობასაც მიხდის. ჯერ, რა თქმა უნდა, კარგად არ არის, მაგრამ მკვეთრი დადებითი დინამიკაა. მიხარია, რომ ღვიძლიც კარგად ამუშავდა. ამის ნიშანია ღვიძლის ნაღვლის სადინარში ჩადგმული დრენაჟიდან წამოსული 500 მლ-მდე ნაღველი, რომელიც, მართალია, ჯერ კიდევ მუქი და ჩირქოვანია, მაგრამ შეიმჩნევა გასუფთავების ტენდენცია. გუშინ პაციენტს ჰქონდა ჟანგისფერი სიყვითლე, დღეს კი მისი სახე თითქმის ვარდისფერია. ინტენსიურის ექიმის თანხმობით გადმოვიყვანეთ განყოფილების პალატაში შემდგომი მკურნალობისათვის.

დღეს მხოლოდ ორი გეგმური ოპერაცია მაქვს დანიშნული კლინიკაში, თუ კიდევ რამე სასწრაფო არ დამემატა. შაბათიდან ათი დღით ვაპირებდით საახალწლოდ შვებულებაში გასვლას, გვინდოდა დღევანდელი ორი ოპერაციით დაგვემთავრებინა წელი, ხვალიდან გაგვეწერა ყველა ავადმყოფი და ჩვენც დაგვესვენა, მაგრამ მინიმუმ ორშაბათამდე მოგვიწევს მუშაობის გაგრძელება მხოლოდ ამ მწვავე პაციენტის გამო. დღევანდელი ოპერაციებიც სწრაფად და უპრობლემოდ გაკეთდა. დღის ორი საათია და ოპერაციებისაგან წელს უკვე თავისუფალი ვარ.

საღამოს, 6 საათისათვის, წასასვლელი ვარ „ავერსის კლინიკაში“ საქართველოს ქირურგიული საზოგადოების სხდომაზე, რომელიც რეგულარულად ტარდება ყოველი თვის ბოლო პარასკევს. დღევანდელი სხდომის თემატიკაა საქართველოში ქირურგიული სამსახურის ეფექტიანობის გაზრდასთან დაკავშირებული საკითხები. მაქვს ჩემი ხედვა ამასთან დაკავშირებით და სასიამოვნოა, რომ სხდომაზე კვლავ ვნახავ მოქმედ და წამყვან ქირურგებს მთელი ქვეყნიდან. მანამდე წლევანდელი წლის მუშაობის დამთავრება განყოფილებაში აღვნიშნეთ გაერთიანებული სადილით კლინიკის სასადილოში.

ქირურგიული საზოგადოების სხდომაზე ექვს საათზე, დროულად მივედი. სხდომა გაგრძელდა ცხრამდე. შევთანხმდით გარკვეულ საკითხებზე. გადაწყდა, შემდეგი სხდომა ჩატარდეს ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან, რათა შემუშავებული კონკრეტული გეგმები გავაცნოთ და ერთად დავსახოთ მათი განხორციელების გზები.

შაბათი

დილის ათი საათია. 85 წლის პაციენტი თავს კარგად გრძნობს, მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესებულია. ფეხზე წამოვაყენეთ, მუცლის ღრუდან ამოვუღეთ ერთი დრენაჟი. ვფიქრობ, მისი გაწერა ორშაბათს თავისუფლად შეგვეძლება და ჩვენც გვეღირსება ერთკვირიანი დასვენება – 4 იანვრამდე. გავწერეთ გუშინდელი ორი ნაოპერაციები და სხვა დარჩენილი პაციენტებიც. რა თქმა უნდა, მორიგე ექიმები რჩებიან დღეს და ხვალ კლინიკაში მოხუცი პაციენტის გამო და მეც გაწერამდე მას ყოველ დილით მოვინახულებ. ამ საღამოს, ექვსზე, კვლავ მიწევს კოლეგებთან ერთად მცხეთაში წასვლა, სადაც ვატარებთ სხვადასხვა პროფილის ექიმთა ასოციაციების გაერთიანებულ გასვლით სხდომას. სხდომის შემდეგ გათვალისწინებულია წინასაახალწლო ზეიმი ბანკეტით. მანამდე კლინიკაში ვრჩები. მიხარია, რომ დღეიდან, პრინციპში, თავისუფალი ვარ და საღამოს განტვირთვა კარგი რელაქსაცია იქნება ჩემთვის. ჩვენი საქმე საკმაოდ მძიმეა, მოითხოვს თავდაუზოგავ შრომას, თავგანწირვას და მოთმინებას. ხშირად ჯიბრში უნდა ჩაუდგე სიკვდილს და დაუღალავად, ჯიუტად ებრძოლო. ამიტომაც თვეში ერთხელ ვცდილობ ხოლმე

თლომ გირაოს სანაცვლოდ პატიმრობიდან გაათავისუფლა ნაციონალური მოძრაობისა და „თავისუფალი ზონის“ სამი წევრი, რომლებიც პოლიციამ ოქტომბრის დასაწყისში დააკავა „რუსთავი 2“-ის მხარდასაჭერი აქციის დროს დეპუტატ დავით ლორთქიფანიძის ფიზიკური შეურაცხყოფის ბრალდებით.

გიორგი მარგველაშვილმა შეიწყალა 238 მსჯავრდებული.

ბათუმში გაიმართა საპროტესტო აქცია ქალაქის ძველი ბულვარის განვითარების კონცეფციის წინააღმდეგ.

საქართველოში მცხოვრებმა კათოლიკეებმა და პროტესტანტებმა შობის დღესასწაული იზეიმეს.

საქართველოს ძალოსნობის ფედერაციამ განაცხადა, რომ საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მიანიჭა ლაშა ტალახაძეს მას შემდეგ, რაც დოპინგის მიღებისთვის ეს ტიტული ჩამოართვა რუს ძალოსანს ალექსეი ლოვჩევს.

პრემიერმინისტრობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე პარლამენტს უცვლელად წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე თავის შემცვლელად მიხეილ ჯანელიძის კანდიდატურას დაასახელებს.

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ თბილისში გამართა საპროტესტო აქციები დედაქალაქის მერის დავით ნარმანიას გადადგომის მოთხოვნით.

თბილისის საკრებულომ დაამტკიცა დედაქალაქის 2016 წლის ბიუჯეტი.

მეგობრებთან ერთად დროის გატარებას და მოლხენას, რაც მეხმარება ფსიქოლოგიურ განტვირთვაში. ბოლო წლების ჩემი საყვარელი დევიზი და სლოგანია ცნობილი ლათინური გამოთქმა „memento mori“. მისი ღრმა ფილოსოფიური არსი რეალურად მეხმარება, უფრო მსუბუქად შევაფასო ცხოვრება, რომელიც ისედაც ხანმოკლეა. ვცდილობ, არ გავირთულო და სხვასაც არ გავურთულო ისედაც ძნელი ყოფა, ვიცხოვრო თვალთმაქცობისა და ფარისევლობის გარეშე თუნდაც პატარა სიყვარულით და პატარა ერთგულებით ჩემს ოჯახთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად. სიკვდილის ხშირად გახსენებით უდიდეს პატივს ვცემ სიცოცხლეს და ვურჩევ ყველას, ასევე ხშირად იმეორონ „memento mori“ – მაშინ ცხოვრება უფრო პოზიტიური და პროდუქტიული იქნება.

ლია ლიქოკელი

მწერალი. დაიბადა 1986 წლის 6 მარტს ხევსურეთში, სოფელ ბარისახოში. დაამთავრა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი კინორეჟისურის სპეციალობით. მუშაობდა დუშეთის სახალხო თეატრის რეჟისორად. ამჟამად მუშაობს რედაქტორად ქარჩხაძის გამომცემლობაში. 2013 წელს გამოსცა პირველი წიგნი, პოეტური კრებული „დევის ცოლის სიცილი“. 2014 წელს მიიღო პრემია „საბა“ ნომინაციაში „წლის საუკეთესო დებიუტი“. არის ლიტერატურულ კონკურს „წეროს“ ორგზისა და წინანდლის პრემიის ლაურეატი.

კვირა

მზემშვიდობისა, კვირადღეების სევდავ.

ზამთრის მზეში გავიღვიძე. მკრთალ, თეთრ მზეში გავახილე თვალები და გავიფიქრე, რომ დღეს გარეთ უნდა გავიდე. დრო გადის და მე მემატება არაფრის კეთების დღეების შიში. მარტო ყოფნის დღეების შიში. გუშინ აივნის კარიც კი არ გამიღია. მთელი დღე ვიწექი და ჭერს ავყურებდი. არაფერია საინტერესო ჩემს ჭერში, თეთრია და ურცხვად დაულაქავებელი, ერთ მოსაჭიდებელ წერტილსაც ვერ იპოვი, თვალები ჩამოკიდო და დამშვიდდე. მეც უბრალოდ ვიწექი და ვტიროდი. მაქვს ხოლმე ასეთი დღეები: ვწევარ და ვტირი. მშვიდად ვტირი, თითქოს მდინარის ნაპირთან ვიჯდე და წყალში ჩაკიდებულ გრძელ სევდას ვარწევდე. როგორი ძნელია ზამთარი. მე ვემსგავსები დათვს, ზაფხულში მოხვედრილ პოლარულ დათვს, რომელმაც დაკარგა თავისი მთავარი თოვლი და იქცევა მურა დათვივით – გამოთხრის ბუნაგს საკუთარ თავში, შეძვრება და იძინებს.

თავი მისკდება, რაც ნიშნავს, რომ გუშინ კარგად გამოვიტირე ყველა სისულელე და შემიძლია გარეთ გავიდე და ვიარო. ბოლო დროს ყველაფერი მეზარება და ძალიან დამაკლდა ჩემი სიარულები. ისე, უაზროდ რომ დადიხარ. უმიზნოდ. ოღონდ ხეებს ვეძებ ხოლმე. სადაც ბევრი ხეა, იქ დავდივარ. არაფერია ზამთრის ხეებზე მშვენიერი და ნამდვილი. დავდივარ და ვგრძნობ ჩემს ჩონჩხს. თითქოს მარტო ის ვარ, რაც სი-

ბიუროს სხდომაზე პარლამენტმა დაამტკიცა მთავრობისთვის ნდობის გამოსაცხადებლად საჭირო პროცედურების განრიგი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთის კურორტების განვითარების კომპანიამ ბაკურიანში გახსნა განახლებული „კოხტა“.

ცოცხლის დასრულების შემდეგაც დავრჩები.

ცუდი ის არის, რომ სახლი მაქვს დასალაგებელი. რამდენი დღეა, ვიღვიძებ დილას, დამყუდებია თავზე ეს ჩემი სახლი და მიყურებს. ბავშვივით მიყურებს, რომელსაც აღარ ეთამაშებიან. ისიც დადის აქეთ-იქით, გულში ჩაუკრავს ერთადერთი ჭუჭყიანი სათამაშო, ფეხებში გებლანდება, რომ შეგახსენოს – მეც ვარსებობ. მომიარე.

და დაფრატუნებს ჩემი სახლი არეულ ოთახებში და არ იცის, სად შემოიკეცოს ფეხები. ამასაც კი უნდა, ვინმეს უყვარდეს. უვლიდეს ვინმე. მე კი ახლა არ შემიძლია. ასეთიც მიყვარხარ, ვეუბნები. და მეც მინდა, ვინმემ მითხრას, რომ ასეთიც ვუყვარვარ. აი, ასეთი, სარკეებს რომ პირქვე ვაბრუნებ, მორკალული ზურგი რომ დავრჩი.

გუშინ კინაღამ ხევსურეთში წავედი, მაგრამ უნდა ვწოლილიყავი და მეტირა. ეს ისევე აუცილებელია ხანდახან, როგორც წყლის გადავლება ცხელი, თიხაში ამოვლებული დღის შემდეგ. ეგ არაფერი. ესმით ჩემი დედაჩემს და მამაჩემს. საახალწლოდ წავალ, წავალ და ისე მიყვარებენ, თითქოს არც გავზრდილვარ.

მოდი, რამეს ვიჩუქებ-მეთქი, ვიფიქრე. ახლა მჭირდება სულელური, ჩერჩეტი საჩუქარი, რომელსაც ვერ გამოვიყენებ. რა კარგია სისულელე. რა კარგია უმიზნო სისულელეები. ერთი ასეთი ჩავიდინე ამ დღეებში – ლურჯი პარიკი ვიყიდე მიწისქვეშა გადასასვლელში, თოჯინას ლურჯი თმა. სამსახურიდან რომ ვბრუნდები, ჩამოვიმხობ ხოლმე თავზე, ვზივარ მერე ასე და მეცინება.

ახალი წლის წინა დღეებში ზოგჯერ მინდება, შეყვარებული ვიყო და საჩუქარს ვარჩევდე მისთვის, ვინც მიყვარს. მაგრამ ეს არასოდეს გამოდის. საჩუქრებსაც ვითმენ და შეყვარებებსაც. და რჩება ჩემი თავი, რომელსაც დღეს გავასეირნებ და რამე უსარგებლოს ვუყიდი. მაგალითად, ტაფას. მერე როდისმე კვერცხს შევიწვავ და ვჭამ. მერე ტაფის გარეცხვა დამეზარება. მერე ავად გამხდის გაურეცხავ ტაფაზე დარდი, ძალიან ავად გამხდის, და გადავაგდებ. ასე გადავაგდე წინა ტაფა.

...

ბევრი ვიარე. დავიღალე. ეს ნიშნავს, რომ ჩემი სხეული არსებობს და აქვს გარკვეული წონა, რომელიც მეჩვენება, რომ უკვე ზედმეტია.

ჯემპრი ვიყიდე. ჯემპრი აუცილებელია. საერთოდ, ტანსაცმელი აუცილებელია.

შეიძლება ვინმე მესტუმროს. ვინმეს ალბათ ეშიება. მიყვარს, როცა ვინმეს შია. ვინმეც მიყვარს.

ისევ დამავიწყდა დედაჩემთან დარეკვა. ახლა უკვე გვიანია. დაიძინებდა.

კარზე კაკუნია. ვინმე მოვიდა.

ორშაბათი 28

ორშაბათი ნიშნავს ორშაბათს და მეტს არაფერს. მე კი უცნაურად ვიღვიძებ: მინდა, კაცი ვიყო, ცეცხლის პირას ვიჯდე და ნახერხის სუნი ამდიოდეს. მუხლებზე ხელები მეწყოს, შავი ხელები, და ვხედავდე ჩემს ცხოვრებას. ალბათ, რაღაც მაქვს დასაწერი. ამბავი, რომელსაც ჯერ ვერ ვხედავ და მჭამს. ზოგჯერ, როცა ვმძიმდები და ცუდად ვხდები, დედაჩემი მეუბნება, შენ ახლა რაღაც გაქვს დასაწერიო. დედაჩემი კი ყოველთვის მართალია.

მაგრამ სამსახურის დღეა. ვერაფრით ვერ რიგდებიან სამსახურის და წერის დღეები. ერთ დღესაც შუაში აღარ ჩავუდგები და დახოცავენ, ალბათ, ერთმანეთს.

როგორ მინდა, დღეს კარგად ვიყო. კვერცხისგულისფერ შარვალს ვიცვამ და ისე გავდივარ სახლიდან. გზად მეტროს ჯოჯოხეთს გავივლი. აი, ადამიანები. აი, ხალხი. ხალხი მიყურებს და რა კარგია, რომ ვერ მხედავს. ბევრი თვალები აქვს ხალხს. ალბათ, რაც უფრო ბევრი თვალები გაქვს, უფრო ცუდად ხედავ.

სამსახურში მისულს, მაგიდაზე საჩუქარი მხვდება. მოზრდილი ყუთია. ვიცი, ვისგანაც არის. სასწაული გოგოა ის. ზღვისპირეთისა. ვხსნი, წერილია: „სანტა არ არსებობს. მაგრამ ყველა კარგმა გოგომ უნდა მიიღოს საჩუქარი“.

ყუთში დევს ჩემი საყვარელი წიგნი. შარფი, ფინჯანი და ორი ცალი ბროწეული.

ვაიმე, ვფიქრობ. ვაიმე. შარფს ყელზე ვიხვევ და სწრაფად გავდივარ აივანზე. პატარა აივანი გვაქვს, გისოსებში ჩასმული. იქ გავდივარ ხოლმე მოსაწევად, უფრო კი იმისთვის, ხუთი წუთით მარტო რომ დავრჩე. და გავდივარ აივანზე, ხელებს ვაძვრენ გისოსებს შორის და ცას ვეძებ. რა უშნოდ არის დაწერილი ეს ქალაქი. რა ცოტაა ცა სტრიქონებს შორის.

საღამოს ვივლი-მეთქი, ვიფიქრე.

...

და ვიარე საღამოს. და ცხენები ვნახე. სამი შავი ცხენი.

ჩემი მთავარი ქალაქის მთავარი ქუჩის მთავარი ნაძვის ხის გვერდით შავი ცხენები იდგნენ. იდგნენ ხალხში, ელოდებოდნენ, როდის გადაიხდიდა რომელიმე ადამიანი რომელიმე ლარს მათზე შემოსაჯდომად. იდგნენ, ხმას არ იღებდნენ. ერთი თავს აქნევდა და პირში გაჩრილ რკინის ლაგამს ღეჭავდა.

ხალხს კი უხაროდა: ახალი წელი მოდის. უნდა გიხაროდეს.

სამშაბათი 29

ისევ ვერ გამოვიძინე. მაგრამ ეს იყო ტკბილი უძილობა: კარგია, როცა მარტო არ ხარ უძილობაში და ვინმე შენთან არის. ჩემი ვინმეს მხარზე თავჩამოდებული ნახევარძილებიც მიყვარს.

ალბათ მაინც ჯობდა, დამეძინა დილას. სამსახურში შუადღისას მივდივარ ხოლმე და დრო მაქვს, მაგრამ ძალიან მო-

გიორგი კვირიკაშვილი და მის მიერ წარდგენილი მინისტრობის კანდიდატები შეხვდნენ საპარლამენტო კომიტეტების, ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“, უმცირესობისა და უმრავლესობის წევრებს.

საზოგადოების 60-მდე წარმომადგენელმა გიორგი მარგველაშვილს მიმართა თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას შეწყალების თხოვნით, რაზედაც პრეზიდენტმა უარი თქვა და განმარტა, რომ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, „რომელმაც, შესაძლოა, საზოგადოებაში გააჩინოს მსგავსი დანაშაულის მიმართ ზედმეტი ლოიალობის შეგრძნება“.

გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა წარმოადგინა ამ გაერთიანების ერთწლიანი საქმიანობის ამსახველი ანგარიში.

გიორგი მარგველაშვილმა ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.

ძღვანელებმა, უმცირესობისა და უმრავლესობის ლიდერებმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ, მამუკა ახვლედიანმა მოსამართლეთა დანიშვნის წესისა და სისტემაში არსებული სხვა პრობლემების გამო გააკრიტიკა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები და განაცხადა, რომ მათ უნდა დატოვონ თანამდებობები.

არასაპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა და ადვოკატთა ასოციაციამ დისკრედიტირებულად გამოაცხადეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა, მოითხოვეს მისი დაშლა და საბჭოს ახალი შემადგენლობის ფორმირება კანდიდატების პროფესიული და საჯარო რეპუტაციისა და საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველზე.

სოხუმში მყოფმა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ, ვლადისლავ სურკოვმა განაცხადა, რომ ადგილობრივ ლიდერებთან შეხვედრებისას სხვა საკითხებთან ერთად განიხილა თურქეთთან აფხაზეთის ურთიერთობის დროს მოსკოვთან კოორდინირებული პოლიტიკის საჭიროება.

დეკემბერი

მინდა წითელი კაბის ჩაცმა. ისე მომინდა, ვეღარ გავძელი და ავდექი. ეს კაბა ერთმა გოგომ მაჩუქა წინაზე. უბრალოდ, ადგა და თავისი ნახელავი, ულამაზესი წითელი კაბა მაჩუქა. ასეთი გოგოებიც არსებობენ. რამდენიც მახსენდება, ვფიქრობ, როგორ დამავიწყდა ხელებზე შემეხედა. აუცილებლად უნდა შემეხედა. უნდა მცოდნოდა, როგორი ხელები აქვს.

ჩავიცვი კაბა. ყველა ოთახში შევედი. დავდივარ წითელი კაბით ჩემს თეთრ სახლში, გადის საათები, მე კი დავდივარ წითელი კაბით და ვფიქრობ, რომ შეიძლება ვერასდროს ვერავინ მნახოს ასეთი. კაბას მკერდზე ანგელოზი აქვს ამოქარგული. სასაცილო, საყვარელი ანგელოზი. თუ ანგელოზები არსებობენ, და თუ მფარველი ანგელოზებიც არსებობენ, ჩემი, ალბათ, ზუსტად ასეთია: წითელი ლოყები აქვს, პუტკუნა ფეხები, და იქით უნდა დაიფარო.

შუადღისას წიგნის პრეზენტაცია გვაქვს კულტურის სამინისტროში. წიგნი ძველი ქართული სამკაულის ამბავს ჰყვება. მე ამ წიგნის რედაქტორი ვარ და, რომ ვკითხულობდი, ჭკუიდან მშლიდა იმის წარმოდგენა, რამდენი ათასი წლის წინანდელია ეს ნივთები. ნამდვილი, ცოცხალი ადამიანები ატარებდნენ ამ სასაფეთქლეებს, საყურეებს, დიადემებსა და საკინძებს. მათგან ეს ყველაფერი დარჩა, მაგრამ მაინც არ გჯერა, რომ არსებობდნენ. და მეც ვზივარ საპრეზენტაციო დარბაზში, ადამიანებს შორის, რომლებიც მიცნობენ, მელაპარაკებიან, ვუყურებ წიგნს, რომელიც მე წავიკითხე, როგორც რედაქტორმა და მაინც არ მჯერა, რომ ვარსებობ და ეს ყველაფერი მართლა ხდება.

დაღამდა და მგელს შევხვდი. ქუჩაში შევხვდით. მოდიოდა მგელი ძალიან ბევრ ხალხში და ეჭირა ხელში უზარმაზარი მზესუმზირას ყვავილი. მზესუმზირას ყვავილი იყო პლასტმასის და ბზრიალებდა. სავსეა ქუჩები საახალწლოდ ასეთი რაღაცებით. და როგორია ეს ყველაფერი – ქუჩაში გამოფენილი ყველანაირი ბრჭყვიალი, ნაძვის ხეები და ნათურები, სწრაფად გასაფუჭებელი სათამაშოები, უგემური ტკბილეული, ერთმანეთში არეული ხალხისა და მანქანების, აქა-იქ მიწისქვეშა გადასასვლელების საყელურებით დაბმული ქუჩების მუსიკა. და ეს მშობლების კალთებს ჩაბღაუჭებული ბავშვები, ბამბის ნაყინით ლოყებგაწებილი ბევრი, ბევრი ბავშვი, თითქოს მთელი საბავშვეთი გარეთ გამოიყვანა კაცობრიობამ იმის დასამტკიცებლად, რომ არსებობს და გადარჩება. სიგიჟე და ჭუჭყი და ბრჭყვიალი და სიხარული, რომელიც ჰგავს ჯოხზე წამოცმულ შაქარყინულს, სწრაფად რომ ჩაკვნეტ და ჯოხს მოისვრი. და მგელი კი მოდის, მოდის მგელი – ყვითელი კაცი, და მოაქვს ჩემთვის ყვითელი მზესუმზირას ყვავილი, რომელიც ნამდვილი არ არის და ბზრიალებს, შეუსვენებლად ბზრიალებს.

როგორ ვცხოვრობ, ვფიქრობ. როგორ ვბზრიალებ ცხოვრებაში. პლასტმასის ყვავილივით.

ოთხშაბათი 30

დღეს ერთი გოგოს დაბადების დღეა. უხდება დაბადების დღე. ადამიანები ორ ნაწილად იყოფიან: ისინი, ვისაც აქვს დაბადების დღე, და ისინი, ვისაც შეუძლებელია ჰქონდეს, მაგრამ მაინც აქვს.

აი, ბებიაჩემს კი საერთოდ არ ჰქონდა დაბადების დღე. არ იცოდა, როდის დაიბადა. კარგი იქნებოდა, არც გარდაცვალების დღე ჰქონოდა. მაგრამ თორმეტი წლის წინ, ზუსტად ახალი წლის დღეებში, ადგა და გარდაიცვალა. არ მავიწყდება ის დღე. და, რაც დრო გადის, მიყვარდება და მიყვარდება ბებიაჩემი. როგორი ამბავია ეს, სიკვდილის შემდეგაც რომ გიყვარდებიან ადამიანები. ვბრაზდები, მაგრამ სულ ასე ვბრაზდები სიყვარულზე და არაფერი გამოდის, მაინც შემიძლია.

გამახსენდა: ერთხელ მე და ჩემმა ძმამ ახალი წლის ნაცვლად დაბადების დღე მივულოცეთ ბებიას. კი არ გვინდოდა, ისე გამოვიდა, შემთხვევით: ჯერ მე შევედი მის ოთახში, დავიბენი და, დაბადების დღეს გილოცავ-მეთქი. მერე ჩემი ძმა შემოვიდა და იმანაც ასე მიულოცა. მამაჩემმა დაგვცინა. მაგრამ იქნებ მართლა ახალ წელს იყო დაბადებული. ბავშვებს აქვთ რაღაცნაირი ყნოსვა, რომელიღაც ცხვირით გრძნობენ, რომელ გზაზე დადის სიცოცხლე.

ნისლი დგას ქალაქის თავზე. არ მესმის, რატომ არ მოდის თოვლი. სულ ერთი ულუფა თოვლი მჭირდება, ბევრი არა.

ფეისბუკზე ერთ საუბარს გადავაწყდი ლიტერატურის შესახებ. მომეჩვენა, რომ მოსაუბრეები მაგიდაზე მუშტებს აბრახუნებდნენ: ასეთი უნდა იყოს ლიტერატურა – ბრახ. ასე და ამაზე უნდა წერდეს მწერალი – ბრახ. ყურები ჩამოვყარე. არ მესმის არც ერთი „უნდა“, ერთის გარდა: უნდა წერო ის, რაც გინდა შენ, რაც მოგეყოლება. წერო ისე, როგორც გინდა, როგორც ფიქრობ. ჩემთვის სამყარო განიერია, ჩვენც ბევრნი ვართ და სხვადასხვა მხრიდან ვყვებით. ერთი მეორის ადგილს ვერ დაიკავებს. ყველას ერთად გვაქვს ეს სინამდვილე თუ არსინამდვილე მოსაყოლი, რომელშიც ვცხოვრობთ. თუნდაც არ მოგვწონდეს ერთმანეთი, თუნდაც არ ვკითხულობდეთ.

ვითმენ დღევანდელ დღეს. მთელი თავისი სინაცრისფრით ვითმენ.

ველოდები: იქნებ ვინმემ მოიცალოს ამაღამ.

დედაჩემს ვურეკავ და ვეუბნები: ხვალ მოვდივარ.

ხუთშაბათი 31

31 დეკემბერი, რომელიც არ დამდგარა, მაგრამ, რომ დამდგარიყო, იქნებოდა ალბათ ხუთშაბათი.

საერთოდ, დიდი ხანია ეჭვი მაქვს, რომ 31 დეკემბერი არ არსებობს. და არც ის დღეები არსებობს, მას რომ მოჰყვება. ამიტომაც არ გამკვირვებია, რომ 31 დეკემბერი არ გათენდა.

არც ის გამკვირვებია, რაღაც რომ მიხარია ამ გამოსატოვებელ დღეებში. მიუხედავად იმისა, რომ ასე მეშინია დღესასწა-

0:14 საათზე 86 ხმით 28-ის წინააღმდეგ პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მთავრობასა და მის პროგრამას.

19 წლის მამაკაცმა თელავში სანადირო თოფით მოკლა პოლიციელები მაია ჯავახიშვილი და გელა ლამაზოშვილი.

თბილისში გამართულ პირველ სხდომაზე გიორგი კვირიკაშვილის მთავრობამ დაამტკიცა ნუსხა 1582 დასახლებისა, რომლებსაც მაღალმთიანი რეგიონების განვითარების კანონის თანახმად მიენიჭა მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.

„საქართველოს განვითარების ფონდის“ დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეხვდა სტუდენტებს.

„საქსტატმა“ გამოაქვეყნა წინასწარი მონაცემები, რომელთა მიხედვით 2015 წლის თერთმეტი თვის საშუალო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა შეადგინა 3%, ხოლო ნოემბრის თვის ზრდამ – 5,3%.

დიდთოვლობამ ენერგომომარაგებისა და საავტომობილო მიმოსვლის პრობლემები შექმნა აჭარისა და გურიის რეგიონებში.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალურმა საბჭომ ვადამდე, პირობით გაათავისუფლა 149 მსჯავრდებული.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ხელისუფლებამ

ულების. და სიხარულისაც მეშინია.

მგელი მეუბნება: მომავალ წელს შევხვდებით, თახვო.

ისე მუბნება, თითქოს ვარსებობ.

მე კი, უბრალოდ, სახლში მივდივარ. ვდგები, ჩანთას ვალაგებ და მივდივარ ჩემს შორ სახლში. მივდივარ დაღლილი ცხენივით. ფლოქვებით მოსალოდნელ თოვლს მივაშრიალებ. რა მნიშვნელობა აქვს დღეებს და რიცხვებს, რა მნიშვნელობა აქვს წლებს, როცა არსებობს ის სახლი, სადაც ყველაფერი მიყვარს, ბებიაჩემის სიკვდილიც კი, თორმეტი წლის წინანდელ საახალწლო თოვაში.

1 იანვრამდე დაკეტა ადმინისტრაციული საზღვარი დანარჩენ საქართველოსთან და მიზეზად დაასახელა საახალწლო დღესასწაულის პერიოდში უსაფრთხოების ზომების გამკაცრება.

საქართველოს მოქალაქეებს დამდეგი, 2016 წელი ტელემიმართვით მიულოცეს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი კი შეუერთდა თბილისში, თავისუფლების მოედანზე მიმდინარე საახალწლო კონცერტს.

ა

აბაშიძე ანა (2014)
აბაშიძე ზაზა (2006)
აბულაძე გია (2011)
ადამია ალექსანდრე (2015)
ავაქიანი მიხეილ (2012)
ავიძბა ლელა (2006)
აკოფიანი თინათინ (2011)
აკოფოვი გარუნ (2011)
ალასანია ირაკლი (2009)
ალაფიშვილი ლევან (2015)
ალდამოვი ხიზრი (2009)
ალექსი-მესხიშვილი გოგი (2011)
ალექსი-მესხიშვილი ლადო (2009)
ალექსი-მესხიშვილი ნუცა (2011)
ალიევა საბინა (2011)
ალიევი ფაჰრად (2013)
ალხაზიშვილი გივი (2015)
ამარიანი გიორგი (2011)
ამაღლობელი რატი (2006)
ამაშუკელი თამარ (2012)
ამბალია მანანა (2011)
ანანიაშვილი ნინო (2008)
ანასაშვილი ნიკოლოზ (2013)
ანთაძე მანანა (2007)
ანთაძე ციური (2015)
ანდღულაძე ნოდარ (2007)
ანფიმიადი დიანა (2015)
ანჩაბაძე გიორგი (2006)
არაბული ნასტასია (2014)
არაზაშვილი ნინო (2009)
არგანაშვილი ანა (2013)
არეშიძე მამუკა (2007)
არველაძე შოთა (2008)

არსენიშვილი ზაირა (2011)
ასაბაშვილი დავით (2008)
ასანიძე გიორგი (2009)
აქპეროვი ვაგიფ (2008)
აქუბარდია დავით (2008)
აქუბარდია თეონა (2014)
აღდგომელაშვილი ეკა (2012)
აჯიაშვილი ჯემალ (2006)
ახალკაცი ნოდარ (2006)
ახვლედიანი არმაზ (2010)
ახვლედიანი ერლომ (2006)
ახმეტელი სოფიკო (2006)

ბ

ბაგალიშვილი ნანა (2015)
ბადრიძე იასონ (2010)
ბათიაშვილი ირაკლი (2007)
ბაიბურთი ვან (2009)
ბალდე სამორი (2011)
ბარათაშვილი იოსებ (2015)
ბარბაქაძე გიორგი (2009)
ბარნოვი ანდრო (2009)
ბაქრაძე არჩილ (2015)
ბაქრაძე დავით (2007)
ბაქრაძე ლაშა (2006)
ბარათაშვილი მაია (2011)
ბასილია მერაბ (2013)
ბახტურიძე იდა (2015)
ბაქაქური ნინო (2014)
ბეგიაშვილი ნოდარ (2014)
ბეგიაშვილი ტარიელ (2011)
ბეზრუჩკო ოლენა (2010)
ბენდელიანი ეკა (2014)
ბენდიაშვილი თემურ (2009)
ბენიძე სალომე (2015)
ბერიკაშვილი გივი (2008)
ბერძენიშვილი ლევან (2006)
ბესელია ეკა (2008)
ბეპიევი ნაირა (2007)
ბიბილაშვილი ზაზა (2007)
ბიგვავა ზურაბ (2012)
ბოლქვაძე რუსუდან (2007)
ბოჩკოვა ლუიზა (2012)
ბოჭორიშვილი გიორგი (2014)
ბოჭორიშვილი ელენე (2010)
ბრეგვაძე ნიკა (2015)
ბუაჩიძე გასტონ (2010)
ბურდული ნინო (2006)
ბურჯანაძე ნინო (2006)
ბუღაძე გია (2007)

გ

გაბაშვილი კოტე (2007)
გაბილაია სანდრო (2014)
გაბრიაძე ანა (2011)
გაბისონია თამარ (2013)
გაბუნია დათო (2015)
გაგნიძე გიორგი (2013)
გაგოშიძე იულონ (2008)
გაგუა ნატა (2015)
გავრილიდი მარია (2007)
გაიპარაშვილი ზურაბ (2015)
გალდავა ალექსანდრე (2007)
გალუმაშვილი სოსო (2014)
გამსახურდია კონსტანტინე (2006)
გამსახურდია ცოტნე (2015)
გამყრელიძე დავით (2008)
გაფრინდაშვილი ლელა (2006)
გაჩეჩილაძე გიორგი (უცნობი) (2007)
გახელაძე გიორგი (2014)

გეგელაშვილი გიორგი (2012)
გეგეშიძე არჩილ (2011)
გელაშვილი ნაირა (2006)
გვაზავა მეუფე ანდრია (2008)
გვახარია ირაკლი (2015)
გვენეტაძე ნინო (2007)
გვიანიშვილი ნათია (2015)
გიგაური ეკა (2012)
გიგინეიშვილი ლევან (2012)
გოგალაძე ხათუნა (2014)
გოგია გიორგი (2012)
გოგორიშვილი ხათუნა (2012)
გოგუაძე ნინო (2014)
გოკიელი გია (2015)
გონაშვილი ბექა (2015)
გორდეზიანი რისმაგ (2010)
გოცირიძე რომან (2006)
გოცირიძე რუსუდან (2012)
გოძიაშვილი ნიალა (2014)
გრიგალაშვილი ნათელა (2013)
გრიგოლია ინგა (2006)
გუანგვენ-ყანდარელი ლიუ (2008)
გულეური ვასილ (2011)
გურიელიძე ზურაბ (2015)
გურჩიანი თამარ (2012)

დ

დავთიანი ალექსანდრა (2015)
დავითაძე დარინა (2008)
დავითაშვილი მერი (2013)
დავითაშვილი-სანოგო მარიამ (2012)
დანელია ნინო (2008)
დანელია სალომე (2012)
დარჩია მარიკა (2007)
დარჩიაშვილი დავით (2008)
დევდარიანი ზვიად (2015)
დევდარიანი ნანა (2007)
დეხრავე ინგრიდ (2007)
დვალი გია (2012)
დიასამიძე ჯაბა (2013)
დიმიტრიადი ნანა (2012)
დოიჯაშვილი მანანა (2009)
დოლიძე ანა (2006)
დოლიძე ვიქტორ (2013)
დოლიძე ქეთი (2007)
დორეული მარი (2012)
დოჩანაშვილი გურამ (2011)
დუი ჯეიმს (2014)

ე

ევგენიძე ნინო (2013)
ეკიზაშვილი გიორგი (2014)
ერმაკოვი გიორგი (2014)
ერქომაიშვილი ანზორ (2007)
ელისაშვილი ალექსანდრე (2013)
ელისაშვილი ცირა (2013)
ექვთიმიშვილი ნანა (2013)

ვ

ვარდოსანიძე ლადო (2006)
ვაშაძე გიორგი (2011)
ვაჩეიშვილი ნიკოლოზ (2009)
ვახტანგიშვილი ვახო (2007)
ვეფხვაძე ლევან (2011)
ვეფხვაძე ცირა (2009)
ვოლსკი გია (2013)

ზ

ზაზანაშვილი ნუგზარ (2013)
ზამბახიძე ნინო (2015)

ზარდალიშვილი ლევან (2010)
ზაქარაძე მემედ (2012)
ზაქარეიშვილი პაატა (2012)
ზედანია გიგა (2006)
ზერეკიძე გიორგი (2013)
ზურაბიშვილი დავით (2007)
ზურაბიშვილი სალომე (2006)

თ

თაბუკაშვილი მარინა (2010)
თავაძე ოლესია (2009)
თავხელიძე მიხეილ (2012)
თათარაიძე ეთერ (2007)
თამარაშვილი ზაზა (2007)
თარხნიშვილი ვანიკო (2014)
თარხნიშვილი ლევან (2007)
თედლიაშვილი მარიამ (2014)
თეთრაძე ინგა (2013)
თოიძე ოთარ (2012)
თოლორდავა კახა (2013)
თორდია რადიშ (2011)
თორთლაძე გია (2011)
თოფაძე გოგი (2006)
თურაძე ეთერ (2008)
თხილავა ეკა (2012)

ი

იათაშვილი შოთა (2011)
იაკობაშვილი თემურ (2008)
იაკობიშვილი ლელა (2009)
იაშვილი ნანა (2007)
ივანიშვილი ბიძინა (2011)
იმნაძე ნათია (2009)
იონათამიშვილი რატი (2015)
იოსელიანი მაკა (2014)
ისაკაძე გიორგი (2007)
ისაკაძე თამარ (2015)
ისაკაძე ლიანა (2015)

კ

კაკაბაძე ნანა (2006)
კაკაბაძე ნინია (2006)
კაკაჩია კორნელი (2014)
კაკუშაძე ვაჟა (2014)
კალაიჯიშვილი მეუფე სტეფანე (2010)
კალანდარიშვილი ლუკა (2010)
კალანდაძე ანა (2006)
კაპანაძე გიორგი (2010)
კაპანაძე ვახტანგ (2013)
კაპანაძე სერგი (2011)
კარაპეტიანი რუბენ (2009)
კასუმოვა ლეილა (2012)
კაციტაძე მამუკა (2012)
კაჭკაჭიშვილი იაგო (2007)
კახიაშვილი კახი (2012)
კახიშვილი კახი (2013)
კახიძე ვახტანგ (2006)
კახნიაშვილი ქრისტო (2006)
კბილაშვილი არჩილ (2013)
კეკელიძე გიორგი (2013)
კერვალიშვილი რუსუდან (2010)
კვარაცხელია ნინო (2015)
კვაშილავა ბაკურ (2009)
კვაშილავა ნანა (2010)
კვაჭანტირაძე თამაზ (2007)
კვერნაძე ბიძინა (2008)
კვესიტაძე ეკა (2010)
კიკაბიძე ვახტანგ (ბუბა) (2007)
კიკნაძე ზურაბ (2008)
კილაძე ლაშა (2009)

კილაძე მერაბ (2015)
კინწურაშვილი თამარ (2008)
კირთაძე ნესტან (2008)
კიფი დენის (2009)
კიწმარიშვილი ეროსი (2008)
კლდიაშვილი გიორგი (2015)
კოდალაშვილი ლელა (2014)
კობალაძე გიგა (2015)
კობახიძე ვასილ (2011)
კობახიძე მანანა (2009)
კობერიძე ოთარ (2010)
კორძაია თამარ (2012)
კოკოევა ილონა (2008)
კოკოჩაშვილი მერაბ (2006)
კოჟორიძე კახა (2013)
კორძაია-სამადაშვილი ანა (2006)
კოტეტიშვილი გუგა (2009)
კოტეტიშვილი ვახუშტი (2007)
კოტორაშვილი ლელა (2015)
კუდავა ბუბა (2010)
კუკავა კახა (2010)
კუპრაშვილი ნათია (2014)
კუტუბიძე ლაურა (2015)
კუშიანი ტერ ნარეკ (2010)
კუხიანიძე ნუცა (2009)

ლ

ლაბაძე ლიკა (2012)
ლაგაზიძე ხათუნა (2013)
ლალიაშვილი თამარ (2015)
ლეჟავა ილია (2012)
ლიკლიკაძე დავით (2014)
ლიქოკელი ლია (2015)
ლობჟანიძე გიორგი (2008)
ლომინაძე ჯუმბერ (2010)
ლომინეიშვილი მაია (2011)
ლომიძე მერი (2011)
ლომოური ნატა (2014)
ლომჯარია ნინო (2012)
ლორთქიფანიძე დავით (2007)
ლორთქიფანიძე დიმიტრი (2012)
ლორთქიფანიძე ლევან (2013)
ლოსაბერიძე დავით (2012)
ლუკიანოვიჩი ქშიშტოფ (2012)

მ

მაზმიშვილი ეკა (2012)
მაისაია ვახტანგ (2013)
მალაზონია მარი (2014)
მამალაძე ვახტანგ (2015)
მამალაძე ია (2013)
მამაცაშვილი ლიკა (2010)
მამაცაშვილი ნესტან (2015)
მამრაძე პეტრე (2006)
მარგველაშვილი გიორგი (2006)
მარგველაშვილი გოგი (2006)
მარგიშვილი ლაშა (2007)
მაღალდაძე ეკა (2009)
მაღლაკელიძე რობერტ (2010)
მაღრაძე გუგული (2008)
მამისთვალიშვილი ელდარ (2011)
მასხულია თამთა (2014)
მაჭარაშვილი ირაკლი (2010)
მახარაშვილი ქეთი (2007)
მეარაყიშვილი თამარ (2009)
მენაბდე ვახუშტი (2013)
მესენგისერი რაფიელ (2015)
მეტრეველი დეა (2013)
მეშვილდიშვილი მარინა (2011)
მეჩითოვი იური (2008)
მეხუზლა სალომე (2007)
მიმინოშვილი ზაზა (2010)

მიმინოშვილი მაია (2008)
მინაშვილი აკაკი (2009)
მინდიაშვილი ბექა (2008)
მირზოევი აგიტ (2008)
მიწიშვილი ილამაზ (2008)
მოლიძე ისმაილ (2009)
მოროშკინა ლალი (2006)
მორჩილაძე აკა (2006)
მსხილაძე მონაზონი ცეცილია (2011)
მურვანიძე ნატა (2008)
მურღულია გია (2010)
მუსხელიშვილი ვახო (2010)
მუხაშავრია ლია (2010)

ნ

ნაბიევი ვიტალი (2008)
ნადარეიშვილი ზურაბ (2014)
ნაზაროვა ნანა (2013)
ნათაძე ნოდარ (2009)
ნარიმანიშვილი გიორგი (2014)
ნარმანია დავით (2012)
ნაცვლიშვილი პაატა (2006)
ნაჭყებია მანანა (2009)
ნინიძე მერაბ (2015)
ნიჟარაძე გაგა (2006)
ნიჟარაძე ზურაბ (2010)
ნიჟარაძე ნესტან (2013)
ნიჟარაძე სოფო (2009)
ნოდია გია (2007)
ნოვაკოვსკა მაგდა (2006)
ნოღაიდელი ზურაბ (2010)

ო

ოგანოვა დინა (2015)
ოდიშარია გურამ (2007)
ოვაშვილი გიორგი (2014)
ომიაძე თათა (2007)
ონიანი გიორგი (2007)
ოქროპირიძე გიორგი (2015)
ოჩიაური ირაკლი (2009)

პ

პაზოტო ჯუზეპე (2006)
პაპავა ლადო (2010)
პარსონსი რობერტ (2011)
პატარაია ბაია (2014)
პატარიძე ნატალი (2015)
პაქსაძე ჯემალ (2014)
პეტრიაშვილი ირაკლი (2009)
პეტრიაშვილი რევაზ (2013)
პეშკოვი თემურ (2011)

ჟ

ჟვანია ნინო (2011)
ჟიჟილაშვილი ნინო (2012)

რ

რადენოვიჩი ბელა-ალექსანდრა (2011)
რაზმაძე ვალიკო (2007)
რაისნერი ოლივერ (2014)
რეხვიაშვილი თამთა (2015)
რობაქიძე ქრისტინე (2013)
როდონაია ვახტანგ (2007)
რულოვსი სანდრა ელისაბედ (2006)
რუსეცკი ალექსანდრე (2012)
რუსეცკაია ელენე (მაია) (2015)
რუხაძე ეკა (2006)

ს

საბანაძე გიორგი (2014)
საბელაშვილი პაატა (2014)

სალდაძე მალხაზ (2014)
სალუქვაძე ნინო (2010)
სამადაშვილი ზაალ (2006)
სამადაშვილი მაშო (2015)
სამყურაშვილი რატი (2007)
სანგი ადელინ მირეი (2013)
სარიშვილი მაია (2008)
საფაროვა ლილი (2013)
საყვარელიძე რამაზ (2006)
სეფაშვილი მერაბ (2009)
სიდამონიძე მაია (2011)
სირაძე-დელონე ეკა (2008)
სიხარულიძე ვასილ (2012)
სონღულაშვილი მალხაზ (2013)
სოფრომაძე სოფო (2014)
სოხაძე ირმა (2009)
სტეფანიანი არნოლდ (2006)
სუბარი სოზარ (2006)
სუბელიანი კობა (2008)
სულაკაური ბაკურ (2009)
სუმბაძე ნოდარ (2015)
სუხიშვილი ნინო (2013)
სხილაძე ეკატერინე (2015)

ტ

ტაბლიაშვილი ირაკლი (2014)
ტაველიძე ირმა (2008)
ტიმჩენკო ოლეგ (2013)
ტოლცი შტეფან (2014)
ტურაშვილი დათო (2008)
ტუღუში გიორგი (2010)
ტუღუში ლაშა (2009)

უ

უგრეხელიძე მინდია (2010)
უერდმანი ჯონ (2012)
უიტლსი სინთია (2010)
უკლება ლია (2015)
უსუფაშვილი დავით (2013)
უჯმაჯურიძე მარინა (2009)
უჯუხუ თამარ (2008)

ფ

ფანჯიკიძე მაია (2010)
ფაუნდეს ბარანდა მანუელ (2009)
ფერაძე ნატა (2013)
ფეტვიაშვილი რუსუდან (2010)
ფირალიშვილი ზაზა (2008)
ფირბარი დიმიტრი (2006)
ფრანგიშვილი დავით (2008)
ფხაკაძე სოსო (2014)

ქ

ქალდანი თამარ (2014)
ქანთარია ნუკრი (2011)
ქაროსანიძე თამარ (2008)
ქელეხსაევა გალინა (2012)
ქვლივიძე ეკა (2013)
ქობალია ვერა (2010)
ქორიძე ზვიად (2009)
ქოჩლაძე მანანა (2007)
ქურდაძე პაატა (2010)
ქურციკიძე მაია (2011)

ღ

ღაღანიძე ჯემალ (2011)
ღლონტი ვახტანგ (2009)

ღლონტი მამუკა (2009)
ღლონტი სულხან (2013)
ღოღობერიძე ლანა (2006)

ყ

ყალიჩავა გერონტი (2014)
ყაჭეიშვილი ნატალია (მონაზონი სიდონია) (2013)
ყიფშიძე კრისტი (2013)
ყიფშიძე სოსო (2011)
ყუფარაძე მამუკა (2009)

შ

შავერდაშვილი შორენა (2011)
შავიშვილი რევაზ (2009)
შავლაყაძე ნატო (2014)
შავლაყაძე რობერტ (2012)
შათირიშვილი ქეთა (2014)
შათირიშვილი ზაზა (2011)
შამუგია პაატა (2015)
შარაშენიძე თორნიკე (2010)
შატაიძე ნუგზარ (2008)
შაშკინი დიმიტრი (2010)
შაჰნაზარი გივი (2010)
შენგელაია ელდარ (2013)
შერმადინი ცქრიალა (2008)
შიუკაშვილი ვალერიან (2007)
შონავა დოდო (2006)

ჩ

ჩაჩავა მაია (2010)
ჩახუნაშვილი ლიკა (2010)
ჩერქეზიშვილი გიორგი (2012)
ჩიგოევა-ცაბოშვილი მაია (2006)
ჩივაძე ალექსანდრე (2012)
ჩიმიშკიანი რაფაელ (2008)
ჩიტაშვილი მარინა (2009)
ჩიხრაძე ფიქრია (2007)
ჩლაჩიძე ლია (2013)
ჩოლოყაშვილი კოტე (2008)
ჩუგოშვილი თამარ (2011)
ჩხეიძე გიორგი (2008)
ჩხეიძე თაკო (2008)
ჩხეიძე თუთა (2014)
ჩხეიძე სალომე (2014)

ც

ცანავა შოთა (2009)
ცეცხლაძე ნესტან (2011)
ცინცაძე ნინო (2014)
ცირამუა მაია (2011)
ციციშვილი ირაკლი (2012)
ციხელაშვილი ქეთევან (2014)
ციხისთავი ნინო (2012)
ცუცქირიძე ლევან (2012)
ცქიტიშვილი ალეკო (2012)

ძ

ძაბირაძე ვახტანგ (2014)
ძიძიგური ზვიად (2010)

წ

წერედიანი დავით (2013)
წიბახაშვილი გურამ (2010)
წიქორიძე თეიმურაზ (2013)
წულაძე ბადურ (2009)
წულაძე ლევან (2008)
წულუკიანი თეა (2010)

ჭ

ჭაბაშვილი ანა (2011)
ჭანიშვილი გიორგი (2010)
ჭანტურია ტარიელ (2011)
ჭიაბერაშვილი ზურაბ (2007)
ჭითანავა ეკა (2014)
ჭინჭარაული სალომე (2012)
ჭიჭინაძე გოგი (2009)
ჭიჭინაძე ნოდარ (2006)
ჭუმბურიძე ზურაბ (2011)

ხ

ხაზარაძე მამუკა (2007)
ხაინდრავა გიორგი (2007)
ხალილოვი ზაურ (2006)
ხანგოშვილი მექა (2006)
ხარანაული ბესიკ (2010)
ხარაძე ნიკა (2009)
ხარბედია მალხაზ (2008)
ხარხელი დოდი (2010)
ხასაია კახა (2011)
ხატისკაცი ნინა (2010)
ხაჩიძე გიორგი (2009)
ხიდაშელი თამარ (2009)
ხიდაშელი თინა (2008)
ხითარიშვილი ნინო (2014)
ხმალაძე ვახტანგ (2006)
ხომერიკი ლელა (2007)
ხოტივარი ბუბა (2012)
ხოფერია ეკა (2007)
ხოშტარია გოგი (2012)
ხოშტარია ელენე (2013)
ხუნწარია სოფო (2014)
ხუციშვილი გიორგი (2008)
ხუციშვილი ქეთი (2011)
ხუციძე ვახტანგ (2010)
ხუხაშვილი გია (2011)

ჯ

ჯავახიშვილი ჯანა (2011)
ჯაიანი სოფო (2015)
ჯანაშია მარინა (2007)
ჯანაშია სიმონ (2012)
ჯანგირაშვილი ნინო (2012)
ჯანდიერი დავით (2012)
ჯანდიერი კოტე (2009)
ჯანეზაშვილი ნაზი (2013)
ჯანელიძე ნანა (2010)
ჯანელიძე ნუცა (2015)
ჯანიკაშვილი ბასა (2009)
ჯაპავა ხათუნა (2011)
ჯაფარიძე ზურაბ (2013)
ჯაფარიძე თედო (2007)
ჯაფარიძე მარიამ მონაზონი (2008)
ჯაფარიძე ნინო (2007)
ჯაში სალომე (2011)
ჯვარშეიშვილი გია (2015)
ჯობავა გვანცა (2015)
ჯორჯაძე ნანა (2010)
ჯოხაძე ნიკოლოზ (2008)

ჰ

ჰულსტი მარკ (2009)

რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება

რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება არის კერძო საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია, რომელიც მაუწყებლობს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთის, კავკასიის, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებისთვის.

მას, მაუწყებლობის მმართველთა საბჭოს მეშვეობით, აშშ-ის კონგრესი აფინანსებს.

რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლების მისიაა, ფაქტობრივი ინფორმაციისა თუ იდეების გავრცელებით ხელი შეუწყოს დემოკრატიული ფასეულობებისა და ინსტიტუტების განმტკიცებას.

ცენტრალური ევროპიდან, ვიდრე წყნარ ოკეანემდე, ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, რუსეთიდან შუა აზიამდე თუ სპარსეთის ყურემდე, ცალკეულ ქვეყნებში ხალხი ცდილობს, გაუმკლავდეს ავტოკრატიულ სტრუქტურებს, ადამიანის უფლებათა დარღვევებს, ეკონომიკის ცენტრალიზებულ სისტემებს, ეთნიკურსა თუ რელიგიურ დევნას, რეგიონალურ კონფლიქტებსა და კონტროლს დაქვემდებარებულ მედიას.

მთელი ამ რეგიონის სტაბილურობა – დამყარებული დემოკრატიასა და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე – სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსოფლიო მშვიდობისთვის.

ეფუძნება რა ამ რწმენას, რომ დემოკრატიის უპირველესი მოთხოვნა საზოგადოების ინფორმირებულობის მაღალი დონეა, რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება მრავალი სახელმწიფოს მოქალაქეებს სთავაზობს ახალ ამბებს, ანალიტიკურ გადაცემებსა და მიუკერძოებელ ინფორმაციას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მოვლენებზე.

რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება ამაყობს არსებობის სამოცწლიანი ტრადიციით და ამჟამად 21 ქვეყანაში, 28 ენაზე მაუწყებლობს, მათ შორის – 1953 წლის 3 მარტიდან – ქართულად.

თავისუფლების
დღიურები
2016

ISBN 978-9941-0-8637-3

9 789941 086373

გამომცემლობა

MMC
modern media center

დაბეჭდილია საქართველოში
„ფავორიტ სტილში“

საპრეზენტაციო დისკი ჩაიწერა რადიო თავისუფლების
თბილისის სტუდიაში 2015 წლის იანვარ-დეკემბერში
(რეჟისორი და ოპერატორი: ანდრო ჭიაურელი,
ხმის ოპერატორები: ლევან გვარამაძე, გოჩა ლეჟავა).